ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№7

2014

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2014 წლის 12 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებსა და ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო სტატიების აბსტრაქტებსა და ნაშრომს.

2014 წლის 12 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. პაატა ქურდაძე
წევრები: პროფ. ნელი ჭამპურიძე, პროფ. მზია ზანგალაძე, პროფ. ნოდარ მირაზანაშვილი, ასოც. პროფ. ციური ბაქრაძე

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: პროფ. ნელი გოგინაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. თინათინ იოსებიძე, ასოც. პროფ. გიორგი მძინარაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ნათია ჟოჟუაშვილი
წევრები: პროფ. ნინო ორჯონიკიძე, პროფ. გიული გიგუაშვილი, ასოც. პროფ. ხათუნა ბებნაძე, ასოც. პროფ. მერაბ ვანიშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
წევრები: პროფ. ნუგზარ აბრამიშვილი, ასოც. პროფ. ელგუჯა ჭანტურია

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. მარინე ცერცვაძე
წევრები: პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი, ასოც. პროფ. ქეთევან ბარბაქაძე

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: პროფ. ვიანორ ახალაია
წევრები: პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი, პროფ. მარიამ კობერიძე, პროფ. ანა მესხი, პროფ. ლელა მახვილაძე

სექცია „ისტორია“
თავმჯდომარე: პროფ. ვაჟა ჩოჩია
წევრები: პროფ. მამუკა ჯოლბორდი, ასოც. პროფ. ლელა თოგოშვილი

ISSN 2233-3320

ი/მ - ნინო სულხანიშვილი
ტელ: 599 748 763
E-mail: ninosulkhanishvili@ymail.com

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ბესიაშვილი მარიამ, მაისურაძე მაია - *ძნელად აღსაზრდელი ბავშვები – 7*

გოშაძე ირმა, გუჩმაზაშვილი თამარ - *კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის გზები (სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე) – 9*

გუჩმაზაშვილი თამარ - *კითხვის პროცესი, როგორც ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღებისა და გადამუშავების ძირითადი საშუალება – 13*

კიკნაძე მარიამ - *ბულინგი ბავშვთა ასაკში და მისი გადაჭრის გზები – 16*

მესხიძე მარიამ - *განმავითარებელი სწავლების ისტორიული ანალიზი მარია მონტესორის თეორიის მიხედვით – 19*

მძინარაშვილი ნაირა - *აზროვნების განვითარება ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე – 22*

ნაყიშაშვილი დალი - *მოსწავლეთა შინაგანი შესაძლებლობების გააქტიურება ცნობიერისა და ქვეცნობიერის ურთიერთკავშირის საფუძველზე – 25*

ქელეხსაშვილი მარიამი, ხანიშვილი ეკა - *სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების ზოგადი მიმოხილვა და ოჯახის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ – 26*

ცერაძე ლიკა - *ორიენტირებული კითხვა, მოსმენა და აზროვნება – 30*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ბეჟანიშვილი თორნიკე - *ხელოვნური ინტელექტი – 34*

ბესტავაშვილი მარინა, ბესტავაშვილი ელენა, ედიშერაშვილი ანა - *ჰორმონების მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმი – 38*

გოგავა გოგა, გუგბერიძე ნათია - *კაცხის სვეტის როლი რელიგიურ-მომლოცველობითი ტურიზმის განვითარებაში – 42*

თომაშვილი თამარ, ჯალაბაძე ნათია - *ვიტამინების მნიშვნელობა ადამიანისათვის და მათი შემცველობა ხე და ბუჩქოვან მცენარეებში – 45*

კეჩხუაშვილი მარი - *ქვევრის ღვინო - მსოფლიო საგანძური – 48*

ლომიტაშვილი ანა, მინდიაშვილი თამარ - *კომპიუტერული ტრაფიკის რეგულირების მეთოდები და უსაფრთხოების ალგორითმები – 51*

მელაძე ცისნამი - *მათემატიკური ინდუქცია – 54*

ოქუაშვილი ანი, ხმიადაშვილი თათია - *ფარისებრახლომდებარე ჯირკვლების დისფუნქცია და მისი გამოვლინება ორგანიზმზე – 58*

პაპიაშვილი დათო - *მაგნიტური ლევიტაცია – 62*

რაზმაძე მარიამ - *ბუნებრივ-სტიქიური მოვლენები საქართველოში (მიწისძვრები) – 65*

სარქისიანი ნინო, კაკაშვილი ანი - *ჰელმინთები ჩვენს ორგანიზმში და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხალხური მეთოდები – 69*

ტერუნაშვილი მერი - *მრავალგანზომილებიანი რეგრესიული ანალიზის გამოყენება ეკონომიკაში – 74*

ტერუნაშვილი მერი - *კონკურენციის ამოცანის გადაჭრა შერეული სტრატეგიების გამოყენებით – 77*

ქვრივიშვილი ალეკო - *ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოში 1918-1921 წლებში – 82*

ღვინიაშვილი ნინო - *მყარი ნარჩენების მართვის პრობლემა საქართველოში – 84*

ღონღაძე ნინო - *ხუდონი - წყალსაცავის გავლენა ენგურის ხეობის ფლორასა და ფაუნაზე – 89*

ბიზნესი და მართვა

აჩელაშვილი თამარ, ხაჩიძე მეგი - *უმუშევრობის პრობლემა საქართველოში – 92*

თამლიანი გიორგი - *მილტონ ფრიდმანის მონეტარისტული წესის შესახებ – 95*

კაპანაძე თამთა - *შედარებითი რეკლამა - ბრენდ ომამდე მისული დაპირისპირება – 99*

კოჩუაშვილი ჟანა, ცერცვაძე თამარ - *შიდა ქართლი, როგორც საერთაშორისო ტურიზმის ობიექტი – 102*

კუდუხოვი ზაურ, გიგაური ვლადიმერ - *ინფლაცია საქართველოში – 105*

მიჩიტაშვილი ლალი, პოღოზაშვილი რუსუდან - *პროგრამული ბიუჯეტირების უპირატესობანი საქართველოში – 108*

ნაოჭაშვილი ბექა - *ბრენდინგი - კომპანია „აუდის“ წარმატების გასაღები – 111*

ნასყიდაშვილი ნინო - *TBC ბანკი, მისი განვითარება და მომსახურების სახეები – 115*

ოქროპირიძე მარიამ, მაისურაძე თეონა - *ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები – 121*

რაზმაძე მარიამ - *უნდა იყოს თუ არა ტურისტული ბიზნესი საქართველოს მთავრობისათვის 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტი – 125*

საათაშვილი მაკა, ნადირაძე თამარ, დემურავი მარიამ - *ნაღდი ფულის მოძრაობის დაჩქარების და შენელების მექანიზმები ფინანსურ მენეჯმენტში – 127*

ფოლადაშვილი თეონა, თურაზაშვილი ქეთევან - *საქართველოს საგარეო ვაჭრობა – 130*

ხარიბეგაშვილი ნინო - *კინობიზნესი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე – 133*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ლომაია დავით -*კონფორმიზმი – 136*

მარკოზაშვილი ქეთევან, ტერმაკოზაშვილი თამარ - *გენდერული პრობლემები 21-ე საუკუნეში – 139*

მღებრიშვილი გიორგი - *საკუთრების უფლების ხელყოფა და ქართული ლიტერატურა – 142*

საათაშვილი ნინო - *კომპიუტერული დანაშაული, კომპიუტერული დანაშაულის სახეები – 144*

ქერდიყოშვილი თამარ - *თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ – 147*

ქერდიყოშვილი თამარ - *პლატონი სულის უკვდავების შესახებ („ფედონის“ მიხედვით) – 152*

ხარაიშვილი თამარ, ტოროშელიძე ზურაბ - *არასრულწლოვანთა განრიდების სისხლისსამართლებრივი ასპექტები – 157*

ლინგვისტიკა

ბიბილაშვილი ავთანდილ, ხუციშვილი სოფო - *К ВОПРОСУ О РУССКОМ ЯЗЫКЕ И ГРУЗИНСКИХ РЕАЛИЯХ – 160*

ბოკუჩავა ანა - *РУССКИЙ ЯЗЫК В ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ – 163*

გელაშვილი ნანა - *ანა კალანდაძის პოეზიის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება – 166*

კენჭოშვილი ქეთევან - *ჭიათურის რაიონის სოფელ თაბაგრების მეტყველება – 169*

კვაღნიძე მარიამ - *ენობრივი და სტილური თავისებურებები ოთარ ჩხეიძის რომანში „ჩემი სავანე“ – 171*

კოვტუნ მარიამ - *РУССКИЙ ЯЗЫК В МИРЕ – 173*

მურადაშვილი ლელა, სადაღაშვილი მთვარისა - *РУССКИЙ ЯЗЫК В СТРАНАХ ЕВРОПЫ – 176*

მძინარაშვილი სოფიკო - *ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა – 179*

ოქროპირიძე მარიამ - *ფრაზეოლოგიზმები გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხესა“ და ოთარ ჩხეიძის „ნაკრძალში“– 181*

ოქრუაშვილი ნათია - *რევაზ ინანიშვილის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება – 184*

ტერტერაშვილი ნათია, საზანდრიშვილი ნათელა - *ქარელის რაიონის ტოპონიმთა ძირითადი მაწარმოებლები – 186*

ცერაძე თამარ - *გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჩხეიძის ენის სინტაქსური თავისებურებანი – 189*

ხმიადაშვილი მარიამ, სადაღაშვილი მთვარისა - *კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენა „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით – 191*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ბესიაშვილი მარიამ - *მთვარე როგორც საშუალება ასტრონომიული და ასტროლოგიური შედარებისათვის „ვეფხისტყაოსანში“– 196*

თარაშვილი ეველინა - *ფრანგული კლასიციზმისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების კომპარატივისტული ანალიზი – 198*

მაისურაძე მაია - *დუმილის გააზრება „ვეფხისტყაოსანში“– 202*

საზანდრიშვილი ნათელა - *გლოვა „ვეფხისტყაოსანში“– 204*

სამადაშვილი ანი - *ნატურალიზმი XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების მიხედვით – 206*

ტერტერაშვილი ნათია - *„ტარიელი“ და „ტარია“ „ვეფხისტყაოსანში“– 209*

ქერდიყოშვილი ნათია - *ლოცვა „ვეფხისტყაოსანში“– 211*

შავდათუაშვილი მარიამ - *იმპრესიონიზმი ქართულ ლიტერატურაში და ნიკო ლორთქიფანიძე – 214*

ცაციაშვილი ანი - *ქართული გენის სათავეებისა და ფესვების ძიება როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრების“ მიხედვით – 218*

ხანიშვილი ეკა - *დედა „ვეფხისტყაოსანში“– 221*

ი ს ტ ო რ ი ა

ბიხანაშვილი რუსუდან - *ბარბარობის ტრადიცია ქართლში – 223*

გიგუაშვილი მერი, მოსიაშვილი მადონა - *ცხოვრება ტყვიავის თემში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (გორის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით) – 226*

გიორგიშვილი ნიკოლოზ, წიკლაური რომანი - *კავკასიელ ხალხთა მოჰაჯირობა – 229*

დანიელოვი ნანი - *ლევან ერეკლეს ძე ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა – 233*

კასრაძე ნანა, პავლიაშვილი ეთერ - *მზითევი ძველ აღმოსავლეთში ხამურაბის კანონების მიხედვით – 238*

მახათაძე თინათინ, ტერლეცკაია ლანა - *სოციალური საკითხი შორაპნის მაზრაში XIX ს-ის ბოლოს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული დოკუმენტების მიხედვით – 243*

ტატიშვილი ნინო - *ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან XI-XII სს. – 249*

შავლოხაშვილი თეონა - *ინგლის-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (უორდროპები და საქართველო) – 252*

* * *

FROM BERDYANSK STATE PEDAGOGICAL UNIVERSITY

Ann Mrige - *PROBLEMS AND PROSPECTS OF COMMERCE MARKET IN UKRAINE – 256*

Anton Gaichuk - *PHOTOLUMINESCENCE SPECTRUM OF POROUS INP* OBTAINED BY ELECTROCHEMICAL *ETCHING – 257*

Julia Korolevskaja - *THE STUDING OF HISTORY THROUGH THE PRISM OF GENDER – 258*

Kate Melnikova - *SYNTACTIC TRANSFORMATIONS AS ONE OF THE WAY OF TRANSLATION – 260*

Oleksandr Malyarov - *THEORETICAL APPROACHES TO OTSINENNYA DEGREE OF READINESS COMPANY TO INTERNATIONAL MARKETING ACTIVITY – 261*

Olga Grytsayova - *EDUCATIONAL REFORMS OF UKRAINE THE SECOND HALF OF the XX CENTURY – 261*

Olga Triukhan - *THE VERSES BY ARCHIMANDRITE ONUFRIY: SUBJECT, BAROQUE FIGURATIVENESS – 262*

Svitlana Vyun - *A PLACE OF WOMAN IN A POLICY – 263*

Людмила Золотарь - *УСТРОЙСТВО ГОСТИНИЦ В ГОРОДАХ ТАВРИЧЕСКОЙ ГУБЕРНИИ В 60-70-Х ГОДАХ XIX ВЕКА – 264*

ძნელად აღსაზრდელი ბავშვები

მაია მაისურაძე, მარიამ ბესიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

პიროვნება არის სამყაროს უნიკალური ქმნილება, რომელიც ჩამოყალიბებულია, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად, გარკვეული ადგილი უკავია საზოგადოებაში და ასრულებს თავის პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას. პიროვნების საწყისის ფორმას ბავშვი წარმოადგენს, რომელსაც თანდაყოლილი აქვს სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების პოტენციური შესაძლებლობა. [3. 40]

ჩვენს ქვეყანაში ძნელი ბავშვის პრობლემაზე ინტენსიური კვლევა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა. ეს პრობლემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია და ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანია გარკვევა ჩვეულებრივი და ძნელი მოზარდის ქცევაში, არაადეკვატურობის ფენომენის გამოვლენის ხასიათში, მისი წარმოშობის მიზეზებსა და აღმზრდელობითი ზემოქმედებისადმი მოზარდის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

ვიდრე ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობას დავიწყებდეთ, უნდა გავარკვიოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: მართლაც არის ბავშვი ძნელად აღსაზრდელი თუ არა. არც თუ ისე იშვიათად, მასწავლებელი ძნელად აღსაზრდელს უწოდებს ბავშვს, რომელიც სინამდვილეში ასეთი არ არის. ეს მაშინ ხდება, როცა მასწავლებელი ვერ პოულობს მოსწავლეებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების გზას, რის გამოც ის იჩენს მათ მიმართ გულგრილ, ზოგჯერ უხეშ დამოკიდებულებას. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ქცევა ადეკვატური ხდება მასწავლებლის მიმართაც, საბოლოოდ კი მას უმკვიდრდება ძნელად აღსაზრდელის რეპუტაცია. [2. 97]

,,ძნელად აღსაზრდელის“ ცნებაში მოიაზრებენ ისეთი კატეგორიის ბავშვებს, რომელთანაც აღმზრდელ-მასწავლებლებს უძნელდებათ მუშაობა იმის გამო, რომ ისინი არაადეკვატურად რეაგირებენ ჩვეულებრივ პედაგოგიურ ზემოქმედებაზე, მათი ყოფა-ქცევა თანატოლთა ძირითადი მასისაგან ბევრად განსხვავდება.

მკვლევრებმა მოახდინეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია და გამოყვეს ასეთ მოსწავლეთა ხუთი კატეგორია: 1. პასიური (მოსწავლე, რომელსაც ურთიერთობის და მარცხის შიში აქვს); 2. აგრესიული (მტრული, დაპირისპირებული და ჩაკეტილი); 3. ყურადღების პრობლემებით (უყურადღებო და ჰიპერაქტიური); 4. სრულყოფილებაზე ორიენტირებული (მოსწავლე, რომელიც ცდილობს მიუღწეველს მიაღწიოს); 5. სოციალური პრობლემის მქონე (ბავშვებს, რომლებსაც მეგობრების შეძენა და შენარჩუნება უჭირთ). [1. 70]

ძნელად აღსაზრდელი თავსდება ორ ძირითად ჯგუფში: **ეგზოგენურსა** და **ენდოგენურში.** ეგზოგენურში შედის ისეთი გადახრები, რომელიც მიღებულია გარედან და პერიფერიული ხასიათისაა, ხოლო ენდოგენური შედის შინაგანი დეფექტები, რომლებიც რაღაც ორგანულ დარღვევებთან არის დაკავშირებული.

ენდოგენურს, ანუ ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებს განიხილავს სპეციალური პედაგოგიკა - დეფექტოლოგია, რომლის ქვესისტემებია: ოლიგოფრენო პედაგოგიკა (გონებრივად ჩამორჩენილთა), სურდოპედაგოგიკა (ყრუ-მუნჯთა), ტიფლოპედაგოგიკა (უსინათლოთა), ლოგოპედია (მეტყველება დარღვეულთა).

ძნელად აღსაზრდელობას, დევიანტურობის თვალსაზრისით, სამ დონეზე განიხილავენ: სუბნორმატიული (ნორმის ქვემოთ), სუპრანორმატიული (ნორმების ზემოთ) და დენორმატიული (საშუალო).

სუპრანორმატიული ბავშვის განვითარებაში გამოკვეთილი დისბალანსი, ერთ-ერთი მოზღვავებულად არის განვითარებული სხვა უნარ-ჩვევების ხარჯზე, მაგალითად: არის ნიჭიერი, მაგრამ არაკომუნიკაბელური, კონფლიქტური, ეგოისტი და სხვ.

სუბნორმატიული გადახრა პერიფერიული ხასიათისა, მიზანმიმართულ პედაგოგიურ ზემოქმედებას ადვილად ექვემდებარება. ამ კატეგორიისათვის დამახასიათებელია: აკადემიური ჩემორჩენილობა, აგრესიულობა, ასოციალურობა, ქურდობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. ასეთი კატეგორიის აღსაზრდელებზე ჩვენმა დაკვირვებამ, მოგვცა საფუძველი ჩავაბათ ისინი სოციალურ აქტივობაში, აღმოვაჩინოთ მათში დადებითი თვისებები, როგორიცაა ობიექტურობა, სიყვარული, პატრიოტული გრძნობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული მორალური დეფექტი შედეგია არასასურველი გარემო პირობებისა და პედაგოგიური ხელმიშვებულობისა.

დენორმატიულობა - ეხება ძირითადად უპატრონოდ დარჩენილ, ქუჩაში მოხეტიალე ბავშვებს. ის შეიძლება იყოს გადახრილი ეგზოგენურად ან ენდოგენურად. რაც შეხება არასრულწლოვანთა დანაშაულს, ამის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ფსიქიკური დეფექტებისა და სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორების გავლენა.

ჩვენი ნაშრომი ძირითადად ეხება ეგზოგენური ტიპოლოგიის დენორმატიულ, სუბნორმატიულ და სუპრანორმატიულ გადახრის მქონე ბავშვებს. ძნელად აღსაზრდელებს, რომელთა ოჯახში არ არის ჰარმონია, განიცდიან არაზნეობრივი გარემოცვის ზეგავლენას, აგრესიას, მათ მიმართ უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას, რაც იწვევს გართულებებს მათ განვითარებაში. საოჯახო აღზრდას სამწუხაროდ მხოლოდ პოზიტიური მხარე როდი გაჩნია, მის შედარებით გავრცელებულ სახეს ნეგატიური ფორმა წარმოადგენს.

ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობა იწყება მისი ყოველმხრივ შესწავლით. ეს, პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ ოჯახით, უნდა დავადგინოთ ისევ არსებობს ის პრობლემები, თუ მოიხსნა და მხოლოდ შედეგთან გვაქვს საქმე.

მართალია, ვისაც შვილი ჰყავს ყველა მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი აღმზრდელი როდია.

აღზრდა ყველაზე უფრო მრავალმხრივი, რთული და საპასუხისმგებლოა, ვიდრე ადამიანის მიერ სხვა საქმიანობა. გარდამავალი ასაკი ანუ პუბერტაციის პერიოდი (11-15 წელი) ყველაზე რთული პერიოდია. ამ ასაკში მიმდინარეობს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ცვლილებები. ყველაზე რთული და არსებითი, რაც ამ ასაკში ხდება, არის სქესობრივი მომწიფება. განსაკუთრებით ვაჟები ითვისებენ და ხმარობენ ,,ქუჩურ" გამოთქმებს, ეს, რა თქმა უნდა, თვითდამკვიდრების სავალალო ხერხებია. ყოველი ასაკის აღსაზრდელს მუდმივი თვალყური, გარკვეული სიფხიზლე სჭირდება, მაგრამ გარდამავალი ასაკი ყველაზე მეტად საჭიროებს ყურადღებას, რომ მოზარდი არ მოხვდეს საეჭვო ყოფაქცევის ადამიანთა წრეში და საბედისწერო გზას არ დადგეს. ამ ასაკში დიდი ალბათობაა იმისა, რომ მოზარდი დენორმატიულ კატეგორიის ძნელად აღსაზრდელი გახდეს და დამნაშავედ ჩამოყალიბდეს.

ამდენად, ხშირად ბავშვებს ოჯახური ძალადობა, მშობლებთან კონფლიქტი და არჯანსაღი ცხოვრება ქუჩისკენ უბოძგებს, იწყებენ ქუჩის კანონებით ცხოვრებას და ქუჩა ხდება მათი თავშესაფარი, გაუსაძლის ყოფას ისინი სამყაროს სიძულვილამდე მიჰყავს. ისინი ძნელად აღსაზრდელები ხდებიან, მათი ხელახალი აღზრდა კი ბევრ სიძნელესთანა და შრომასთანაა დაკავშირებული, ზოგჯერ კი უშედეგოა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი თემა ეხებოდა ეგზოგენური ტიპოლოგიის დენორმატიულ, სუბნორმატიულ და სუპრანორმატიულ გადახრის მქონე ბავშვებს, ამ მიზნით, ჩავატარეთ კვლევა გორის XII საჯარო სკოლის VI, IX და XI კლასის მოსწავლეებთან. ყველა კლასში აღმოვაჩინეთ დენორმატიული კატეგორიის ბავშვები. რა თქმა უნდა, ჩვენ გავითვალისწინეთ მათი ასაკი და, შესაბამისად, ვაწარმოეთ კვლევა. შედეგებს მოკლედ ჩამოვაყალიბებთ:

VI კლასის მოსწავლეები არიან გარდატეხის ანუ პუბერტაციის ასაკში. მათ, როგორც ვიცით, ამ პერიოდში ახასიათებთ მოუსვენრობა, ხასიათის არამდგრადობა. ამ ნიშნების მიხედვით მეექვსე კლასში გამოვავლინეთ მოსწავლე, რომელსაც ახასიათებდა მოუსვენრობა, უყურადღებობა, გაკვეთილის პროცესში არ იყო ჩართული. თანატოლებთან გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული მოსწავლე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს და ქუჩაში პოულობდა სრულ სიმშვიდეს. ამის მიზეზი იყო მშობლის სიყვარულის, ყურადღების ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო მშობლის საზღვარგარეთ ყოფნით. ბავშვისათვის მთავარი მატერიალური უზრუნველყოფა კი არ არის მთავარი, არამედ მშობლის სიყვარული და მონაწილეობა შვილის აღზრდაში.

IX კლასში მყოფი მოსწავლის ძნელად აღსაზრდელობა გამოიწვია მშობლების გაყრამ, რამაც მის ფსიქიკაზე საკმაოდ ნეგატიურად იმოქმედა, აგრესიულად ექცეოდა თანატოლებს, იყო უხეში მასწავლებლის მიმართ, არ ემორჩილებოდა მასწავლებლის წესებს, აგრეთვე იყო აკადემიურად ჩამორჩენილი.

XI კლასში აღმოჩნდა ხუთი ძნელად აღსაზრდელი მოსწავლე ვაჟი, ეს ბავშვები იყვნენ ნიჭიერები, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, რომ მათ არ ჰქონდათ სათანადო აღზრდა, რაც ასახული იყო მათ ქცევაში. ისინი ეწეოდნენ სიგარეტს, უხეშობდნენ, დასცინოდნენ სხვა ბავშვებსა და მასწავლებელს.

როგორც აღვნიშნეთ, **მართალია, ვისაც შვილი ჰყავს ყველა მშობელია, მაგრამ ყველა მშობელი აღმზრდელი როდია.** ბავშვი რომ აღზარდო კარგად, უნდა ცნობდე მას.

ჩვენ, ამ კვლევების შემდეგ, გამოვიყენებდით საპრევენციო და საკორექციო პედაგოგიურ საშუალებებს, ბავშვებთან ერთად ჩამოვაყალიბებდით წესებსა და პროცედურებს, დავამყარებდით მათთან მეგობრულ ურთიერთობას. გამოვიყენებდით მასწავლებლის მიერ გამოსაყენებელ კლასის მართვის მეთოდებს: წესები/ჯილდო-სასჯელი, ურთიერთობა-მოსმენა, შეთანხმება.

ლიტერატურა:

1. მარზანო ჯ., კლასის მართვა, თბ., 2009.
2. ყოლბაია მ., ძნელი ბავშვები, თბ., 1985.
3. ხუხუა გ., პედაგოგიკა, თბ., 2009.
4. www.quchamania.wordpress.com

კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის გზები (სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე)

ირმა გოშაძე, თამარ გუჩმაზაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე,** ასოცირებული პროფესორი

მათემატიკის სასკოლო კურსი შეიცავს ისეთ ამოცანებს, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული შინაარსი და არიან კომბინატორული და ალბათური შინაარსის.

მეთოდურ ლიტერატურაში პრაქტიკული შინაარსის ამოცანების ამოხსნას ზოგიერთი მკვლევარი ყოფს სამ ეტაპად:

1. ამოცანის ფორმალიზაცია;
2. პრაქტიკული რეალიზაცია;
3. ინტერპრეტაცია.

ამოცანათა და მაგალითების ნებისმიერი სისტემის ამოხსნის დროს მოსწავლეები ხვდებიან სრულად ან ნაწილობრივ მაინც ამ ეტაპებს, ამიტომ ამ საკითხს უნდა დაეთმოს გარკვეული ყურადღება, რადგან ალბათობის თეორიის სწავლება სკოლებში არცთუ ისე დიდი ხანია რაც შემოიღეს და ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის დამუშავებული ამ საკითხების მეთოდიკური საფუძვლები.

განვიხილოთ კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის ეტაპები.

1. ფორმალიზაცია - არის მოცემული სიტუაციიდან გადასვლა ფორმალურ მათემატიკურ მოდელზე, რომელიც მიახლოებით ასახავს ამ სიტუაციას. ამ ეტაპს მიეკუთვნება ამოცანის პირობის შესწავლა, დადგენა იმისა, რომ გამოყოფილ ქვესიმრავლეებში ელემენტების დალაგებას აქვს თუ არა მნიშვნელობა, იმის განსაზღვრა, თუ რომელი წესი უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შესაძლო შემთხვევათა რიცხვის მოსაძებნად, როგორი ბუნებისაა ალალბედზე შერჩევა, თანაბრად შესაძლებელია თუ არა, აუცილებელია თუ შეუძლებელი და სხვ.

2. რეალიზაცია - არის ამოცანის ამოხსნა მისთვის განკუთვნილი მეთოდის მიხედვით. ამ დროს მოსწავლეები გამოიყენებენ ზოგად წესებს და ფორმულებს ყველა შემთხვევათა რიცხვის მოსაძებნად.

3. ინტერპრეტაცია - არის ამოცანის ამოხსნის გათვალისწინება, ამოხსნის სისწორის შემოწმება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამოხსნის ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით, როგორიც არის დიაგრამებისა და ნახაზების აგება, გრაფებისა და გრაფ-ხის გამოყენება, ექსპერიმენტული ლაბორატორიული შემოწმება და

სხვ.

ყოველი ტექსტიანი ამოცანააღწერს რეალურ სიტუაციას ან მასთან მიახლოებულს, სადაც საჭიროა გავიგოთ უცნობი სიდიდე ან გავაკეთოთ რაიმე თვისებრივი დასკვნა, დამახასიათებელი ამ სიტუაციისათვის. პირველ ეტაპზე საჭიროა უცნობი სიდიდე შევიტანოთ ამოცანის პირობებში, მისი საშუალებით გამოვსახოთ სხვა სიდიდეები და შევადგინოთ ამოცანის პირობებიდან გამომდინარე მათემატიკური მოდელი. ეს შეიძლება იყოს განტოლება, ფორმულა და სხვ.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნა ამ ეტაპების გათვალისწინებით.

ამოცანა. რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ციფრებით 1, 3 და 9. ისე, რომ ციფრი არ განმეორდეს.

ამოხსნა. I ეტაპი - ფორმალიზაცია. აქ უნდა გაირკვეს, რომ მოცემული ციფრებიდან საჭიროა შევადგინოთ სამნიშნა რიცხვები, რა ელემენტებისაგან შედგება სიმრავლე $\{1,3,9\}$. რომ რიცხვში ციფრის გამეორება არ შეიძლება. რიცხვები 333, 111, 999 არ არის დასაშვები. ამოსახსნელად საჭიროა მოცემული სიმრავლის ყველა შესაძლო დალაგებათა რიცხვის მოძებნა.

II ეტაპი - რეალიზაცია. ამ ეტაპზე საჭიროა ცნობილი წესით ან ფორმულით გამოითვალოს მოცემული სიმრავლის ყველა შესაძლო დალაგებათა რიცხვის ან ჩამოითვალოს ყველა შესაძლო შემთხვევები. თუ გამოვიყენებთ ყველა შესაძლო გადანაცვლებათა რიცხვის მოსაძებნად ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ წესს, მივიღებთ, რომ სამი ციფრისაგან შეიძლება შევადგინოთ $1 \cdot 2 \cdot 3 = 3$ რიცხვი.

III ეტაპი – ინტერპრეტაცია. ამ ეტაპზე ხდება ე.წ. გრაფ-ხის აგება, რომელზედაც ილუსტრირებულია მოცემული სიმრავლის ელემენტების განლაგება ყველა შემთხვევაში. ამ გრაფ-ხის საშუალებით თვალსაჩინო ხდება. თუ როგორ მიიღება თითოეული საძებნი რიცხვი.

კომბინატორული და ალბათური ხასიათის ამოცანების ამოხსნის დროს ამოცანის ამოხსნის სისწორის შესამოწმებლად ზოგჯერ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ლაბორატორიული მეთოდი, ხოლო ზოგიერთი კომბინატორული ამოცანის ამოხსნის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ გრაფები.

დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოებში გვხვდება ისეთი შინაარსის ამოცანები, სადაც საჭიროა მრავალჯერადი ცდების ჩატარება, როგორიცაა აწონა, სითხის გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში და სხვ.

ალბათობისა და კომბინატორიკის საწყისი ცნებები დაწყებით კლასებში განხილულ უნდა იქნეს ფარულად, ტერმინების დასახელების გარეშე. სასწავლო პროცესი ისე უნდა წარვმართოთ, რომ არ გამოვიყენოთ სიტყვები „წყობა“, „ჯუფთება“, „გადანაცვლება“, „ალბათობა“, „ხდომილობა“ და სხვ.

მოსწავლეები მარტივი კომბინატორული და ალბათური ხასიათის ამოცანებისა და სავარჯიშოების ამოხსნის დროს დაადგენენ გარკვეულ კანონზომიერებებს და ჩამოაყალიბებენ შესაბამისად მარტივ წესებს, შემდეგ ამ მარტივ წესებს გამოიყენებენ ისინი სავარჯიშოების შესრულების დროს.

დაწყებით კლასებში კომბინატორული და ალბათური შინაარსის მქონე ამოცანების ამოხსნის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამოხსნის სამივე ეტაპის განხილვას.

სწავლებისშემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მესამე ეტაპს, რადგან ამ ეტაპის განხილვისას მოსწავლეები ნათლად ხედავენ ამოცანის ამოხსნის პრაქტიკულ ღირებულებას, ადგენენ ამოცანაში საპოვნი სიდიდის იმ ოპტიმალურ მნიშვნელობებს, რომელიც სინამდვილეს შეეფერება და ხელსაყრელია.

კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების სწავლება არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში ისეთი თვისებების ჩამოყალიბებაზე, როგორიცაა, მოქნილობა, კრიტიკულობა, აქტივობა, მიზანმიმართულება, ლოგიკურობა, რაციონალურობა, ფუნქციურობა. ასეთ ამოცანებს ემოციური მომენტი შეაქვს მოსწავლის გონებრივ საქმიანობაში და საშუალებას იძლევა, ამოხსნის პროცესი განხილულ იქნეს, როგორც პრობლემური სასწავლო სიტუაცია. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის განვითარებას, იწვევს ფსიქიკური პროცესების (მეხსიერება, აღქმა, აზროვნება) აქტივიზებას, რომელთა მეშვეობით სწრაფად და ხარისხოვნად ყალიბდება მათემატიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი სააზროვნო ოპერაციები, ლოგიკური ხერხები და შემეცნებითი უნარები. ამგვარად, კომბინატორული და ალბათური შინაარსის მქონე ამოცანების ამოხსნის პროცესი ხელს უწყობს საგნისადმი ინტერესის აღძვრას და ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას, რომელთა მეშვეობითაც ხელსაყრელი პირობები იქმნება სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ჩამოსაყალიბებლად. პიროვნების ზნეობრივი თვისებებისა და შემოქმედებითი მონაცემების აღზრდის იდეა სწავლებაში კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ჩართვით წარმატებით მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა მათში აღიძვრება მოცემული ამოცანის ამოხსნის ინტერესი.

მათემატიკის სწავლების ეფექტიანობა განპირობებულია თითოეული ასეთი ამოცანის შესაძლო

ფუნქციური დატვირთვის სრული გათვალისწინებით. ცხადია, რომ ამოცანა მით მეტად ფასობს, რაც უფრო მეტი ფუნქციის რეალიზება ხდება მისი ამოხსნის პროცესში.

მათემატიკური განათლების ძირითადი მიზნების (განვითარება, სწავლა, აღზრდა) შესაბამისად სწავლებაში ამოცანათა წამყვან ფუნქციებად განმავითარებელი, სასწავლო და აღმზრდელობითი ფუნქციები ითვლება. მათემატიკური ამოცანების (მათ შორის კომბინატორული და ალბათური შინაარსის) როლის ფსიქოლოგიურ ასპექტებს შორის გულისხმობენ მათ ზემოქმედებას. აშკარაა, რომ კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნისას წარმოქმნილი დადებითი მოტივაცია ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ხერხების დაუფლებაზე.

ზოგადად, ნებისმიერ ამოცანათა ამოხსნის უნარი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

ამოცანის წაკითხვის უნარი (მისი თითოეული სიტყვის გააზრება, საყრდენი სიტყვების გამოყოფა);

ამოცანის პირობისა და მოთხოვნის, ცნობილისა და უცნობის გარჩევის უნარი;

მოცემულსა და საძიებელს შორის კავშირების დამყარების უნარი;

ამოცანის ამოხსნის პროცესისა და პასუხის ჩაწერის უნარი.

ამოხსნის შემოწმება.

დაწყებითი კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოები ძირითადად ამოცანათა კრებულია, მასში თეორიული საკითხები ნაკლებად არის შეტანილი, ხოლო ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომბინატორული და ალბათური შინაარსის მქონე ამოცანების ამოხსნასთან, დაწყებითი კლასების მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში განიხილება მცირე რაოდენობით და თუ განიხილება, არ ხდება ამოხსნისას გამოყენებული ხერხის სრულფასოვანი მეცნიერული ახსნა.

დაწყებით კლასებში კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნისას მასწავლებელმა უნდა გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი ამ ტიპის ამოცანების ამოსახსნელად და მომავალ მუშაობას დაწყებითი ემოციური შეფერილობა მისცეს. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამოცანის პირობის გაანალიზება, ცნობილი და უცნობი კომპონენტების გამოვლენა, ამოცანის მთავარი კითხვის გააზრება და ამოცანის შინაარსი შეუფარდონ მათ განკარგულებაში არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას და ამის საფუძველზე გამოთქვან ვარაუდები მისი ამოხსნის შესაძლო მიმართულებების ძიების თაობაზე. ანდა მოხდეს ამოხსნის ყოველი ეტაპის მართებულობის კრიტიკული გააზრება, მიღებული შედეგის სისწორის შემოწმების შესრულება, რადგან შემოწმების მსვლელობამ შესაძლოა უფრო მოკლე, ლამაზი და რაციონალური ამოხსნის მიმართულებები გვიკარნახოს. იმისათვის, რომ გაგვეგო დაწყებით კლასებში როგორ ფლობენ ალბათური და კომბინატორული შინაარსის ამოცანების ამოხსნის გზებს, ამისათვის ჩავატარეთ კვლევა გორის №5 სკოლის დაწყებით კლასებში. შევიტანეთ ალბათური და კომბინატორული შინაარსის ამოცანები და დავურიგეთ III და IV კლასის მოსწავლეებს ამოსახსნელად.

ამოცანები იყო სხვადასხვა შინაარსის. კვლევის შეფასებას ვახდენდით შემდეგნაირად:

1. რამდენი მოსწავლე შეეცადა ამოეხსნა სრულიად კომბინატორული და ალბათური შინაარსის ამოცანები;
2. რამდენმა მოსწავლემ ამოხსნა ნაწილობრივ;
3. რამდენი მოსწავლე იყო ისეთი, რომლებმაც საერთოდ ვერ ამოხსნეს ამოცანები.

კვლევის შედეგები:

კვლევაში მონაწილეობას იღებდა III კლასის 43 მოსწავლე და IV კლასის 46 მოსწავლე.

სრულად ამოხსნა	14
ნაწილობრივ ამოხსნა	47
საერთოდ ვერ ამოხსნა	28



სრულად ამოხსნა	14
ნაწილობრივ ამოხსნა	47
საერთოდ ვერ ამოხსნა	28



ჩატარებულმა ანალიზმა საშულება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1. კომბინატორული და ალბათური შინაარსის შემცვლელი ამოცანების ამოხსნას დაწყებითი კლასების მათემატიკის სწავლების დროს საკმარისი ყურადღება არ ექცევა;
2. ზემოთ აღნიშნულის გამო მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს კომბინატორული და ალბათური შინაარსის შემცველი ამოცანების ამოხსნის იმ ხერხებს, რომელთა გამოყენება ბევრ

კონკრეტულ სიტუაციაში ძალზე კარგ შედეგს იძლევა;
3. მოსწავლეთა ის მცირე ნაწილი, რომლებმაც იციან კომბინატორული და ალბათური შინაარსის შემცველი ამოცანების ამოხსნის წესები, მარტივად ახერხებენ კონკრეტული კომბინირებული და ალბათური შინაარსის შემცვლელი ამოცანების ამოხსნას.

ლიტერატურა:
1. ნოზაძე გ., ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საწყისების სწავლება სკოლაში, თბ., 2003.
2. ჯინჯიხაძე ჯ., მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები, თბ., 2012.

კითხვის პროცესი, როგორც ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღებისა და გადამუშავების ძირითადი საშუალება

თამარ გუჩმაზაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** პროფესორი

კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც თანამედროვე სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვასა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კითხვა ასევე ემსახურება იმას, რომ მოსწავლე დაეუფლოს და გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, კრიტიკული კითხვა, განმარტება და საჭირო შესწორებათა შეტანა. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებელი მოძიება, სხვადასხვა მონაცემის გამოყენება ტექსტში ღრმად წვდომის მიზნით, მიღებული ინფორმაციის დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან, მონაცემთა ანალიზი, დასკვნების გამოტანა და ა.შ.

კითხვა ის საშუალებაა, რომლითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას იმისათვის, რომ ის იყოს უკეთ ინფორმირებული და განსწავლული, მაგრამ სანამ კითხვას დაიწყებს, მან:

1) უნდა იცოდეს, რისთვის კითხულობს;
2) უნდა იცოდეს, რა წაიკითხოს;
3) უნდა იცოდეს, როგორ წაიკითხოს.

კითხვა ერთიანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარებას. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, კონკრეტული და სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება, გართობა და სიამოვნების მიღება, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა და სხვ. მიზნის შესაბამისად შეირჩევა კითხვის სახეობა, ანუ კითხვის სტრატეგია.

კითხვის სტრატეგიებია:

- ზედაპირული, ე.წ. გაცნობითი კითხვა - გამოიყენება, როცა გვინდა ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა;
- გადათვალიერება - გამოიყენება, როცა გვინდა ცალკეული კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება (თარიღი, რომელიმე ტერმინი და სხვ.), საჭირო ადგილის მოძებნა;
- სწრაფი კითხვა - გამოიყენება, როცა მიზნად გვაქვს გართობა, სიამოვნების მიღება;
- ნელა და ყურადღებით კითხვა, ე.წ. შესწავლითი კითხვა - გამოიყენება, როცა მასალა რთულია, შეიცავს უცნობ ცნებებს, სიტყვებს, სპეციფიკურ ლექსიკას; გააზრებას მოითხოვს ცალკეული დეტალები, გვინდა დასკვნების გამოტანა; გვინდა იდეების შეფასება, პრობლემაზე მსჯელობა, რაღაცის საფუძვლიანი შესწავლა.

კითხვა ინტერაქციულ (დიალოგიურ) - კონსტრუქციული პროცესია, რომლის დროსაც მკითხველი ადარებს ახალ წაკითხულს იმას, რაც მან უკვე იცის. კარგ მკითხველს ყოველთვის აქვს პიროვნული

მოლოდინი წასაკითხი ტექსტის მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ვარაუდების, ჰიპოთეზების გამოთქმით. კითხვის დროს ეს ვარაუდები მოწმდება, რაც სახალისოსა და აქტიურს ხდის პროცესს.

კითხვა მაშინ გადაიქცევა სახალისო საქმიანობად, როცა მოსწავლე გაიგებს წაკითხულს. წაკითხულის გაგებაზე კი გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

- „სამყაროს“ ე.წ. ზოგადი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება;
- თემის, ანუ ე.წ. ფონური ცოდნა;
- ლინგვისტური ცოდნა;
- ტექსტის სტრუქტურის ცოდნა;
- მეტაკოგნიტური ცოდნა.

<u>სამყაროს ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება</u> მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის წარმოსახვაში. იგი ადვილად უკავშირებს ტექსტებში ამოკითხულს სინამდვილეს, გადააქვს ის საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის კონტექსტში, ადარებს, პოულობს მსგავსება-განსხვავებებს და ხვდება, რომ, მიუხედავად მსგავსებისა, თითოეული ინდივიდი უნიკალურია, ისევე, როგორც უნიკალურია ყოველი ერი. მას უჩნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული აზრის, შეხედულებების, კულტურის მიმართ და უადვილდება სხვისი ნააზრევის გაგება.

<u>თემის, ანუ ე.წ. ფონური, ცოდნა</u> უადვილებს მოსწავლეს წაკითხულის გაგებას იმდენად, რამდენადაც მან უკვე იცის ტექსტის თემასთან დაკავშირებული ფაქტები, ძირითადი ცნებები და ტერმინები. მოსწავლეს გონებაში აქვს ამ თემასთან დაკავშირებული ცოდნის ორგანიზებული კონსტრუქციები, რომელიც მას ეხმარება წაკითხულის გაგებაში და იცვლება წაკითხულისავე გავლენით. ამ სქემების საშუალებით უყალიბდება მკითხველს ჰიპოთეზებიცა და დასკვნებიც.

<u>ლინგვისტური ცოდნა</u> (სინტაქსური კავშირები, სასვენი ნიშნების ხმარების წესები და სხვ.) გავლენას ახდენს ტექსტის გაგებაზე. თუ მოსწავლე ჩამოყალიბდა წარმატებულ მკითხველად, იგი იმდენად ითვისებს ენობრივ სისტემას, რომ ავტომატურად იყენებს გრამატიკულ ფორმებს წაკითხულის გასაგებად.

<u>ტექსტის სტრუქტურის ცოდნაც</u> ხელს უწყობს გაგებასა და დამახსოვრებას. ამ ცოდნის წყალობით მოსწავლეს შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება და მათთვის კითხვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა.

<u>მეტაკოგნიტური ცოდნა</u> მოსწავლეს აძლევს იმის გაცნობიერების საშუალებას, თუ როგორ მიმდინარეობს წაკითხულის გაგების პროცესი. მისი წყალობით იგი თვალს ადევნებს საკუთარი ცოდნის შეძენის პროცესს. კარგი მკითხველები იყენებენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას და გონებაში ერთმანეთს ადარებენ მათი გამოყენების ეფექტიანობას. ისინი იაზრებენ, როდის მოხდა წაკითხულის წარმოსახვა, როდის დასჭირდათ ხელახლა წაკითხვა და ა.შ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ყველა მოსწავლე ერთმანეთისგან განსხვავდება ცოდნით, გამოცდილებითა და მზაობით. ამას ემატება პიროვნული თვისებები, სწავლის სტილი ინტელექტუალური უნარები, ინტერესები და მოთხოვნილებები. კითხვის სწავლების პროცესი სახალისო, ნაყოფიერი და წარმატებული იქნება, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს თითოეულს.

გაგება, განსხვავებით აღქმისაგან, აზროვნების განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ გაიაზრა ტექსტში წამოჭრილი ძირითადი იდეები. შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ტექსტის იდეისა და მასში გადმოცემული ინფორმაციის გამოყენება.

კითხვა რომ სასარგებლო იყოს, მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის გაგება. ეს კი მაშინ მოხერხდება, თუ მოსწავლე დააკავშირებს იმას, რასაც კითხულობს იმასთან, რაც იცის. მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, დაეხმაროს მოსწავლეს ამ კავშირის დამყარებაში, გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაში, ასწავლოს, როგორ განსაზღვროს კითხვის მიზანი, როგორ მიიღოს კითხვით სიამოვნება, როგორ დაამყაროს კონტაქტი ტექსტთან და როგორ მივიდეს მეხსიერებით ტექსტის უბრალო აღდგენიდან მის კომპლექსურ გაგებამდე.

კითხვის პროცესში აუცილებელია სამი უმთავრესი ელემენტის არსებობა. ეს არის დრო, არჩევის შესაძლებლობა და წაკითხულის შესახებ აზრის გამოთქმა.

სკოლებში, გაკვეთილზე, მოსწავლეებს მეტი <u>დრო</u> უნდა გამოვუყოთ როგორც ჩუმი, ისე ხმამაღლა კითხვისათვის. იმის დადგენა, თუ კონკრეტულ დროში, რა მოცულობის ტექსტის წაკითხვას ახერხებს მოსწავლე და რამდენად იგებს წაკითხულს, გვეხმარება მოსწავლის შესაძლებლობებისა და არსებული დონის დადგენაში. ხმამაღლა კითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ გაგების ხარისხზე.

როცა მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ <u>აირჩიონ წასაკითხი მასალა,</u> მათ უჩნდებათ ე.წ. „საკუთრების გრძნობა“ ტექსტის მიმართ. ეს გრძნობა პირველი ნაბიჯია კარგ მკითხველად ჩამოყალიბების გზაზე. სწორედ „საკუთრების გრძნობა“ აძლევს მათ საშუალებას, განსაზღვრონ კითხვის მიზანი, დაიკმაყოფილონ ინტერესი, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომ უარი უნდა ითქვას

იმ პრაქტიკაზე, როცა მხოლოდ მასწავლებელი ურჩევს წასაკითხ მასალას მოსწავლეებს, უსაზღვრავს ვადას, რა დროში წაიკითხონ და უყალიბებს მიზანს. ასეთი შეზღუდვა და ძალდატანება უკარგავს მათ კითხვის ხალისს, მოტივაციას, უყალიბებს არაობიექტურ თვითშეფასებას.

ხშირად კითხვა არ აღიქმება სოციალურ აქტად. მაშინაც კი, როცა მოსწავლეები ხმამაღლა, რიგრიგობით კითხულობენ მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტს, ამ პროცესს ვერ ვუწოდებთ სოციალურს. კითხვა, უპირველეს ყოვლისა, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის, რომელიც უნდა გაფართოვდეს სხვა მკითხველების ჩართვით.

ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებს წაკითხულის შესახებ.

ტექსტი – კითხვის რესურსი

სხვადასხვა სახისა და ჟანრის ტექსტები ის საშუალებაა, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ ენას და მის გამოყენებას. ტექსტი შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დაჯგუფდეს: შემოქმედებით, შემეცნებით და პრაქტიკული ხასიათის ტექსტებად.

სხვადასხვა სახის ტექსტები ენის შესწავლასთან ერთად ემსახურება ურთიერთობების, ადამიანური ხასიათებისა და ცხოვრებისეული საკითხების კვლევას. განსაკუთრებით ეს ითქმის მხატვრულ ტექსტებზე.

მოსწავლეთა კითხვის დონის დადგენა

შეიძლება ერთი და იგივე ტექსტი ერთი მოსწავლისათვის რთული იყოს, მეორისათვის – მარტივი. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად წარმატებულია მკითხველი.

კითხვა გულისხმობს მოსწავლეს, ტექსტსა და სამყაროს შორის კავშირს. პედაგოგი კითხვის სწავლების ისეთ სტრატეგიებს უნდა იყენებდეს, რომლებიც მოსწავლეს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის გამოყენებაში დაეხმარება. ამისათვის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მართოს კითხვის პროცესი. ეს კი უნდა ხდებოდეს როგორც კლასში, ისე კლასის გარეთ. მასწავლებელი გზამკვლევია კითხვის უსასრულო და საინტერესო სამყაროში.

კითხვის პროცესი ორგვარია: ხელმძღვანელობითი კითხვა და დამოუკიდებელი კითხვა. ხელმძღვანელობითი კითხვის დროს მასწავლებლის საქმიანობები ხელს უწყობს პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარებას. დამოუკიდებელი კითხვისას მოსწავლეები იყენებენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ ხელმძღვანელობითი კითხვისას შეიძინეს.

ხელმძღვანელობითი კითხვა სამი ეტაპისაგან შედგება: კითხვამდე ეტაპი, უშუალოდ კითხვის ეტაპი და კითხვის შემდგომი ეტაპი.

კითხვამდე ეტაპზე გამოყენებული სტრატეგიები მოსწავლეს ეხმარება იმ ცოდნის შეხსენებაში, რომელიც მას მოცემულ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით უკვე აქვს.

კითხვამდე ეტაპის მიზანია:

- მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, მოტივაციის აღძრა;
- მოსწავლეთა ლინგვისტური ცოდნის შეფასება და აქტივიზაცია;
- კითხვის მიზნის განსაზღვრა.

კითხვის მიზანი კი შეიძლება იყოს: შეკითხვებზე პასუხის გაცემა; იდეის კვლევა; ინფორმაციის მოპოვება/მიღება; მოსაზრების არგუმენტირება; სიამოვნების მიღება; შეფასება და სხვ.

კითხვის პროცესი არის ეტაპი ახალი ინფორმაციის აგებისა და მის უკეთ ათვისებას უწყობს ხელს. მოსწავლე საკუთარ შეკითხვებზე პოულობს პასუხს და ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს. ამ ეტაპზე ისეთი სტრატეგიები გამოიყენება, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე თავად ადევნებს თვალს და აფასებს კიდეც კითხვის პროცესს.

უშუალოდ კითხვის ეტაპის მიზნებია:

- ტექსტის შინაარსისა და იდეის გაგება;
- სხვადასხვა ტიპის, სახისა და ჟანრის ტექსტების სტრუქტურის გააზრება;
- ენის ეფექტიანი გამოყენება;
- ავტორისეული იდეებით აღძრული რეაქციების გამოხატვისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

კითხვის შემდეგ უკვე წაკითხული მასალის გააზრების ეტაპია. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებებს წაკითხული ტექსტის შესახებ, დაამყარებენ კავშირს ადრინდელ ცოდნას, პირად გამოცდილებასა და ახალ წაკითხულს შორის.

კითხვის შემდგომი ეტაპის მიზნებია:

- ავტორისეულ იდეებზე ფიქრისა და მსჯელობის უნარის განვითარება;
- ავტორის მხატვრული ოსტატობის შეგრძნებისა და შეფასების უნარის განვითარება;

- ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის კავშირის დანახვის ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ტექსტის ანალიზის, სინთეზის პროცესში;
- ტექსტის ორგანიზაციის თავისებურებათა გააზრებისათვის ხელის შეწყობა;
- წინარე ცოდნის დაკავშირება და შედარება ახალ იდეებსა და ინფორმაციასთან.

სამოდელო გაკვეთილი ქართულში.

გაკვეთილის თემა: „თამარ მეფე“ (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით). **გაკვეთილის მიზანი**: შეეძლოთ მოსწავლეებს თამარ მეფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შეჯამება.

მისალმების შემდეგ გამოვიკითხე განვლილი მასალა კითხვების საშუალებით და შემდეგ გადავედი ახალ მასალაზე.

გაკვეთილის თემა: „თამარ მეფე“ (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით).

ასოციაციური რუკის საშუალებით გავიგე, თუ რა იცოდნენ თამარ მეფის შესახებ, შემდეგ დამატებითი ინფორმაცია მივაწოდე თამარ მეფის შესახებ. მოსწავლეებმა ტექსტიდან ამოიკითხეს ის ადგილები, რომელმაც ყველაზე მეტად დააინტერესათ, დაასაბუთეს თავიანთი აზრი. ყურადღება გავამახვილებინე ძნელად დასაწერ და წარმოსათქმელ სიტყვებზე მაგალითად: დამპყრობლებს, ბრძანებელი, შეეგებნენ, გაჩაღდა და სხვ.

მოსწავლეებმა უპასუხეს ჩემ მიერ დასმულ კითხვებს, შემდეგ გადმოსცეს ტექსტის შინაარსი.

გამოვიყენე შემდეგი აქტივობა: ჩუმი კითხვა, მოსწავლეებს ტექსტი დავაყოფინე ნაწილებად და თითოეულ ნაწილი დაასათაურეს. მოსწავლეებმა წინადადებები დაალაგეს თანმიმდევრობით და მიიღეს ტექსტი.

საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენე შემდეგი აქტივობა: „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“. მოსწავლეებს შევავსებინე ფორმატზე დახაზული სქემა და იმუშავეს ჯგუფებში.

გაკვეთილის ბოლოს მივეცი დავალება: უნდა მოენიშნათ ტექსტიდან ის ადგილები, რომელმაც ყველაზე მეტად დააინტერესათ. წერითი სამუშაო: ტექსტის მიხედვით დასაწერად „აჯანყების დაშოშმინება“.

ლიტერატურა:

1. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2006.
2. სოსელია მ., ლიტერატურის სწავლებისას მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობების განვითარება, თბ., 2002.
3. შესავალი კრიტიკულ აზროვნებაში, თბ. 2006.
4. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
5. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
6. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.

ბულინგი ბავშვთა ასაკში და მისი გადაჭრის გზები

მარიამ კიკნაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

საქართველოში, ზოგადად მსოფლიოში, უამრავი ბავშვის უფლებებია დარღვეული. ბევრი მათგანი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში, იწყებს დანაშაულებრივ ქმედებებს, ეწევა ძალზე მძიმე შრომას, ხდება ბულინგის მსხვერპლი და სხვ. ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, დააკმაყოფილონ ბავშვთა საჭიროებები მის განსაკუთრებულ დაცვასთან დაკავშირებით.

2012-2013 წლებში ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში'' მიერ გამოიცა მასწავლებლისათვის დამხმარე წიგნები სათაურით „გავიგოთ მეტი ბავშვთა უფლებებზე'', სადაც აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემები, ფილმები და აქტივობები. ჩემში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფილმების ჩვენებით მიღწეულმა შედეგებმა, სადაც გამოკვეთილად ჩანს ბავშვთა უფლებების დარღვევა, კონფლიქტის არაძალადობრივი მეთოდებით მართვა, სამოქალაქო ჩართულობა, ტოლერანტობა და გარემოს დაცვა ოჯახური ძალადობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ა.შ. მიზანშეწონილად მიმაჩნია მსგავსი ფილმების ჩვენება დაინერგოს ჩვენს სკოლებშიც, ოღონდ ფილმი უნდა იყოს ნაჩვენები არა ფილმისათვის, არამედ ფილმი - როგორც სასწავლო რესურსი, რისთვისაც აუცილებელია:

ა) ფილმის წინასწარ გაცნობა, რაც დაგვეხმარება გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და შესაბამისი აქტივობის შერჩევაში;

ბ) ფილმში წარმოდგენილი თემების შესახებ საბაზო ინფორმაციის გაცნობა;

გ) წინასწარ ტექნიკური მხარის მომზადება და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;

დ) მოსწავლეთა ჩაბმა დისკუსიაში;

ე) გაკვეთილზე ფილმის მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაწილის (4-5 წთ. ჩვენება);

ვ) დროის სწორი განაწილება დისკუსიისა და აქტივობისათვის და სხვ.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით სასურველია მოსწავლეებს ვაჩვენოთ ფილმი ბულინგთან დაკავშირებით, ვიმსჯელოთ მის განმარტებასა და სახეებზე, რომ იგი ნიშნავს:

შეურაცხყოფის მიყენებას, გარიყვას, შეშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას, იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს სხვა ადამიანში შიში და მორჩილება. ბულინგი ურღვევს ადამიანს ღირსების შეგრძნებას, უქმნის მტრულ, დამამცირებელ და აგრესიულ გარემოს. ბულინგი არის აგრესიული, ნეგატიური ქცევა, რომელიც რეგულარული, მიზანმიმართული და განზრახულია. ეს ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობაა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში. არსებობს ბულინგის რამდენიმე სახეობა: ფიზიკური, სიტყვიერი, კიბერ ბულინგი და არაპირდაპირი ბულინგი.

<u>ფიზიკური ბულინგი</u> გულისხმობს ფიზიკურ თავდასხმას ან შეურაცხყოფას, რაიმე ქონების განადგურებას ან მოპარვას.

<u>სიტყვიერი ბულინგი</u> გულისხმობს სიტყვიერ შეურაცხყოფას რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან, გენდერთან, უმცირესობის სტატუსთან, რასასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან და ა.შ.

<u>არაპირდაპირი ბულინგი</u> არის ყველაზე გავრცელებული ბულინგის სახე, ამ დროს შეიძლება ადამიანმა ვერც გააანალიზოს და ისე მოახდინოს ბულინგი. არაპირდაპირი ბულინგი მოიცავს ინფორმაციის ჭორის გავრცელებას ინდივიდის ზურგს უკან. ბულინგში ჩართული მოძალადე მსხვერპლია და დამკვირვებელი. ამ სისტემის ყოველ მონაწილეს აქვს საკუთარი შთაგონება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ბულინგის აღმოცენებაში პირობითად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი: 1. გაძევება, როდესაც ჯგუფში ხდება რაიმე ნიშნით ადამიანის გამორჩევა და მისი დაცინვა, აბუჩად აგდება და ა.შ.; 2. ფიზიკური აგრესია, ამ ეტაპზე მსხვერპლის მიმართ აშკარად ხორციელდება ფიზიკური აგრესია; 3. ბირთვის შექმნა, რაც გულისხმობს მოძალადეთა ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც სისტემატურად ახორციელებს მსხვერპლთა მიმართ ბულინგს. მესამე ეტაპი გარდამტეხია. ყალიბდება მოძალადეთა ერთგვარი ბირთვი, რომელიც უბიძგებს ჯგუფს დააკანონოს თავისი წესები. 4 ეტაპზე ხდება წესების მიღება უმრავლესობის მიერ; 5 ეტაპზე ძალადობა და ბულინგი ჯგუფის ნორმა ხდება. ჯგუფი ორ ნაწილად იყოფა, ერთ ჯგუფს აქვს ყველაფრის უფლება, მეორეს კი არაფრის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ბულინგის მსხვერპლი, ისე მისი ინიციატორი. ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ ბანაკში აღმოჩნდება კონკრეტული ბავშვი. მიუხედავად ამისა ფსიქოლოგები გამოყოფენ მსხვერპლისა და აგრესორის ხასიათის ზოგიერთ ტიპიურ თვისებასა და ქცევის სტილს.

<u>ბავშვი მსხვერპლი</u> ცდილობს იყოს თანატოლებთან შედარებით უფრო შეუმჩნეველი, პატარა და სუსტი, საფრთხის გაჩენის შემთხვევაში ის მაშინვე ფრთხება, ტირის საცოდავად და უბედურად გამოიყურება. ბავშვი მსხვერპლი უმეტეს დროს კლასში ატარებს, მათ შორის შესვენებებსაც, გაურბის ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვებს შეიძლება გაუჩნდეთ სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი. ბავშვი მსხვერპლი შეიძლება იყოს სხვებისაგან მკვეთრად გამორჩეული თვისებების მქონე, მაგალითად სხვებზე ბევრად დაბალი ან მაღალი, მსუქანი ან გამხდარი, ღარიბი ან მდიდარი, წყნარი, ჭკვიანი.

<u>ბავშვი აგრესორი</u> მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებელს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. პიროვნებათა შორის უთიერთობებში

თამაშები აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ ამასთან პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ რისხვას, ეს მახასიათებლები, ერთი მხრივ, ბულინგის შედეგებია, ხოლო, მეორე მხრივ, ბულინგის საბაბი ხდება. რეალობა აჩვენებს რომ ძალადობის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. მოსწავლეების ძალადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია პედაგოგების ერთგვარი სისუსტეც აღმოფხვრან არსებული პრობლემა. ამ ფაქტორის არსებობას განაპირობებს სკოლის დამოკიდებულება, პრობლემების რეალურად არ აღქმა, ხშირად კი სკოლაში საერთოდ უყურადღებოდ რჩება ბავშვთა უფლებები. საჭიროა დადანაშაულების გარეშე გასაუბრება, გარკვევა რა არის მისი აგრესიული ქცევის მიზეზი და სწავლება კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზებისაკენ, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიის დახმარება. ბულინგი არა მხოლოდ მოძალადე მსხვერპლის პრობლემაა, არამედ მთელი ჯგუფის. ძალადობა გაგრძელდება მაშინაც კი, თუ კონკრეტული მსხვერპლი გაეცლება ძალადობრივ გარემოს. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ბულინგის მსხვერპლი დაუყოვნებლივ გაერიდოს პათოლოგიურ სიტუაციას. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინტენსიური და სისტემატური მუშაობა როგორც მთელ ჯგუფთან, ასევე მსხვერპლთან, რადგან ახალ გარემოში მაღალია მის მიმართ ბულინგის განმეორებითი გამოვლენის რისკები.

ძალადობა თინეიჯერებში დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. მისი გამომწვევი მიზეზები ბევრია: არასწორი აღზრდა, რაშიც ოჯახში მასზე ძალადობა ან ოჯახის მიერ თანატოლებთან არასწორი ურთიერთობის სწავლაა, ფილმები ომებზე, ბრძოლებზე, მკვლელობასა და ძალადობაზეა, ასევე კომპიუტერული თამაშები ძალადობაზე. თვითგამოხატულობის საშუალების სიმცირე, მძიმე სოციალური ეკონომიკური პრობლემები და სხვ.

თინეიჯერებში ძალადობა ხდება როგორც ერთი ბავშვის მხრიდან მეორეზე, ერთი ჯგუფის მიერ მეორეზე, ასევე ერთი ჯგუფის მიერ ერთ ბავშვზე, ძალადობას გამოხატავენ როგორც სიტყვით, ხელით, ასევე იყენებენ ბასრ საგნებს, რის შედეგადაც ხშირია მკვლელობები ქუჩებსა და სკოლის ეზოებში, რაც მეტად საყურადღებოა, რადგან სკოლა არის დაწესებულება, სადაც ხდება ბავშვის სწორი აღზრდა-განვითარება, რაზეც პასუხისმგებელია პედკოლექტივი და მანდატური.

სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აწესრიგებს ურთიერთობას მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

არსებობს უამრავი შემთხვევა და ფაქტი, როდესაც მასწავლებელი არღვევს მოსწავლის უფლებებს. ხდებოდა მოსწავლის ფიზიკური ძალადობა: ხელით ცემა, რაიმე სასწავლო საგნის სროლა და ა.შ. ასევე მასწავლებელი ახდენდა სიტყვიერ ძალადობას მოსწავლეებზე როგორც პირად, ასევე ოჯახის შეურაცხყოფას, რაც ყოვლად მიუღებელი და ამაზრზენია მასწავლებლის მხრიდან. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს როგორც საგანს, ასევე ზნე-ჩვეულებებს, ზრდილობას, ჰუმანურობას და ყოველივეს, რაც სრულყოფილი, განათლებული მოსწავლის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხოლო ბავშვზე ძალადობით ყალიბდება არასრულფასოვანი ბავშვი.

არსებობს უამრავი კადრი მასწავლებლის მიერ ბავშვის უმოწყალო ცემაზე, რის საფუძველზეც განათლების სამინისტრომ მოახდინა რეაგირება და შეიტანეს კანონში ცვლილებები, რომლის საფუძველზეც იკრძალება მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა, რაც გაგებული უნდა იქნეს, რომ არ შეიძლება ბავშვის დასჯა ფიზიკურად ან სიტყვიერად, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველივე არასწორად იქნება გაგებული და თვითონ მასწავლებლებმა მისცეს არასწორი ინტერპრეტაცია ზემოთ აღნიშნულ კანონს, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ამით მათი უფლებები ირღვეოდა, რადგან ვერ წარმოედგინათ ბავშვის დასჯის გარეშე მათი გაკვეთილზე გაჩერება და ბავშვის უფლებების დარღვევის გარეშე გაკვეთილზე ბავშვისთვის ცოდნის გადაცემა. ამას აღშფოთებული მასწავლებლები ამატებდნენ იმას, რომ „თურმე ვალდებულები ვართ გავაგებინოთ ბავშვს გაკვეთილი თავდაყირა დადგომაც რომ მოგვიწიოს და თუ ბავშვს სურვილი ექნება, შეუძლია წამოწვეს გაკვეთილზეო". ეს ნათქვამი კი ბავშვებმა არასწორად გაიგეს და მოსწავლისა და მასწავლებელს შორის დაირღვა ურთიერთობის ზღვარი. ეს გამოიხატა მასწავლებლის უპატივცემულობაში და ბავშვებს შორის გაზრდილ ძალადობიში. ამის შედეგად შეუძლებელი გახდა ბავშვების კონტროლი და სწორედ ამიტომ საჭირო გახდა მანდატურის დაშვება, რათა გაეკონტროლებინათ სიტუაცია სკოლებში.

სკოლებში მანდატურების შეყვანასაც მოჰყვა გარკვეული უკმაყოფილება, ვინაიდან თვლიდნენ, რომ „ზედამხედველი" გარკვეულწილად არღვევდა უფლებებს.

ბავშვთა და მოზარდთა დანაშაულები ყველა ბავშვსა და მოზარდს ეხება. მოზარდის ანტიჰუმანურობა და უნდობლობა ეთიკური, ზნეობრივი კრიტერიუმების არსებობა, უპირველეს

ყოვლისა, სოციალური სიმწიფის პრობლემაა. ყოველივე ამის მოგვარება „მთლიანად მოზრდილებზეა" დამოკიდებული და ეს არა მარტო პოლიციელების და სოც. მუშაკების, არამედ მთლიანად საზოგადოების ამოცანაა. მოზრდილებმა უნდა ისწავლონ ბავშვის აღიარება, მათი აზრის მოსმენა, მეტი კონტაქტი და არა კონტროლის გაძლიერება.

პრობლემის დასმისთანავე ჩნდება კითხვა: რით ვებრძოლოთ ამ პრობლემას? და დავაც სწორედ აქ იწყება.

ზოგიერთი ადამიანის აზრით, ძალადობასა და აგრესიას ვერ გავუმკლავდებით მოფერებით, თბილი და ლოიალური დამოკიდებულებით. ისინი თვლიან, რომ ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიების გატარებით შეიძლება და მოზარდი, რომელიც გააანალიზებს, რომ მისი ქმედება დასჯადია, მაშინ თვითონვე დათრგუნავს მის ჩვევას, აგრესიას საკუთარ თავში. თუმცა ყოველივე ეს რამდენად სწორი მიდგომაა, საკითხავია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბავშვი ისევ მსხვერპლი ხდება და ამ აზრის მოწინააღმდეგეებიც თვლიან, რომ მკაცრი მოპყრობა, გარდა ბავშვზე ბულინგისა, მასში კიდევ უფრო ამძაფრებს წინააღმდეგობის გაწევის სურვილს.

იმისათვის, რომ ბავშვი არ გახდეს ჩვენი უნებლიე ბულინგის მსხვერპლი აუცილებელია გამომწვევი მიზეზი ვეძიოთ და ბავშვის დამოკიდებულებიდან გამომდინარე გადავჭრათ ეს პრობლემა.

ევროპაში ყოველი 40 მოზარდი იღუპება ძალადობით, ხოლო წელიწადში 15 000. იმისათვის, რომ აღიკვეთოს ეს ფაქტი, აუცილებელია თითოეულმა ვიზრუნოთ ბავშვთა უფლებების დაცვაზე, რათა გადავარჩინოთ მათი სიცოცხლე და შევუქმნათ უზრუნველი, მშვიდი ცხოვრება.

ლიტერატურა:

1. სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით, 2013.
2. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, 2002.
3. http://bulingi.wordpress.com/2012/02/05/ძალადობის-ფორმები/

განმავითარებელი სწავლების ისტორიული ანალიზი მარია მონტესორის თეორიის მიხედვით

მარიამ მესხიძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე,** პროფესორი

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, თვითგანვითარების ტექნოლოგიის ავტორია გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი, ჰუმანისტი, პედაგოგი მარია მონტესორი. მან ეს მეთოდი მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნა, როგორც წვრთნისა და დოგმატიზმის ალტერნატივა. მონტესორიმ ბავშვი აღიქვა, როგორც არსება, რომელსაც აქვს დამოუკიდებლად განვითარების უნარი და სკოლას დაუსახა ამოცანად, მისცეს „საკვები" ბავშვის ბუნებრივი თვითგანვითარების პროცესს, შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ამ განვითარებას. ბავშვის თვითგანვითარების ტექნოლოგიაში იხსნება იმ პროცესების „საიდუმლო", რომლებიც მიმდინარეობს ბავშვის ფსიქიკაში. მარია მონტესორიმ შექმნა სისტემა, რომლის ბადალი მსოფლიო გამოცდილებაში არ ყოფილა და არც არის. მონტესორის სკოლები ათასობითაა გახსნილი მსოფლიოში: ევროპაში, ამერიკაში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ა.შ. მონტესორის სკოლების საიდუმლოს წარმოადგენს ის, რომ ეს სკოლები საოცრად ტექნოლოგიურია, მთლიანია და თავის თავში მოიცავს არა მარტო ინტელექტუალური უნარების განვითარებას, არამედ „სულის მომავალ საჭურველსაც". მარია მონტესორიმ მიაგნო თითოეულ ბავშვთან მუშაობის უნიკალურ ხერხებს. სკოლებში ყურადღებას უპირველესად „სენზიციურობას" აქცევენ. სენზიციურობა არის ამა თუ იმ გარეგანი მოვლენის უმაღლესი ამთვისებლობის უნარი.

თვითგანვითარების ტექნოლოგიის საკლასიფიკაციო პარამეტრებია: შინაარსის ხასიათი, ფილოსოფიური საფუძველი, განვითარების ძირითადი ფაქტორი, შეთვისების კონცეფცია, შემეცნებითი

საქმიანობის მართვის ტიპი, ორგანიზაციული ფორმები, ბავშვისადმი მიდგომის ხერხები, მოდერნიზაციის მიმართულება, მოსწავლეთა კატეგორიებად დაყოფა.

მონტესორის სკოლებში ბავშვებს ეძლევათ სრული თავისუფლება. ამ პირობებში ბავშვი სრულიად ხსნის თავის პიროვნებას, ავლენს ინდივიდუალურ თვისებებს, შეუძლია შეამოწმოს სხვა ადამიანები როგორ რეაგირებენ მის მოქმედებებსა და თვისებებზე. თავისუფლება ეხმარება ბავშვს გამოამჟღავნოს თავისი ნაირგვარობა, რითაც ასე უხვად დააჯილდოვა ბუნებამ. თავისუფლება უყალიბებს ბავშვს დამჯერობის უნარს, რომელსაც მოაქვს შრომისმოყვარეობა და სწრაფვა თვითსრულყოფისაკენ. მონტესორის თეორიის მიხედვით ეს ტენდენციები გენეტიკურადაა ჩადებული თითოეულ ადამიანში. ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, თუ ის სხვაზეა დამოკიდებული.

განმავითარებელი სწავლება გულისხმობს ინდივიდის ასაკობრივი ახალწარმონაქმნების ფუნქციონალური ორგანოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განმავითარებელი სწავლების მიზანია ყოველ მოსწავლეს, როგორც სწავლის სუბიექტს, შეექმნას პირობები განვითარებისათვის. ასეთ სუბიექტად ყოფნა ნიშნავს სურდეს სწავლა, უყვარდეს სწავლა და შეეძლოს სწავლა. განმავითარებელი სწავლების არსია ის, რომ ბავშვის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს უახლოესი განვითარების ზონაში. სწავლა ავითარებს ერთ მთლიან პიროვნულ თვისებებს, ცოდნას, უნარებსა და ჩვევებს, გონებრივი მოქმედების ხერხებს, პიროვნების თვითმართვად მექანიზმებს, ემოციონალურ-ზნეობრივ და საქმიანობრივ-პრაქტიკულ სფეროებს. ბავშვი არის საქმიანობისა და თავისი განვითარების სრულფასოვანი სუბიექტი. განმავითარებელი სწავლების პრინციპია ის, რომ განვითარება გულისხმობს ბავშვის კულტურაში შეზრდის გზას და ემყარება მისი ბუნებრივი მომწიფების მიღწევებს.

განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგიის ძირითადი საკვანძო საკითხებია: გენურობა, ფსიქოგენურობა, ინდივიდუალურობა, სტადიურობა და არახაზოვნება. განმავითარებელი სწავლება ორიენტირებულია არა მზამზარეული ცოდნის შეთვისებაზე, არამედ სასწავლო მასალის შეთვისებაზე გამოკვლევის გზით, სადაც მოსწავლე ძიებითი საქმიანობის სუბიექტია. ამისათვის მოსწავლეს სჭირდება ოპონენტი. განმავითარებელი სწავლების პროცესში ხარისხობრივად იცვლება აზროვნების ტიპი კონკრეტულ-ხატოვნიდან კონკრეტულ-ლოგიკურისკენ, მისგან კი თეორიულისკენ. განმავითარებელი სწავლების სპეციფიკური შედეგი ყოველი მოსწავლის, როგორც სწავლების სუბიექტისა და პიროვნების, თავისუფალ განვითარებაში მდგომარეობს. თავისუფალი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც არ ექვემდებარება წინასწარ მოცემულ ნორმებს. განმავითარებელი სწავლება არ უარყოფს ტრადიციულ სწავლებას, არამედ ავსებს მას.

განმავითარებელი სწავლების მრავალი პროგრამა აინტერესებდა მრავალი თაობის პედაგოგს: კომენსკის, პესტალოცს, ჰერბარტს, დისტერვენგს. ასე მაგალითად კომენსკის დიდაქტიკურ მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციების დახასიათებას. კომენსკი აღნიშნავდა, რომ სწავლების პროცესში ცოდნის შეძენამ მოსწავლე უნდა გახადოს განათლებული, ანუ შეეძლოს ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში, შესძინოს აღზრდა, ანუ სწავლება ასრულებდეს აღზრდის ფუნქციას, განავითაროს მოსწავლისათვის თანდაყოლილი შემეცნებითი უნარები და შეგნებულად დასძლიოს სწავლების პროცესში თანდაყოლილი სიძნელეები.

კომენსკი ვრცლად მსჯელობს ისეთი სწავლების შესახებ, რომელიც უნდა იყოს განმავითარებელი და კონკრეტულად მიუთითებს განმავითარებელი ფუნქციის ორ მთავარ ასპექტზე: ფსიქოლოგიური ასპექტი, რაც ცოდნის შესაძენად მოსწავლის მომზადებას ისახავს მიზნად თანდაყოლილი ფსიქიკური უნარების განვითარებით, პედაგოგიური ასპექტი, რაც სწავლების პროცესისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების დაძლევას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება იოჰან ჰენრიხ პესტალოცს, მისი დიდაქტიკა განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკაა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწავლებისა და აღზრდის გზით, პირველ რიგში მოსწავლისათვის თანდაყოლილი ფსიქო-ფიზიკური და ინტელექტუალური უნარების განვითარებას, რის საფუძველზეც უნდა გახდეს შესაძლებელი ცოდნის შეძენა და აღზრდის მიღება. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „სწავლება ჯერ ერთი, ხელს უწყობს მოწაფეს თავისი გრძნობადი გამოცდილების საფუძველზე დააგროვოს ცოდნის მარაგი, ხოლო მეორე მხრივ, სწავლება ავითარებს მის გონებრივ უნარებს“.

ადოლფ დისტერვეგმა განმავითარებელი სწავლების თეორიის დამუშავებას დიდი დრო და ენერგია მოახმარა. მისი აზრით, პირველ რიგში უნდა გადაწყდეს მასწავლებლის ფსიქოლოგიური განათლებისა და მოსწავლის ფსიქიკური უნარების შესწავლის გაუმჯობესების საკითხები. დისტერვეგი მოითხოვდა, რომ სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის თანდაყოლილ ფსიქიკურ განვითარებას. სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ამოსავალ პრინციპად დისტერვეგი თვლის კარგად სწავლებას. კარგად სწავლების პრინციპი დისტერვეგის დიდაქტიკაში

გაგებულია როგორც სწავლების პროცესისათვის დამახასიათებელი სიძნელეების დაძლევა. სწავლების განმავითარებელი ფუნქციის მთავარი მიზანი არის ის, რომ მოსწავლემ ისწავლოს სწავლა.

მონტესორის პედაგოგიურ თეორიაში მთავარი მომენტია ბავშვის სრული თავისუფლება. აქ აუცილებლად მიმაჩნია პარალელი გავავლო ი. ჰერბარტის მოსწავლეთა შინაგანი თავისუფლების იდეასთან. ჰერბარტი აღზრდის საკითხს ინტელექტუალიზმის თვალთახედვით უდგება. კეთილისმყოფელი ადამიანი ყოველთვის ხელმძღვანელობს მაღალზნეობრივი წარმოდგენებითა და იდეებით. ჰერბარტის თვალთახედვით ეთიკა დაყვანილია განსაზღვრულ ზნეობრივ იდეებამდე.

შინაგანი თავისუფლების იდეა - როცა ნებისყოფა შეთანხმებულია მთლიანად გონებასთან და მათ შორის არ არის წინააღმდეგობა, შინაგანი ბრძოლა, სულიერი უთანხმოება, მაშინაც კი, როდესაც შინაგანი თავისუფლების იდეა უპირისპირდება სხვა ზნეობრივ იდეებს. ჩვენ ვაფასებთ ხასიათის ასეთ მთლიანობას. თუ რწმენასა და ადამიანის ქცევას შორის თანხმობა არ არის, იგი არ შეიძლება ზნეობრივად თავისუფალ ადამიანად ჩაითვალოს - ის მონაა.

სრულყოფის იდეა გულისხმობს ძლიერებას და ენერგიულ ნებისყოფას, მის მრავალმხრივობას, ნებისყოფის ორგანიზებულობას, ინტერესთა თანხვდომას.

კეთილგანწყობის იდეა - ჰერბარტს მხედველობაში აქვს ადამიანის ისეთი ქცევა ,როცა იგი ისწრაფვის უანგაროდ და თავგანწირვით, რათა სიკეთე მოუტანოს სხვა ადამიანებს, რომელნიც ამის საჭიროებას განიცდიან. ასეთ დროს მყარდება ჰარმონიულობა ადამიანებს შორის.

უფლების იდეა გამოიყენება ზნეობრივ მსჯელობაში, ორი ან რამდენიმე ნების კონფლიქტის შემთხვევაში. ეს კონფლიქტი უნდა გადაწყდეს ნებაყოფლობითი შეთანხმებით შემუშავებული უფლების საფუძველზე.

სამართლიანობის იდეა ემსახურება ნებისყოფის ჰარმონიულობას. ჰერბარტი ზრუნავს იმ პირთა დაჯილდოებაზე, რომელთაც სამსახური გაუწიეს საზოგადოებას ან ცალკეულ პირებს, ანდა მსჯელობენ იმ პირთა დასჯაზე, რომელნიც არღვევენ ჰარმონიულობას. ე.ი. სიკეთისათვის სიკეთე, ბოროტებისათვის ბოროტება. სამართლიანობა არ აღდგება მანამ სანამ სამართლიანი მსჯავრი არ იქნება გამოტანილი.

როგორც დავინახეთ, ადამიანის რთული ფსიქიკური საქმიანობის მრავალმხრივი პროცესი ჰერბარტს დაჰყავს წარმოდგენების მექანიკურ დაკავშირებამდე და შემდეგ გამოჰყავს აქედან აღზრდის თეორიაც. მისი აზრით, ბავშვისა და მოზარდის წარმოდგენებზე ზეგავლენით შეიძლება წარიმართოს მისი გრძნობებისა და ნებისყოფის ჩამოყალიბება. აქ ჰერბარტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორად წარმართულ სწავლებას აღმზრდელობითი ხასიათი აქვს.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მარია მონტესორის ისტორიული ანალიზი საფუძველს იღებს კომენსკის, ჰერბარტის, პესტალოცის, დისტერვეგის ნაშრომებიდან. კომენსკის დიდაქტიკური მოძღვრებიდან ხომ მნიშვნელოვანია სწავლების საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციები. მარია მონტესორი იზიარებდა კომენსკის მოსაზრებას, რომ სწავლება ასრულებს აღზრდის ფუნქციას. თეორიულად მიღებული ცოდნა უნდა გამოიყენოს ადამიანმა პრაქტიკაში, უნდა დაძლიოს სწავლების პროცესში არსებული სიძნელეები. სწავლების პროცესში დიდი როლი ენიჭება მასწავლებელს, მის სასწავლო მიზნებსა და მეთოდებს. სწავლების მიზანს ხომ პიროვნების განვითარება წარმოადგენს.

მარია მონტესორი ეთანხმება პესტალოცის თვალსაზრისს, რომ სწავლება აღზრდის გზით ხდება. სწავლების განვითარება ხომ დამოკიდებულია მასალის შინაარსსა და მოსწავლის მიერ მისი შეთვისების ხერხებზე. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრინციპით „მარტივიდან რთულისაკენ.“ დისტერვეგი სწავლის დროს ყურადღებას ამახვილებდა მოსწავლის თანდაყოლილ ფსიქიკურ განვითარებაზე, რადგან მოსწავლის ფსიქიკური განვითარების საფუძველში დევს თეორიული ცოდნის შეთვისების, მოქმედების ფორმირება ანალიზის, დაგეგმარებისა და რეფლექსიის გზით. სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა მოსწავლეს ერთნაირი გონებრივი შესაძლებლობები არ აქვს. ზოგი ადვილად იგებს ახალ მასალას, ზოგს კი დრო სჭირდება მის გასააზრებლად. სწავლებას თან ახლავს თვითგანვითარება, მაღალი ინტელექტი, განათლებული ადამიანი ხომ მაღალზნეობრივი იდეებით ხელმძღვანელობს.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილ ფილოსოფოსთა ნააზრევი გახდა საფუძველი იმისა, რომ მარია მონტესორიმ შექმნა განმავითარებელი სწავლების თეორია, რის საფუძველზეც შექმნა მსოფლიოში ათასობით სკოლა, სადაც დანერგა განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგიები. მან საფუძველი დაუდო განათლებული, თავისუფალი, მაღალზნეობრივი თვისების მქონე ადამიანების ჩამოყალიბებას. მისი აზრით ბავშვის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს ოჯახში, სკოლაში და იმ სოციუმში, სადაც ყოველ დღე უწევს ყოფნა.

ლიტერატურა;
1. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ., 2012.
2. ვასაძე ნ., პედაგოგიკის ისტორია, თბ., 2004.

აზროვნების განვითარება ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე

ნაირა მძინარაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** პროფესორი

აზროვნების სწავლება საკმაოდ ძველი იდეაა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ბერძენი ახალგაზრდები სწავლობდნენ მათემატიკას და ფილოსოფიას აზროვნების გავარჯიშების მიზნით. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების – კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების – სწავლებაზე. მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან (ინფორმაციის შენარჩუნება) ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორად აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი. სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და, შესაბამისად, მას უჭირს რაიმეს სწავლა. გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეს ეხმარება აზროვნების ამოქმედებაში. განათლების სპეციალისტი დ. პერკინსის (პერკინს, 1992) „თეორია ერთი“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და, შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რისი სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები. შინაგანი მოტივაციის გაძლიერებისას მნიშვნელოვანია ისეთი დავალებების მიცემა, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, სხვადასხვა მხრივ წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და მაქსიმალური ინტერესით ჩაერთოს სწავლის პროცესში. „სამყაროს ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის წარმოსახვაში. იგი ადვილად უკავშირებს ტექსტში ამოკითხულს სინამდვილეს, გადააქვს ის საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის კონტექსტში, ადარებს, პოულობს მსგავსება–განსხვავებას და ხვდება, რომ, მიუხედავად მსგავსებისა, თითოეული ინდივიდი უნიკალურია, ისევე, როგორც უნიკალურია ყოველი ერი. მას უჩნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული აზრის, კულტურის, შეხედულებების მიმართ და უადვილდება სხვისი ნააზრევის გაგება. მოსწავლე ბევრ კითხვაზე ამ ცოდნის წყალობით, ზოგჯერ კანონზომიერებებზე დაყრდნობით პასუხობს“. [1-132]

მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. მართლაც, ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი, მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებებს.

რა ნიშნავს ყოველივე ზემოთ თქმული ყოველდღიური საკლასო პრაქტიკისათვის? მოსწავლის აზროვნების აქტივაციისათვის მასწავლებელი გაკვეთილზე მთელ რიგ მიზანმიმართულ აქტივობას ახორციელებს. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს.

მასწავლებლის მიზანია, მოსწავლე თავად მიახვედროს, თუ როგორ აკეთებს იგი დასკვნას მოცემული იგავის დანიშნულების შესახებ. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „როგორ დაამტკიცებთ

ამ იგავის საწინააღმდეგოს? განსხვავდება თუ არა ეს იმისგან, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ლიტერატურაში ან სხვა სფეროში მოსაზრებების შემოწმების დროს? მოდით, დაწერეთ, თუ რა არის ამ იგავის მორალი და მოიყვანეთ მტკიცებულებები იგავიდან, თუ რატომ ფიქრობთ ასე". მოსწავლეები ცდილობენ ამ დავალების შესრულებას. ცხადია, ყველას ერთნაირი აზრი არა აქვს. ყველა მოსწავლეს მოჰყავს თავისი მაგალითი. მასწავლებელი სთხოვს მოყვანილი მაგალითის შესაბამის მტკიცებულებებს. შემდეგ მასწავლებელი სვამს ასეთ შეკითხვას: მოდით, ერთი წუთით დავფიქრდეთ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ ახლა? ჩვენ ვეძებთ მტკიცებულებებს ამ იგავში. როგორ ვაკეთებთ ამას? რას ვეძებთ? რა არის მტკიცებულება? მასწავლებლის და მოსწავლეების აზრთა ეს ურთიერთგაცვლა ხელს უწყობს დასაბუთების ხელოვნების გაგებასა და დაუფლებას. არსებობს უამრავი საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგია, რომლებიც ემსახურება ასეთ გაცნობიერებულ სწავლებას, ხელს უწყობს აზროვნებას საკუთარი აზროვნების შესახებ. ზოგიერთი ასეთი სტრატეგია მოიცავს მთელი რიგი შეკითხვების დასმას, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი მუშაობის გაცნობიერებაში, დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში. მაგალითად, ამოცანის შესრულებამდე მოსწავლემ შესაძლოა საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვები: რაც უკვე ვიცი, იქიდან რა შემიძლია გამოვიყენო ამ პრობლემის გადასაჭრელად? რა უნდა გავაკეთო პირველ რიგში? რა ამოცანები დგას ჩემ წინაშე და როგორ ვაპირებ მათ გადაჭრას? (დაგეგმვა);

ამოცანის გადაჭრის პროცესში მოსწავლემ შესაძლოა თავის თავს დაუსვას შემდეგი კითხვები: სწორ გზაზე ვდგავარ თუ არა? ვიყენებ თუ არა შესაბამის ინფორმაციას ან რესურსს? რა უნდა შევცვალო, თუ მიჭირს რაიმეს გაგება? (მონიტორინგი, წარმართვა); ბოლოს, ამოცანის დასრულების შემდეგ, იგი შეიძლება შეეკითხოს საკუთარ თავს, თუ რამდენად სწორად გადაჭრა ამოცანა, მიაღწია თუ არა დასახულ მიზნებს, სჭირდება თუ არა უკან დაბრუნება და რაიმეს გაუმჯობესება (შეფასება). მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას თავიანთი სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა იმაზე, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია. მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი აზროვნების პროცესების გაცნობიერებაში. ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა აზროვნება გახადოს უფრო ხილვადი. ეს მოსწავლეს დაეხმარება აზროვნების სწავლაში.

შეიძლება დავსვათ შეკითხვა: როგორ უნდა გავხადოთ აზროვნება უფრო ხილვადი?

არსებობს სხვადასხვა ხერხი, რომლებიც აზროვნებას უფრო ხილვადს ხდის. ერთ-ერთი მარტივი ხერხია მასწავლებლის მიერ სააზროვნო ცნებების გამოყენება. ქართულ ენის ლექსიკონი შეიცავს მთელ რიგ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება სააზროვნო ტერმინებად ჩაითვალოს. ეს სიტყვებია: ჰიპოთეზა, მიზეზი, მტკიცებულება, შესაძლებლობა, წარმოდგენა, პერსპექტივა და ა.შ. ამ სიტყვების ხშირი გამოყენება ყოველდღიურ მეტყველებაში ეხმარება მოსწავლეს, დაიჭიროს აზროვნების ის ნიუანსები, რომელსაც ამგვარი სიტყვები ატარებენ. გარდა ამისა, ამგვარი სიტყვების გამოყენება მასწავლებელს მოსწავლეების თვალში „მოაზროვნე ადამიანად" წარმოაჩენს. ფაქტობრივად, მასწავლებელი, რომელიც არ მოელის მოსწავლეებისგან მზა პასუხებს, გამოხატავს უშუალო გაკვირვებას და გარკვეულ დროს უთმობს პრობლემაზე, გადასაჭრელ ამოცანაზე ფიქრს (რა მოხდებოდა მაშინ, ეს რომ არ ყოფილიყო? სხვანაირად ეს როგორ შეიძლება გაკეთებულიყო?) ხელს უწყობს მოსწავლეების აზროვნების ამოქმედებას. ასეთი მასწავლებელი შინაგანად ახალისებს მოსწავლეებს, შეამჩნიონ პრობლემები და იფიქრონ მათი გადაჭრის გზებზე.

მეორე გზა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს, გახადოს აზროვნება უფრო ხილვადი, რაიმე ახალი მასალის შესწავლისას საკითხის დამუშავების ერთი და იმავე სქემის გამოყენებაა. ერთ-ერთი გავრცელებული სქემა არის ორეტაპიანი: პირველ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს მოვლენის ან საგნის აღწერასა და განსაზღვრას, ხოლო მეორე ეტაპზე კი ცდილობს მას დაასაბუთებინოს თავისი აზრი. ეს ორი ეტაპი მოსწავლეებისგან ინტერპრეტაციის გაკეთებას და მისი მხარდამჭერი არგუმენტების (მტკიცებულებების) მოძიებას მოითხოვს. ეს კი, ფაქტობრივად, გულისხმობს სააზროვნო ტერმინების გამოყენებას: ინტერპრეტაცია შეიძლება განვიხილოთ ჰიპოთეზად, ხოლო არგუმენტები – ამ ჰიპოთეზის მხარდამჭერ მტკიცებულებებად. ეს ეტაპები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ყველა ასაკის მოსწავლის მიმართ და სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს.

აზროვნების ამოქმედებას ხელს უწყობს აგრეთვე როლური თამაში, როდესაც მოსწავლეს ევალება, გარკვეული პოზიციიდან განიხილოს რაიმე საკითხი. მაგალითად, მოსწავლეები აფხაზეთის კონფლიქტს სხვადასხვა მოსაზრებიდან განიხილავენ, კერძოდ, აფხაზების, რუსების, ამერიკელების (დასავლეთის) და ქართველების პერსპექტივიდან. მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომელიმე მოსაზრების არჩევა და მასზე საუბარი მოცემული თვალთახედვიდან. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ამას ეთანხმებიან. სწავლის პროცესი სწავლის სწავლით რომ გაგრძელდეს, სასურველია, მასწავლებელმა გამართოს

შემაჯამებელი დისკუსია, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს იმაზე ფიქრს, თუ რა ისწავლეს მათ ამ სხვადასხვა თვალსაზრისის განხილვის შედეგად.

მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეულმა შეკითხვებმა შეიძლება მოსწავლეს თავის არიდების საშუალება აღარ მისცეს და ხელი შეუწყოს მისი აზროვნების აქტივაციას. სწორედ დამაზუსტებელი შეკითხვების გამოყენებით არის შესაძლებელი მოსწავლეებისათვის აზროვნების სწავლება.

სამოდელო გაკვეთილი

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სწავლება

საგანი – მშობლიური ლიტერატურა

კლასი: მე-5

გაკვეთილის თემა: სულხან-საბა ორბელიანის „უსამართლო შირვან შახი“

მიზანი: სულხან-საბა ორბელიანის არაკის შინაარსის გაცნობა, ზნეობრივი აღზრდა, დამოუკიდებელი მუშაობის, აზროვნების განვითარება

მეთოდები და სტრატეგიები – ვარაუდის სქემა

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

დრო:

მოსწავლეებს ვაძლევ საკვანძო სიტყვებს: მეფე, უსამართლობა, ენა, ვეზირი.

ვთხოვ შეთხზან ამბავი ამ ოთხი სიტყვის გამოყენებით, შემდეგ ვახდენთ პრეზენტაციას.

თხზულების პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობ, რომ წაიკითხონ თვითონ იგავი, სულხან-საბა ორბელიანის „უსამართლო შირვან შახი“.

ჩემი მითითებით მოსწავლეები იხაზავენ რვეულებში ვარაუდების სქემას და, ამავე დროს, ტექსტს სამ ნაწილად, სამ პაუზად ვყოფ.

რა მოხდება?	**რა მინიშნება გვაქვს?**	**სინამდვილეში რა მოხდა?**
(I პაუზის შემდეგ) (ან სათაურის შემდეგ)	(რატომ დაიწერა?)	(თითოეული პაუზის შემდეგ)

მოსწავლეებს ვაცნობ რა სათაურს „უსამართლო შირვან შახი“, ვთხოვ, მითხრან, რა ამბავი შეიძლება იმალებოდეს ამ სათაურის უკან, როგორ მეფეზე იქნება მოთხრობილი ამბავი. ვთხოვ აგრეთვე, დააფიქსირონ, რა არგუმენტები აქვთ ამისთვის. უნდა ჩაიწერონ თავიანთი აზრი და მერე უნდა მოხდეს პრეზენტაცია. მოსწავლეებს ვთხოვ, ზედმიწევნით, ზუსტად შეასრულონ ჩემი მითითებები, ამიტომ ისინი წაიკითხავენ ტექსტს პირველ პაუზამდე.

შემდეგ მოსწავლეები შეავსებენ გრაფას – რა მოხდა სინამდვილეში და, ამავე დროს, აფიქსირებენ, რა შეიძლება მოხდეს მათი აზრით შემდეგ და რა მინიშნებები აქვთ ამისთვის. ხდება კლასის მიერ შევსებული გრაფების წაკითხვა.

ვაგრძელებთ კითხვას მეორე პაუზამდე.

კვლავ ვავსებ გრაფას, რა მოხდა სინამდვილეში. შემდეგ – ვარაუდს – რა მოხდება შემდეგ და არგუმენტებს – რასაც წავიკითხავთ.

ვაგრძელებთ კითხვას მესამე პაუზამდე.

გრაფის შევსების შემდეგ მეოთხე ბოლო მონაკვეთს დავამუშავებთ.

ვსვამ კითხვას – რა შთაბეჭდილება მოახდინა წაკითხულმა, რას გვასწავლის ეს არაკი?

ვახასიათებთ შირვან შახს: – როგორი იყო შირვან შახი?

ლიტერატურა:

1. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2006.
2. სოსელია მ., ლიტერატურის სწავლებისას მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობების განვითარება, თბ., 2002.
3. შესავალი კრიტიკულ აზროვნებაში, თბ., 2006.
4. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
5. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
6. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.

მოსწავლეთა შინაგანი შესაძლებლობების გააქტიურება ცნობიერისა და ქვეცნობიერის ურთიერთკავშირის საფუძველზე

დალი ნაყიშაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე,** პროფესორი

სწავლების პროცესის ინტენსიფიკაციაში გულისხმობენ ტექნოლოგიური პროცესების სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნების რეზერვულ შესაძლებლობათა ამოქმედებას იმისათვის, რომ ამაღლდეს სასწავლო-შემეცნებითი პროცესის ეფექტურობა.

დ. უზნაძის მიხედვით, აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება. სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესაძლებლობად არსებობს. მისი აზრით, სწორედ სკოლამ უნდა გამოძერწოს ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის შესაძლებლობების ზრდას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დისციპლინის, როგორც ნებისყოფის განვითარების პირობის პრობლემას, რომელსაც იგი პიროვნების ჩამოყალიბებაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა. თუმცა, აქვე მიუთითებდა ამ პრიორიტეტის ორმხრივობაზე: ძლიერი ნებისყოფა შეიძლება გახდეს დამანგრეველი ძალა, მაგრამ შეიძლება გახდეს შემოქმედების საფუძველიც, თუკი დაკავშირებული იქნება ადამიანის ძირითად, მუდმივ ღირებულებებთან. ნებისყოფის განვითარება მოითხოვს მის მუდმივ გავარჯიშებას და სკოლა ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობა უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს. შესაბამისად ბავშვს თვითონ გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება და მისი შესაბამისი განწყობაც. ბავშვის განვითარება სწორედ ქცევის პროცესში ხდება. ქცევა კი არის ცოცხალი არსების, სუბიექტის გარემოსთან ურთიერთქმედების ფორმა. ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართვას აქტივობაში. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. მასწავლებლის ჩართვა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს. მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოსწავლეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოსწავლის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს. საკლასო ოთახში შექმნა ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. არაა საჭირო აქცენტის გაკეთება მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

თუ სწავლების პროცესში გავზომავთ, მაგალითად, კითხვის სიჩქარეს, ხოლო პარალელურად ტესტით შევაფასებთ მოსწავლის გუნება-განწყობილებასა და აქტიურობას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მდგომარეობა პრაქტიკულად განსაზღვრავს სასწავლო ინფორმაციის შეთვისებას. აქედან გამომდინარეობს, რომ სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა შეგვეძლოს მოსწავლის მდგომარეობის მართვა. მაშინ მივიღებთ ინფორმაციის შეთვისების მართვასაც. ამ მიმართულებითაც მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა. ასეთი მართვა აუცილებელია იმისათვის, რომ ინტენსიური სწავლებისას თავიდან ავიცილოთ სტრესული რეაქციები, გამოწვეული გადატვირთვის შედეგად. თუ ჩვეულებრივ სასწავლო ტესტებს მოსწავლეები ითვისებენ ჩვეულებრივი გაცნობიერებული და ლოგიკური აღქმით და შეთვისების ამ სახეს ახასიათებს სხვადასხვა ბარიერები, მაშინ გაუცნობიერებელი აღქმისას ასეთი ბარიერები არ არსებობს. თუ ინფორმაციას წარმოვადგენთ გაცნობიერებადი აღქმის

ღრუბელსა და ფიზიოლოგიურ ღრუბელს შორის ე.წ. სუბსენსორულ ზონაში, მაშინ ეს ინფორმაცია შეიძლება შეთვისებულ იქნას ზოგიერთ პირობებში.

სუბსენსორულ ზონაში ინფორმაციის წარმოდგენას აქვს კიდევ ერთი უპირატესობა: ასეთი არხისათვის არ არსებობს ინფორმაციული ბარიერები, ქვეცნობიერება შეიძლება დაიტვირთოს განუსაზღვრელი მოცულობით. ასეთ შემთხვევაში ცნობიერებაში ამოტივტივდება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება უკვე ადამიანის საქმიანობაში. ამგვარად, არაგაცნობიერებადი აღქმა სწავლების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ცნობიერი ქვეცნობიერისგან განსხვავებით იყენებს ფიქრის მეორედ პროცესს. ფიქრის მეორადი პროცესია, ლოგიკაზე, სივრცესა და დროზე ორიენტირებული. ქვეცნობიერება ინფორმაციით პრაქტიკულად შეიძლება დაიტვირთოს მოცულობის შემოუსაზღვრელად.

ადამიანის ქვეცნობიერი ლოგიკაზე ძლიერია. ერთ-ერთი გამოკვლევისას ადამიანებს აჩვენებდნენ გამოსახულებას, რომელზედაც დაუფიქრებლად უნდა ეჩვენებინათ გარკვეული ობიექტი. დაუფიქრებლად არჩეული ობიექტის სისწორე, პარალელურად, უფრო მეტი იყო, ვიდრე დაფიქრებული პასუხის გაცემის შემთხვევაში. ცნობიერი წარმოადგენს ადამიანის ფიქრებს, რის შესახებაც ადამიანმა თავად იცის. ცნობიერს აქვს წვდომა არაცნობიერთან ნაწილობრივ, თუმცა არაქვეცნობიერთან, ხოლო ქვეცნობიერი, გარდა იმისა, რომ ინახავს ინფორმაციას განუსაზღვრელი დროით, ამავე დროს ის ადამიანს დღემდე ფსიქოლოგრაფიის გაუგებარი მექანიზმით აწვდის იმ ინფორმაციას ისეთ დალაგებულ კონტექსტში, როგორიც ამ მოცემულ დროსა და სიტუაციაში სჭირდება პიროვნებას. ამ დროს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მომენტია ადამიანის ფსიქიკის მორჩილება მოტივაციისა და განწყობის მეშვეობით, რაც იწვევს ტვინის ფუნქციის გაძლიერებას და ასე ვთქვათ ქვეცნობიერში წვდომას, რაც ფაქტიურად არის პიროვნების, ანუ იგივე მოსწავლის ე.წ. შინაგანი შესაძლებლობების მობილიზება, მათი გააქტიურება. რაც. საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მოსწავლის შემეცნებითი პროცესის თვალსაჩინოებრივ ზრდას.

ლიტერატურა:

1. მარზანო ჯ., კლასის მართვა, თბ., 2009.
2. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
3. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბ., 2000.

სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების ზოგადი მიმოხილვა და ოჯახის დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ

მარიამ ქელეხსაშვილი, ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ეკატერინე გიგაშვილი,** პროფესორი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება, როგორც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დიდი სოციალური რეფორმების დასაწყისი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საზოგადოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა მიმართ მეტი მიმღებლობისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბება. საზოგადოება მათი სპეციფიკისა და პრობლემატიკის შესახებ მეტად ინფორმირებული გახდა; სააშკარაოზე გამოტანილი იყო ინსტიტუციებში ამ ადამიანების მძიმე ყოფის – არასწორი მკურნალობის, უგულებელყოფისა და მათზე ძალადობის არაერთი ფაქტი. აღნიშნულმა სიტუაციამ ხელი შეუწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყებას, რომელსაც თან ახლდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევასა და არათანაბარუფლებიან მოპყრობას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ადამიანების მიმართ არასწორი და არაჯანსაღი დამოკიდებულებები კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა

ცივილიზაციებში იჩენდა თავს. საზოგადოებრივი დამოკიდებულება ამ ჯგუფის ადამიანების მიმართ განპირობებული იყო იმით, თუ რა მიზეზებით ხსნიდნენ შეზღუდულ შესაძლებლობებს მოცემულ საზოგადოებაში. იმ საზოგადოებებში, სადაც ეს ფაქტი ბუნებრივი, სამედიცინო მიზეზებით იხსნებოდა, მათ მიმართ მეტად შემწყნარებლური, თუმცა საკმაოდ ტენდენციური დამოკიდებულბები არსებობდა.

საზოგადოება განსაკუთრებულ შეუწყნარებლობას გონებრივი განვითარების შეფერხებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ იჩენდა. როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია. ანტიკურსა თუ თანამედროვე საზოგადოებაში გონებრივი განვითარების შეფერხება განიხილება, როგორც ადამიანზე დემონის დაპატრონება და ღვთის სასჯელი. წარსულში, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები ამავე დროს აღიარებდნენ, რომ გონებრივი შეფერხება სამედიცინო პრობლემა იყო, მაინც უფრო რელიგიური ახსნა დომინირებდა. ანტიკური ბერძნები და რომაელები გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ადამიანებს განიხილავდნენ როგორც საზოგადოების ტვირთს და თვლიდნენ, რომ გონებრივი ჩამორჩენილობა ღვთის რისხვაა. ანტიკურ, რომაულ და ბერძნულ საზოგადოებაში ყველას, ვინც სავარაუდოდ „ნორმის“ ფარგლებში ვერ ჯდებოდა, სასტიკად უსწორდებოდნენ – კლავდნენ იმ ჩვილებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, დეფექტი უნდა ჰქონოდათ ან ჰყიდდნენ მათ, მომავალში მასხარები რომ ყოფილიყვნენ.

ამჟამად მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული ბიოფსიქოსოციალური მოდელი, რომელიც შეფასებისა და ინტერვენციის პროცესში სამივე ფაქტორს განიხილავს: ბიოლოგიურს, ფსიქოლოგიურსა და სოციალურს. მეოცე საუკუნეში მომხდარმა სოციალურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. დღეს ეს ადამიანები საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად სამართლებრივ დონეზე განიხილებიან. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგანვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს ისეთი სოციალური პროგრამებისა და სერვისების განვითარება წარმოადგენს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ეფექტურ ინტეგრაციას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

როგორც აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებამ სერიოზული მოდიფიკაცია განიცადა და დღეს უკვე მათი თანსწორუფლებიანი სტატუსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებით არის გამყარებული. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსა და გამოწვევას წარმოადგენს.

მსოფლიო თანამეგობრობის წევრობა აუცილებლად მოიაზრებს ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებში ასახული ღირებულებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას. საქართველომ მიიღო ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა და დღეს ამ მიმართულებით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გზას ადგას.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ჯერ კიდევ რჩება ბევრი გამოწვევა, რომელიც არსებობს შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით. ძირითადი სირთულეები მდგომარეობს საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალ დონეში, მათი მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებასა და ფიზიკური გარემოს არასათანადოდ ადაპტირებაში.

შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე ბავშვებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი სიმპტომების ბავშვები, როგორებიც არიან: ცერებლური დამბლა, დაუნის სინდრომი, ეპილეფსია, დიაბეტი, აუტიზმი, მხედველობის დარღვევები, სმენის დაქვეითება ან და სიყრუე და ა.შ.

განვიხილოთ მშობლების დამოკიდებულება სმენადაქვეითებული და სიყრუის მქონე ბავშვის მიმართ. სმენის დაქვეითება ისეთი მდგომარეობაა, როცა ხმები გაურკვევლად, დამახინჯებულად გესმის. ზოგიერთი ხმა შეიძლება საერთოდაც არ გესმოდეს. სმენის უნარი დაკავშირებულია ადამიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნართან – დაამყაროს ურთიერთობა გარშემომყოფებთან მეტყველების საშუალებით. ბავშვები სმენის მეშვეობით იძენენ ლინგვისტურ სისტემას, რათა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გაცემა, საკუთარი ფიქრებისა და გრძნობების გადმოცემა, სწავლა და მშობლებისა თუ თანატოლების ქცევაზე ზეგავლენის მოხდენა. სმენასთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად აისახება მეტყველებასა და ენის ცოდნაზე, ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე და სკოლაში სწავლის უნარებზე. აქედან გამომდინარე, სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სმენის დაქვეითების ადრეული გამოვლენა და ინტერვენცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სმენის ანატომიურ მექანიზმს რთული აგებულება აქვს. ის იყოფა სმენის პერიფერიულ და ცენტრალურად სისტემებად. სმენის პერიფერიული სისტემა გარეთა ყურიდან იწყება და სასმენი ნერვით მთავრდება, ხოლო სმენის ცენტრალური სისტემა სასმენი ნერვიდან იწყება და თავის

ტვინამდე გრძელდება. პერიფერიული სისტემის მოშლილობა სმენის დაქვეითებას იწვევს, ხოლო ცენტრალურ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა მოსმენის აღქმის უნარზე აისახება. სმენის პერიფერიული სისტემა გარეთა, შუა და შიგნითა ყურისგან შედგება.

არსებობს სმენის დაქვეითების სამი ტიპი:

– *შეძენილი*, როდესაც სმენის დაქვეითება დაკავშირებულია გარეთა და შუა ყურთან. ასეთი სმენის დაქვეითება დროებითია, რადგან მკურნალობის შემდეგ ეს პრობლემა ძირითადად გვარდება.

– *სენსორული* დაქვეითების დროს ყურის ლოკოკინას პაწაწინა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ბუსუსები დაზიანებულია. ასეთ დროს ბავშვს შეიძლება ესმოდეს გარკვეული ბგერები, ან საერთოდ არ ესმოდეს. ეს მდგომარეობა მუდმივია და ბავშვის მეტყველებაზე აისახება.

– *ნერვული*, როდესაც ლოკოკინას ტვინთან დამაკავშირებელი ნერვია დაზიანებული და არ ხდება მიღებული სიგნალების ტვინამდე მიწოდება.

სმენის დაქვეითებას შეიძლება იწვევდეს მუცლადყოფნის დროს გადატანილი ინფექციები, ტრავმა მშობიარობის დროს, ნაადრევი მშობიარობა, ჩვილის ხანგრძლივი მოთავსება ჟანგბადის კამერაში, ზოგიერთი ანტიბიოტიკი, მენინგიტი, სითხე შუა ყურში, თავის ტრავმა და ა.შ. სმენაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს ძლიერ ხმაურში ხშირად ყოფნა, მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენა, განსაკუთრებით ყურსასმენებით. რაც შეეხება გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს სმენის დაქვეითების მაღალი რისკი აქვთ, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებს, რომელთა გონებრივი ჩამორჩენილობა გამოწვეულია გენეტიკური დარღვევით.

ხმის გაძლიერება (სასმენი აპარატები, სმენის დამხმარე მოწყობილობები) სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის აუცილებელი მომსახურების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სასმენი აპარატის გამოყენება ნებისმიერი ასაკის ბავშვს შეუძლია, მათ შორის ჩვილ ბავშვებსაც. სასმენი აპარატის გამოყენება სასურველია დაიწყოს რაც შეიძლება მალე, ბავშვებისთვის ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობების სწორ შერჩევაზე პასუხისმგებელია აუდიოლოგი. ბავშვებისთვის უმჯობესია სტერეოფონული (ორივე ყურის) სასმენი აპარატების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპარატის ორივე ყურზე მორგება ვერ ხერხდება ერთი ყურის პათოლოგიური აგებულების ან სმენის გამოყენების უნარის არარსებობის გამო.

განათლება და ეფექტური კომუნიკაცია განუყოფელი ცნებებია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველი სწორედ ენა და მეტყველებაა. სათანადო ენობრივი კომპეტენციის გარეშე ყრუ ან სმენადაქვეითებული ბავშვი ჩამორჩება ნებისმიერ აკადემიურ სფეროში. ასეთ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების მიზანია ოპტიმალური კომუნიკაციის ხელშეწყობა და ამ მიზნით, ნებისმიერი მეთოდის გამოყენება, რომელიც გააუმჯობესებს ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს, კონცენტრაციის უნარს, შეგრძნებებს და სხვა რელევანტურ ცვლადებს.

მშობლებმა აუცილებელია სწორი გადაწყვეტილება მიიღონ ბავშვთან ურთიერთობის მეთოდების, სასმენი აპარატის, ლოკოკინას იმპლანტის ან ბავშვის განათლების შესახებ სრული ინფორმაციის გაცნობიერების შემდგომ. მათ უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა დარგის პროფესიონალებისგან, როგორებიც არიან ფიზიკოსები, პედიატრი აუდიოლოგები, ყრუ ან სმენადაქვეითებული ბავშვების პედაგოგები და სამეტყველო ენის თერაპევტები. მშობლებს ესაჭიროებათ გადაუდებელი დახმარება, რაც უნდა გაუწიონ სხვა პირებმა ან პირთა ჯგუფებმა, რომელთაც გარკვეული ცოდნა აქვთ სმენის დაქვეითების შესახებ.

როგორ უნდა ვიზრუნოთ და შევძლოთ სმენადაქვეითებული და სიყრუის მქონე ბავშვის ოჯახის დახმარება?

როდესაც ოჯახს ატყობინებენ მათი ბავშვის სმენის განვითარების დარღვევის შესახებ, ცალკეული წევრები და ოჯახები, ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირველადი რეაქციების მიხედვით. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს:

1) მათი ბავშვის სიყრუის ხარისხზე;

2) მათ მზაობაზე სიყრუის შესაძლო გამოვლენასთან;

3) წინასწარ ინფორმირებულებაზე სიყრუის შესახებ, მათი საკუთარი აზრის ჩათვლით ბავშვის განვითარების დარღვევის მიზეზებთან დაკავშირებით;

4) ჯანდაცვის სპეციალისტთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ფორმაზე.

სპეციალისტების მიერ დროის სწორად შერჩევა, ინფორმაციის გადაცემის ფორმა, დიალოგის ხანგრძლივობა და ემოციური მხარდაჭერა დიდ გავლენას ახდენს მშობელთა მხრიდან ადეკვატური დამოკიდებულების წარმოქმნაზე. ოჯახებზე ზეგავლენა ასევე დამოკიდებულია მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, რელიგიურ და კულტურულ საფუძველზე და ბავშვის ასაკზე დიაგნოზის დასმის დროს. ბავშვის სიყრუის შეახებ პირველად ინფორმაციაზე მშობელთა მხრიდან რეაქცია სხვადასხვაგვარია, ძალიან პიროვნული და ხშირად უდიდეს სტრესში გარდამავალი. ყველაზე

ხშირი პასუხია შოკის, უარყოფის, უნდობლობის, დანაშაულისა და დანაკარგის მძაფრი შეგრძნების ერთგვარი კონბინაცია. ზოგიერთი მშობელი უარყოფს ბავშვის დიაგნოზს და მიმართავს სხვადასხვა სპეციალისტებს „განსხვავებული აზრის“ მიღების იმედით, რაც იქნება შედარებით ოპტიმისტური დიაგნოზის თუ პროგნოზირების საფუძველი. დროთა განმავლობაში მშობელთა უმრავლესობას შეუძლია შეეგუოს იმ აზრს, რომ მათ ბავშვს აქვს სმენასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ გამოცდილებიდან დადებითი შედეგებიც აღიაროს. მრავალ ოჯახში სმენის პრობლემების მქონე ბავშვის აღზრდის პროცესი ოჯახის წევრებს შორის აძლიერებს ერთიანობის, გამტანობის შეგრძნებასა და თანაგრძნობას. ზოგიერთისთვის ეს უფრო შინაარისანი ცხოვრების მანიშნებელიც კი არის. გამოცდილებასა და მხარდაჭერასთან ერთად, მშობლები საკუთარი ბავშვების საჭიროებების შესრულებასა და გაგებაში ნამდვილ ექსპერტებად იქცევიან. მათ უმუშავდებათ ასერტიულობა სპეციალისტებისა და შესაბამისი სამსახურებისგან ბავშვის საჭიროების შესაბამისი თხოვნისა და მიღებისადმი. მათი მოქნილობა და შესაძლებლობების ზრდა არა მარტო იცავს, არამედ სარგებლობა მოაქვს ბავშვისთვის, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მეტად დადებით შედეგს შეიძლება მიაღწიოს, ვიდრე ეს თავდაპირველი დიაგნოზით იყო ნავარაუდევი. ოჯახების უმრავლესობის შემთხვევაში დარდი კლებულობს ყოველდღიური მოვლის პროცესში ჩართვასთან ერთად, როდესაც მათ ეძლევათ ადრეული ინტერვენციისა და დროებითი მოვლის სერვისების გამოყენების საშუალება და ხედავენ პროგრესს საკუთარი ბავშვის განვითარებაში.

ასევე მნიშვნელოვანია არა მარტო მშობლების, არამედ დედმამიშვილებისა და ბებია-ბაბუების ზრუნვა და ყურადღება სმენის პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ. ზოგიერთი მტკიცებულების თანახმად, სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების დედმამიშვილები შეიძლება ავლენდნენ ადრეულ მოწიფულობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ტოლერანტობას განსხვავებულობის მიმართ, ოჯახთან სიახლოვის გრძნობას და გაზრდილ თავდაჯერებულობასა და დამოკიდებულებას, ისინი ხშირად ირჩევენ დახმარებითი ხასიათის პროფესიებს. სმენის პრობლემის მქონე ბავშვების დედმამიშვილები ფსიქოლოგიურად თავს მყარად გრძნობენ, როდესაც მათი მშობლების ურთიერთობა სტაბილურია და ხელშემწყობი, გრძნობები არ იმალება, ბავშვის პრობლემა ახსნილია ბოლომდე და ისინი არ არიან ზედმეტად გადატვირთულნი ბავშვზე მზრუნველობის პასუხისმგებლობით. მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვები მათ ახლოდან აკვირდებიან და იღებენ მათგან ინიციატივას. მშობლები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოჯახის ყველა წევრის საჭიროებები უნდა იყოს მორგებული მთელი ოჯახის ინტერესებზე. ბავშვები თავიდანვე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკუთარი დედმამიშვილის უნარშეზღუდვის შესახებ, ამგვარად მათი ცოდნა დაფუძნებული იქნება ფაქტზე და არა არასწორ წარმოდგენაზე. რაც შეეხება ბებია-ბაბუას, მათაც, მშობლების მსგავსად, შეიძლება ჰქონდეთ გულში ჩადებული დანაშაულის გრძნობა, შექმნილი მდგომარეობის ვინმეზე გადაბრალებისა და ბავშვის არ აღიარების სურვილიც კი. ზოგიერთი ბებია-ბაბუა მშობლებზე ძლიერად შეიძლება შეერკინოს პრობლემას და გავლენა იქონიოს ბავშვის უნარშეზღუდვასთან დაკავშირებით ოჯახის ადაპტაციაზე. ოჯახის სოციალური კონტექსტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი წევრების შედეგების განსაზღვრის საქმეში. საბედნიეროდ, დღევანდელ საზოგადოებაში დიდია მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისადმი.

„მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ“. სახარებისეული ეს სწავლება თანამედროვე ტოლერანტული ღირებულებებისა და კულტურის ერთ-ერთი საფუძველია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სმენის დაქვეითება შეიძლება იყოს დროებითი, ქრონიკული და პერმანენტული, სენსონერვული, გამტარებლობითი, შერეული და ნერვული, ცალმხრივი და ორმხრივი; თანდაყოლილი და შეძენილი. სმენის დაქვეითება შეიძლება იყოს იზოლირებული ან თან ახლდეს სხვა უნარშეზღუდულობა. სმენის დაქვეითების ხარისხის და მიზეზების მიუხედავად, სმენადაქვეითებულ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობის მქონე პროფესიონალებმა აუცილებელია გაითვალისწინონ სმენის მექანიზმის ანატომია-ფიზიოლოგია და სმენის დაქვეითების შედეგების გავლენა ზეპირი ენის აღქმისა და დამუშავების პროცესზე. ბავშვის და ოჯახის სიძლიერე, პოტენციალი და მათ წინაშე არსებული საფრთხეები უნდა განვიხილოთ ფართო სოციალურ, ლინგვისტურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და გარემოსთან კონტექსტში. თუ პროფესიონალს სმენადაქვეითებული ბავშვების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურს, მაშინ მან აუცილებელია აღიაროს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალური მოთხოვნილებები და ამის საფუძველზე მოამზადოს რეკომენდაციები.

რაც შეეხება ოჯახს, სადაც იზრდება სმენა დაქვეითებული ბავშვი, ამ შემთხვევაში ბავშვი, მშობლები, დედმამიშვილები და მეგობრები, ყველა ზეგავლენის ქვეშაა და შესაძლოა თავდაპირველად განიცდიდნენ წყენისა და მწუხარების პერიოდებს თავიანთი ბავსვებისთვის „ნორმალური ცხოვრების“ შანსის წართმევისთვის. დროთა განმავლობაში ოჯახის დაძლევის

სტრატეგიები ზოგადად უმჯობესდება. მშობლები სწავლობენ ბავშვების მოვლას და საჭიროების შემთხვევაში მათ უზრუნველყოფას სამედიცინო, საგანმანათლებლო და სხვა მომსახურებებით. სკოლასა და საზოგადოებაში ბავშვი სწავლობს შეზღუდული შესაძლებლობებით განპირობებული პრობლემების დაძლევას და საკუთარი თავის ადვოკატირებას. ოჯახზე ორიენტირებული მიდგომის ფარგლებში მშობლებისა და ბავშვის გვერდზე მომუშავე სოციალურ მუშაკს, თერაპევტებს, მასწავლებლებსა და ექიმებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ ადაპტაციაში და დამხმარენი იყვნენ ბავშვისა და მთელი ოჯახის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის განსაზღვრასა და მომავლის პროგნოზირებაში.

ლიტერატურა:
1. ბეთშოუ მ. ლ., როიზენი ნ. ჯ., ლოტრეჩიანო გ. რ., ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით, ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების ცენტრი, ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაცია, საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, მეშვიდე გამოცემა, 2013.
2. ინკლუზიური განათლება, „გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, 2009.

ორიენტირებული კითხვა, მოსმენა და აზროვნება

ლიკა ცერაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას. მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით, სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტის სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

ორიენტირებული კითხვა ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია და მას მსოფლიოს მრავალ სკოლაში იყენებენ მასწავლებლები. ეს მეთოდი გულისხმობს ტექსტთან მონაკვეთებად დაყოფილ მუშაობას, რომელიც მოიცავს კითხვის სამ ფაზას; წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ. ,,კითხვა სწორია, თუ მოსწავლეები კითხულობენ არა ჩათვლით (ბგერა-ბგერად) ან დამარცვლით, არამედ გაბმულად (სიტყვებისათვის თვალის გადევნებით და მის მთლიანად ამოკითხვით), ამასთან - არ ცვლიან ბგერას ან მარცვალს, ადგილს არ უცვლიან მათ, წაუკითხავად არ ტოვებენ სიტყვის დასაწყისს ან ბოლოს და ა.შ.“ [2; 95]

პირველ ფაზაზე აქტიურ როლს მასწავლებელი ასრულებს, რათა ამ დროს მოსწავლეები სათანადოდ მოემზადონ კითხვის დასაწყებად. პრაქტიკული ვარჯიშის გზით მოსწავლეები ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გააზრება/გაგებისათვის საჭირო უნარებს. ამ ფაზაზე მოსწავლეები იყენებენ ისეთ საჭირო ქმედებებს, როგორიცაა: წაკითხულის შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შეკითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა და სხვ.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი შემდეგი ძირითადი საფეხურების გავლას გულისხმობს:

1. შესავალი
- რა ვიცით ამ საკითხის / თემის შესახებ?
2. ვარაუდების გამოთქმა.
- რას გეუბნებათ სათაური? რას შეეხება ეს ტექსტი? რატომ ფიქრობთ ასე?

3. ვარაუდების დადასტურება ან მოდიფიცირება.

- ახლა რას ფიქრობთ? რატომ გაგიჩნდათ ეს აზრი / განცდა?
- ხომ არ შეცვლიდით ვარაუდს? რა მოხდება ამის შემდეგ? რატომ ფიქრობთ ასე?

4. გააზრება / რეფლექსია

- ტექსტის რომელი ადგილების მოშველიებით შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება?
- ტექსტის რომელი ადგილების წაკითხვის შედეგად შეიტანეთ ცვლილებები თქვენს ვარაუდებში?

ორიენტირებული კითხვა რამდენიმე დანიშნულებით გამოიყენება, კერძოდ:

- მოსწავლე იაზრებს სიტყვების მნიშვნელობას და ცდილობს მათ შორის კავშირის დამყარებას;
- მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ მიადევნოს თვალყური გაგების პროცესს და როგორ გადაჭრას გააზრების დროს წამოჭრილი პრობლემები;
- მოსწავლე ეჩვევა ტექსტის წაკითხვის მიზნის ჩამოყალიბებას კითხვის დაწყებამდე.

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ და სიღრმისეულად დაამუშაონ თხრობითი ტექსტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი მასწავლებელს საშვალებას აძლევს, ყველა დონის მოსწავლეს გაანალიზებინოს და დაამუშავებინოს თუნდაც რთული ტექსტი.

ეს მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას კითხვის პროცესში, ინტერესის აღძვრას, ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკულად აღიქვას, გაანალიზოს მასალა, განიხილოს მისი ღირსება და მნიშვნელობა.

„შეკითხვის ყოველი სახე სხვადასხვა ტიპის აზროვნებაზეა ორიენტირებული. იგი გამოყოფს შემდეგი სახის კითხვებს:

1. ფაქტზე ოტიენტირებული კითხვები ჩვეულებრივ ინფორმაციის გახსენებას მოითხოვს და მასზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს მხოლოდ შინაარსის ცოდნა მოეთხოვება.
2. გადატანაზე ორიენტირებული კითხვები გულისხმობს წაკითხულის სათაურის სახით წარმოდგენასა და მის აღწერას. ასეთი კითხვების ერთ-ერთი სახეს წარმოადგენს სწორედ ტექსტის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა და თითოეული ნაწილის სურათის წარმოდგენა (ტექსტის დასათაურება). მუშაობის ამგვარი ფორმა ფართოდ გამოიყენება 1-2 კლასებში, სანამ მოსწავლეები გეგმის შედგენას დაიწყებენ;
3. ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული კითხვები ყოველთვის შეიცავს თავის თავში კითხვას - რატომ? და გულისხმობს სხვადასხვა აზრებს, ფაქტებს, განსაზღვრებებსა და ღირებულებებს შორის კავშირის დამყარებას.
4. გამოყენებაზე ორიენტირებული კითხვები გულისხმობს იმის გამოკვლევას, იყო თუ არა ნაწარმოებში აღწერილი მოვლენა სინამდვილის ადეკვატური, რამდენად გონივრულია ნაწარმოების ფინალი, ხომ არ მოუძებნიდნენ მას სხვა დაბოლოებას.
5. სინთეზზე ორიენტირებული კითხვები ხელს უწყობს პრობლემის შემოქმედებით გადაჭრას ორიგინალური აზროვნების გამოყენებით, ასევე კითხვები მოითხოვს მოსწავლისაგან შექმნან ალტერნატიული სურათი;
6. შეფასებაზე ორიენტირებული კითხვები მოითხოვს მოსწავლეებისაგან დასკვნების გაკეთებას, თუ რა მიაჩნიათ სწორად ან არასწორად, ასეთი ტიპის კითხვით უნდა გაირკვეს გაიგო თუ არა მოსწავლემ ახალი ღირებულებები.“ [1; 137]

ორიენტირებული კითხვის მეთოდი საშუალებას იძლევა მოსწავლე გავიდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებსა და შედეგებზე, კერძოდ:

- მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის ტექსტს, გადმოსცემს მათ შინაარსს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ;
- ავლენს ეთიკურ და ესთეტიკური შეფასების სურვილს;
- კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას;
- თხზავს და წერილობით გადმოსცემს სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტს;
- ავლენს თვითგამოხატვის უნარს.

ორიენტირებული კითხვის მეთოდთან ერთად მნიშვნელოვანი მეთოდებია ასევე ოტიენტირებული მოსმენა და აზროვნება.

მოსწავლეები ცოდნის დიდ ნაწილს მოსმენით იღებენ. მოსმენა უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო პროცესია. სასკოლო დღის უმეტეს ნაწილს მოსწავლე მოსმენაში ატარებს და მისი ცოდნის დიდი წილი მოსმენის გზით არის მიღებული. ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეს სკოლაში ჰქონდეს იმის საშუალება, რომ მიზანმიმართულად ივარჯიშოს მოსმენის უნარის განვითარებაში.

მოსმენა ენის გამოყენებისა და ფიქრის უნარს საჭიროებს, ამიტომ ნაყოფიერი მოსმენის უნარი ვითარდება მოსწავლის ენობრივი უნარების განვითარებასა და გონებრივ მომწიფებასთან ერთად.

„აქტიური მოსმენის გამოცდილება ყალიბდება ყოველდღიური სამეტყველო საქმიანობით. მოსწავლეები იაზრებენ მოსმენის მნიშვნელობას გაკვეთილებზე და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გონივრულად არის ინტეგრირებული ზეპირმეტყველებასთან, წერასა და კითხვასთან.

მოსწავლეები ხდებიან აქტიური მსმენელები, როდესაც:

- გააზრებულად უსმენენ ორატორს იმ განზრახვით, რომ დაუყონებლივ გამოიყენონ ან შეაფასონ აზრები / ინფორმაცია;
- უნდათ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წერილობით ჩანიშვნა, რათა შემდგომ დაეყრდნონ მას;
- არიან საუბრის მონაწილენი და შეუძლიათ გამოხატონ თანხმობა ან დასვან შეკითხვები;
- უნდათ ორატორისათვის დასასმელი შეკითხვის ჩამოყალიბება;
- უნდა შეაფასონ ორატორის მიერ გამოთქმული იდეები, განსაზღვრონ მისი გამოსვლის მოტივი, გამიჯნონ ერთმანეთისაგან ფაქტი და თვალსაზრისი.“ [5; 38]

მოსმენის პროცესი თავისი ბუნებით შექცევადია: მოსწავლეებს შეიძლება ესმოდეთ მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ბგერები, სიტყვები, ფრაზები და ჰქონდეთ უნარი, თუ სიტყვასიტყვით არა, მიახლოებით მაინც გაიმეორონ მოსმენილი (***სიტყვა სიტყვით მოსმენა***); შეიძლება მოსწავლეებმა მოსმენის პროცესშივე გაიაზრონ მოსმენილის შინაარსი, თვალი გაადევნონ მის სტრუქტურას, გასცენ პასუხი მას შემდეგ, რაც გაიხსენებენ საუბრის ძირითად მომენტებს (***ინტერორეტაციული მოსმენა***); მოსმენის კიდევ უფრო მაღალი დონე იქნება, თუ მოსწავლეები შეაფასებენ მოსმენილს, გააკეთებენ დასკვნებსა და შეძლებენ მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას (***კრიტიკული მოსმენა***).

მოსმენის დონეს განსაზღვრავს მოსმენის მიზანი, მოსმენის შინაარსი (კონტექსტი) და თვით მოსწავლის დონე. მოსმენის გამოცდილება ყალიბდება ყოველდღიური საქმიანობით, რაც ბავშვებში აზროვნების წინა პირობაა.

აზროვნება არის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება მიზეზშედეგობრივი კავშირებისა და მიმართების დამყარება გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის.

ბავშვის შემეცნებითი აქტივობა და ცნობისმოყვარეობა მიმართულია გარემოს შემეცნებაზე. აზროვნება უშუალოდაა დაკავშირებული მეტყველებასთან. რაც უფრო მაღალია ბავშვის გონებრივი აქტივობა, მით უფრო ბევრ და მრავალფეროვან კითხვას სვამს იგი - ეს რა არის? ვინ არის? რატომ არის? რისთვის? რისგან? ვის? და ა.შ.

აზროვნების მეშვეობით მოზარდი საგნებსა და მოვლენებს შეადარებს, განაზოგადებს, რომლის საშუალებითაც იღებს ცოდნას. მოზარდი სწავლობს სწორედ აზროვნებისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებით, რის შედეგადაც უყალიბდება უფრო რთული შემეცნებითი უნარები. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული მოსმენის უნარი.

კითხვის ძირითადი მიზანი წაკითხულის გაგება, ტექსტის შინაარსის გააზრება, მასში გადმოცემული აზრის მნიშვნელობის კონსტრუირება და მიღებული ინფორმაციის შეფასებაა. ამ მიზნის მისაღწევად ძალზე ეფექტურია ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით აქტუალური და მოსახერხებელია 1-2 კლასების მოსწავლეთათვის, რომელთაც ამ ასაკიდან უყალიბდებათ კითხვის, მოსმენისა და წერის უნარ-ჩვევები. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებით საფეხურზე ნებისმიერ კლასში, რადგან ის ეფუძნება ორიენტირებული კითხვის მეთოდს.

„ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ხმამაღლა კითხვის აქტივობით წარიმართება. მოსწავლეებმა კითხვაში წარმატებას რომ მიაღწიონ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს უფროსების მიერ ხმამაღლა კითხვა.

ხმამაღლა კითხვას ბევრი დადებითი შედეგი აქვს, კერძოდ:

- ავითარებს კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევებს;
- აუმჯობესებს მოსმენის უნარსა და ხარისხს;
- ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- აღვიძებს ცნობისმოყვარეობასა და შთაგონებას;
- განავრცობს გამოცდილებებს;“ [3; 10]

ეს მეთოდი ასევე ხელს უწყობს შემდეგი სააზროვნო, საკომუნიკაციო და კვლევითი უნარების განვითარებას:

- მეტყველება, წარმოსახვა, თავისუფალი მსჯელობა, შემოქმედობითობა;
- არჩევანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა;
- საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციების ამოცნობა და გამოხატვა;

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- გააცნობიერონ საკუთარი აზრის გამოხატვის მნიშვნელობა და ღირებულება;
- შეიძინონ თავდაჯერებულობა მეტყველებისას, რათა გახდნენ წარმატებული მოსაუბრენი;
- გამოიყენონ სათანადო ლექსიკა;
- გახდნენ ყურადღებიანი მსმენელები და დამოუკიდებელი მკითხველები.

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებსა და შედეგებს. კერძოდ;

- მოსწავლე ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას, სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში;
- მოსწავლე ისმენს და იგებს მცირე ზომის ტექსტებს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად იფიქრონ, საკუთარი იდეის შეფასება და ფორმულირება მოახდინონ, პრობლემების გადაწყვეტა შეძლონ თავიანთი მეთოდებით და საკუთარი პოზიცია არგუმენტებით განამტკიცონ.

მეთოდი გულისხმობს მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას, რაც მოსწავლეს ეხმარება, ორიენტირებული იყოს აქტიური მოსმენა და აზროვნების პროცესზე. განსაზღვროს კითხვის მიზანი, ამოიცნოს, გააცნობიეროს, შეისწავლოს და შეაფასოს მოცემული ინფორმაცია. ეს ყოველივე აუმჯობესებს წაკითხულის გააზრებას და ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ჩასატარებელი სამუშაოს მიზანი და გეგმა, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის განხორციელება. მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას გულღია, თავისუფალი გარემო, თანამშრომლობის ატმოსფერო, სადაც ყველა აზრი საინტერესო, მისაღები და მნიშვნელოვანია. მასწავლებელი, შესაძლებელია, დაეხმაროს მოსწავლეს ისეთი სიტუაციის აღწერაში, რომლის გადმოცემაც მოსწავლეს ეძნელება. დაუსვას ისეთი დამატებითი კითხვა, რომელიც „სწორ გეზს“ მისცემს და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

ასევე სასურველია, შეირჩეს თხრობითი (ნარატიული ტიპის) ტექსტი, რომელიც პირდაპირ შეესაბამება მეთოდის მიზანს, ან იძლევა ადაპტირების საშუალებას. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინება, კერძოდ, ავთენტურობა, ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, თემის აქტუალურობა, მოსწავლეთა ინტერესი და ა.შ. „წაკითხულის გაგება-გააზრება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეაქვს მკითხველს კითხვის პროცესში წინარე ცოდნითა და საკუთარი ფანტაზიით. ამიტომ ტექსტის წაკითხვამდე სასურველია გამოწვევა, წინარე ცოდნის გააქტიურება „გონებრივი იერიშის“ გზით, ან სხვა აქტივობით (მაგ. გამოცანით). ეს ზრდის ჩართულობის ხარისხის და ხელს უწყობს ტექსტის მოსასმენად მოსწავლეთა მოტივირებას.“ [4; 14]

ტექსტი წინასწარ იყოფა რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა შემდეგ მონაკვეთში მოსწავლეებმა ვარაუდი გამოთქვან მოცემული სიუჟეტის შესახებ. მასწავლებელი კლასს განუმარტავს, რომ ტექსტის თითოეული ნაწილის კითხვის დროს აუცილებელია ყურადღებით მოსმენა, რათა კარგად გაიაზრონ წაკითხული მონაკვეთი, რაც დაეხმარება ვარაუდების გამოთქმასა და მოსაზრებების გადამოწმებაში.

მეთოდის მსვლელობისას, მასწავლებელმა სასურველია ისეთი მინიშნებები გააკეთოს, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას შეუქმნის, იმსჯელოს თემის საკითხებზე, პერსონაჟის ხასიათის განვითარებაზე, საკუთარ თავთან და სხვა ტექსტებთან კავშირებზე. ამისთვის ყოველი შემდეგი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სასურველია ისეთი კითხვების დასმა, რომელიც მოქმედი გმირების, ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის ანალიზის საშუალებას იძლევა.

მასწავლებელმა უნდა შეძლოს, რომ ენობრივ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობა სასიამოვნო პროცესად აქციოს, გაამრავალფეროვნოს სხვადასხვა აქტივობით. მაგ.: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომელზეც წერია სხვა სიტყვებიც, ტექსტში გამოყენებულ საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებთან ერთად. დავალება ეძლევათ წყვილებში სამუშაოდ.

„ერთი კითხულობს პრობლემას / ტექსტს/, მისი მეწყვილე, მეორე მოსწავლე, იძლევა კითხვებს პრობლემის / ტექსტის/ ირგვლივ, შემდეგ შეენაცვლებიან ერთმანეთს. როცა პრობლემა / ტექსტი/ რთულია, ორი ადამიანის ტვინი და გონება უფრო მოერევა, უკეთ ჩასწვდება და გააანალიზებს. ისინი იძულებულნი არიან გულისყურით მოუსმინონ ერთმანეთს და გაინაწილონ მოვალეობები. შემდეგ წყვილი „თავისი“ პრობლემების პასუხს /ტექსტის ანალიზს/ მთელ ჯგუფს უყვება/თითოეული წევრი თავისებურად/. აქ მჟღავნდება აზროვნების ნაირგვარობა, მხატვრული დეტალისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, გულისხმიერება. მასწავლებელი აძლევს მიმართულებას, ასწორებს მეტყველების დროს დაშვებულ შეცდომებს. ამავე დროს ცდილობს წაახალისოს ისინი. წყვილების მიერ ჩატარებული შრომისადმი გამოთქვამს მოწონებას, აღფრთოვანებას.“ [6; 170]

ამრიგად, კითხვა რომ სასარგებლო იყოს და მკითხველმა შეძლოს ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია, მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლე დააკავშირებს იმას, რასაც კითხულობს იმასთან, რაც იცის.

მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, დაეხმაროს მოსწავლეს ამ კავშირის დამყარებაში, გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაში, ასწავლოს, როგორ განსაზღვროს კითხვის მიზანი, როგორ მიიღოს კითხვის სიამოვნება, როგორ დაამყაროს კონტაქტი ტექსტთან და როგორ მივიდეს მეხსიერებით ტექსტის უბრალო აღდგენიდან მის კომპლექსურ გაგებამდე.

ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 2004.
2. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, თბ., 1999.
3. გამოცდების ეროვნული ცენტრი, როგორ ვასწავლოთ კითხვა, 2010.
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, კითხვის ეფექტური მეთოდები, 2011.
5. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2006.
6. სოსელია მ., ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები, თბ., 2002.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ხელოვნური ინტელექტი

თორნიკე ბეჟანიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე,** პროფესორი

მეცნიერებს დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდათ კითხვები ხელოვნური ინტელექტის შექმნასთან დაკავშირებით: შესაძლებელია თუ არა მისი შექმნა? შექმნის შემთხვევაში შეძლებს კი ის სრულფასოვნად აზროვნებასა და შემოქმედებას? შეიძლება თუ არა ის გახდეს ადამიანის დამხმარე ან ადამიანის მოწინააღმდეგე? ხელოვნური ინტელექტის შექმნის შემთხვევაში, მეცნიერთა აზრით, ადამიანი და მოდელირებული მანქანა ერთნაირად ამოიცნობდნენ სიტუაციებსა და მოვლენებს, ამოხსნიდნენ მათ წინაშე დასმულ ლოგიკურ და სხვა სახის ამოცანებს, ასევე მიიღებდნენ ერთი და იგივე გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სიტუაციაში.

როგორც ცნობილია, ხელოვნური ინტელექტი არის კომპიუტერული მეცნიერების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური კომპიუტერული მანქანის (პროგრამის) შექმნას, რომელსაც ექნება უნარი, მიაღწიოს ადამიანის ინტელექტის შესაძლებლობას. იტელექტუალობის დონის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ამოცანის გადაჭრა დაისახება მიზნად. ხელოვნური ინტელექტის იდეის წარმოქმნის თარიღად XIX საუკუნეს მიიჩნევენ.

იდეის გაჩენასთან ერთად გაჩნდა განსხვავებული აზრი. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ შექმნის შემთხვევაში იგი ადამიანის მსგავსად იაზროვნებდა, ზოგიც კი ამას არ ეთანხმებოდა.

თავიდანვე ჩამოყალიბდა ორი თეორია, რომელსაც სიმბოლურად ეწოდა ძლიერი და სუსტი თეორიები ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ტერმინი ძლიერი ხელოვნური ინტელექტი შემოიღო ჯონ

სერლმა. ასეთი სახის პროგრამა არ უნდა ყოფილიყო უბრალოდ ადამიანის აზრობრივი მოდელი, არამედ ის იქნებოდა ხელოვნურად შექმნილი გონება, რომელიც დამოუკიდებლად იაზროვნებდა. ამის საპირისპიროდ, სუსტი ხელოვნური ინტელექტის მიმდევრები განიხილავდნენ ისეთ პროგრამებს, სადაც ხელოვნური ინტელექტი შეძლებდა მხოლოდ იმ ამოცანების ამოხსნას, რომლებიც არ მოითხოვდნენ ადამიანის აზროვნების მთელ სპექტრს.

ამ მიმართულებით ჯონ სერლმა ჩაატარა აზრობრივი ექსპერიმენტი სახელწოდებით „ჩინური ოთახი“. იგი ნათელი არგუმენტია იმისა, რომ არ არის აუცილებელი ხელოვნური ინტელექტი მოიცავდეს მთლიანად ადამიანის აზროვნებას. ანალოგიურ აზრს ავითარებს როჯერ პენსუოზი წიგნში „ახალი გონი ანუ მეფე“. იგი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია აბსოლუტურად მოაზროვნე ხელოვნური გონების შექმნა, ანუ შეიძლება მანქანამ კონკრეტული ოპერაცია შეასრულოს მაქსიმალურად დიდი სიზუსტით, მაგრამ მას არ ექნება ადამიანის მსგავსად შემოქმედებითი უნარი, იგი იაზროვნებს მხოლოდ კოდში ჩადებული ბრძანებებით.

ასევე აქტუალური იყო რელიგიური დაპირისპირებები. ბუდისტთა ლიდერი, დალაი ლამა მე-14, არ გამორიცხავდა კომპიუტერულ საწყისებზე მოაზროვნე სისტემის არსებობას. ამის საპირისპირო მოსაზრება ჰქონდათ ქრისტიანებს.

ხელოვნური ინტელექტის შესახებ პირველი შრომები 1943-1955 წწ. გამოდის, მაკ კარლ კომისა და უოლტერ პისტემის ავტორობით. ისინი თავის ნაშრომებში ძირითად წყაროდ მიიჩნევდნენ სამი მეცნიერებიდან აღებულ ინფორმაციას:

1. ფიზიოლოგიის ზოგადი ცოდნა, ტვინის აგებულება და ტვინის ნეირონების ფუნქციების მნიშვნელობა;
2. ფილოსოფია და ფსიქოლოგია;
3. გამოთვლითი ტექნიკის თეორია და ხელოვნური ნეირონების შექმნის თეორია.

ხელოვნური ნეირონების შესაქმნელად გამოყენებული იყო ლოგიკური სქემები და ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ „ჩართულ“ ან „გამორთულ“ მდგომარეობაში. 1951 წ. პრისტონის უნივერსიტეტის მათემატიკის ასპირანტებმა, დინ ედმონსმა და მარვენ მინსკმა, ნეირონური ქსელის საფუძველზე შექმნეს პირველი ქსელური კომპიუტერი, სადაც გამოყენებული იყო 3000 ელექტრონული მილაკი და 40 ხელოვნური ნეირონი.

ხელოვნური ინტელექტის კვლევაში ცნობილია ალენ ნიულეს და გერბერტ საიმონის სახელები. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ გამოვიგონეთ კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც აქვს უნარი იაზროვნოს არაციფრობრივი ტერმინებით.“ შემდგომში ასეთი პროგრამა კიდევ ერთხელ შექმნეს რასენმა და უაიტეხტმა.

1952-1969 წწ. ხელოვნური ინტელექტის კვლევა წარმატებით მიდიოდა. მართალია, ეს წარმატებები ძალიან მცირე იყო, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინ როგორი იყო კომპიუტერი და მათი მონაცემები, ძალიან მნიშვნელოვნად მოგვეჩვენება. ამ დროისათვის საგრძნობლად შეიცვალა კომპიუტერისადმი დამოკიდებულება, მიხვდნენ, რომ იგი იყო არა მარტო გამომთვლელი მანქანა, არამედ მას ჰქონდა ფართო დიაპაზონის შესაძლებლობები.

ამ პერიოდისათვის ნიუველმა და საიმონმა შექმნეს პროგრამა სახელწოდებით „logic theorist“ რომელიც მიმართული იყო ადამიანური ამოცანების გადასაწყვეტი პროცესების მოდელირებაზე. ამ პროგრამის შემდგომი განვითარება არის „general problem solver“, რომელსაც შეეძლო ორგანიზებული აზროვნება იგივე პრინციპით, როგორც აზროვნებს ადმიანი. ამ პროგრამის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შემუშავებულ იქნა ცნობილი ფიზიკური სიმბოლოების სისტემა [1131]. იგი ამტკიცებდა, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი ფიზიკური სისტემა, რომელიც შეიძლება იყოს საშუალება ზოგადი სახის ინტელექტუალური პრობლემის ამოხსნისა. ასეთი პროგრამების შექმნის დროს არსებობდა გარკვეული პრობლემები. ადრეულ პროგრამებს არ ჰქონდათ საკმარისი მოცულობის ცოდნა. მათი შესაძლებლობები დაკავშირებული იყო მარტივ სინტაქსურ მანიპულაციასთან. ამ სიტუაციას მიეკუთვნება უცხოური ტექსტის მანქანური თარგმნა. ასეთი თარგმნისთვის აშშ საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავდა, რადგან ამ პერიოდში კოსმოსის კვლევის მეცნიერებაში საგრძნობლად გაასწრო საბჭოთა კავშირმა და ეჩქარებოდა მათი სამეცნიერო ნაშრომების თარგმნა.

1957 წ. სტატიაში გერბერტ საიმონი წერდა, რომ იგი არ აპირებდა გაეკვირვებინა ვინმე თავისი მიღწევებით, არამედ მიზნად ისახავდა შეექმნა ისეთი პროგრამა, რომელიც აზრობრივად იმუშავებდა ადამიანის მსგავსად. მან გააკეთა პროგნოზი, რომ 10 წლის შემდეგ კომპიუტერი გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

ედვარდ ფეიგენმაუმი, ბრიუს ბიუკენი და ჯოშუა ლედგბერგი ცდილობდნენ განესაზღვრათ მოლეკულური სტრუქტურა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება მასურ სპექტომეტრიდან. მათ შექმნეს დენდრალის პროგრამა, რომლის შესწავლის ფარგლებში შედიოდა ქიმიური ელემენტის, 6HI3NO2-ის სპექტრის და იქიდან გამოსხივებული ნაწილაკების შესწავლა.

დაახლოებით 1980 წ-დან დღემდე, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის თეორიულ-მეცნიერული ასპექტის გადაქცევა ინდუსტრიად. მე-20 ს-ის 90-იან წლებში აშშ-ში თითქმის ყველა მსხვილ კომპანიაში შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის ჯგუფი. კომპანია Digital Equipment Corporation-მა შეკვეთების მიღება დაიწყო ახალ კომპიუტერულ სისტემებზე, რამაც საშუალება მისცა 1986 წ. გაეკეთებინა 50 მილიონიანი ეკონომია, ხოლო 1988 წ. ხელოვნური ინტელექტის ჯგუფმა სახელწოდებით DEC შეიმუშავა და განახორციელა 40 ექსპერიმენტული სისტემა.

1987 წ. იაპონიაში დაიწყეს მე-5 თაობის კომპიუტერის შექმნა, რომლებიც იმუშავებდნენ დიალოგის ენაში. ამის პასუხად აშშ-ში ჩამოყალიბდა კორპორაცია Microelectronics and Computer Technology Corporation. ორივე შემთხვევაში საერთო გეგმის ნაწილი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გახდა, რასაც თან მოჰყვა სუპერ დიდი ინტეგრალური მიკროსქემების წარმოება.

ხელოვნური ინტელექტის განვითარება ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა 1988 წ-მდე, ხოლო ამის შემდეგ დადგა გაყინული პერიოდი, რასაც ხელოვნური ინტელექტის ზამთარი უწოდეს.

1970 წ-დან მრავალმა სპეციალისტმა და ფირმამ შეწყვიტა კვლევები ნეირონული ქსელების მიმართულებით, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისევ აგრძელებდა მუშაობას ამ კუთხით. ჯონ ხოფილდმა და სხვებმა გამოიყენეს სტატისტიკის მექანიკის მეთოდი ინფორმაციის თვისებრივი განვითარებისა და მათი შენახვის საქმეში, ასევე ნეირონული სისტემის ოპტიმიზაციაში. ფსიქოლოგები, დავიდ რუხმელხარტი და ჯეფ ხინტონი, აგრძელებდნენ კვლევებს მეხსიერების მოდელების შესახებ ნეირონული სისტემების გამოყენებით. ამ მიმართულებით წარმატება მოხდა 1980 წ., მაშინ როცა სხვადასხვა ოთხმა ჯგუფმა თავიდან აღმოაჩინა შესწავლის ალგორითმი შებრუნებული გავრცელების მეთოდით, რომელიც პირველად 1969 წ. იყო შემუშავებული ბროსონის მიერ. ეს ალგორითმი გამოყენებული იყო მრავალი ტექნიკური პრობლემის გადასაჭრელად როგორც კომპიუტერულ ტექნიკაში, ისე ფსიქოლოგიაში.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემის სფეროში ყოველდღიური მოხმარების სუფიქსად იქცა „bot", რაც ნიშნავს რობოტს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია გახდა საფუძველი ინტერნეტის მრავალი ინსტრუმენტული საშუალებით აღჭურვისა, რამაც საგრძნობლად გააადვილა ჩვენთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მოძიება.

რობოტი - ესაა ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და ადამიანის მოდელირების უმაღლესი შედეგი. თუმცა თავიდან სიტყვა „რობოტს" სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა. ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპაკამ პირველმა აღწერა სიტყვა „რობოტი" თავის პიესაში. ნაწარმოებში ნახსენებია ქარხანა, სადაც რობოტები თვითონვე აწყობენ საკუთარ თავს. ეს პიესა ხალხმა პირველად 1920 წ. ნახა. სიტყვა "robota" ჩეხური ენიდან ითარგმნება როგორც „მძიმე სამუშაო" და „კატორღა".

რობოტი - მანქანა, რომელსაც განსაზღვრული პროგრამის მიხედვით შეუძლია სხვადასხვა ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება. მის პროგრამულ უზრუნველყოფაში წინასწარაა ჩადებული გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, იგი ასევე შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებსაც, კერძოდ თვითსწავლებად სისტემებს, რომელთაც თავისი შესაძლებლობების საზღვრები გააჩნიათ.

პირველი რობოტი 1927 წ. გამოჩნდა საერთაშორისო გამოფენაზე. იგი ამერიკელმა ინჟინერმა დ. უეიკსლიმ დააპროექტა. მას მხოლოდ ლაპარაკი და უბრალო მოძრაობების შესრულება შეეძლო.

ამის შემდეგ სწრაფად მიმდინარეობდა რობოტების ტექნოლოგიის განვითარება და დანერგვა. დღესდღეობით მართლაც რომ ჭკვიანი, განვითარებადი და გაადამიანურებული რობოტები გამოდის ხელოვნური ინტელექტის განვითარების ასპარეზზე.

იაპონურმა კომპანიამ Hitachi-მა პირველმა წარმოადგინა ადამიანის მსგავსი რობოტი გორგოლაჭებზე. იგი კიბერბავშვის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც რეაგირებს ხმოვან ბრძანებებზე და ინარჩუნებს წონასწორობას არათანაბარ ზედაპირზე.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების კიდევ ერთი მაგალითია ვაშინგტონში წარმოდგენილი რობოტის მოდელი. ავიაციის კოსმონავტიკის ეროვნულ მუზეუმში მსოფლიოში პირველი რობოტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ადამიანის სხეულისათვის დამახასიათებელი ყველა ორგანო გააჩნია. მას საკუთარი სისხლძარღვთა სისტემა, ფილტვები, თირკმელი და გული აქვს, რომელიც ფეთქავს. რობოტს გააჩნია სიარულის, ლაპარაკისა და მხედველობის უნარი. მისი შემქმნელია ექიმი ბერტოლტ მეირეი, რომელმაც თავის ქმნილებას ფრენკი უწოდა.

შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა ხელოვნური ინტელექტი და განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. იაპონელმა მეცნიერმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან შექმნა თვითგანვითარებადი რობოტი, რომელიც ითვისებს გარკვეულ ფუნქციებს - ფუნქციებს, რომლებიც მისთვის არ ჩაუნერგავთ. მექანიზმი წარსულ გამოცდილებასა და ცოდნას იყენებს, რათა მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება ახალ უცნობ სიტუაციაში.

1942 წ. აიზეკ აზიმოვმა თავის მოთხრობაში „Runaround" ჩამოაყალიბა რობოტებისათვის სამი ძირითადი კანონი:

1. რობოტმა არ შეიძლება ავნოს ადამიანს, ან თავისი უმოქმედობით დაუშვას, რომ ადამიანს ზიანი მიადგეს;
2. რობოტი უნდა დაემორჩილოს ადამიანის მიერ მიცემულ ბრძანებებს, თუ ეს ბრძანებები არ ეწინააღმდეგებიან პირველ კანონს;
3. რობოტმა უნდა დაიცვას თავი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პირველ და მეორე კანონს.

ე. იუდევსკიმ დაამუშავა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული გლობალური რისკის პრობლემები, რომელიც შეიძლება შეგვიქმნას მომავალმა ზეადამიანურმა ინტელექტმა, თუ მას არ დავაპროგრამებთ ადამიანისადმი მეგობრობის გრძნობით. ეს საკითხები კარგადაა წარმოდგენილი ფილმში „მე ვარ რობოტი", სადაც ფილმის შემქმნელებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ზეადამიანური ინტელექტის მქონე მანქანას შეიძლება გაუჩნდეს სურვილი ადამიანებზე ბატონობისა.

მიუხედავად იმ კანონებისა, რომლებიც თითოეულ რობოტში დევს, მაინც არის დაფიქსირებული მათი უარყოფითი შედეგები საზოგადოების მიმართ.

მაგ.: 2008 წ. 18 მარტს 81 წლის ავსტრალიის მოქალაქემ თავი მოიკლა რობოტის საშუალებით. ინტერნეტში მოპოვებული მიკროსქემის გამოყენებით ის მან თვითონვე დააპროექტა.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებას თან სდევს ადამიანის ჩანაცვლება რობოტების მიერ როგორც სპორტში, ასევე სხვადასხვა დარგებში. მთელს მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა სახის შეჯიბრი რობოტებს შორის:
1. კეგელრინგი - რობოტმა, რომელიც წრიული რინგის ცენტრშია მოთავსებული, რინგიდან უნდა გადააგდოს წრეში განლაგებული 8 კეგლი;
2. მინი სუმო - რინგზე ასპარეზობს ორი რობოტი. რობოტების ამოცანაა გადააგდოს მოწინააღმდეგე რინგიდან;
3. ჩქაროსნული ტრასა - რობოტები მიყვებიან შავი საღებავით დახაზულ ტრასას. გამარჯვებული, რა თქმა უნდა, ყველაზე სწრაფი რობოტი აღმოჩნდება;
4. ტენისი - რობოტები უნდა შეეცადნონ გადაყარონ ბურთები მოწინააღმდეგის მოედანზე ისე, რომ არ გადაკვეთონ თავისი მოედნის ხაზი.

თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, საავადმყოფოში მისვლისას ექიმის ნაცვლად რობოტი რომ გემსახურებოდეთ? კალიფორნიის შტატში მდებარე startup კომპანიამ შექმნა მოწყობილობა, რომელიც პირველი რობოტი ფლებოტომისტი იქნება. იგი ინფრაწითელ განათებას და სურათის ანალიზს იყენებს საჭირო ვენების მოსაძებნად პაციენტის მკლავზე, ასევე ულტრასიგნალს ვენაში სისხლის მიმოქცევის გასაზომად და სპეციალურ ტექნოლოგიას მასში ნემსის შესაყვანად. კომპანია ირწმუნება, რომ რობოტი ადამიანურ შეცდომას გამორიცხავს და ხარჯებს შეამცირებს. იგი საჭირო ვენას უფრო მეტი ალბათობით მიაგნებს ვიდრე ადამიანი. რობოტს შეუძლია შესაბამის ვენას 83%-იანი სიზუსტით მიაგნოს, მაშინ, როცა სპეციალისტის შემთხვევაში სიზუსტის 75%-იანი შანსი არსებობს. მანქანის შემქმნელები გეგმავენ აღნიშნული მაჩვენებელი 90%-მდე გაზარდონ, სანამ კლინიკური ცდები დაიწყება.

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ჰენრიკ კრისტიანსენი და დევიდ ლევი წინასწარმეტყველებდნენ, რომ 2011 წ. გამოჩნდებიან ქალი რობოტები, რომლებთანაც მამაკაცები დაკავდებიან ფიზიკური აქტით, ხოლო პროგნოზების თანახმად 2050 წლისათვის ასეთი მანქანები განურჩევლები იქნებიან ადამიანებისაგან. მათი წინასწარმეტყველება ახდა, რადგან ამსტერდამის მუნიციპალიტეტი გეგმავს ქალაქში მსოფლიოში პირველი რობოტიზებული „რობოტმეძავებით" დაკომპლექტებული ბორდელი გახსნას.

ამრიგად, განხილული მასალიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი პროგრესი განხორციელდა ხელოვნური ინტელექტის საიდუმლოს ძიების დროს. პრიმიტიული პროგრამებიდან გადავედით ძლიერ, ფიზიკურად და ფუნქციონალურად ადამიანის მსგავს რობოტებზე. ასეთმა წინსვლამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას. რობოტები ისეთი სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენება, სადაც ადამიანს არ შეუძლია მოქმედება იქ, სადაც ადამიანმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფიზიკური დაზიანებები, როგორიცაა დამწვრობა, ქიმიური აირით მოწამვლა და ა.შ. მათ ასევე იყენებენ ავიაციაში დღემდე ჩვენთვის უცნობი პლანეტების შესასწავლად. ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერმა, ტომატაკა ტაკაშიმ მსოფლიოს წარუდგინა პირველი ასტრონავტი რობოტი კირობო, რომელიც 2014 წ. 5 აგვისტოსათვის გაფრინდება კოსმოსში და საერთაშორისო კოსმოდრომ სადგურზე მყოფ ასტრონავტებს შეუერთდება.

მიუხედავად ამ დადებითი თვისებებისა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებას შეიძლება მოყვეს მრავალი უარყოფითი შედეგი. მეცნიერები წინასწარმეტყველებენ, რომ რობოტს შეიძლება გაუჩნდეს ადამიანად ყოფნის სურვილი. სწორედ ამ იდეის მიხედვით შეიქმნა ფილმი სახელად „ხელოვნური ინტელექტი", სადაც მოთხრობილია რობოტ ბიჭუნაზე, რომელსაც სურვილი აქვს გახდეს ნამდვილი ადამიანი იმისათვის, რომ სრულფასოვნად მიიღოს ოჯახმა და შეიყვაროს როგორც საკუთარი შვილი.

მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა რომ შესაძლებელია რობოტმა შეძლოს ადამიანური სამუშაოს შესრულება როგორც მედიცინაში, მეცნიერებაში, ისევე სხვადასხვა საზოგადოებრივ დარგში. პირადად მე სულაც არ ვფიქრობ რომ სასიამოვნოა რობოტთა მიერ შექმნილ საზოგადოებაში მუშაობა, მაგრამ, როგორც ბევრი ამტკიცებს, ამას გარკვეული უპირატესობაც კი აქვს. მათგან ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ სამუშაოს შესრულების დონე შედარებით მაღალი ქონება და დრო აღარ დაიკარგება ფუჭ ლაპარაკში. თუმცა შეიძლება დადგეს დრო, როდესაც მთლიანად ჩაანაცვლებს რობოტი ადამიანს, რასაც მოყვება ადამიანის დაქვეითება და ხელოვნური ინტელექტის წინა პლანზე წამოწევა.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://ka.wikipedia.org
2. http://www.bpn.ge

ჰორმონების მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმი

მარინა ბესტავაშვილი, ელენა ბესტავაშვილი, ანა ედიშერაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარინე ქურიძე,** მოწვეული დოქტორი

ჰორმონები წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ ნაერთთა ჯგუფს, რომლებიც გამომუშავდებიან შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ან სხვა ორგანოების მიერ და სისხლის გზით ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე. იმის გამო, რომ ასეთ ორგანოებს არ გააჩნიათ სადინარები, მათ ბერნარმა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები უწოდა. ჰორმონი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს აღგზნებას, გაღიზიანებას. ეს ტერმინი შემოღებულ იქნა 1905 წელს ბეილისისა და სტარლინგის მიერ. ჰორმონები ორგანიზმში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. სუფთა სახით მათი მიღება ძვირი ჯდება და მოითხოვს ცოცხალი ქსოვილის დიდ რაოდენობას. ჰორმონები არეგულირებენ უჯრედებისა და ქსოვილების ზრდას, გულის მუშაობას, სისხლის წნევას, ფერმენტების გამოყოფას და სხვ. მათი მცირე დარღვევაც კი მრავალ დაავადებას იწვევს.

ბიოქიმია შეისწავლის ჰორმონების ქიმიურ სტრუქტურას, მათი მოქმედების მექანიზმს და გავლენას ნივთიერებათა ცვლაზე. ადამიანებსა და ცხოველებს აქვთ შემდეგი ენდოკრინული სისტემა: ჰიპოფიზი, ფარისებრი ჯირკვალი, პარაფარისებრი ჯირკვლები, კუჭქვეშა ჯირკვალი, სასქესო ჯირკვლები, ეპიფიზი, ჩიყვის ჯირკვალი და სხვ.

ჰორმონებს ახასიათებს შემდეგი საერთო თვისებები:

1. მოქმედების დისტანციურობა, ე.ი. ისინი თავიანთ მოქმედებას ავლენენ გამოყოფის ადგილიდან მოშორებულ ეფექტორულ უჯრედზე;
2. ბიოლოგიური მოქმედების გამოხატული სპეციფიკურობა, ანუ ერთი ჰორმონით მეორის შეცვლა არ ხდება;
3. მაღალი ბიოლოგიური აქტივობა - გამოიყოფიან მცირე რაოდენობით, მაგრამ იწვევენ მეტაბოლური პროცესების ცვლილებას.

ამჟამად ცნობილია 60-ზე მეტი ჰორმონი, რომელთა ქიმიური ბუნება კარგადაა შესწავლილი. დასახელების დროს იყენებენ ტრივიალურ სახელწოდებებს. მათ კლასიფიკაციას ახდენენ ქიმიური ბუნების მიხედვით, რომელიც სამ ჯგუფად იყოფა:

1) სტეროიდული ჰორმონები, რომლებიც სინთეზირდებიან თირკმელზედა ჯირკვლებში, სათესლეებში, საკვერცხეებში და სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში (ღვიძლი, პლაცენტა). სტეროიდულ ჰორმონებს მიეკუთვნება კორტიკოსტეროიდები, მამაკაცისა და ქალის სასქესო ჰორმონები და სხვ.;

2) პეპტიდური ჰორმონები, რომლებიც სინთეზირდებიან თავის ტვინის უჯრედებში, ფარისებრ ჯირკვალში, ღვიძლში, საჭმლის მომნელებელ, ლორწოვან გარსსა და სხვა ორგანოებში. პეპტიდურ

ჰორმონებს მიეკუთვნება:გასტრინი, ინსულინი, გლუკაგონი, ვაზოპრესინი, ოქსიტოცინი, პარათჰორმონი და სხვ.;

3) ამინური და სხვა ჰორმონები. მათ მიეკუთვნება ყველა არასტეროიდული და არაპეპტიდური ჰორმონი. სინთეზირდებიან ფარისებრ ჯირკვალში, თირკმელზედა ჯირკვალში, რეპროდუქციულ ორგანოებში. მაგ.: თიროქსინი, ადრენალინი და ა. შ. მათ მიეკუთვნება აგრეთვე მცენარეული ჰორმონები: აუქსინები და ჰიბერელინები.

რაც შეეხება სხვა ჰორმონებს ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა კლასის ნაერთებს და თითოეულს ახასიათებს საკუთარი მოქმედების მექანიზმი.

მოქმედების მექანიზმის მიხედვით ჰორმონები სამ ჯგუფად იყოფა:

1) პირველი ჯგუფის ჰორმონები, როგორც პირველი ჯგუფის შუამავლები (მესენჯერები), მოქმედებენ პლაზმური მემბრანის რეცეპტორულ სისტემაზე, ააქტიურებენ მათ და უჯრედშიგნით განაპირობებენ მეორადი შუამავლის წარმოქმნას. მეორადი შუამავლები კი იწვევენ უჯრედში ფერმენტული სისტემის გააქტივებას და მეტაბოლური პროცესების შესაბამის ცვლილებას;

2) მეორე ჯგუფის მოქმედება უჯრედის მთლიან მეტაბოლიზმზე არ ვრცელდება და ამ დროს მეორადი სასიგნალო სისტემების ჩართვა არ ხდება. მაგ., სასქესო თირეოიდულ ჰორმონებს და კორტიკოსტეროიდებს გააჩნიათ რეცეპტორები, რომლებიც ციტოპლაზმაში არიან ლოკალიზებული. როდესაც ისინი მოხვდებიან ციტოპლაზმაში, წარმოქმნიან ჰორმო-რეცეპტორულ კომპლექსს და შემდგომ მოქმედებენ უჯრედის გენეტიკურ აპარატზე;

3) მესამე ჯგუფის ჰორმონებს (ინსულინი) რეცეპტორები გააჩნიათ. ამ ჰორმონების დაკავშირება პლაზმური მემბრანის რეცეპტორებთან ხელს უწყობს უჯრედში სპეციფიკური ცილების ბიოსინთეზს, დიფერენცირებას და ქსოვილთა ფორმირებას, ამიტომ ასეთ ჰორმონს ზრდის ფაქტორსაც უწოდებენ. გარდა ამისა უჯრედში შეიძლება გამომუშავდეს ჰორმონის თვისების მქონე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელსაც ჰორმონოიდი ეწოდება. მათ ხშირად ახასიათებთ ადგილობრივი მოქმედება. მაგ. საჭმლის მომნელებელი ჰორმონი გასტრინი, სომატოსტატინი და სხვა, რომლებიც მიღებულნი არიან სინთეზური გზითაც.

რეცეპტორი ქიმიური ბუნებით ცილაა. დღეისათვის ცნობილია რამდენიმე ათეული (200–ზე მეტი) ცილა–რეცეპტორი. პეპტიდური ჰორმონებისა და ადრენალინის რეცეპტორები განთავსებულია უჯრედის პლაზმური მემბრანის ზედაპირზე; სტეროიდული და თიროიდული ჰორმონების რეცეპტორები განლაგებულია უჯრედის შიგნით – ციტოპლაზმასა ან ბირთვში. პეპტიდური ჰორმონები სიგნალებს გადასცემენ მემბრანული რეცეპტორებით, ხოლო სტეროიდული – უჯრედული რეცეპტორებით.

კორტიკოსტეროიდული ჰორმონები არიან პოლიციკლური სპირტების სტეროლების წარმოებულები. თირკმელზედა ქერქისებრ შრეში სინთეზირდება ჰორმონი კორტიკოსტეროიდები. მათგან ძირითადია კორტიკოსტეროინი, ჰიდროკორტიზონი, ალდოსტერონი. მისი უკმარისობა და სისხლში მიწოდების შეფერხება იწვევს ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდების, მინერალური ნივთიერებების ცვლის მოშლას: ღვიძლსა და კუნთებში მცირდება გლიკოგენის რაოდენობა, სისხლში - გლუკოზისა, იზრდება ნარჩენი აზოტის რაოდენობა სისხლში. Na^+ და K^+ იონების თირკმელებში შეწოვა, ეცემა სისხლის წნევა, ვითარდება საერთო სისუსტე, ირღვევა პიგმენტაცია (ბრინჯაოს დაავადება ანუ ადისონის დაავადება), გულის უკმარისობა. კორტიკოსტეროიდების სიჭარბე იწვევს ანაბოლური პროცესების გააქტიურებას: გროვდება სისხლში გლუკოზა, ხდება გასუქება, კუნთები ატროფირდება, ძვლები წვრილდება.

მამაკაცისა და ქალის საქესო ჯირკვლებში, აგრეთვე თირკმელზედა ჯირკვლებში, სინთეზირდება სტეროიდები სასქესო ჰორმონების თვისებებით. მათგან მნიშვნელოვანია ტესტოსტერონი (მამაკაცის სასქესო ჰორმონი) და ესტრადიოლი (ქალის სასქესო ჰორმონი). მამაკაცის სასქესო ჰორმონის საერთო სახელწოდებაა ანდროგენები, ქალის ჰორმონებისა - ესტროგენები.

პეპტიდური ჰორმონებია:

გასტრინი - 17 წევრიანი პეპტიდია. იგი გამოიყოფა კუჭის ლორწოვანი გარსის მიერ. ასტიმულირებს კუჭის წვენის სეკრეციას, ადიდებს პეპსინის გამომუშავებას, ასტიმულირებს კუჭისა და წვრილი ნაწლავების შეკუმშვას და ტონუსს.

გლუკაგონი - 29 წევრიანი პეპტიდია, სინთეზირდება კუჭქვეშა ჯირკვალში. მისი სიჭარბე იწვევს გლუკოზის შემცველობის ზრდას. ნორმალური დოზით ხელს უწყობს ნახშირწყლების დაშლას.

ინსულინი - ცილა, რომელიც გამომუშავდება კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებში. ინსულინის არასაკმარისი დოზა იწვევს დიაბეტს, იზრდება გლუკოზის რაოდენობა, აგრეთვე ქოლესტერინისა და კეტოსხეულების რაოდენობა.

ჰიპოფიზისა და ჰიპოთალამუსის ჰორმონებიდან მნიშვნელოვანია ოქსიტოცინი - 9 ამინომჟავის შემცველი პეპტიდი. ვაზოპრესინი - 9 წევრიანი ჰორმონი, არეგულირებს წყლის ცვლას, სისხლის

პლაზმის ოსმოსურ წნევას. ოქსიტოცინი, ხელს უწყობს ნორმალურ მშობიარობას, კუმშავს საშვილოსნოს, ხელს უწყობს ლაქტაციის დროულად დაწყებას.

კორტიკოტროპინი - მისი ძირითადი ფუნქციაა ორგანიზმში თირკმელზედა ჯირკვლების მიერ კორტიკოსტეროიდების ბიოსინთეზის რეგულაცია. ტირეოტროპინის უკმარისობა იწვევს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედების შესუსტებას, უმცირდება ზომები, მცირდება თიროქსინის გამოყოფა.

ზრდის ჰორმონი - შეიცავს 191 ამინომჟავას. მოქმედებს ორგანიზმის ყველა უჯრედზე, არის ანაბოლური ჰორმონი.

პარატჰორმონი - შეიცავს 32 ამინომჟავას, აღმოჩენილია ფარისებრ ჯირკვალში, არეგულირებს Ca^{2+}-ის დონეს.

ამინური ჯგუფის ჰორმონებია:

ადრენალინი - სინთეზირდება თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან ნივთიერებაში. იგივე ორგანოში აღმოჩენილია ნორადრენალინი და იზოპროპილადრენალინი. შედიან ადამიანის სისხლში, ATP-ს მარილების სახით ინახება ნერვული ბოჭკოების დაბოლოებაში. იგი გავლენას ახდენს ორგანიზმის სისხლძარღვების სისტემაზე, აძლიერებენ კუნთებში გლიკოგენის დაშლას. ადრენალინი აძლიერებს ქსოვილის მიერ ჟანგბადის ათვისების უნარს, მაღლა სწევს სისხლის წნევას, აძლიერებს და ახშირებს გულის ცემას, აჩქარებს სუნთქვას, ანელებს ნაწლავის პერისტალირებას. ემოციების, ფიზიკური დაძაბულობის, სისხლში შაქრის დაქვეითების, გაციების დროს სისხლში მატულობს ადრენალინის რაოდენობა. გამოიყენება სამკურნალოდ, საანესთეზიო საშუალებად, არის ინსულინის ანტაგონისტი. სამივე ჰორმონის სინთზი ხორციელდება ამინომჟავა ტიროზინიდან. საშუალედო პროდუქტია დოფამინი, რომლის წარმოქმნის დარღვევა იწვევს პარკინსონის დაავადებას.

თიროქსინი-წარმოიქმნება ფარისებრ ჯირკვალში. ასეთი მოქმედებით ხასიათდებიან იოდთირონინები, რომლებსაც ჯირკვალი გამოჰყოფს სისხლში. ეს ნაერთები განსხვავდებიან იოდის შემცველობით. მათგან მნიშვნელოვანია L-თიროქსინი, რომლის უკმარისობის დროს ფერხდება ნივთიერებათა ცვლა, ვითარდება სიმსუქნე, ბავშვებში ხდება ზრდის შეფერხება, ფსიქიკური პათოლოგიები, ყალიბდება კრეტინიზმი. თიროქსინისა და მისი წარმოებულების ნაკლებობისას (იოდდეფიციტი) ვითარდება ჩიყვი, სიჭარბის დროს კი ბაზედოვის დაავადება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ჯგუფის ჰორმონებს ახასიათებთ მოქმედების სხვადასხვა მექანიზმი. განვიხილოთ სტეროიდული და პეპტიდური ჰორმონების მოქმედების მექანიზმები:

სტეროიდული ჰორმონების ბიოსინთეზი მიმდინარეობს ქოლესტეროლის გარდაქმნით, მისი დაჟანგვის გზით, რომლის დროსაც შუალედური პროდუქტია პროგესტერონი, მეორე გზაა ბიოსინთეზი აცეტილ-კომპ-გან ქოლესტეროლის გამოტოვებით, აქაც შუალედური პროდუქტია პროგესტერონი. ჰორმონები გავლენას ახდენენ ნივთიერებათა ცვლის რამდენიმე ფუნდამენტურ პროცესზე. სტეროიდული ჰორმონები ურთიერთმოქმედებენ სამიზნე უჯრედებზე და არეგულირებენ მასში, პირველ რიგში, ინფორმაციული რნმ-ს სინთეზს, რომელიც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს სპეციფიკური ცილების გამოყოფას და გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე. ეს შემდეგი მექანიზმით ხორციელდება:

ქრომატინთან კონტაქტში შედის ჰორმო-რეცეპტორული კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს სტეროიდული ჰორმონის და ცილა რეცეპტორის კომპლექსს. ეს ცილა წარმოიქმნება სამიზნე უჯრედის ციტოპლაზმაში, სადაც შეაღწევს შესაბამისი ჰორმონი და სადაც არსებობს მისი შესაბამისი რეცეპტორული ცილა. მიიღება სახეცვლილი კომპლექსი, რომელიც ტრანსლოცირდება ბირთვში, სადაც უკავშირდება ქრომატინის აქცეპტორულ უბანს. დნმ-ს გადააქვს ტრანსკრიფციულ-აქტიურ მდგომარეობაში. ყველა სტეროიდული ჰორმონი სცნობს თავის სამიზნე უჯრედს, ხოლო მასში თავის ცილა-რეცეპტორს. კომპლექსი შერჩევითად უტევს დნმ-ს იმ ფრაგმენტს, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მრნმ-ს სინთეზსა და იმ ცილის სინთეზზე, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური აქტივობა გააჩნია, ე.ი. რეცეპტორული ცილები გადასცემენ სიგნალს უჯრედის გენეტიკურ აპარატს. სტეროიდული ჰორმონების მოქმედების მექანიზმი ნაჩვენებია სურ. 1–ზე.



სურ. 1

პეპტიდური ჰორმონები განსხვავდებიან სტეროიდებისაგან, არ შედიან უჯრედის შიგნით და არ ურთიერთმოქმედებენ ცილოვან რეცეპტორებთან. უჯრედის მემბრანის რეცეპტორულ კომპლექსთან დაკავშირებით პეპტიდური ჰორმონების დიდი უმრავლესობა ააქტიურებს ადენილატციკლაზას, რომელიც ჩამაგრებულია ამ მემბრანაში. ამ დროს ATP-დან წარმოიქმნება ციკლური ამფ და პიროფოსფატი. პეპტიდური ჰორმონების მოქმედების მექანიზმი ნაჩვენებია სურ. 2–ზე.



სურ. 2

cAMP არის ნივთიერება, რომელიც გადასცემს ჰორმონალურ სიგნალს უჯრედის მეტაბოლურ სისტემას. cAMP არის პროტეინაზების მოქმედების რეგულატორი, რომელთა მოქმედებით ფოსფორილირდება ჰისტონები და ქრომატინის არაჰისტონური ცილები, რიბოსომული ცილები, მრავალი ფერმენტი. ეს კი გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის ფუნდამენტურ მხარეებზე, რაც იწვევს იმ ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენებს, რომლებიც თან ახლავს პეპტიდური ჰორმონების სიჭარბეს ან ნაკლებობას. ინსულინი და ოქსიტოცინი არ მოქმედებენ ადენილატციკლაზური მექანიზმით.

ამგვარად, ჰორმონები წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ორგანულ ნაერთებს, რომლებიც გამომუშავდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვალში და მათი სიჭარბე ან ნაკლებობა იწვევს მრავალ დაავადებას. ჰორმონების თვისებების მრავალფეროვნება განაპირობებს მათი მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმის მრავალფეროვნებას. ამის მაგალითია ინსულინი და ოქსიტოცინი, რომლებიც არიან პეპტიდური ჰორმონები, მაგრამ არ მოქმედებენ ადენილატციკლაზური მექანიზმით.

ლიტერატურა:

1. ბოლქვაძე ა., ბიოქიმია, თბ., 1999.
2. ალექსიძე ნ., ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია, თბ., 2005.
3. Филиппович Ю. Б., Основы биохимии, Москва, 1999ч
4. კოშორიძე ნ., ბიოქიმია, თბ., 2013.

კაცხის სვეტის როლი რელიგიურ-მომლოცველობითი ტურიზმის განვითარებაში

გოგა გოგავა, ნათია გუგბერიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. იგი აღიარებულია თანამედროვეობის სოციოკულტურულ ფენომენად იმ გლობალური მასშტაბებისა და მნიშვნელობის გამო, რაც მან XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა. ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შეუძლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინების გარეშე.

უდავოა, რომ საქართველო თავისი განუმეორებელი ლანდშაფტებით, გეოგრაფიული მდებარეობით, ზღვისა და მთის შერწყმული უიშვიათესი ჰავით, ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლებით, სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ყველა ეპოქის სახელმწიფოსათვის და ოდითგანვე იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს.

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო მასშტაბებით ტურიზმი მეტად საყურადღებო მიმართულებებით ვითარდება. ტურიზმს მოტივაციის მიხედვით აქვს თავისი სახეობები, როგორიცაა: კულტურული; სანახაობრივი; რელიგიური; საქმიანი; სამკურნალო-გამაჯანსაღებელი; ეკოტურიზმი; ქალაქგარეთა; სპელეოტურიზმი; გასტრონომიული; ექსტრემალური და სათავგადასავლო; სამთო და ა. შ.

რელიგიური ტურიზმი ანუ მოგზაურობა რელიგიური მიზნებით დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია. ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, მეჩეთები, საკულტო ძეგლები და რელიგიის ისტორია ის მოტივაციებია, რის გამოც ხდება შესაბამისი ქვეყნებისა თუ რეგიონების მონახულება, განსაკუთრებით კი სპეციალური მოგზაურობები მომლოცველთათვის. საკულტო ნაგებობებს ნებისმიერი ტურისტული ქვეყანა განიხილავს, როგორც ტურისტულ ობიექტებს და იცავს მათ, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას.

მსოფლიოს ტურიზმის განვითარებისათვის ბევრ ქვეყანას არ გააჩნია იმდენი თვითმომადლებული სიკეთე, რაც საქართველოშია. რელიგიური ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ეგზოტიკური სფეროა. მისი მიმზიდველობა ქვეყნების, მათი ისტორიის მიხედვით იცვლება. ამა თუ იმ კულტის თაყვანისცემის მიზნით განხორციელებული მოგზაურობები უძველესი დროიდანაა ცნობილი და დღემდეა შემორჩენილი. ამასთანავე, ამგვარი მოგზაურობა ამა თუ იმ ფორმით პრაქტიკულად ყველა რელიგიასა და წარმართულ კულტებშია მიღებული.

მოგზაურობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანა მომლოცველობამ. სხვადასხვა კონფესიის მისიონერები, ისწრაფოდნენ გაევრცელებინათ საკუთარი სარწმუნოება, თაყვანი ეცათ წმინდა სალოცავებისთვის ან დაეცვათ ისინი, იმ დროისათვის ურთულეს და უგრძეს მოგზაურობებს აწყობდნენ.

დღეს მომლოცველობა რელიგიური ტურიზმის საფუძველს წარმოადგენს და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია გავიხსენოთ ქრისტიანების ლტოლვა უფლის საფლავისკენ იერუსალიმში ან წმინდა ადგილების მონახულება რელიგიურ დღესასწაულებზე და სხვა რეგულარული მარშრუტები.

ტურიზმის თითოეული სფეროს განვითარება, მით უმეტეს საჭირო რესურსებით მდიდარ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში საუკეთესო პირობები არსებობს რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის. დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია რელიგიური კულტურითა და სამომლოცველო ობიექტებით, რაც ხელს უწყობს საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარებას.

საქართველოს რელიგიური ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ჭიათურის მთიან კალთაზე მდებარე მონოფიზიტ განდეგილ ბერთა სამყოფელი, რომელსაც ოდითგან „კაცხის სვეტად“ მოიხსენიებდნენ. აღსანიშნავია, რომ იგი მხოლოდ რამდენიმე წელია აქტუალური გახდა მომლოცველებისა და ტუროპერატორი კომპანიებისთვის.

ჩვენი თემის მიზანს წარმოადგენს კაცხის სვეტის როლის შესწავლა რელიგიურ-მომლოცველობითი ტურიზმის განვითარების საქმეში.

„ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზე არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“- წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

ჭიათურის მახლობლად, სოფელ კაცხში, მდინარე კაცხურის ხეობაში 40-45 მეტრიანი კირქვის სვეტია აღმართული. მას, სოფლის სახელწოდებიდან გამომდინარე, კაცხის სვეტი უწოდეს. როგორც აკადემიკოსი ა. შანიძე განმარტავს, კაცხი სვანური სიტყვაა და მწვერვალს ნიშნავს. სავარაუდოდ ადრე ამ ადგილას ერთიანი კლდოვანი მასივი იყო, ტექტონიკური ძვრების შედეგად მთა ჩამოიშალა და მის ადგილას სვეტი დარჩა. იგი, როგორც ბუნებრივი წარმონაქმნი, წითელ წიგნშია შეტანილი. როგორც აღვნიშნეთ, სვეტი დაახლოებით 40-45 მეტრის სიმაღლისაა, ხოლო მისი თხემის ფართობი დაახლოებით 150 კვ. მ-ს შეადგენს. სვეტი ძირითადად შვეულად არის აღმართული. ძირთან სვეტი გამოფიტულია და უფრო ვიწროა, ვიდრე მისი ზედა ნაწილი, რაც კიდევ უფრო მიუვალს ხდის მას.

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კაცხის სვეტი თავდაპირველად მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელს წარმოადგენდა, თუმცა ეს მოსაზრება საყოველთაოდ არაა გაზიარებული სათანადო არგუმენტების არქონის გამო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ეკლესია. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილობრივად მოპოვებული, უხეშად დამუშავებული ქვით, ხოლო მეორე (VI ს.) ნაგებია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი კვადრებით. ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევარები უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI საუკუნეში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რომელთანაც საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. უკიდურესად ასკეტური საბერმონაზვნო ცხოვრების წესის ფუძემდებელია სვიმონ მესვეტე უფროსი (356-459 წ.წ.), რომელიც ანტიოქიის აღმოსავლეთით, ალეპოს სიახლოვეს ქვით აგებულ მაღალ სვეტზე დამკვიდრდა და ცხოვრების დიდი ნაწილი ამ სვეტზე გაატარა.

კაცხის სვეტის მონასტერი ძლიერ წააგავს თესალიაში (საბერძნეთი) არსებულ მეტეორას მონასტრებს, რომლებიც ამდაგვარ მიუდგომელ კლდეებზეა აშენებული. სიმბოლურად ისინი ცისა და მიწის შემაკავშირებელ ადგილს წარმოადგენენ. არავინ იცის, ზუსტად როდის დაიწყო ან როდის შეწყდა რელიგიური ცხოვრება კაცხის სვეტზე, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ ბერები აღარ მოღვაწეობდნენ. XVIII საუკუნეში კაცხის სვეტი კარგა ხნის მიტოვებული იყო.

კაცხის სვეტი უძველესი დროიდან იქცევდა ადამიანების ყურადღებას. ქრისტიანობამდე სვეტი წარმართული კულტის - ნაყოფიერების ღვთაების დანიშნულებას ასრულებდა. ვახუშტი ბატონიშვილი კაცხის სვეტის შესახებ წერს: ,,ნაკერპთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესე ვითარივე იყო განცხრომა - როკვანი, ამისთვის აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარობიდან მუნ ვითარცა აწფერხისა სიმღერითა - გაათენიან“. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სვეტი წარმართულ ღვთაებათა პანთეონს სამუდამოდ გამოეყო. ამას ადასტურებს სვეტის ძირში გამოკვეთილი ბოლნური ტიპის ჯვარი, რომელიც არაუგვიანეს VI საუკუნით თარიღდება. კლდოვან სვეტზე - ძელი ცხოველის ბუნზე და საფეხურებიან პოსტამენტზე შემდგარ, მედალიონში ჩაწერილ ჯვრის რელიეფს პარალელები ბოლნისსა და სირიაში მოეპოვება.

კაცხის სვეტის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო. 1944 წლის 30-31 ივლისს სვეტზე პირველად ავიდა ექსპედიცია ალპინისტ ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის შემადგენლობაში იყო ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა, რომელმაც ამ ისტორიულ ასვლას მიუძღვნა პუბლიცისტური ნარკვევი ,,კაცხის სვეტის საიდუმლო“. ალექსანდრე ჯაფარიძის მეთაურობით ასულმა ალპინისტებმა სვეტის თხემზე მცირე გათხრები ჩაატარეს და აღმოაჩინეს საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მასალა, ხოლო დასავლეთის მხარეს, როდესაც სარკოფაგის გაწმენდა დაიწყეს, წააწყდნენ ადამიანის ნეშტს, მუხის ფესვები ისე ყოფილა ძვლებზე გადაჭდობილი, ძლივს გამოიტანეს ამ სარკოფაგიდან. ალბათ, ეს უკანასკნელი მესვეტის ჩონჩხი იყო.

1972 წელს დიდხნოვანი ცაცხვის წაქცევის შემდეგ შემთხვევით გაიხსნა ხის ფესვების ქვეშ არსებული კრიპტა (აკლდამა), სადაც ასევე აღმოჩნდა არქეოლოგიური მასალა. 1997 წელს ამ ტერიტორიაზე აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება. საჭირო გახდა სამონასტრო ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ეკლესიების (ქვედა და სვეტის) აღდგენა.

2007 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით დაიწყო სვეტზე არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2007 წელს კაცხის სვეტზე არსებულ ნანგრევებში მამა მაქსიმემ აღმოაჩინა კირქვის მცირე ქვათლილი, რომელზეც ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკაწრული. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნით თარიღდება. საინტერესოა მისი შინაარსი, რომელიც ამ მცირე მონასტრის მრავალ საინტერესო საკითხს ფენს შუქს. ნაპოვნი ქვის წარწერა გვამცნობს: „ქრისტე ღმერთო, მეოხებითა მშობელისა შენისათა და ძალისა ჯვარისა წმიდისათა და ზეცისა ძალისა და ყოველთა წმინდანთა შენთათა, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა გიორგისი, რომელმან აღაშენა სამნი ესე სახლი სადიდებლად, შეწევნათ დაყუდებულად შენთა, წმიდისა ძელისა ცხოვრებისა და განსასვენებლად მსახურთა მისთა“. ამით კაცხის სვეტზე XIII საუკუნეში მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპი დასტურდება.

დღეს სვიმონ მესვეტის სახელობის მონასტერში ოთხი ბერი და სამი მორჩილი მოღვაწეობს. აქედან მამა მაქსიმე (ქავთარაძე) წელიწად-ნახევარი იქნება, რაც კაცხის სვეტზე ცხოვრობს, რადგან ის მესვეტეობის ადგილია.

ჩვენი კვლევის ობიექტი კაცხის სვეტია, გვინდოდა ჩვენი თვალით გვენახა დღევანდელი სახე - „ბუნების ძეგლისა“. გასული წლის 30 ნოემბერს განვახორციელეთ ჩანაფიქრი, ვესაუბრეთ მამათა მონასტრისა და სვიმონ მესვეტის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, იღუმენ ელიზბარს (ყურაშვილს). იგი დაგვეხმარა იმის გარკვევაში, თუ რა ადგილი უჭირავს დღეს კაცხის სვეტს რელიგიურ ტურიზმში და რამდენად მნიშვნელოვანია სვეტის არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის. მისი აზრით, კაცხის სვეტი რელიგიური ტურიზმისთვის უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან იგი საქართველოში ერთადერთი ბუნებრივი სვეტია, რომელზეც მონაზვნური ცხოვრება (მესვეტეობა) მიმდინარეობს. მესვეტეობა ძალიან მკაცრი მოღვაწეობაა, აქ დიდი მადლი ტრიალებს, ამიტომ სულიერი თვალსაზრისით კაცხის სვეტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მომლოცველობით ტურიზმში. ამავდროულად, კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ იმ ფაქტს, რომ კაცხის სვეტი, როგორც ბუნებრივი წარმონაქმნი, წითელ წიგნშია შეტანილი.

როგორც გაირკვა, კაცხის სვეტი მნახველებს სეზონურად მასპინძლობს. თუმცა, ისინი იქ მიდიან არა როგორც მომლოცველები ტაძარში სალოცავად, არამედ, როგორც დამთვარიელებლები ბუნების წარმონაქმნის სანახავად. თავისთავად, მონასტერს სჭირდება მლოცველი ადამიანები. ისინი თავისი ლოცვით მონასტერს ავსებენ და აძლიერებენ, მაგრამ, როდესაც მოდის ადამიანი არა ლოცვისთვის, არამედ მხოლოდ ფოტოების გადასაღებად, ის არღვევს მონასტრის სიმშვიდეს და მყუდროებას, ამიტომ მესვეტე მამა მაქსიმეს გადაწყვეტილებით სვეტის თხემზე მნახველები აღარ დაიშვებიან.

რაც შეეხება უცხოელ ტურისტებს, როგორც მამა ელიზბარმა ბრძანა, მათი სტუმრობა არცთუ ისე ხშირია, ერთ-ერთ მიზეზად კი ასახელებს იმას, რომ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია სპეციალური ტურისტული ინფრასტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ შეიძლება ტურისტი არ მიდიოდეს იქ სალოცავად, მაგრამ იმითაც მოხარულია, რომ ისინი იქ მიდიან „სვეტის“, როგორც ბუნებრივი წარმონაქმნის სანახავად. იმისათვის, რომ რელიგიური ტურიზმის განვითარება ზიანის მომტანი არ იყოს სამონასტრო კომპლექსისათვის და არ დაირღვეს მონსატერში არსებული სიმშვიდე და მყუდროება, საჭიროა გამოიყოს გარკვეული დრო ტურისტების მისაღებად. ე. ი. ტურისტულმა სააგენტომ საჭიროა იზრუნოს გამტარუნარიანობაზე. კაცხის სვეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ბუნებრივი ბზის ტყე, ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სულიერი ცხოვრების გამო ეს ადგილი მადლიანია. ამავდროულად, სოფელი კაცხი განსაკუთრებული კლიმატური პირობებით არ გამოირჩევა, ზამთარში იცის უხვი თოვლი, მაგრამ არსებული კლიმატი ტურისტებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

მართლაც, კაცხის სვეტი გახლავთ ჩვენი მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური ძეგლი, რომლის მსგავსი ძეგლიც საქართველოში არ მოგვეპოვება. თავისი წარმოშობითა და ადგილმდებარეობით კაცხის სვეტი ძალზე საინტერესო და თავისებურია. საუკუნეების წინ მიტოვებული და ყველასაგან მივიწყებული კაცხის სვეტი, დღეს უკვე ქვეყნის საკვირველება და სიამაყეა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტურისტული თვალსაზრისით კაცხის სვეტის პოპულარიზაცია გამოიწვია ქართულ-ლიტვურმა სერიალმა „ღვინის გზამ “, რომელშიც გამოყენებული იყო კაცხის სვეტის კადრი.

რელიგიური ტურიზმი საქართველოში მოტივირებულია: ქრისტიანულ სიწმინდეებთან ზიარებით და მადლის მიღებით; ღმერთთან მიახლოებისა და საკუთარი სულიერების გამდიდრების სურვილით; განკურნებით და სულიერი გაჯანსაღების მიღწევით; რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობით; წმინდა ნაწილების და განსაკუთრებული ძალის მქონე ხატებისათვის პატივისცემის მიგების გზით; ცხოვრების სიძნელეებთან გასამკლავებლად ძალის მოკრეფის იმედით.

ამრიგად, მომლოცველობის საფუძველი და მოტივაციები ქართულ სინამდვილეში შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ:

1. მორწმუნის მოთხოვნილებაა ეზიაროს სიწმინდეებს, წმინდა ადგილები ახდენენ მორწმუნეებზე სასარგებლო და პოზიტიურ გავლენას. გარდა ამისა, ყველა მორწმუნეში არის სურვილი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ადგილების საკუთარი თვალით ხილვისა და მისგან მადლის მიღებისა;

2. მორწმუნეებს გააჩნიათ სულიერი სრულყოფის მოთხოვნა, ამიტომაც, ათასობით ადამიანი განურჩევლად ასაკისა, იღებს შვებას წმინდა სალოცავების მონახულებით, წმინდა ადგილების აურა, სიწყნარე და იქ არსებული წესრიგი საშუალებას აძლევს ადამიანებს მიუახლოვდეს ღმერთს და გაიმდიდროს საკუთარი სულიერება;

3. მორწმუნეები მომლოცველობის შედეგად იღებენ სულიერ საზრდოს და რჩევებს. საყოველთაოდ ცნობილია დიდი რწმენის მქონე ადამიანების მიერ წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ მათი განკურნება და სულიერი გაჯანსაღების მიღწევა;

4. მომლოცველობა საუცხოო საშუალებაა რელიგიაში განათლების მისაღებად, წმინდა სალოცავები და რელიგიური ცხოვრება იძლევა პასუხს ყველაზე რთულ კითხვებზე, რაც აინტერესებს ახალგაზრდობას. არაერთი შემთხვევა ყოფილა ადამიანის ნარკომანიის, ლოთობისა და სხვა ცოდვებისგან განთავისუფლებისა. ქრისტეს მოძღვრების სწავლა და შემეცნება ხდება არა მხოლოდ კითხვის მეშვეობით, არამედ რწმენით. სულიერი ამაღლება ხშირ შემთხვევაში სიწმინდეებთან სიახლოვით და მათგან გადმოსული მადლით ხდება;

5. მორწმუნენი ილტვიან წმინდა ადგილებში, წმინდა ნაწილების და განსაკუთრებული ძალის მქონე ხატებისათვის პატივის მიგებისთვის, ეს არის საუკეთესო საშუალება მძიმე (უმრავლეს შემთხვევაში უმძიმესი), რეალური ცხოვრებიდან მოხდეს სიკეთის, სიყვარულის, ქრისტიანული ერთობის სამყაროში, რაც ყოველდღიურობაში დაბრუნებულ ადამიანს აძლევს ძალას გაუმკლავდეს ცხოვრების უკუღმართობას, მარტოობას და სხვა სოციალურ სიდუხჭირეს. იმავდროულად, რელიგიური ტურების შეთავაზებისას, სასურველია გათვალისწინებულ იქნას საეკლესიო დღესასწაულები, რომლებშიც ტურისტები შეძლებენ უშუალო ჩართვას.

საქართველოს საპატრიარქო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოსა და დეპარტამენტს შორის შეთანხმებას უკვე მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც რელიგიური ტურიზმის განვითარება დაიგეგმა. არსებობს გარკვეული პუნქტები, რომლებზეც არის შეთანხმება. პროექტი უზრუნველყოფს, რომ მოხდეს ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზის ურთიერთგაცვლა, ერთობლივად შეადგინონ საინფორმაციო ბუკლეტები და საინფორმაციო გვერდი, დადგინდეს მომლოცველთა ტურისტული მარშრუტები, მომზადდეს ვიდეო და აუდიო მასალები და შეიქმნას მომლოცველთა სახლები (ანუ მონასტერთან არსებული სასტუმროები).

როგორც ცნობილი ქართველი პოეტი შოთა ნიშნიანიძე კაცხის სცეტის შესახებ წერდა: „აქ ისეთი სიმშვიდეა, ღვთის ისეთი წყალობანი, არ იქნება არ მოგესმას, ანგელოზთა გალობანი!“

ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., ხუტიშვილი თ., ხომერიკი გ., ვერბერცკი ი., ტურიზმის შესავალი, თბ., 2008.
2. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია, თბ., 2010.
3. ხომერიკი გ., ტურიზმი, თბ., 2008.
4. ოქროპირიძე ა., ვადაჩკორია გ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2011.
5. მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“, №19, 12-25 სექტემბერი, 2013.
6. http://ka.wikipedia.org
7. http://chiatura.ge
8. http://ka.wikibooks.org

ვიტამინების მნიშვნელობა ადამიანისათვის და მათი შემცველობა ხე და ბუჩქოვან მცენარეებში

თამარ თომაშვილი, ნათია ჯალაბაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** პროფესორი

მცენარეში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია ვიტამინები. ისინი არეგულირებენ ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებს, ამაღლებენ ორგანიზმის დაავადებისადმი გამძლეობის უნარს; მონაწილეობენ ისეთ პროცესებში, როგორიცაა ზრდა-განვითარება, რეპროდუქციული ფუნქცია, გულის კუნთისა და ნერვული სისტემის ფუნქციონირება, ჭრილობების შეხორცება, რეგენერაცია და სხვ. (1, 2).

ვიტამინების ნაკლებობა იწვევს მრავალ დაავადებას, რადგან ისინი აუცილებელია ორგანიზმის ზრდა-განვითარებისათვის, ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის. ორგანიზმში ვიტამინების დეფიციტი შეიძლება შეიქმნას არასრულფასოვანი პროდუქტებით კვებისას. ვიტამინების ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს მათზე ორგანიზმის გადაჭარბებულმა მოთხოვნამაც (ფიზიკური დატვირთვა, ორსულობა და სხვ.). ჰიპოვიტამინოზი (ვიტამინების ნაკლებობა) იწვევს მთელ რიგ დაავადებებს: სურავანდს, ბერი-ბერს, რაქიტს, „ქათმის სიბრმავეს“ და სხვ., უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზეც: ადამიანი ხდება აგრესიული, ადვილად ღიზიანდება, იტანჯება უძილობით, უქვეითდება მეხსიერება, შრომისუნარიანობა.

ვიტამინები ორგანიზმში ასრულებენ ქიმიური გარდაქმნების კატალიზატორების ფუნქციას და საკვებთან შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით მოიხმარებიან. მათ ახასიათებთ განსაკუთრებით მაღალი ბიოლოგიური აქტივობა ასაკის, სქესის, შრომით საქმიანობასთან დამოკიდებულების მიხედვით. ვიტამინები ადამიანს ესაჭიროება წლის ნებისმიერ დროს, ყოველდღიურად რამდენიმე მკგ–დან მგ–მდე. მაგალითად, ვიტამინი C – დღიური ნორმა ფართო ფარგლებში მერყეობს და შეადგენს 48-100 მგ–ს (2).

ორგანიზმის მიერ ვიტამინების ათვისების უნარი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მათი ხსნადობის უნარზე, რომლის მიხედვით ისინი ორ ჯგუფად იყოფიან: ცხიმში ხსნადი და წყალში ხსნადი ვიტამინები. ჩვენ შევეხებით აღნიშნული ჯგუფების ზოგიერთ წარმომადგენელს:

ვიტამინი A – ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში. იგი არის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში (თევზის ქონი, ღვიძლი, რძის პროდუქტები და სხვ.) და მასზე სადღეღამისო მოთხოვნილების დაახლოებით ნახევარი ამ პროდუქტების ხარჯზე იფარება, დანარჩენი ნაწილი კი ანაზღაურდება მცენარეული პროდუქტებით, რომელიც მათში კაროტინის (პროვიტამინი A) სახითაა წარმოდგენილი. ვიტამინ A–ს აქვს ორგანიზმში დეპონირების უნარი, ამიტომ მიზანშეწონილია ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში აღნიშნული ვიტამინის შემცველი ბევრი პროდუქტის მიღება (2).

დიდია ვიტამინ A–ს მნიშვნელობა ადამიანისათვის. მისი უკმარისობის პირველი ნიშანია მხედველობის დაქვეითება, განსაკუთრებით ღამით (ქათმის სიბრმავე) ან საერთოდ დაბრმავება, ზრდის შეჩერება, იმუნიტეტის დაქვეითება, კანისა და ლორწოვანი გარსის გარქოვანება, გამოფიტვა, ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა. ვიტამინი A და მისი წინამორბედი კაროტინები ავლენენ ანტიოქსიდანტურ და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას (3,4).

ვიტამინი C უმნიშვნელოვანესია ორგანიზმისათვის. მისი პროდუცენტია მცენარე. ის პირველად გამოყვეს კომბოსტოდან (მასში საკმაო რაოდენობითაა ვიტამინი C) წყალში კარგად ხსნადია, ფარმაკოლოგიურად აქტიურია და დიდ როლს ასრულებს ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა–აღდგენის რეაქციებში. ვიტამინი C ხასიათდება აღმდგენი თვისებებით, აჩქარებს ქსოვილების რეგენერაციას, მონაწილეობს ნახშირწყლების ცვლაში, სისხლის შედედებაში, სტეროიდული ჰორმონების წარმოქმნაში, ზრდის ორგანიზმის გამძლეობას დაავადებებისადმი, განსაკუთრებით ეფექტურია სურავანდისას, ახასიათებს დეზინტოქსიკაციის დიდი უნარი. ინგლისელ მოგზაურ ჰუკს უთქვამს „სურავანდით არ კვდება ის, ვინც მჟავე კომბოსტოს ჭამსო“ (ვიტამინი C მდგრადია მჟავე არეში) (2,3,4).

როგორც აღვნიშნეთ, ვიტამინების სინთეზი ხორციელდება უმაღლეს და ზოგიერთ დაბალ საფეხურზე მყოფ მცენარეთა მწვანე ნაწილებში. ადამიანი მას ძირითადად იღებს მცენარეული და ნაწილობრივ ცხოველური საკვებიდან. მცენარეული ნედლეული არის ადამიანის ორგანიზმისათვის ვიტამინების უძვირფასესი წყარო, რადგან მათი გამოყენებისას პრაქტიკულად გამორიცხულია დოზის გადაჭარბება და გვერდითი მოვლენები, რომლებიც გარდაუვალია სინთეზური პრეპარატების ხანგრძლივი და უკონტროლო გამოყენებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია ხე და ბუჩქოვანი მცენარეების იმ სახეობებში, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებული საქართველოში, მათ შორის შიდა ქართლში (იხ. ცხრილი 1) და დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის კვებასა და სამკურნალოდ გამოყენებაში, პროვიტამინ A–ს (კაროტინი) და ვიტამინ C–ს შემცველობაზე არსებული ლიტერატურული მონაცემების (2,3,5,6) გაანალიზება და მათი კონცენტრატორი მცენარეების გამოვლენა.

ჩვენ მიერ შესასწავლი ვიტამინების შემცველობა ზემოთ აღნიშნული მცენარეების ნაყოფებში (მწიფე) მოტანილია პირველ ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ საკვლევ მცენარეთა სახეობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი დაგროვების მიხედვით. კერძოდ, კაროტინის ცვალებადობის დიაპაზონი 0,5-180 მგ/100გ, (3) ანუ სხვაობა მაქსიმალურ და მინიმალურ შემცველობას შორის თითქმის ოთხასის ჯერადია. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ავტორების (5,6) მონაცემებითაც. ვიტამინ C–ს შემცველობის დინამიკა სახეობებთან დაკავშირებით თითქმის ასჯერადია (2,3,5,6). ამასთან, ჩვენი დაკვირვებით, კენკროვანებში ორივე სახის ვიტამინის შემცველობა კენკროვნებში მნიშვნელოვნად მაღალია ხე–მცენარეებში მათ დაგროვებასთან შედარებით. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეთა სახეობების გენეზისსა და მათ ბიოლოგიურ თავისებურებებთან.

შესასწავლი მცენარეებიდან კაროტინის მაქსიმალური შემცველობით გამოირჩევა ქაცვის ნაყოფები – 10-180 მგ, შედარებით მაღალი ოდენობაა ცირცელის – 9-20 მგ/100გ, ასკილის – 2,6-9,75 და გარგარის – 1,6 მგ/100გ ნაყოფებში, ხოლო ალუჩისა და მსხლის ნაყოფებში – მხოლოდ კვალია.

რაც შეეხება ვიტამინ C–ს, მისი მაქსიმალური შემცველობა დაფიქსირდა ასკილის ნაყოფებში – 470-6000 მგ/100გ. მაღალი შემცველობა აღინიშნა შავი მოცხარის და ქაცვის ნაყოფებში, შესაბამისად 200-4000 და 200-900 მგ/100გ. ფარგლებში. ე.ი. ასკილის ნაყოფში ვიტამინ C–ს შემცველობა ქაცვისა და შავი მოცხარის ნაყოფში მათ კონცენტრაციასთან შედარებით, საშუალოდ შესაბამისად 6 და 2–ჯერ მეტია.

აღნიშნული ვიტამინის რამდენადმე მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა აგრეთვე წითელი მოცხარის, ცირცელის, მარწყვის, მოცვის, ჟოლოს და შავი კუნელის ნაყოფში (იხ. ცხრილი 1).

ამასთან, როგორც პირველი ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, მნიშვნელოვანი განსხვავება ვიტამინების შემცველობაში გამოვლინდა აგრეთვე თვით მცენარეთა სახეობების შიგნით. სახელდობრ, კაროტინის შემცველობა წითელ კუნელსა და წითელ მოცხარში რამდენადმე მაღალია მათ შავნაყოფიან ჯიშებთან შედარებით, შესაბამისად 21,2 და 66,7%. აღნიშნულ მცენარეებში შეიმჩნევა აგრეთვე სხვაობა ვიტამინ C–ს დაგროვებაში, ოღნდ შავი ფერის ნაყოფების უპირატესობით.

საკვლევი მცენარეები კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობის მიხედვით შეიძლება დავაწყოთ შემდეგი კლებადი რიგით:

ქაცვი – ცირცელი – ასკილი გარგარი

ხოლო ვიტამინ C–ს კონცენტრირების მხრივ შესწავლილი მცენარეები განლაგდება შემდეგი კლებადი რიგით:

ასკილი – შავი მოცხარი – ქაცვი – წითელი მოცხარი – ცირცელი – მარწყვი – მოცვი – ჟოლო – შავი კუნელი

ცხრილი 1

ვიტამინების შემცველობა ხე და ბუჩქოვანი მცენარეების ნაყოფებში
მგ/100გ

№	მცენარე	კაროტინი				ვიტამინი C			
		2	3	5	6	2	3	5	6
1	ალუბალი – Gerasus vulgaris Mill	–	–	–	0,10	–	–	–	15
2	ალუჩა – Primus divericeta Leb	–	–	–	კვალი	–	–	–	13
3	ატამი – Persica vulgaris Mill	–	–	–	0,50	–	–	–	10
4	ვაშლი – Malus, domestica Borkh	–	–	–	0,01	–	–	–	13
5	მსხალი – Purus sp. div. cult.	–	–	–	კვალი	–	–	–	5
6	კომში – Cydonia oblenga Mill	–	–	–	0,40	–	–	–	30
7	გარგარი – Armenica vulgaris Mill	–	–	–	1,60	–	–	–	10
8	შინდი – Cornus mas L.	–	–	–	–	–	–	–	25
9	ასკილი – Rosa canina L.	–	9,75	3,35	2,6	2500–4800	6000	476	470
10	ქაცვი – Hippophae rhamnvides L.	–	180	13,25	10,0	–	900	216	200
11	ცირცელი – Sorbus aucuparia L.	18	20	–	9,0	40-100	–	–	70
12	შავი მოცხარი – Ribes migrum L.	–	–	0,25	0,10	570	4000	615,7	200
13	წითელი მოცხარი – Ribes idaus L.	–	–	0,40	0,20	–	–	383	25
14	ხურტკმელი – Cross	–	–	–	0,20	–	–	–	30
15	მაყვალი – Rubusalaria reelinata (L.) Mill	–	–	0,20	0,10	–	–	6	15
16	მარწყვი – Fragoria vesca L.	–	0,5	0,20	0,03	–	50	42	60
17	ჟოლო – Rubus idaeus L.	–	–	0,32	0,20	250	45	45	25
18	წითელი კუნელი – Grataegus monogina Jacq.	–	0,5	4,17	–	–	–	26	–
19	შავი კუნელი - Grataegus pentagina Waldst	–	–	3,44	–	–	–	35	–
20	მოცვი - Vaccinium myrtilus L.	–	1,6	0,15	–	–	250	37	40

მაშასადამე, კაროტინის დაგროვების მაღალი უნარით გამოირჩევა ქაცვის, ცირცელის, ასკილის, ხოლო C ვიტამინის – ასკილის, შავი მოცხარის, ქაცვის, წითელი მოცხარის, მოცვის, ჟოლოს ნაყოფები.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას პროვიტამინ A და ვიტამინ C–ს ნაკლებობის შევსებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:
1. ალექსიძე ნ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თბ., 2005.
2. ერისთავი ლ., ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). თბილისი, საქართველოს მაცნე, 2005.
3. Ловкова М.Я. и др. Почему растения лечат, М., Наука, 1990.
4. Девис М., Осмин Дж., Патридж Д.. Витамин С, Химия и биохимия, Пер. с анг. М., Мир, 1999.
5. გოგინაშვილი ნ., გოგინაშვილი ქ., წკრიალაშვილი ე., ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა კენკროვან მცენარეებში (შიდა ქართლის პირობებში), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის „განათლება და ინოვაცია“ კრებული, გორი, 2012.
6. Химический состав пищевых продуктов, Под. ред. академика АМН СССР А.А. Покровского, М., Пищевая промышленность, 1976.

ქვევრის ღვინო J მსოფლიო საგანძური

მარი კეჩხუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ისტორიულად, ძველი დროიდან მოყოლებული, საქართველოს თვლიან „მევენახეობის აკვნად“. ღვინის სამშობლო რომ საქართველოა, ამას უამრავი არქეოლოგიური აღმოჩენაც მოწმობს. არქეოლოგიური კვლევის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ყურძნის წიპწები, რომელთა ასაკი 8000 წელს ითვლის. სხვა არქეოლოგიური მიგნებები - ღვინის შესანახი ჭურჭელი, ყურძნის საჭყლეტები, ნიადაგის დამუშავების იარაღები, - ადასტურებენ იმას, რომ საქართველო არის ყურძნის, ვაზისა და მეღვინეობის კულტურის უძველესი კერა.

მეღვინეობა არის საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი. ჩვენთვის ცნობილია რომ წმინდა ნინო საქართველოს მოევლინა ვაზის ჯვრით ხელში და დღემდე საქართველოში ვაზი რჩება ქრისტიანობის სიმბოლოდ. ვფიქრობთ, რომ დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდენციებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ღვინის ტურიზმში. წარმოდგენილი თემის აქტუალურობას ქართული ქვევრის ღვინისათვის იუნესკოს მიერ „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის“ სტატუსის მინიჭება წარმოადგენს. ჩვენი თემის მიზანია ქვევრის ღვინის, როგორც მსოფლიოში პირველი არამატერიალური კულტურული ძეგლის მნიშვნელობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული წარმოჩინებისა და მისი როლის შესწავლა ქვეყნის ტურიზმის განვითარების საქმეში. ნაშრომს გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა საინტერესო იქნება არა მარტო მეცნიერთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევით მცირეოდენი წვლილი შეგვაქვს ამ მნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საუკეთესო გარემოს ქმნის მაღალხარისხიანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით ტერიტორია იყოფა შემდეგ მიკროზონებად: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-სამეგრელო, აფხაზეთი და აჭარა. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს შიდა ქართლის ქვევრის ღვინო.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთი მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია, არანაკლებ გამოირჩევა შიდა ქართლიც. იგი ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ქართლს, ისევე როგორც სხვა რეგიონებს აბორიგენული ჯიშები სძენს განსაკუთრებულ ხასიათს. თეთრი ჯიშებიდან აღსანიშნავია -ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური, შავკაპიტო და საფერავი. საბედნიეროდ, დღეს შემორჩენილია ტრადიციული ღვინის დაყენების მეთოდი, რაც პოპულარულს ხდის რეგიონს ქვეყნის მასშტაბით.

ალბათ ორიგინალურები არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ვაზის აბორიგენული ჯიშები სწორედ იმ კუთხეების ტრადიციებსა და ისტორიას იმეორებს, სადაც ისინი ოდითგანვე

ხარობდნენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართლის ცნობილი ვაზის ჯიში - ჩინური. ჩინური შიდა ქართლის აბსოლუტურად ყველა რაიონშია გავრცელებული. თუმცა, ისტორიულად ცნობილია, რომ ჩინურის ვენახებს განსაკუთრებულად დიდ ფართობებზე მაინც გორელი და კასპელი გლეხები აშენებდენ. ასევე ძალიან პოპულარული იყო ე.წ. „ატენური ღვინო“, რომელსაც, როგორც წესი, ქართლის ორი ჯიშის - გორული მწვანისა და ჩინურის შერევით ამზადებდნენ. საბჭოთა პერიოდიდან საზოგადოება ჩინურს იცნობდა, როგორც მსუბუქ, ევროპული ტიპის ღვინოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ასეც არის, მაგრამ ამავე დროს ამ ჯიშს ტრადიციული წესით ჭაჭასთან ერთად დავარგების პოტენციალიც გააჩნია.

ქართლში, კერძოდ კი ფრონეს ხეობაში, არსებობდა ერთი ნაკლებად ცნობილი ხალხური სიმღერა, რომლის ტექსტშიც ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „ქვევრში ჩინური მისხია - კაათა მაქვ ცხოვრებაი“. ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ ქართლში, თუკი გლეხს ჩინურის ღვინო ჰქონდა, შეეძლო თავი მთელი წლის მანძილზე დამშვიდებულად ეგრძნო. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქართლელი გლეხის ბედნიერებისა და კმაყოფილების საზომი ჩინურის ღვინის ქონა-არქონა იყო.

ქვევრი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობაა. მისგან ბევრს ელიან და მიაჩნიათ, რომ ქვევრის ღვინო თანამედროვე ერთფეროვან ბაზარს გაამრავალფეროვნებს. ეს უძველესი საღვინე ჭურჭელი ახლა მრავალი ქვეყნის მეცნიერთა შესწავლის საგანია, რასაც თან ახლავს დასკვნები ქვევრის ღვინის საუკეთესო თვისებების შესახებ. უცხოელი მეღვინეები ქვევრს თანდათან საპატიო ადგილს უთმობენ თავიანთ მარანში. დისტრიბუტორები კი საქართველოდან ქვევრის ნატურალური ღვინოების ექსპორტს ზრდიან.

როდესაც ჩვენ ქვევრებზე და მათ წარმომავლობაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს თავად ის, თუ რას ემსახურება ქვევრი. რა თქმა უნდა, ეს არის ღვინო, ხოლო, როდესაც ქვევრის ღვინოს განვიხილავთ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუმცა ქვევრები მთელს საქართველოს მთასა თუ ბარში გვხვდება, მაგრამ ღვინის დაყენების ტექნოლოგია თითქმის ყველა კუთხეში, რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, განსხვავებულია. ძველად არსებობდა ქვევრებში ღვინის დაყენების კახური, ქართლური, იმერული და მესხური წესები. ყველა ის წესი, რომელსაც მიმართავდნენ ამა თუ იმ კუთხეში, როგორც ითქვა, რიგი ფაქტორებიდან გამომდინარეობდა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ნიადაგების ტიპები, კლიმატური პირობები, ადათ-წესები და სხვა გარე თუ შიდა ფაქტორები. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში გათვალისწინებული იყო თავად ყურძნის მოსავლის წელი და მისი ქიმიური შედგენილობა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ, მაგალითად, კახეთში, ქვევრებში ყურძენს, მთლიანი ჭაჭიანად ათავსებდნენ დასადუღებლად, ხოლო იმერული ღვინის შემთხვევაში, ალკოჰოლურ დუღილში მონაწილეობდა ჭაჭის მხოლოდ ერთი მესამედი და ა.შ. როგორც უკვე ითქვა, ამ ყოველივეს ის ადგილიც განაპირობებს, სადაც ამა თუ იმ მხარის ჯიშის ყურძენია მოწეული. ძალიან ბევრ ადამიანს უჩნდება კითხვა, თუ რითია გამორჩეული ქვევრებში დაყენებული ღვინო სხვა ღვინისაგან? ამ შემთხვევაში, ჩვენს მიზანს სულაც არ წარმოადგენს, ვისაუბროთ და განვიხილოთ სხვა ღვინოების ნაკლოვანებები ქვევრის ღვინოსთან შედარებით, რაც ნამდვილად არასწორი იქნებოდა, არამედ ყურადღებას გავამახვილებთ ქვევრის ღვინის იმ სიკეთეზე და ორიგინალური მეთოდების სათუთად შენახვა ვფიქრობთ, პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ ღვინოს მსოფლიო მასშტაბით, რადგან ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია მეტად საინტერესოა.

ქვევრი -ღვინის დასაყენებელი და შესანახი უნიკალური თიხის ჭურჭელია, ქართული ღვინისა და ზოგადად ქართული კულტურის ერთგვარი სავიზიტო ბარათი. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქვევრში ღვინოს უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტად აყენებენ. ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი აღმოჩენილია საქართველოში და განეკუთვნება ძვ.წ VI-V ათასწლეულებს. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმა III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე ძირითადად პატარა ქვევრები იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდა და ჰქონდა ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. დღეისათვის კი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კვერცხისებური ფორმის ქვევრები.

ბუნებრივი ტემპერატურული ბალანსი - ქვევრში ღვინის ტემპერატურა შენახვის დადგენილ ზღვარს არ სცილდება და იმას, რასაც ქარხნული მეღვინეობის პირობებში რიგი დანადგარები და დანახარჯები ესაჭიროება, ქვევრებში ბუნებრივადაა დაცული. ტემპერატურულ რეჟიმს არა მარტო ღვინის შენახვისათვის, არამედ ალკოჰოლური დუღილის პროცესისათვისაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ღვინის დადუღება-დავარგება ქვევრში ტემპერატურული რეჟიმის ბუნებრივი ბალანსისა და ალკოჰოლური დუღილისათვის ოპტიმალური ტემპერატურის თავისთავად არსებობის გამო ღვინის დაყენებისას ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ყველა ის პროცესი, რასაც ქარხნულ პირობებში სხვადასხვა დანადგარები და ქიმიური დანამატები ესაჭიროება. ქვევრის უნიკალური ფორმიდან გამომდინარეობს ის, რომ ჭაჭაზე დატოვებული ღვინო არ განიცდის ლექის გავლენას. ალკოჰოლური დუღილის დასასრულს ყურძნის წიპწების დიდი ნაწილი მარცვალს მოსცილდება, იძირება და გროვდება

ქვევრის ძირში. წნევის ზემოქმედებით ყურძნის წიპწას ლექი გადაეფარება რის შედეგადაც ხდება წიპწისა და ღვინის ერთმანეთისაგან იზოლირება. დუღილის დასრულების შემდეგ, რადგან ჭაჭა გარკვეული დროის განმავლობაში არ იძირება მასში ალკოჰოლური დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირორჟანგის არსებობის გამო, მის ჩაძირვას ლექის დალექვა უსწრებს წინ, ხოლო შემდეგ უკვე ჭაჭა იწყებს ჩაძირვას. ამრიგად, ღვინოს შეხება მხოლოდ და მხოლოდ ჭაჭასთან აქვს, საიდანაც მას მაქსიმალურად გამოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებები. იმ ფაქტს, რომ ქვევრის ღვინო ბუნებრივად სტაბილურია, განაპირობებს ის, რომ ქვევრის ღვინო ტანინებით მდიდარია. ტანინი კი თავისთავად ბოჭავს ღვინოში არსებულ ცილებს, რომლებიც ამღვრევენ ღვინოს.

ქვევრის ღვინო ზოგადად გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებასა და შემდგომ დავარგებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენებისა არის ქვევრში ღვინის დაყოვნება თავისავე ჭაჭაზე როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც.

ღვინის დაყენების ტექნოლოგია, რიგი მიზეზების გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში განსხვავებულია. მაგალითად კახეთში ალკოჰოლურ დუღილში მონაწილეობს ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, ღვინის დაყენების იმერული წესი კი გულისხმობს საწნახლიდან ქვევრებში ჩასხმულ ტკბილს დამატებული არა ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, არამედ მაქსიმუმ ერთი მესამედი ნაწილი. დღეს საკმაოდ ბევრი მეღვინე ადუღებს ქვევრში ღვინოს. სანამ ქვევრში ღვინოს ჩაასხამენ, კერამიკული ჭურჭელი შესაბამისად უნდა მომზადდეს. ყურძნის დაწურვა, დაყენება, დადუღება ხანგრძლივი პროცესია. გლეხი ყურძენს საწნახელში წურავს, წვენი კი, კლერტთან, კანსა და წიპწასთან ერთად გადადის ქვევრში. წვენი ქვევრში ორი კვირის განმავლობაში დუღს. სანთითათით ჭაჭას ურევენ ქვევრში. შემდეგ ღვინდება წვენი, რომელიც, კახეთში 3-დან 6 თვემდე გრძელდება. დასავლეთ საქართველოში კი, წვენის დაღვინების პროცესი დროის მცირე ინტერვალის ფარგლებში მიმდინარეობს. რა განასხვავებს ქვევრში დადუღებულ ღვინოს ინდუსტრიული ღვინისაგან? მეღვინეები აღნიშნავენ, რომ ქვევრში ღვინის ტემპერატურა შენახვის დადგენილ ზღვარს არ სცილდება. მევენახეობა-მეღვინეობის მკვლევარი გიორგი ბარისაშვილი აღნიშნავს, რომ ქვევრში ღვინო წლების განმავლობაში ინახება. მას ამის დასადასტურებლად მოჰყავს ცნობილი ისტორიული ფაქტი, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძემ შვილების ქორწილში მათი დაბადებისას დაწურული ღვინით სავსე ქვევრები გახსნა. იგი აქვე განმარტავს, რომ ქვევრში ტემპერატურული რეჟიმის ბუნებრივი ბალანსი და ალკოჰოლური დუღილისათვის ოპტიმალური ტემპერატურა თავისთავად არსებობს. ამის გამო ღვინის დაყენებისას ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ყველა ის პროცესი, რომელსაც ქარხნულ პირობებში სხვადასხვა დანადგარი და ქიმიური დანამატები ესაჭიროება.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენი ხანი უნდა დაყოვნდეს დასავარგებლად ღვინო თავისივე ჭაჭაზე, ამ პერიოდის განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ჯიშს, ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობას, გარემო პირობებს და სხვ. საშუალოდ წითელი ღვინო ქვევრებში მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება, ეს შეიძლება იყოს 7-10 დღე, მაქსიმუმ 2 კვირა. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ. ჭაჭაზე დიდი ხნით დაყოვნებული ღვინო იძენს მუქ ჩალისფერ, ოქროსფერ ან ჩაისფერ შეფერილობას, გამჭვირვალეა და კრიალა, ხასიათდება ხილის ტონებით და ტანინების ზომიერი შემცველობით, არის ბუნებრივად სტაბილური. პირველ ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ქვევრშიც შეიძლება ინდუსტრიული, ქარხნული წესით ღვინის დაყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში ღვინო ზუსტად ისეთივე გამოგვივა, როგორც, მაგალითად, უჟანგავი ლითონის ავზებში დამზადებული. ქვევრი ზედგამოჭრილია ბუნებური მეღვინეობისთვის, რადგან იგი ყველა ჭურჭელთან შედარებით აძლიერებს ღვინის ინდივიდუალობას. ქვევრი ყველაზე არასტანდარტული საღვინე ჭურჭელია, თვითმყოფადია, ამიტომაა, რომ სხვადასხვა ქვევრში დაყენებული ერთი ვენახის ღვინოც კი განსხვავებული გამოდის, თუ, რასაკვირველია, ღვინის დაყენების პროცესში უხეშად არ ვერევით. თუ ქვევრი კარგადაა მოვლილი, აბსოლუტურად ნეიტრალურია ღვინის მიმართ და ამის გამო, გემოს არ გადასცემს. უჟანგავი ჭურჭელიც ამ თვისების მატარებელია, მაგრამ იქ ღვინო არ ვითარდება.

საქართველოში უნდა აღორძინდეს ქვევრის კეთების ხელოვნება, რადგან უქვევროდ ქვევრის ღვინო არ იარსებებს. ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტი კონცენტრაციაა საჭირო ვენახზე, ყურძნის ხარისხზე, რაც თავის მხრივ, ერთი-ორად გაზრდის ქვევრის ღვინოების ხარისხს. გამიხარდება, თუკი საქართველოში ვენახები მთლიანად ორგანული წესით იქნება მოვლილი.

სპეციალისტთა შეფასებით, ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ეს ღვინის დაყენების ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდი ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგიად არის მიჩნეული. ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ თავისი დაცვის ქვეშ შეიყვანა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს

ყოველივე წარმატებით აისახება ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე. მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ, რომ ჩვენ არამარტო გაგვაჩნია ეს 8 ათასწლოვანი ტრადიცია, არამედ ვაგრძელებთ კიდეც.

მთავარი პირობა ისაა, რომ ეს ტრადიცია შევინარჩუნოთ და გავაგრძელოთ. საერთაშორისო საზოგადოება კი ამ ყველაფერს მონიტორინგს გაუწევს. აუცილებელია დამცავი ღონისძიებები, საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, რათა ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდი დაიხვეწოს. აგრეთვე მოხდება განათლების ამაღლება ამ სფეროში და მცირე მეწარმეების წახალისება.

ყველაზე მთავარი ალბათ მაინც საკანონმდებლო მხარდაჭერაა. ჩვენს ქვეყანას ღვინის კანონმდებლობა აქვს და არსებობენ სტრუქტურები, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ. ეს სფერო თუ უფრო გაუმჯობესდება, ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციაც გაგრძელდება. უნდა შეიქმნას აუცილებელი რეგულაციები, რაც ამ ხალხური მეთოდის თაობიდან თაობაზე გადაცემას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. ბასიშვილი გ., ღვინის დაყენება ქვეყანაში, თბ., 2010.
2. ფრუიძე ლ., მეღვინეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
3. ბოჩორხაძე ა., მევენახეობა მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.
4. ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972.
5. http://life.mediamall.ge/?id=83507
6. http://24saati.ge/index.php/category/style/wine/2013-06-09/38622.html

კომპიუტერული ტრაფიკის რეგულირების მეთოდები და უსაფრთხოების ალგორითმები

ანა ლომიტაშვილი, თამარ მინდიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ მშვიდობაძე,** ასოცირებული პროფესორი

კომპიუტერულ ქსელში ჭარბი დატვირთვები, განსაკუთრებით მასობრივი მომსახურების საინფორმაციო-საცნობარო ან ელექტრონულ-კომერციული ხასიათის სერვერებზე ხშირი მიმართვების დროს იწვევენ ქსელის სწრაფქმედების შესამჩნევ შენელებასა და მისი წარმადობის მკვეთრ დაცემას. აქედან გამომდინარე კომპიუტერული ქსელებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საინფორმაციო ნაკადების ოპტიმალური გადაცემების წარმოება ქსელის მრავალრიცხოვან კვანძებს შორის.

აღნიშნულ პრობლემას ასევე, ამძაფრებს ქსელებში შეღწევა და სხვადასხვა სახის სერვერებიდან მომსახურების მიღება მობილური ტელეფონებით. უდავოა, თუ როგორი გადატვირთვებია მოსალოდნელი ტრაფიკის თვალსაზრისით კომპიუტერულ ქსელებში დიდი რაოდენობის მობილური მომხმარებლების მიერთებით, რომელთა რაოდენობა რეალურად ამჟამად უკვე მილიონობითაა და მათი რიცხვი სავარაუდოდ გაიზრდება მილიარდობითაც კი. ქსელის მუშაობაში გადატვირთული რეჟიმების წარმოქმნის დროს ტრაფიკის რეგულირების ეფექტური მეთოდებისა და საშუალებების დამუშავება, მეტად აქტუალურია და ამ კუთხით პრობლემების გადაწყვეტას დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება კლიენტ-სერვერულ მომავალ ურთიერთობებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სტატიაში კვლევის ძირითადი მიზანია დამუშავდეს ქსელის პიკური დატვირთვის დროითი მომენტებისათვის საინფორმაციო ნაკადების ინტენსიობის ცვლილებებით გამოწვეული პულსირებული ტრაფიკის მართვის ახალი მეთოდები, რომლებიც გადაწყვეტენ ქსელის ჰოსტის კვანძებს შორის დიდი რაოდენობის საინფორმაციო პაკეტების სწრაფი და შეუფერხებელი გადაცემის პრობლემებს.

ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები: დეტალურად გაანალიზდეს კომპიუტერული ტრაფიკის გადატვირთვის მიზეზები; მკვეთრად გამოიკვეთოს OSI მოდელის სხვადასხვა დონეებზე საკომუტაციო სისტემების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა; ჩატარდეს საინფორმაციო ნაკადების ინტენსიობების, კავშირის ხაზებისა და საკომუტაციო მოწყობილობების გამტარუნარიანობების ურთიერთდამოკიდებულებების ღრმა ანალიზი; ზუსტად ფორმულირდეს და მკაფიოდ გამოიკვეთოს ნაკადების ინტენსიობის ცვლილებებით გამოწვეული ტრაფიკის პულსაციების რეგულირების პრობლემები. დამუშავდეს საკომუტაციო კვანძებისათვის ბუფერული მეხსიერების ოპტიმალური ორგანიზაციისა და მისი გამოყენების რაციონალური მიდგომები მაღალი ინტენსიობის საინფორმაციო ნაკადების განაწილებისას მართვადი პრიორიტეტული რიგების ფორმირების, ასევე კვანძების გამოსასვლელ ინტერფეისში გასაცემი პაკეტების ოპერატიული დამახსოვრების ეფექტური მეთოდების სარეალიზაციოდ; დამუშავდეს ტრაფიკის ოპტიმალური განაწილების მეთოდები კომპიუტერული ქსელის მაგისტრალური ხაზებისა და სატრანზიტო კვანძების შემაერთებელი სეგმენტების მაღალსიჩქარიანი კომუტაციების საწარმოებლად. ჩატარდეს ბუფერული მეხსიერების ზონალური დაყოფის მეთოდის გამოყენების პრაქტიკული შემოწმება. საჭიროა დამუშავდეს რიგების პრიორიტეტული მართვის მეთოდები ტრაფიკის წონითი კოეფიციენტების მიკუთვნებით და შემდგომში მათი ციკლური გამოკითხვით, შესასვლელ და გამოსასვლელ ინტერფეისებში პაკეტების ოპტიმალური განაწილებისა წინასწარ შერჩეული სტრატეგიების მიხედვით.

საინფორმაციო ნაკადების განაწილების შემოთავაზებული ახალი მიდგომები საშუალებას იძლევიან დამუშავდეს რიგების ფორმირების უფრო ოპტიმალური მეთოდები და სარეალიზაციო ალგორითმები, რომელთა მიხედვითაც ქსელში გადასა-ცემი ტრაფიკის ყველანაირი კლასი უზრუნველყოფილი იქნება გამტარუნარიანობის გარკვეული მინიმუმით, ანდა უზრუნველყოფილი იქნება შეყოვნებების დროს ოპტიმალური გადაცემების რაღაც გარანტიების არსებობა ქსელის გადატვირთულ რეჟიმებში მუშაობის დროს.

ნაკადების განაწილების ამგვარი მეთოდის დროს, ტრაფიკი შეიძლება დაიყოს რამდენიმე კლასად და შესაბამისი წონითი კატეგორიით თითოეული კლასისათვის შემოიტანება პაკეტების ცალკე რიგი. ამასთან, თითოეულ რიგთან დაკავშირებული იქნება არა მარტო მისი პრიორიტეტი, არამედ საკომუტაციო კვანძის გამოსასვლელი ინტერფეისის საერთო გამტარიანობიდან რაღაც პროცენტიც, რომელიც მოცემულ კლასს გარანტირებულად უზრუნველყოფს ამ ინტერფეისის გადატვირთვისას.

პირობითი მნიშვნელობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქსელის საკომუტაციო კვანძის ნებისმიერი გადატვირთვის შემთხვევაში, ამ რიგებს შეესაბამება გამოსასვლელი ინტერფეისის შესაბამისად 10%, 6%, 35%, 25%, 10%, და 15% გამტარუნარიანობა. ტრაფიკის განაწილების შემოთავაზებული ამ მეთოდის მიხედვით რიგების ფორმირება და მათი ოპტიმალური მომსახურების მიზანი მიიღწევა წონითი კოეფიციენტების ციკლური გამოკითხვით გამოსასვლელ წერტილში.

წონითი კოეფიციენტი უნდა გამოითვალოს შესასვლელი ტრაფიკის ინტენსიურობის შეფარდებით იმ გამტარუნარიანობასთან, რომელიც გამოყოფილი აქვს ამ მოცემულ კლასს მისი წონის კოეფიციენტით. შემოთავაზებული მეთოდის დროს რაც ნაკლებია დატვირთვის კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია რიგის საშუალო სიგრძე და მით უფრო ნაკლებია შეყოვნებები ტრაფიკის გადაცემისას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრაფიკის ფილტრაცია კომპიუტერულ ქსელში. მისი მთავარი წესი შემდგომში მდგომარეობს: თავდაპირველად დაიბლოკოს ყველანაირი ტრაფიკი, ხოლო შემდეგ გაიხსნას წვდომა მხოლოდ საჭირო პროტოკოლებსა და IP მისამართებზე. მაგალითად, არ არსებობს ქსელი, სადაც არ იყენებდნენ HTTP ტრაფიკს, ამიტომ ის აუცილებლად დაშვებული უნდა იყოს. ასევე უნდა გაიხსნას DNS პროტოკოლიც, რათა უპრობლემოდ შეიძლებოდეს ინტერნეტ საიტებზე შესვლა. მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება გაიხსნას FTP, Telnet E-mail და სხვადასხვა Remote desktop პროგრამების პორტები.

ყველაზე კარგი და უსაფრთხო გადაწყვეტილებაა ლოკალური ქსელის დაცვა ფაირვოლის საშუალებით. მაგალითისათვის განვიხილოთ Cisco ASA 5520 სერიის ფაირვოლი. მისი მუშაობის მთავარი პრინციპია, დაკვირვება მოახდინოს ყველა იმ პაკეტზე და კავშირზე, რომელიც მისი გავლით ინტერნეტში ხვდება ან ინტერნეტიდან შიდა ქსელში ცდილობს შეღწევას, წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით გაფილტროს ისინი და გაატაროს მხოლოდ სანდო ინფორმაცია.

ჩვენს შემთხვევაში შიდა ქსელში გვაქვს ერთი ვირტუალური ვებ სერვერი, რომელზეც ატვირთულია უბრალო საიტი, გაშვებულია FTP, Telnet და DNS სერვისები. გარე ქსელიდან წვდომა გახსნილია HTTP, DNS და FTP სერვისებზე, დანარჩენი სერვისები დაბლოკილია.



ფაირვოლი იმართება ფიზიკური კომპიუტერიდან (Management), აქვს შიდა ქსელი იპ დამისამართებით: 192.168.10.0/24 რომელშიც მდებარეობს ვებ სერვერი და აქვს გარექსელი (პირობითად: ინტერნეტის მხარე).

განვიხილოთ ქსელის დაცვის მეთოდები ფაირვოლის საშუალებით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციას არ შეუძლია, დამატებითი რესურსები გაიღოს აპარატურის ყიდვაზე. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს როუტერში ჩაშენებული ფაირვოლი. როუტერებზე შეგვიძლია გავააქტიუროთ access list-ი და დავბლოკოთ ტრაფიკი პორტების, იპ მისამართების, სერვისების და დროის მიხედვით. შედარებით ახალ როუტერებს (2900, 3900 სერიის) აქვთ Statefull firewall და Application Firewall-ების შესაძლებლობაც, რაც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ზემოთ ჩამოთვლილი უსაფრთხოების მოთხოვნები მინიმალური რესურსებით.

Access list - ის მაგალითი:

Extended IP access list TestACL
10 permit tcp 192.168.1.0 0.0.0.255 any eq www
20 deny udp host 192.168.1.1 host 8.8.8.8 eq domain
30 deny tcp 192.168.2.0 0.0.0.255 host 192.168.1.1 eq telnet time-range TimeACL (active)
40 permit ip any any

Access list-ს სახელი ჰქვია Test ACL, პირველი ჩანაწერი გვეუბნება, რომ 192.168.1.0/24 ქსელიდან ნებადართულია ვებ პაკეტები ნებისმიერი მიმართულებით. მეორე ჩანაწერი გვეუბნება, რომ 192.168.1.1 ჰოსტს აკრძალული აქვს გაუგზავნოს 8.8.8.8-ს დნს პაკეტები. მესამე ჩანაწერი გვეუბნება რომ ტელნეტი 192.168.2.0/24 ქსელიდან 192.168.1.1 ჰოსტზე აკრძალულია წინასწარ განსაზღვრულ TimeACL დროის მონაკვეთში. სტანდარტულად ყველა access list-ს ბოლოში ეწერება ყველაფრის აკრძალვა, ამიტომ თუ გვინდა რომ არ დაიბლოკოს ყველაფერი, უნდა გავუწეროთ permit ip any any ბრძანება.

ინფორმაციის დაცულობაზე სხვა ალგორითმებიც მუშაობენ:

AES - Advanced Encryption Standard არის DES-ის გაუმჯობესებული ალგორითმი, რომელშიც გამოიყენება სამნაირი, 128, 192 და 256 ბიტის სიგრის გასაღები. ის მუშაობს 128 ბიტიან ბლოკზე.

RSA - წარმოადგენს ალგორითმს, რომელიც ღია გასაღების საშუალებით შიფრავს ინფორმაციას. მისი მუშაობის პრინციპი შემდეგია: პერსონა A უგზავნის პერსონა B-ს საკუთარ ღია გასაღებს (n, e) და თავისთვის იტოვებს დახურულ გასაღებს. B-ს უნდა რომ გაუგზავნოს M ინფორმაცია A-ს. B ირჩევს ისეთ m რიცხვს, რომელიც $0 \leq m < n$, შიფრავს ინფორმაციას და გადასცემს c დაშიფრულს A-ს.

$$C = m^e \pmod{n}$$

A-ს შეუძლია აღადგინოს m საკუთარი დახურული d გასაღების საშუალებით, ხოლო m-ით დააბრუნებს ინფორმაციის ორიგინალს - M.

$m = c \pmod{n}$

ამ და სხვა ალგორითმების დახმარებით შესაძლებელი იქნა შექმნილიყო არხში უსაფრთხოდ გადამცემი პროტოკოლები.

ამგვარად, შემოთავაზებული მეთოდები ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს ყველა სახის ტრაფიკის მომსახურებისათვის, თანაც იძლევა ზემოთ აღწერილი პროცედურების ავტომატიზაციის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია მაღალი ინტენსიობის მქონე საინფორმაციო ნაკადების ოპტიმალური განაწილების ოპერატიულად წარმართვისათვის.

ლიტერატურა:

1. ნატროშვილი ო., ნატროშვილი ნ., AUTOMATED CONTROL SYSTEMS - No2(5), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008.
2. Натрошвили О.Г., Робиташвили Г.А., Габашвили Н.В., Гочиташвили Л.И. -Методологические аспекты анализа приоритетного управления информационными потоками для компьютерных сетей. GEN #2, Tbilisi, 2005
3. ჯანგულაშვილი ი., კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება. თბ.,, 2013.

მათემატიკური ინდუქცია

ცისნამი მელაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი

აზროვნების პრაქტიკის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მსჯელობის უამრავი სახე, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან:

- წინამძღვართა რაოდენობით;
- მსჯელობის ტიპით – მარტივია თუ შედგენილი;
- მსჯელობის სახით – ატრიბუციულია თუ რელაციური;
- დასკვნის ალბათობის ხარისხით – უტყუარია თუ საალბათო.

ინდუქციაში რეალიზდება წამოყენებული ჰიპოთეზების ემპირიული ტესტირება. ამგვარად, მათემატიკის სწავლების პრაქტიკაში, სკოლაში იქნება ეს თუ უმაღლეს სასწავლებელში, საკმაოდ სიღრმისეულად განიხილება დედუქცია, ინდუქცია, ტრადუქცია და აბდუქცია. ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს და პედაგოგიკურ–მეთოდიკური თვალსაზრისით განუმეორებელი მნიშვნელობისაა, მაგრამ მათ შორის სრულიად გამორჩეული და თავისებური ადგილი უჭირავს ინდუქციას. ინდუქციის მეთოდის გამოყენება სიფრთხილეს საჭიროებს, განსაკუთრებით სასწავლო პროცესში.

მათემატიკის სწავლების პრაქტიკაში (და არა მარტო მათემატიკის) ინდუქცია წარმოდგება სამი სახით:

1. არასრული ინდუქცია;
2. სრული ინდუქცია;
3. მათემატიკური ინდუქცია.

მათემატიკური ინდუქციის მეთოდი წარმოადგენს დებულებათა დამტკიცების მარტივ, ადვილად გასაგებ, მძლავრ საშუალებას, რომელიც საფუძველს იღებს ანტიკური ბერძნული პერიოდიდან. მათემატიკაში ტერმინი „ინდუქცია“ შემოღებული იყო მხოლოდ მე–19 საუკუნეში გამოჩენილი ინგლისელი მათემატიკოსისა და ლოგიკოსის, ლონდონის მათემატიკური საზოგადოების პირველი პრეზიდენტის დე მორგანის (1806–1871) მიერ.

მათემატიკური ინდუქციის მეთოდს აქვს მრავალმხრივი გამოყენებები, მათ შორის კომბინატორიკასა და ალბათობის თეორიაშიც. მიუხედავად მათემატიკური ინდუქციის მეთოდის ფორმულირების სიმარტივისა, ხშირია ამ მეთოდის არასწორი ინტერპრეტაციის ან გამოყენების შემთხვევები.

ვთქვათ $A(n)$ არის n ნატურალურ რიცხვთან დაკავშირებული დებულება. დებულება $A(n)$ შეიძლება დაკავშირებული იყოს რომელიმე ერთ ან რამდენიმე ნატურალურ რიცხვთან.

განვიხილოთ ნატურალურ რიცხვებზე დამოკიდებული ისეთი $A(n)$ დებულებების მაგალითები, რომელთა დამტკიცება შესაძლებელია n –ის კონკრეტული მნიშვნელობებისათვის. $A(n)$ დებულებების მართებულობის n –ის კონკრეტული მნიშვნელობებისათვის გადამოწმების შემდგომ, ბუნებრივია, ვიკითხოთ, შესაძლებელია თუ არა დავასკვნათ, რომ $A(n)$ დებულება მართებულია n –ის ყველა ისეთი მნიშვნელობისათვის, რომლებისთვისაც განსაზღვრულია დებულება $A(n)$.

შემდეგი ორი მაგალითი ცხადყოფს, რომ კონკრეტული ნატურალური რიცხვებისათვის, n –ზე დამოკიდებული $A(n)$ დებულების მართებულობის შემოწმება ყოველთვის არ იძლევა მისი განზოგადოების საფუძველს.

მაგალითი 1. გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი, ანალიზური გეომეტრიის, რიცხვთა თეორიის და ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პიერ ფერმა (1601–1665) განიხილავდა $2^{2^n}+1$ ფორმულით ($n \in N$) განსაზღვრულ რიცხვებს. $n = 1,2,3,4$ შემთხვევებში ამ გამოსახულების მნიშვნელობა ტოლია შესაბამისად $5, 17, 257, 65537$ რიცხვებისა. შევნიშნოთ, რომ ყველა მიღებული რიცხვი მარტივია. რიცხვი $2^{2^5}+1$ იყოფა 641 –ზე, 641 ნაკლებია $2^{2^5}+1$, მაშასადამე, $2^{2^5}+1$ შედგენილი რიცხვია.

მაგალითი 2. განვიხილოთ კვადრატული სამწევრი $P(x) = x^2 + x + 41$. აღმოჩნდა, რომ განხილული სამწევრის შემდეგი მნიშვნელობები: $P(-2) = 43$, $P(-1) = 41$, $P(0) = 41$, $P(1) = 43$, $P(2) = 47$, $P(3) = 53$, $P(4) = 61$, $P(5) = 71$, $P(6) = 83$, $P(7) = 97$ მარტივი რიცხვებია. თუ გავაგრძელებთ ნატურალური რიცხვებისათვის $P(x)$–ის მნიშვნელობების გამოთვლას, მივიღებთ მარტივ რიცხვებს ყველა ნატურალური $n < 40$ –ისათვის, ხოლო $n = 41$ შემთხვევაში მივიღებთ, რომ $P(41) = 41 \cdot 43$ – შედგენილი რიცხვია.

მაგალითი 3. ვაჩვენოთ, რომ ყოველი ლუწი ნატურალური რიცხვი ოთხიდან ოცის ჩათვლით წარმოიდგინება, როგორც ორი მარტივი ნატურალური რიცხვის ჯამი.

განვიხილოთ შემდეგი ცხრა ტოლობა: $4 = 2 + 2$, $6 = 3 + 3$, $8 = 4 + 4$, $10 = 5 + 5$, $12 = 6 + 6$, $14 = 7 + 7$, $16 = 8 + 8$, $18 = 9 + 9$, $20 = 10 + 10$. ეს ტოლობები ცხადყოფს, რომ მაგალითში ფორმულირებული ყველა ცხრა დებულება მართებულია. ჩვენ ყველა შემთხვევა დავამტკიცეთ ცალ-ცალკე. დამტკიცების ასეთი გზა სრული ინდუქციის მეთოდის სახელითაა ცნობილი, მაშასადამე, სრული ინდუქციის მეთოდის განხორციელება ნიშნავს, რომ $A(n)$ დებულებას ვამტკიცებთ ამოცანაში განხილული ყველა n –ისათვის.

მაგალითი 4. ნებისმიერი ნატურალური $n \in N$ რიცხვისათვის, კენტი რიცხვების ჯამი ერთიდან $2n-1$–მდე, ტოლია n^2–ის.

მართლაც: $1 = 1^2$, $1 + 3 = 2^2$, $1 + 3 + 5 = 3^2$, $1 + 3 + 5 + 7 = 4^2$, $1 + 3 + 5 + 7 + 9 = 5^2$ და ა.შ. როგორც ვნახეთ, ფორმულა $\sum_{m=1}^{n}(2m-1) = n^2$ მართებულია, როდესაც $n = 1,2,3,4$. ჩვენ შგვიძლია გადავამოწმოთ $\sum_{m=1}^{n}(2m-1) = n^2$ ტოლობა n –ების საკმაოდ დიდი რაოდენობისათვის, მაგრამ შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ ეს ტოლობა მართებული იქნება ყველა ნატურალური რიცხვისათვის?

როდესაც, $A(n)$ დებულება ფორმულირებულია ყველა ნატურალური $n \in N$ რიცხვისათვის და ყველა n –ისათვის, $A(n)$ დებულების უშუალო დამტკიცება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში ხშირად მოხერხებულია ე.წ. მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება.

მათემატიკური ინდუქციის მეთოდი. ყველა ნატურალური $n \in N$ რიცხვისათვის $A(n)$ დებულების მართებულობის დასამტკიცებლად, საკმარისია შემდეგი ორი პირობის მართებულობის დადგენა:

1) ბაზისური პირობა – $A(n)$ დებულება უნდა დამტკიცდეს $n = 1$ შემთხვევაში.

2) ინდუქციური პირობა – ნებისმიერი $k \in N$ დაშვებიდან, რომ მართებულია დებულება $A(k)$, უნდა შეგვეძლოს $A(k+1)$ დებულების დამტკიცება.

მათემატიკური ინდუქციის მეთოდში მოყვანილი მოთხოვნები სავსებით ბუნებრივია და ადვილად გასაგები: ერთიდან ჯერ გადავალთ ორზე, შემდეგ, ორიდან გადავალთ სამზე და ასე შეგვიძლია მივიდეთ ნებისმიერ ნატურალურ რიცხვამდე.

მათემატიკური ინდუქციის მეთოდის მართებულობა ადვილად მტკიცდება მათემატიკაში მიღებული საწინააღმდეგოს დაშვების პრინციპის გამოყენებით. საწინააღმდეგოს დაშვება, ანუ იმის დაშვება, რომ არ არის მართებული მათემატიკური ინდუქციის მეთოდი, ნიშნავს შემდეგს: არსებობს ისეთი $A(n)$ დებულება, რომლისთვისაც შესრულებულია მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენებისათვის ზემოთ ჩამოყალიბებული ორი 1) და 2) პირობა, მაგრამ დასკვნა არ არის სწორი, ანუ არსებობს ისეთი ნატურალური რიცხვი n', რომლისთვისაც დებულება $A(n')$ არ არის მართებული. განვიხილოთ ყველა ისეთი ნატურალური რიცხვების სიმრავლე $N_0 \subset N$, სადაც დებულება $A(n)$ არ არის მართებული. აღვნიშნოთ n_0 –ით N_0 სიმრავლის მინიმალური ელემენტი ($n_0 = \min\{N_0\}$). ბაზისური პირობის გამო $n_0 > 1$ და n_0 -ის განსაზღვრიდან ვღებულობთ, რომ $A(n)$ დებულება მართებულია ყველა $n \in \{1,..., n_0 - 1\}$. ინდუქციური პირობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დებულება $A(n_0)$ მართებულია. ეს კი ეწინააღმდეგება ჩვენს დაშვებას. ამით მათემატიკური ინდუქციის მეთოდის მართებულობა დასაბუთებულია.

მოყვანილი დამტკიცება საშუალებას გვაძლევს მათემატიკური ინდუქციის მეთოდი ჩამოვაყალიბოთ ოდნავ განსხვავებული ფორმით. ასეთი ფორმით მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება ხელსაყრელია მაშინ, როდესაც შესაძლებელია ბაზისური პირობის მართებულობის შემოწმება, ძნელია ყველა ნატურალური $k \geq 1$ $A(k)$ დებულების მართებულობის დაშვებიდან დავადგინოთ $A(k+1)$ დებულების მართებულობა, მაგრამ შეგვიძლია ყველა $k \geq 1$, $A(1),..., A(k)$ დებულებების მართებულობის დაშვებიდან გამოვიყვანოთ $A(k+1)$ დებულების მართებულობა.

დებულება $A(n)$ მართებულია ყველა ნატურალური $n \in N$ რიცხვისათვის, თუ შესრულებულია შემდეგი ორი პირობა:

1) ბაზისური პირობა, ანუ $A(n)$ დებულება მართებულია $n = 1$ შემთხვევისათვის;

2) ინდუქციური პირობა – ყოველი $k \geq 1$ ნატურალური რიცხვისათვის, დებულება $A(k+1)$ მართებულია იმ პირობით, თუ მართებულია $A(1),..., A(k)$ დებულებები.

ახლა მოვიყვანოთ n ნატურალურ რიცხვზე დამოკიდებული $A(n)$ დებულების მაგალითი, სადაც დაშვებიდან, რომ $A(k)$ დებულება მართებულია, ადვილად ვერ ხერხდება $A(k+1)$ დებულების მართებულობის შემოწმება, მაგრამ შესაძლებელია ყველა $A(1),..., A(k)$ დებულების მართებულობიდან ვაჩვენოთ $A(k+1)$ დებულების მართებულობა.

მაგალითი 5. თუ დადებითი ნამდვილი რიცხვი $x > 0$ ისეთია, რომ გამოსახულება $\sqrt{x + \frac{1}{x} + 2}$ ნატურალური რიცხვია, მაშინ ყველა ნატურალური n რიცხვისათვის გამოსახულება $\sqrt{x^{2n+1} + \frac{1}{x^{2n+1}} + 2}$ ნატურალური რიცხვი იქნება.

დამტკიცება. გამოსახულება $\sqrt{x + \frac{1}{x} + 2}$ ჩავწეროთ როგორც $\sqrt{x + \frac{1}{x} + 2} = \sqrt{\frac{(x+1)^2}{x}} = \sqrt{x} + \frac{1}{\sqrt{x}}$

.

შევამოწმოთ ბაზისური პირობა. მართლაც, $k = 1$ შემთხვევაში, გვექნება

$$\sqrt{x^3 + \frac{1}{x^3} + 2} = \frac{x^3 + 1}{\sqrt{x^3}} = \sqrt{x^3} + \frac{1}{\sqrt{x^3}} = \left(\sqrt{x} + \frac{1}{\sqrt{x}}\right)\left(x + \frac{1}{x} - 1\right) = \left(\sqrt{x} + \frac{1}{\sqrt{x}}\right)\left(\left(\sqrt{x} + \frac{1}{\sqrt{x}}\right)^2 - 3\right),$$

საბოლოოდ მივიღეთ ნატურალური რიცხვების ნამრავლი, მაშასადამე, ბაზისური პირობა შემოწმებულია.

ინდუქციური პირობის შესამოწმებლად განვიხილოთ ნატურალური რიცხვი $k \in N$. დავუშვათ, რომ გამოსახულება $\sqrt{x^{2l+1} + \frac{1}{x^{2l+1}} + 2}$ ნატურალური რიცხვია ყველა $l = 1,..., k$. ჩვენი მიზანია

ვაჩვენოთ, რომ გამოსახულება $\sqrt{x^{2l+3}+\frac{1}{x^{2l+3}}+2}$ არის ნატურალური რიცხვი. ამისათვის გამოსახულება $\sqrt{x^{2l+3}+\frac{1}{x^{2l+3}}+2}$ გადავწეროთ როგორც:

$$\sqrt{x^{2l+3}}+\frac{1}{\sqrt{x^{2l+3}}}=x\sqrt{x^{2l+1}}+\frac{1}{x\sqrt{x^{2l+1}}}=\left(\sqrt{x}+\frac{1}{\sqrt{x}}\right)^2\left(\sqrt{x^{2l+1}}+\frac{1}{\sqrt{x^{2l+1}}}\right)-2\left(\sqrt{x^{2l+1}}+\frac{1}{\sqrt{x^{2l+1}}}\right)-\left(\sqrt{x^{2l+1}}+\frac{1}{\sqrt{x^{2l+1}}}\right).$$

ამოცანის პირობის და ინდუქციურ პირობაში მიღებული დაშვების გამო, ჩვენს მიერ მიღებულ გამოსახულებაში ყველა თანამამრავლი თუ შესაკრები ნატურალური რიცხვია, მაშასადამე, გამოსახულება $\sqrt{x^{2l+3}+\frac{1}{x^{2l+3}}+2}$ ნატურალური რიცხვი იქნება.

ახლა დავრწმუნდეთ, რომ ბაზისური პირობის უგულებელყოფამ შეიძლება მოგვიყვანოს არასწორ დასკვნამდე.

„დებულება 1“. ყოველი ნატურალური რიცხვი უდრის მის მომდევნო ნატურალურ რიცხვს.

„დამტკიცება“. ვთქვათ, „დებულება 1“ ჭეშმარიტია $n=k$ ნატურალური რიცხვისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ $k=k+1$. მიღებული ტოლობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ $k+1=k+2$, მაშასადამე, დებულება1 ჭეშმარიტია, როდესაც $n=k+1$. ინდუქციური პირობა შესრულებულია! ჩვენ მივიღებთ მცდარ დასკვნას, თუ არ შევამოწმებთ ბაზისურ პირობას.

ინდუქციური პირობის შემოწმება საკმაო ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვს.

ბაზისური პირობა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, როგორც $A(n)$ დებულების მართებულობის შემოწმების შესაძლებლობა $n=1$ შემთხვევაში. ზოგიერთი ამოცანისათვის $A(n)$ დებულება შეიძლება სულაც არ იყოს განსაზღვრული, როცა $n=1$. როდესაც $A(n)$ დებულება განსაზღვრულია ყველა $n\geq n'$ –ისათვის. ბაზისურ პირობად შეიძლება მიღებულ იქნეს დებულების დამტკიცების შესაძლებლობა $n=n'$ შემთხვევაში, ხოლო ინდუქციურ პირობად – იმის დამტკიცების შესაძლებლობა, რომ $A(k)$ დებულების მართებულობის დაშვებიდან უნდა შეგვეძლოს $A(k+1)$ დებულების მართებულობის დამტკიცება ყოველი $k\geq n'$. ასეთ პირობებში სამართლიანია მათემატიკური ინდუქციის მეთოდი, რომლის თანახმად, $A(n)$ დებულება მართებულია ყველა ნატურალური $n\geq n'$ რიცხვისათვის.

მაგალითი 6. ამოზნექილი n –კუთხედის შიდა კუთხეების სიდიდეთა ჯამი უდრის $180^\circ(n-2)$. ამ დებულებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა $n=3,4,...$ და ამიტომ იძულებული ვართ შევამოწმოთ ბაზისური პირობა არა $n=1$ შემთხვევაში, არამედ დავიწყოთ $n=3$ –დან.

არითმეტიკური პროგრესიის ზოგადი წევრის ფორმულის დასადგენად აუცილებელია მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება. მართლაც, a_1 იყოს არითმეტიკული პროგრესიის პირველი წევრი, $a_2=a_1+d$, $a_3=a_2+d$, $a_4=a_3+d$. არითმეტიკული პროგრესიის ზოგადი წევრი გამოისახება ფორმულით $a_n=a_1+(n-1)d$, $n\in N$, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება, მაშასადამე, მათემატიკური ინდუქციის მეთოდის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ არითმეტიკული პროგრესიის ზოგადი წევრის გამოსათვლელი ფორმულის $a_n=a_1+(n-1)d$ მართებულობაში. იგივე შეიძლება ითქვას გეომეტრიული პროგრესიის ზოგადი წევრის ფორმულის შემთხვევაში.

რაც შეეხება არითმეტიკული (გეომეტრიული) პროგრესიის პირველი n წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულის გამოყვანასა და დამტკიცებას, აქ სულაც არ არის სავალდებულო მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება.

ნატურალური $n\in N$ რიცხვისათვის, ნებისმიერი a და b ნამდვილი რიცხვებისათვის ტოლობის $(a\cdot b)^n=a^n\cdot b^n$ მართებულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია მათემატიკური ინდუქციის მეთოდის გამოყენება.

მაგალითი 7. დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი ნატურალური $n\in N$ რიცხვისათვის, გამოსახულება 11^n-1 უნაშთოდ იყოფა 10 –ზე.

შევამოწმოთ საბაზისო პირობა: $11^1-1=10$ უნაშთოდ იყოფა 10 –ზე. დავუშვათ, რომ 11^k-1 უნაშთოდ იყოფა 10 -ზე. ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი ნატურალური $k\in N$ რიცხვისათვის შესრულებულია ინდუქციური პირობა – დაშვებიდან, რომ 11^k-1 უნაშთოდ იყოფა 10 –ზე, უნდა დავამტკიცოთ, რომ $11^{k+1}-1$ უნაშთოდ იყოფა 10 –ზე.

მართლაც, $11^k - 1 = 11 \cdot 11^k - 1 = 10 \cdot 11^k \cdot 11^k - 1$, მაშასადამე, $11^{k+1} - 1$ უნაშთოდ იყოფა 10 –ზე.

ლიტერატურა:

1. Шень А., Шень А., Математическая индукция, МЦНМО, 2004;
2. Виленки Н. Я., Индукция. Комбинаторика - Пособие для учителей, М., Просвещение,1976.
3. Головина Л. И., Яглом И. М., Индукция в геометрии, Т. 21., Физматгиз, 1961.
4. Соминский И. С., Метод математической индукции, Наука, Т. 3, 1965.

ფარისებრახლომდებარე ჯირკვლების დისფუნქცია და მისი გამოვლინება ორგანიზმზე

ანი ოქუაშვილი, თათია ხმიადაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიამ უბირია,** მოწვეული დოქტორი

ფარისებრი ჯირკვალი ანატომიურად მოთავსებულია კისრის მიდამოში სასულეს წინა და გვერდით ზედაპირებზე. ჯირკვალი ნალისებრი მოყვანილობისაა; მასში განირჩევა ორი გვერდითი წილი და მათი დამაკავშირებელი შედარებით წვრილი ყელი. ამ უკანასკნელიდან არაიშვიათად ზემოთ მიემართება სხვადასხვანაირად გამოხატული ჯირკვლოვანი მორჩი, რომელსაც პირამიდული მორჩი ეწოდება. ფარისებრი ჯირკვალი ყველაზე უფრო მსხვილია შინაგანი სეკრეციის ორგანოებს შორის, მისი წონა 30–40 გრამს უდრის. ჯირკვალი წილაკოვანი აგებულებისაა. წილაკები შედგება მომრგვალო ბუშტუკებისაგან, ანუ 100–300 მკმ–მდე დიამეტრის მქონე ფოლიკულებისაგან, რომლებიც შიგნიდან ამოფენილია ერთშრიანი კუბური ეპითელიუმით, ხოლო გარედან გარშემორტყმულია სისხლძარღვოვანი და ლიმფური კაპილარების ქსელით. ბუშტუკების ღრუ ამოვსებულია წებოსებური სითხით, რომელსაც კოლოიდური ნივთიერება ეწოდება. კოლოიდის მთავარი შემადგენელი ნაწილია დიდი ზომის გლიკოპროტეინი – თიროგლობულინი, რომელიც მისი მოლეკულის შემადგენლობაში შეიცავს თიროიდულ ჰორმონებს. ფარისებრ ჯირკვალთან ყოველ წუთში მისული სისხლის ნაკადი 5-ჯერ აღემატება თვითონ ჯირკვლის მასას. მისი სისხლმომარაგების ინტენსივობა ორგანიზმის ნებისმიერი ნაწილის სისხლმომარაგებას უტოლდება.



ფარისებრი ჯირკვლის მნიშვნელობა მეტად დიდია. იგი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებაზე. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებია: თიროქსინი და ტრიიოდთირონინი. ფარისებრი ჯირკვალი სისხლიდან შთანთქავს იოდს, რომელიც ჰორმონების აუცილებელი ნაწილია. ახალშობილებში ფარისებრი ჯირკვალი უკვე ჩამოყალიბებულია და იგი 1.2-2 გრამს იწონის. ყველაზე ინტენსიურად ფარისებრი ჯირკვალი სქესობრივი მომწიფების პერიოდში იზრდება.

ფარისებრახლომდებარე ანუ პარათირეოიდული ჯირკვლები განლაგებულია ფარისებრი ჯირკვლის უკანა ზედაპირზე. მათი რიცხვი არამუდმივია და ყველაზე ხშირად ორი წყვილია. ეს ჯირკვლები წარმოადგენენ მომცრო, ოვალურ ან ჩხირისმაგვარ ორგანოებს. ყოველი ჯირკვლის წონა არ აღემატება 0,005 გრამს. ჯირკვლები შედგება ხარიხების მსგავსად დალაგებული ეპითელური უჯრედებისაგან, რომლებიც სისხლის ძარღვებით მდიდარი შემაერთებელი ქსოვილით არიან გამოყოფილი ერთმანეთისაგან.

პარათირეოიდული ჯირკვლები იზრდება 10 წლამდე. მათი ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ჯირკვლების აქტივობა პირველ ორ წელიწადს მცირეა.

პარათირეოიდული ჯირკვლები გამოყოფს პარათირეოიდულ ჰორმონს, რომელსაც პარატჰორმონი ეწოდება. პარატჰორმონი მონაწილეობს კალციუმისა და ფოსფორის ცვლაში. ცხოველებსა და ადამიანებში პარათირეოიდული ჯირკვლების ამოკვეთა – პარათირეოიდექტომია იწვევს სისხლში კალციუმის რაოდენობის მომატებას, ამავე დროს შარდში ფოსფატების გამოყოფა მცირდება. პარათირეოიდექტომიის შემდეგ, როგორც წესი, ვითარდება სხეულის ყველა კუნთის ან ცალკეულ კუნთთა ჯგუფის კრუნჩხვები – ტეტანია.

თიროიდული ჰორმონების წარმოქმნა და გამოყოფა.

ფარისებრი ჯირკვლიდან გამოყოფილი მეტაბოლურად აქტიური ჰორმონების 93% თიროქსინია, ხოლო 7% ტრიიოდთირონინი, მაგრამ თიროქსინის დიდი ნაწილი ქსოვილებში გარდაიქმნება ტრიიოდთირონინად, რის გამოც ორივე ჰორმონს საკმაოდ დიდი ფუნქციური მნიშვნელობა აქვს. ტრიიოდთირონინი თიროქსინზე 4–ჯერ ძლიერია, თუმცა, სისხლში მისი რაოდენობა და არსებობის დრო თიროქსინთან შედარებით მცირეა. თიროქსინის საკმარისი რაოდენობის წარმოსაქმნელად საჭიროა შეთვისებული იოდის დაახლოებით 50 მგ იოდიდის სახით (ყოველ წელს) ან ერთი მგ/კვირაში. იოდიდები შეიწოვებიან კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და ქლორიდების მსგავსად გადადიან სისხლში. ნორმაში მათი დიდი რაოდენობა სწრაფად გამოიყოფა თირკმელების საშუალებით.

იოდიდის ტუმბო (იოდიდია „დაჭერა“).

თიროიდული ჰორმონების წარმოქმნის პირველ სტადიაზე მიმდინარეობს იოდიდების ტრანსპორტი სისხლიდან თიროიდული ჯირკვლის უჯრედებსა და ფოლიკულებში. ფარისებრი ჯირკვლის უჯრედების ბაზალური მემბრანა შეიცავს იოდიდის სპეციფიკურ ტუმბოებს, რომლებიც აქტიურად ტუმბავენ იოდიდს უჯრედის შიგნით. ამ პროცესს იოდის „დაჭერა“ ეწოდება. ჯანმრთელ ჯირკვალში იოდიდის ტუმბოს მოქმედების გამო იოდიდის კონცენტრაცია სისხლში არსებულ კონცენტრაციაზე 30–ჯერ მეტია, ხოლო მაქსიმალური აქტივობის დროს შეიძლება 250–ჯერ მეტიც იყოს.

თიროიდული უჯრედები ცილის გამომყოფი ტიპიური ჯირკვლოვანი უჯრედებია. ენდოპლაზმურ ბადეზე და გოლჯის აპარატში მიმდინარეობს დიდი ზომის გლიკოპროტეინის მოლეკულის – **თიროგლობულინის** სინთეზი და ფოლიკულებში გამოყოფა. საკუთრივ თიროგლობულინის მოლეკულა მოცირკულირე სისხლში არ გამოიყოფა, ის ჯერ იხლიჩება თიროქსინისა და ტრიიოდთირონინის მოლეკულებად. სისხლში მოხვედრილი თიროქსინისა და ტრიიოდთირონინის თითქმის 1 % უკავშირდება პლაზმის გარკვეულ ცილებს.

თიროიდული ჰორმონების გავლენა ზრდის პროცესზე.

თიროიდულ ჰორმონებს ზრდის პროცესზე აქვთ როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური გავლენა. ადამიანში თიროიდული ჰორმონის გავლენა მჟღავნდება ზრდის პროცესში. ჰიპოთიროიდულ ორგანიზმში ზრდის პროცესები მნიშვნელოვნად არის შეფერხებული, ხოლო ჰიპერთიროიდულში ჩონჩხი იმდენად იზრდება, რომ ბავშვი თავისი ასაკისათვის შეუფერებლად მაღალია, მიუხედავად ამისა, მალევე ყალიბდება ძვალი, ასევე ადრეულ ასაკში იხურება ეპიფიზებიც, რის გამოც ზრდის პროცესის ხანგრძლივობა და სიმაღლეში ზრდა თანდათანობით შემცირდება.

თიროიდული ჰორმონის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ზრდის პროცესსა და ტვინის განვითარებაზე ზემოქმედება ჩანასახოვან პერიოდში პოსტნატალური პერიოდის საწყის ეტაპზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩანასახში არ გამომუშავდება საკმარისი რაოდენობა თიროიდული ჰორმონისა, ზრდა და ტვინის მომწიფება როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ ფერხდება, რის გამოც ტვინი ნორმასთან შედარებით მცირე ზომისაა. დაბადების შემდეგ, თიროიდული თერაპიის გარეშე, ასეთი ბავშვი შეიძლება გონებრივად განუვითარებელი დარჩეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თიროიდული ჰორმონების გავლენა ნახშირწყლების მეტაბოლიზმზე.

თიროიდული ჰორმონები ასტიმულირებენ ნახშირწყლების მეტაბოლიზმს თითქმის ყველა ეტაპზე, მათ შორის: გლუკოზის სწრაფ შთანთქმას უჯრედების მიერ, გლიკოლიზისა და გლუკონეოგენეზის პროცესებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ნივთიერებათა აბსორბციის პროცესს და ინსულინის გამოყოფასაც კი.

გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ქსოვილებში მიმდინარე გაძლიერებული მეტაბოლიზმის პროცესი იწვევს ჟანგბადის უფრო აქტიურ გამოყენებას, ვიდრე ნორმაში. ამიტომ ქსოვილებიდან გამოიყოფა დიდი რაოდენობით მეტაბოლიზმის საბოლოო პროდუქტები, რაც იწვევს სისხლძარღვების გა ფართოებას. განსაკუთრებით იზრდება კანის სისხლძარღვებში გამავალი სისხლის ნაკადის სიჩქარე და მატულობს სითბოს გაცემა ორგანიზმიდან. ასევე მატულობს გულის წუთმოცულობაც. თიროიდული ჰორმონების მოქმედებისას გულის შეკუმშვათა სიხშირე გულის წუთმოცულობაზე უფრო მეტად იზრდება და ამასთანავე თიროიდული ჰორმონები პირდაპირ მოქმედებს გულის აგზნებადობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის გულის შეკუმშვათა სიხშირეს.

გავლენა სუნთქვის პროცესებზე.

მეტაბოლიზმის სიჩქარის გაზრდა იწვევს ჟანგბადის გაძლიერებულ მოხმარებას და ნახშირორჟანგის წარმოქმნას. აღნიშნული პროცესი კი ააქტივებს მექანიზმებს, რომლებიც ზრდიან სუნთქვის სიღრმესა და სიხშირეს.

გავლენა კუჭ–ნაწლავის ტრაქტზე.

მადის აღძვრისა და, აქედან გამომდინარე, დიდი რაოდენობით საკვების მიღების გარდა, თიროიდული ჰორმონები ასტიმულირებენ საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას და კუჭ-ნაწლავის ტრაქტში საკვების გადაადგილებას. ხშირად ვითარდება დიარეა. თიროიდული ჰორმონის ნაკლებობა კი იწვევს ყაბზობას.

გავლენა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

ზოგადად, თიროიდული ჰორმონი ზრდის თავის ტვინის მოქმედების სისწრაფეს, მაგრამ ხშირად მის მოშლასაც იწვევს. მეორე მხრივ, თიროიდული ჰორმონის უკმარისობა ამ პროცესს თრგუნავს. ჰიპერთიროიდულ ინდივიდებს აღენიშნებათ მძიმე ნევროზი და მრავალი ფსიქონევროზული გადახრა: უკიდურესი აგზნება, ძლიერ დაღონება, პარანოია.

გავლენა კუნთების ფუნქციურ მდგომარეობაზე.

თიროიდული ჰორმონის რაოდენობის მცირედი მომატება, ჩვეულებრივ, იწვევს კუნთების მუშაობის გაძლიერებას, მაგრამ ჰორმონის უკიდურესად დიდი რაოდენობით გამოყოფის შემთხვევაში კუნთები სუსტდება ცილების გაძლიერებული კატაბოლიზმის გამო, მაგრამ თიროიდული ჰორმონის უკმარისობა იწვევს კუნთების მოდუნებას, ისინი შეკუმშვის შემდეგ ძალიან ნელა დუნდებიან. ჰიპერთიროიდიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მოვლენაა კუნთების ტრემორი. ის არ ჰგავს პარკინსონის დაავადებისას განვითარებულ უხეშ ტრემორს ან უბრალო კანკალს, რადგან ძალიან დიდი სიხშირისაა – 10–15 შეკუმშვა ყოველ წამში. თვლიან, რომ ტრემორს იწვევს ნერვული სინაპსების მომატებული რეაქტიულობა კუნთების ტონუსის მარეგულირებელ ზონებში.

გავლენა ძილის პროცესზე.

კუნთებსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე თიროიდული ჰორმონების აღმგზნები ეფექტის გამო ჰიპერთიროიდულ სუბიექტს მუდმივი გადაღლილობის შეგრძნება აწუხებს, მაგრამ სინაპსებზე თიროიდული ჰორმონების აღმგზნები ზეგავლენის გამო დაძინება უჭირთ, ხოლო ჰიპოთიროიდიზმისათვის დამახასიათებელია ძლიერი ძილიანობა, ზოგჯერ დღეში 12–14 საათის ხანგრძლივობით.

გავლენა სხვა ენდოკრინულ ჯირკვლებზე.

თიროიდული ჰორმონების რაოდენობის გაზრდა იწვევს სხვა ენდოკრინული ჯირკვლების მიერ ჰორმონების სეკრეციის სიჩქარისა და ქსოვილების ჰორმონებზე მოთხოვნილების გაზრდას. მაგალითად, თიროქსინის გაძლიერებული სეკრეცია ზრდის გლუკოზის მეტაბოლიზმის სიჩქარეს მთელ ორგანიზმში და იწვევს პანკრეასიდან ინსულინის გამოყოფის გაძლიერებას. თიროიდული ჰორმონი ასტიმულირებს ძვლის წარმოქმნასთან დაკავშირებულ მრავალ მეტაბოლურ პროცესს, რომლებიც, თავის მხრივ, ზრდიან ორგანიზმის მოთხოვნილებას პარათიროიდულ ჰორმონებზე. საბოლოო ჯამში, თიროიდული ჰორმონების მოქმედებით მატულობს ღვიძლში გლუკოკორტიკოიდების ინაქტივაციის სიჩქარე, რაც უკუკავშირის მექანიზმით იწვევს ჰიპოფიზის წინა ნაწილში ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის წარმოქმნისა და თირკმელზედა ჯირკვლების მიერ გლუკოკორტიკოიდების სეკრეციის სიჩქარის გაზრდას.

გავლენა სექსუალურ ფუნქციაზე.

მამაკაცებში თიროიდული ჰორმონების უკმარისობა იწვევს სექსუალური ლტოლვის დაკარგვას. ჰორმონის დიდმა რაოდენობამ კი შეიძლება იმპოტენცია გამოიწვიოს. ჰიპოთიროიდულ ქალში, ისევე როგორც მამაკაცში, სექსუალური ლტოლვა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია.

როგორც უკვე დადგენილია, ფარისებრი და ფარისებრახლო მდებარე ჯირკვლების ჰორმონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებაში, აკონტროლებენ ცოცხალი ორგანიზმის ყველა ფუნქციას: ზრდას, ცილების, ცხიმების მტებოლიზმს, სუნთქვას, ნერვულ სისტემას და სხვა ენდოკრინულ ჯირკვლებს. ფარისებრი და ფარისებრახლო ჯირკვლების დისფუნქცია (ჰორმონების მომატება ან დაკლება) მეტად საშიშია ცოცხალი ორგანიზმებისათვის. XXI საუკუნეში მკვეთრად იმატა ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებებმა (კოკსართროზები, ართროზები, ართრიტები და სხვა), რაც მიუთითებს ამ მნიშვნელოვანი ჯირკვლების ფუნქციის მოშლაზე.



ლიტერატურა:
1. კვაჭაძე ი., ადამიანის ფიზიოლოგია, თბ., 2011.
2. ბაბსკი ე., ზუბკოვი ა., კოსიცკი გ., ხოდოროვი ბ., ადამიანის ფიზიოლოგია, თბ., 1969.
3. იოსელიანი თ., ზოგადი ფიზიოლოგია, თბ., 1996.
4. ჩახნაშვილი შ.ა., ადამიანის ფიზიოლოგია, 1983.
5. სეხნიაშვილი ზ., გორდელაძე მ., სვანიძე მ., იოდდეფიციტური დაავადებები, თბ., 2000.
6. გაბუნია დ., ნამორაძე თ., ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა, თბ., 1971.

მაგნიტური ლევიტაცია

დათო პაპიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლევან მიდოდაშვილი,** პროფესორი

გენიალური მოსაზრება, რომ დედამიწა დიდი მაგნიტია, პირველად გამოთქვა ექსპერიმენტული ფიზიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა უილიამ გილბერტმა (1600 წ.).

ნებისმიერ მაგნიტს, რა ფორმისაც არ უნდა იყოს, აქვს ერთი გამორჩეული თვისება – მასზე მოიძებნება ორი ისეთი არე, სადაც მისი მაგნიტიზმი ვლინდება ყველაზე ძლიერად. ამ ადგილებს მაგნიტის პოლუსები ეწოდება. მაგნიტები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა. ყველაზე მარტივია ძელური (ზოლოვანი) მაგნიტი.

ორი ზოლოვანი მაგნიტი რომ დავკიდოთ ძაფზე და ერთმანეთს მივუახლოოთ, შევამჩნევთ, რომ ერთნაირი პოლუსები განიზიდება, ხოლო განსხვავებული პოლუსები მიიზიდება. მაგნიტის პოლუსები ყოველთვის წყვილად გვხვდება. ეს დასკვნა გამომდინარეობს ფიზიკოსთა მრავალრიცხოვანი უშედეგო მცდელობებიდან, განეცალკევებინათ მაგნიტებური პოლუსები. რა მოხდება, თუ მაგნიტს შუაზე გავჭრით? მაგნიტის გაჭრით პოლუსები ერთმანეთს არ სცილდება. უბრალოდ, მიიღება ორი ახალი მაგნიტი, თითოეული თავისი წყვილი პოლუსით.

მაგნეტიზმთან დაკავშირებული შემდგომი დიდი აღმოჩენა ორასი წლის შემდეგ განხორციელდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ერსტედის, ამპერის, ფარადეისა და ჰენრის გამოკვლევებით დადგინდა მჭიდრო კავშირი ელექტრულ დენსა და მაგნეტიზმს შორის.

1820 წელს დანიელმა ფიზიკოსმა ჰანს ქრისტიან ერსტედმა (1777-1851 წწ.) ცდით დაადგინა კავშირი ელექტროობასა და მაგნეტიზმს შორის. მან შეამჩნია, რომ გამტარში დენის გავლისას მის ახლოს მოთავსებული კომპასის ისარი ამოძრავდა და დადგა გამტარის მართობულად. ეს ცდა მიუთითებდა დენიანი გამტარის ირგვლივ მაგნიტური ველის არსებობაზე.

შეიძლება დენიანი გამტარით მივიღოთ ისეთივე მაგნიტური ველი, როგორსაც ქმნის ზოლოვანი მაგნიტი? აღმოჩნდა, რომ შეიძლება და ეს პირველად ისევ ერსტედმა აჩვენა. მან სწორი გამტარის ნაცვლად გამოიყენა კოჭა. ასეთი სახელი შეარქვეს მარტივ მოწყობილობას, რომელიც მიიღება ცილინდრზე გამტარის გრაგნილებად დახვევით. დენიანი კოჭას მაგნიტური ველი საკმაოდ ძლიერია კოჭას შიგნით და ბოლოებთან. კოჭას ბოლოები შეიძლება შევადაროთ მაგნიტის პოლუსებს. კოჭას მიერ შექმნილი მაგნიტური ველი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია კოჭაში გამავალი დენის ძალა და მეტია ხვიების რაოდენობა. კიდევ უფრო მეტი ეფექტი მიიღება, თუ კოჭაში რკინის ღეროს (გულარს) მოვათავსებთ. მაგალითად, სხვა ერთნაირ პირობებში, რკინის გულარიანი კოჭა ცარიელ კოჭასთან შედარებით ქმნის სულ ცოტა 100-ჯერ (შეიძლება 1000-ჯერაც) უფრო ძლიერ მაგნიტურ ველს. დენიანი კოჭა რკინის გულარით არის ელექტრომაგნიტი.

ამჟამად, მაგნეტიზმი ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში. ბოლო მიღწევებს შორის აღსანიშნავია მაგლევი (მაგნიტური ლევიტაცია) - ლიანდაგზე მოლივლივე მატარებელი, რომელიც მაგნიტიზმის საშუალებით 500 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს.

არსებობს რამდენიმე განსხვავებული მეთოდი ლევიტაციის მისაღწევად. ესენია:

აეროდინამიური, მაგნიტური, აკუსტიკური, ელექტრო-მაგნიტური, ელექტრო-სტატიკური და ოპტიკური ლევიტაციის მეთოდები.

შანხაიდან (ჩინეთი) ჟურნეიმდე გაყვანილი რკინიგზა ერთადერთია, რომელიც კერძო კომპანიას ეკუთვნის. მასზე მატარებელი მაგნიტური ლევიტაციის მეთოდით გადაადგილდება იმ მაგნიტური ველის მეშვეობით, რომელიც რელსსა და მატარებელს შორის იქმნება. მაგლევში მძღოლი არ ზის. მასში დამონტაჟებულია ისეთი ულტრათანამედროვე სისტემა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მატარებლის მდებარეობას და მონაცემებს მთავარ სადგურს ავტომატურად უგზავნის. სადგურში მყოფი ოპერატორები კომპიუტერის მეშვეობით მატარებლის მოძრაობას აკონტროლებენ.

ამ მატარებლის ფორმა იმაზე მეტყველებს, რომ ის დიდი სისწრაფისთვის არის გათვლილი. მგზავრებს ეს მხედველობიდან არ რჩებათ და ჯერ კიდევ მანამ, სანამ ვაგონებში ჩასხდებიან, გრძნობენ, რომ სრულიად განსხვავებული ტიპის მატარებლით მგზავრობა ელით. მათი წინათგრძნობა მართლდება მას შემდეგ, რაც მატარებელი უხმაუროდ იძვრება ულტრათანამედროვე სადგურიდან და ძალიან მალე საათში 430 კილომეტრზე მეტი სიჩქარით მიქრის. ეს მატარებელი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი სამგზავრო მატარებელია.

ამძრავის სისტემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს შეადგენს ალუმინის სამფაზიანი საკაბელო გრაგნილებიანი სტატორი. როდესაც გრაგნილებს მიეწოდება ელექტროენერგია, იგი ქმნის მაგნიტურ ველს, რომელიც მატარებლის წინ წასვლას უზრუნველყოფს. ელექტრომაგნიტები, რომლებიც განთავსებულია მატარებლის ქვეშ, სწევს მატარებელს მაღლა. ელექტრომაგნიტები რომლებიც განთავსებულია გვერდით, ხელს უშლის მის გვერდით გასრიალებას. ელექტრომაგნიტები, რომლებიც განთავსებულია გვერდითი საკიდარის ქვევითა მხარეს, ხელს უშლის მატარებლის ზომაზე მეტად მაღლა აწევას და მის პლატფორმიდან ამოვარდნას. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ხახუნი მატარებელს და პლატფორმას შორის, ესე იგი მატარებელი მაგნიტიზმის საშუალებით ლივლივებს ჰაერში.

ლევიტაცია იყენებს ზეგამტარ ელექტრომაგნიტებს მატარებელის ლევიტაციის დასაცავად. ეს მაგნიტები ცივდება თხევადი ჰელიუმით ან თხევადი აზოტით. ფიზიკის კურსიდან ვიცით, რომ ტემპერატურის ზრდა იწვევს გამტარის წინაღობის გაზრდას და, შესაბამისად, მაგნიტური ველის შემცირებას. გაცივებით კი ერთხელ ელექტრიფიცირებული მაგნიტები არ საჭიროებს დამატებით ენერგიას. ეს სისტემის ენერგიის დაზოგვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგნიტური ლევიტაციის საშუალებით მატარებელი იწევა ლიანდაგიდან 10 სმ-ით ზემოთ და იწყებს მოძრაობას. ასევე მაგნიტიზმის საშუალებით კონტროლდება მატარებლის მდგრადობა ლიანდაგზე. მატარებელი ასევე აღჭურვილია მოძრავი ბორბლებით ავარიული სიტუაციებისათვის.

ლევიტაციის სისტემა საკმაოდ მძლავრია და დახვეწილი. ელექტრული აკუმულატორი მატარებლის სისტემაში ფუნქციონირებს გადაადგილების გარეშეც. ამ აკუმულატორს შეუძლია გააჩეროს ჰაერში მატარებელი 30 წუთი დამატებითი ენერგიის გარეშე. ხაზოვანი გენერატორების მაგნიტები მატარებლის ბორტზე გამოიყენება მატარებლის აკუმულატორის დასამუხტად, რათა უზრუნველყოს მატარებლის სალონისთვის და ლევიტაციის შესანარჩუნებლად საკმარისი ენერგია. ლევიტაციის ეს სისტემა იყენებს სხვა მატარებლებზე გაცილებით ნაკლებ ენერგიას. საგულისხმოა, რომ ელექტრული წრედი ჩართულია გზის მხოლოდ იმ მონაკვეთზე, სადაც მატარებელი მოძრაობს.

ყველაზე დიდი ენერგია მაშინ იხარჯება, როცა მატარებელი დიდ სიჩქარეს ავითარებს ან მაღლობზე ადის. როდესაც მატარებელი სიჩქარეს უკლებს, ან საპირისპირო მხარეს იწყებს მოძრაობას, ღეროზე დახვეული გრაგნილების მიერ წარმოქმნილი მაგნიტური ველი საწინააღმდეგო მიმართულებით იწყებს მოქმედებას. როდესაც დენის მიმართულება შეიცვლება, მატარებელი ამუხრუჭებს. სხვადასხვა სიჩქარე მიიღწევა სხვადასხვა ინტენსივობის დენით.

უსაფრთხოა მაგლევით მგზავრობა? მართალია, მაგლევი ძალიან დიდ სიჩქარეს ავითარებს, მაგრამ მატარებელი პრაქტიკულად ისეა გახვეული ლიანდაგის არეში არსებულ მაგნიტურ ველში, რომ მისი ამოვარდნა ლიანდაგიდან თითქმის შეუძლებელია. შეჯახება მატარებლებს შორის ნაკლებად სავარაუდოა, რადგან კომპიუტერები აკონტროლებენ მატარებლების მოძრაობას. ტექნიკური შეფერხება ცვეთის გამო მწყობრიდან გამოსული ნაწილების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს კონტაქტი ლიანდაგსა და მატარებელს შორის.

უსაფრთხოების ღვედების შეკვრა აუცილებელი არ არის. მგზავრებს მატარებელში მაშინაც კი შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, როცა მატარებელი მაქსიმალური სიჩქარით მიქრის. ძაბვის ვარდნის შემთხვევაში მატარებელში დამონტაჟებული სპეციალური მუხრუჭები წარმოქმნის მაგნიტურ ველს, რომელიც მატარებლის მოძრაობის საპირისპიროდ მოქმედებს. ეს განაპირობებს მატარებლის სვლის შენელებას საათში 10 კილომეტრამდე. შემდეგ მატარებლის ქვეშ დამონტაჟებული სპეციალური ნაწილი (მოძრავი თვლები) ებჯინება ლიანდაგს, მასზე იწყებს სრიალს და საბოლოოდ მატარებელი ჩერდება. მოძრაობა არის რბილი, რადგან არ არსებობს ხახუნი გზას და მატარებელს შორის.

სხვა მაღალი სიჩქარის სარკინიგზო ხაზებთან შედარებით მშენებლობის ფასი დაახლოებით მსგავსია ($ 20 - $ 40 მილიონი ერთი მილი ლიანდაგისათვის), ხოლო ექსპლუატაციის ხარჯები კი - ნახევარი. მატარებელი შედგება სექციებისგან, თითოეული შეიცავს 100 ადგილს და მატარებლის შეიძლება ჰქონდეს 2-დან 10 სექციამდე. მატარებლის სიჩქარე საკმაოდ მაღალია. შეუძლია იმოგზაუროს დაახლოებით 300 mph (1 mph = 1,6 კმ/სთ) ანუ დაახლოებით 500 კმ/სთ მას შეუძლია 200 mph (320 კმ/სთ) განავითაროს 3 მილი (4,8 კმ) სიგრძის გზაზე, ასე რომ იდეალურია მოკლე დისტანციებზეც. მიუხედავად ასეთი სისწრაფისა, იგი იყენებს ნაკლებ ენერგიას, ვიდრე არსებული სატრანსპორტო საშუალებები - 3-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ავტომობილი და 5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე თვითმფრინავი.

მატარებელი არ ხმაურობს, რადგან ის არ ეხება გზას და მას არ აქვს ძრავი. აქედან გამომდინარე, ხმაურის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მისი ჰაერში მოძრაობა. ეს ხმა უდრის ქალაქში მოძრავი ტრანსპორტის ხმაურს.

ასეთი მატარებელი უკვე რამდენიმე არსებობს. მაგალითად, ჩინეთმა განახორციელა მსგავსი პროექტი, რომლის სიგრძეა 20 მილი. რადგან ეს პროექტი წარმატებული გამოდგა, ჩინეთმა ააშენა 800 მილის რკინიგზა შანხაიდან ჟურნეიმდე.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი გეგმავს დახარჯოს $ 1 მილიარდი ამ პროექტის ტესტირებაში, რომელიც დააკავშირებს პიტსბურგის შემოგარენს თავის აეროპორტთან ან ბალტიმორს ვაშინგტონის საერთაშორისო აეროპორტთან.

გერმანია აპირებდა განეხორციელებინა ანალოგიური პროექტი ბერლინსა და ჰამბურგს შორის (200 მილი) 1996 წელს, მაგრამ აღარ განახორციელა, რადგან ახალი პოლიტიკური პარტია მოვიდა სათავეში და გადაწყვიტა, რომ პროექტი არ ღირდა $ 7 მილიარდი დოლარი. თუმცა შემდგომში მიდგომა კვლავ შეიცვალა და 2007 წლისთვის მსგავსი პროექტი გერმანიაშიც განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მატარებლის სალონში მაგნიტური ველი უმნიშვნელოა, ამიტომ მისი მგზავრებისათვის არ არსებობს სახიფათო გვერდითი მოვლენების საშიშროება.

ამრიგად, ეს მატარებელი მომავლის მატარებელია და ეს არის ენერგიის და ტექნოლოგიის რაციონალური გამოყენება, რომელიც არ აბინძურებს გარემოს.

თუმცა ინჟინრები არც ამ ტექნოლოგიით დაკმაყოფილდნენ და კომპანია SpaceX მეთაურმა, ელონ მასკმა, წარმოადგინა ზებგერითი მატარებლის, Hyperloop-ის, პროექტი. ეს მატარებელი იმოძრავებს გვირაბში გაუხშოებული ჰაერით. ახალი მატარებელი შეძლებს 1100 კს/სთ-ზე მეტი სიჩქარის განვითარებას. სრულყოფილი აეროდინამიკა და გვირაბი გაუხშოებული ჰაერით მოძრაობისადმი წინააღმდეგობას შეამცირებს იმდენად, რომ ზებგერითი სიჩქარის შესანარჩუნებლად საჭირო იქნება მხოლოდ 134 ცხენის ძალის (100 კილოვატი) სიმძლავრე, წინააღმდეგობის ძალა კი 320 ნიუტონის ტოლი იქნება. ამ მახასიათებლების მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა ახალი ტექნოლოგია, რის წყალობითაც Hyperloop ტრანსპორტის სრულიად ახალი ტიპი იქნება.

მატარებელი მოძრაობს მაგნიტური ველის მეშვეობით; ამასთანავე, სტატორების განლაგება დაგეგმილია გვირაბში, ხოლო როტორებისა – სამგზავრო კაფსულ-ვაგონში. მთელი გზის მანძილზე ამ დეტალებს შორის შენარჩუნებული იქნება 2 სმ ტოლი მანძილი, ხოლო თავად მატარებელი გვირაბისაგან საჰაერო ბალიშით იქნება დაშორებული. გვირაბში წნევა ძალიან დაბალი იქნება, დაახლოებით 100 პასკალი (როგორც 45 კმ-ის სიმაღლეზე), რაც საჭიროა შუბლა წინააღმდეგობის შესამცირებლად. ამის მიუხედავად, ასეთი მცირე წნევაც კი ზებგერითი სიჩქარის პირობებში მაინც ზედმეტად მაღალ წინააღმდეგობას ქმნის – მატარებელი, შპრიცის მსგავსად, გად

ვინაიდან მის კვებას მატარებლის უკანა ნაწილში განლაგებული აკუმულატორები უზრუნველყოფს. შესაბამისად, საჰაერო ბალიშს ნებისმიერ შემთხვევაში არაფერი დაემუქრება. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ პროექტის ერთადერთი სადავო მომენტია მძიმე ვენტილატორი მატარებლის წინა ნაწილზე და აკუმულატორთა სისტემა მატარებლის უკანა ნაწილზე, ვინაიდან დარტყმის შემთხვევაში სამგზავრო ნაკვეთური შეიძლება „უროსა და ნამგალს“ შორის აღმოჩნდეს. ერთი შეხედვით პროექტის ღირებულება მაღალია, მაგრამ სინამდვილეში ერონ მასკის მიერ წარმოდგენილია ტრანსპორტის მართლაც საკმაოდ იაფი სახეობა. კერძოდ, სამგზავრო კაფსულის სავარაუდო ღირებულება 255 ათას დოლარს შეადგენს, ხოლო 550-კილომეტრიანი გზისა – 6 მილიარდ დოლარს, ანუ გზის ერთი კილომეტრის ფასია 11 მილიონი დოლარი პლუს სამგზავრო კაფსულების ღირებულება.

Hyperloop წელიწადში 7,4 მილიონამდე მგზავრის გადაყვანას შეძლებს. ამასთანავე, ხარჯი გასაწევი იქნება მხოლოდ გზისა და მოძრავი შემადგენლობის მომსახურებასა და შეკეთებაზე, ვინაიდან ენერგია „უფასოა“ – მას გვირაბის ზემოთ განლაგებული მზის პანელები უზრუნველყოფს. მარშრუტზე ლოს-ანჟელოსი – სან-ფრანცისკო მატარებელს დასჭირდება მხოლოდ 21 მეგავატი სიმძლავრე, ხოლო პანელები 57 მეგავატს უზრუნველყოფს, ანუ შესაძლებელი იქნება ჭარბი ენერგიის მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს შეიძლება დამატებითი არგუმენტი გახდეს მათთვის – მათ ხომ Hyperloop-ის მილების გვერდზე მოუწევთ ცხოვრება – ზებგერითი მატარებელი რაც შეიძლება უფრო სწორ გზას მოითხოვს – დატვირთვის შესამცირებლად.

არავინ იცის რა იქნება მომავალში, მაგრამ ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ ტექნოლოგია საოცარი სისწრაფით ვითარდება და ის, რაც შეუძლებელია დღეს, შესაძლებელი იქნება ახლო მომავალში.

ლიტერატურა:

1. http://www.youtube.com/watch?v=qi1kPRfnos0
2. http://www.youtube.com/watch?v=hUATDtZble0
3. http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102008408
4. http://www.smtdc.com/en/
5. http://www.ambebi.ge/mozaika/80331-iaponurma-matarebelma-500-kmsth-sichqare-ganavithara.html#ixzz2lULxblpf

ბუნებრივ-სტიქიური მოვლენები საქართველოში (მიწისძვრები)

მარიამ რაზმაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** პროფესორი

თემაში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეები, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტიპის ბუნებრივი საფრთხე არ არის წარმოდგენილი ამ თემაში, მაგ.: მეწყრის, ღვარცოფის, ქვათაცვენის, წყალდიდობა/წყალმოვარდნის, თოვლის ზვავის, ტყისა და ველის ხანძრები, ნიადაგის ეროზია, ნიადაგის დაბინძურება; აგრეთვე, პროექტის მიზნებს მიღმაა დარჩენილი ტექნოგენური კატასტროფების საფრთხეების შეფასება. ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შესახებ ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, განახლება და ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო დაწესებულებებისა და იმ ორგანიზაციების საქმიანობაში, რომელთა მუშაობა უკავშირდება ბუნებრივი კატასტროფების მართვას ან/და ემსახურება კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქებას. სრულყოფილი, ზუსტი მონაცემთა ბაზის შედგენა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მომხდარი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შესახებ ინფორმაციას, არამედ მათ სტანდარტიზაციას,

შემოწმებასა და არსებული მონაცემების სისტემატურ განახლებას. ასევე მნიშვნელოვანია ამ მონაცემების მოსახლეობისათვის და შესაბამისი სტრუქტურებისათვის დროული მიწოდება

რა არის სტიქიური მოვლენები? ბუნებრივი მოვლენა, რომელიც, ზოგჯერ, კატასტროფული ხასიათის პროცესად გადაიქცევა. მაგალითად, დიდი რაოდენობით ნალექმა შესაძლებელია წყალდიდობა გამოიწვიოს, უეცარმა დათბობამ ზვავების გააქტიურება, წნევის რყევამ - დამანგრეველი სიძლიერის ქარი და ა.შ. ნებისმიერი ბუნებრივი მოვლენა და პროცესი გეოგრაფიულ სივრცეში ვითარდება, ამიტომ კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი მოვლენების გეოგრაფიული თავისებურების შესწავლასა და პროგნოზირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივი მოვლენებიდან და პროცესებიდან კატასტროფულია მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, მეწყერი, ზვავი, ტაიფუნი, წყალდიდობა და სხვ. თითოეული მათგანი სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში ვითარდება და სხვადასხვაგვარი საშიშროებით ხასიათდება. მათ ერთი რამ აერთიანებთ - ისინი განსაკუთრებით საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის. დედამიწაზე სტიქიურ მოვლენებს, ბუნებრივი კატასტროფების სახით, ადგილი აქვს როგორც ხმელეთზე, ასევე წყალქვეშ. მათი მასშტაბები თანდათან მატულობს, რაც დაკავშირებულია ახალი ტერიტორიების ათვისებასთან: ვჩეხავთ ტყეებს, ვაბინძურებთ წყალსაცავებს, მდინარეებზე ვაგებთ კაშხლებს და ა. შ.

რა არის მიწისძვრა? მიწისძვრა დედამიწის ქერქის რღვევაა. დედამიწის ზედაპირი, რომელიც მთლიანად ფილებითაა დაფარული, მუდმივ მოძრაობაშია. ზოგან ამ ფილების დაშორება ხდება, ზოგან კი - შეჯახება. *ამ მოძრაობის დროს დედამიწის ლითოსფერო, ანუ ქერქი დეფორმაციას განიცდის და როცა ეს პროცესი ზღვარს მიაღწევს, ქერქი იმსხვრევა და მიწისძვრა წარმოიქმნება. სამწუხაროდ,* წინასწარ ამის განსაზღვრა მეცნიერებს ჯერ არ შეუძლიათ. ჩვენ არც მოკლევადიანი პროგნოზის გაკეთება შეგვიძლია. დღეს მხოლოდ გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთებაა შესაძლებელია, ანუ შეგვიძლია, განვსაზღვროთ, რა სიმძლავრის ბიძგებია მოსალოდნელი. ეს კი საშუალებას გვაძლევს, სწორად შევაფასოთ სიტუაცია. ამ მონაცემებს უნდა დაეყრდნონ მშენებლები. იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ გზით წავიდნენ (აშშ, იაპონია, ევროპის ქვეყნები), ჰაიტის სიმძლავრის მიწისძვრის შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მსხვერპლი იქნებოდა ასეთი პროგნოზი წინასწარ რომ გაკეთებულიყო.



მიწისძვრების უმრავლესობა სუსტია, ხშირად შეუმჩნეველია ადამიანებისათვის და არანაირ ზიანს არ იწვევს. ზოგი მათგანი კი იწვევს დიდ ნგრევას, რასაც ხანდახან თან ახლავს მსხვერპლი. მიწისძვრის სიძლიერე **რიხტერის სკალით** იზომება. მიწისძვრა, ძირითადად, ტექტონიკური პროცესებით არის გამოწვეული. მიწისძვრის კერა (ნახ. 1) დედამიწის წიაღის იმ უბანს წარმოადგენს, სადაც ქანებში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ენერგიის განტვირთვა ხდება. მიწისძვრის სიძლიერე მაგნიტუდით (ტალღების საერთო ენერგიით) და ბალებით ფასდება. ბალის სიდიდე კერის სიღრმესა და მაგნიტუდაზეა დამოკიდებული. დედამიწაზე ორი ძირითადი სეისმური სარტყელია ცნობილი: **ალპურ-ჰიმალაური და წყნაროკეანური.** საქართველოს ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმური რეგიონის განუყოფელი ნაწილი, ალპურ-ჰიმალაურ სეისმოაქტიურ სარტყელს მიეკუთვნება. ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მოსალოდნელი მიწისძვრების სიძლიერით და თანმდევი უარყოფითი შედეგებით, ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია და 7-9 ბალიანი მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული. მიწისძვრას ხშირად თან სდევს მის მიერ პროვოცირებული სხვა სტიქიური მოვლენები: ცუნამი, მეწყერი, ზვავები, ღვარცოფი, ხანძარი და სხვა.

მიწისძვრის წარმოქმნა. მიწისძვრები ხდება დედამიწის ქერქში. დედამიწის გარეთა საფარი შედგება მოძრავი ქანებისაგან. ქანების მოძრაობა არ არის სწორი და თანამიმდევრული. ამ დროს აღინიშნება კუმშვიდი და გამჭიმი ძაბვები. წნევა ქანებს აწვება და დედამიწის ზედაპირის რღვევას იწყებს. დაგროვილი ენერგია სხვადასხვა ინტენსივობის მიწისძვრის სახით ვლინდება. მიწისძვრის სიმძლავრე დამოკიდებულია მის ბუნებაზე და დედამიწის ზედაპირის მდგომარეობაზე. მიწა შეიძლება გაიხსნას, ამოიწიოს ან ჩაღრმავდეს. მთიან ადგილებში მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ზვავი ან მეწყერი, რომელსაც მოჰყვება გამდნარი ლავის მაგვარი თიხოვანი მასა. ხშირ შემთხვევაში, მეწყერის შედეგად, თიხოვანი და ქვიშიანი ნიადაგები ერევა ერთმანეთს და წარმოქმნის არამდგრად, მოძრავ

ქანებს, ანუ ჭანჭრობს. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 1964 წლის ალასკის მიწისძვრა. ბუნებრივი ძალებიდან მიწისძვრა ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელია. დიდი მასშტაბის მიწისძვრა შესაძლოა 10000-ჯერ მეტად დამანგრეველი იყოს, ვიდრე, მაგალითად ატომური ბომბი, რომელიც 1945 წელს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ჩამოაგდეს. მიწისძვრის დროს დედამიწა თითქმის ისევე ირყევა, როგორც გემი ზღვაში. ზოგჯერ მიწის ზედაპირზე წარმოიქმნება მიწისძვრის ანუ სეისმური ტალღები. მიწისძვრების უმეტესობა გრძელდება მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში, მაგრამ ის შეიძლება გაგრძელდეს წუთით და ოდნავ მეტიც. მაგალითად, 1906 წლის სან-ფრანცისკოს მიწისძვრა მხოლოდ 40 წამი გაგრძელდა მაშინ, როდესაც 1964 წლის 24 იანვრის ალიასკის მიწისძვრა დედამიწას შვიდი წუთის განმავლობაში არყევდა. აქედან სამი საკმაოდ ძლიერი ინტენსივობის იყო.

მიწისძვრის გამომწვევი მიზეზი. საზოგადოდ მიწისძვრათა გამომწვევი მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ვულკანის მოქმედება, კარსტული ჩაქცევები, აფეთქებები და სხვა, მაგრამ ასეთი მიწისძვრები, ჩვეულებრივ, საკმაოდ სუსტია, თუ არ ჩავთვლით ბირთვული აფეთქებებით გამოწვეულ მიწისძვრებს. ამიტომ, როცა მიწისძვრებზე საუბრობენ, ჩვეულებრივ, გულისხმობენ ე.წ. ტექტონიკურ მიწისძვრებს, რომელთა გამომწვევი მიზეზები დედამიწის ლითოსფეროსა და ზედა მანტიაში მიმდინარე პროცესებია. ეს პროცესები იწვევს დედამიწის ქერქის მთლიანობის უეცარ რღვევას, რასაც თან ახლავს დრეკადი ტალღების გამოსხივება. სწორედ ეს დრეკადი ტალღებია დედამიწის ზედაპირის რხევის მიზეზი და ამ რხევას ჩვენ მიწისძვრას ვუწოდებთ. დღესაც კი, ადამიანი უძლურია ამ სტიქიის წინაშე. მიწისძვრა იწვევს დიდ მსხვერპლს, ნგრევას, ზარალს. მაგრამ ამ მოვლენას სულ სხვა თვალით შეიძლება შევხედოთ. მიწისძვრა მეტად საინტერესო მოვლენაა, ტექტონიკური პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ მოვლენის ძირეული მიზეზი დედამიწის წიაღში მიმდინარე პროცესებია. მიწისძვრის დროს გამოსხივებული ტალღები განჭოლავენ მთელ დედამიწას და გვაძლევენ ინფორმაციას მისი შინაგანი აგებულების შესახებ.



უდიდესი, დაფიქსირებული მიწისძვრები. იაპონიის მიწისძვრა: 9.0 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა იაპონიაში 2011 წლის 11 მარტს, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ტოკიოდან ჩრდ.-აღ 373 კმ.-ის დაშორებით, 30 კმ სიღრმეზე. მიწისძვრამ გამოიწვია ცუნამი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა დაზარალებულთა რაოდენობა. მიწისძვრას ემსხვერპლა 15,703 ადამიანი, 4,647 დაიკარგა და 5,314 დაშავდა. სპიტაკის მიწისძვრა 1988 წლის 7 დეკემბერს მოხდა მაგნიტუდა 6.9 მიწისძვრა სომხეთში. მიწისძვრის ეფექტი ზედაპირზე 9-10 ბალი იყო. ეპიცენტრი მდებარეობდა მცირე კავკასიონზე, 40 კმ-ის დაშორებით ქ. ლენინაკანიდან. ბიძგები იგრძნობოდა და მცირე დაზიანება გამოიწვია საქართველოში, თურქეთსა და ირანში. პირველი ბიძგიდან 4 წუთის შემდეგ მოხდა 5.8 მაგნიტუდის „აფთერშოკი“. სულ 7 დეკემბრიდან 12 დეკემბრამდე 191 „აფთერშოკი“ დაითვალეს, ბიძგები 40 კმ-ის რადიუსში იგრძნობოდა. სრულიად დაინგრა ქალაქი სპიტაკი და 58 სოფელი მის გარშემო. ასევე, ნაწილობრივ დაინგრა ქალაქები: ლენინაკანი, კიროვაკანი, სტეპანავანი და დაახლოებით 400 მდე დასახლებული პუნქტი ოფიციალური მონაცემებით ამ მიწისძვრას 25,000 ადამიანი ემსხვერპლა, 19,000 დაშავდა და 500,000 უსახლკაროდ დარჩა. მიწისძვრით მიყენებულმა ზარალმა 16,2 მლრდ დოლარი შეადგინა. მიწისძვრის დროს წელიწადის დროებსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყველაზე მასშტაბურ მსხვერპლს ზამთარში მომხდარი მიწისძვრა იწვევს, როცა ხალხი შენობებშია გამოკეტილი. საშიშია ღამით მომხდარი მიწისძვრა, როცა ხალხი სახლში იმყოფება. ქალაქ ონში <u>მიწისძვრა დაფიქსირდა, რომლის სიმძლავრე 3,3 მაგნიტუდას შეადგენდა.</u> რომელიც მოხდა 1988 წლის 7 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 11:41 საათზე, სომხეთის სპიტაკის რეგიონში. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა მიწისძვრისთვის შესაბამისი მშენებლობის არ აღმოჩნდა, რის გამოც სულ მცირე 25.000 ადამიანი დაიღუპა. შენობათა უმრავლესობა დაბალი სეისმო შედეგების იყო. თვითმხილველთა ვარაუდით, მიწისძვრა 10 წუთით გვიან მომხდარიყო, ბავშვები სტრუქტურულად არასაიმედო სკოლებიდან გამოსული იქნებოდნენ და დაღუპვას გადაურჩებოდნენ. ლაგოდეხთან 3,9 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა დღეს, საღამოს, ქალაქ ლაგოდეხის დასავლეთით 13 კილომეტრში, სოფელ გუჯარეთთან მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. ალავერდის

მიწისძვრა, ლეჩხუმ-სვანეთის მიწისძვრა, თმოგვის მიწისძვრა 1088 წ. ახალქალაქის მიწისძვრა 1899, ამ მხრივ აღსანიშნავია გასული საუკუნის დასაწყისში ქალაქ გორთან მომხდარი 1920 წლის ქართლის მიწისძვრა (Ms=6,2, Io=8-9) როდესაც 150-მდე ადამიანი დაიღუპა. ასევე მნიშვნელოვანია 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრა (Ms=7.0, Io=9-10 ბალი). მიწისძვრის შედეგად სომხეთში 25,000 ადამიანი დაიღუპა, 50,000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ხოლო ეკონომიკური ზარალი შეფასდა 15 მილიარდ მანეთად.

მიწისძვრები საქართველოში. დედამიწაზე არსებული ქედებს შორის კავკასიონის ქედი მეცნიერების მტკიცებით შედარებით უფრო „ახალგაზრდაა“ და მისი დანაოჭება ჯერ არ არის დამთავრებული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორია სეისმურ ზონაშია მოქცეული. აქ უძველესი დროიდან ადგილი ჰქონდა მიწისძვრებს. მაგალითად 1088 წელს საქართველოში მოხდა საშინელი მიწისძვრა, რომელიც მთელი წელიწადი გაგრძელდა. მიწისძვრამ დაანგრია მრავალი ქალაქი და სოფელი, მათ შორის ქალაქი თმოგვი. ასევე დაინგრა ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები. დაიღუპა ათასობით ადამიანი. 1991 წლის 29 აპრილს საქართველოს რაჭა-იმერეთის რეგიონში, ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურის და საჩხერის რაიონებში მოხდა 6,9 ამპლიტუდის ძალის მქონე მიწისძვრა. იგი გაგრძელდა დიდხანს. დაინგრა ათასობით საცხოვრებელი სახლი, სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ. საჩხერეში სერიოზულად დააზიანა მოდი-ნახეს ციხე-სიმაგრე და რკინიგზის სადგური, ჩამოწვა მეწყერები და მიწაში ჩაიფლო საცხოვრებელი სახლები

ბუნებრივ ნიშნებზე დაკვირვება. მიწისძვრის პროგნოზირების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი ნიშნების გათვალისწინებას, მაგალითად, ცხოველების ქცევაზე დაკვირვებას. როდესაც მოსალოდნელია მიწისძვრა, ძაღლები ყმუიან, ცხენები შფოთავენ, ჩიტები კი მოუსვენრად დაფრინავენ წრეში. 1975 წლის ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში მიწისძვრამ და მოსახლეობამ ამოიცნო რამდენიმე მომასწავებელი ნიშანი, მათ შორის ცხოველთა უცნაური ქცევაც და შეძლო თავისდაცვა საშინელი ნგრევისაგან. მიწისძვრების ზონებში მეცნიერების დაკვირვების საგანს წარმოადგენს წყაროები. აქ ისინი ამონტაჟებენ სპეციალურ აპარატურას, რომელიც წყლის შემადგენლობას აჩვენებს. საქმე იმაშია, რომ მიწისქვეშა ძვრების დროს გამოიყოფა აირი, სახელწოდებით რადონი, რომელიც დედამიწის ზედაპირზე ამოდის და ერევა წყალს. ამგვარად, წყაროს წყალში რადონის რაოდენობის მომატება შესაძლოა მიწისძვრის მანიშნებელი იყოს. ხშირ შემთხვევაში მიწისძვრამ დედამიწის ზედაპირიდან გამოიყოფა ელექტრულად დამუხტული გაზები, რომლებსაც ოდნავ შესამჩნევი ნათება გააჩნიათ და მათ „მიწისძვრის შუქებს“ უწოდებენ. ასევე მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ მიწისძვრის მოსალოდნელი ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალბადის აირის დონე ათჯერ აღემატება ნორმას. სამწუხაროდ, ეს ფენომენი არ აღინიშნება ყველა მიწისძვრის დროს. მეცნიერები პროგნოზირებისათვის უამრავ სხვადასხვა ტექნოლოგიას იყენებენ, მაგალითად, დეფორმაციისა და დახრილობის აღმრიცხველ ხელსაწყოებს.

ნაპრალები. ნაპრალები დედამიწის ქერქში გიგანტური ზომის ბზარებს წარმოადგენენ. მათი სიგრძე სიღრმე ხშირად რამდენიმე კილომეტრს აღწევს. მიწისძვრა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც დედამიწის შიდა ფილების მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი წნევა აწვება ნაპრალის ქანებს. **ფილების მოძრაობა.** ტექტონური ფილების მოძრაობა მუდმივი არ არის. ხშირ შემთხვევაში ფილები უძრავ მდგომარეობაში საკმაოდ დიდხანს რჩებიან. როდესაც წნევის ძალა მეტია ქანების სიმკვრივეზე, ისინი სკდება და ფილები მოძრაობაში მოჰყავს. მიწისძვრის ზუსტი დროის წინასწარი გათვლა შეუძლებელია. დეტალური მონიტორინგისა და სეისმური რუკების შედგენის შედეგად, მეცნიერები პროგნოზირებენ მიწისძვრის მხოლოდ სავარაუდო ადგილსა და დროს. ზოგიერთი დიდი მასშტაბის მიწისძვრა იწყება უმნიშვნელო სეისმური ტალღებით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ დიდ მიწისძვრებს წინ უძღვებათ ტალღების გავრცელების სიჩქარის ვარიაცია დროში. მცირე ცვლილებები დედამიწის ზედაპირზე და ლოკალური ცვლილებები დედამიწის მაგნიტურ ველებში, ასევე, მიწისძვრების წინაპირობას წარმოადგენენ. **სეისმომეტრი** მეფის რუსეთის დროს 1862 წლიდან პლეხანოვის გამზირის დასაწყისში, ერთ მშვენიერ ეზოში განლაგდა კავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური და სეისმური ცენტრი, რომელიც მდებარეობს მიწისქვეშ 12 მეტრის სიღრმეზე. იქ ხდებოდა და დღესაც ხდება პერფობარათებზე მიწისძვრების ჩაწერა. ეს იყო პირველი გეოფიზიკური კერა. მიწისძვრების პროგნოზირების ყველაზე საიმედო აპარატია სეისმოგრაფი. მიწისძვრისა და სეისმო ძიების დროს იგი აღბეჭდავს დედამიწის ქერქის ყველაზე უმნიშვნელო რხევებსაც კი, გადაჰყავს ელექტრო სიგნალებად, რომლებიც შემდეგ დიაგრამულ ქაღალდზე იწერება. დედამიწის მოძრაობებზე დაკვირვებების ჩატარების დროს სეისმოლოგები ხშირად სატელიტის საშუალებით აგზავნიან ელექტროსიგნალებს განსაზღვრულ სადგურებში და აკვირდებიან ამ სადგურების ერთმანეთთან განლაგების სქემას.

ნგრევის თავიდან აცილება მართალია, არცერთი ხსენებული მეთოდი არ არის სრულყოფილი, მაგრამ ისინი სეისმოლოგებს მიწისძვრის ბუნების უკეთ შესწავლაში ეხმარებიან. მეცნიერები ცდილობენ თავიდან აიცილონ მიწისძვრის შედეგად მოსალოდნელი ნგრევები. ბევრ მეცნიერს სწამს, რომ ხელოვნურად გამოწვეული უმნიშვნელო ბიძგებით შეიძლება დედამიწის ქანების მსხვერპლის თავიდან

ასაცილებლად საუკეთესო გზაა მიწისძვრის ზონების სრული ევაკუაცია. თუმცა დღევანდელ პირობებში, როდესაც დედამიწის მოსახლეობა დღითიდღე იზრდება, ეს შეუძლებელი ხდება. გამოთვლები გვიჩვენებს, რომ 2035 წლისათვის მიწისძვრების ზონების მთავარ ქალაქებში 600 მილიონი ადამიანი იქნება დასახლებული. ამერიკის და იაპონიის არქიტექტორები აუმჯობესებენ მიწისძვრის გამძლე შენობების პროექტებს. ისინი შენდება სპეციალური დრეკადი მასალისაგან, მათი საძირკველი კი საშუალო სიდიდის რხევებს უძლებს. **თავდაცვითი ზომები** ისეთ ქალაქებში, სადაც ხშირია მიწისძვრები, მაგალითად, სან-ფრანცისკოსა და ტოკიოში, ტარდება სპეციალური მოსამზადებელი კურსები, რომლებზეც მოსახლეობას უსაფრთხოების წესებს ასწავლიან.

- ბავშვებს საწოლებთან ყოველთვის უდევთ ფეხსაცმელების წყვილი და ფარანი, რათა საჭიროების შემთხვევაში ღამის სიბნელეში მოახერხონ თავის გადარჩენა.

- მიწისძვრის დროს უკეთესია თავშესაფარი იპოვოთ მაგიდის, ან კარების ჩარჩოს ქვეშ, რადგან ეს ისეთი ადგილია, რომელიც იშვიათად თუ ჩამოინგრევა. გარეთ გაქცევისას ნანგრევებში მოყოლის მეტი საშიშროება არსებობს.

-მიწისძვრით გამოწვეული ხანძრები უმალვე უნდა ჩაიქროს, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გავრცელება ბუნებრივი აირის წყაროებთან, რამაც შეიძლება აფეთქებები გამოიწვიოს. **მიწისძვრის შედეგები** ყველაზე საშიშ და დიდ ზიანს მიწისძვრა აყენებს დიდ ქალაქებს.1995 წლის 17 იანვარს, დილის 5 საათსა და 46 წუთზე იაპონიის ქალაქ კობეში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მან უდიდესი ნგრევა გამოიწვია. სახლები ჩამოინგრა, ზოგი – გვერდზე გადაიხარა, ხიდები და გზები ისე დაინგრა, თითქოს ფიცრის ყოფილიყო, ხოლო რკინიგზა სრულიად განადგურდა. შენობების წაქცევის შედეგად, დაზიანდა ელექტრო ხაზების და გაზის მილები, რაც აფერხებდა მაშველების მუშაობას. დაღუპულთა რიცხვმა 5300 ადამიანს მიაღწია. ზოგი ნანგრევებში მოჰყვა, ზოგი კი მიწისძვრის შედეგად გამოწვეულ ხანძრებს შეეწირა. საერთოდ მატერიალურმა ზარალმა 100 მილიონ დოლარს მიაღწია. თუმცა ექსპერტებმა იწინასწარმეტყველეს, რომ იაპონიაში დიდი მასშტაბის მიწისძვრა მოხდებოდა, მაგრამ ეპიცენტრის ადგილი ვერ გამოიცნეს. მათი ვარაუდით, ეს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში უნდა მომხდარიყო.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, ვ. ნეიძე და სხვ., თბ., 2008.
2. ხვედელიძე ლ., გეომაგნიტური ველის ვარიაციების ზოგიერთი მექანიზმის გამოკვლევა, დისერტაცია, ქუთაისი, 2012.
3. ზ. ტიელიძე და სხვ., ბუნებისმცოდნეობა, თბ., 2013.

ინტერნეტ-რესურსები:

http://seismo.iliauni.edu.ge/aboutEq/Why_does_earthquakes_happen.php
http://www.kvirispalitra.ge/public/14958-ras-
https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/bunebrivi-katasteopebi

ჰელმინთები ჩვენს ორგანიზმში და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხალხური მეთოდები

ნინო სარქისიანი, ანი კაკაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინათინ იოსებიძე,** ასოცირებული პროფესორი

ჰელმინთი (***Helminthiasis)*** ბერძნული სიტყვაა და პარაზიტ ჭიას ნიშნავს. ადამიანის ჰელმინთოზები ზოგადსაკაცობრიო, გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ჰელმინთები დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობას. დადგენილია, რომ მსოფლიოში 1,5 მილიარდზე მეტი ადამიანია ინვაზირებული. სწორედ ამიტომ მოითხოვს აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას. ჰელმინთოზების წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს მთელ რიგ სამეცნიერო

და სოციალურ პრობლემებს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ჰელმინთების ბიოლოგიის, მათი სასიცოცხლო ციკლის, ჰელმინთოზების კლინიკის, დიაგნოსტიკის, ეპიდემიოლოგიის, ეკოლოგიის შესწავლის, ინდივიდუალური და მასობრივი მკურნალობის მეთოდების, ექიმ-პარაზიტოლოგების მომზადებისა და ეპიდემიოლოგიურად განხორციელების საკითხები.

ჰელმინთი მრავალუჯრედიანი, უმარტივესებთან შედარებით მაღალგანვითარებული ცხოველური ორგანიზმია. განასხვავებენ ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების ჰელმინთებს.

ადამიანის ჰელმინთებს ანთროპოჰელმინთებს უწოდებენ, ცხოველის - ზოოჰელმინთებს, მცენარისას კი - ფიტოჰელმინთებს. იმ ორგანიზმს, რომლის ხარჯზეც იკვებება და ცხოვრობს ჰელმინთი, მასპინძელი ეწოდება.

გარემოში ჰელმინთის კვერცხის ან ლარვის განვითარების თავისებურებათა მიხედვით განასხვავებენ ადამიანის სამი სახის ჰელმინთოზს: კონტატურს, გეო და ბიოჰელმინთოზს. კონტაქტური ჰელმინთების ციკლი საკმაოდ მარტივია. ეს ჰელმინთები გარემოში გამოყოფენ კვერცხებს, რომელთაც შესწევთ ადამიანის ინვაზირების უნარი. ადამიანის ორგანიზმში ისინი ხვდებიან დაბინძურებული ხელების ან საყოფაცხოვრებო საგნების საშუალებით. იმ ჰელმინთებს, რომელთა განვითარება მასპინძლის ცვლის გარეშე მიმდინარეობს, გეოჰელმინთები ეწოდება, ხოლო მათ მიერ გამოწვეულ დაავადებებს გეოჰელმინთოზები. გეოჰელმინთების განვითარეების ციკლი შედარებით რთულია. ისინი გარემოში გამოყოფენ კვერცხებს, რომლებშიც სათანადო ტემპერატურის, ტენიანობის, მზის სხივების ზეგავლენით ლარვა ყალიბდება. მომწიფებული კვერცხები ან კვერცხებიდან გამოთავისუფლებული ლარვები ადამიანის ორგანიზმში უშუალოდ ნიადაგიდან იჭრებიან (ნეკატორი, სტრონგილოიდი) კანის გავლით ან პირის ღრუდან ხვდებიან ხილ-ბოსტნეულის, წყლის ან კვერცხებით დაბინძურებული ხელების საშუალებით (ასკარიდა, ბეწვთავა). ჰელმინთებს, რომელთაც საბოლოო განვითარებისათვის რამდენიმე მასპინძლის გამოცვლა სჭირდებათ, ბიოჰელმინთებს უწოდებენ, ხოლო მათ მიერ გამოწვეულ დაავადებებს ბიოჰელმინთოზებს. მათი განვითარების ციკლი ყველაზე რთულია. ვიდრე ბიოჰელმინთი შეიძენს ჯანმრთელი ადამიანის ინვაზირების უნარს, მან უნდა გაიაროს განვითარების რთული ციკლი ერთი ან რამდენიმე მასპინძლის ორგანიზმში. ორგანიზმს, რომელშიც ჰელმინთი ზრდასრულ სტადიას აღწევს, დეფინიტური ანუ საბოლოო მასპინძელი ეწოდება, ხოლო ორგანიზმს, სადაც მიმდინარეობს ჰელმინთის ლარვული სტადია - შუამავალი მასპინძელი.

მასპინძლის ორგანიზმზე ჰელმინთები იწვევენ როგორც ტოქსიკურ, ისე მექანიკურ ზემოქმედებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ლარვების მიგრაციას მასპინძლის ორგანიზმში, ასევე ლარვებით ორგანიზმში ბაქტერიული ფლორის ინოკულაციას (შეყვანას, მოთესვას) და ჰელმინთების ანტიფერმენტულ ზემოქმედებას საჭმლის მომნელებელ ფერმენტებზე, რის შედეგადაც ირღვევა საკვების მონელების ნორმალური პროცესი. ასევე საყურადღებოა პარაზიტების მიერ სიმსივნური პროცესის სტიმულირება და ორსულობის დროს ნაყოფის ჰელმინთებით ინვაზირების შესაძლებლობა. ჰელმინთები ადამიანის ორგანიზმში ხვდებიან პასიური და აქტიური გზით. თუ პარაზიტის კვერცხები ან ლარვები საჭმლის მომნელებელ ტრაქტში საკვების, წყლის ან დაბინძურებული ხელების საშუალებით მოხვდნენ, ინვაზირების ამ გზას პასიური ეწოდება. ეს იგივე ორალური გაზაა. ამ დროს ნაწლავის სანათურში ჰელმინთის კვერცხიდან გამოდის ლარვა, რომელიც პარაზიტად ყალიბდება. ამ ჯგუფის პარაზიტებს ეკუთვნის: ხარის, ღორის სოლიტერი, ენტერობიუსი, აგრეთვე ღვიძლისა და სანაღვლე გზებში მცხოვრები კატის ანუ ციმბირის ორპირა. თუ ჰელმინთის ლარვები ადამიანის ორგანიზმში ნიადაგიდან, წყლიდან, დაუზიანებელი კანიდან ან ლორწოვანი გარსიდან შეიჭრა, ინვაზირების ამ გზას აქტიური ეწოდება.

არსებობს შემდეგი სახის ჰელმინთები: ტრემატოდები; ცესტოდები; ექინოკოკოზები; ნერმატოდები; ფილარიები - ქსოვილთა ნემატოდები; ამათგან ყველაზე გავრცელებულია ნემატოდები, კერძოდ: ასკარიდოზი და ენტერობიოზი.

ასკარიდოზი ფართოდაა გავრცელებული დედამიწაზე, გამონაკლისია ცივი ზონა და ცხელი უდაბნოს რაიონები. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით 1,5 მილიარდზე მეტი ადამიანია დაავადებული ასკარიდიოზით. ინვაზია დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას და ამიტომ განიხილავენ, როგორც ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას. საქართველოს ტერიტორია ენდემურია ასკარიდოზისათვის, განსაკუთრებით შუამთის ზონა. პარაზიტის ლოკალიზაციის ადგილი წვრილი ნაწლავის ზედა ნაწილია. მსხვილი ნემატოდია, როდესაც მდედრის სიგრძეა 20-40 სმ., ხოლო მამრის - 15-25 სმ; მათი სხეული მოთეთრო-მოვარდისფერო, თითისტარისებური და ცილინდრულია. მდედრის კუდი წაწვეტებულია, მამრის – მომრგვალო.

მდედრი ასკარიდა დღე-ღამეში გამოყოფს 240000 კვერცხს. მას შეუძლია გამოყოს განაყოფიერებული და გაუნაყოფიერებელი კვერცხები. კვერცხებს მრგვალი ფორმა აქვს და დაფარულია 3 ცილოვანი გარსით. გაუნაყოფიერებელი კვერცხები ხშირად სხვადასხვა ფორმისაა, ისინი მასპინძლის ორგანიზმიდან ფეკალურ მასებთან ერთად გამოიყოფიან. ნიადაგზე ხდება მათი შემდგომი განვითარება. გარემოში კვერცხების მომწიფება მიმდინარეობს ეკოლოგიური პირობების მიხედვით. ოპტიმალურ ბუნებრივ პირობებში კვერცხში მოძრავი ლარვა ჩნდება 12 დღეში, მაგრამ იმისთვის, რომ მიაღწიოს ინვაზიურ სტადიას, საჭიროა ხელსაყრელი კლიმატური პირობები. ამიტომ ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს 24 დღიდან რამდენიმე თვემდე, რაც დამოკიდებულია ბუნებრივი პირობების ცვალებადობაზე. კვერცხის განვითარება იწყება 12°C-დან და წყდება 36°C-ზე.

განაყოფიერებული კვერცხი თუ მოხვდა ადამიანის ორგანიზმში დაბინძურებული პროდუქტებით ან წყლით, იგი ინვაზირდება ასკარიდოზით. წვრილ ნაწლავში კვერცხებიდან გამოსული ლარვები იჭრებიან წვრილ ვენოზურ მილებში და იწყებენ მიგრაციას, გაივლიან სისხლის მცირე და დიდ წრეს, მოხვდებიან ჯერ ფილტვის არტერიაში, შემდეგ ალვეოლებსა და ბრონქიოლებში, სადაც იკვებებიან ერითროციტებით. 7-9 დღის შემდეგ ლარვები ბრონქებიდან ხვდებიან ტრაქეაში, აქედან კი საყლაპავში. მიგრაციის დროს ლარვები იზრდებიან, განმეორებით იცვლიან კანს. ამით მთავრდება ასკარიდოზის პირველი მიგრაციული სტადია და იწყება მეორე ნაწლავის სტადია, რომელიც ძირითადად წვრილ ნაწლავში მიმდინარეობს, სწორედ აქ აღწევს ასკარიდა ზრდასრული სიმწიფის ფაზას. ამ პროცესის ხანგრძლივობა 10-11 (ხანდახან 15) კვირაა.

ასკარიდოზის დროს ადამიანს ბუნებრივი იმუნიტეტი არ გააჩნია. ასკარიდებით დაინვაზირება მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი, მასობრივად დაინვაზირება მათი მასობრივი კვერცხდების პერიოდში ხდება, ზაფხულ-შემოდგომის თვეებში, როდესაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს იწყებს, ბავშვები კი მიწით თამაშობენ. ადამიანი ხშირად მიწის გასანოყიერებლად ორგანულ სასუქს იყენებს. ამგვარ ნიადაგზე მოყვანილი მწვანილი და ბოსტნეული ინვაზიური კვერცხებითაა დაბინძურებული. ამ პროდუქტებს კი ჩვენ უმსაც მოვიხმართ.

ასკარიდოზის კლინიკური სურათია: პერიფერიულ სისხლში ვითარდება ლეიკოციტოზი ეოზინოფილიით, რომელსაც ხშირად ერთვის გულისრევა, თავბრუსხვევა, ნერწყვის ჭარბად გამოყოფა, თავის ტკივილი, ზოგჯერ ზომიერად ან ძლიერად გამოხატული შემცივნება, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, ასევე ალერგიული გამონაყარი კანზე. ვითარდება ჰეპატოსპლენომეგალია (ღვიძლისა და ელენთის გადიდება), ლიმფადენოპათია, სისხლის შრატში ვლინდება ჰიპერპროტეინემია. მათი გამოვლინების სიხშირე და სიმძიმე ლოკალიზაციის ადგილსა და პარაზიტების რიცხვზეა დამოკიდებული. ისინი უმეტესად საჭმლის მომნელებელ სისტემაში გვხვდებიან, თუმცა ბინადრობენ ადამიანის ყველა ორგანოშიც.

ენტერობიოზი, რომლის გამომწვევი კუდმახვილაა, ფართოდ გავრცელებული ნაწლავის პარაზიტია, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ყველა ასაკის ადამიანში. უფრო ხშირად დაავადებულნი არიან სკოლამდელი და სკოლის ბავშვები. ინვაზიის გავრცელება არ არის დამოკიდებული გარემო პირობებზე. მდედრი კუდმახვილას სიგრძეა 9-12 მმ., მამრის 2-5 მმ.; თავზე აქვთ მისამაგრებელი ტუჩები. მდედრის ბოლო წაწვეტებული და სწორია, მამრისა – მოკაუჭებული. კვერცხები უფერული, ასიმეტრიული და ორკონტურიანი გარსით.



მომწიფებულ კვერცხში ჩანს მოძრავი ლარვა, პარაზიტი ცხოვრობს თეძოსა და ბრმა ნაწლავში. მომწიფებული მდედრი 11000-მდე კვერცხს დებს. მდედრის სიცოცხლის ხანგრძლივობა 1 თვეა, მამრისა – 2 კვირა. ინვაზიის წყარო მხოლოდ დაინვაზირებული ადამიანია. მისი ორგანიზმიდან პარაზიტი გამოყოფს მომწიფებულ კვერცხებს, რომელთა მიმოფანტვა ხდება ტანისამოსსა და სხვა ნივთებზე. ისვრება აგრეთვე ხელები, რომლის მეშვეობით კვერცხები ხვდება საკვებში (ხელების უშუალოდ პირში ჩადება კი ბავშვის ჩვეულებაა).

ადამიანი ავადდება კუდმახვილას მომწიფებული კვერცხის მოძრავი მატლის ჩაყლაპვით, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გადადის კვერცხებიდან. ნორჩი კუდმახვილები ფიქსირდებიან ნაწლავის ლორწოვან გარსზე თავის ვეზიკულათი, როდესაც კვერცხები მომწიფდება მდედრი ჭიის საშვილოსნოში, პარაზიტები გადაადგილდებიან სწორ ნაწლავში პერისტალტიკის მეშვეობით, შემდეგ გადადიან უკანა ტანიდან, კვერცხებს დებენ გარეთა ნაოჭებში და იწვევენ ქავილს სწორი ნაწლავისა და სანათურის გარშემო. მდედრი კვერცხის დების შემდეგ იღუპება. პარაზიტის სიცოცხლის ხანგრძლივობა 20-30 დღეა. ჭიის გამოსვლა და კვერცხის დება ხდება ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით კი საღამოს, ძილის დროს. ისინი, გარდა შემაწუხებელი ქავილის შეგრძნებისა, იწვევენ შარდშეუკავებლობასაც. ეს პარაზიტები ადვილად იჭრებიან ქალის სასქესო ორგანოებში და საშარდე გზებში, რაც იწვევს შესაბამისად მათ ანთებით დაავადებებს ვულვიტს, ცისტიტს.

პარაზიტული ჭიების აღმოჩენა ხდება ძირითადად მიკროსკოპული მეთოდით და მათი გამოვლენის შემთხვევაში პაციენტს ენიშნება შესაბამისი სამკურნალო პრეპარატი ექიმ-პარაზიტოლოგის მიერ.

ჩვენ დავინტერესდით, როგორია ჩვენს რეგიონში ჰელმინთებით ავადობის სიხშირე, ამის გამოსარკვევად მივაკითხეთ გორში პარაზიტოლოგიის ლაბორატორიას, სადაც ჰელმინთებზე კვლევა მიკროსკოპული მეთოდით წარმოებს, ანალიზები უფასოა გორის მოსახლეობისთვის, რის გამოც შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლებიდანაც ჩამოდიან გამოსაკვლევად.

აღნიშნული პარაზიტოლოგიის ლაბორატორიიდან მოვიპოვეთ ჰელმინთებით ავადობაზე 2012 და 2013 წლის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები. 2012 წელს სულ გამოკვლეულ იქნა 2237 პაციენტი, საიდანაც ჩანს, რომ 829-ს აღმოაჩნდა ენტერობიოზი, 386-ს ასკარიდა, ხოლო 4 -ს – სოლიტერი. 2013 წელს გამოკვლეულ იქნა 2935 პაციენტი, აქედან 893-ს ღმოაჩნდა ენტერობიოზი, 507-ს - ასკარიდა, 5-ს – სოლიტერი და 2-ს – ტრიხოცეფალოზი.





ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, პაციენტების რაოდენობა 698-ით გაიზარდა. აქედან ენტერობიოზის 64-ით, ასკარიდოზის – 121-ით, სოლიტერი თითქმის თანაბარია, ასევე უმნიშვნელოა ტრიხოცეფალოზი, რომელიც 2012 წელს არ დაფიქსირდა, ხოლო 2013 წელს მხოლოდ 2 შემთხვევაა გამოვლენილი.

აღნიშნული ცვლილებების ძირითადი მიზეზი კი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაა.

დღეისათვის პარაზიტი ჭიების მკურნალობა თითქმის დაფუძნებულია ბრძოლის მედიკამენტურ მეთოდებზე (მებენდაზოლი და ალბენდაზოლი), რადგან მკურნალობის თვალსაზრისით შედარებით ნაკლებ პერიოდს მოიცავენ. ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ხალხურ მედიცინას, რომელიც ფარმაკოლოგიურ პრეპარატებთან შედარებით მკურნალობის უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, მაგრამ ,,უსაფრთხონი“ არიან. ამ მიზნით ჩვენს მიერ შეგროვილი იქნა რეცეპტები ძველი ხალხური მედიცინის საგანძურიდან. ჩვენ გვსურს ამ რეცეპტების პოპულარიზაცია, მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება და მათი აქტიურად გამოყენება. ქვემოთ მოგვყავს ჭიების ორგანიზმიდან გამოდევნის ხალხური საშუალებების აპრობირებული რამდენიმე მეთოდი, რომელიც დღეისათვის მივიწყებულია.

რძიანი ნივრის ოყნა

1 ჩაის ჭიქა რძეში ხარშავენ 1 თავ გასუფთავებულ ნიორს დარბილებამდე. წურავენ, აციებენ და უკეთებენ ოყნას. დიდმა ადამიანმა შეიძლება მთლიანი პორცია გაიკეთოს. ბავშვს კი 1/4 - 1/2 ჩაის ჭიქას უკეთებენ. ეს პროცედურა კეთდება 1 დღე.

ხახვის ნაყენი

1 საშუალო ხახვს ჭრიან, ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ 12 სთ. წურავენ. სვამენ 1/2 ჭიქას დღეში 2-ჯერ მშიერ კუჭზე 3-4 დღის განმავლობაში.

აბზინდა, ასისთავა

1 სუფრის კოვზ ნაკრებს (აბზინდას და ასისთავას იღებენ თანაბარი რაოდენობით), ასხამენ 1 ჩაის ჭიქა წყალს და ხარშავენ 20 წუთით. ღებულობენ 1 ჩაის ჭიქას დილით უზმოზე და ძილის წინ 8 დღის განმავლობაში.

ღორის სოლიტერის გამოდევნა

100 გრ გოგრის გულს (გატარებულს) და 50 გრ თაფლს ურევენ. ღებულობენ უზმოზე 1 სუფრის კოვზს 10-14 დღის განმავლობაში. ბოლო დღეს გოგრის გულების მიღებიდან 1 საათის შემდეგ აყოლებენ 1 ჩაის ჭიქა რძეს, რომელშიც წინასწარ ხარშავენ 1 თავ გასუფთავებულ ნიორს. 30 წუთის შემდეგ ასმევენ ძლიერ გამხსნელს. კიდევ 1 საათის შემდეგ კი უკეთებენ გვირილის ყვავილის ნაყენის თბილ ოყნას.

ნაკრები

გვირილას, მწარე აბზინდასა და ასფურცელას იღებენ თანაბარი რაოდენობით. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს თერმოსში ასხამენ 0,5 ლ მდუღარე წყალს. აჩერებენ 1 ღამე. წურავენ. ღებულობენ 1 ჩაის ჭიქას დილით უზმოზე და ძილის წინ.

ნესვის წვენი

ნესვის გულის წვენი საუკეთესო საშუალებაა სოლიტერის გამოსადევნად. სვამენ 1 ჭიქას. ნესვი არ უნდა იყოს ქიმიკატებით მოყვანილი.

ბროწეულის ქერქი

1 ცალ ბროწეულის ქერქს ასხამენ 150 მლ მდუღარეს. მიღებულ ნაყენს 3 ნაწილად სვამენ 30 წუთის განმავლობაში მშიერ კუჭზე. 3-4 საათის შემდეგ ღებულობენ გამხსნელს.

ლიტერატურა:
1. ადამიანის ადგილობრივი და შემოტანილი ჰელმინთოზები საქართველოში. სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, კრებული XXXIV, თბ., 2005.
2. ყურაშვილი ბ., უხერხემლოთა ზოოლოგია, თბ., 1996.
3. დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ., ქართული სამედიცინო ენციკლოპედია, თბ., 2005.
4. ხვიტია ნ., მჭედლიშვილი ე., ყურაშვილი ნ., სამედიცინო პარაზიტოლოგია, თბ., 2013.

მრავალგანზომილებიანი რეგრესიული ანალიზის გამოყენება ეკონომიკაში

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი

მათემატიკური სტატისტიკა არის მეცნიერება მონაცემების შეგროვების, დამუშავების, პრეზენტაციის, ანალიზისა და მათგან დასკვნების გაკეთების შესახებ. იგი მათემატიკის ნაწილია.

მათემატიკური სტატისტიკა გამოიყენებოდა იმ საქმიანობის სახელწოდებად, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების შესახებ სხვადასხვა სახის (ძირითადად, შობადობა და სიკვდილიანობა) ინფორმაციის შეგროვებასთან. თანამედროვე სტატისტიკა გაცილებით ფართო და ღრმა მნიშვნელობის მქონე ცნებაა, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ სახელმწიფო–ბიუროკრატიული შინაარსის საქმიანობასთან, არამედ ადამიანის საქმიანობის ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა ფინანსები, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და თვით ხელოვნებაც კი.

სტატისტიკას არ გააჩნია საკუთარი ემპირიული შესწავლის ობიექტი. შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკის მიზანია იმ ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ემპირიული მონაცემების (მათ შორის მეცნიერული) გადაქცევა სასარგებლო, სტრუქტურირებულ ცოდნად.

მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი მიზანია ისეთი მეთოდების დამუშავება, რომლებიც დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, მასობრივ მოვლენებზე და პროცესებზე მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა. ეს დასკვნები შეეხება არა ცალკეულ ექსპერიმენტებს, რომელთა განმეორებითაც ყალიბდება მოცემული მასობრივი მოვლენა, არამედ წარმოადგენს მტკიცებულებებს მოცემული პროცესის ზოგადი ალბათური მახასიათებლების შესახებ.

ეკონომეტრიკა (ინგლ. Econometrics) ეკონომიკის სფეროა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური თეორიების ემპირიულ ანალიზს მათემატიკური სტატისტიკისა და მასზე დაყრდნობილ დასკვნათა მეთოდების გამოყენებით. ეკონომეტრიკა შეისწავლის ეკონომიკის მხოლოდ იმ დარგებს, სადაც სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება (როცა საქმე გვაქვს შემთხვევითობასთან).

ეკონომეტრიკა მათემატიკის ნაწილია, რომელიც ეკონომიკური შინაარსის ამოცანებისთვის მათემატიკური მოდელის შედგენის მეთოდებს შეისწავლის და ამ მოდელების ანალიზის მეთოდებს ამუშავებს. ფორმალურად ეკონომეტრიკა მათემატიკური სტატისტიკის ნაწილია, რადგან კვლევის ძირითად მეთოდად სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება. ამასთან ეკონომეტრიკის ფარგლებში დაისმება ისეთი ეკონომიკური ამოცანების მოდელირების ამოცანები, რომლებიც, თავის მხრივ, ახალი სტატისტიკური მეთოდების დამუშავებას მოითხოვენ.

მოვიყვანოთ რამდენიმე სქემატური მაგალითი, რომლებიც შეიძლება აღწერილ იქნას ეკონომეტრული ანალიზის საშუალებით:

მაგალითი 1. ვთქვათ დროის t პერიოდში რაღაც კონკრეტული საქონლის ფასის სიდიდე დამოკიდებულია ამ საქონლის მოწოდების მოცულობაზე (რაოდენობაზე) ამ პერიოდში და კონკრეტული საქონლის ფასებზე. საჭიროა რაოდენობრივი კავშირის აღმოჩენა და მისი საშუალებით პასუხის გაცემა

კითხვაზე: რამდენად შეიცვლება ამ საქონლის ფასი, თუკი შეიცვლება მოწოდების მოცულობა, კონკრეტული საქონლის ფასი? (ე.წ. ფასის ფუნქცია)

მაგალითი 2. პომიდორის მოსვლის რაოდენობა მოცემულ კლიმატურ პირობებში დამოკიდებულია აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის სწორი პროპორციებით გამოყენებაზე. უნდა დადგინდეს ფუნქციონალური დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტორებს შორის (ე.წ. საწარმოო ფუნქცია).

მაგალითი 3. სხვადასხვა საარჩევნო უბნებში მოცემული პარტიის მიერ მიღებული ხმების წილი დამოკიდებულია მოსახლეობის განათლების დონეზე, მოცემული პარტიისა და კონკურენტი პარტიების მიერ წარმოდგენილი პროგრამების მიმზიდველობაზე, ამომრჩეველთა საშუალო ასაკსა და ამომრჩეველთა აქტივობაზე. უნდა დადგინდეს ფუნქციონალური დამოკიდებულება (ე.წ. არჩევნების შედეგების პროგნოზის ფუნქცია).

ჩამოთვლილი მაგალითები შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ეკონომეტრული მეთოდებით. თუკი საძიებო სიდიდეს Y –ით აღვნიშნავთ, ხოლო სხვადასხვა ფაქტორებს $x_1, x_2, ..., x_n$ –ით, მაშინ საძიებელი ფუნქციის დამოკიდებულებაში $Y = F(x_1, x_2, ..., x_n)$ უცნობი არის თვით ფუნქციური დამოკიდებულების სახე $F(x_1, x_2, ..., x_n)$.

ვთქვათ, რაღაც დაკვირვებადი სიდიდე Y დამოკიდებულია აგრეთვე დაკვირვებად $x_1, x_2, ..., x_k$ სიდიდეებზე. ამასთან დაკვირვების შედეგები მოცემულია ცხრილის საშუალებით:

დაკვირვების N	Y	X_1	X_2	...	X_k
1	y_1	x_{11}	x_{21}	…	x_{k1}
2	y_2	x_{12}	x_{22}	…	x_{k2}
3	y_3	x_{13}	x_{23}	…	x_{k3}
…	…	…	…	…	…
N	y_N	x_{1N}	x_{2N}	…	x_{kN}

უნდა დადგინდეს დამოკიდებულება Y –სა და $\{x_i\}_{i=1}^{k}$ სიდიდეებს შორის. ამასთან, რადგანაც ეს დამოკიდებულება არ შეიძლება აბსოლუტურად ზუსტი იყოს (გარკვეული გამონაკლისის გარდა), საჭიროა განისაზღვროს სიზუსტის ოპტიმალური კრიტერიუმი და აიგოს ფუნქციონალური დამოკიდებულება ამ კრიტერიუმის შესაბამისად.

მკვლევარი პრაქტიკაში ყოველთვის ცდილობს შეარჩიოს ის ფუნქციონალური დამოკიდებულება, რომელიც ყველაზე მარტივი იქნება და ოპტიმალური კრიტერიუმი ყველაზე ადვილად შესამოწმებელი. უფრო ხშირად გამოიყენება წრფივი მოდელები:

$$Y = \sim_0 + \sim_1 x_1 + ... + \sim_k x_k \quad (1)$$

რადგანაც (1), როგორც ვთქვით, აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს, ამიტომ მის მნიშვნელობას ექნება გადახრები ნამდვილი მნიშვნელობისაგან. თუ ამ გადახრებს აღვნიშნავთ U სიდიდით, მაშინ მივიღებთ ე.წ. წრფივი რეგრესიის განტოლებას:

$$Y = \sim_0 + \sim_1 x_1 + ... + \sim_k x_k + U \quad (2)$$

ამ ტოლობაში U შემთხვევით სიდიდეს წარმოადგენს. ოპტიმალურობის კრიტერიუმი, როგორც წესი, მიიღებენ დისპერსიის მინიმალურობის პრინციპს და მოძებნიან უცნობ კოეფიციენტებს: $\sim_0, \sim_1, ..., \sim_k$.

დასმული ამოცანის გაშიფვრისთვის განვიხილოთ კონკრეტული საწარმოო ამოცანა, რომლის პირობაც მდგომარეობს შემდეგში:

ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისი“–ს ქალაქ გორის ტერიტორიაზე აქვს 4 აფთიაქი:

1. ჭავჭავაძის ქ. №65;
2. გურამიშვილის ქ. №84;
3. მშვიდობის ქ. №13;
4. ცხინვალის გზატკეცილი №14;

აღვნიშნოთ

Y –ით თითოეული აფთიაქის საქონელბრუნვა კვირის განმავლობაში (განისაზღვრება ლარით).

X_1 –ით ამ აფთიაქის საერთო ფართი მ^2.

X_2 –ით კი მომხმარებელთა საშუალო დღიური ნაკადი (გამოისახება ადამიანი / დღე).

უნდა დადგინდეს ფუნქციონალური დამოკიდებულება Y –ს და X_i –ს შორის, სადაც $i = 1,2$. ამასთან $N = 4$ და მოცემულია ცხრილი:

აფთიაქის N	Y	X_1	X_2
1	25200	30	240
2	42000	20	400
3	7350	60	70
4	15750	40	150

ჩავთვალოთ, რომ რეგრესიის განტოლებას აქვს სახე:

$$Y = \sim_0 + \sim_1 x_1 + \sim_2 x_2 + U$$

და ვიპოვოთ $\sim_0$, $\sim_1$ და $\sim_2$ –ის შეფასებები ისე, რომ ოპტიმალური კრიტერიუმი გაიგება როგორც დისპერსიის მინიმუმი. საძებნი შეფასებები აღვნიშნოთ შესაბამისად ასე: $\overline{\sim_0}, \overline{\sim_1}, \overline{\sim_2}$. მაშინ რეგრესიის განტოლებას ექნება სახე:

$$Y = \overline{\sim_0} + \overline{\sim_1} x_1 + \overline{\sim_2} x_2 + U$$

შერჩეული კრიტერიუმის შესაბამისად გამოვიყენებთ ე.წ. უმცირეს კვადრატთა მეთოდს. შევადგინოთ ცდომილების ფუნქცია, როგორც ცდომილობების კვადრატების ჯამი:

$$\ddot{}\,(\overline{\sim_0}, \overline{\sim_1}, \overline{\sim_2}) = \sum_{i=1}^{4} (y_i - \overline{y_i})^2 = \left(25200 - \overline{\sim_0} - 30\,\overline{\sim_1} - 240\,\overline{\sim_2}\right)^2 + \left(42000 - \overline{\sim_0} - 20\,\overline{\sim_1} - 400\,\overline{\sim_2}\right)^2 + .$$

$$+ \left(7350 - \overline{\sim_0} - 60\,\overline{\sim_1} - 70\,\overline{\sim_2}\right)^2 + \left(15750 - \overline{\sim_0} - 40\,\overline{\sim_1} - 150\,\overline{\sim_2}\right)^2$$

$\overline{\sim_0}$, $\overline{\sim_1}$ და $\overline{\sim_2}$ ისე უნდა შევარჩიოთ, რომ $\ddot{}\,(\overline{\sim_0}, \overline{\sim_1}, \overline{\sim_2})$ ფუნქციამ მინიმალური მნიშვნელობა მიიღოს. ამასთან, საჭიროა (აუცილებელია და, ჩვენს შემთხვევაში, საკმარისიც), რომ ამოვხსნათ სისტემა:

$$\begin{cases} \dfrac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_0}}} = 0 \\ \dfrac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_1}}} = 0 \\ \dfrac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_2}}} = 0 \end{cases} .$$

ჩვენ შემთხვევაში გვექნება:

$$\frac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_0}}} = -2\left(25200 - \overline{\sim_0} - 30\overline{\sim_1} - 240\overline{\sim_2}\right) - 2\left(42000 - \overline{\sim_0} - 20\overline{\sim_1} - 400\overline{\sim_2}\right) - 2\left(7350 - \overline{\sim_0} - 60\overline{\sim_1} - 70\overline{\sim_2}\right) -$$

$$- 2\left(15750 - \overline{\sim_0} - 40\overline{\sim_1} - 150\overline{\sim_2}\right) = -180600 + 8\overline{\sim_0} + 300\overline{\sim_1} + 1720\overline{\sim_2}$$

$$\frac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_1}}} = -2\cdot 30\left(25200 - \overline{\sim_0} - 30\overline{\sim_1} - 240\overline{\sim_2}\right) - 2\cdot 20\left(42000 - \overline{\sim_0} - 20\overline{\sim_1} - 400\overline{\sim_2}\right) - 2\cdot 60\left(7350 - \overline{\sim_0} - 60\overline{\sim_1} - 70\overline{\sim_2}\right) -$$

$$- 2\cdot 40\left(15750 - \overline{\sim_0} - 40\overline{\sim_1} - 150\overline{\sim_2}\right) = -5334000 + 300\overline{\sim_0} + 13000\overline{\sim_1} + 36400\overline{\sim_2}$$

$$\frac{\partial\,\ddot{}}{\partial\,\overline{\overline{\sim_2}}} = -2\cdot 240\left(25200 - \overline{\sim_0} - 30\overline{\sim_1} - 240\overline{\sim_2}\right) - 2\cdot 400\left(42000 - \overline{\sim_0} - 20\overline{\sim_1} - 400\overline{\sim_2}\right) - 2\cdot 70\left(7350 - \overline{\sim_0} - 60\overline{\sim_1} - 70\overline{\sim_2}\right) -$$

$$- 2\cdot 150\left(15750 - \overline{\sim_0} - 40\overline{\sim_1} - 150\overline{\sim_2}\right) = -51450000 + 1720\overline{\sim_0} + 50800\overline{\sim_1} + 490000\overline{\sim_2}$$

მიღებული განტოლებათა სისტემის

$$\begin{cases} 8\overline{\sim_0} + 300\overline{\sim_1} 1720\overline{\sim_2} = 180600 \\ 300\overline{\sim_0} + 13000\overline{\sim_1} + 36400\overline{\sim_2} = 5334000 \\ 1720\overline{\sim_0} + 50800\overline{\sim_1} + 490000\overline{\sim_2} = 51450000 \end{cases}$$

ამოხსნიდან მივიღებთ, რომ:

$\overline{\sim_0} = 64534.051$, $\overline{\sim_1} = -1040.788$, $\overline{\sim_2} = -13.626$.

და მივიღებთ რეგრესიის განტოლებას:

$\overline{Y} = 64534.051 - 1040.788x_1 - 13.626x_2$.

მიღებული განტოლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად. მაგალითად, თუ კომპანიის ხელმძღვანელობის სურვილია, რომ ახალ ადგილას გახსნას აფთიაქი და ცნობილია, რომ საშუალო ნაკადი შეადგენს 100 ადამიანს დღეში, ხოლო ფართი 50მ² იქნება, მაშინ ასეთი აფთიაქის საქონელბრუნვა კვირაში შეფასდება ასე:

$\overline{Y} = 64534.051 - 1040.788 \cdot 50 - 13.626 \cdot 100 = 11132.051$ ლარი.

ლიტერატურა:

1. მარი გ., მოსიძე ა., ალბათობის თეორია და გამოყენებითი სტატისტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო ESM–თბილისის სტუდენტებისათვის, თბ., 2006.
2. ანანიაშვილი ი., ეკონომეტრიკა, სახელმძღვანელო, ნაწილი I, თბ., 2008.

ინტერნეტ რესურსი:

a. http://share.pdfonline.com/12e93f683db0480aa9232be5f1bf80db/shualed.htm
b. http://www.scribd.com/doc/179179154/ეკონომეტრიკა-პრაქტიკაში
c. http://ka.wikipedia.org/wiki/მათემატიკური_სტატისტიკა
d. http://ka.wikipedia.org/wiki/ეკონომეტრიკა
e. http://maglivi.wordpress.com/2008/05/20/ალბათობა-და-მათემატიკური/
f. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=6&id=284

კონკურენციის ამოცანის გადაჭრა შერეული სტრატეგიების გამოყენებით

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ მუმლაძე,** პროფესორი

თამაშთა თეორია ერთი მიმართულებაა მათემატიკური დარგისა, რომელსაც მათემატიკური მოდელირება ეწოდება. მოვლენის მათემატიკური მოდელის შექმნა გულისხმობს ამ მოვლენის არსის აღწერას მათემატიკური ცნებების და მიმართებების საშუალებით.

თამაშთა თეორია ან თამაშთა მათემატიკური თეორია გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე დარგს წარმოადგენს, რომელიც სწავლობს ისეთი სტრატეგიების (გადაწყვეტილებების) დადგენის და მათი პოვნის მეთოდებს, რომელთა გამოყენებით განსხვავებული ინტერესების მქონე ინდივიდებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს და ქვეყნებს კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლიათ იდეალური შედეგების მიღება.

„თამაშთა თეორია შეისწავლის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს მასში მონაწილეთა ინტერესების ურთიერთქმედების პირობებში. იგი ეყრდნობა მათემატიკას, სტატისტიკას, მეცნიერებას მართვის შესახებ, ოპერაციათა კვლევას, ინჟინერიას, ეკონომიკას, პოლიტოლოგიას და სხვა დისციპლინებს. თამაშთა თეორიის თეორიული კვლევები და გამოყენებები სწრაფად ვითარდება ფართო

დიაპაზონში – თვითმფრინავების და რაკეტების მართვიდან ბუნებრივი რესურსების მართვამდე, მოლაპარაკებათა წარმოების მეთოდებში, ფინანსურ ინვესტირებებში და გარემოს დაცვაში. ამრიგად, თამაშთა თეორია წარმოადგენს ყველაზე რთულ და პერსპექტიულ გამოყენებით მეცნიერებას რეალურ სამყაროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების შესწავლისათვის და ანალიზისათვის“, – წერს დევიდ იანგი, თამაშთა თეორიის დარგში გამოჩენილი სპეციალისტი, ჰონკონგის უნივერსიტეტის „ფინანსთა თეორიისა და გადაწყვეტილებათა მიღების“ დეპარტამენტის პროფესორი.

თანამედროვე პირობებში მრავლად გვხვდება ისეთი სიტუაცია, რომლებშიც გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ შეძლებს მეცნიერული მეთოდებისა და საშუალებების გამოუყენებლად, ობიექტურად შეარჩიოს შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილებათა განსხვავებული ვარიანტებიდან უპირატესი და აირჩიოს მათგან ოპტიმალური. ამიტომ, დღეს, როცა მთელი მსოფლიო შემობრუნდა მეცნიერებისაკენ, ძირითადად ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში დადგა საზოგადოების რაციონალური ქცევის, მართვის, ორგანიზაციისა და ურთიერთობების პრობლემების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია თამაშთა თეორიის სხვადასხვა დარგის საჭიროება სამართლებრივი პრინციპების დაცვისათვის, ქმედებათა და ურთიერთობების რაციონალიზაციისათვის, კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციებში და, საერთოდ, ყოველი არჩევანის გაკეთებისათვის გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. სწორედ ამიტომაა ყველა სფეროში ქვეყნის წარმატებები დამოკიდებული იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თამაშთა თეორიაში თამაშში იგულისხმება განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანთა ან მათი ჯგუფების (მოთამაშეთა, მხარეთა) ურთიერთობები, როდესაც მათ ორი არჩევანის (სტრატეგიის) გაკეთების შესაძლებლობა მაინც აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და აქვთ განსაზღვრული მიზნები.

თამაშთა თეორია შექმნილია კონფლიქტური ტიპის მოვლენათა შესასწავლად. კონფლიქტური ტიპის მოვლენები ისეთი მოვლენებია, რომლებშიც მონაწილეობს რამდენიმე მხარე, რომელთა ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი მოვლენების სპექტრი ძალიან ფართოა. მას შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც აზარტული თამაშები, ასევე ომები, კონკურენცია ბაზარზე, სპორტული შეჯიბრებანი, პოლიტიკა და სხვ.

თამაშთა თეორიის გამოყენებით საწარმოს აქვს შესაძლებლობა განჭვრიტოს პარტნიორებისა და კონკურენტების სვლები. იგი საჭიროა გამოვიყენოთ სტრატეგიული და კოოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კონფლიქტური ტიპის ყოველი მოვლენის მოდელირების დროს მათემატიკურ ცნებებსა და მიმართებებში ასახული უნდა იყოს მოვლენის ყველა არსებითი ფაქტორი. მისი ძირითადი კომპონენტები ასეთია:

1. კონფლიქტური მოვლენის მონაწილეები, რომლებსაც მოთამაშეები ეწოდებათ;
2. გადაწყვეტილებანი, რომელთა მიღებაც მოთამაშეებს შეუძლიათ: მოთამაშეთა სტრატეგიები;
3. მოთამაშეთა მიზნები, რომლებიც რაღაც სარგებლის მიღებას წარმოადგენენ.

თამაშის მათემატიკური აღწერა უშვებს მისი სამი ფორმის არსებობას. ესენია: თამაშები პოზიციური ფორმით, თამაშები ნორმალური ფორმით და მახასიათებელი ფუნქციებით წარმოდგენილი თამაშები.

ვთქვათ, თამაშის ყოველ მონაწილეს მოვთხოვეთ, რომ მან წინასწარ განსაზღვროს, თუ რას გააკეთებს იგი ნებისმიერ იმ შემთხვევაში, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს პარტიის მსვლელობისას. მოთამაშეთა მიერ მიწოდებულ ასეთი ინფორმაციის საფუძველზე, მსაჯს შეუძლია ჩაატაროს თამაშის პარტია მოთამაშეთა მონაწილეობის გარეშე, ამასთან, განსაზღვროს თითოეული მოთამაშის სარგებელიც. ყოველი შესაძლო სიტუაციისათვის მოთამაშის მიერ ასეთნაირად წინასწარ განსაზღვრული სვლების ერთობლიობას ამ მოთამაშის სუფთა სტრატეგია ეწოდება.

ყოველი თამაში უნდა დამთავრდეს რაღაც შედეგით, რომლის დროსაც გარკვეული უნდა იყოს თითოეული მოთამაშის სარგებელი, რომელიც უნდა გამოისახებოდეს რაოდენობრივად ანუ რიცხვით, რომელიც სხვადასხვა დროს შეიძლება იყოს ქულათა რიცხვი, თანხა ან სხვა.

N მოთამაშისათვის თამაში ნორმალური ფორმით არის სისტემა $<< S_1; S_2; ...; S_N; ¤_1; ¤_2; ...; ¤_N >>$, რომელიც შედგება მოთამაშეთა სუფთა სტრატეგიების S_j სიმრავლეებისაგან და მოთამაშეთა სარგებლიანობის $¤_j$ ფუნქციებისაგან. ყოველი შესაძლო სიტუაციისათვის მოთამაშის მიერ წინასწარ განსაზღვრული სვლების ერთობლიობას ამ მოთამაშის

სუფთა სტრატეგია ეწოდება. j –ური მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციაა $¤_j : S_1 \times S_2 \times ... \times S_N \to R$, ეს ფუნქცია განსაზღვრულია მოთამაშეთა სუფთა სტრატეგიების სიმრავლეთა დეკარტის ნამრავლზე.

თამაში შეიძლება წარმოვადგინოთ ჩვეულებრივი მატრიცით, რომლის l_1 ნომრის სტრიქონისა და l_2 ნომრის სვეტის გადაკვეთაზე იქნება $¤_1(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$ რიცხვი ან $¤_2(s_1^{l_1}; s_2^{l_2})$ რიცხვი. პირველ შემთხვევაში გვექნება პირველი მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციის წარმომდგენი მატრიცი, მეორე შემთხვევაში – მეორე მოთამაშის სარგებლიანობის ფუნქციის წარმომდგენი მატრიცი.

თამაშთა თეორიას, ცხადია, ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველ იმ კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომლის მათემატიკური მოდელირებაც ხდება თამაშთა თეორიით, მოთამაშემ აირჩიოს ის სტრატეგია, რომელიც არის მისთვის ოპტიმალური, ხელსაყრელი იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მოთამაშესაც იგივე სურვილი ამოძრავებს. ასეთი ხელსაყრელი სტრატეგიის მოძებნას და არჩევას თამაშის ამოხსნა შეიძლება დაერქვას.

ორი მოთამაშის ნორმალური ფორმის თამაშის ამოხსნის და ამოხსნადობის კონცეფციებია:

- ოპტიმისტური ამონახსნი;
- პესიმისტური ანუ მაქსიმინური ამონახსნი;
- წონასწორული ამონახსნი;
- დასაშვები ან უპარეტოს ამონახსნი.

განვიხილოთ შემდეგი კონკრეტული საწარმოო ამოცანა, რომლის პირობაც მდგომარეობს შემდეგში:

ერთ ქუჩაზე ერთმანეთის პირდაპირ დგას ორი სუპერმარკეტი: I – ინდ. მეწარმე ლელა ზუბიაშვილი და II – ინდ. მეწარმე მაია დათუაშვილი. მეწარმეების აინტერესებთ, თუ რა სტრატეგიით უნდა ითამაშონ, რომ მისგან გადახვევით უარეს შედეგამდე არ მივიდნენ:

S_1 არის I მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლე და მისი ელემენტებია s_1^1, s_1^2, s_1^3;

S_2 არის II მოთამაშის სტრატეგიათა სიმრავლე და მისი ელემენტებია s_2^1, s_2^2, s_2^3;

სუპერმარკეტებში იყიდება საქონლის სამი ჯგუფი:

I ჯგუფი. ნახევარფაბრიკატები	
s_1^1	s_2^1
ქათმის ბარკლები	ქათმის ბარკლები
ქათმის ფილე	ქათმის ფილე
კუპატი	კატლეტი

II ჯგუფი. ტკბილეული	
s_1^2	s_2^2
ფახლავა	ფახლავა
ცეზარი	შოკოლადის ჩხირები
აკინაკი კაკაოთი	ვაფლი

IIIჯგუფი.ლუდი	
s_1^3	s_2^3
kaiser	ყაზბეგი
მთიელი	მთიელი
ნატახტარი ქარვა	ნატახტარი ქარვა

ჩამოვწეროთ სიტუაციათა ყველა შესაძლო შემთხვევა:

$(s_1^{\,1}; s_2^{\,1}) \to (1000;550)$

$(s_1^{\,1}; s_2^{\,2}) \to (1650;900)$

$(s_1^{\,1}; s_2^{\,3}) \to (1900;900)$

$(s_1^{\,2}; s_2^{\,1}) \to (1500;800)$

$(s_1^{\,2}; s_2^{\,2}) \to (1000;350)$

$(s_1^{\,2}; s_2^{\,3}) \to (1900;800)$

$(s_1^{\,3}; s_2^{\,1}) \to (1500;1000)$

$(s_1^{\,3}; s_2^{\,2}) \to (1250;1000)$

$(s_1^{\,3}; s_2^{\,3}) \to (1500;600)$

პირველი მაღაზიის სარგებლიანობის მატრიცი $\begin{pmatrix} 1000 & 1650 & 1900 \\ 1500 & 1000 & 1900 \\ 1500 & 1250 & 1500 \end{pmatrix}$

მეორე მაღაზიის სარგებლიანობის მატრიცი $\begin{pmatrix} 550 & 900 & 900 \\ 800 & 350 & 800 \\ 1000 & 1000 & 600 \end{pmatrix}$

პირველი მაღაზიის მატრიცი თამაშის ნულჯამიანად გადაქცევის შემდეგ $\begin{pmatrix} 450 & 750 & 1000 \\ 700 & 650 & 1100 \\ 500 & 250 & 900 \end{pmatrix}$

მეორე მაღაზიის მატრიცი თამაშის ნულჯამიანად გადაქცევის შემდეგ $\begin{pmatrix} -450 & -750 & -1000 \\ -700 & -650 & -1100 \\ -500 & -250 & -900 \end{pmatrix}$

თამაშს ვხსნით შერეულ სტრატეგიებში კომპიუტერული პროგრამის Simplex tool საშუალებით:

Minimize p = x + y + z subject to
450x + 700y + 500z>=1
750x + 650y +250z>=1
1000x +1100y+900z >=1

Optimal Solution: p = 0.00150538; x = 0.000215054, y = 0.00129032, z = 0

Tableau #1

x	y	z	s1	s2	s3	-p	
450	700	500	-1	0	0	0	1
750	650	250	0	-1	0	0	1
1000	1100	900	0	0	-1	0	1
1	1	1	0	0	0	1	0

Tableau #2

x	y	z	s1	s2	s3	-p
-186.364	0	-72.7273	-1	0	0.636364	0	0.363636
159.091	0	-281.818	0	-1	0.590909	0	0.409091
0.909091	1	0.818182	0	0	-0.000909091	0	0.000909091
0.0909091	0	0.181818	0	0	0.000909091	1	-0.000909091

Tableau #3

x	y	z	s1	s2	s3	-p
-292.857	0	-114.286	-1.57143	0	1	0	0.571429
332.143	0	-214.286	0.928571	-1	0	0	0.0714286
0.642857	1	0.714286	-0.00142857	0	0	0	0.00142857
0.357143	0	0.285714	0.00142857	0	0	1	-0.00142857

Tableau #4

x	y	z	s1	s2	s3	-p
0	0	-303.226	-0.752688	-0.88172	1	0	0.634409
1	0	-0.645161	0.0027957	-0.00301075	0	0	0.000215054
0	1	1.12903	-0.00322581	0.00193548	0	0	0.00129032
0	0	0.516129	0.000430108	0.00107527	0	1	-0.00150538

Maximize p = x + y + z subject to
450x + 750y + 1000z <=1
700x + 650y +1100z <=1
500x +250y+900z <=1

Optimal Solution: p = 0.00150538; x = 0.000430108, y = 0.00107527, z = 0

Tableau #1

x	y	z	s1	s2	s3	p	
450	750	1000	1	0	0	0	1
700	650	1100	0	1	0	0	1
0	0	900	0	0	1	0	1
-1	-1	-1	0	0	0	1	0

Tableau #2

x	y	z	s1	s2	s3	p	
0	332.143	292.857	1	-0.642857	0	0	0.357143
1	0.928571	1.57143	0	0.00142857	0	0	0.00142857
0	0	900	0	0	1	0	1
0	-0.0714286	0.571429	0	0.00142857	0	1	0.00142857

Tableau #3

x	y	z	s1	s2	s3	p	
0	1	0.88172	0.00301075	-0.00193548	0	0	0.00107527
1	0	0.752688	-0.0027957	0.00322581	0	0	0.000430108
0	0	900	0	0	1	0	1
0	0	0.634409	0.000215054	0.00129032	0	1	0.00150538

$$x_1 \approx 0{,}0002 \cdot \frac{1}{0{,}0015} = \frac{2}{15}, \quad x_2 \approx 0{,}0013 \cdot \frac{1}{0{,}0015} = \frac{13}{15}, \quad x_2 \approx 0 \cdot \frac{1}{0{,}0015} = 0$$

$$y_1 \approx 0{,}0004 \cdot \frac{1}{0{,}0015} = \frac{4}{15}, \quad y_2 \approx 0{,}0011 \cdot \frac{1}{0{,}0015} = \frac{11}{15}, \quad y_2 \approx 0 \cdot \frac{1}{0{,}0015} = 0$$

$$v = \frac{1}{p} \approx \frac{1}{\frac{15}{10000}} \approx 667$$

თამაშის ამონახსნია <<667,$(\frac{2}{15},\frac{13}{15},0)$; $(\frac{4}{15},\frac{11}{15},0)$ >>

თუ მოთამაშეები (მეწარმეები) ამ სტრატეგით ითამაშებენ, მაშინ პირველი მოთამაშე მოიგებს არანაკლებ 667 ლარს და მეორე მოთამაშე იზარალებს არაუმეტეს 667ლარს.

ლიტერატურა:

1. მუმლაძე მ., დისკრეტული მათემატიკა, თბ., 2011.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოში 1918–1921 წლებში

ალეკო ქვრივიშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** პროფესორი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული მშენებლობის ისტორიული გამოცდილება, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს დემოკრატიული ტრადიციების მეცნიერულ შესწავლას და გაანალიზებას, რადგან საკუთარი ტრადიციების ცოდნა და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წმინდათაწმინდა ვალია.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ისევ და ისევ აქტუალურ საკითხად რჩება და უდიდეს ინტერესს იწვევს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი, როდესაც ქვეყანამ აღადგინა რა თავისი დამოუკიდებლობა, შეეცადა აეშენებინა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ცივილიზებული სახელმწიფო.

1918 წლის 26 მაისს ფრთები შეესხა ქართველი ხალხის საუკუნო ოცნებას, მოპოვებული იქნა ნანატრი დამოუკიდებლობა. საქართველო გამოცხადდა „დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად“.

სულ სამი წელი იარსება დამოუკიდებელმა საქართველოს რესპუბლიკამ, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე, უაღრესად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ბევრი რამ გაკეთდა სახალხო განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში.

ამ პერიოდში ქვეყნის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახლის შექმნა, რომლის პრაქტიკული განხორციელება დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე დაიწყო.

სხვა დემოკრატიულ გარდაქმნებთან ერთად რესპუბლიკის ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად აქცია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქვეყანას არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა აღნიშნული სფეროს საქმიანობის უკეთ წარმართვაში რომ გამოადგებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე მაინც შეძლო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, რომ უმთავრეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ტანვარჯიშული საზოგადოების – „შევარდენის“ შექმნა. 1918 წლის 25 აგვისტოს შევარდენის დამფუძნებელ კრებაზე ტანვარჯიშული საზოგადოება „ამირანი“ საზოგადოება „შევარდენად“ გადაკეთდა.

ახლადშექმნილი საზოგადოების თავმჯდომარედ პოლკოვნიკი კ. კაკაბაძე, მოადგილეებად კი – გ. ნიკოლაძე და კ. ბერელაშვილი აირჩიეს. ტანმოვარჯიშეთა ხელმძღვანელად, ტანვარჯიშული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გ. ეგნატაშვილი დაამტკიცეს.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის სპორტული დარბაზის გეგმის მიხედვით აშენდა თბილისში დარბაზი და იგი აღიჭურვა იმ დროისათვის არსებული საუკეთესო სპორტული ინვენტარით.

ცნობილია, რომ „შევარდენის“ აღზრდილები შესანიშნავად ასპარეზობდნენ ევროპის პირველობებზე ტანვარჯიშში.

ახალგაზრდა რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და, განსაკუთრებით, ტანვარჯიშის დანერგვას.

იხელმძღვანელა რა აღნიშნული მდგომარეობით, 1919 წელს განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა საგანგებო მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საშუალო სკოლებში ტანვარჯიშის გაკვეთილების დანერგვის მიზნით, სამინისტროში შემოღებულიყო მთავარი ინსტრუქტორის თანამდებობა. მთავრობამ განათლების სამინისტროს ეს მოთხოვნა გაითვალისწინა და ამ პროექტის ხორცშესხმა იმით დაიწყო, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნა ქართული ტანვარჯიშის კორიფე გიორგი ეგნატაშვილი. გარდა ამისა, ამავე წლიდან სხვა საგნებთან ერთად, სკოლებში შემოღებული იქნა ფიზიკური აღზრდა და საქართველოს ყველა სასწავლებელში სასწავლო დისციპლინად დამკვიდრდა ფიზიკური აღზრდა.

სკოლებში ტანვარჯიშის სწავლების მაღალ დონეზე წარმართვისათვის საჭირო იყო სპეციალისტების მომზადება.

ამ მიზნით განათლების სამინისტრომ 1920 წლის 1 ოქტომბერს „შევარდენში“ გახსნა რვათვიანი, უფასო ტანვარჯიშული ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელად გ. ბერულაშვილი დაინიშნა.

ახალგაზრდა რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიაში გამორჩეულ თარიღად მიიჩნევა 1921 წლის 5 იანვარი. ამ დღეს გაიმართა საქართველოს „შევარდენთა“ კავშირის დამფუძნებელი კრება. ამ კრებაზე დაარსდა ყველა ქართული შევარდენული სატანვარჯიშო საზოგადოების კავშირი, რომელშიც გაერთიანდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, ახალსენაკის საზოგადოებები. კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ნიკოლაძე. კავშირს ბინა განათლების სამინისტროში გამოეყო. „შევარდენის“ ნაყოფიერი მოღვაწეობის ფართოდ გაშლის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 1919 წლამდე საქართველოში გამოდიოდა პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, რომელსაც ცნობილი მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე რედაქტორობდა.

აღნიშნული ჟურნალის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა დარიგებები მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე. 1919 წლის „განათლების“ №1 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში მითითებულია, რომ „ბავშვის გონებრივ ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს მის ფიზიკურ ბუნებასთან. სკოლა უნდა ზრუნავდეს მოსწავლის როგორც სულის, აგრეთვე მისი ფიზიკური ცხოვრების ორგანოების განვითარებაზე, რადგან სხეულის სიმრთელე აუცილებელი პირობაა წესიერი და კარგი აღზრდისა“.

ამავე წლის „განათლების“ №2 ნომერში მოთავსებულ სტატიაში კი ნათქვამია: „გონებრივი და ფიზიკური განვითარება ერთიმეორესთან უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან რომაელების თქმისა არ იყოს, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

„შევარდენი“ იყო საქართველოს რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ფაქტიური მესაჭე, რომელმაც პირველმა იკისრა ქართული ხალხური სპორტის პოპულარიზაცია და მისი დანერგვისათვის ხელის შეწყობა.

მისი ინიციატივით, 1920 წელს გამოვიდა გიორგი მერკვილაძის წიგნი „ქართული ხალხური თამაშობანი“.

„შევარდენის“ წარმატებული საქმიანობა განაპირობა ჩეხური „სოკოლის“ მოღვაწეების: ლუეშის, ვასეკის და კოუბას მიერ მომზადებულმა უძლიერესმა კადრებმა: გიორგი ეგნატაშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ, გიორგი მერკვილაძემ, გაიოზ ბერელაშვილმა, ირაკლი ლორთქიფანიძემ, დავით ჯავრიშვილმა, სოსო ასლანიშვილმა და ივანე ბერიძემ.

ცალკე განხილვის საგანია 1918–1921 წლებში საქართველოში გამართული შეჯიბრებები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში სპორტის რომელიმე სახეობაში რესპუბლიკის ჩემპიონატები არ ტარდებოდა, შევარდენმა უდიდესი როლი შეასრულა ცალკეულ სპორტის სახეობებში სპორტული შეჯიბრებების ჩატარების საქმეში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, 1919 წლიდან ცდები საფეხბურთო პირველობების ჩატარების მიზნით. ფეხბურთში შეჯიბრებები ტარდებოდა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, გალში. გარდა ფეხბურთისა, შეჯიბრებები ტარდებოდა ტანვარჯიშში, ჭადრაკში. 1919 წლის 10–11 აგვისტოს თბილისში, ინგლისელთა მონაწილეობით, გაიმართა ასპარეზობა ჩოგბურთში, რომელშიც ქართველებმა იმარჯვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „შევარდენის“ დაარსების პირველ წელს 10000–მდე მომეცადინე გაერთიანდა, რომლის რიცხვმა 1921 წელს 100 000 მიაღწია. ეს იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში ამ დროისათვის „სოკოლურ“ ტანვარჯიშის ჯგუფებში სულ 5000 ადამიანი იყო ჩაბმული.

როდესაც საქართველოს სამხრეთ საზღვარს მოადგა საბჭოთა რუსეთის მე–11 არმია, „შევარდენის“ წევრთა უმრავლესობა შეეწირა სამშობლოს დაცვისათვის უთანასწორო ბრძოლას.

1921 წლის თებერვალში, როდესაც თბილისის გარშემო ახმაურდა ზარბაზნები, ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალიშვილზე – მაროზე ვერ გაჭრა ვერავითარმა თხოვნამ და მუდარამ. იგი ამბობდა „მე უნდა ვიყო იქ, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი ჩემი თანამემამულეთაო“.

1921 წლის 17 თებერვალს იგი სანიტარულ რაზმთან ერთად გაემგზავრა კოჯრისაკენ. 19 თებერვალს, საღამოს, თბილისიდან 6 ვერსის მანძილზე კოჯრის გზაზე მის გვერდით გამსკდარმა მოწინააღმდეგე ბანაკიდან წამოსულმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა განაწამებ სამშობლოსა და მშობლებისათვის.

გასაბჭოების შემდეგ „შევარდენის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს რევოლუციურ მთავრობას შესთავაზა თანამშრომლობა, რომ მოწინავე მწვრთნელები გაუძღვებოდნენ სამხედრო ნაწილების და სკოლების ფიზიკური აღზრდის საქმეს, მაგრამ ეს გულწრფელი შეთავაზება სამწუხაროდ უარყვეს და 1922 წლის 3 ნოემბერს „შევარდენი“ რეორგანიზებული იქნა. მის ნაცვლად შეიქმნა პოლიტიკური საზოგადოება „სპარტაკი“, რომელიც ფაქტიურად კადრების გარეშე დარჩა და მეორე წელსვე დაიშალა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, მიუხედავად ურთულესი საშინაო და საგარეო მდგომარეობისა, უმძიმესი ეკონომიკური პირობებისა, ყოველნაირად ცდილობდა ყურადღება არ მოეკლო ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის.

საქართველოს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მიეცა დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების ხანმოკლე პერიოდი – სულ სამიოდე წელი, რომელიც საქართველოს კულტურისა და განათლების განვითარებისათვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა – დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

ამავე პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ნოე ჟორდანიამ, ხელი მოაწერა განკარგულებას სპორტული უმაღლესი სასწავლებლის – ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის – თბილისში დაარსების შესახებ. სამწუხაროდ, ეს განკარგულება, ისევე როგორც ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი ჩანაფიქრი, ვერ განხორციელდა.

ლიტერატურა:

1. ციბაძე ა., ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბ., 1991.
2. ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ., 1997.
3. ძაგანია გ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბ., 2004.
4. ძაგანია გ., ქართული სპორტის მატიანე, თბ., 2012.
5. www.sportandyouth.ge

მყარი ნარჩენების მართვის პრობლემა საქართველოში

ნინო ღვინიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“ განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში.

გარემოს დაბინძურების საკითხი XXI საუკუნის ნომერ პირველ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემად იქცა. მრეწველობის სხვადასხვა დარგის სწრაფი განვითარება და მოსახლეობის სოციალურ-

ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენების რაოდენობაზე. საქართველოში ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმლირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს არის ქვეყანა, სადაც სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ეკოლოგიური მდგრადობა და გარემოს დაბინძურების საკითხი. გარემოს დაბინძურება ჯაჭვური პროცესია, ხშირად ერთი რომელიმე სფეროს დაბინძურება მთელი ეკოსისტემის დაბინძურებას იწვევს. ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აბინძურებს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ლითოსფეროს, ჩეხავს დიდი რაოდენობით ხე-ტყეს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება გარემოსა და ჩვენს ჯანმრთელობაზე. გარემოს ძირითადი დაბინძურების წყაროა საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც როგორც ფლორასა და ფაუნაზე, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიაზე დაგროვილი ნარჩენების მთელი მასის დაახლოებით 30% მეტალურგიული, საშენ მასალათა, ქიმიური, მანქანათმშენებლობის და მრეწველობის სხვა დარგების ნარჩენებია.

ნაშრომის მიზანია თანამედროვეობისთვის ამ ძალზე აქტუალური თემის - ნარჩენების კომპლექსური მართვის ზოგიერთი ასპექტის წარმოდგენა. მყარი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სტრატეგია, ნარჩენების კომპლექსური მართვის ძირითადი პრინციპები, ნარჩენების მართვის იერარქია ნარჩენების კომპლექსური მართვის სისტემა, რომელიც წლების განმავლობაში დამკვიდრებულია განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოსთვის გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს.

მყარი ნარჩენების მართვა პლანეტის გამოწვევებს შორის ერთ-ერთი მთავარია, რადგან ცივილიზებული ადამიანის მომხმარებლური ჩვევები უფრო მეტი ნარჩენის წარმოებისკენ უბიძგებს კაცობრიობას. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ნარჩენის გენერატორია. ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნაგავს თუ თვალს მოაშორებენ, მათთან დაკავშირებული პრობლემებიც თავდება. ნარჩენების „მოშორება“ ყველაზე ხშირად მათი ნაგავსაყრელზე „გადაყრით“ ხდება. ამ ნაგავსაყრელებზე მათ ტკეპნიან და მიწის ან სხვა ინერტული მასალის ფენით ფარავენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნარჩენები „გაქრა“. მაგრამ ეს ასე არ არის - მიწის ქვეშ დამალული ნარჩენები უბრალოდ აღარ ჩანს, თორემ გარემოს კვლავაც აზიანებს, და თან საკმაოდ სერიოზულად. ადამიანის მიერ მოხმარებული უზარმაზარი რაოდენობის ნარჩენის უმრავლესობა ისეთი ქიმიური წესითაა წარმოებული, რომ მისი დაშლა შეუძლებელია განსხვავებით ბუნების მიერ წარმოებული ნარჩენებისა. მათი ნაწილი ლპება და ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე აირებს გამოჰყოფს. ლპობის შედეგად წარმოქმნილი მეთანი ხშირად თვითაალებადია და, იწყება ხის, პლასტმასის, ტყავის და სხვა ნარჩენების მბჟუტავი წვა, რის შედეგადაც უაღრესად მავნე ნივთიერებები წარმოიქმნება და გაიფრქვევა ატმოსფეროში. გარდა ამისა, ნარჩენებში ჩაჟონავს წვიმის წყალი, რომელიც მასში არსებული მავნე ნივთიერებებით ბინძურდება. თუ კი პოლიგონი დაბინურებული ნაჟური წყლების მოგროვების სისტემით საგანგებოდ აღჭურვილი არ არის, დაბინძურებული წვიმის წყალი საბოლოო ჯამში გრუნტის წყლებს ან მდინარეებს შეერევა და მათ სერიოზულ დაბინძურებას იწვევს. არსებობს უაღრესად მდგრადი ნარჩენები, რომლებიც ნაგავსაყრელში ძალზედ ნელა, ათწლეულების მანძილზე იხრწნება და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ჰაერს და წყლებს აბინძურებს. გავრცელებული განმარტებით ნარჩენი არის ის, რაც პატრონს აღარ სჭირდება. ამავე დროს ხომ ყველა ნარჩენი დაკარგული, ფუჭად გადაყრილი რესურსია, რომელიც შეიძლებოდა ან კვლავაც შეიძლება სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული. ჩვენ კი მათ „ვიშორებთ“ და ამისთვის დამატებით რესურსებსაც ვხარჯავთ - სულ ცოტა იმ მიწებს, რომელსაც ნაგავსაყრელები იკავებს და რომელთა სხვა მიზნით გამოყენება ამის გამო ათეულობით წლებით, ან მეტით, შეუძლებელი ხდება, მაგრამ ყველა ბუნებრივი რესურსი ხომ შეზღუდულია. მათი რაციონალურად გამოყენება ნიშნავს წარმოების ისე აწყობას, რომ მინიმალური ნარჩენი წარმოიქმნას. ის ნარჩენი კი, რაც მაინც წარმოიქმნა, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული მეორადი მასალის ან ენერგიის წყაროდ. ნაგავსაყრელზე მხოლოდ ის ნარჩენი უნდა ხვდებოდეს, რომლის მეორადი გამოყენება შეუძლებელია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიაზე დაგროვილი ნარჩენების მთელი მასის დაახლოებით 30% მეტალურგიული, საშენ მასალათა, ქიმიური, მანქანათმშენებლობის და მრეწველობის სხვა დარგების ნარჩენებია, რაც თავისთავად დიდ პრობლემას ქმნის მოსახლეობაში.

საქართველოში დღემდე მოუგვარებელია ნაგავსაყრელების თემა, რადგან ამ ნაგავსაყრელებზე არ არის დაცული ზოგადი სტანდარტი, ის წარმოადგენს საფრთხეს როგორც თვითონ მოსახლეობისთვის, ისე მთლიანად გარემოსთვის. საქართველოში 63 ოფიციალურად აღრიცხული ნაგავსაყრელია, არაოფიციალურად კი უფრო მეტი. მთელ ქვეყანაში სულ თითზე ჩამოსათვლელი ნაგავსაყრელი გვაქვს,

რომელიც გამართულად მუშაობს. მათგან, არც ერთს არ გააჩნია დაბინძურებული ჩაჟონილი წყლების შეგროვების და გაწმენდის სისტემა ან წყალგაუმტარი ფუძე, რომელიც მიწისქვეშა წყლებს დაბინძურებული წყლების ჩაჟონვისგან დაიცავდა. ხშირ შემთხვევაში, უამრავი სოფლიდან ნარჩენები საერთოდ არ გააქვთ, რის გამოც მოსახლეობა ნაგავს ღია ცის ქვეშ, მდინარის პირზე ან პირდაპირ მდინარეში ყრის, რაც შემდეგ დიდ მანძილზე ვრცელდება. ქარის, მეწყრისა და წყალდიდობის დროს, ნაგავი თავისუფლად იფანტება, რადგან ბევრ მდინარეს სადრენაჟო სისტემა არა აქვს. ასევე, არ ხდება ნარჩენების რეგულარულად დატკეპნა. ნარჩენების მართვა კი ფართო ტერმინია და მოიცავს ნარჩენების შეგროვების, რეციკლირების (გადამუშავების, დაწვის, დამარხვის ჩათვლით), ასევე მათი რაოდენობის შემცირების ღონისძიებებს.

ნარჩენების მართვა საქართველოში უკანასკნელ პერიოდამდე ერთ-ერთი ყველაზე უგულებელყოფილი სექტორი იყო და ის დღესაც საჭიროებს მნიშვნელოვან რეფორმირებას. საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარჩენების მართვის სახელმწიფო სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, რომ არაფერი ვთქვათ რეგიონულ ან ადგილობრივ სტრატეგიებსა და გეგმებზე. დღესდღეობით ნაგავსაყრელები მოუწყობელია და მუდმივი დაბინძურების წყაროს წარმოადგენს. საქართველოში მხოლოდ ორი, თბილისის და რუსთავის, სანიტარული ნაგავსაყრელები ფუნქციონირებს. ამ ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მხოლოდ 40%-ის შეგროვება და დახარისხება ხდება, დანარჩენი 60% კი, არალეგალურ სანაგვეებზე უკონტროლოდ გროვდება, ბუნებაში ხვდება და გარემოს აბინძურებს. ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ვითარება არასახარბიელოა, თუმცა უკანასკნელ წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯებიც სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

პრაქტიკულად ყველა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ირღვევა ოპერირების მოთხოვნები - არ ხდება ნარჩენების დროული და რეგულარული დატკეპნა-დაფარვა-დანამვა გახრწნილი ნარჩენების თვითაალების თავიდან ასაცილებლად. შედეგად ყველა მეტნაკლებად მსხვილ ნაგავსაყრელზე სპონტანურად მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში უაღრესად მავნე დამბინძურებლების, დიოქსინებისა და ფურანების გაფრქვევას. ჰაერის ეს დაბინძურება აწუხებს ახლო მცხოვრებ მოსახლეობას სუნით და აზიანებს მათ ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ნარჩენების ღია წვის შედეგად წარმოქმნილი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები გარემოში ძალზე დიდ ხანს არ იშლება, ატმოსფერული ნაკადებით შორ მანძილებზე გადაიტანება და მთელი პლანეტის ატმოსფეროს დაბინძურებაში შეაქვს წვლილი.

ორგანული მასალების ბუნებრივი ხრწნის გამო, ნაგავსაყრელები გამოყოფს სათბურის ეფექტის მქონე აირებს, როგორიცაა ნახშირორჟანგი და მეთანი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ბუნებას. განსაკუთრებით თვალში საცემია ბუნებრივი ლანდშაფტების და ობიექტების, ტყეების, მინდვრების, ხევების, ზედაპირული წყლების (მათ შორის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის) დანაგვიანება მიმოფანტული, უკონტროლოდ დახვავებული საყოფაცხოვრებო (ხშირად, შერეული) ნარჩენებით. ეს მდგომარეობა შემაწუხებელია ესთეტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, გარდა ამისა, დახვავებული ნარჩენები წარმოადგენს ანტისანიტარიის კერებს და ქმნის დაავადებათა და პარაზიტების გავრცელების საშიშროებას; ხშირად, ამ ნარჩენებით იკვებებიან შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები, თევზები, რაც მათ მოწამვლას ან დაავადებას, ან მათ ქსოვილებში არასასურველ ნივთიერებათა დაგროვებას იწვევს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ათეულობით წლებია ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას და ნარჩენების მართვის სფეროში მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს გვთავაზობენ. რამდენიმე წლის წინ, კერძოდ 2005 წელს, იაპონიაში ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია 3R-ის ინიციატივის დანერგვასთან დაკავშირებით. მომდევნო წლის მარტში (2006 წელი) ქ. ტოკიოში, შეიკრიბა მსოფლიოს 20-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი 3R-ის ინიციატივის განსახილველად. შეხვედრაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და დაინტერესებულ მხარეებს ავალდებულებს ხელი შეუწყონ 3R-ის ინიციატივის დანერგვას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ასევე მის პოპულარიზაციას მსოფლიოში. დღეისთვის 3R-ის ინიციატივას საფუძვლად უდევს ნარჩენების მართვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები მსოფლიოში [3]. ტერმინი 3R შესაბამისი სამი სიტყვის პირველი ასოების ერთობლიობას წარმოადგენს. ესენია Reduce- შემცირება; - Reuse ხელახალი გამოყენება; -Recycle რეციკლირება ანუ გადამუშავება. ნარჩენების შემცირება (Reduce) გულისხმობს, ნაკლების ყიდვას ან შესაბამისად ნაკლების მოხმარებას. ნარჩენების რეციკლირება (Recycle) ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მთავარ კომპონენტად ითვლება და გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის ტექნოლოგიურ გადამუშავებას სხვა პროდუქტად. 2003 წელს ევროკავშირში მიღებულია სპეციალური კანონი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ავალდებულებს დაახარისხონ კონკრეტული 7 სახის ნარჩენი და გააგზავნონ ისინი შესაბამის ადგილებში რეციკლირებისთვის. ეს მასალებია: ალუმინი, მუყაო, მინა,

ქაღალდი, პლასტმასი, ფოლადი, ხის ნაკეთობა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ტერმინი 4R, რაც გულისხმობს მეოთხე პრინციპს - შეცვლას (Replace), რომელიც მოგვიწოდებს შევცვალოთ ცელოფნის პაკეტები ქაღალდით, პლასტმასის ბოთლები და ჭურჭელი - მინის ჭურჭლით, არ გამოვიყენოთ ერთჯერადი მოხმარების საგნები და ა.შ.

ეკოლოგების კვლევით, ადამიანი გარემოს ყველაზე მეტად პოლიეთილენის ნაწარმით აბინძურებს. მისი წარმოება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 5 ტრილიონი პოლიეთილენის პარკი მოიხმარება. ამათგან საქართველოში ყოველდღიურად – 20 მილიონი. პოლიეთილენის წარმოება იაფია, ის შედარებით ადვილად მოსახმარი და ხელმისაწვდომია. ამიტომაც, პოლიეთილენის პროდუქტი ყოველდღიურად დიდი რაოდენობით გამოიყენება. ხშირად თითოეული ჩვენგანი ვუფიქრდებით, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გარემოს, ერთი შეხედვით, ამ უმნიშვნელო პროდუქტმა. მაგრამ პოლიეთილენი არამარტო აბინძურებს ბუნებას და საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას, არამედ მისი დაუდევრად მოხმარება სიცოცხლისთვისაც საკმაოდ საშიშია, ამიტომ ამჟამად პოლიეთილენის მოხმარების შემცირების და მისი ქაღალდის პარკებით ჩანაცვლების პროპაგანდა მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს. პოლიეთილენის პარკი თავისი ქიმიური შემადგენლობის გამო დაახლოებით 1000 წლის განმავლობაში მიწაში რჩება და ძნელად იშლება. დაშლის დროს აბინძურებს ნიადაგს, და მიწისქვეშა წყლებს, ტოქსიკური ნივთიერებებით. ცელოფნის პარკები განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის ბუნებას, ქარის მიერ ადვილად გადაიტანება ტყეებში, ტბებში, მდინარეებში. დაახლოებით ერთი მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება წელიწადში პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის გამო. პოლიეთილენის წვის დროს გამოიყოფა ტოქსინები, რომელიც აბინძურებს ატმოსფეროს, რაც თავის მხრივ იწვევს გლობალურ ცვლილებას. ეს მოქნილი შესაფუთი პარკი, დამზადებული თხელი პოლიეთილენის აპკისგან. მათი უმრავლესობა სიმხურვალით არის შეკრული, ზოგიერთი კი - წებოვანი ნივთიერებით. იგი ძალიან ძნელად იხრწნება, მისი დაშლის დროს გამოყოფილი ნივთიერებები იწვევს გარემოს დაბინძურებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის შესახებ არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, პრობლემა პრობლემად რჩება. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში სათბურებსა თუ ბოსტნებში შევამჩნევთ პოლიეთილენის ფირის გროვებს. პოლიეთილენის ფირი, რომელსაც გლეხები იყენებენ სათბურების დასაფარებლად უხარისხოა, გამოყენების შემდგომ ის დიდხანს რჩება ნიადაგში და განსაკუთრებული ზიანი მოაქვს გარემოსათვის. მოსახლეობა მისი გამოყენების მიზეზად დაბალ ფასს ასახელებს. ნაკვეთების დამუშავების (ხვნის) დროს პოლიეთილენი იკუწება და ხშირად ჩნდება 20-25 წლის პოლიეთილენის ნარჩენი ფენები.

აღნიშნული საკითხის მოგვარების ერთ-ერთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის ინფორმირება პოლიეთილენის მავნებლობის შესახებ. მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც იყენებს პოლიეთილენს სათბურის შესაფუთად, შეთავაზებული უნდა იქნეს ალტერნატიული მასალა, ბადეები, რომლებიც ისეთი ქიმიური შემადგენლობისაა, რომ ნიადაგში იშლება, საკვები პროდუქტის შესაფუთად გამოყენებული პარკები უნდა იქნეს ქაღალდით ჩანაცვლებული. ასევე პრობლემის აღმოსაფხვრელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლებასაც უნდა დაეკისროს. აუცილებელია პერმანენტული აქციების გამართვა ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2011 წლის პირველი იანვრიდან პოლიეთილენის პარკების ხმარება აიკრძალა. ასევე იტალიის მსგავსად პოლიეთილენის პარკების გამოყენება აკრძალულია საფრანგეთში, ირლანდიაში, ჩინეთში, იტალიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, ბანგლადეში, ტაივანსა და იაპონიაში. იმ ქვეყნებში კი, სადაც ცელოფნის პარკები აიკრძალა, საყიდლებზე ნაჭრის, ნეილონისა და ზურგჩანთებით დადიან, ასევე მოსახერხებელია კალათების გამოყენებაც.

ქაღალდის გამოყენება არ არის ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატივა. მართალია ქაღალდი გარემოს არ დააბინძურებს და ნიადაგში მოხვედრის შემდეგ მალევე იშლება და ნეშომპალად იქცევა, მაგრამ მისი წარმოება ძვირი ჯდება და რაც მთავარია, ძალიან დიდი ხე-ტყის რესურსი სჭირდება. საქართველოში კი ბოლო პერიოდში თითქმის მთლიანად გაიკაფა მწვანე საფარი და წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ქაღალდის პარკების წარმოება რომ დავიწყოთ.

ახლანდელი ტენდენციის თანახმად, ქაღალდი შემოგვაქვს, მაგრამ ხე-ტყე გაგვაქვს. ასე რომ, ეს არ არის გამოსავალი, შეიძლება ქაღალდი ძალიან ძვირად შემოვიტანოთ, მაგრამ მორებისა და ფიცრების მიზერულ ფასებად გატანა არ შემცირდეს... ასე რომ, ამ ეტაპზე პირველი და ერთადერთი გამოსავალი არის ნაგავსაყრელის მოწყობა, რათა ამ პარკების გაუვნებლება მოხდეს. რაც შეეხება პრევენციას, ალტერნატიული საშუალების პოვნის შემთხვევაში, მისი შეზღუდვა უნდა მოხდეს და რაც მთავარია, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სწორი ინფორმაცია, რაც ბოლო დროს დამკვიდრებული ჩვევის შეცვლაში დაეხმარება.

„ნარჩენების იერარქიის“ მთავარი ამოცანაა, ნარჩენების მართვის შედეგად ადამიანებმა მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი მიიღონ და მინიმალური ზიანი მიაყენონ გარემოს. დღესდღეობით ნარჩენების იერარქიის ევროპული მოდელი 5 ძირითადი კომპონენტისგან შედგება: 1 - შემცირება, 2 - ხელახალი გამოყენება, 3 - გადამუშავება, 4 - ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად და 5 - ნარჩენების განთავსება. ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის საუკეთესო მაგალითია ნაგავსაყრელებიდან გამომუშავებული ენერგია, რომელიც დასახლებული პუნქტების ცენტრალური გათბობისათვის და ელექტროენერგიის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში ნარჩენების თერმული დამუშავება ან დაწვა კანონით იკრძალება, თუკი ამის შედეგად არ გამომუშავდება სასარგებლო ენერგია.

ნარჩენების მართვის პრინციპები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედგებიან სხვადასხვა კომპონენტებისგან, რომელთათვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს განსხვავებული მიდგომები;
2. ტექნოლოგიათა და ღონისძიებათა კომბინაცია, ნარჩენების რაოდენობის შემცირების, მეორადი გადამუშავებისა და კომპონსტირების, პოლიგონებზე დამარხვისა და ნაგვის წვის ჩათვლით;
3. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირების მუნიციპალური სისტემა შემუშავებულ უნდა იქნას კონკრეტული ადგილობრივი პრობლემების გათვალისწინებით და უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ რესურსებს;
4. ნარჩენების გადამუშავების კომპლექსური მიდგომა ეფუძნება სტრატეგიულ ხანგრძლივ დაგეგმვას, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას. აუცილებლად თან უნდა სდევდეს ღონისძიების შედეგების შეფასება და მონიტორინგი;
5. ქალაქის მთავრობის, ასევე მოსახლეობის ყველა ჯგუფის მონაწილება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაჭრის პრობლემის ნებისმიერი პროგრამის აუცილებელი ელემენტია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარემოს დაბინძურება არის მოსახლეობის საყოველთაო პრობლემა. ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო თითოეული ჩვენგანის მხრიდან, რაც უდიდეს ცოდნას, გამოცდილებასა და ფინანსებს მოითხოვს. დღევანდელი გადმოსახედიდან ამ პრობლემის სრული აღმოფხვრა სამწუხაროდ უკვე შეუძლებელია, თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი. ჩემი აზრით, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად შესაძლებელია მივიჩნიოთ მოსახლეობის ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება ამ საკითხის მიმართ. მიუხედავად ამისა საზოგადოებას ნაკლებად აწუხებს იგი და ამით მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, გარემოს დაცვა ჩვენი მოვალეობა“.

ლიტერატურა:

1. თხელიძე ა., ლიპარტელიანი რ., მუმლაძე ნ., ხომასურიძე ხ., დანელია გ., სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა, თბ., 2009.
2. აბდალაძე ო., აზმაიფარაშვილი მ., არნოლდი რ. და სხვ., 100+ კითვა-პასუხი გამოყენებით ეკოლოგიაში, თბ., 2011.
3. საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, მწვანე ალტერნატივა, თბ., 2011.
4. 2007-2009 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მოსამზადებელი მასალა, თავი 9, ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები, 2010.
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2012-2016), თბ., 2012.

ხუდონი - წყალსაცავის გავლენა ენგურის ხეობის ფლორასა და ფაუნაზე

ნინო ღონღაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„რაც ეკოლოგიურია, ის ეკონომიურია“

საქართველოს გააჩნია ჰიდროენერგიის გამომუშავების ძალზე მაღალი პოტენციალი და დღეისათვის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტორების ყველაზე დიდი აქტიურობაც სწორედ ჰიდროენერგეტიკაში შეინიშნება.

კომპანია Trans Electrica Ltd-ს მიერ შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარე ენგურის ვიწრო ხეობაში, 702 მგვტ-იანი ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის მშენებლობას. მისი კაშხლისთვის შერჩეული უბანი მდ. ენგურის სათავიდან 113.7 კმ-ის მანძილზე მდებარეობს. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშის ტერიტორიაზე, 405 კმ-ის დაშორებით თბილისიდან. ხუდონის ჰესის მშენებლობის პროექტი მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომლის განხორციელებამ, ერთი მხრივ, როგორც ენერგეტიკის დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, შეიძლება უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ენერგომომარაგებისა და ენერგოუსაფრთხოების სასურველი დონის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელება უთუოდ დაკავშირებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე გარკვეულ ნეგატიურ ზემოქმედებასთან. საქართველოში ბოლო წლებში იზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიაზე, ასევე ჩვენ შეგვიძლია ზედმეტი ელექტროენერგია მივყიდოთ ჩვენს მეზობელ თურქეთს. საქართველოს ჰიდროენერგეტიკა რჩება ყველაზე მიმზიდველად ფასების კუთხით რეგიონის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გამოიმუშავებენ ჭარბ ელექტროენერგიას და გააჩნიათ თურქეთში მისი ექსპორტის პოტენციალი. პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგებიდან აღსანიშნავია ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს რეგიონში მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი. როგორც გარემოს ფონური მდგომარეობის შესწავლისას გამოჩნდა, რეგიონში სამრეწველო ინფრასტრუქტურა ნაკლებად, თითქმის არ არის განვითარებული. მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა, კერძოდ მეცხოველეობა წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ასევე იზრდება, თუმცა ძალიან ნელა, ზემო სვანეთის ტურისტული მნიშვნელობა. მაღალია მოსახლეობის მიგრაცია. მშენებლობის აქტიურ ფაზაში იგეგმება 3800 ადამიანის დასაქმება. სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ დასაქმებული იქნება 250 ადამიანი. სამუშაოების სრულად დასამთავრებლად საჭირო იქნება 6 წელი. პროექტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1 მილიარდ 200 მლნ. აშშ დოლარს.

კაშხლის ფაუნისტური აღწერა - ტყიან ლანდშაფტში ჩვენ გვხვდება: ძუძუმწოვრები - რადეს ბიგა, დედოფალა, ტყის კვერნა, მაჩვი, მელა, მგელი, დათვი, გარეული კატა, ფოცხვერი, შველი. ყველა მტაცებელი და შველი ძალიან ცოტაა. ტყეში არის ტყის თაგვებისა და ბუჩქნარის მემინდვრიის სოროები. ფრინველებიდან - ბატკანძერა, ორბი, მთის და ჩია არწივი, კაკაჩა, მიმინო, შევარდენი, ქედანი, გუგული, ტყის ბუ, კავკასიური ყარანა და სხვ. ქვეწარმავლები: კავკასიური და ართვინული ხვლიკი, კავკასიური გველგესლა, წყლის ანკარა. ამფიბიები: კავკასიური ტრიტონი, კავკასიური ჯვრიანა, მწვანე გომბეშო, ვასაკა. მდინარე ენგურში გვხვდება შემდეგი თევზები: ნაკადულის კალმახი, მდინარის ღორჯო, კავკასიური ქაშაპი, კოლხური წვერა, კოლხური კვირჩხალი. რაოდენობრივად დომინირებს ნაკადულის კალმახი, სხვა ფორმები გვხვდება ერთეულების სახით.

ზემო სვანეთი საკმაოდ მდიდარია ტყის რესურსებით. მთის ტყეების ნაწილს შენარჩუნებული აქვს პირველყოფილი მდგომარეობა. ტყეები უმთავრესად გამოიყენება: გათბობის, ხე-ტყის კომერციული წარმოების, საკვები და სამკურნალო მცენარეების შეგროვების მიზნით. ხაიშის თემის მოსახლეობა მის შემოგარენში არსებულ ტყეს, გარდა შეშის ჭრისა, გაზაფხულზე და შემოდგომით საძოვრებადაც იყენებს. აგრეთვე ტყეში მოიპოვებენ, როგორც სამურაბე და საკამპოტე ხილსა და კენკრას, ასევე სოკოს, თხილს, კაკალს, წაბლსა და სამკურნალო მცენარეებს. ტყეში ზამთრისთვის შესანახად მოსახლეობა აგროვებს:

ღეჰს (სვანური ბანანი), ანწლს, ღანძილს, ასკილს, წონწოფს, კუნელს, პანტას, მაყვალს, ლეღვს, ზღმარტლს, შინდსა და სხვას.

ზემო სვანეთს ტურიზმის განვითარების პოტენციალი აქვს. ეს მხარე მდიდარია როგორც ბუნებრივ-კლიმატური რესურსებით, ასევე კულტურულ-ისტორიული ძეგლებით. აქ გვხვდება ქვედა და საშუალო მთის ტყის, მაღალი მთის სუბალპური და ალპური იშვიათი ლანდშაფტები, ბუნების ძეგლები, ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობები, რაც ეკოტურიზმისა და სამეცნიერო ტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ზემო სვანეთში ბევრია ისტორიული ძეგლი, ეკლესია და მისთვის დამახასიათებელი უნიკალური კოშკი. დაბა მესტიის სამხარეო მუზეუმში უმნიშვნელოვანესი ხატები, წიგნები, სამკაულები და სხვა საგანძურია დაცული. კულტურულ ძეგლთა უნიკალურობა და ბუნების სილამაზე გახდა იმის საფუძველი, რომ იუნესკომ 1996 წელს ზემო სვანეთი გაეროს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტად აღიარა. მესტიის მუნიციპალიტეტს ასევე დიდი პოტენციალი აქვს ზამთრის ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა. განახლდა ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს სასტუმროებისა და კვების ობიექტების მშენებლობა. სვანეთი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ტურისტული რეგიონი ხდება. დაბა ხაიში და მისი შენოგარენი ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელი გზის შუაში მდებარეობს, იგი სვანეთის ერთგვარი ,,კარიბჭეა“. ხაიშიდან შესაძლებელია კემპინგის სტილის ტურების მოწყობა სამეგრელოს ქედის თხემური ზოლის (ტობარ-ვარჩხილის ტბა), აგრეთვე მდ. ნენსკრის სათავეებში მდებარე კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობის მთის უნიკალური ლანდშაფტების გასაცნობად. ხაიშის თემში მოქმედებს 11-მდე ოჯახური სასტუმრო და 40-მდე სახლი სტუმრების მისაღებად. ასევე, მოქმედებს 5-მდე კაფე-რესტორანი. ტურისტები, იშვიათად, მესტიის გზად დასასვენებლად ჩერდებიან ხაიშში. მესტიის ტურისტულ ცენტრში არ მოიპოვება მონაცემები ხაიშის ღირსშესანიშნაობებისა ან რაიმე ტურისტული მარშრუტების შესახებ.

ხაიშის მოსახლეობის უმეტესობას სვანები წარმოადგენენ. მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ეკლესიის აშენების თარიღი არ არის ცნობილი. 1979 წელს ეკლესიის მიმდებარედ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს მე-12-მე-13 საუკუნეების სამარხები. სოფ. ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტივნეულია სოფლის მოსახლეობისთვის. მიუხედავად, იმისა რომ ეკლესია, ამჟამინდელი ექსტერიერით, მე-20 საუკუნის 90-იან წლებშია აშენებული და არ არის კვალიფიცირებული, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იგი შუასაუკუნეების ნაეკლესიარზეა აგებული და სოფლის მოსახლეობის სულიერი კულტურის ძეგლს წარმოადგენს. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეა სოფ. ხაიშის სასაფლაო, სადაც სოფლის მცხოვრებთა ნათესავები არიან დაკრძალულნი. სასაფლაოც, არსებული პროექტის თანახმად, დატბორვის ზონაში ექცევა. იტბორება აგრეთვე: სოფ. ხაიშის შუა საუკუნოების სამაროვანი, ადრეული კლასიკური პერიოდის ნასახლარი, ტობარის წმინდა გიორგის ეკლესია, ბარჯაშის გამოქვაბული, ხაიშის ციხესიმაგრე.

დეტალური ბოტანიკური კვლევის შედეგად გამოვლინდა მაღალი ღირებულებების მქონე სახეობების პოპულაციები და განისაზღვრა პროექტის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება საპროექტო ტერიტორიის ბოტანიკურ რეცეპტორებზე (ფლორა და ფაუნა). მოხდა კომპლექსური აღდგენის გეგმის შემუშავება საპროექტო დერეფნის იმ მონაკვეთებისთვის, რომლებზეც მშენებლობის შემდგომ შესაძლებელი იქნება პირვანდელი მცენარეული საფარის აღდგენა. მცენარეთა იშვიათი სახეობების პოპულაციების კონსერვაციისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: ცოცხალ მცენარეთა გადარგვა შესაბამის საკონსერვაციო ცენტრებში, მცენარეთა გამრავლება თესლებით, მათი შემდგომი გადატანა საპროექტო ტერიტორიის მიმდინარე შესაბამის ჰაბიტატებში. ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად საჭიროა წყალსაცავის წყლის სარკის მთელ პერიმეტრზე, მის მიმდებარე ფერდობებზე, შეიქმნას გარკვეული სიგანის ბუჩქების ზოლი ადგილობრივ მცენარეთა გამოყენებით, რაც ხელს შეუშლის ნიადაგის ჩამოშლასა და ეროზიული პროცესების განვითარებას.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გაიზრდება ხმაური, ვიბრაცია, შესაბამისად მოიმატებს შეწუხების ფაქტორის გავლენა მშენებლობის მახლობლად მობინადრე ფრინველებსა და ხელფრთიანებზე. მცენარეულობა დაიფარება მტვრით, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველთა საკვებ ბაზასა და მათ აღწარმოებაზე. ტყე-ბუჩქნარების გაჩეხვა და წყალსაცავით ტერიტორიის დატბორვა გამოიწვევს ცხოველთა ადგილსამყოფლის განადგურებას, განსაკუთრებით დაზარალდებიან ტყის ხელფრთიანები, რომლებიც ბინადრობენ, ძირითადად, ტყისპირა ფუღუროიან ხეებში. ფუღუროიანი ხეების განადგურება გამოიწვევს ხელფრთიანების რაოდენობის კლებას, რაც გაზრდის კოღოებისა და სხვა მავნებლების რაოდენობას. გზის მშენებლობა ენგური-ქვემო ვედის მონაკვეთზე გავლენას იქონიებს უშუალოდ ტყის სახეობებზე.

მოასფალტებული გზა წარმოადგენს არეალის გამთიშავ ფაქტორს. თუ გათვალისწინებული არ არის სპეციალური გადასასვლელები, გზა გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს მრავალი ძუძუმწოვრის, ქვეწარმავლისა და ამფიბიისათვის. წყალსაცავის ტერიტორიის დატბორვა გამოიწვევს ფრინველების საბუდარი ადგილების მოსპობას. კაშხლის მშენებლობისა და წყალსაცავის მიერ ტერიტორიის დატბორვის ზემოქმედების ხანგრძლივობა ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფისათვის სხვადასხვა იქნება, რიგი სახეობები შესაძლებელია აღარ დაბრუნდნენ ამ ტერიტორიებზე (მაგ., ბეგობის არწივი). არის სახეობები, რომლებიც ადვილად ეგუებიან სიტუაციას და სწრაფად ითვისებენ ტერიტორიებს (სახლის თაგვები, მტრედი, ბეღურა და სხვ.). წყალსაცავის შექმნის შემდეგ მობინადრე ცხოველებს წყლის დალევის პრობლემა არ შეექნებათ, ყველა ცხოველს ექნება წყალსაცავთან მისასვლელი ადგილები წყლის დასალევად. წყალსაცავის შექმნა გამოიწვევს ფაუნისტური კომპლექსის რღვევას. ტყე მიმდებარე ტერიტორიებზე მთლიანად გაიჩეხება და ტერიტორია გაუდაბურდება. აღნიშნულის გამო მცირე რაოდენობით დარჩება დათვი, ფოცხვერი, ციყვი და ტყის ფრინველები, რომლებიც უღრან ტყეში ბინადრობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსთან დაკავშირებული კვლევები ძალზე არასრულყოფილია და არ იძლევა რეალურ სურათს იმისათვის, რომ შეფასდეს პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული ზარალი. პროექტის განხორციელების შედეგად განადგურდება არაერთი სახეობის იშვიათი, ენდემური და საფრთხის წინაშე მყოფი მცენარე. მოისპობა არაერთი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის ცხოველის საბინადრო გარემო. ხელახალი ფაუნისტური კოპლექსების ჩამოყალიბებას ათეულობით წელი დასჭირდება, თუმცა, მათი სრულად აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება.

ხუდონჰესის კომპლექსის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებების სამომავლო სცენარების შედგენა ჰესის განლაგების რაიონისათვის და ეკოსისტემაზე ამ ცვლილებების ზემოქმედების შეფასება, შესაძლო რისკების პრევენციისა და გრძელვადიანი დაგეგმარებისთვის. სცენარში შეფასებულია კლიმატური პარამეტრების ცვლილება 2020-2100 წლების პერიოდებისთვის. მოდელის დაკალიბრება მოხდა ხაიშის მეტეოსადგურის რეალური დაკვირვებების მონაცემებით. განხილული მასალების თანახმად, ხაიშში ზამთარი მომავალი წლების პერიოდისათვის, საშუალოდ 2 გრადუსით უფრო თბილი იქნება. ყინვიანი ღამეების რიცხვიც შემცირდება. ზაფხულის სეზონი იქნება ცხელი, გაიზრდება მყინვარების დნობა, რომელიც გამოიწვევს მდინარე ენგურში წყალუხვობას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩამონადენის რაოდენობას. ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთო დათბობის ფონზე ამ რაიონში ყველაზე მეტად დათბება შემოდგომაზე, თითქმის აღარაა მოსალოდნელი ყინვიანი დღეები და ღამეები, მაგრამ იზრდება ღვარცოფების წარმოქმნის ალბათობა, რამდენადაც ეს ტერიტორია ღვარცოფსაშიშ ტერიტორიას განეკუთვნება.

ხუდონჰესის წყალსაცავისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა გამოიწვევს მწვავე სოციალურ ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე: მიწის კერძო ნაკვეთების, მათზე განლაგებული უძრავი ქონების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების და შემოსავლის წყაროს დაკარგვას.

ხუდონჰესის კომპლექსს ექნება დადებითი ზემოქმედება ზემო-სვანეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რადგან ხელს შეუწყობს ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებას. ჰესის მშენებლობით მოსალოდნელია შემდეგი დადებითი ცვლილებები:

- მშენებლობის პერიოდში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მომსახურების, ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში;
- მშენებლობის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა რეგიონში, რაც უფრო მომგებიანს გახდის სოფლის მეურნეობას;
- მშენებლობის დასრულებისა და ჰესის ოპერირების შემდეგ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ენგურის კაშხლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც ყოველთვის ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს: მესტიაში მიმავალი ტურისტები ჩერდებიან ენგურის კაშხალთან ადგილის დათვალიერების მიზნით);
- ტურიზმის განვითარება სტიმულირებას გაუწევს ადგილობრივი კომერციული სექტორისა და წვრილი და საშუალო ბიზნესის (სასტუმროები, მაღაზიები, რესტორნები და ა.შ.) განვითარებას მშენებლობის პერიოდში მშენებლობაზე დასაქმებული მუშახელის, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ და ჰესის ოპერირებას - ტურისტების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

და ბოლოს, როგორც ირაკლი ტაბლიაშვილი ბრძანებს: „სახელმწიფო მდგრადია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს ტექნიკური პროგრესი, არამედ მაშინაც, როდესაც ის დაფუძნებულია თითოეული მოქალაქის, თითოეული ადამიანის განცდის გაზიარებაზე...“

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:
1. ურუშაძე თ., ლორია ვ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 2010.
2. აბდალაძე ო., აზმაიფარაშვილი მ., არნოლდი რ. და სხვ., 100 + კითვა-პასუხი გამოყენებით ეკოლოგიაში, თბ., 2011.
3. ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ნაწილი 1, 2013.
4. ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ნაწილი 2, 2013.
5. ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ნაწილი 3, 2014.

ბიზნესი და მართვა

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში

თამარ აჩელაშვილი, მეგი ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და მაკროეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის ძირითადი ინდიკატორია.

უმუშევრობა როგორც სოციალური მოვლენა, განსაკუთრებით ფართოდ, გავრცელდა XIX საუკუნეში, XX და XI საუკუნის განმავლობაში კი გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური თანამგზავრი. უმუშევრობის მაღალი ნორმა, **ეკონომიკური გაგებით,** არის რესურსების ნაწილობრივი გამოყენება, ნაკლები პროდუქციის წარმოება და შესაბამისად მოსახლეობის დაბალი შემოსავალი. **პოლიტიკური გაგებით,** უმუშევრობა მიჩნეულია „სოციალურ დინამიტად", რომელიც შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს და დაემუქროს არსებულ ეკონომიკურ სისტემას. **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით**, უმუშევრობა ბადებს არასრულფასოვნების კომპლექსს. სამუშაოს დაკარგვა ისეთი ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომელიც ახლობლის დაკარგვით გამოწვეულს სტრესს თუ შეედრება. იგი ამწვავებს ოჯახურ ურთიერთობას და აღრმავებს საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას. **სამართლებრივი თვალსაზრისით,** უმუშევრობა კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევაა. ამ შემთხვევაში, იზრდება კრიმინალურ დანაშაულთა რიცხვი.

საქართველოს კანონმდებლობით **უმუშევრად** ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის, ანუ სამუშაო ასაკში მყოფი. შრომისუნარიანი პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას. ეს არის უმუშევრობის განსაზღვრა **მკაცრი კრიტერიუმით.**

შსო-ის რეკომენდაციის საფუძველზე უმუშევრობის მაჩვენებელს განსაზღვრავენ აგრეთვე ე.წ. **შერბილებული კრიტებიუმითაც.** ამ კრიტერიუმით უმუშევრად ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის, ანუ სამუშაო ასაკში მყოფი შრომისუნარიანი პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა შოვნის იმედი, მაგრამ მისი შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას. **რეგისტრირებულ უმუშევრად** კი ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის პირი, რომელსაც არ აქვს სამუშაო და ხელფასი (შრომითი შემოსავალი), ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამუშაოს შოვნის მიზნით და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას.

უმუშევრობის დონე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ეს აიხსნება იმით, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები იმყოფებიან ეკონომიკური ცვლის სხვადასხვა ფაზაში და აქვთ განსხვავებული უმუშევრობის ბუნებრივი დონეები.

უმუშევრობის პრობლემის სიმწვავიდან და უარყოფითი შედეგების სიმრავლიდან გამომდინარე, ეკონომისტები ცალ-ცალკე გამოყოფენ მის „ეკონომიკურ დანაკარგებს,, და „სოციალურ დანახარჯებს“.

უმუშევრობის მთავარი ეკონომიკური დანაკარგი გამოუშვებელი პროდუქციაა, რომელსაც ეკონომისტები განსაზღვრავენ როგორც მშპ-ის ჩამორჩენას (დანაკარგს). იგი იმ მოცულობის ტოლია, რომლითაც ფაქტობრივი მშპ ნაკლებია პოტენციურზე. უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს როგორც თვით უმუშევრის, ასევე სახელმწიფოს შემოსავლებსაც. უმუშევრობის ეკონომიკურ დანაკარგებზე მსჯელობისას ეკონომისტები გვერდს ვერ უვლიან რესურსების სოლიდურ დანაკარგებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა: კაპიტალისა და „ტვინის“ გადინება, დანაზოგებისა და ყიდვითუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, მიწოდების შეკვეცა, მუშაკთა დეკვალიფიკაცია და ა. შ.

უმუშევრობის სოციალური დანახარჯები დაკავშირებულია საზოგადოებრივი პათოლოგიის (ფიზიკური და ფსიქიკური დაავადება, დამნაშავეობა და სიკვდილიანობა) მასშტაბის გადინებასთან.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს იმას, რომ უმუშევრობა არის უმთავრესი პრობლემა ქართული საზოგადოებისათვის სიღარიბესთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური პოლიტიკა არ პასუხობს ამ პრობლემას ადეკვატურად. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არ იწვევს უმუშევრობის შემცირებას, უფრო მეტიც, ამის საპირისპიროდ უმუშევრობა იზრდება პარალელურად იმისა, რომ, თითქოს გავრცელებული ცნობებით, საქართველოში ეკონომიკა განვითარების პროცესშია. უმუშევრობის პრობლემა მრავალგანზომილებიანია, მათ შორის იგი შეიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დასაქმების პოლიტიზირება, ასაკობრივი დისკრიმინაცია, არასწორი საკანონმდებლო ბაზა და პროფკავშირების ინსტიტუციონალური სისუსტე, სტრუქტურული პრობლემები, რაც უკავშირდება განათლების პოლიტიკას, ლიბერტარიანული მიდგომების გაბატონებასა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის უარყოფას, გლობალიზაციის გავლენასა და ფინანსურ კრიზისს და ა.შ.

უმუშევრობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. საქართველოში მთლიანი სამუშაო ძალის მხოლოდ 32%-ია ფორმალურად დასაქმებული, ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი 15%-ს შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, უმუშევრობის დონე საქართველოში გასულ წელთან შედარებით 1,7%-ით გაიზრდება და 16,7%-ს მიაღწევს. მომავალი წლისთვის ფონდი ამ მაჩვენებლის 17,3%-მდე ზრდას ვარაუდობს. 2013 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 6%-ით არის შემცირებული. ყველაზე დიდი კლება სამშენებლო სექტორში მოხდა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 34%-ით შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობის კლება თითქმის ყველა სექტორში აღინიშნა, გარდა სოფლის მეურნეობის სექტორისა, სადაც მთავრობა აქტიურად ახორციელებს ცალკეულ პროგრამებს. [1]

განსხვავებულ პროგნოზს გვთავაზობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). მისი ვარაუდით: უმუშევრობის დონე საქართველოში 2014 წელს 13,7%-მდე შემცირდება, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის გათვლებით, შარშან ეს მაჩვენებელი 14,32%-მდე აღწევდა, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სომხეთის (18,64%) შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მესამე ადგილზე დაუსაქმებლების რაოდენობით ლიტვაა (12,12%). 10-10%-იანი უმუშევრობის დონე დაფიქსირდა ლატვიაში, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. საქართველოსთან შედარებით, თითქმის ორჯერ დაბალია უმუშევრობის დონე უკრაინასა (7.89%) და ყირგიზეთში (7.9%); 5-6%-ის ფარგლებში მერყეობს რუსეთში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. [2]

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2012 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2011 წელთან შედარებით მცირედით, 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა, 1.3 პროცენტული პუნქტით - 2010 წელთან (16.3%) შედარებით და 15.0 პროცენტი შეადგინა. 2012 წელს 2011 წელთან მიმართებაში მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა 1.4 პროცენტული პუნქტით.“

ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. 2012 წელს 2011 წელთან მიმართებაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4.8 პროცენტით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 2.8 პროცენტით, რის შედეგადაც აღნიშნული თანაფარდობა მცირედით შეიცვალა. [3]







ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.ambebi.ge/regionebi/89628-saqarthveloshi-umushevrobis-done-2014-tsels-ufro-gaizrdeba.html#ixzz2rLt4mi60
2. http://www.bpn.ge/ekonomika/2869-saqarthvelo-umushevrobis-donitha-da-socialuri-uthanastsorobith-regionshi-lideria.html?lang=ka-GE
3. http://www.geostat.ge

მილტონ ფრიდმანის მონეტარისტული წესის შესახებ

გიორგი თამლიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

თანამედროვე შერეული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ძირითადად მონეტარული (ფულად-საკრედიტო) და ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებითაა შესაძლებელი. მონეტარულ რეგულირებაში იგულისხმება ცენტრალური ბანკის მიერ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის რეგულირება ეკონომიკურ აქტივობაზე ზემოქმედების მიზნით. ამისათვის ცენტრალური ბანკი ფულის ბაზარზე ჩამოყალიბებულ წონასწორობას მიზანდასახულად არღვევს იმ მიზნით, რომ ზემოქმედება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთის შემ-ცირებაზე და წაახალისოს კერძო საინვესტიციო მოთხოვნა. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური შემოსავლების ზრდას, ეს უკანასკნელი ფულზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს. საბოლოოდ, ფულზე მოთხოვნის ზრდა ფულის მიწოდების უცვლელობისას, იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და კერძო საინვესტიციო აქტივობის თანდათანობით შემცირებას. ამის შემდეგ ცენტრალურ ბანკს, რა თქმა უნდა, შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული პოლიტიკა, ანუ ფულის მიწოდების ზრდა (იაფი ფულის პოლიტიკა) საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა და კერძო საინვესტიციო მოთხოვნის წახალისების მიზნით, რომლის შედეგად მოვლენები ზემოთ აღწერილი სცენარით განმეორდება. ასეთი რეგულირება კეინზიანური მონეტარული პოლიტიკის სახელითაა ცნობილი და ჯ. მ. კეინზის სახელს უკავშირდება, თუმცა, ამ პოლიტიკას თავისი შეზღუდვები გააჩნია. საქმე ისაა, რომ წარმოების მოცულობის შემდგომი ზრდის კვალობაზე ზღვრული ხარჯების ზრდისა და კლებადი უკუგების კანონის მოქმედების გამო, ეკონომიკაში ინვესტიციების რენტაბელობის დონე სულ უფრო მცირდება, სულ უფრო იზღუდება დანაზოგების მომგებიანად გამოყენების სფეროები, ფაქტორთა ერ-

თობლივი მწარმოებლურობის დონის უცვლელობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, კერძო სექტორში ინვესტიციების მუდმივად წახალისება იაფი ფულის პოლიტიკით, შესაძლებელია მოთხოვნის ინფლაციაში გადაიზარდოს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მონეტარული პოლიტიკა ძირითად ინსტრუმენტად იქცა, მან პრაქტიკაში ფართოდ დანერგვიდან დაახლოებით 25-30 წლის შემდეგ თავისი ინფლაციური ხასიათი გამოავლინა. ყოველივე ზემოთქმულის ფორმალიზებისათვის, ფულის ბაზარზე წონასწორობის განტოლება ასე ჩავწეროთ:

$$\left(\frac{M}{P}\right)^{S} = \left(\frac{M}{P}\right)^{D} = L(Y, i)$$

სადაც $(M/P)^S$ რეალური ფულადი მარაგის მიწოდებაა, რომლის უკან დგას ცენტრალური ბანკი; $(M/P)^D$ - რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნაა, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეალურ შემოსავალზე (Y) და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე (i). ეს უკანასკნელი შემდეგნაირად გამოისახება: $i=r+\pi^e$, სადაც r რეალური საპროცენტო განაკვეთია, ხოლო π^e მოსალოდნელი ინფლაცია. საბოლოოდ, რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნის ფუნქცია შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$\left(\frac{M}{P}\right)^{D} = L(Y, \mathrm{r} + \pi^e)$$

ამრიგად, იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად მცირდება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზარზე, რაც ასტიმულირებს კერძო საინვესტიციო მოთხოვნას. საბოლოოდ, ინვესტიციების გადიდება უზრუნველყოფს წარმოების რეალური მოცულობის ზრდას, რაც ფულზე დამატებით მოთხოვნად გარდაიქმნება და წონასწორული საპროცენტო განაკვეთი უბრუნდება ადრინდელ დონეს. უდავოა, რომ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო საინვესტიციო ხარჯების ზრდას. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად ავლენს გარკვეულ ელასტიკურობას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ.

საქმე ისაა, რომ იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად ინვესტიციების სტიმულირების ეფექტი თანდათანობით მცირდება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციები სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდა, მართალია, იწვევს (თუმცა, სულ უფრო ნაკლებად შედეგიანად) საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ინვესტიციებისა და წარმოების მოცულობის ზრდას, მაგრამ ამის მიღწევის მცდელობა სულ უფრო აჩქარებს ინფლაციას. გრაფიკულად ფულის ბაზრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეგულირების სცენარი და გრძელვადიანი შედეგები ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



მოკლევადიანი მონეტარული რეგულირება გულისხმობს რეალური ფულადი მარაგების მიწოდების ზრდას $(M/P)_1$ -დან $(M/P)_2$ -მდე, რასაც, ცხადია, მოჰყვება ფულის ბაზარზე არსებული წონასწორობის გადაადგილება A-დან B წერტილში, რომელსაც უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი i_2 შეესაბამება. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს კერძო საინვესტიციო ხარჯებს, რაც განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური შემოსავლების ზრდას. ეს უკანასკნელი გარდაისახება ფულზე დამატებით მოთხოვნად, რაც ნახ. 1-ზე ფულზე მოთხოვნის D_1 მრუდს მარჯვნივ გადააადგილებს. შესაბამისად, ყალიბდება ფულზე ახალი მოთხოვნის D_2 მრუდი, რომელსაც ფულის მიწოდების S_2 მრუდთან გადაკვეთის C წერტილში შეესაბამება i_1 საპროცენტო განაკვეთი. მაშასადამე, კეინზიანური მონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტი გამოიხატება ფულის ბაზარზე

წონასწორობის A-დან B წერტილში, ხოლო გრძელვადიანი ეფექტი - A-დან C წერტილში გადაადგილებით, სადაც საპროცენტო განაკვეთი ადრე არსებულ სიდიდეს უბრუნდება. თუ ცენტრალური ბანკი გააგრძელებს მასტიმულირებელ მონეტარულ პოლიტიკას და გაზრდის ფულის მიწოდებას S_3, S_4 და ა. შ. დონემდე, რომელთაც შესაბამისად $(M/P)_3$ და $(M/P)_4$ რეალური ფულადი მარაგები შეესაბამება, ის მოკლევადიან პერიოდში შეძლებს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას (მოკლევადიანი წონასწორობა C-დან D, ასევე E-დან F წერტილებში გადაადგილდება), თუმცა რეალური შემოსავლების ზრდის კვალობაზე საპროცენტო განაკვეთი საბოლოოდ მაინც დაუბრუნდება ადრე არსებულ წონასწორულ დონეს (ანუ, გრძელვადიანი წონასწორობა გადის A, C, E, G წერტილებში) და რეალური ფულადი მარაგების ზრდა თანდათანობით დაკარგავს ელასტიკურობას საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ამრიგად, გრძელვადიანი პერიოდისათვის როგორც არ უნდა გაზარდოს ცენტრალურმა ბანკმა ფულის მიწოდება, ის მხოლოდ დააჩქარებს ინფლაციურ პროცესებს, რადგანაც რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნა სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ (ნახაზზე ფულზე მოთხოვნის ყოველი მომდევნო მრუდი უფრო დამრეცია, რაც გულისხმობს ფულადი ექსპანსიის შედეგად ეკონომიკაში ინფლაციური მოლოდინის ზრდას, ეს კი ფასების მომდევნო ზრდის საფუძველი ხდება), ეკონომიკური სუბიექტები კი ინფლაციის აჩქარების შემთხვევაში ამჯობინებენ ფულადი შემოსავლების არა დაზოგვას, არამედ ხარჯვას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინფლაციას. შედეგად, დანაზოგები და ფულზე მოთხოვნა მკვეთრად კლებულობს. ფულზე მოთხოვნის ახალი მრუდები წინა მრუდებზე არა მარტო მარჯვნივ მდებარეობს, არამედ სულ უფრო დამრეცი ხდება, რასაც იაფი ფულის პოლიტიკის ეფექტიანობა არარაობამდე დაჰყავს. ნახ. 1-ზე ეს პროცესი ნაჩვენებია გამუქებული არეების ფართობების შემცირებით. გამოდის, რომ ცენტრალური ბანკი რაც უფრო დაჟინებით ცდილობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას კერძო ინვესტიციების წახალისების მიზნით, მით უფრო ნაკლებ შედეგს აღწევს. უფრო მეტიც, ის ინფლაციის აჩქარების პროვოცირებას ახდენს.

ერთი სიტყვით, მონეტარული რეგულირების კეინზიანური მიდგომის ფართოდ გამოყენების შემთხვევაში, თავი იჩინა ინფლაციის აჩქარების პრობლემამ. საბოლოოდ, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის ხანგრძლივი არაინფლაციური განვითარების უზრუნველმყოფი პირობების შექმნის აუცილებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფულის ბაზარი ორი რეჟიმით ფუნქციონირებს. პირველია მონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი რყევები, რომელსაც ზემოთ გავეცანით. გრძელვადიანი წონასწორობის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი ნეიტრალური ხდება ფულის მიწოდების დინამიკის მიმართ.

ფულის ბაზარზე გრძელვადიანი წონასწორობის პირობას შემდეგნაირად გამოსახავენ:

$$\widehat{M} \approx \hat{Y} + \pi^e,$$

სადაც $\widehat{M}$ გვიჩვენებს ფულის მიწოდების ზრდის გრძელვადიან ტემპს, $\hat{Y}$ - რეალური მშპ-ს ზრდის გრძელვადიან ტემპს, ხოლო π^e - მოსალოდნელი ინფლაციის ტემპს (სახელმწიფოს მიერ ფასების ზრდის კონტროლირებად ტემპს). აღნიშნულ განტოლებას მონეტარისტული წესი, ანუ მ. ფრიდმანის განტოლება ეწოდება.

გრძელვადიანი მონეტარული პოლიტიკის მიზანია ინფლაციის სტაბილიზაცია და მისი ისეთ პროცესად გარდაქმნა, როცა ის მთლიანად ექვემდებარება ზუსტ პროგნოზირებას. როგორც მონეტარისტები თვლიან, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გრძელვადიან ტენდენციაზე, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპების შენარჩუნებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები განსაზღვრულია ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. ხოლო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები მოცემულია „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში“, რომელიც ყოველწლიურად მუშავდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისაგან ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ფარგლებში. მონეტარისტები თვლიან, რომ ფულის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის პირობა გამოიხატება ძირითადი ფულადი კანონის დაცვაში, რომლის შესაბამისად მყარდება ფულის მიწოდებისა და რეალური მშპ-ს ზრდის გრძელვადიან ტემპებს შორის კავშირი. თუ შემოთავაზებულ ცხრილს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ საქართველოში მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლების არასახარბიელო მდგომარეობას, შესაბამისად, სავარაუდოა სამომავლოდ ფულის მიწოდებასაც შეექმნას პრობლემები.

მშპ–ს ზრდის პროგნოზები			
	2012	2013	2014
კავკასია და ცენტრალური აზია	5,8	5,8	6,1
წავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნები	5,8	5,9	6,2
აზერბაიჯანი	2,2	3,5	5,6
ყაზახეთი	5,1	5,0	5,2
თურქეთი	11,1	12,2	10,4
უზბეკეთი	8,2	7,0	6,5
წავთობისა და გაზის იმპორტიორი ქვეყნები	5,5	4,9	5,4
სომხეთი	7,2	4,6	4,8
საქართველო	6,1	2,5	5,0
ყირგიზეთის რესპუბლიკა	-0,9	7,4	6,5
ტაჯიკეთი	7,5	6,7	5,8
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	3,4	2,1	3,4
რუსეთი	3,4	1,5	3,0
ჩინეთი	7,7	7,6	7,3

რაც შეეხება მიზეზებს, პირველ რიგში, ეს არის ინვესტიციების ნაკლებობა როგორც საგარეო, ასევე ადგილობრივი კომპანიების მხრიდან, პოსტ-საარჩევნო პერიოდი, რომელიც ისევ გველოდება წინ. მთავრობას სჭირდება უფრო მეტი კომუნიკაცია ინვესტორებთან, რომ მათ ჰქონდეთ უფრო მეტი ინფორმაცია, გარანტიებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე, იმ უპირატესობების შესახებ, რომლითაც საქართველო რეგიონში გამოირჩევა (გადასახადები, ბარიერები). რაც შეეხება ადგილობრივ ბიზნესს, აქ არსებობს გაჭიანურებული ქონებრივი დავები, რეგულაციების გამკაცრების მოლოდინი, მასშტაბური არ არის სახელმწიფოს ჩართულობა ეკონომიკაში და ა.შ. საქართველოს ეროვნული ბანკი კი მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალ სტრატეგიაზე გადადის, რომელიც სავალუტო ფონდის ახალი პროგრამის ნაწილია და, პირველ რიგში, იგი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთების კლებას. შემოღებულია რეფინანსირების განაკვეთის ლიმიტი. ასევე, კეთილსინდისიერ გადამხდელს შეუძლია, მიმართოს და მოითხოვოს როგორც საპროცენტო განაკვეთის შემცირება, ისე რეფინანსირება სხვა ბანკში. ამ შემთხვევაში მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია კონკურენცია.

ლიტერატურა:

1. ფრიდმანი მ., კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ., 2010.
2. კეინსი ჯ., დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, თბ., 2001.
3. გოგოხია მ., საბანკო საქმე, თბ., 2007.
4. ცაავა გ., საბანკო საქმე, თბ., 2006.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.statistics.ge
2. www.paralament.ge
3. www.mof.gov.ge
4. www.transparency.ge
5. http://hdr.undp.org/re

შედარებითი რეკლამა – ბრენდ ომებამდე მისული დაპირისპირება

თამთა კაპანაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გელა შაქარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ჩვენ ვცხოვრობთ უმძაფრესი კონკურენციის პირობებში, როდესაც წარმატების მთავარი ფაქტორი მომხმარებლის გულის დაპყრობა და მის ცნობიერებაზე ძლიერი ზემოქმედების გზით ბაზარზე გაბატონებაა. ესაა ინდივიდუალიზმის ეპოქა, სადაც მკვეთრად გამოხატულ განსხვავებულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ ინდივიდუალიზმი აძლევს პროდუქტს სხვა ადამიანის ცნობიერებაში შეღწევის და სტაბილური ადგილის დამკვიდრების საშუალებას.

რატომაა ეს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი? საქმე ისაა, რომ ორგანიზაციები, რომლებიც დადებითი იმიჯის ფორმირებისა და მომხმარებელთან ურთიერთობის მაღალი დონის საშუალებით ძლიერ კომპანიებად და ბრენდებად ჩამოყალიბდნენ, დიდ გავლენას ახდენენ ადამიანებზე, ქვეყნისა და მსოფლიო ეკონომიკაზე. დღეს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ომი მიმდინარეობს და აღარ არის საჭირო სამხედრო ძალის გამოყენება, როდესაც იგივე ეფექტი პროდუქტის საშუალებით დაპყრობით მიიღწევა. თუ რომელ ქვეყანას აქვს ჩვენზე დიდი გავლენა, ამ კითხვაზე პასუხს მარტივად სუპერმარკეტებში პროდუქტზე ამოკითხული მწარმოებელი ქვეყანა გაგვცემს.

დღევანდელი უმძაფრესი კონკურენციის პირობებში, როცა ბაზარი მომხმარებლისაა, დიდი კომპანიები ძალისხმევას და რესურსებს არ ზოგავენ იმისთვის, რომ მოიპოვონ და შეინარჩუნონ დომინანტური პოზიცია. სწორედ ეს ქმნის ბაზარს კონკურენტულს და „დაპირისპირებაში“ ჩართულ მხარეებსაც განვითარებისკენ უბიძგებს. ეს პროცესები დადებითად ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნების და მსოფლიო ეკონომიკაზე, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ვინაიდან მწარმოებელი გიგანტები არ კარგავენ არც ერთ წამს და მუდმივად რაღაც ახლის შექმნისკენ ისწრაფიან.

რა გზებით აღწევენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები თავიანთი არსებული თუ მოჩვენებითი უპირატესობების გამოვლინებას, ეს მომხმარებლისთვის კარგადაა ცნობილი. ძირითადად ესაა სამიზნე ჯგუფზე კარგად გათვლილი, შემოქმედებითობითა და პოზიტივით სავსე რეკლამები, რითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას ესა თუ ის პროდუქტი.

სამწუხაროა, მაგრამ ხშირად ლამაზი ტყუილიც კარგად მუშაობს, ამაზე ის საოცარი ფაქტიც მეტყველებს, რომ მიმდინარე წლის დამდეგს ელექტროტექნიკის მსხვილი რეალიზატორების მიერ გამოცხადებულმა საახალწლო აქციებმა, რომლის ფარგლებშიც კლიენტი ერთი ნივთის შეძენისას დამატებით საჩუქარს იღებდა, მომხმარებელზე დამატყვევებლად იმოქმედა. საოცარი ისაა, რომ კლიენტები პირველ რიგში სვამდნენ კითხვას, იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ნივთს რა მოჰყვებოდა საჩუქრად და, არა ვთქვათ, კითხვებს ძირითადი პროდუქტის მახასიათებლების შესახებ. ანუ ისინი არა იმდენად ძირითადმა პროდუქტმა მიიყვანა შესაძენად, რამდენადაც „საჩუქარმა“.

რეკლამის მეშვეობით გავლენის მოპოვებისა და მათი საშუალებით მომხმარებლების მოტივირება-მანიპულირების მეთოდების შემუშავებისას ძალიან მნიშვნელოვანია ეთიკა და ოქროს შუალედი. თუმცა, რეალურად, კომპანიები მომხმარებლის მოტივაციის გასაძლიერებლად და საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად კონკურენტების ერთგვარ დისკრიმინაციასაც არ ერიდებიან.

კონკურენტი ბრენდები ქმნიან შედარებით რეკლამებს და ძლიერ აზარტში შეჰყავთ მაყურებელი. როცა ინდივიდი თვალს ადევნებს უდიდეს გიგანტებს შორის გაჩაღებულ დაუნდობელ ბრძოლას, უჩნდება ერთგვარი მიკუთვნებულობის სურვილი, აზარტი, რომ თვითონაც ჩაებას ამ პროცესში და თავად გადაწყვიტოს, რომელ მხარეს მიანიჭოს უპირატესობა და დასდოს პატივი, მის ერთგულ კლიენტად ყოფნისა. მილიონებიც ხომ სწორედ ამ მიზნით იხარჯება.

მეტი თვალსაჩინოებისთვის კონკრეტულ კომპანიებს შორის არსებული მარკეტინგული ომი გამოგვადგება. რომ აღარაფერი ვთქვათ უდიდეს კომპანიებს – “Coca-Cola”-სა და “Pepsi”-ს შორის გაჩაღებულ საქვეყნოდ ცნობილ საუკუნოვან ომზე, ბრენდ მეტოქეობის ასევე ძალიან საინტერესო მაგალითია ავტომობილების გერმანულ მწარმოებელ კომპანიებს შორის გამართული, პრესტიჟისა და კონკურენტული უპირატესობის დასამტკიცებლად გამართული ნამდვილი ბრძოლა. რაღა თქმა უნდა, ამ ბრძოლის საბოლოო მიზანი მომხმარებლების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენაა.

დიდ გერმანულ სამეულს (Mersedes–BMW–Audi) უყვარს წაკინკლავება ერთმანეთში ბრენდის შესაძლებლობებზე და იმაზე, თუ რომელი მათგანი ჯობია. (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება N-1)

N-1



ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ბრძოლას, რომელიც 2003 წელს დაიწყო. წამომწყები, რაღა თქმა უნდა, კომპანია BMW იყო. თავიდან რეკლამები Mercedes–ისკენ იყო მიმართული. პირველ სარეკლამო რგოლში BMW წარმოდგენილი იყო მტაცებლის როლში, რომელიც მისდევდა "ზებრა Mercedes"–ს. მოგვიანებით BMW თავს დაესხა იაგუარის ფირმას, მაგრამ ამ უკანასკნელმა უგულებელყო გამოწვევა, რადგან პრობლემები ისედაც არ აკლდა.

ამით გათამამებულმა BMW–მ ახლა უკვე Audi ამოიღო მიზანში. აი აქ კი მწარედ შეცდა – მეტოქე არათუ ღირსეული დამხვდური, არამედ ძლიერი თავდამსხმელიც გამოდგა. დაპირისპირება დაიწყო ბილბორდებზე, რომელიც მალე ვიდეო ომში გადაიზარდა.

მას შემდეგ, რაც 2007 წელს Audi–მ წარმოადგინა რუსიფიცირებული GPS–ნავიგატორი, BMW–მ კვლავ წამოიწყო ბრძოლა სარეკლამო ტექსტით: "სანამ სხვები თარგმნიდნენ ნავიგაციას, ჩვენ შევქმენით საუკეთესო ძრავი მსოფლიოში". Audi–მ უპასუხა თავისი უძლიერესი სისტემით Quattro და რეკლამით, რომელზეც გზიდან მოცურებული BNW მაგისტრალზე მიმავალი „აუდის" ფონზეა წარმოდგენილი. რეკლამას ერთვის ტექსტი: „აი, რა ხდება, როდესაც არ გყავს Quattro". სიტყვებით თამაშს არც მეტოქე ჩამორჩა და საპირისპირო რეკლამით უპასუხა, რომელშიც ვითარება და ტექსტია შებრუნებული. აღსანიშნავია BMW-ს მიერ გამოშვებული ქუჩის რეკლამა წარწერით „Congratulations to Audi for winning South African Car of the Year 2006 form the winner of World Car of the Year 2006". "აუდიმ" „კეთილ მეგობარს" გულისხმიერება არ დაუკარგა და საპირისპირო მილოცვა გაუგზავნა ტექსტით: „Congratulations to BMW for Winning World Car of the Year 2006 from the Winner of Six Consecutive Le Mans 24 Hour Races 2000-2006".

ამ კომპანიების მხრიდან დღეს უკვე ძალიან ჩვეულებრივია საკუთარი ღირსებების წარმოჩენა ერთმანეთის „ნაკლოვანებების" ფონზე. მაგალითისთვის, პუბლიკას აღარ უკვირს, როცა BMW აქვეყნებს რეკლამას: „რასაც აუდი აკეთებს კარგად, „ბე-ემ-ვე" აკეთებს ბრწყინვალედ" და მისთ., რაც საქართველოს შიდა ბაზარზეც აისახება, მითუმეტეს მეორადი ავტომობილების ბიზნესში. ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთპიროვნულ ლიდერობას 2010-2013 წლებში მეორადი ავტომობილების ბიზნესი ინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საექსპორტო საქონლის ათეულში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია, სადაც 35%-ით მერსედესის ბრენდია წარმოდგენილი, რომელიც, ძირითადად, აზერბაიჯანზეა მიმართული. მიუხედავად ავტომობილებზე ფასების შემცირებისა, 2013 წელს იანვარ-ოქტომბერში მეზობელ ქვეყანაში გატანილი ავტომობილების ღირებულებამ 330,3 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 60 %-ია, ხოლო 2014 წელს საპროგნოზო მაჩვენებლებით 2013 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზრდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაყიდვების მაჩვენებლები მეტად მნიშვნელოვანია და ბრენდების რეკლამირების გარეშე შედეგი არ დადგება. რეკლამა არ არის ერთჯერადი, ფიქსირებული აქცია და პროცესი, ესაა რეგულარული ფსიქოლოგიური ძალისხმევის მიმართვა მომხმარებელზე.

შედარებითი რეკლამის სახესხვაობები, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულით არ სრულდება და უფრო და უფრო მწვავდება და მრავაფეროვნდება ვიდეო რეკლამებით. ეს არაა იმდენად გამაღიზიანებელი და ბრაზის აღმძვრელი, რამდენადაც მაყურებლისთვის სახალისო რეკლამები, რითაც კომპანიები ცდილობენ რაც შეიძლება ხმამაღლა დაიყვირონ: „მე ვარ პირველი!"

BMW-სა და Audi-ს შორის გაჩაღებული მარკეტინგული ბრძოლა იმდენად დამაინტრიგებელი და საინტერესოა მაყურებლისთვის, რომ ერთ-ერთი მხარის ყოველი ახალი გალაშქრების შემდეგ, ყველა მოუთმენლად ელის, რას უპასუხებს მეტოქე. აღსანიშნავია, რომ ეს ყოველივე ქვეყნის კანონმდებლობის ჩარჩოებში ხორციელდება.

საქართველოს კანონში რეკლამის შესახებ მე–12 მუხლი მთლიანად ეთმობა შედარებით რეკლამას. აქ მითითებულია, რომ „შედარებითი რეკლამა დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ის ერთმანეთს ადარებს ისეთ საქონელს ან/და მომსახურებას, რომლებიც გამოიყენება ერთი და იმავე საჭიროებისათვის ან მიზნისათვის;

ბ) თუ ის ობიექტურად ადარებს ერთმანეთს საქონლის ან/და მომსახურების ერთ ან მეტ საგნობრივ, არსებით, შემოწმებად და ტიპურ თვისებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს ღირებულება;

გ) თუ ის ბაზარზე არ იწვევს აღრევას რეკლამის დამკვეთსა და კონკურენტს ან რეკლამის დამკვეთისა და კონკურენტის სავაჭრო ნიშნებს, სავაჭრო დასახელებებს, სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, საქონელსა და მომსახურებას შორის;

დ) თუ ის არ ახდენს კონკურენტის მდგომარეობის, სავაჭრო ნიშნების, სავაჭრო დასახელებების, სხვა განმასხვავებელი ნიშნების, საქონლის, მომსახურების ან საქმიანობის დისკრედიტაციას;

ე) თუ ის წარმოშობის მითითებით გამოშვებული პროდუქციის რეკლამირებისას, თითოეულ შემთხვევაში, მიუთითებს იმავე დასახელების პროდუქციას;

ვ) თუ ის არ სარგებლობს კონკურენტის სავაჭრო ნიშნის, სავაჭრო დასახელების და სხვა განმასხვავებელი ნიშნის რეპუტაციით ან კონკურენტ-პროდუქტის წარმოშობის აღნიშვნით;

ზ) თუ ის არ წარმოადგენს საქონლის ან/და მომსახურების რეპროდუქციას, რომელთა სავაჭრო ნიშანი და სავაჭრო დასახელება დაცულია."

საქართველოში შედარებითი რეკლამის პრეცედენტები ბოლო პერიოდში იჩენს თავს. მათ შორის ყველაზე გახმაურებულია კომპანია „მაგთიკომის" 2011 წლის სარეკლამო რგოლი, სადაც კომპანია „ბილაინი" წარმოდგენილია, როგორც ოკუპანტი ქვეყნის კომპანია. აღნიშნული საკმაოდ ხმაურიანი დაპირისპირების მიზეზი გახდა და საქმე სასამართლომდეც კი მივიდა, ვინაიდან „მაგთიკომის" რეკლამა შეფასდა როგორც არაკეთილსინდისიერი რეკლამა, ანუ „რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავ გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის ბოროტად გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ." („საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ"; თავი I, მუხლი 3, პუნქტი 3)

2014 წლის დამდეგს საქართველოს ბანკმა ტრადიცია არ დაარღვია და გადაიღო ახალი წლის მისალოცი ვიდეორგოლი, რომელშიც დაკვირვებული მაყურებელი ადვილად შეამჩნევს ნარინჯისფერი სანტას აშკარა ძლიერებას და მბრძანებლურ უპირატესობას „მშიშარა", „დამყოლ", ცისფერ ფიფქიასთან შედარებით. ამ გამოწვევას „თი-ბი-სი" უკვე რამდენიმე წელია იგნორირებას უკეთებს.

სარეკლამო კულტურაში ნათლად ჩანს ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციები, განვითარების დონე, მოსახლეობის ცხოვრების წესი და ეკონომიკური მდგომარეობა. რაც უფრო მეტი კონკურენტული რეკლამა იქმნება, რაც უფრო მეტი მძაფრად დაპირისპირებული კომპანიაა წარმოდგენილი ამა თუ იმ სფეროში, მით მეტად მოგებული რჩება მომხმარებელი, რადგან სადაც მთავრდება სატელევიზიო კრეატივი, და ვიზუალური აღქმით მომხმარებლის გაბრუება, იქ შეიძლება დაიწყოს ფასდათმობა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.oddee.com/item_98476.aspx
2. http://www.netgazeti.ge/GE/105/entertainment/23176/
3. http://space-action-hero.blogspot.com/2009/04/motoring-audi-vs-bmw-billboard-ad-wars.html
4. http://eldari.wordpress.com/2010/11/10/ბრენდების-ომი/

შიდა ქართლი, როგორც საერთაშორისო ტურიზმის ობიექტი

ჟანა კოჩუაშვილი, თამარ ცერცვაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ანესაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

ტურისტული ბიზნესი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან და დინამიკურ დარგად ითვლება. საერთაშორისო ტურიზმი აღიარებულია როგორც მსოფლიოში საექსპორტო შემოსავლის მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორი. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა უკვე გადააჭარბა ნავთობპროდუქტებიდან, საავტომობილო მრეწველობიდან, ტელეკომუნიკაციების საშუალებებიდან, ტექსტილური მრეწველობიდან და სხვა დარგებიდან მიღებულ შემოსავლებს. იგი ყველაზე რენტაბელური სფეროა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მაღალი ზრდის ტემპების გამო იგი აღიარებულია, როგორც „XX საუკუნის ფენომენი“. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება.

დღეისათვის საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმი იკავებს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქციის 10%-ს, კერძოდ მოხმარების 10,9%-ს, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა (მსოფლიო მოსახლეობის 10%), მოზიდულია ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა.

XXI საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის, რაც უმთავრესად მსოფლიოში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით არის განპირობებული.

ტურიზმი ბიზნესის სფეროს შემადგენელი კომპლექსია, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ემსახურება მოგზაურს. მასთანაა დაკავშირებული ტურების გავრცელება, ტურისტული სააგენტოს მუშაობა, ავიაკომპანიების, რკინიგზების, ტელეკომუნიკაციური კავშირების, გზების და ა.შ. მთელი ეს ჯგუფი ტურიზმის ინფრასტრუქტურას წარმოადგენს, უზრუნველყოფს ტურისტთა ნორმალურ მიღწევას ტურისტულ რესურსებამდე და ტურისტული მიზნებისათვის მათ შესაბამის გამოყენებას, ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას.

საქართველო ამ მხრივ იდეალურ ქვეყანას წარმოადგენს შემდეგი გარემოებების გამო: ტერიტორიული სიმცირე, (ობიექტამდე მისვლა დიდ დროსა და ფინანსურ დანახარჯებს არ მოითხოვს), თვითმყოფადი ბუნება, ისტორიული ძეგლების სიმრავლე, ტრადიციული სტუმართმოყვარეობა.

საქართველო ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო უცხო მოგზაურთათვის. არგონავტების კოლხიდაში მოგზაურობა „ოქროს საწმისის“ დაუფლებისათვის ამის უძველესი საბუთია. უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, დასერილი იყო სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო გზებით.

შიდა ქართლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელსაც ტურისტული რესურსების დიდი პოტენციალი გააჩნია. იგი გამოირჩევა თავისებური ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, რომელსაც განსაკუთრებული მომხიბვლელობა აქვს: მდინარეთა ხეობები, მდელოები, მრავალფეროვანი ბუნება, ხშირი ტყეები და მრავალი ტურისტულ-კულტურული ფასეულობა. ასობით არქიტექტურულ თუ ისტორიულ ძეგლებს შეუძლია აღტაცებაში მოიყვანოს ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი. მდიდარი კულტურული ტრადიციები, საუკუნეებგამოვლილი სტუმარმასპინძლობა და უცხოელთა მიმართ ტოლერანტობა, მაღალი შინაგანი კულტურა და განათლება საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ (განსაკუთრებით მის მთიან ზონებში) რეგიონში ტურიზმის სახეების განვითარებაზე.

შიდა ანუ ზემო ქართლის ფართობი 9567 კმ^2. ადმინისტრაციული დარაიონებით რეგიონი მოიცავს გორის (მ.შ. ცხინვალის რეგიონთან ერთად), ხაშურის, ქარელის და კასპის რაიონებს.

შიდა ქართლი გამოირჩევა მდინარისეული ქსელის დიდი სიხშირით. რეგიონის მდინარეებიდან აღსანიშნავია: მტკვარი, ლიახვი, ლეხურა, ტანა, თეძამი, ძამა და სხვა. შიდა ბუნება თავისებური მშვენიერებითა და სიდიდითაა დაჯილდოებული. მის რელიეფში შეთანწყობილია ლანდშაფტების სხვადასხვა ტიპები: ნაფენი ვაკეები, საფეხურისებრი ხეობები და გორაკბორცვიანი სერები. რეგიონი

მდიდარია მთის წყაროებით, პატარ-პატარა ჩანჩქერებით და ტბებით. აქაური ჰავა ცოტათი უფრო გრილია, ვიდრე ქვემო ქართლისა და კახეთისა, რაც რეგიონის აბსოლიტური სიმაღლითაა გამოწვეული.

შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის წინსვლისთვის ეფექტური იქნება ეკო, აგრო და მომლოცველობითი ისტორიულ-კულტურული ტურების განვითარება.

რეგიონში მრავლადაა მომლოცველობითი ტურისათვის საინტერესო ობიექტები:

უფლისციხე-ნაქალაქარი მდებარეობს გორის რაიონში, ქალაქი გორის აღმოსავლეთით 20კმ-ზე მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, უფლისციხეს შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნიდან გვხვდება. ნაქალაქარში შემორჩენილია სხვადასხვა დროს კლდეში ნაკვეთი დარბაზები, სათავსები და ცალკეული ნაგებობები. უფლისციხის და მისი გარეუბნის მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახელი, კევრები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები და სხვა ხელოსნური ნაწარმების სიმრავლე, მრავალფეროვნება და სინატიფე უფლისციხეს უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს.

ატენის სიონი - VII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული და მდებარეობს ქალაქ გორიდან 10 კმ-ზე ატენის ხეობაში. ატენის სიონი ჯვარგუმბათოვანი ტაძარია და თითქმის იმეორებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურულ გეგმასა და ფორმებს, ტაძარი მდიდარია ორნამენტული, მცენარეული, ცხოველური და მითოსური რელიეფებით. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტაძრის შიდა სივრცე. XI საუკუნის ფრესკები და რელიგიური სილუეტები ეროვნული ხასიათისაა და შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრულობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ტაძარზე შესრულებულია ასობით ისტორიული წარწერა მრავალ ენაზე, მათ შორის ერთ-ერთი გვამცნობს ბუღა-თურქის შემოსევას და მის მიერ თბილისის გადაწვას.

ყინწვისი - XII-XIII საუკუნეების საეკლესიო კომპლექსია, რომელიც მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში. კომპლექსში შედის XII-XIII საუკუნეების წმიდა ნიკოლოზის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, XIII საუკუნის ღმრთისმშობლის ეკლესია, შუა საუკუნეების მცირე ეკლესია და გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა ნაგებობანი. ყინწვისის ტაძარი ცნობილია მისი ულამაზესი ფრესკებითა და ფერებით. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულნი არიან ქართველი მეფეები: გიორგი III, თამარ მეფე და ლაშა-გიორგი.

სამთავისი - სამთავისის ტაძარი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ სამთავისის ცენტრში. გადმოცემით ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია. სამთავისის ძველი ეკლესიის თარიღად 472 წელია მიჩნეული. იმ ტაძრიდან აღარაფერი შემორჩა. დღევანდელი ტაძრის აგება დაკავშირებულია სამთავნელ ეპისკოპოს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაველთან, თარიღად კი 1030 წელი მითითებულია. სამთავისის ტაძარი სამთავისის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

რკონი - მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, მისგან სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ-ის მოშორებით, მდინარე თეძამის მარცხენა ნაპირზე. VIII საუკუნეში რკონზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული გზა, რომელიც აკავშირებდა შიდა ქართლს ჯავახეთთან, თრიალეთთან და შემდეგ სომხეთის გავლით, ახლო აღმოსავლეთთან. ამან ხელი შეუწყო რკონსა და მის მიდამოებში დიდი სამონანასტრო კომპლექსის მშენებლობას.

ურბნისი - ურბნისის ნაქალაქარი მდებარეობს საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში. მისგან აღმოსავლეთით 10კმ–ში მდებარე სოფელ ურბნისში და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეული-ახ.წ. XVIII საუკუნით. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, აბანო, მარანი, წყალსადენი, სამეურნეო წყლის არხები, ბაზილიკა-ურბნისის სიონი, სამრეკლო და სხვა.

რუის-ურბნისის ტაძარი - ჯვარგუმბათოვანი ტაძარია, რომელიც VII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ტაძრის ყველაზე ძველი ფენა VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება, რესტავრირებულია X, XI, XVI, XVIII საუკუნეებში. შენობა სამსართულიანია. კომპლექსს შემოვლებული აქვს გალავანი, რომელიც თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით.

ქვათახევი - ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების ჯვარგუმბათოვანი ტაძარი XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება და მიეკუთვნება იმ ძეგლთა ჯგუფს, რომლებშიც საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური ფორმები. ეკლესია ძლიერ დაზიანდა XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის შემოსევათა დროს. 1854 წელს მოხდა ძეგლის კაპიტალური რესტავრაცია.

წრომის ტაძარი - წრომის ტაძარი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში მისგან აღმოსავლეთით 15 კილომეტრში მდებარე სოფელ წრომში. IV საუკუნეში წრომი საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკლესია ყოფილა. ამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, 626-663 წლებში ერისმთავარ სტეფანოზ II-ს აუგია წრომის დღევანდელი გუმბათოვანი ტაძარი. ტაძარი რამდენჯერმე დაზიანდა და გადაკეთდა XI-XII საუკუნეებსა და XVI- XVII საუკუნეებში.

ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია- იგი მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში ხაშურის მუნიციპალიტეტში. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე ასომთავრული წარწერის მიხედვით, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის აგება 1002 წელს ბაგრატ III-ის ცოლთან - გურანდუხტ დედოფალთან დაახლოებულ პირს, ძლიერ ფეოდალ ანანია მთავარეპისკოპოსს დაუწყია. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ამჟამად მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.

ისტორიულ, კულტურულ, შემეცნებითი ტური

გორის ციხე-მდებარეობს ქალაქ გორში. ისტორიულ წყაროებში იგი პირველად XIII საუკუნეში მოიხსენიება. საუკუნეების მანძილზე გორის ციხე მრავალჯერ განახლებულა. დღევანდელი სახე მან 1774 წელს მიიღო, ერეკლე II-ის მეფობის დროს. ციხე სიმაგრე, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა, ნაშენია რიყის ქვით. მას ჰქონდა თავისი გვირაბი, რომელიც წყლის ავზს უკავშირდებოდა. აქვეა პატარა ეკლესიაც. დღეს თავისი სიძველითა და სიდიდით გორის ციხე მრავალი მნახველის ყურადღებას იპყრობს. აქვე აღმოჩენილია სამარხები, სადაც ნაპოვნია ქალის ქანდაკების თავი, რომელიც ანტიკური ხანისა უნდა იყოს.

სურამის ციხე - ხაშურის რაიონში, დაბა სურამში მდებარეობს. ციხის აგების თარიღი უცნობია. თუმცა ქალაქი სურამი XII საუკუნიდან არსებობდა. XVII საუკუნის დასაწყისში სურამის ციხე გიორგი საკაძეს გაუმაგრებია. შემდეგში გარკვეული პერიოდი სურამის ციხე ოსმალების ხელში იყო. XVII საუკუნის 70-იან წლებში ქართველებმა ისევ დაიბრუნეს ციხე. XIX საუკუნის დასაწყისში ციხის დაღესტნური ფეოდალების თავდასხმებს გარიდებული მოსახლეობა აფარებდა თავს გარდა ციხისა დაბა სურამში ცხრა მართლმადიდებლური ტაძარი და ერთი სინაგოგაა.

სხვილოს ციხე - დარბახის კომპლექსი მდებარეობს საქართველოში, შიდა ქართლში, კასპის რაიონში, კასპიდან ჩრდილოეთით მდებარე სოფელ ქვემო ჭალის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3კმ-ზე. მაღალი მთის კალთაზე. სხვილოს ციხე-დარბაზის კომპლექსი პირველად მატიანეში X საუკუნეში იხსენიება. ამ ციხესთან ბევრი ბრძოლა მომხდარა, მაგრამ ის ყველაზე მეტად XVII საუკუნეში დაზიანებულა.

სტალინის სახლ-მუზეუმი - ქალაქ გორში მდებარეობს ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი, სადაც თავმოყრილია უნიკალური ექსპონატები: მემორიალური ნივთები, საჩუქრები, ფერწერული ტილოები, ფოტო-კინო დოკუმენტები და სხვა ისტორიული მასალა. ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსის შემადგენლობაში შედის მემორიალური სახლი, ორსართულიანი საექსპოზიციო შენობა კოშკით და სტალინის პირადი ვაგონით. ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსის საერთო ფართობია 3529,7 კვ-მ.

აქ ჩამოთვლილ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს დღემდე ძალიან ბევრი უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი სტუმრობს.

გორის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით 2011 წელს ეწვია 11 806 ტურისტი, 2012 წელს - 10 660 ტურისტი, 2013 წელს - 9 918 ტურისტი.

რაც შეეხება ეკოტურიზმს შიდა ქართლში, მდინარე ტანას ხეობა საუკეთესო რესურსია ეკოტურიზმის განვითარებისა. ბუნებრივ კლიმატურ პირობები საშუალებას იძლევა ბუნებაში დასვენების მოყვარული ტურისტებისათვის დროებითი საბანაკო ადგილები მოიწყოს. ამ ხეობაში მრავალი ჩანჩქერები და მთის წყაროა. (ატენის, ბოშურის და ლევიტანას წყაროები, ბიისისა და ბობნევის მტკნარი წყლის წყაროები და სხვა). უდიდესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა შემონახული ტანას ხეობაში.

თავისი მახასიათებლის მიხედვით ეკოტურიზმთან ახლოს დგას სასოფლო ანუ აგროტურიზმი, რომელიც ტურისტული ბიზნესის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მსოფლიოში. დასვენების ასეთი სახეობების არჩევის მოტივი შეიძლება იყოს:

- ოჯახური ან სხვა ჩვეულებებზე დამყარებული ტრადიცია;
- ექიმების მიერ რეკომენდირებული დასვენება მოცემულ კლიმატურ პირობებში;
- ბუნებასთან სიახლოვის ან ტყეში, ტბაზე სუფთა ჰაერზე ყოფნის სურვილი, მშვიდი გარემო;
- ეკოლოგიურად სუფთა და იაფი პროდუქტებით კვების შესაძლებლობა;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩართვა და სიამოვნების მიღება.

უცხო კულტურისა და ჩვეულებების გაცნობა, ადგილობრივ დღესასწაულებსა და გართობებში მონაწილეობა და სხვა, რაც წლის მანძილზე ქალაქში დაგროვილი სტრესის მოხსნის და ფსიქოლოგიური განტვირთვის საშუალებას იძლევა.

ეკოტურიზმი ტურიზმის მრავალ მიმართულებათა შორის ყველაზე სწრაფად მზარდი და მომგებიანი დარგია, რომელიც ხშირ შემთხვევაში „მასობრივ“ ტურიზმსაც კი უპირისპირდება. იგი ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ტურიზმის ამ მიმართულებით გატაცებულ

პიროვნებებს დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში შეხვდებით, სხვადასხვა მონაცემებით ეკოტურიზმის წლიურ ზრდას 10%-დან 30%-მდე ანგარიშობენ.

უკანასკნელ წლის მანძილზე ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა პროცესებმა დიდი დაღი დაასვა საქართველოს ტურისტული რეგიონების მდგომარეობას: დაზიანდა მწყობრიდან გამოვიდა მრავალი პანსიონი და დასასვენებელი სახლი, სხვა დანიშნულება მიიღო სასტუმროების დიდმა ნაწილმა (განსაკუთრებით რეგიონებში) დაზიანდა საავტომობილო გზები, ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ტურისტულ ზონამდე, თუ კულტურულ-ისტორიულ ძეგლამდე ავტომობილებით მისვლა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის განსხვავებით, რეგიონებში თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსების სივრცეა, სადაც უცხოელი ტურისტების განთავსება იქნებოდა შესაძლებელი ყოველივე ამისათვის კი საჭიროა საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები.

დღეს ჩვენი ქვეყნისათვის ტურიზმს დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, თუკი გონივრულად იქნება გამოყენებული საქართველოს საქართველოს უნიკალური ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები, მათ შორის: ბუნებრივი პირობები (ჰავა, წყლის რესურსები, მღვიმეები, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, ნაკრძალები, უნიკალური ბუნებრივი ობიექტები) კულტურულ-ისტორიული (მუზეუმები, თეატრები, ისტორიული, არქეოლოგიური, ხელოვნების ნიმუშები) და სოციალურ-ეკონომიკური პირობები (შრომითი რესურსები, ეკონომიკური განვითარებისა და სატრანსპორტო ქსელით უზრუნველყოფის დონეს) პირველქმნილი ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF)-ის ექსპერტთა აზრით, ევროპის არცერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა, როგორც საქართველოს. ვერცერთ ევროპის ქვეყანაში ვერ ნახავთ მცირე ტერიტორიაზე რელიეფის ისეთ მრავალფეროვნებას, როგორსაც საქართველოში.

იმისათვის რომ საქართველო საერთაშორისო ტურისტულ კონკურენციაში ჩაერთოს და მიმზიდველი გახდეს უცხო ტურისტებისათვის აუცილებელია გაირკვეს, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში, ვინ შემოდის და მომავალში ვინ შემოვა ქვეყანაში, რა არის ტურისტებისათვის სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტურისტული ჯგუფი მცირერიცხოვანი იყოს, რაც საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მიმართულებაა.

ლიტერატურა:

1. მენაბდიშვილი ხ., ბეჟანიშვილი ა., მამისთვალიშვილი ე., ქობულაშვილი თ., სამსონია ბ., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში, გორი, 2007, გვ. 3, 7, 8, 10, 11, 12, 13.
2. ანესაშვილი თ., მდგრადი ტურიზმის განვითარება შიდა ქართლში, მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2012.
3. http://gori-municipaliti.ge

ინფლაცია საქართველოში

ზაურ კუდუხოვი, ვლადიმერ გიგაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

ინფლაცია არის იმ საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდა, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაცია, თავისი უარყოფითი შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია: ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და, განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს; ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება; ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; რეალური მოგების კლება ბიზნესებში; ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება; საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტს

აძვირებს; ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საქართველო წარმატებით ახერხებდა ინფლაციური ზეწოლის შეკავებას ერთნიშნა მაჩვენებლის დონეზე, 2013 წელი საკმაოდ პრობლემური წელი გამოდგა ამ თვალსაზრისით. 2013 წელს ინფლაცია საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სერიოზულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ნაშრომში შევეცდებით, პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: რა არის ინფლაციის გამომწვევი მიზეზები?

ზოგადად, ეკონომისტები 4 ტიპის ინფლაციას გამოყოფენ:

1) **მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია,** როდესაც მთლიანი მოთხოვნა ეკონომიკაში აჭარბებს არსებულ მიწოდებას. ანუ, სხვაგვარად ეს არის ე.წ. მონეტარული ინფლაცია;

2) **ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია,** როდესაც მზა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები იმატებს ნედლ მასალებზე ფასების ზრდის გამო, ან როდესაც ხელფასების მატება წარმოებული პროდუქციის ერთეულ ფასს ზრდის;

3) **ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაცია,** ანუ დაწესებული ფასის ინფლაცია, როდესაც რამდენიმე ბიზნესი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, **ოლიგოპოლიური ინფლაცია.** ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ეს ფასები, როდესაც მოესურვებათ - ე.წ. კარტელური გარიგებებით;

4) ინფლაციის მეოთხე ტიპი **სექტორული** ინფლაციაა, როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორებში ზრდის ფასებს, მაგალითად, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს. ინფლაციის ამ ტიპების გარდა, იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპორტზე დამოკიდებულები არიან, **იმპორტირებული ინფლაცია** არსებობს (მოწოდების შოკები), რომელიც სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ფაქტორია და ინფლაციის დონის ზრდას იწვევს.

2013 წელს, საშუალოწლიურმა ინფლაციამ 8.5% შეადგინა. ინფლაციამ პიკს 2013 წლის მაისში მიაღწია - წლიური 14.3%, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი იყო.

საქართველოში ფასების მატება გლობალური ფასების მატებით იყო გამოწვეული. მხოლოდ 2013 წლის პირველ კვარტალში, ნავთობის ფასები თითქმის 35%-ით გაიზარდა. 2013 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საქართველოში ინფლაციამ იკლო, რაც, ძირითადად, სეზონური ფაქტორითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და სურსათზე ფასების შემცირებით აიხსნება.

საქართველოში არსებობს პოზიტიური კორელაცია საერთო ინფლაციასა და სურსათსა და ნავთობზე საერთაშორისო ფასებს შორის. ამავე დროს, პოზიტიური კორელაცია არსებობს სურსათზე მსოფლიო ფასებსა და ადგილობრივ სასურსათო ინფლაციას შორის. და ბოლოს, სასურსათო ინფლაცია საქართველოში უფრო მაღალი, მერყევი და ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია; შედეგად, საერთო ინფლაცია საბაზო ინფლაციაზე მაღალია.

2013 წელს დიდი სხვაობა დაფიქსირდა საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემებს შორის, ხოლო წინა წლებში საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემები მეტ-ნაკლებად მიახლოებული იყო. ამის მიზეზი სურსათზე, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებაა, რომლებიც საბაზო ინფლაციის მაჩვენებელში არ აისახება.

2013 წელს საერთო და საბაზო ინფლაციების მეტ-ნაკლებ დაახლოებას პროგნოზირებდნენ საერთო ინფლაციის შემცირებისა და საბაზო ინფლაციის მცირედი გაზრდის შედეგად.

2013 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეროვნულმა სტატისტიკის სამსახურმა სამომხმარებლო კალათაში ცვლილებები შეიტანა – კალათაში 9.8%-ით შემცირდა სურსათისა და არაალკოჰოლური სასმელების წილი, რამაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

მსგავსი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებთან შედარებით, სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დაბალი საქართველოშია. აღსანიშნავია, რომ სურსათის საშუალო წონა მოწინავე ქვეყნებში 17%-ია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 31%.

საქართველო სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება სურსათის იმპორტზე. სურსათის დეფიციტის უდიდესი წილი ბურღულეულსა და ხორცის პროდუქტებზე მოდის. საქართველოს კი შედარებითი უპირატესობა აქვს ხილის და მაღალი ღირებულების ბოსტნეულის წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო საქონლის ორი მსხვილი პროდუქტის - ხორბლისა და შაქრის ფასი წლის განმავლობაში მერყეობდა, ინფლაცია არ იყო გამოწვეული მხოლოდ სურსათზე მსოფლიო ფასების ზრდით.

ფულადი გზავნილები თავიანთი ბუნებით ინფლაციურია. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობამ 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ინფლაცია შეიძლება ასევე გამოიწვიოს მუდმივმა ფისკალურმა დეფიციტმა და სახელმწიფოს დიდმა საგარეო ვალმა. მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური დეფიციტი შემცირდა, დეფიციტი მაინც მაღალი რჩება. ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობის მთავარი გამოწვევა მცირე ზომის და ეფექტიანი სამთავრობო ოპერაციების შენარჩუნებაა ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპის ხელშესაწყობად. სხვა გარდამავალი ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ფისკალური კორექტირების ან ძლიერი ფისკალური პოზიციის გარეშე მათ ინფლაციის შემცირება ვერ შეძლეს.

მზარდი საგარეო ვალი, რომელიც მიმართულია სოციალური დანახარჯების დასაფინანსებლად, ასევე ინფლაციურია.

საქართველოში ინფლაცია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა გამოიწვია და მრავალგანზომილებიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. მაღალი ინფლაცია ძირითადად იმპორტის ფაქტორისა და დაუბალანსებელი ბიუჯეტის შედეგია, მონეტარული პოლიტიკა ამ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს. საბიუჯეტო ხარჯებში (განსაკუთრებით, სოციალურ ხარჯებში) მკვეთრმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ინფლაციური ზეწოლების წარმოქმნას, ვინაიდან ეს კონკრეტული კატეგორია პოზიტიურ კორელაციაშია მოხმარებასთან.

მონეტარული პოლიტიკა საქართველოში

2013 წლის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, როდესაც წლიურმა ინფლაციამ 12.3%-ს მიაღწია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ-ი) „ქამრების შემოჭერის“ ანუ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება დაიწყო. 2013 წლის ოქტომბერში საპროცენტო განაკვეთი 8% იყო. ამავე დროს, 2013 წლიდან ფართო ფულის მოცულობა შემცირდა ძირითადად სეზონური ფაქტორების გამო; ასევე შემცირდა ფართო ფულის წლიური ზრდის ტემპი. პროგნოზის მიხედვით, ფართო ფულის ზრდა 20-25%-ის ფარგლებში მოხდა, რაც, პროგნოზირებულ ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად, გონივრულ დონეებს უახლოვდება. როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2013 წელს ფართო ფულის ზრდა თითქმის 10%-ით შემცირდა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის გამო.

2014 წლის პირველი კვირის მიწურულს სავალუტო აუქციონზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკუთარი რეზერვებიდან 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა. ამ ნაბიჯის მიუხედავად, ეროვნული ვალუტის კურსმა დაცემა მაინც განაგრძო.

2014 წლის იანვრის შუა რიცხვებში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი გაუარესდა და აშშ დოლართან მიმართებაში 1.74-ზე ოდნავ მეტი შეადგინა. ოფიციალური კურსისგან განსხვავებულია ბაზარზე არსებული რეალობა. კომერციული ბანკები და სავალუტო ჯიხურები ეროვნული ვალუტის გაცვლას მომხმარებლებს გაცილებით წამგებიან ფასად სთავაზობენ. ეს ვითარება ორ კვირაზე მეტია გრძელდება. ხელისუფლება ირწმუნება, რომ საგანგაშო არაფერია და რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის განცხადებით, მისმა უწყებამ ლარის კურსის შეცვლის ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ნაბიჯები გადადგა.

დასკვნები და რეკომენდაციები

მეორე წელია, რაც კავკასიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ეკონომიკის კრიზისამდელ დონემდე აღდგენა და ზრდა შეინიშნება. თუმცა, ინფლაცია რეგიონის უმეტესი ქვეყნებისათვის კვლავ მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად დარჩა. საქართველომ ინფლაციის პრობლემა უნდა მოაგვაროს, რათა მდგრადი ეკონომიკური ზრდა გააგრძელოს.

საქართველოში ინფლაცია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა გამოიწვია და მრავალგანზომილებიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. მაღალი ინფლაცია ძირითადად იმპორტის ფაქტორისა და დაუბალანსებელი ბიუჯეტის შედეგია, მონეტარული პოლიტიკა ამ შემთხვევაში მთავარ პრობლემას არ წარმოადგენს. საბიუჯეტო ხარჯებში (განსაკუთრებით, სოციალურ ხარჯებში) მკვეთრმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ინფლაციური ზეწოლების წარმოქმნას, ვინაიდან ეს კონკრეტული კატეგორია პოზიტიურ კორელაციაშია მოხმარებასთან. ჩვენ ასევე დავადასტურეთ, რომ ფულადი გზავნილებისა და უცხოურ ვალუტაში კაპიტალის მსხვილ ნაკადების შემოდინებას ინფლაციური რისკები ახლავს განუვითარებელი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის პირობებში, სადაც ცენტრალურ ბანკს შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, რომ სტერილიზაციის მსხვილი ინტერვენციები განახორციელოს.

ინფლაციის შესაძლო მიზეზთაგან ერთადერთი მიზეზი, რომელიც ხელისუფლების კონტროლქვეშაა, არის ფისკალური დეფიციტის პრობლემა, რომელსაც, მიგვაჩნია, რომ ინფლაციაში ერთ-ერთი უდიდესი წვლილი შეაქვს. ვინაიდან სხვა ფაქტორები ეგზოგენური ხასიათისაა, მთავრობამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ფისკალური კონსოლიდაციისაკენ, ზედმეტი სოციალური ხარჯების შემცირებისაკენ, ეს ყველაზე მეტად ერთჯერად სოციალურ პროგრამებსა და კამპანიებს ეხება, რომლებიც მოხმარებას ზრდის და მძიმე დარტყმას აყენებს ცენტრალურ ბიუჯეტს. ეს კაპიტალი გრძელვადიან, მომგებიან შესაძლებლობებში უნდა ჩაიდოს და ამ გზით შეუმსუბუქოს სოციალურად დაუცველებს მდგომარეობა. ასეთი შესაძლებლობები შეიძლება იყოს ინვესტიციები ხილისა და მაღალი ღირებულების მქონე იმ ბოსტნეულის წარმოებაში, რომლებშიც საქართველოს შედარებითი უპირატესობა აქვს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დაუბალანსებელი ბიუჯეტი ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ეკონომიკას, განსაკუთრებით მზარდ შიდა და საგარეო ვალთან ერთად. ამასწინანდელი გლობალური კრიზისი ამ პოსტულატის სისწორეს ადასტურებს. ნელი ეკონომიკური ზრდით ყველაზე მეტად ის ქვეყნები ზარალდებიან, რომლებსაც მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი, არასტაბილური ფისკალური ხარჯების პოლიტიკა და დიდი ვალი აქვთ.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/InflationGeoWeb2012.pdf
2. http://geostat.ge

პროგრამული ბიუჯეტირების უპირატესობანი საქართველოში

ლალი მიჩიტაშვილი, რუსუდან პოღოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** პროფესორი

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შემდგომი ეტაპია ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა. 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საკანონმდებლო დონეზე მოხდა აღნიშნული ვალდებულების აღიარება, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადების პირველი მცდელობა 2012 წელს განხორციელდა, ხოლო ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა მათი ბიუჯეტები პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მოამზადეს 2013 წლისათვის. პროგრამული ბიუჯეტირების სამშობლოდ შეგვიძლია ამერიკის შეერთებული შტატები მივიჩნიოთ.

1965 წელს გაერომ შეიმუშავა სახელმძღვანელო პროგრამული და ეფექტიანობაზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისთვის. 60-იანი წლების ბოლოს პროგრამული ბიუჯეტირების ვარიანტები გავრცელებული იყო ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. პროგრამულმა ბიუჯეტირებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) სხვადასხვა ქვეყანაში: მათ შორის დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, კანადაში. ხაზგასასმელია, რომ პროგრამული ბიუჯეტირება მოითხოვს:

1. გამართულ საბიუჯეტო პროცედურებს;
2. ფინანსურ დისციპლინას;
3. ინფორმაციის მოპოვების და ანგარიშგების გამართულ სისტემას;
4. სამთავრობო უწყებების მჭიდრო კოორდინაციას, რაც განვითარებად ქვეყნებში დამატებით გამოწვევებს ქმნის.

ანსხვავებენ პროგრამული ბიუჯეტის შემდეგ ფორმებს: სუსტი ფორმა:

• რეპრეზენტაციული პროგრამული ბიუჯეტირება, რომელიც ძირითადად ბიუჯეტის გამჭვირვალობის ინსტრუმენტია, დანერგილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში. საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“ შეიძლება მივაკუთვნოთ ამ ფორმას.

• „საშუალო ფორმა“: შედეგებით ინფორმირებული ბიუჯეტირება, რომელიც ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტია, ასევე ხელს უწყობს პროგრამების მიმდინარეობის ეფექტიანობაზე ინფორმაციის მიღებასა და შეფასებას. დანერგილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში.

„პირდაპირი პროგრამული ბიუჯეტირება“ – კონტრაქტული სისტემა, რომლის დროსაც ფინანსური რესურსების განაწილება (შემცირება, გაზრდა) პირდაპირ არის დაკავშირებული ამა თუ იმ პროგრამით მიღებულ შედეგზე. ეს ფორმა გავრცელებულია ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში. პირდაპირი პროგრამული ბიუჯეტირება მოითხოვს კომპლექსური ფინანსური სისტემის არსებობას, სადაც შედეგების გაზომვა დამყარებულია ზუსტი და უტყუარი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვებაზე.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით ისაა, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზშედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში, არამედ გასატარებელი ძირითადი პროგრამებისა და მათი შედეგების თვალსაზრისით.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები. შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე. პროგრამული ბიუჯეტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს საბოლოო მისაღები და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს ჯერ შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ხოლო შემდგომ შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები საქართველოში პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმის კომპლექსურობის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე ინერგება რეპრეზენტაციული (პირველი) ფორმა. პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია დანერგვის საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტის მიერ მტკიცდება და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულია მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა. ამასთან, მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი. პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკანონმდებლო პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილია პრიორიტეტების მიხედვით და მოიცავს:

1. ყველა პროგრამის დაფინანსებას და, შესაბამისად, პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს;
2. თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს;
3. პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

პირველ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტული პროგრამებისა და მათზე მიმართული სახსრების შესახებ;

შემდგომ, თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილია:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- პროგრამის დასახელება;

- პროგრამის განმახორციელებელი;
- პროგრამის აღწერა;
- პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები;
- ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:
o პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, დასახელება, განმახორციელებელი ორგანიზაცია;
o ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა, ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი, შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები. პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის, ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი კონკრეტული შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას.

- საბოლოო შედეგი გულისხმობს:

გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას;
არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას;
ახალი წესის დანერგვას;
მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე.

შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით, თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი და, ხშირ შემთხვევაში, გამოისახება კონკრეტულ ციფრებში ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში. შუალედური შედეგი წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს. საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულების ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლად საბოლოო შედეგის მიღწევისკენ.

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია (საშუალოდ 4-5 წელი), ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას. წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, ვინაიდან შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორი.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. სწორედ ამიტომ, ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი კრიტერიუმები:

სასარგებლო: პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;

შედეგზე ორიენტირებული: უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;

ნათელი და გაზომვადი: უნდა იყოს იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

შესაბამისი და მიღწევადი: ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან, პირიქით, ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

შედარებითი: უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში;

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს: რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი". მაგალითად: 10 რეაბილიტირებული სკოლა, ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს. მაგალითად: განათლების გაუმჯობესებული დონე, რაც შეიძლება გამოიხატოს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილ აბიტურიენტთა პროცენტული მაჩვენებლით ხარჯზე მიბმული ინდიკატორები აფასებს ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში. მაგალითად: პროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე დახარჯული X ლარი ეფექტიანობის ინდიკატორები გვაწვდის ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში. მაგალითად: პროგრამის ფარგლებში მომსახურება ეღირება 30%-ით ნაკლები. ეფექტურობის ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში. მაგალითად: ნარკოპრევენციის პროგრამის განხორციელების შემდგომ ნარკოდამოკიდებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 20%-ით.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინა სრულიად ახალ, პროგრამულ ფორმატში, რაც ნიშნავს, რომ სამინისტროებისთვისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებები გაწერილია მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით და აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა წარმოდგენილია შესაბამისი პრიორიტეტების ფარგლებში. ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელშიც წარმოდგენილია კანონის პროექტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები, ამ შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები და მათი საშუალოვადიან პერიოდში დაფინანსების მოცულობა.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.parliament.ge
2. www.mof.ge
3. www.sao.ge

ბრენდინგი – კომპანია „აუდის" წარმატების გასაღები

ბექა ნაოჭაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

თანამედროვე გამჭვირვალე სამყაროში ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება მარტივი ამოცანაა. დღეს ადამიანებს იოლად შეუძლიათ ნებისმიერი კომპანიის ყველაზე ბნელ კუთხეებში შეხედვაც კი. მომავალში წარმატება მხოლოდ იმ კომპანიებს ელით, რომლებიც ბრენდით სულდგმულობენ. რა არის ბრენდი? - ბრენდი არის თვით კომპანია. ბრენდი (Brand) მარკეტინგში განისაზღვრება, როგორც მომხმარებლის ცნობიერებაში პროდუქტის აღქმა. ბრენდი არ არის ლოგო, სარეკლამო განცხადება და თავად პროდუქტი. ბრენდი მომხმარებლის შთაბეჭდილებების კრებულია მოცემულ პროდუქტზე. ის უადვილებს მომხმარებელს გაარკვიოს - რომელი პროდუქტია მისთვის სხვასთან შედარებით უკეთესი. მომხმარებლის ცნობიერებაში ბრენდი გარკვეულწილად პროდუქტის იარლიყია. ბრენდი განასხვავებს მსგავს პროდუქტებს, ახდენს პროდუქტის ღირსებების ფორმულირებას და მომხმარებელს პროდუქტის

მიმართ დამოკიდებულების გარკვევაში ეხმარება. ყოველივე ამის გამო, ბრენდი საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად მივუდგეთ ჩვენს საქმიანობას. ბრენდის შექმნა ამოსავალი წერტილი ხდება კომპანიის მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროცესის სწორი წარმართვისათვის.

ბრენდინგი არის მარკეტინგული და მმართველობითი ტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს ნორმათა სისტემას, თუ როგორ იქმნება სავაჭრო მარკა. ბრენდინგი ქმნის არხებს იმისთვის, რომ ოპტიმალურად მიაწოდოს სავაჭრო მარკა მომხმარებლებს, ასევე მართავს მის განვითარებას. პიარი ეხმარება ბრენდს მიიტანოს მისი ღირებულებები საზოგადოებასთან. ბრენდის შექმნაში აქტიური როლი უკავია მარკეტინგის და პიარის სპეციალისტებს, რადგან მარკეტინგი ქმნის პროდუქტს, ადგენს ფასს, იკვლევს გასაყიდ ბაზარს და პრომოუშენს უკეთებს ბრენდს.

რაიმეს ბრენდირება მისი ღირებულების გაზრდას ნიშნავს. ბრენდინგის საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის, მომსახურების, კომპანიის, მოვლენის, პიროვნების ფასეულობის გაზრდა. ბრენდი და სავაჭრო ნიშანი სხვადასხვა ცნებებია. სავაჭრო ნიშნის წარმატებულობა, როგორც წესი, მისი ცნობადობის გაზომვით დგინდება. ცნობადობა, თავის მხრივ, რეკლამირების სხვადასხვა საშუალებით მიიღწევა. რეკლამა ინვესტიციებს მოითხოვს. სავაჭრო ნიშნის წარმატებულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრენდის ჩამოყალიბებას. ასე რომ იყოს, ნებისმიერი მდიდარი კომპანია შეძლებდა ბრენდად ჩამოყალიბებას. ბრენდირებას განსაკუთრებული ნიჭი და უნარი სჭირდება.

ბრენდის შექმნის კლასიკურ მიზეზს წარმოადგენს მისი უნარი, გაზარდოს სხვაობა თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის. ბრენდინგი ერთგვარი ვაქცინაა წარუმატებლობის წინააღმდეგ. ამის კარგი მაგალითი Mercedes-Benz და მისი A კლასის მანქანაა. ჟურნალისტი, რომელიც ამ ავტომობილს დაბრკოლებებზე ატესტირებდა, უეცრად ამოყირავდა. ამ ტესტის ფოტო მალე საყოველთაოდ ცნობილი გახდა პრესის საშუალებით. Mercedes–ის ბრენდის ძალამ, როგორც ფუნქციონალურმა, ასევე სოციალურმა, მას მეორე შანსი მისცა. კომპანიამ მთელი ძალისხმევა თავისი ავტომობილების უსაფრთხოებაზე მიმართა. მანქანამ განმეორებითი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. Mercedes–ის ბრენდი რომ არა, A კლასის ავტომობილი ვეღარ იარსებებდა. ეს რომ ნაკლებად პრესტიჟული, ან ახალი კომპანიის მიერ გამოშვებული ავტომობილი ყოფილიყო, მის გაუჩინარებას ვერც კი შეამჩნევდნენ. ტესტირებისას Skoda–ს ავტომობილიც არის ამოყირავებული. ამის შემდეგ იგი ფაქტიურად გაქრა დასავლეთის ბაზრიდან, სანამ 10 წლის შემდეგ ამ მარკის ავტომობილი ძლიერმა ბრენდმა Volkswagen–მა არ დააბრუნა საერთაშორისო ბაზარზე.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში სულ უფრო მცირდება პროდუქტებისა და მომსახურების სიცოცხლის ციკლი. 10 წლის წინ კომპანიებს მხოლოდ თავიანთი პროდუქტები აინტერესებდათ, დღეს უკვე აქცენტი კეთდება ბრენდზე. პროდუქტები ჩნდება და ქრება, ბრენდი კი რჩება. მთავარია, ბრენდს ჰქონდეს ფილოსოფია, ინდივიდუალურობა, შარმი და ქმნიდეს ღირებულებებს. საბოლოო ჯამში, სწორედ საერთო ღირებულებებია ის „გასაღები“, რაც მომხმარებელს ბრენდთან აკავშირებს.

ბრენდის სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზისათვის შვედი მკვლევარი ტომას გედი წიგნში „4D ბრენდინგი“ ოთხგანზომილებიან მოდელს გვთავაზობს. ესენია: ფუნქციონალური, სოციალური, მენტალური და სულიერი განზომილებები. [1]

1. ფუნქციონალური განზომილება პირველია სიაში. ბრენდის ჩამოყალიბება იწყება მეტ-ნაკლებად უნიკალური პროდუქტის და მისი მომხმარებლისთვის სარგებლიანობის შექმნით. არ არის აუცილებელი, პროდუქტის სარგებლიანობა ემთხვეოდეს მისი მწარმოებლის წარმოდგენას, შეიძლება, ამა თუ იმ მომხმარებლის მიერ ის სუბიექტურად, განსხვავებულად იყოს აღქმული. წარსულში სარგებლიანობა იყო მთავარი. რეკლამებში მხოლოდ პროდუქტის სარგებლიანობას უსვამდნენ ხაზს. დღევანდელ მარკეტინგში ეს განზომილება ისევ მნიშვნელოვანია ბიზნესის მრავალ სფეროში.

2. სოციალური განზომილება ასახავს დამოკიდებულებას მყიდველსა და იმ სოციალურ ჯგუფს შორის, რომელსაც უნდა, რომ განეკუთვნებოდეს ეს მყიდველი. დღეს ბრენდი თავის გარშემო ხშირად ქმნის კულტს და სოციალური გამორჩევის ნიშნად გვევლინება. სოციალურ განზომილებაში სავაჭრო ნიშანი, ან ლოგო წარმოადგენს სიმბოლოს, რომელიც ქმნის ბრენდს, თითქმის ისევე, როგორც სახელმწიფო დროშა.

3. მენტალური განზომილება სოციალური განზომილების ღერძის მეორე ბოლოა. აქ მნიშვნელობას იძენს არა ის, თუ რას ფიქრობს მომხმარებელზე გარე სამყარო, არამედ ის, თუ რას ფიქრობს მომხმარებელი საკუთარ თავზე. საუკეთესო ბრენდები ძლიერები არიან არა მარტო სოციალურ, არამედ მენტალურ განზომილებაშიც. ეს განზომილება კიდევ უფრო ღრმაა და ეხება პერსონალურ ტრანსფორმაციას, ანუ საკუთარი თავის ახლებურ აღქმას.

მენტალური და სოციალური განზომილებების თვალსაზრისით ძლიერი ბრენდის ერთ-ერთი მაგალითია „აუდი“, ასევე BMW, Volvo.

4. სულიერი/იდეალისტური განზომილება სისტემის ყველაზე დიდი ნაწილია. ვინც იცის ამ განზომილების შინაარსი, მან ზუსტად იცის, რა კავშირი აქვს ბრენდს, პროდუქტს, ან კომპანიას ამ დიდ სისტემასთან. ამ განზომილებაში წარმატების მიღწევა ყველაზე რთული ამოცანაა. ამ გზაზე დამდგარ ბრენდს უკან დასახევი გზა აღარ რჩება. ამიტომ, თუ ბრენდი აკეთებს განცხადებას თავისი მაღალი იდეალების შესახებ, იგი აუცილებლად მზად უნდა იყოს დარტყმისთვის გარე სამყაროს მხრიდან. ეს ამ განზომილების კანონია.

ბრენდი ცოცხალი არსებაა. ვინ არის პასუხისმგებელი მის მართვაში? დიდი კომპანიები ბრენდის მართვას მარკეტინგის განყოფილებას ანდობენ, მაგრამ ყველაზე წარმატებულ კომპანიებში, სადაც ბრენდი ბიზნესის ღერძს წარმოადგენს, ბრენდს მართავს ხელმძღვანელობა – გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭო. BMW–ში ცალკე ფუნქციონირებს ბრენდინგის განყოფილება, რომელიც არა მარკეტინგის დირექტორს, არამედ უშუალოდ გენერალურ დირექტორს ექვემდებარება. არსებობს მაგალითები, როდესაც ბრენდის სტრატეგიული მართვის პროცესში კომპანია თავის ყოფილ მნიშვნელოვან ფიგურებსაც კი რთავს, რადგან კომპანიის სერიოზული ფიგურების როლი ბრენდზე და მის რეპუტაციაზე ზრუნვაში მდგომარეობს, მაშინაც კი, როდესაც ეს ფიგურა კომპანიაში აღარ მუშაობს. და კიდევ ერთი ნიუანსი – დღეს მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანი/კომპანიის თანამშრომელი, როგორც ბრენდი. ამის წყალობით უფრო იოლია საკუთარი ადგილის პოვნა და კომპანიისთვის სარგებლის მოტანა. გაზრდილი მოთხოვნების პირობებში თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვებზე: რა არის მისი ცხოვრებისეული მისია? რით გამოირჩევა? რა ნიჭით არის დაჯილდოებული? რა სარგებელი მოაქვს პირადად მას? პირადი ბრენდის ჩამოყალიბება ზუსტად იმავე პრინციპებით ხდება, როგორითაც კორპორატიული ბრენდის და ის ოთხგანზომილებიანია.

უძველესი ბრენდის ავტომწარმოებელი „აუდი“-ს წარმატების გასაღების გასარკვევად, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა საქართველოში ამ ბრენდის საქმიანობა, რისთვისაც შევარჩიეთ ჩვენთვის საინტერესო კითხვები და შევეცადეთ მათთვის პასუხების გაცემას:

1. კომპანიის ისტორია და პროდუქტი, რომელსაც ის აწარმოებს:

კომპანია „აუდი“ 1899 წელს ავგუსტ ჰორშის მიერ იქნა დაარსებული, გერმანიის ერთ-ერთი უძველესი ავტომწარმოებლის ლოგო, რომელიც 4 რგოლისგან შედგება, ასახავს 1932 წელს ოთხი, წარსულში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ავტომწარმოებლის გაერთიანებას.

100 წელზე მეტი ისტორიის მქონე საავტომობილო ბრენდი „აუდი“ დღეისათვის მაღალი კლასის ავტომობილების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია. მას ასევე გამოშვებული ჰყავს თავისი ფირმის მოტოციკლეტები და ველოსიპედები, თუმცა ის, ძირითადად, ავტომობილების მწარმოებელია და საერთაშორისო ბაზარზე ეს ბრენდი ძლიერი ავტომწარმოებლის სახელითაა ცნობილი.

მსოფლიოში ცნობილი ეს ბრენდი საქართველოს ბაზარზე 2005 წელს შემოვიდა და დღეს უკვე ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა ქვეყანაში ლუქს კლასის ავტომობილების წარმომადგენელ ბრენდებს შორის. [2]

2. კონკურენტული გარემოს აღწერა, ვინ არიან მთავარი კონკურენტები:

საქართველოს ბაზარზე აუდის კონკურენტებად „მერსედესი“, „ბე ემ ვე“ და „პორშე“ გამოდიან, რამეთუ სწორედ ეს მანქანები ითვლებიან luxury ბრენდებად.

3. ვინ არიან კომპანიის მთავარი მომხმარებლები. რა ნიშნის მიხედვით ახდენს კომპანია ბაზრის სეგმენტიზაციას;

მთავარი მომხმარებელი, ჩვენი შეფასებით, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, რადგან ყველაზე დაბალი ფასი, რამდენადაც შეგიძლია შეუკვეთო მანქანა, არის 17000 ევრო და მერყეობს 120 000 ევრომდე.

4. პროდუქტის ხარისხი, მრავალფეროვნება. ემსახურება თუ არა ის მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

აუდი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ბრენდად და, შესაბამისად, იგი აწარმოებს მაღალხარისხიან მანქანებს. იგი იწარმოება ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია. პროდუქტი მრავალფეროვანია და მაქსიმალურად ცდილობს მოერგოს მომხმარებლის მოთხოვნებს, ამისთვის მომხმარებლებს შეუძლიათ აირჩიონ მოდელი თავისი გემოვნებით: ძრავი, ფერი და ყველა დეტალი, რის შესაბამისადაც მანქანა აეწყობა გერმანიაში და 2–3 თვეში ჩამოვა საქართველოში.

ასევე „აუდს“ გააჩნია სპეციალური სპორტული ხაზი, რომელსაც S line ეწოდება.

5. ავტომობილების ფასი, ფასდაკლებები, შესაბამისობა პროდუქტის ხარისხთან:

თბილისში, აუდის ცენტრში იყიდება მხოლოდ ახალი მანქანები და არა მეორადები. ფასი მერყეობს, დაახლოებით, 17000 ევროდან 120 000 ევრომდე. ფასი ხარისხის შესაბამისია, რადგან აუდი იწარმოება და აწყობა ხდება გერმანიაში. "აუდიზე ფასდაკლების აქციები არ გვაქვს.

6. რეკლამირება, რა საშუალებებით ვრცელდება, როგორი სახისაა, ემსახურება თუ არა სამიზნე სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

ძირითადად მარკეტინგით: სოციალური ქსელებით, ჟურნალებით, პირადი შეთავაზებებით.

7. მიწოდება, პროდუქციის და მომსახურების ხელმისაწვდომობა სამიზნე სეგმენტისთვის, სად ვრცელდება, რომელი საშუალებებით იყიდება:

აუდის ყველა მოდელი ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. მსურველებს შეუძლიათ მივიდნენ აუდის ცენტრში თბილისში და შეიძინონ ან გამოიწერონ სასურველი მოდელი.

8. კომპანიის SWOT – ანალიზი:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მომხმარებლები - მომხმარებლის ნდობა ფირმის მიმართ;	ძვირია მისი ცალკეული ნაწილები და ძნელად იშოვება, ანუ „აუდის“ შენახვა ძვირი ჯდება.
საქონელი - მაღალი ხარისხი; გამძლეობა; სიმძლავრე; კომფორტი; უსაფრთხოება;	საქართველოს სხვა ქალაქში ფილიალი არ გააჩნია.
ბაზარზე წინსვლას განაპირობებს პროდუქციის მაღალი ხარისხი და ბაზარზე სიახლეების ინტენსიური დანერგვა.	ფასები - არა აქვს ფასდაკლებები (შეღავათები)
ფინანსები - ფინანსურად ძლიერია, რადგან შეუძლია მომხმარებლის უზრუნველყოფა.	
შესაძლებლობები	**საშიშროებები**
ეკონომიკური – შეუძლია გააფართოვოს ქსელი: საქართველოს სხვა ქალაქებში გახსნას მომსახურების ფილიალები. – გააკეთოს ინტერნეტ მომსახურება. – დააფინანსოს სხვადასხვა პროექტი. – გაუშვას რეკლამები. – შეუძლია მომხმარებლის სტიმულირება პროდუქტზე ფასის დაკლებით.	– კონკურენტების გაძლიერება (ბმვ მერსედესი და ა.შ.) – ეკონომიკური კრიზისი – პოლიტიკური ურთიერთობების გართულება. – არასტაბილური ბაზარი.

9. კომპანიის SMARTკონცეფცია:

1. კონკრეტული: კომპანიის მიზანია მთლიანი შემოსავალი გაზარდოს, თუკი შარშან მთლიანი შემოსავალი გაიზარდა 10%–დან 12%–მდე, ახლა მისი მიზანია, ეს შემოსავალი გაზარდოს 15%–მდე. (ამისათვის კომპანია აპირებს „აუდის“ ფირმის მოტოციკლეტებისა და ველოსიპედების ჩამოყვანას)
2. გაზომვადი: კომპანია მიიჩნევს, რომ ამით თავის სუფთა მოგებას გაზრდის 5%–დან 10%–მდე.
3. მიღწევადი:

კომპანიამ უნდა ჩამოიყვანოს „აუდის“ 200 მოტოციკლი და 300 ველოსიპედი.

4. რეალისტური:

ახალი პროდუქტის გასაყიდად კომპანიამ უნდა ააშენოს ახალი სათავსო, სადაც განათავსებს ჩამოტანილ პროდუქტს.

5. დროში გათვლილი:

კომპანიას ამ მიზნის განხორციელებისათვის სჭირდება 2 თვე (მოამზადოს ახალი პროდუქციისათვის ცალკე განყოფილება და განახორციელოს მისი იმპორტი).

6. დასკვნა - რა განაპირობებს კომპანიის წარმატებას?:

წარმატებას განაპირობებს ბრენდინგი - ბაზარზე სიახლეები, პროდუქტის დროული მიწოდება, კლიენტების მომსახურების მაღალი ხარისხი, „აუდი“, როგორც პრესტიჟული ბრენდი.

ჩვენი აზრით, კომპანია „აუდი“ გონივრულად აყალიბებს და თანმიმდევრულად მართავს ბრენდინგის ოთხივე განზომილებას, რაც ხელს უწყობს მოიპოვოს მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა.

ლიტერატურა:

1. აკოფიანი მ., ბრენდინგი - II, ჟურნალი ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. 2007, №6
2. http://www.audi.ge/
3. http://www.audiclub.ge/

TBC ბანკი, მისი განვითარება და მომსახურების სახეები

ნინო ნასყიდაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

TBC ბანკის ისტორია

თიბისი ბანკის ისტორია 1992 წელს დაიწყო, როდესაც ორმა ქართველმა ბიზნესმენმა, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, ბანკი დააფუძნა. მისი საწყისი კაპიტალი 500 აშშ დოლარს შეადგენდა – სწორედ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო ბანკის დაარსებისათვის საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

1993 წლის 20 იანვარს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა ლიცენზია, ხოლო 1993 წლის მაისში ბანკს კიდევ ერთი ლიცენზია მიენიჭა, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო ტრანზაქციების წარმოებას.

დამფუძნებლებმა ბანკი მათი საკუთარი კომპანიის – თბილისის ბიზნეს ცენტრის – მეშვეობით შექმნეს, რომელიც რამდენიმე საცალო სავაჭრო საწარმოს მოიცავდა. იმ დროისათვის საქართველოს საბანკო სექტორი მუშაობდა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე, როდესაც ნდობა ბანკების მიმართ უაღრესად დაბალი იყო, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და შემდგომ მომხდარ სამოქალაქო ომს. ეროვნული ბანკის რეგლამენტმა, რომელიც მხოლოდ 500 აშშ დოლარს მოითხოვდა ბანკის დასაფუძნებლად, ბევრს შეუქმნა ბანკის დაფუძნებისა და ამუშავების შესაძლებლობა. შედეგად, დაფუძნდა ოთხასზე მეტი ბანკი, რომელსაც არავითარი საბანკო ისტორია არ გააჩნდა და რომლის მიმართ ნდობის ფაქტორი დაბალი იყო. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლებმა, იმისათვის, რომ საკუთარი ბიზნესისათვის უსაფრთხოდ განეხორციელებინათ საერთაშორისო ტრანზაქციები და, ასევე, სხვებისთვისაც შეექმნათ ასეთი შესაძლებლობა, გადაწყვიტეს ბანკის დაფუძნება. ბანკის მფლობელებმა, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, გადაწყვიტეს, დაფუძნების პირველი დღიდანვე შეექმნათ ისეთი ბანკი, რომელიც ყველასგან გამორჩეული იქნებოდა, პირველ რიგში, პერსონალით, რომელიც შედგებოდა ნოვატორული და ერთგული ახალგაზრდა, 27 წლის საშუალო ასაკის მენეჯმენტისგან. ბანკის სამიზნე კლიენტთა ჯგუფს წარმოადგენდა საცალო ვაჭრობის კომპანიები და ახალგაზრდა ბიზნესმენები. ბანკის მფლობელების ერთგულება ასევე აისახა აქციონერებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებდა მომავალი 10 წლის განმავლობაში მიღებული მოგების რეინვესტირებას და კონცენტრაციას მხოლოდ ბანკის გაფართოებასა და განვითარებაზე. 1995 წელს ბანკს ჰყავდა 1 ფილიალი და 29 თანამშრომელი, ხოლო ჯამური აქტივები შეადგენდა 1.4 მლნ აშშ დოლარს. ვახტანგ ბუცხრიკიძე, რომელმაც ბანკში 1993 წელს დაიწყო მუშაობა, 1995 წელს დანიშნეს მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე, იგი დღემდე ამ პოზიციაზეა. 1998 წელს თიბისი ბანკმა ექსპორტ/იმპორტის საფინანსო ოპერაციების განხორციელება დაიწყო საქართველოში ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) პირველი საფინანსო დაწესებულება იყო, რომელმაც თიბისისთან გააფორმა ხელშეკრულება აკრედიტივების ხელშეწყობის პროექტის შესახებ. ამის შემდეგ, თიბისი ბანკმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციებზე სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და კომერციულ ბანკებთან და სავაჭრო სფეროს დასაფინანსებელი სესხები მოიზიდა შემდეგი კომპანიებისგან: BSTDB, ADB და IFC. 2002 წელს ბანკის მდგრადი განვითარება აისახა მის ეფექტურობაზე, როდესაც მან უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი და ქვეყნის უმსხვილესი ბანკი გახდა აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის მიხედვით.2004 წლის იანვარში, ბანკის შვილობილმა კომპანიამ, თიბისი ლიზინგმა დაიწყო მუშაობა.2005 წელს თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისი გაიხსნა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში, რომელიც ქალაქის არქიტექტურულ ძეგლთა სიაში შედიოდა. მას შემდეგ სათავო ოფისი უამრავ ბიზნეს, კულტურულ და მუსიკალურ ღონისძიებას მასპინძლობს.

TBC ბანკის მომსახურება

კორპორატიული საბანკო მომსახურება

თიბისი ბანკი მეორე ბანკია საქართველოში როგორც კორპორატიული სესხებისა და ანაბრების პორტფელი, ასევე კლიენტთა რაოდენობის მიხედვით. აღნიშნულ სეგმენტში ბანკი ემსახურება 1,471 კლიენტს, 4,646 კორპორატიული საანაბრე ანგარიშით და 725 გაცემული სესხით. ბანკი კორპორატიულ ბიზნეს სექტორს, რომლის კლიენტები დაჯგუფებულია 21 დარგობრივ სექტორში, ინდივიდუალურ საფინანსო გადაწყვეტებს სთავაზობს. თიბისის განსაკუთრებით მძლავრი კორპორატიული საბანკო წარმომადგენლობა აქვს მომსახურების, უძრავი ქონების, ნავთობისა და გაზის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ემსახურება რიგ დარგებს, მისი მთავარი მომხმარებლები არიან ენერგეტიკის, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებების, ნავთობისა და გაზის, კვების პროდუქტებისა და სასმელების და სამშენებლო დარგები. კორპორატიული საბანკო მომსახურება, თავის მომხმარებელს სთავაზობს დისტანციურ საბანკო მომსახურებებს, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგს, ბანკი-კლიენტს და სატელეფონო მომსახურების ცენტრებს.

ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურება მოიცავს სესხების გაცემას, ანგარიშებსა და ვადიან ანაბრებს, უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს, ვაჭრობის დაფინანსებას და ესქრო ანგარიშებს. საბროკერო და სალიზინგო მომსახურებებს, ბანკი მომხმარებელს სთავაზობს შვილობილი კომპანიების – თიბისი ბროკერისა და თიბისი ლიზინგის – მეშვეობით. ჯგუფს ისტორიულად გააჩნია მტკიცე კორპორატიული საბანკო ქსელი, საქართველოს ბევრ ლიდერ კორპორაციასთან დამყარებული ურთიერთობებისა და მისი მძლავრი სადეპოზიტო ბაზის საფუძვლად. ბანკი მომხმარებლებს კორპორატიულ საბანკო მომსახურებებსა და პროდუქტებს სთავაზობს თბილისში არსებული სათავო ოფისში და ფილიალებში და ასევე ინტერნეტ-ბანკისა და თბილისში არსებული სატელეფონო მომსახურების ცენტრების მეშვეობით. ამჟამად ბანკის კორპორატიული საბანკო ტრანზაქციების 63% ელექტრონული არხების მეშვეობით სრულდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, თიბისი ბანკი საქართველოში მეორე უმსვილესი ბანკია კორპორატიული (მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის) სესხებისა და ანაბრების მიხედვით, საბაზრო წილით 29% და 28% - 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი მის კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს სხვა პროდუქტებსა და მომსახურებებს, მათ შორის:

- უცხოური ვალუტის გაცვლის მომსახურებებსა და დერივატივებს;
- ელექტრონულ გადარიცხვებს;
- ბიზნეს საკრედიტო ბარათებს;
- სახელფასო მომსახურებებს;
- ვაჭრობის დაფინანსებას;
- ფულადი საშუალებების ინკასოსა და ტრანსპორტირებას;
- პირდაპირ დებეტს;
- ესქრო ანგარიშებს.

საცალო საბანკო მომსახურება

თიბისი ბანკი წამყვანი ბანკია საქართველოს საცალო საბანკო მომსახურების სექტორში. ინარჩუნებს რა ლიდერის პოზიციას საცალო ანაბრების ბაზარზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ბანკი ფლობს 35.2% საბაზრო წილს ამ სექტორში. ბანკი ფართოდაა წარმოდგენილი მთელს ქვეყანაში 105 ფილიალით (მათ შორის ბანკი კონსტანტას 47 ფილიალი), 274 ბანკომატით (მათ შორის ბანკი კონსტანტას 40 ბანკომატი) და 2,888 პოს-ტერმინალით.

ბანკი ემსახურება თითქმის 800,000 საცალო მომხმარებელს, მათ შორის VIP კლიენტებს, სტატუს კლიენტებს (პერსონალური ბანკინგი) და სხვა, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებს. საცალო კლიენტებს ბანკი სთავაზობს სხვადასხვა მრავალარხიან შესაძლებლობას, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგს, SMS ბანკინგს, TBC Pays (გადახდის ტერმინალებს) და სატელეფონო მომსახურების ცენტრს.

თიბისი ბანკმა შეიმუშავა დივერსიფიცირებული საცალო საბანკო პროდუქტების კომპლექტი, მათ შორის, ტრადიციული და ინოვაციური მომსახურებები, რომელთა მიზანია მისი კლიენტების საჭიროებების დაკმაყოფილება. ჯგუფი კლიენტებს პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს მისი საფილიალო ქსელისა და ელექტრონული არხების მეშვეობით. მენეჯმენტს სწამს, რომ მძლავრი ბრენდი და რეპუტაცია გააჩნია კლიენტებს შორის, მისი მომსახურების სტანდარტების, მისი ფილიალების დიზაინისა და მისი კვალიფიცირებული და მომზადებული პერსონალის წყალობით.

ბანკი საცალო კლიენტებს სთავაზობს ასევე სხვა პროდუქტებსა და მომსახურებებს, მათ შორის:

- VIP მომსახურებას;
- თიბისი სტატუსს;
- სადებეტო ბარათებს;
- საკრედიტო ბარათებს;
- თიბისი პრაიმ ბარათს;
- თიბისი ბარათს;
- განვადების ბარათს;
- პირდაპირ სადებეტო და მუდმივ დავალებებს;
- უცხოურ ვალუტას;
- ფულის გადარიცხვას.

მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურება

მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების სექტორში, თიბისი ბანკი გთავაზობთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს და პროდუქტების ფართო ასორტიმენტს საქართველოს რეგიონების უმრავლესობაში. ემსახურება რა თითქმის 33,000 კლიენტს და 56,000 ანგარიშს, ბანკი საკუთარ გამოცდილებას სთავაზობს კლიენტებს სამომხმარებლო პროდუქტებსა და მომსახურებებში, უძრავი ქონების, ჯანდაცვის სისტემის, მშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვან დარგებში. 2012 წელს, თიბისი ბანკის სასესხო პორტფელის ზრდამ მიაღწია 24.7%-ს, ხოლო დეპოზიტების პორტფელის ზრდამ – 42.8%-ს.

ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ეფექტური საფინანსო გადაწყვეტების შეთავაზება მცირე და საშუალო ბიზნესის კლიენტებისთვის მისი დივერსიფიცირებული პროდუქტების ასორტიმენტის მეშვეობით; ბანკი მუდმივად ამუშავებს ახალ პროდუქტებსა და მომსახურეობებს ამ კლასის კლიენტებისათვის. მენეჯმენტი თვლის, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბირთვია ზრდის პოტენციალის მაღალი დონით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არ აქვეყნებს საბაზრო მონაცემების შედარებებს მცირე და საშუალო ბიზნეს სეგმენტისათვის, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ჯგუფი ერთ-ერთი ლიდერია აღნიშნულ სეგმენტში, როგორც მისი სესხისა და ანაბრების პორტფელის, ისე მისი კლიენტების რიცხვის თვალსაზრისით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავს დაახლოებით 33,000 მცირე და საშუალო ბიზნეს-კლიენტი, აქვს 56,000 მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტის ანგარიში და 2,400 სესხი მცირე და საშუალო ბიზნეს-კლიენტებისათვის.

ჯგუფის მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურების საქმიანობა მძლავრადაა წარმოდგენილი სხვადასხვა დარგში, მათ შორის მომსახურების, უძრავი ქონების, მშენებლობის, სასურსათო და სამომხმარებლო პროდუქტებისა და საავტომობილო ვაჭრობის დარგებში.

მცირე და საშუალო ბიზნეს-სეგმენტის კლიენტებს ჯგუფი, ასევე, სთავაზობს უამრავ სხვა პროდუქტსა და მომსახურებას, მათ შორის:

- უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს;
- ელექტრონულ გადარიცხვებს;
- ბიზნეს ბარათებს;
- სახელფასო მომსახურებებს;
- ვაჭრობის დაფინანსებას;
- ფულადი საშუალებების ინკასოს;
- ფულის გადარიცხვებს;
- პირდაპირ დებეტს.

მიკრო საფინანსო საბანკო მომსახურება

2011 წლის მაისში ბანკი კონსტანტას შეძენის შემდეგ, თიბისიმ შეაღწია მაღალი სპრედებისა და რენტაბელობის პოტენციალის მქონე ამ სექტორშიც.

თიბისის ხელშეწყობით ბანკი კონსტანტას 47 ფილიალის ქსელმა ქვეყნის ფარგლებში და კლიენტთა სტაბილურად მზარდმა ბაზამ დაახლოებით 219,000 ანგარიშით, მისი სესხის პორტფოლიოს 71.8% ზრდა განაპირობა 2012 წელს.

კონსტანტას ფილიალები გაფანტულია საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში, რომლებშიც სხვა ბანკები ფართოდ არ არის წარმოდგენილი. თიბისის მიკრო-საფინანსო სეგმენტი ამჟამად შეადგენს სასესხო პორტფელის 5.8%-ს და ანაბრების (კლიენტთა ანგარიშების) 0.1%-ს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მიკრო-საფინანსო ბაზარს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი გააჩნია და, შესაბამისად, მიკრო-დაფინანსება, თავის დროზე, ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად იქცევა.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა დაახლოებით 219,000 ანგარიშით და მიკრო-საფინანსო კლიენტებისათვის გაცემული 57,000 სესხით, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კონსტანტა არის საქართველოში მეოთხე უმსხვილესი მიკრო-საფინანსო ბანკი, 10.1% საბაზრო წილით მიკრო-საფინანსო სესხების სეგმენტში, ჯგუფის შიდა მონაცემების თანახმად.

ბანკი კონსტანტა კომერციულ საქმიანობას საკუთარი სახელით განაგრძობს, თუმცა ჯგუფი გეგმავს 2013 წლიდან განახორციელოს ბანკი კონსტანტას პროდუქტებისა და მომსახურებების ინტეგრირება საკუთართან და ასევე საქმიანობებს შორის პოტენციური დანაზოგებისა და სხვა ერთობლივი ძალისხმევის შედეგების შეფასება.

მიკრო-საფინანსო კლიენტებს ჯგუფი, ასევე, სთავაზობს რიგ სხვა პროდუქტებსა და მომსახურებებს, მათ შორის:

- მცირე სესხებს;
- ბიზნეს სესხებს;
- სოფლის მეურნეობის სესხებს;
- სეზონურ სესხებს;
- უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს;
- ფულის გადარიცხვებს;
- პირდაპირ დებეტს;
- ფულადი საშუალებების ადგილზე მიტანის მომსახურებებს.
-

TBC ბანკის კორპორატიული მართვა

თიბისი ბანკის კორპორატიული მართვის ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო. თითოეული ორგანოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები სრულდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (თითოეული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის აქციონერი ასახელებს თავის კანდიდატს), რომელიც შემდეგ აკონტროლებს და ნიშნავს დირექტორთა საბჭოს – ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოს - წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭო

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

სახელი, გვარი	**თანამდებობა**	**დანიშვნის წელი**
მამუკა ხაზარაძე	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	1992
ბადრი ჯაფარიძე	სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე	1996
დავით ხაზარაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	1998
ერიკ ჯეი რაჯენდრა	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (IFC-ის მიერ ნომინირებული)	2010
ირინა შმიდტი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (DEG-ის მიერ ნომინირებული)	2012
მაიკ ჰესკეთი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (EBRD -ის მიერ ნომინირებული)	2009
ემილი გრუტი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (FMO-ს მიერ ნომინირებული)	2009

დირექტორთა საბჭო

თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრები:

სახელი, გვარი	თანამდებობა	დანიშვნის წელი
ვახტანგ ბუცხრიკიძე	დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი აღმასრულებელი დირექტორი	1995
პაატა ღაძაძე	აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე	1996
გიორგი შაგიძე	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, მთავარი ფინანსური დირექტორი	2010
ვანო ბალიაშვილი	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ოპერაციების დირექტორი	2002
თეა ლორთქიფანიძე	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის დირექტორი	2009
მარიამ მეღვინეთუხუცესი	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, კორპორატიული საბანკო მომსახურეობება	2009
ნინო მასურაშვილი	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, საცალო და მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურეობება	2006

TBC ბანკის აქციონერები

აქციონერთა სტრუქტურა

თიბისი ბანკის აქციონერთა რიგებში არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

ორი დამფუძნებელი აქციონერი	**27.6%**
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	**20.0%**
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	**20.0%**
გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG)	**11.4%**
JP Morgan	**5.4%**
Ashmore	**4.6%**
ჰოლანდიის განვითარების საფინანსო კომპანია (FMO)	**3.3%**
მენეჯმენტი და სხვები	**7.8%**

დინამიკა

(ათას ლარებში, გარდა აქციების შესახებ ინფორმაციისა)

წლის შედეგები	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000	1999
წმინდა შემოსავალი	211,564	235,359	127,367	78,192	56,946	42,385	25,783	26,872	20,353	13,004	8,971
წმინდა მოგება	2,979	-59 328	127,367	22,581	31,199	15,747	13,491	10,504	4,498	3,664	3,127
წმინდა შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი)	1,400	1,992	127,367	1,555.4	1,132.8	787.1	478.8	537.4	407.1	260.1	299.0

წლის ბოლოს	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000	1999
სააქციო კაპიტალი	326743	257,489	318,824	120,614	99,788	61,363	45,639	30,346	20,842	16,344	10,563
მთლიანი დეპოზიტები	991,172	844,822	780,563	552,168	380,270	284,873	192,080	133,524	70,098	53,487	30,809
წმინდა საკრედიტო პორთფელი	988,428	1,228,042	-	574,193	369,404	212,396	146,480	101,166	72,503	53,230	36,075
სრული აქტივები	1,738,020	1,932,326	1,707,393	959,735	596,511	391,972	261,574	188,068	118,820	87,682	66,109
Book value per common share (GEL)	2,162	2,180	2,699	2,399	1,985	1,140	848	607	417	327	352

Ratios (%)	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000	1999
ROE	1	-20.8	13.2	20.5	38.7	29.4	35.5	41.0	24.2	27.2	34.9
ROA	0.2	-3.3	2.2	2.9	6.3	4.8	6.0	6.8	4.4	4.8	6.2
ლევერაჟი	6.3	6.4	6.1	7.1	6.1	6.1	5.9	6.0	5.6	5.7	5.6
ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	37	18.9	25.8	20.6	21.0	41	23	22.3	22.2	25	26

ბაზრის წილი(%)	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000	1999
სრული აქტივები	20.8	22	25.6	22.5	22.6	23.1	19.7	16.8	13.5	11.8	11.0
სესხები	21.6	23.7	25.6	22.4	21.6	23.6	20.5	17.8	16.1	13.0	12.6
სრული ვალდებულებები	20.9	23.2	24.2	25.0	23.7	25.2	22.2	19.7	16.1	9.3	9.4
დეპოზიტები	24.9	23.6	24.2	26.2	28.9	33.4	26.5	23.0	16.4	16.3	14.8

ლიტერატურა:

1. www.tbcbank.ge
2. www.nbg.gov.ge
3. www.ka.wikipedia.org

ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები

მარიამ ოქროპირიძე, თეონა მაისურაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში დიდწილად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ტურიზმის გადაქცევას საერთაშორისო და ინტერნაციონალურ ინდუსტრიად ხელი შეუწყო ორმა ურთიერთგანმაპირობებელმა ფაქტორმა: ერთი მხრივ, ტურისტული საწარმოები დიდი სარგებლისა და შემოსავლიანობის გასაზრდელად სისტემატურად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მთელ მსოფლიოში და, მეორე მხრივ, რენტაბელობის ასამაღლებლად ახდენენ ტურისტული ბიზნესის ინვესტირებას საერთაშორისო დონეზე. ვინაიდან ტურიზმი წარმოადგენს საქმიანობის მეტად რთულ სფეროს, რომელიც მოიცავს საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს, ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ როგორც მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

ტურიზმში მოთხოვნის ფაქტორებია:

საერთაშორისო და შიდა ტურისტული ბაზრები და ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იყენებს ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, ობიექტებს და მომსახურებას.

მიწოდების ფაქტორები კი მოიცავს:

1. ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, კერძოდ, ბუნებრივ, კულტურულ და ისეთ სპეციალურ ობიექტებს, როგორიცაა თემატური პარკები, ზოოპარკები, ბოტანიკური ბაღები და სხვა, აგრეთვე საქმიანობის იმ სახეებს, რომელიც დაკავშირებულია ამ ღირსშესანიშნაობებთან;
2. ტურიზმის ძირითად საშუალებებს, რომელსაც მიეკუთვნებიან სასტუმროები, კემპინგები, სტუმრის სახლები და განთავსების სხვა საშუალებები, სადაც ტურისტები ღამეს ათენებენ;
3. ტურებისა და მოგზაურობების ორგანიზაციას, რესტორნებს, მაღაზიებს, საბანკო მომსახურებას, ვალუტის გაცვლას, აგრეთვე სამედიცინო პუნქტებს.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული მიწოდების ფაქტორებით სარგებლობისათვის საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ტრანსპორტს, ენერგიას, ტელეკომუნიკაციებს, ნარჩენების მოცილებას და სხვა. შესაფერისი ინფრასტრუქტურა სჭირდება ბუნების დაცვასაც, რომელიც ხელს უწყობს გარემო ბუნების მდგრად შენარჩუნებას, რაც ასე აუცილებელია ტურიზმის ბიზნესის გასავითარებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის ძირითადი ფუნქციაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი, მაგრამ ამავე დროს, იგი ასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფუნქციებსაც.

ტურიზმის ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება რამდენიმე ფორმით:

1. სწორი ორგანიზაციის პირობებში მას მოაქვს სწრაფი მოგება (მათ შორის, უცხოური ვალუტაც), მაშინ, როცა სხვა დარგებში მოგების მიღებას სჭირდება რამდენიმე ან ათეული წელი;
2. ტურიზმის მეშვეობით ხორციელდება ე.წ. „უხილავი ექსპორტი“, როცა ქვეყანაში ჩამოსული ტურისტი ტურისტულ მომსახურებას იძენს უცხოურ ვალუტაზე და ქვეყანაში შემოაქვს სავალუტო შემოსავლები;
3. ტურისტული კომპლექსების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის მომსახურე დარგების განვითარების დონეზე. კერძოდ, საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობაზე, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, ტრანსპორტზე, სამშენებლო ინდუსტრიაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, კულტურულ მომსახურებაზე და სხვა.

ტურიზმის სოციალური ფუნქცია ვლინდება იმაში, რომ:

- იგი ასტიმულირებს კულტურათაშორის გაცვლით ურთიერთობებს;
- საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას;

- განათლებას საკუთარი ქვეყნის შიგნით;
- რეკრეაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციები კი ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის, ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან.

ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობებს:

- განვითარების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეული, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ თავიანთ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ნაკრძალებსა და ბუნებრივ პირობებზე;
- ხელს უწყობს სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის, კვების მრეწველობის განვითარებას, ახდენს შრომის ბაზრის დივერსიფიკაციას, ქმნის ტურისტულ მარშრუტებს და სამუშაო ადგილებს ისეთი პროფესიის ადამიანებისათვის, როგორებიც არიან: გიდები, თარჯიმნები, მზარეულები, მძღოლები, სასტუმროს მენეჯერები და მომსახურე პერსონალი და მომსახურების სფეროს სხვა წარმომადგენლები;
- ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკა მოიცავს ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც მოიცავს გზებს, ჯანდაცვის დაწესებულებებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რაც ასევე ამცირებს უმუშევრობას და ზრდის შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ორიენტირება ტურიზმის განვითარებაზე მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებას, ადგილობრივი ფოლკლორის, ტრადიციების, ხელოვნებისა და სამზარეულოს დაცვასა და შენარჩუნებას;
- ტურისტთა ნაკადის ზრდა საშუალებას აძლევს მოსახლეობას, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ნაწარმის ექსპორტზე გატანას, ადგილზე მოახდინოს მისი პროდუქტის რეალიზაცია;
- ქვეყანაში ტურისტთა რაოდენობის ზრდა ახდენს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის, რაც ხელს უწყობს ერების დაახლოებას და მათ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას.

ტურიზმის განვითარებას უამრავ უპირატესობასთან ერთად თან ახლავს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, ისეთები, როგორებიცაა: დაავადებების გავრცელება და ტერორიზმის საფრთხე. ასევე, შესაძლოა, უცხოელი ინვესტორი დაინტერესებული იყოს მხოლოდ მოგების მიღებით მოკლევადიან პერიოდში და არ ითვალისწინებდეს ქვეყნის გრძელვადიანი, მყარი განვითარების ინტერესს. ასეთი მიდგომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მონიტორინგის დაწესება ტურიზმის, განსაკუთრებით კი ეკოტურიზმის, სფეროში განხორციელებულ ინვესტიციებზე. ტურიზმის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს დაძაბული და არასტაბილური მდგომარეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის მეზობელ ქვეყნებში. მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ტურიზმის განვითარებისთვის არის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ემსახურება საზოგადოებაში ცოდნის ამაღლებას იმის შესახებ, თუ რა სტანდარტები და მოთხოვნებია თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიაში, როგორია ტენდენციები და მომავლის პერსპექტივები, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ტურისტების მომსახურება. ადამიანებმა, რომლებიც ფლობენ საოჯახო თუ დიდ სასტუმროებს და განკარგავენ სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებს, უნდა იცოდნენ კულტურული განსხვავებულობის ასპექტები, რათა გაუმჯობესონ ტურისტების მომსახურება და ზუსტად განსაზღვრონ ის მიმართულებები, რაც უფრო ეფექტიანს გახდის მათ ბიზნესს. ამ მიზნით შესაძლებელია კონსულტანტების მოწვევა განვითარებული ტურიზმის მქონე ქვეყნებიდან.

ბუნებრივი რესურსებისა და გარე სამყაროს დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის გასავითარებლად. მაგალითად, სასტუმროები, კემპინგები, კურორტები, რომლებიც განლაგებულია ეკოლოგიურად „ხელუხლებელ“, ეგზოტიკურ ბუნებაში უფრო პოპულარულია და მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ტურისტები და დამსვენებლები უპირატესობას ანიჭებენ არა პასიურ, არამედ აქტიურ ბუნების წიაღში მოგზაურობასა და დასვენებას. თუ ერთ შემთხვევაში ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება როგორც ეკოლოგიურად სუფთა ბუნებაში მოგზაურობა, მეორე შემთხვევაში იგი უნდა განვიხილოთ, როგორც სუფთა გასაყიდი ტურისტული პროდუქტი. ორივე შემთხვევაში, ეკოლოგიური ტურიზმი მდგრადი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

თანამედროვე პირობებში ბევრი განვითარებადი და განვითარებული ქვეყანა გამოჰყოფს დიდ ტერიტორიებს ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებისათვის. მაგალითად, კოსტარიკამ თავისი ტერიტორიების 30% დაცულად გამოაცხადა და ტურიზმი ამ ქვეყნისათვის მოგების ძირითადი წყაროა.

აშშ-ში ყოველწლიური შემოსავალი ეკოტურიზმიდან 220 მლნ დოლარია, კენიაში ეროვნული პარკების გამოყენებიდან მიღებული შემოსავალი 450 მლნ. დოლარია, ხოლო ეკვადორში - 180 მლნ. ძალიან დიდი დაინტერესებაა ეკოტურიზმის მიმართ ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა სამხრეთ აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა, ტანზანია და სხვა. ეკოლოგიური ტურისტული საზოგადოების შტაბ-ბინა ვაშინგტონშია, რომელიც სამეცნიერო, ინფორმაციული და სტრატეგიული საქმიანობის განვითარების ცენტრია. იგი აწარმოებს და ამუშავებს ისეთ პროგრამებს, რომელიც მიმართულია რეგიონული სტრუქტურისაკენ. 1971 წლიდან იუნესკო ამუშავებს პროგრამას „ადამიანი და ბიოსფერო“, რომლის მიხედვით, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ძეგლებს ენიჭება „მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურის“ სტატუსი. იუნესკოს ფონდშია მოხვედრილი ჩვენი ისეთი უნიკალური ძეგლები, როგორიცაა: ქ. მცხეთა, უშგული, ბაგრატი და გელათი.

საერთოდ, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ველური ბუნების დამცავი ფონდი (WWF), რომელიც განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მიზნით ატარებს გამოკვლევებს. ამ ფონდს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის მოწყობაში. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიების მდგრადი განვითარება, რომელიც ასევე მიეკუთვნება ეკოტურიზმის სფეროს, ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზაციას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ტურისტული მომსახურების სფეროში, რაც, ბუნებრივია, ამაღლებს მოცემულ რეგიონსა თუ ქვეყანაში მცხოვრებთა ცხოვრების დონეს.

სამწუხაროდ, დღეისათვის კაცობრიობა ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემების წინაშე დგას, რისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია თანამედროვე ცხოვრების წესი (მოხმარებაზე ორიენტირებული პრინციპი). რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგად შეიძლება ბუნებამ ამოწუროს თვითაღდგენის უნარი, განსაკუთრებით ეს ეხება ტყის მასივებს, რომლის დეგრადირება უამრავ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს იწვევს.

ამჟამად პლანეტაზე 4 მლრდ. ჰა ტყეა, რომელსაც მიწის სავარგულების 80% უჭირავს. განვითარებად ქვეყნებში ტყე წარმოადგენს მცხოვრებთა უმეტესობის ერთადერთ სასიცოცხლო წყაროს. ასეთი ქვეყნებია: ბანგლადეში, შუა აფრიკის სავანები, ლათინური ამერიკის ქვეყნები, გვატემალა, ჰონდურასი, პარაგვაი. მათ რიცხვში ჩვენი ქვეყანაცაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობიდან სატყეო ფონდს უკავია 40%, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ექსპერტთა შეფასებით ყოველწლიურად ნადგურდება ტყის თითქმის 1%. ტყის განადგურების უპირველეს მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: ტყის უკანონო ჭრას, სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას, ურბანიზაციას და ინდუსტრიალიზაციას, საქალაქო მშენებლობას, ფორსმაჟორულ სიტუაციებს (მათ შორისაა ომისაგან მიყენებული ზარალი).

აღსანიშნავია, რომ ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო და შემოსავლების ზრდის წყაროა. 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში. 1995 წლიდან ისევ დაიწყო აღმავლობა ტურიზმმა, რომელიც 90-იან წლებში პარალიზებული იყო იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენების გამო. 1995 წლიდან 2007 წლის ჩათვლით საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა და ტურისტთა რიცხოვნობა გაიზარდა თითქმის 13-ჯერ და მიაღწია 1052,0 ათასს. სამწუხაროდ, ტურიზმის განვითარების სწრაფი ტემპები, 2008 წელს საკმაოდ შენელდა. ზარალი, რომელიც საქართველოს რუსეთის აგრესიამ მიაყენა, ცხადია, ძალიან დიდია. ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით გაუქმდა 225 ტურისტული ჯგუფი, ანუ საქართველოში მოგზაურობაზე უარი განაცხადა 4392 ტურისტმა, რაც ციფრებში იძლევა საშუალოდ 50 000 ათასი აშშ დოლარის ზარალს. 2010 წლიდან დღემდე კი ვიზიტორთა ზრდის ტემპები განუხრელად იზრდება.

წყარო: http://www.civil.ge/geo/article.php?id=27723

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში უცხოელი მოქალაქეების ვიზიტები 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 21.16%–ით გაიზარდა და 5 365 356 შეადგინა. ეს სტატისტიკა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ გასული წლის შემაჯამებელ მონაცემებს ეფუძნება. ამ მონაცემებში, საქართველოში შემოსული პირები, რომლებიც ქვეყანაში 24 საათზე მეტხანს რჩებიან, „ტურისტებად“ კლასიფიცირდებიან.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელი მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; ტურისტების წილიც იზრდებოდა, თუმცა მისი ზრდის ტემპი საერთო ვიზიტების რაოდენობას ჩამორჩებოდა, რამაც მისი წილის კლება გამოიწვია. 2010 წელს ტურისტების წილმა მთლიან ვიზიტებში 52.5% შეადგინა; 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 46.7% შეადგინა; 2012 წელს 40.4%–მდე, ხოლო 2013 წელს 38.8%–მდე შემცირდა. 2013 წელს დარეგისტრირებული 5. 36 მილიონი ვიზიტიდან, 2 მილიონზე ოდნავ მეტი „ტურისტული“ იყო, რაც 16.3%–იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით.

2013 წელს განხორციელებული ვიზიტების საერთო რაოდენობაში ყველაზე დიდი წილი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეებზე მოდის. ამ მხრივ წამყვანი პოზიცია უკავიათ თურქეთის მოქალაქეებს 1.59 მილიონი შემოსვლით (3.8%–იანი ზრდა წინა წელთან შედარებით); შემდეგ მოდიან სომხეთის მოქალაქეები 1.28 მილიონი შემოსვლით (39.4%–იანი ზრდა წინა წელთან შედარებით); აზერბაიჯანის მოქალაქეები – 1.07 მილიონი (15%–იანი ზრდა წინა წელთან შედარებით); რუსეთის მოქალაქეები – 765 458 (49%–იანი ზრდა წინა წელთან შედარებით). 2013 წელს უკრაინის მოქალაქეების საქართველოში ვიზიტების რაოდენობა 64.8%–ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 126 300 შეადგინა. საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა 21.9%–ით გაიზარდა 2012 წელთან შედარებით და 2013 წელს 206 999 შეადგინა.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ოპტიმისტურადაა განწყობილი. მათი თვალსაზრისით, ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გაუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ტურიზმის განვითარებისთვის.

ლიტერატურა:

1. www.fao.org United States Institute of Peace, Special Report, October 2009.
2. http://www.civil.ge/geo/article.php?id=27723

უნდა იყოს თუ არა ტურისტული ბიზნესი საქართველოს მთავრობისათვის 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტი

მარიამ რაზმაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** პროფესორი

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების მონაცემებით ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მაღალშემოსავლიან დარგს. ტურიზმის წილად მოდის მსოფლიოში შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 6%, მსოფლიო ინვესტიციების 7%, ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი, მსოფლიო სამომხმარებლო დანახარჯების 11%, და მთელი საგადასახადო შემოსავლების 5%. მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ფართო სპექტრიდან წინა პლანზე წამოიწია ეკო, აგრო და მომლოცველობითმა ტურიზმმა, რაც გამოწვეულია ტურიზმის ამ სახეობების შედარებითი სიმარტივითა და სიიაფით. ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლების აზრით ყველა ტურისტი საქართველოდან კმაყოფილი მიდის, ერთ ჩამოსვლაზე ისინი ყველაფრის დათვალიერებას ასწრებენ და აღარ ფიქრობენ განმეორებით ვიზიტზე, რაც ნამდვილად უარყოფითი მომენტია ქართული ტურისტული ბიზნესისათვის. ეს არის შვიდდღიანი ტურები საქართველოს სხვადასხვა მხარეში: კახეთში, იმერეთში, ბაკურიანში, ვარძიაში, უფლისციხეში და ა.შ. ნამდვილად არის გამოსავალი, კერძოდ ის, რომ საქართველოში ადრეულ წლებში განვითარებული იყო საკურორტო ტურიზმი, ანუ სამკურნალო ტურიზმი. ფუნქციონირებდა უამრავი სანატორიუმი, რომელთაგანაც დღეს თითქმის აღარაფერი შემორჩა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით განვითარების პერსპექტივა ნაკლებია, რადგან მათი აღდგენა კოლოსალურ ინვესტიციებს მოითხოვს. ვერ დავეთანხმებით მათ მოსაზრებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევებში გვეყოლება მხოლოდ ერთკვირიანი ტურისტული ჯგუფები, რომლებსაც საქართველოში მეორედ ჩამოსვლა აღარ დაინტერესებთ.

საქართველოში 48 მიმღები და 14 გამყვანი ტუროპერატორია დაფიქსირებული. არცერთი მათგანი ლიცენზირებული და სერტიფიცირებული არ არის, რადგან 1997 წელს მიღებული ძირითადი კანონი „საქართველოში ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ ამას არ ითვალისწინებს. 13 წლის განმავლობაში დარგი როგორღაც ვითარდება და კანონში არანაირი ცვლილება არ შესულა. საქართველოში იურიდიულად ვერ რეგულირდება ტურისტული ბიზნესისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საგზურების გაყიდვა, ტურისტული ფირმისა და კლიენტის ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ.

მიუხედავად უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებისა და დიდი კულტურული მემკვიდრეობისა, საქართველოში ტურიზმის განვითარება სერიოზულ პრობლემებს აწყდება. ჩვენი აზრით, უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანას არ გააჩნია ტურიზმის განვითარების სტრატეგია, საქართველოში არ არსებობს ტურიზმის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, უზრუნველყოფილი სამართლებრივი ბაზით. ავიღოთ ისეთი ტურისტული ქვეყნის კანონმდებლობა, როგორიც ესპანეთია. ამ ქვეყანაში ტურისტულ ბიზნესს სამტომეულში მოქცეული 2 000-ზე მეტი კანონი და კანონქვემდებარე აქტი არეგულირებს. ასევე იტალიამ, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფით, ღვინის მწარმოებელ ყველა რეგიონში ღვინის ტურიზმიც ააღორძინა, რითაც, ერთი მხრივ, იტალიაში ღვინის კულტურის ხაზგასმას და, მეორე მხრივ, უფრო მეტი შემოსავლის მიღებას ცდილობს. ასევეა თურქეთსა და სხვა ქვეყნებში.

მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, ტურისტული ქვეყნების შემოსავლების 2/3 შიდა ტურიზმზე მოდის, 1/3 კი საერთაშორისო ტურიზმზე. ტურისტთა აღრიცხვიანობის თვალსაზრისით საქართველოში სერიოზული პრობლემები და უზუსტობებია. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის გავიგოთ, თუ რამდენმა ადამიანმა გადმოლახა საქართველოს საზღვარი, მაგრამ არავინ ითვლის, რამდენმა გაათია ღამე სასტუმროში, რა თანხა დახარჯა რესტორნებსა თუ სხვა გასართობ ადგილებში, განსაკუთრებით აღურიცხავია ქვეყნის შიგნით ტურისტული მოძრაობა. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ 24 საათზე მეტი დროით მოქალაქეთა გადაადგილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში დასვენებას, საქმიანი თუ სხვა მიზნებით, საქართველოში მასიური ხასიათი აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები არ ექვემდებარებიან რაიმე სახის რეგისტრაციას, ძნელდება მათი გამოვლენა და მათგან შემოსავლების მიღების აღრიცხვა. ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება ახალი შუალედური რგოლის ჩამოყალიბება ტურისტულ ობიექტებზე - ტურისტული

ცენტრების სახით, სადაც დაინერგება საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული აღრიცხვის სრულყოფილი ფორმები. ჩვენ ვიცით 2013 წელს რამდენი ტურისტი სტუმრობდა აჭარის რეგიონს, მაგრამ არ ვიცით რამდენი შიდა ტურისტი სტუმრობდა 2013 წელს სურამს, ქვიშხეთს, ბორჯომს, ცემს, ბაკურიანს, წაღვერს, ტანას ხეობას, ბოშურს, ბობნევს და ა.შ. ან ვიცით არაზუსტი მონაცემებით, რადგან ამისი აღრიცხვის ერთიანი სისტემა არ არსებობს. არადა ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით საქართველოში შემოსული თითოეული ტურისტი საშუალოდ ხარჯავს 1 500$-დან 1 900$-მდე, ასევე შიდა ტურისტი ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში ხარჯავს 500-დან 1000-ლარამდე. საქართველო საერთაშორისო ტურისტული და სავაჭრო ორგანიზაციების წევრი ქვეყანაა, ამიტომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს მათ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ტურიზმის აღრიცხვა. აქ იგულისხმება როგორც საერთაშორისო ტურიზმის აღრიცხვის, ასევე შიდა ტურიზმის აღრიცხვის პრობლემები.

შიდა ქართლი ტურისტული აქტიურობით არ გამოირჩევა, თუმცა არც ისტორიული წარსულით ჩამორჩება საქართველოს სხვა კუთხეებს და არც ბუნების სილამაზით. მდინარე ტანას ხეობა, გორიდან 3 კილომეტრში, უმნიშვნელოვანესი ტურისტული ობიექტია შიდა ქართლში. ტურისტები სტალინის სახლ-მუზეუმსაც ხშირად სტუმრობენ.

საქართველოს ახალი მთავრობა ყავს, რომელსაც ძველისაგან განსხვავებული ფინანსური და ეკონომიკური სტრატეგია აქვს. თუ თვალს გადავავლებთ ახალი ეკონომიკური გუნდის მიერ 2014 წლის ძირითად პრიორიტეტებს, დავინახავთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2014 წელს გეგმავს, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტორებისთვის სახელმწიფოსგან მათ საქმიანობაში ჩაურევლობის მყარი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, საინვესტიციო კანონმდებლობის რეფორმის განხორციელებას; პარტნიორ ქვეყნებთან ინვესტიციების დაცვის სფეროში ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებას; კომერციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, დამოუკიდებელი კერძო კომერციული არბიტრაჟების ამოქმედებას; ბიზნესისთვის დამატებითი ტვირთის მოხსნის მიზნით, რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის განვითარებას; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სრულ ინვენტარიზაციას, რეგისტრაციას და დღემდე გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას მისი კერძო საკუთრებაში გადასვლის გზით; მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში, კერძო ინვესტიციების ზრდის სტიმულირებისა და საჯარო სექტორის მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში შეთავაზებული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, დაინერგება საჯარო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვა ფორმა. იგეგმება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც 2014-2016 წლებში 140 მილიონი ლარის ოდენობის თანხა დაიხარჯება მცირე და საშუალო, ასევე დამწყები ბიზნესების ხელშეწყობისთვის.

ეკონომიკის სამინისტროს მომავალი წლის გეგმებში შედის დასრულდეს მუშაობა კონკურენციის კანონპროექტზე, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დაცვის ლეგალური ბაზა. ასევე იგეგმება საპენსიო რეფორმის განხორციელება, რაც გულისხმობს დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლას. შეიქმნება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. სააგენტოს ძირითადი მიზნები იქნება, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, მათ შორის სტრატეგია „ინოვაციური საქართველოს 2020“-ის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული მექანიზმების ფორმირება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ გააჩნია ტრანსპორტის სფეროს განვითარების სტრატეგია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დარგის შემდგომ განვითარებას. 2014 წელს, აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გეგმავს სტრატეგიის შემუშავებაზე მუშაობის დაწყებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის სატრანსპორტოს სისტემის სწორად განვითარების და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისთვის.

იგეგმება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობაში გადაცემის დაშვება _ ცვლილება მიზნად ისახავს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილების გაფართოებას. ამჟამად სახელმწიფო თავის საკუთრებაში შეზღუდულია. მას არ აქვს უფლება, დაინტერესებულ პირს სარგებლობაში გადასცეს პრივატიზებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კანონმდებლობით ასეთი შეზღუდვა არ მოქმედებს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიმართ. აღნიშნული ცვლილების ძალით ეს აკრძალვა გაუქმდება და ა.შ., მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ, მაშინ, როდესაც ბოლო წლებში საერთაშორისო მოგზაურების ზრდის მაღალი ტენდენცია ფიქსირდება. ამჟამინდელი მონაცემებით, საქართველოს 5 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 23%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2013 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ტურიზმის წილი მთლიან შიდა

პროდუქტში 7.3%-ს შეადგენს, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 730 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. ტურიზმის სექტორში 180 000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. გუდაურში აშენდა ახალი სასტუმროები. მლეთაში, ქვეშეთსა და ყაზბეგში გუდაურის მთის მომსახურე პერსონალმა ინგლისური ენის კურსი გაიარა. გარდა ამისა, განხორციელდა სასრიალო ტრასების მარკირება და ტრასები დაიყო რამდენიმე კატეგორიად.

ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზით, 2014 წელს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ტურისტების რაოდენობა საშუალოდ 18%-ით გაიზრდება, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა კი 21%-ით. ტურიზმიდან შემოსავლები გაუტოლდება დაახლოებით 2,1 მილიარდ აშშ დოლარს.

დასკვნის სახით, ვფიქრობ, რომ ტურისტული ბიზნესი უნდა იყოს საქართველოს მთავრობისათვის 2014 წლის ძირითადი პრიორიტეტი. ექსპერტების აზრით ქვეყანას ტურიზმის განვითარებისათვის სამი რამ სჭირდება: ის რაც ღმერთმა უბოძა, ის რაც წინაპრებმა დაუტოვეს და ის რასაც თვითონ გააკეთებს. საქართველო გამოირჩევა თვითმყოფადი ბუნებითა და ბუნებრივი ზონების მრავალფეროვნებით, ისტორიული ძეგლების სიმრავლით, სამკურნალო მცენარეთა სიუხვით, თერმული წყლებით, ტრადიციული სტუმართმოყვარეობით და კიდევ ბევრი სიკეთე გვაქვს ტურისტების დაინტერესების თვალსაზრისით, საჭიროა, მხოლოდ, გონივრულად გამოვიყენოთ ეს სიმდიდრე და ვაქციოთ იგი დამატებითი შემოსავლების წყაროდ.

ლიტერატურა:
1. ყორღანაშვილი ლ., ტურიზმის ბიზნესი, თბ., 2010.
2. მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი, თბ., 2011.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://bizideebi.blogspot.com/2010/10/blog-post_12.html
2. *www.* edu-guide.ge
3. www.nplg.gov.ge
4. www.lari.ge

ნაღდი ფულის მოძრაობის დაჩქარების და შენელების მექანიზმები ფინანსურ მენეჯმენტში

მაკა საათაშვილი, თამარ ნადირაძე, მარიამ დემურავი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თინა ჯოლბორდი,** მოწვეული დოქტორი

ფინანსური მენეჯმენტი ერთ-ერთი საინტერესო მეცნიერებაა ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში. მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნაღდი ფულის მართვის საკითხები. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსურ მენეჯმენტში აქცენტი გაკეთებულია ძირითადად ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში კი ერთ-ერთ ძირითადი მიმართულება ნაღდი ფულის მოძრაობის დაჩქარების და შენელების მეთოდიკის გამოყენებაა, არცერთი ბიზნესი არ იქნება წარმატებული, თუ საწარმოს გაუჩნდა ნაღდი ფულის დეფიციტი. ნაღდი ფულადი რესურსებით საწარმოს უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ფულის მოძრაობის შენელებით ან დაჩქარებით, კერძოდ, საწარმოს სტრატეგია მიმართულია დებიტორული დავალიანების ამოღების დაჩქარებაზე და კრედიტორული დავალიანების შენელებაზე, ამისთვის კი არსებობს სათანადო მექანიზმები.

საწარმოს ნაღდი ფულის მენეჯმენტის სისტემაზე პასუხისმგებელია საწარმოს ფინანსური განყოფილება. ნაღდი ფულის ბიუჯეტი მიგვითითებს რა რაოდენობის ნაღდ ფულს შეიძლება ვფლობდეთ, როდის და რა ვადით. ნაღდი ფულის ბიუჯეტის გარდა, საწარმოს სჭირდება სისტემური ინფორმაცია ნაღდ ფულზე. მსხვილი საწარმოსთვის ინფორმაცია, ჩვეულებრივ, დაფუძნებულია

კომპიუტერულ მონაცემებზე, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია ძირითად მოსალოდნელ ნაღდი ფულის შემოსავლებზე და ნაღდი ფულით გადახდებზე.

ინფორმაცია ნაღდი ფულის მოძრაობისა ასახულია ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში, რომელიც ივსება ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშების საფუძველზე. ანგარიშგების ეს ფორმა მოიცავს 3 ნაწილს:

1. ნაღდი ფულის შემოსავალი და გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან;
2. ნაღდი ფულის შემოსავალი და გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან;
3. ნაღდი ფულის შემოსავალი და გასავალი ფინანსური საქმიანობიდან.

საწარმო სარგებელს ნახავს ნაღდი ფულის ამოღების „დაჩქარებით'' და ნაღდი ფულით გადახდების „შენელებით''. საწარმოს სურს დააჩქაროს დებიტორული დავალიანების ამოღება იმისთვის, რომ მალე შეძლოს ფულის გამოყენება და, პირიქით, მას სურს გადაიხადოს კრედიტორული დავალიანება რაც შეიძლება გვიან, რათა გაზარდოს მაქსიმალური სარგებელი იმ ნაღდი ფულიდან, რომელიც მოცემულ მომენტში კომპანიას გააჩნია. დღეს საწარმოები იყენებენ გამოცდილ ტექნოლოგიებს ფულის ამოღების პროცესის დაჩქარებისათვის და მკაცრ კონტროლს აწესებენ გადახდაზე.

1. ანგარიშ-ფაქტურების (ინვოისის) მომზადების და გადაგზავნის დაჩქარება;
2. მომხმარებლებისაგან კომპანიისთვის გადახდის ჩეკების გაგზავნის დაჩქარება;
3. დროის შემცირება, რომლის განმავლობაშიც კომპანიის მიერ მიღებული დებიტორული დავალიანებები რჩება უკონტროლო ფონდებად. მეორე და მესამე მუხლი ერთობლივად წარმოადგენს საკასო ფლოუტს, მთლიანი დრო მომხმარებლების მიერ ჩეკის გაგზავნასა და კომპანიის მიერ ნაღდი ფულის მიღების შესაძლებლობას შორის. მეორე ნაწილს, თავისთავად, ეწოდება საფოსტო ფლოუტი ანუ დრო, როდესაც ჩეკი არის გზაში. მესამე მუხლი არის დეპოზიტის ფლოუტი ანუ დრო, რომლის განმავლობაშიც ხდება საწარმოში ჩეკების შიდა დამუშავება. ეს ინტერვალი იწყება ჩეკის მიღებისას იმ მომენტამდე, სანამ იგი განთავსდება ბანკში კომპანიის ანგარიშზე კრედიტისათვის.

შესაძლოა ანგარიშის წინასწარი წარდგენა, რაც გულისხმობს ფულადი თანხების გადარიცხვას განსაზღვრულ დროს. გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან მიმღების საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების წინასწარი აღიარების საფუძველზე.

აშშ-ში ნაღდი ფულის მიმღების დაჩქარების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ლოქბოქსები. საწარმო ქირაობს ადგილობრივი საფოსტო ოფისის ყუთს და უფლებას აძლევ მის ბანკს შეაგროვოს ფული სეიფში. მომხმარებლებს გამოეწერებათ ანგარიში ინსტრუქციებით, რომ გადარიცხონ მეტი ფული ამ სფეროში. ბანკი ფოსტას ამოწმებს დღეში რამდენჯერმე და ჩეკებს ათავსებს პირდაპირ კომპანიის ანგარიშზე. კომპანია იღებს შესაბამის დასტურს ჩეკის მიღებაზე, ასევე გაგზავნილი გადახდის მიღებაზე. ხშირად ფულადი გადარიცხვების საბუთები სკანირდება და ინახება ელექტრონული ფაილების სახით, რომლებიც გადაეცემა კომპანიას ან მიეწოდება კომპაქ-დისკით. ამ სისტემის უპირატესობა არის ის, რომ ჩეკები დეპონირდება ბუღალტრულ დამუშავებამდე.

ბევრ კომპანიას აქვს ფულის მიღების მრავალი ადგილი ლოქბოქსის ქსელის ფორმით. ლოქბოქსების განთავსება, ძირითადად, ხდება რეგიონალურ დონეზე.

ლოქბოქსების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ჩეკი განთავსდება ბანკში უფრო სწრაფად და დაუყოვნებლივ დაერიცხება კომპანიებს ანგარიშზე.

ნაღდი ფულის თავმოყრის პროცესს აქვს რამდენიმე ეფექტი:

1. იგი აუმჯობესებს კონტროლს კორპორაციული ნაღდი ფულის შემოდინებებსა და გადინებებზე;
2. იგი ამცირებს გამოუყენებელ ნარჩენებს, ანუ სადეპოზიტო ბალანსზე რეგიონალურ ბანკებში რჩება იმდენი ფულადი საშუალება, რამდენიც აუცილებელია ოპერაციული საჭიროებისათვის. ნებისმიერი ჭარბი ფონდები გადაინაცვლებს საკონცენტრაციო ბანკში.
3. იგი იძლევა უფრო მეტი ეფექტიანი ინვესტირების საშუალებას. გამოყენებული ნარჩენების კონცენტრაცია იძლევა უფრო მსხვილ საჭირო ფულად თანხებს, რამდენიმე მაღალმომგებიან, მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში ინვესტირებისთვის, რომლებიც მოითხოვენ მინიმალური შესყიდვის თანხას.

კონცენტრირების პროცესი დამოკიდებულია ბანკებს შორის ფონდების გადაადგილების სამ ძირითად მეთოდზე:

1. დეპოზიტური სატრანსფერო ჩეკი (DTC) – ფონდების გადაადგილება ხდება ადგილობრივი ბანკის მიერ შემუშავებული წინასწარ დაბეჭდილი სადეპოზოტო ჩეკის გამოყენებით საკონცენტრაციო ბანკში კომპანიის ერთ ანგარიშზე გადახდით.
2. ელექტრონული ტრანსფერი „ავტომატური კლირინგჰაუზი“ (ACH) – ეს არის დეპოზიტური სატრანსფერო ჩეკის ელექტრონული ჩეკის გრაფიკული ვერსია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ბანკებს შორის, რომლებიც არიან ავტომატური კლირინგჰაუზ-სისტემის წევრები.

3. ელექტრონული გადარიცხვა მარტივად არის სატელეფონო კომუნიკაციის მსგავსი, რომელიც საბუღალტრო მონაცემების მეშვეობით იღებს ფონდებს გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან და ათავსებს მათ მიმღების საბანკო ანგარიშზე.

იმ დროს, როდესაც ნაღდი ფულის მართვის მთავარი ამოცანაა მათი მიღების დაჩქარება, მეორე ამოცანაა ნაღდი ფულის გადახდის შენელება, რაც შეიძლება დიდი ხნით. ფულის სწრაფი ამოღების და შენელებული გადახდების შეერთება იწვევს ხელმისაწვდომი ფულადი საშუალებების ზრდას.

კომპანიები იყენებენ წმინდა ფლოუტს. ეს არის თანხობრივი განსხვავება კომპანიის საბანკო ბალანსს და მისი ნაღდი ფულის ბუღალტრულ ბალანსს შორის. წმინდა ფლოუტი არის შეყოვნებული გადახდის შედეგი, რომელიც განპირობებულია ჩეკის გამოწერის მომენტსა და ბანკის მიერ მისი ინკასაციის მომენტს შორის დროის სხვაობით.

ნაღდი ფულის კონტროლის ერთ-ერთი მკაცრი საშუალება არის ყველა კრედიტორული ვალდებულების ცენტრალიზაცია ერთ ანგარიშზე, ყოველ შემთხვევაში კომპანიის სათაო ოფისებში.

დრაფტით გადახდა არის გადავადების საშუალება. დრაფტით გადარიცხვის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ანელებენ გადახდის დროის დადგომას, როდესაც კომპანიას ფაქტიურად უნდა ჰქონდეს ნაღდი ფული დეპოზიტზე დრაფტის დაფარვისათვის.

ხელფასების და დივიდენდების გადახდა – ბევრ კომპანიას აქვს ცალკე ანგარიში გამომუმუშავებული ხელფასების გადახდისათვის. იმისთვის, რომ მინიმუმამდე დავიდეს ნარჩენები ამ ანგარიშზე, კომპანიამ პროგნოზირება უნდა გააკეთოს, როდის მოხდება გაცემული სახელფასო ჩეკების წარდგენა განაღდებისთვის.

ნულოვანი ბალანსის ანგარიშის სისტემა, რომელიც შემოთავაზებულია ბევრი მსხვილი ბანკის მიერ, თავიდან გვაცილებს ზუსტი პროგნოზირების საჭიროებას და თითოეული ინდივიდუალური გადახდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას.

ანგარიშსწორების ფლოუტი არის დრო კომპანიის მიერ ჩეკის ფოსტით გაგზავნიდან, კომპანიის საჩეკო ანგარიშიდან ფულის მოხსნის მომენტამდე. ანგარიშსწორების ფლოუტის მაქსიმალურად გაზრდით, კომპანიას შეუძლია შეამციროს ნაღდი ფულის სიდიდე, რომელსაც იგი ფლობს და გამოიყენოს ეს ფონდები უფრო მომგებიანი გზით.

მონაცემთა ელექტრონული გაცვლა და მისი ორი კომპონენტი, ფონდების ელექტრონული ტრანსფერი და ფინანსური არის ელექტრონული კომერციის ძირითადი ელემენტები.

ფონდების ელექტრონული გადარიცხვა თავისთავად წარმოადგენს მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მნიშვნელოვან ელემენტს. ფონდების ელექტრონული გადარიცხვა არის ის, რომ ამით ხდება ღირებულების გადაგზავნა, რომლითაც სადეპოზიტო დაწესებულებები აგზავნიან და იღებენ ელექტრონულ გადახდებს. საერთაშორისო ბაზარზე ფონდების ელექტრონულმა გადარიცხვამ შეიძლება მოიცვას ინსტრუქციების და ტრანსფერების ინფორმაციის გადაცემა ბანკთაშორისო ფინანსური ტელეკომუნიკაციის მსოფლიო საზოგადოება სვიფტი და ბანკთაშორისო ელექტრონული აღრიცხვების კლირინგის სისტემა -ჩიპს.

ფინანსური მონაცემთა ელექტრონული გაცვლა მოიცავს ელექტრონული ბიზნეს-ინფორმაციის გაცვლას კომპანიასა და მის ბანკს ან ბანკებს შორის.

ბევრი საწარმო აწესებს ნაღდი ფულის ბალანსის შენარჩუნების მიზნობრივ დონეს. მათ არ სურთ ჭარბი ნაღდი ფულის ბალანსის შენარჩუნება, რადგან შეიძლება სარგებლის გამომუშავება, როდესაც ფინანსების ინვესტირება ხდება მომგებიან ფასიან ქაღალდებზე, მით დიდია უმოქმედოდ შენარჩუნებული ნაღდი ფულის ბალანსების ალტერნატიული ღირებულება. ნაღდი ფულის ოპტიმალური დონე უნდა იყოს: ნაღდი ფულის მენეჯმენტის ეფექტიანობის დროს მოთხოვნილ ტრანზაქციების ბალანსზე მეტი, ან კომერციული ბანკების საკომპენსაციო ბალანსის მოთხოვნებზე მეტი, რომელშიც კომპანიას გახსნილი აქვს ანგარიშები.

ჩვენს მიერ შესწავლილი ეკონომიკური ლიტერატურიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სწორად შემუშავდეს საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის სტარატეგია და ტაქტიკა. ფინანსურმა მენეჯერმა, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს საწარმოს ნაღდი ფულის უზრუნველყოფაზე. ამისთვის აუცილებელია გამოიყენოს ნაღდი ფულის მოძრაობის დაჩქარების და შენელების სტრატეგიები და თუ საწარმოს ფინანსური მენეჯერი ვერ მოახერხებს საწარმოს შიდა ფინანსური რეზერვებით უზრუნველყოფას, მაშინ საჭიროა სახსრების გარედან მოზიდვა სესხების სახით. მიგვაჩნია, რომ ნაღდი ფულის დაჩქარების და შენელების მეთოდიკა გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რაც დადებითად წაადგება ფინანსური მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას.

ლიტერატურა:

1. ჰორნი ჯეიმს ს. ვან, ვაჰოვიჩი ჯონ მ., უმცროსი, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, 2008.

2. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, 1997.
3. თეთრუაშვილი მ., ფინანსური მენეჯმენტი, 2007.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

თეონა ფოლადაშვილი, ქეთევან თურაზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** პროფესორი

საქართველოსთვის ვაჭრობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ქვეყნებს შორის ურთიერთობებში სავაჭრო ურთიერთობებს ენიჭება უზარმაზარი მნიშვნელობა, რადგან სწორედ ვაჭრობაზეა აგებული თითქმის მთელი სისტემა ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირებისას, რომელიც მთლიანობაში ხელს უწყობს ქვეყანათა განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლობის მიღებას. საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც წარმოადგენს სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის „ზოგად მეთოდს“, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა.

ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. **იმპორტში** იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.



გრაფიკზე შეგვიძლია ვნახოთ, თუ რა დინამიკით იცვლებოდა საქართველოში ექსპორტ-იმპორტი 2000 წლიდან მოყოლებული დღემდე. გრაფიკზე ნათლად ჩანს რომ ექსპორტსაც და იმპორტსაც ახასიათებდა ზრდა, მაგრამ უარყოფითი სავაჭრო ბალანსით, რაც განპირობებულია იმპორტის მეტოქეობით ექსპორტზე. 2009 წელს შეინიშნება ვარდნა, რაც გამოწვეული იყო 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომით და მსოფლიო კრიზისით. 2011 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 841 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 1552 მლნ. აშშ დოლარი იყო (42%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 4929 მლნ. აშშ დოლარი (38%-თ მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2011 წლის იანვარ-სექტემბერში 3 377 მლნ. დოლარი შეადგინა (37%-ით მეტი). ექსპორტ-იმპორტის ზრდასთან ერთად უცვლელად იზრდებოდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც.



ამჟამად საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქციას უცხოური ავტომობილები და ფეროშენადნობები წარმოადგენს. მაჩვენებლების ზრდაში იმპორტის მოცულობას უფრო მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე ექსპორტს. მსუბუქი ავტომობილები 200 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობით პირველ ადგილზეა, ფეროშენადნობების ხვედრითი წილი 8%-ია. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქებია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ლიდერია თხილი, რომელზეც მოდის ექსპორტის ხუთ პროცენტზე ოდნავ მეტი. მასზე თითქმის ორჯერ ნაკლებია სპილენძის მადნის ექსპორტი.

2006 წელს რუსეთის მიერ ქართული წარმოების პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებამ რეალური საფრთხე შექმნა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის განვითარებაში. მართალია, ბოლო პერიოდში აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ემბარგომდე არსებული დონე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.



2007 წლამდე, წამყვანი ადგილი საქართველოსთან ვაჭრობაში რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ძალზე საინტერესოა. იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და დღემდე რუსეთი, საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა.

იმპორტის მზარდ მაჩვენებლებში ყველაზე დიდი წილი ნავთობპროდუქტებზე მოდის, შემდეგ კი არის ავტომობილები. ეს საგარეო ეკონომიკური აქტივობა რიცხვებში შემდეგნაირად გამოიყურება: საერთო ჯამში, საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა გაზრდილია 21 პროცენტით, ხოლო ქვეყნიდან საზღვარგარეთ გატანილი, ექსპორტირებული პროდუქციისა - 13 პროცენტით.

ეს მონაცემები ქმნის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის სურათს, რომლის შემადგენელი ნაწილია სხვაობა იმპორტსა და ექსპორტს შორის. ამჯერად, მისი მაჩვენებელი 2 მილიარდ დოლარს აჭარბებს და სავაჭრო ბრუნვის 53 პროცენტს შეადგენს.

საიმპორტო სასაქონლო ჯგუფის პირველ პოზიციაზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რამაც 951 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 12% შეადგინა. მეორე ადგილზე ავტომობილების იმპორტია 662.8 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9% შეადგენს. მესამე ადგილი ნავთობის აირებმა დაიკავა 252.7 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხვედრითი წილით - 4%. სამკურნალო საშუალებები 3%-ს შეადგენს, ხოლო 2%-ი ხორბალზე მოდის.



საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების ჩამონათვალში ლიდერობს თურქეთი, ეს განაპირობა იმან, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული შეთანხმებით საბაჟო გადასახადი გაუქმდა. უკრაინასთან, წინა წლებთან შედარებით, იმპორტი 579.მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რამაც საბოლოოდ 8% შეადგინა. აზერბაიჯანთან მატება შეინიშნება, რაც 633. მლნ დოლარით გაიზარდა და შეადგინა 8%. რუსეთი და ჩინეთი 7-7 პროცენტს ინაწილებენ.



საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო სავაჭრო რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ბოლო რამდენიმე წელია მატების ტენდენციით ხასიათდება.

ლიტერატურა:

1. მესხია ი., საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2011.
2. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2011.
3. პაპავა ვლ., არატრადიციული ეკონომიკსი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011.
4. ფუტკარაძე რ., საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2010.

ინტერნეტ-რესურსები

1. www.nbg.gov.ge
2. www.mof.gov.ge
3. www.rs.ge
4. www.geostat.ge
5. www.economy.ge

6. www.wto.org
7. www.fas.ge

კინობიზნესი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ნინო ხარიბეგაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** პროფესორი

დღეისათვის კინობიზნესს არაერთი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შეაქვს წვლილი და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. კონკურენცია კინობიზნესშიც დიდია. ჰოლივუდის კინოპროდუქციას სერიოზულ კონკურენციას უწევენ ბოლივუდის მიერ წარმოებული კინოფილმები. ბოლივუდი უზარმაზარი კინოინდუსტრიაა. დღეისათვის ბოლივუდის შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე ჰოლივუდისა და ბოლივუდში უფრო მეტ ფილმებს იღებენ, ვიდრე ჰოლივუდში. მსოფლიო კინობაზარზე დომინირებს ამერიკული ფილმები, თუმცა უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება კორეული კინოს როლის საოცარი სისწრაფით ზრდის ტენდენციები.

კინოინდუსტრია წარმოადგენს ფართო აუდიოვიზუალური სექტორის ნაწილის, რომელიც მოიცავს სატელევიზიო პროგრამებს, რეკლამას, რადიო პროგრამებს. თუმცა კინო სცილდება აუდიოვიზუალური სექტორის ფარგლებსაც. კინოპროფესიის წარმოადგენლები მუშაობენ მრავალი მიმართულებით: მუსიკალურ ვიდეო კლიპებზე, სცენარების და ვიდეო თამაშებისთვის მოძრაობებს შექმნაზე. ამასთან, კინო მოიცავს ხელოსნების მუშაობასაც (გადასაღები მოედნის აწყობა, განათება, აღჭურვილობა და სხვ.). კინოს წარმომადგენლები მუშაობენ აგრეთვე თეატრებში, მუსიკის სფეროში, ღონისძიებების ინდუსტრიაში. ყოველივე აქედან კი ნათლად ჩანს, რომ კინემატოგრაფი შემოქმედებითი ინდუსტრიების საფუძველია, ეს ინდუსტრიები კი სწრაფად განვითარდა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში და მთავრობების ყურადღების ცენტრში მოექცნენ იმ წვლილის გამო, რომელიც მათ შეაქვთ ეკონომიკაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ კულტურულ და სოციალურ ფუნქციებზე.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების (აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) კინოინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციების ფონზე საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარების ზრდის ტენდენციები. არადა ქართულ კინოს ხომ საუკუნოვანი და უმდიდრესი ტრადიციები გააჩნია.

ქართული კინემატოგრაფია სათავეებს იღებს ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან. მის სათავეებთან ვასილ ამაშუკელი და ალექსანდრე დიღმელოვი დგანან, რომლებმაც 1908-09 წლებიდან ქართული ყოფის ამსახველი დოკუმენტური სურათების გადაღებები დაიწყეს.

XX საუკუნე, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ქართული კინოსთვის ოქროს ხანა გახლდათ. ეს განსაკუთრებით ეხება ე.წ. ქართული საბჭოთა კინოს პერიოდს, როდესაც არაერთი მხარტვრული თუ დოკუმენტური ფილმი იქნა გადაღებული, მრავალი მათგანი კი საერთაშორისო პრემიითა თუ სხვადასხვა ჯილდოთი დაჯილდოვდა. იმდროინდელი ქართული კინოს დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ გენიალური რეჟისორის ფედერიკო ფელინის სიტყვები: „ქართული კინო უცნაური ფენომენია, განსაკუთრებული ფილოსოფიური შუქით მოსილი, მაღალი გემოვნების და ამავე დროს ბავშვურად უცოდველი“[1].

სამწუხაროდ, გასული საკუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, განუკითხაობამა და ქაოსმა ფაქტიურად გაანადგურა ქართული კინოინდუსტრია. აღნიშნული პერიოდი ქართული კინოში სტაგნაციის პერიოდი იყო. უსახსრობის გამო ცალკეულ ფილმებზე მუშაობა წლების განმავლობაში გაჭიანურდა. მრავალი კინემატოგრაფისტი შემოქმედებით პროცესს საერთოდ ჩამოშორდა. ამ პერიოდში ფილმების

[1] http://elsaposts.blogspot.com/2010/08/blog-post_20.html

მინიმალური რაოდენობა გადაიღეს. გამონაკლისი წარმოადგენდა 1996 წელს გადაღებული „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, რომელიც ერთობლივი ქართულ-ფრანგული პროდუქცია გახლდათ და ჯერჯერობით ყველაზე დიდ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია ქართულ ფილმთა შორის, მოხვდა რა ოსკარის ნომინანტთა სიაში საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში.

პაუზა, რომელიც ქართულ კინემატოფრაფიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა, დიდხანს გაგრძელდა. წლები დასჭირდა იმას, რომ რეჟისორებს მოგებაზე გათვლილ კომერციული პროექტებზე ემუშავათ. ქართულ კინოში ხანგრძლივი პაუზის მიზეზად ყველაზე ხშირად ფინანსების უქონლობა სახელდებოდა. თუმცა კინომცოდნენი კინოსცენარების უმრავლესობის ძალიან დაბალი ხარისხსა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობასაც ასახელებენ.

ქართულ კინემატოგრაფიაში გამოცოცხლება XXI საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი 2005 წლიდან შეინიშნება, როდესაც გამოჩნდა ახალი თაობა, ქვეყანას დაუბრუნდნენ რეჟისორები, სახელმწიფო და კერძო სექტორებმა დაიწყეს კინოს წარმოების დაფინანსება. დღეისათვის საქართველოში გაიზარდა კინოპროდუქციის მოცულობა. ქართული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2000-2008 წლებში საქართველოში შეიქმნა: 18 მხატვრული ფილმი, 56 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20 მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, 50 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, 12 ანიმაციური ფილმი და 4 ექსპერიმენტული ფილმი.

საგულისხმოა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წლის აპრილში გამოქვეყნებული საბოლოო ანგარიში „ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა“, სადაც გამოკვეთილია ქართული კინოინდუსტრიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.[1] ძლიერ მხარეებს შორის დასახელებულია: ქართული კინოინდუსტრიის მდიდარი მემკვიდრეობა, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და ზომიერი კლიმატი, მარტივი ადმინისტრაციული წესები, ქართველი ხალხის დადებითი დამოკიდებულება კინოინდუსტრიის მიმართ და სხვ. სუსტ მხარეებად დასახელებულია: პროფესიონალური კადრების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე, განუვითარებელი სადისტრიბუციო ქსელი, კინოთეატრების რაოდენობის სიმცირე, სათანადო პოპულარიზაციის არქონა და სხვ. შესაძლებლობებს შორის მოცემულია: საქართველოს შეუძლია ორიგინალური შინაარსის ფილმების შეთავაზება საერთაშორისო ბაზრისთვის, კინოინდუსტრიის გაძლიერება და ადეკვატური პოპულარიზაცია ისეთ დადებით შედეგებსაც გამოიღებს, როგორიცაა ტურისტების რაოდენობის გაზრდა და საქართველოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, კინოინდუსტრიის სათანადო ფუნქციონირება წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, გაიზრდება მოთხოვნა და დასაქმება, ისევე, როგორც წარმოება. რაც შეეხება საფრთხეებს, მათ შორის დასახელებულია: გეოპოლიტიკური ასპექტები, რეგიონალური პრობლემები, პროფესიონალიზმისა და ნიჭიერების საკითხები (პროფესიონალური კადრების სიმცირე და არარეგულარული მოთხოვნა).

განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ 2012 წლის მარტში გამოქვეყნებული საბოლოო ანგარიში „საქართველოს კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა“. კვლევის მიზანი გახლდათ იმ მონაცემების მოპოვება, რაც ხელს შეუწყობდა ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას. ანგარიში წარმოადგენს საქართველოს კინოსექტორის ყველაზე ღრმა და დეტალურ ანალიზს, რომელიც ემყარება პირველად და მეორად მონაცემებსა და არსებულ ინფორმაციას. კვლევა მოიცავს კინოინდუსტრიისა და, ზოგადად, შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკურ პოტენციალს, ავლენს სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს და კინოპოლიტიკის ძირითად საჭიროებებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2009 წელს კინო და ვიდეო წარმოების ბრუნვამ შეადგინა 7, 000, 000 ლარი. კვლევის თანახმად, 2010 წელს საწარმოო სექტორის ბრუნვამ შეადგინა 7,030,983 ლარი. ეს გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კინო და ვიდეო წარმოებაში მომუშავე კომპანების რაოდენობა უფრო დიდია, ვიდრე იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებთანაც თანამშრომლობს ეროვნული კინოცენტრი, ეს უკანასკნელნი უფრო აქტიურად არიან დაკავებული წარმოებით და, შესაბამისად, მათი ეკონომიკური ღირებულებაც უფრო მნიშვნელოვანია. 2010 წელს ფილმების ჩვენების სექტორში ბრუნვა შეადგენდა 3,680,000 ლარს. ამდენად, კინოინდუსტრიის მთლიანი ბრუნვა 2010 წელს შეადგენდა 10,987,500 ლარს.[2]

---

[1] საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა, საბოლოო ანგარიში, აპრილი, 2009, გვ. 25, 26, 27

[2] წყარო: საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, „საქართველოს კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა“, საბოლოო ანგარიში, 2012 წლის მარტი, გვ. 12

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული ციფრები გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და დიდი იქნებოდა, სრულად რომ ყოფილიყო გათვალისწინებული და აღმოფხვრილი ის პრობლემები და საფრთხეები, რის წინაშეც დღეს დგას თანამედროვე ქართული კინობიზნესი. ამ პრობლემების გადაჭრით ხომ მნიშვნელოვანად გაიზრდებოდა ქვეყნის ეკონომიკური შემოსავლები. ქვეყნის კინოინდუსტრიის აღორძინება-განვითარება დადებითად აისახება დასაქმების დონეზე (შეიქმნება უფრო მეტი სამუშაო ადგილი), ინვესტიციების მოზიდვაზე, სხვადასხვა დარგების განვითარებაზე (მაგალითად ტურიზმზე), ქვეყნის იმიჯსა და პოპულარიზაციაზე.

კინოინდუსტრიის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შეგვიძლია მივაკუთვნოთ აგრეთვე შემდეგი ფაქტორები: ფილმწარმოების დაზღვევა (სადაზღვევო კომპანიებს არ გააჩნიათ შესაბამისი სადაზღვევო პაკეტები), საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა, ფილმების ჩვენების შეზღუდული შესაძლებლობები, პირატული და მეკობრული პროდუქციით ბაზრის გაჯერება და ა.შ.

თუმცა, ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები, კინოინდუსტრიის სფეროში ქვეყნის უმდიდრესი ტრადიციები, ბოლოდროინდელი მიღწევები ქართულ კინოსექტორში (საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებზე გამარჯვება და სხვ.) აღნიშნული ბიზნესის განვითარების ტენდენციებზე გვაფიქრებინებს.

საქართველოში კინობიზნესის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგ ღონისძიებათა დროულად გატარება:

- თანამშრომლობა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან;
- სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესება კინოინდუსტრიის სექტორზე;
- კინოცენტრის მუშაობის კიდევ უფრო გააქტურება;
- სამართლებრივი კონტროლის გამკაცრება პირატულ, მეკობრულად დაბეჭდილ და გავრცელებულ კინოპროდუქციაზე;
- ციფრული ქსელის განვითარება და ციფრული დისტრიბუციის ათვისება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა და განახლება;
- კინოინდუსტრიის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-გაუმჯობესება (მაგალითად, გზები, სასტუმროები და სხვ.);
- კინემატოგრაფისტების ტრენინგი და პროფესიული გადამზადება თანამედროვე გამოწვევებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
- მაღალკვალიფიციური სპეციალიზებული კადრების მომზადება და გადამზადება. ამ მხრივ უდიდესი როლი ენიჭება, მაგალითად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს, რომელიც მდიდარი ტრადიციების მატარებელია და დიდ როლს ასრულებს კავკასიის ხალხებისათვის თეატრისა და კინოს დარგის სპეციალისტების მომზადებაში;
- წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება. ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს თურქეთი, რომელმაც უკანასკნელ ათწლეულში კინოინდუსტრიის სექტორში უდავოდ დიდ წარმატებასა და წინსვლას მიაღწია. თურქული წარმოების მხატვრული ფილმებითა თუ სატელევიზიო სერიალებით არაერთი ქვეყნის სატელევიზიო სივრცეა გაჯერებული. მათ შორის გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. თურქული კინოპროდუქცია სერიოზულ კონკურენციას უწევს მსოფლიოს მრავალ, კინობისნესის სფეროში წამყვან ქვეყანას. აღნიშნული კინოპროდუქციის გაყიდვა-გაქირავებით თურქეთი მნიშვნელოვან ფინანსურ შემოსავლებს იღებს, რაც, ბუნებრივია, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზეც. გარდა ამისა, აღნიშნული ფილმების საშუალებით ხდება თურქული კულტურის, ტრადიციების გაცნობა და პოპულარიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისათვის. ამასთან, ხდება თურქეთის, როგორც ტურისტული თვალსაზრისით უნიკალური და მიმზიდველი ქვეყნის, იმიჯის ფორმირება და პოპულარიზაცია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართული კინოინდუსტრია ეროვნულ ფასეულობებზე უნდა იყოს აგებული და ა.შ.

ამრიგად, კინოინდუსტრიას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი გააჩნია კულტურის, ტურიზმის, ვაჭრობისა და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციის თვალსაზრისით. კინობიზნესის განვითარება უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის წინსვლას. ქართული კინოწარმოების უმნიშვნელოვანეს აქტივს ბუნებრივი გადასაღები ადგილები და მათი მრავალფეროვნება წარმოადგენს. ქვეყნის უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მდებარეობა წელიწადის ნებისმიერ სეზონზე კინოგადაღებებისთვის ხელსახრელ საშუალებას იძელვა, ამასთან ტრანსპორტირების შედარებითი სიიაფე ქმნის ქართული კინოწარმოების უნიკალურ უპირატესობას. ყოველივე აღნიშნული კი ქართული კინოინდუსტრიის განვითარების დიდ პერსპექტივებსა და წარმატებაზე გვაფიქრებინებს.

ლიტერატურა:
1. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, ქართული კინემატოგრაფიის ინდუსტრიის პოლიტიკა: სტრატეგიული მიმოხილვა, საბოლოო ანგარიში, აპრილი, 2009.
2. საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, „საქართველოს კინოსექტორის ეკონომიკური რუკის კვლევა“, საბოლოო ანგარიში, მარტი, 2012.
3. ბედოშვილი თ., ფაცინაშვილი ქ., ურთიერთკავშირი ქვეყნის ეკონომიკასა და კინოინდუსტრიას შორის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სტუდენტთა სამეცნერო შრომების კრებული №4, თბ., 2012-2013.

ინტერნეტ-რესურსები:
1. http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2011&art=1717
2. http://www.gnfc.ge/geo/page/75
3. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2022703.html
4. http://elsaposts.blogspot.com/2010/08/blog-post_20.html
5. http://ka.wikipedia.org/wiki/ქართული_კინო
6. http://freeunimediaclub.wordpress.com/2012/12/08/კორეული-ტალღა-მსოფლიო-კი/

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

კონფორმიზმი

დავით ლომაია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** პროფესორი

ბავშვობაში ჩემი მეგობრები ბელურებზე ნადირობას დიდ საქმედ მიიჩნევდნენ, მეც გაწაფული ვიყავი ჩემს თანატოლებთან ერთად, თუმცა ყოველთვის, როცა მსხვერპლს უბნის მონადირეები დიდი სიამაყით მოიპოვებდნენ, მე შინაგანად უსიამოვნებისა და პროტესტის გრძნობა მიჩნდებოდა, მაგრამ ამას არ ვამჟღავნებდი, რადგან თანატოლები უთუოდ დამცინებდნენ, ეს კი ჭეშმარიტი მონადირის სტატუსს შემირყევდა. ვფიქრობდი, რომ საპირისპირო საქციელით გავირიყებოდი და მათნაირი მონადირე აღარ ვიქნებოდი. ჩვენ გვაქვს საინტერესო გამოთქმა – ,,სადაც მიხვალ იქაური ქუდი უნდა დაიხუროო“. თითოეული ჩვენთაგანი სოციუმის ნაწილია, ყოველდღიურად ოჯახის, მეგობრების, ნათესავების, მტრებისა თუ მოყვარეების გარემოცვაში ვცხოვრობთ და ხშირად ქცევის იმგვარ გეზს ვირჩევთ, რომელიც ურთიერთობების შენარჩუნებაში გვეხმარება. რამდენად რაციონალურია ჩვენი გადაწყვეტილებები? არის თუ არა ჩვენი ქცევები საკუთარი ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისი? რამდენად ვექცევით სხვისი ზეგავლენის ქვეშ? სწორედ სოციალური ზეგავლენის სახეა კონფორმიზმი, ლათინურად ,,conformis” მსგავსს, ერთგვარს, შეთანხმებულს ნიშნავს, ესაა ქცევა, რომელსაც ნორმატიული წესების, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების შემგუებლობა, საკუთარი პოზიციის უქონლობა, ნებისმიერი სტერეოტიპის უპრინციპო და უკრიტიკო მიღება ახასიათებს. კონფორმიზმის ფსიქოლოგიურ გაგებაზე მრავალი ექსპერიმენტია ჩატარებული, თუმცა ყველა მათგანზე დაყრდნობით, ჯონ დოიჩმა და

ჰაროლდ ჯერარდმა კონფორმიზმის ორი ძირითადი ტიპი გამოყვეს – ნორმატიული და ინფორმაციული.

ნორმატიული კონფორმიზმი:

• ჯგუფის გავლენას იმიტომ ემორჩილები, რომ ჯგუფს მოერგო;

• ჯგუფს ემორჩილები, რადგან გეშინია მან არ უარგყოს.

• ასეთი ტიპის კონფორმიზმში ხშირად ადამიანი საჯაროდ ეთანხმება ჯგუფის აზრს, მაგრამ პრივატულად უარყოფს მას.

ინფორმაციული კონფორმიზმი:

• ძირითადად მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანი ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის და ჯგუფის ხელმძღვანელობის ქვეშ ექცევა;

• როდესაც ინდივიდი გაურკვეველ სიტუაციაშია და საკუთარ საქციელს ჯგუფის საქციელს ადარებს;

• ამ ტიპის კონფორმულობის დროს ინდივიდი ჯგუფის აზრს ეთანხმება და მას როგორც საკუთარს, ისე იშინაგნებს. (იჯერებს)

კონფორმულობას იწვევს ინდივიდის მისწრაფება, მოწონებული იყოს ჯგუფის მიერ. კონფორმულობის ამ ტიპს ნორმატიული კონფორმულობა ჰქვია, ის სოციალური კონფორმულობის დომინანტური ფორმაა. როდესაც ჩვენ გვინდა ჯგუფის წინაშე კარგი შთაბეჭდილება დავტოვოთ, ვერბალურად ვეთანხმებით ჯგუფის აზრს, თუმცა შეიძლება რეალურად არ ვიზიარებდეთ მას. როდესაც რაღაცას ვაკეთებთ, წუთით შევჩერდებით და დავფიქრდებით: რას იტყოდნენ ამაზე ჩემი მშობლები ან ჩემი მეგობრები? ეს ნორმატიული კონფორმულობის გამოვლინებაა. ხშირად, უცნობ ან ორაზროვან სიტუაციაში, არ ვიცით როგორ მოვიქცეთ, რა არის სწორი. რათა ვუპასუხოთ ასეთ კითხვებს, მივმართავთ ხალხს, საკუთარ ქცევას ვცვლით ისე, რომ სხვის ქცევას შევუსაბამოთ.

კონფორმულობის გამომწვევი მიზეზები:

ჯგუფის ზომა:

• კონფორმულობა იზრდება ჯგუფის ზომის ზრდასთან ერთად.

• 4-5 კაციან ჯგუფებში ერთი ადამიანის დამატების შემდეგ კონფორმიზმის დონე 3 % ხდება, 2 ადამიანის შემთხვევაში – 13%, 3 ადამიანის დამატებისას – 32 %. (ანუ 1/3)

ჯგუფში ანონიმურობის ნაკლებობა:

• კონფორმულობა მცირდება, როდესაც ინდივიდი ჯგუფში სხვებისგან განსხვავებულ პასუხს იძლევა და ჯგუფის პასუხი არ არის ერთგვაროვანი.

• ეშმა (1951) აღმოაჩინა რომ ერთი კავშირის არსებობაც კი, რომელიც უმრავლესობის წინააღმდეგაა მიმართული კონფრომულობას 80%-ით ამცირებს.

გადასაწყვეტი საკითხის სირთულე:

• როდესაც ჩვენ გაურკვევლობაში ვართ, სხვებისგან მხარდაჭერას ვეძებთ. რაც უფრო რთულად გადასაწყვეტია საკითხი მით მეტად იზრდება კონფორმულობა.

ინდივიდუალური პასუხები:

• კონფორმულობა მცირდება, როდესაც მონაწილეს საშუალება აქვს ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად უპასუხოს (ისე რომ ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის მისი პასუხი ცნობილი არ არის).

• ეს ჯგუფის წნეხის სიმცირითა გამოწვეული და ნორმატიული გავლენა არ არის ძლიერი

ანონიმურობა:

• კონფრომულობა მცირდება, როდესაც მონაწილეს შეუძლია პასუხი წერილობითი ფორმით გასცეს და საჯაროდ არ გამოაცხადოს

• ადამიანები კონფორმულები ხდებიან იმიტომ რომ აწუხებთ და ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე (მაგალითად, ნორმატიული გავლენა)

ჯგუფის სტატუსი:

• თუ ჯგუფში ვინმეს მაღალი სტატუსი აქვს (მაგალითად, უფროსი) ან ისეთი, ვისაც სხვებთან შედარებით მეტი ცოდნა აქვს (მაგალითად, მასწავლებელი), ისინი უფრო მეტ გავლენას ახდენენ ჯგუფის წევრებზე და მოსალოდნელია, რომ ადამიანები მათ მოსაზრებას უფრო მეტად დაეთანხმებიან (მაგალითად, ინფორმაციული გავლენა).

მიუხედავად გარკვეული წნეხისა, კონფორმიზმი საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია. ძირითადად, ყველას გვიწევს გარემოსთან ურთიერთობისას გარკვეულ კომპრომისზე წასვლა და კონფორმულობის მსუბუქად შეფერილ დაღს ვატარებთ. იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს, ადამიანები სოციალურ ნორმებს ემორჩილებიან, როგორიცაა მოძრაობის წესები, სხვისი საკუთრების პატივისცემა და ა.შ., თუმცა, კონფორმიზმს უარყოფითი გავლენაც აქვს, როცა ინდივიდი უკვე ავტომატურად და კრიტიკული გააზრების გარეშე ეთანხმება ამა თუ იმ შეხედულებასა და ქცევას.

ზოგჯერ, კონფორმულობით ადამიანი ცდილობს, შეინარჩუნოს რწმენა, რომ მის გარეთ უსაფრთხო სოციალური გარემოა, რადგან ის ეთანხმება და აკეთებს ყველაფერს, რაც სხვებს მოსწონთ და მოელიან მისგან, ამიტომ მის მიმართ აგრესია არავის ექნება, ანუ დაცული იქნება სოციალურ გარემოში. საზოგადოებრივ მოლოდინებს ახლავს შეფასებები: ჩვენ მოველით, რომ ადამიანი დაიცავს ნორმას. ასევე, თუ ნორმას არ დაიცავს, ნეგატიურად ვრეაგირებთ მათ მიმართ, ვინც ნორმებს არღვევს. კონფორმიზმის რადიკალურად უარყოფის შემთხვევაში ადამიანი სოციალური დევნისა და ჯგუფიდან მოკვეთის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, ამის შესანიშნავი მაგალითია ვაჟა- ფშაველას გენიალური პოემა ალუდა ქეთელაური. გავიხსენოთ მთავარი პერსონაჟი, რომელიც თემთან საერთო შეხედულებებით, ღირებულებებით, ტრადიციებითა და რელიგიით ცხოვრობს, მაგრამ უეცრად მასში ჩნდება შეხედულება, რომელიც გმობს დამკვიდრებულს, ის თავის ახალ აზრსა და გადაწყვეტილებას კონფორმიზმში არ ხედავს, პირიქით, ბოლომდე უპირისპირდება თემს და, საპასუხოდ, თემიდან მოკვეთას ანუ სოციალურ სიკვდილს ღებულობს..

კონფორმისტს საკუთარი მე, როგორც სტაბილური ერთეული, არ გააჩნია. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ადამიანები გამოირჩევიან საოცარი სურვილით – დაემორჩილონ ძალაუფლებით აღჭურვილ პირებს, მაშინაც კი, როდესაც ამ პირთა მოთხოვნები ამორალური ან არაეთიკურია. ამერიკელი ფსიქოლოგის, სტენლი მილგრემის, გამოკვლევამ აჩვენა, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ემორჩილება ავტორიტარულ წნეხს, გააგრძელოს სხვა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ქცევა. საინტერესოა, რა აიძულებდა ათასობით ნაცისტს დამორჩილებოდა ჰიტლერის ბრძანებებს და მილიონობით ებრაელი გაეგზავნა გაზის კამერებში, ან კიდევ, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ზემდგომ პირთა ბრძანებით ვიეტნამში ათასობით უდანაშაულო ადამიანი რატომ ამოხოცეს? პროფესორ სტენლი მილგრემის გამოკვლევა გვთავაზობს პასუხს ორი თეორიით:

1) სუბიექტი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების არც უნარი და არც გამოცდილება არ აქვს, განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციებში, გადაწყვეტილების მიღებას ჯგუფს ანდობს. ჯგუფი ადამიანის ქცევის მოდელია.

2) აგენტის მდგომარეობის თეორია. მორჩილების არსებობა წარმოიშობა ადამიანის შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც საკუთარი თავს სხვა ადამიანების სურვილების შესრულების ინსტრუმენტად განიხილავს და, სწორედ ამიტომ, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხშირი გავლენაა ,,ბენდვაგონის ეფექტი". მას ქრომო ეფექტსაც უწოდებენ, ბენდვაგონის ეფექტის დროს ადამიანები ისე იქცევიან და ფიქრობენ, როგორც იქცევა და ფიქრობს უმრავლესობა, ამ ეფექტს ბრბოს ინსტინქტსაც უწოდებენ. განსაკუთრებით ეს ვლინდება პოლიტიკაში. ადამიანები ხშირად იმ კანდიდატს უჭერენ მხარს, რომელიც ყველაზე მეტად არის პოპულარიზებული მედიის მიერ საზოგადოებაში. ინდივიდებს გამარჯვებულის მხარეს ყოფნა სურთ და არჩევანს იმის მიხედვით აკეთებენ, თუ რომელ კანდიდატს უჭერს, მათი აზრით, უმრავლესობა მხარს. ეს ეფექტი ეკონომიკაშიც გვხვდება, როცა მომხმარებლები პროდუქტს იმ ნიშნით ყიდულობენ, რამდენად დიდია ამ პროდუქტის მომხმარებელთა რაოდენობა. შესაბამისად, მოხმარება ნაკლებადაა დამოკიდებული ინდივიდის არჩევანზე. შესაძლებელია კონფორმულობა გარკვეულ პირობებში სწორი ქცევის მექანიზმი და გადარჩენის ერთადერთი გზაც კი იყოს. ამის საუკეთესო მაგალითს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, სადაც გადარჩენის ერთადერთ გზად კონფორმიზმი იყო დატოვებული, იქ სადაც კოლექტიური განწყობა-აზროვნება ჭარბობდა, თუმცა ირლანდიელი დრამატურგი, ჯორჯ ბერნარდ შოუ, ამბობდა: „პროგრესი შეუძლებელია ცვლილებების გარეშე და მათ, ვისაც საკუთარი აზრების შეცვლა არ შეუძლია, არც არაფრის შეცვლა შეუძლია." უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად ადამიანებს გააზრებული აქვთ კონფორმულობა და მისი უარყოფითი შედეგები, ისინი შეგნებულად იქცევიან ასოციალურად, დამოუკიდებლად, ასევე უპირისპირდებიან ჯგუფის ნორმებს საკუთარის გამო. ამგვარ ტენდენციას, როცა ადამიანი ირგებს უმცირესობის ქცევებს, განწყობებსა და ღირებულებებს, ნონ-კონფორმულობა ეწოდება. ნონ-კონფორმიზმის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ ჰიპები და პანკები. როგორც ვხედავთ, ნონ-კონფორმულობაც კონფორმულობის ერთ-ერთი სახეა. ადამიანი ანტიკონფორმული მაშინაა, როდესაც იქცევა საკუთარი განწყობების, შეხედულებებისა და ღირებულებების შესაბამისად, ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს.

დიდი დრო არაა გასული, რაც ჩვენმა ქვეყანამ, დამოუკიდებლობა მოიპოვა. გვახსოვს სისხლი, ბრბო, მიტინგებზე გატანილი სოციალური საკითხები (ალუდა ქეთელაურები) და მდუმარე ადამიანები, მაგრამ ისტორია მოწმეა იმისა, რომ ქართველი ერი, სახელმწიფო, სიცოცხლის მოტრფიალეა. სწორედ სიცოცხლისკენ და თავისუფლებისკენ სწრაფვამ გადაგვალახინა ყოველივე მსხვერპლით, შეცდომებით, მაგრამ მაინც. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება ახალფეხადგმულია და მოსალოდნელია ბავშვივით გაუაზრებლად ის გაიმეოროს და მართებულად

ჩათვალოს, რასაც ეტყვიან, ან თავს მოახვევენ, იქით წავიდეს საითაც მიუთითებენ. ავირჩიეთ დემოკრატიული ღირებულებები, რომლის დამკვიდრებასაც თითოეული მოქალაქის ძალისხმევა სჭირდება და არა მხოლოდ იმ რჩეულთა ზებუნებრივი ძალა, რომელიც ბნელი ოთახიდან გაგვიყვანს, აუცილებელია ამ ღირებულებების დეფინიციის დონეზე ცოდნა მაინც, საჭიროა ამის ხელშეწყობა. ჩვენი არჩეული გეზი დასავლეთისკენ და, მით უმეტეს, ძალიან ბევრი ადამიანის შიში ქართული იდენტობის დაკარგვისა, საწინდარია იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი დაფიქრდეს იმაზე, რამდენად მისაღები და თანხვედრი იქნება ჩვენს აზრთან, შემდგომი გადაწყვეტილებები, რამდენად ვდგავართ ან ვიდგებით ჩვენს პოზიციაზე და რა სიახლე იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის რეალურად სასიკეთო. ჩემი აზრით, იმ მოქალაქეებით შემდგარი საზოგადოება, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი პოზიცია, ინდივიდუალური აზრი, სტაბილური, ჰარმონიული, მაგრამ ადვილად მანიპულირებადი საზოგადოებაა, რომელშიც ძალიან ადვილად შეიძლება აღმოცენდეს კონფორმიზმი, თავისი უარყოფითი შედეგებით.

ლიტერატურა:

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4854 (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი)
2. http://socioflaneur.wordpress.com/ თინა ყიფშიძე (კონფორმიზმი აუცილებლობა თუ საფრთხე)
3. http://eva.ge/urtiertobebi/1145-konformizmi-tu-kompromisi (ს. გულიაშვილი)
4. http://en.wikipedia.org/wiki/Conformity
5. http://en.wikipedia.org/wiki/Bandwagon_effect
6. Росс Л., Нисбетт Р., “Человек и ситуация” Москва 2000, голова 2. 3.
7. http://www.simplypsychology.pwp.blueyonder.co.uk/asch-conformity.html

გენდერული პრობლემები 21-ე საუკუნეში

ქეთევან მარკოზაშვილი, თამარ ტერმაკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** პროფესორი

საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობისა და საზოგადოების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები. დღეს რომ იკითხოთ, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ეს მხოლოდ სიტყვებია და რეალურად ფაქტები სხვას აჩვენებს.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისთვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე. ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით დასავლეთ ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ კვოტირების სისტემას, რომელიც მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისაგან. ეს სისტემა დროებითი, იძულებითი, ხელოვნური ღონისძიებაა, მაგრამ, რადგან ქალთა ჩართვა სახელმწიფო მართვით სტრუქტურებში მრავალ ბარიერთანაა დაკავშირებული, კვოტირება, როგორც იძულებითი ზომა, ამ ბარიერის გადალახვას ემსახურება. კვოტირების თეორია წარმომადგენლობით პრინციპს ემყარება, რომლის მომხრეებსაც

მიაჩნიათ, რომ ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში განსხვავებულ ღირებულებებს, ხედვებსა და გამოცდილებას შემოიტანენ, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ არგუმენტაციამ უკვე მრავალი წელია მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში: ნორვეგიაში, დანიასა და შვედეთში. პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ 80–იან წლებში ნებაყოფლობით დააწესეს კვოტირების სისტემა ქალებისთვის.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს მიღებულ კანონპროექტს გენდერული თანასწორობის შესახებ, კანონპროექტის პირველ ვარიანტში, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის შედეგად, კვოტირების სისტემაც იყო მოაზრებული, მაგრამ ამ ინიციატივამ საქართველოს პარლამენტში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. საქართველოს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი, რათა ჩადგეს იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც ასეთი ინიციატივები საზოგადოების მხარდაჭერას და პოლიტიკურ თანადგომას მოიპოვებს. სანამ ქალებისთვის კვოტირების შემოღებაზე საქართველოში აქტიური დებატების ნიადაგი მომწიფდება, მნიშვნელოვანია მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს. ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ შეიქმნას სტაბილური გარემო, ეკონომიკური ზრდა და ყველა იმ დემოკრატიული ღირებულების ქმედებაში მოყვანა, რაც ქვეყნისათვის იქნება საკეთილდღეო.

მსოფლიოს უდიდეს და აქამდე აუთვისებელ რესურსს ძალიან ბევრ განვითარებად ქვეყანაში კვლავ ქალები წარმოადგენენ. ეკონომიკის წამყვანი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნების ყველაზე დიდი სიმდიდრე არა ოქრო და ნავთობის საბადოები, არამედ ქალები არიან, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ საშუალება, თავი დაემკვიდრებინათ შრომით ბაზარზე და ამით წვლილი შეეტანათ საკუთარი ოჯახებისა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რეალურად ასეთი ქალები პლანეტის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ. ზოგადი სურათის წარმოსაჩენად ახლო აღმოსავლეთის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან გენდერულად ყველაზე ღარიბი ეს რეგიონია. მაჰმადიანურ სამყაროში არსებული სიტუაცია ქალების უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ყოფნას უსვამს ხაზს. ირანში ქალები სასტიკ დისკრიმინაციას განიცდიან და მამაკაცებთან შედარებით ბევრად დაუცველები არიან. მაგალითად: როდესაც ქალს ღალატისთვის ქვებით ჩაქოლვით სჯიან, კაცს შეუძლია ჰყავდეს 4 ოფიციალური ცოლი. ქალებს არ აქვთ უფლება, გახდნენ ქვეყნის პრეზიდენტი, ვერ ჩაიცვამენ ისე, როგორც მოესურვებათ. არსებობს ჩაცმულობის ნორმა – აუცილებელია თავსაბურავით სიარული და ტანის დაფარვა. აკრძალულია ასევე მაკიაჟის გაკეთება. ასე რომ ირანში გენდერული თანასწორობის არსებობაზე საუბარი ზედმეტია. თუმცა გენდერულ თანასწორობას დიდ ყურადღებას უთმობს არასამთავრობო ორგანიზაციები: სიდა (შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო), გაეროს განვითარების პროგრამა, რომელთა დახმარებით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა პროექტი ,,გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ საქართველოში“. პროექტი მხარს უჭერდა ქალთა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მათ დაწინაურებას, რადგან ქალები თითქმის საზარელ მდგომარეობაში არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

მინიმალურია ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში. 150 დეპუტატიდან მხოლოდ 9 ქალია, 18 მინისტრიდან კი მხოლოდ 2 ქალი. რაც შეეხება კერძო სექტორს, მართალია, ქალთა რიცხვი დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობებზე მუშაობს. საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე წარმოდგენილია 2318 მამაკაცი და 298 ქალი. გარდა ამისა ჩვენ კვლევა ჩავატარეთ როგორც ქალაქის, ისე რაიონის საჯარო სკოლებში და შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქალაქის სკოლაში (მე-5 საჯარო სკოლა) მთლიანად დასაქმებულია 105 ადამიანი, რომელთაგან მხოლოდ 7 კაცია. რაც შეეხება რაიონის სკოლას (ხელთუბნის საჯარო სკოლა), 50 დასაქმებული ადამიანიდან მხოლოდ 4 კაცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო სამსახურებში მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი ძირითადად ქალებითაა დაკომპლექტებული, ხოლო ადმინისტრაციულ, მაღალ თანამდებობებს მამაკაცები იკავებენ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი თავად ქალებისავე არჩევანია, რომ ქალებისთვის ბევრად უფრო სასურველია მოირგონ ნაკლებად აქტიური, თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული პროფესიული როლები იმისთვის, რომ ოჯახს და შვილების აღზრდას მეტი დრო დაუთმონ. კვლევის დროს დავინტერესდით, თუ როგორია გენდერული ბალანსი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. აღმოჩნდა, რომ აკადემიური პერსონალიდან 51 ქალია და 45 კაცი; ადმინისტრაციული პერსონალიდან 3 ქალი და 7 კაცია; ტექნიკური პერსონალიდან კი 114 ქალია და 64 კაცი.

ერთ-ერთი აუცილებელი საკითხი პრობლემის შესამცირებლად არის გენდერული სამართლიანობის უზრუნველყოფა განათლების სისტემაში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლაში, რადგან გენდერული შეხედულებების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება. ამისთვის სკოლის მასწავლებლებმა უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება, სახელმძღვანელოები უნდა იქნეს

გადასინჯული, რათა მათში არ იყოს გაპარული გენდერულ უთანასწორობაზე მიმანიშნებელი მასალა. სწავლებისას ხაზი უნდა გაესვას მშობლის როლის მნიშვნელობას, განსხვავებული აზრის ღირებულებას, მის პატივისცემას, გენდერულ განსხვავებას. ზოგადად, ექსპერტები შენიშნავენ, რომ ქალები, როგორც წესი, გახსნილად ვერ საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. შესაბამისად, რეალობა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ერთი ან რამდენიმე კვლევის სტატისტიკა ცხადყოფს.

კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ 2006 წლიდან მოქმედებს. 2010 წელს მიღებულ იქნა ასევე კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თუმცა ერთია საკანონმდებლო ბაზა და მეორეა რეალობა. რეალობას ცხადყოფს გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული ეროვნული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ქორწინებაში მყოფი ყოველი მე–11 ქალი საქართველოში აღიარებს, რომ გამხდარა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ქალთა 34% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს, ქალთა 50% ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება. კვლევა ქმრის მიერ ქალთა კონტროლის სხვა ფორმებზეც ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ: ქალთა 11%-ს ქმრის ნებართვა სჭირდება ექიმთან წასასვლელად, ქალთა 29%-ს კი იმის გამო, რომ ქმარი უკრძალავს, მშობლებთან ურთიერთობა არ აქვს. მიგვაჩნია, რომ ჩვენთან ძალადობა ხდება იმიტომ, რომ ძალადობის მიმართ არის მაღალი მიმღებლობა და გაცხადებული პროტესტი არც ინდივიდუალურად და არც კოლექტივის დონეზე არ არის, ანუ ლოიალურები ვართ ძალადობის მიმართ, არა მარტო ოჯახური, არამედ, ზოგადად, ძალადობის მიმართ.

21–ე საუკუნეში საქართველოში დღის წესრიგში კვლავ დგას გენდერული უთანასწორობის საკითხი. კერძოდ, საუბარი გვაქვს ქალთა პასიურ მონაწილეობაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში და, ზოგადად, მათ თითქმის უმნიშვნელო როლზე ამ სფეროში. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. რადგან 21–ე საუკუნეს ინფორმაციულ ხანას უწოდებენ, სწორედ მედიამ უნდა შეასრულოს ეგრეთწოდებული WATCHDOG-ის როლი სახელმწიფოში. კარგი იქნებოდა, პერმანენტულად რომ შუქდებოდეს სიუჟეტები გენდერულ დარღვევებთან დაკავშირებით. უნდა იაქტიურონ ტელევიზიებმა, ხშირად უნდა აჩვენონ ფილმები ან სხვა ვიდეოკოლაჟები თანასწორობისა და ტოლერანტობის შესახებ, რათა სამოქალაქო სექტორის შეგნების პროგრესირებას შეეწყოს ხელი ამ კუთხით. ამ საკითხთან დაკავშირებით გორში შედგა მრგვალი მაგიდა თემაზე: ,,ქალთა როლი მშვიდობისა და რეკონსტრუქციის პროცესებში“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა აქტიური მონაწილეობა მშვიდობის ყველა ინიციატივაში, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და გადაწყვეტის მიზნით.

გენდერული თანასწორობის ცნების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულების გამო და თანაწორობის იდეისადმი წინააღმდეგობის შემცირების მიზნით, შესაძლებელია უფრო შედეგიანი აღმოჩნდეს ტერმინი ,,გენდერული სამართლიანობა“, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს გენდერულ თანასწორობას სოციალური სამართლიანობისათვის. ჯანსაღი გენდერული კლიმატის შესაქმნელად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. ალბათ, ყველაზე ფუნდამენტური ცვლილება, რაც უნდა გატარდეს, არის მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ და შეთანხმებულ ღონისძიებებს, რომელშიც შედის სახელმწიფო პოლიტიკა, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, განათლება, სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების მიზანდასახული ქმედებები. კარგი იქნება, შეიქმნას ქალთა ეროვნული საბჭო, რომელიც ქალთა პოპულარიზაციაზე გააკეთებს აქცენტს, მაგრამ ის, თუ რამდენად სწორად აღიქვამს მას მოსახლეობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მოთხოვნილება თვითონ ხალხში გენდერული თანასწორობისა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად ნაბიჯები იდგმება, რაც უკვე პროგრესის მანიშნებელია. გენდერული პრობლემები უცბად ვერ მოგვარდება, ეს დროში გაწელილი პროცესია, რომელსაც დიდი სიფრთხილე და ძალისხმევა ესაჭიროება.

საკუთრების უფლების ხელყოფა და ქართული ლიტერატურა

გიორგი მღებრიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **მარიკა შერაზადიშვილი,** პროფესორი
ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

საკუთრების უფლება ნიშნავს ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებას, ფლობდეს და თავისი ნება-სურვილისამებრ, თავისუფლად განკარგავდეს ქონებას. იგი ადამიანის წარუვალი, კონსტიტუციით დაცული და უზრუნველყოფილი უფლებაა, წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობის ერთგვარ საფუძველს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ,,საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია.'' ამ ადამიანისთვის აუცილებელ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას აღიარებს და ხელშეუხებლად აცხადებს საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლი[1].

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში ,,ჯაყოს ხიზნები'', რომლის შექმნასაც მწერალმა 20 წელი მოანდომა, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალური პრობლემებია წარმოჩენილი. თხზულებაში ნაჩვენებია ფეოდალიზმის რღვევის პროცესი, ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალი თავადი თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც წითელი ბაირაღის ქნევით და ,,რევოლუციას გაუმარჯოს'' ძახილით მხარს უჭერდა რევოლუციას. შემდეგ კი, იგივე თეიმურაზი – დემორალიზებული, რევოლუციური ეპოქის მიერ გარიყული პიროვნება, რომელიც, რამდენადაც განათლებული, იმდენადვე უმოქმედოა. იგი ნელ–ნელა კარგავს ყველაფერს. მოურავი ჯაყო ცხვირწინ გამოაცლის ხელიდან მის საკუთრებას,

ამასთანავე სახელმწიფო შეუზღუდავს, შემდეგ კი გაუუქმებს საკუთრების უფლებას და ხევისთავი გვევლინება დაცემული არისტოკრატიული ფენის სახედ.

საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდში ახალმა ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანებისადმი. განსაკუთრებულად მძიმე დღეში აღმოჩნდა არისტოკრატია. ეს გარემოებაც გახლდათ ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა, რომ თეიმურაზ ხევისთავის საკუთრების უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს არ გასჭირვებია. ერთ დღესაც მიადგნენ და უბრალოდ შეატყობინეს, რომ უნდა შევიწროებულიყვნენ. თეიმურაზიც რაღას გააწყობდა, შევიწროვდა იმის შიშით, რომ სულ არ გამოეგდოთ:

,,ერთ დღეს თეიმურაზს ძაბრიანები და შავხელა მუშები მიადგნენ და უთხრეს:
- ამხანაგო, შემოკლდით! თეიმურაზი და მარგო "დამოკლდნენ" და სამ ოთახში დაბინავდნენ. კიდევ გავიდა ხანი. კიდევ მიადგნენ თეიმურაზს და უთხრეს:
- ამხანაგო, ცოტა კიდევ შემოკლდით. თეიმურაზი და მარგო ერთ პატარა ოთახში მისჭეჭყეს, ხოლო ხუთოთახში მუშები და მათი ცოლ-შვილი ჩასახლდნენ.[2] "ცოტა ხნის შემდეგ კი ეს შიშიც გაუმართლდა და ,,აბარგებაც'' მოსთხოვეს: ,,თეიმურაზს შიში გაუმართლდა: ერთხელ კიდევ მივიდნენ და უთხრეს:
- ამხანაგო, აიბარგეთ! "[3]

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციით ზემოთ ხსენებული საკუთრების ხელყოფის ფაქტი, რაღა თქმა უნდა, დაუშვებელია. კონსტიტუციის 21–ე მუხლი არა მხოლოდ აღიარებს საკუთრების უფლებას, არამედ აბსოლუტურად ხელშეუხებლად აცხადებს მას და კრძალავს საკუთრების შეძენა-გასხვისების თუ მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმებას. საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულია საკუთრების უფლების შეზღუდვა და უმკაცრესი პირობებია დაწესებული ამისათვის.

,,1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, №786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-38, 24/08/1995
[2] www.buki.ge, მიხეილ ჯავახიშვილი. ,,ჯაყოს ხიზნები" (გვ. 29)
[3] www.buki.ge, მიხეილ ჯავახიშვილი. ,,ჯაყოს ხიზნები" (გვ. 29);

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.''

თეიმურაზის შემთხვევაში, მის სახლში სხვების შესახლება, შემდეგ სულ გამოძევება თავისივე სახლიდან და საკუთრების უფლების ჩამორთმევა აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას არ წარმოადგენდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი სახლის ჩამორთმევას აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად მივიჩნევთ, თეიმურაზის უფლება მაინც დარღვეულია, რადგან მას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩამოერთვა საკუთრება. ეს კი გაუმართლებელი, უსაფუძვლო ჩარევაა საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

,,საკუთრების ძირითადი უფლება იცავს მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ მათი ქონების (ნივთების) და უფლებების ჩამორთმევისაგან. ეს არის არა მარტო გარანტია იმ თვალსაზრისით, რომ საკუთრების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ დაცულია საკუთრების, როგორც ასეთის, არსებობა, ანუ ყველას აქვს თავისი ქონების (ნივთების) და უფლებების ფლობისა და შენარჩუნების უფლება.''[1]

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით სარგებლობს თეიმურაზის მოურავი (ჯაყო) და სოფელ ნაშინდარში მდებარე სახლს-კარს ისაკუთრებს. აღნიშნული სახლი თეიმურაზს, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, დარჩენოდა მემკვიდრეობით. დღევანდელი კონსტიტუცია (21–ე მუხლი) იცავს საკუთრების განსაკუთრებულ ფორმას – მემკვიდრეობის უფლებას, ანუ საკუთრების მემკვიდრეობით მიღებისა და გაცემის უფლებას. სახლის ერთადერთი მემკვიდრე ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელი შთამომავალი თეიმურაზი გახლდათ და ხელშეუვალი უფლება ჰქონდა მემკვიდრეობით დანატოვარი სახლის ბედი განესაზღვრა, შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი სურვილისამებრ წარემართა სახლის მომავალი. ,,საკუთრების ძირითადი უფლებით პოზიტიური თვალსაზრისით დაცულია საკუთრებით სარგებლობა, ნეგატიური თვალსაზრისით მესაკუთრის უფლება, არ ისარგებლოს თავისი საკუთრებით.''[2] თუმცა, თეიმურაზის შემთხვევაში სახელმწიფო არ უზრუნველყოფს და არ იცავს მის უფლებას, თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს მემკვიდრეობით მიღებული ქონება. პირიქით, სახელმწიფო არანაირად რეაგირებს იმ ფაქტზე, რომ თეიმურაზის მოურავი სრულიად უკანონოდ ისაკუთრებს სახლს, სხვა ქონებასთან ერთად. ,,ჯაყოს დილით-დილამდე ზედ ეკიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბაჩა, თეიმურაზის მამა-პაპეული ხმალ-ხანჯალი, სამასი ვაზნით გატენილი სამი სავაზნე და ოთხი საომარი ყუმბარა. არსენალად გადაქცეული ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თავისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე.''[3] ეს კი ცალსახა დარღვევაა სხვისი საკუთრების უფლებისა, რაც ნორმალური, თანამედროვე სახელმწიფოსათვის, რაღა თქმა უნდა, დაუშვებელია.

ასე რომ, ვფიქრობთ, ყველა დემოკრატიული, თანამედროვე სახელმწიფოს პრეროგატივაა ზრუნავდეს საკუთრების უფლების დაცულობაზე და იმაზე, რომ თითოეულ მოქალაქეს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი უფლებები, რათა შეეძლოს თავისი უფლებების, ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების დაცვა და უსაფუძვლო, არასწორი შეზღუდვის ან ჩარევის შემთხვევაში შესაბამისად რეაგირება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, №786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-38, 24/08/1995
2.www.wikipedia.org;
3. www.buki.ge;
4. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2003.

[1] კონსტანტინე კუბლაშვილი, ,,ძირითადი უფლებები'', თბ., 2003;
[2] კონსტანტინე კუბლაშვილი, ,,ძირითადი უფლებები'', თბ., 2003;
[3] *www.buki.ge,* მიხეილ ჯავახიშვილი, ,,ჯაყოს ხიზნები" (გვ. 33);

კომპიუტერული დანაშაული, კომპიუტერული დანაშაულის სახეები

ნინო საათაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ მაკასარაშვილი,** პროფესორი

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ, მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად, უარყოფითი შედეგებიც გამოიწვია. ინფორმატიზაციის პროცესის შედეგად წარმოიშვა დანაშაულის ახალი სახე - კომპიუტერული დანაშაული. კომპიუტერული დანაშაულის გაზრდის ნეგატიური ტენდენცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეცნიერულ ტექნიკური პროცესის შეუფერხებელ ზრდაზე და კომპიუტერიზაციის მზარდი ტემპების კვალდაკვალ ამ დანაშაულის დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს. დამნაშავეთა სამყარო ადვილად ადაპტირდა ვირტუალურ რეალობაში და ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით უკანონოდ ითვისებენ მილიონობით თანხებს, „აცოცხლებენ" დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უზარმაზარ ფულად სახსრებს, თავს არიდებენ გადასახადებს, კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებენ სხვადასხვა დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად და შესანიღბად. სპეციალისტები პროგნოზირებენ კომპიუტერის გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის სწრაფი ზრდის ტემპებს.[1]

კომპიუტერული დანაშაულის სწრაფი ზრდის ტემპებს განაპირობებს ის, რომ მეცნიერულ ტექნიკურმა რევოლუციამ სერიოზული სოციალური ძვრები გამოიწვია, რომელთა შორის აღსანიშნავია საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საზოგადოებრივი რესურსის ახალი სახის - ინფორმაციული ურთიერთობის წარმოშობა. ინფორმაცია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველთაგანი, ამ საზოგადოების საქმიანობის საგანი და პროდუქტია.

კომპიუტერული დანაშაულების შესახებ არსებული ნორმები, პირველ რიგში, ინფორმაციის დაცვის მიზნითაა შექმნილი და ნორმები, რომლითაც ელექტრონულ- გამომთვლელი ტექნიკის მოქმედების სამართლებრივი ასპექტებია რეგლამენტირებული, სამართლის სხვადასხვა დარგის, მათ შორის სისხლის სამართალშია გათვალისწინებული.

კომპიუტერული დანაშაული სოციალური კონტროლის სფეროში 70-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა და აშშ-ში მრავალი ასეთი სახის ქმედება გამომჟღავნდა. ამ ფაქტმა მაშინ სისხლის სამართლის, იუსტიციისა და მეცნიერ-იურისტთა ყურადღება მიიზიდა და დაიწყო ამ ფენომენის ინტენსიური კვლევა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. იუსტიციის ორგანოები, რომლებიც კომპიუტერულ დანაშაულს წააყდნენ, შეეცადნენ მასთან ბრძოლა ქურდობის, თაღლითობის, ნდობის ბოროტად გამოყენების ტრადიციული დანაშაულის ნორმებით ეწარმოებინათ, მაგრამ საკითხისადმი მსგავსი მიდგომა წარუმატებელი აღმოჩნდა იმ მიზეზის გამო, რომ ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობა ვერ მოიცავდა მრავალ კომპიუტერულ დანაშაულს (მაგალითად, კომპიუტერის „მოტყუებით" ფულის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა). ეს დანაშაული ვერც ქურდობის და ვერც თაღლითობის მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდებოდა.

აღმოჩნდა, რომ კრიმინალური რეალობა და სისხლის სამართლებრივი ნორმები ერთმანეთთან შეუსაბამობაშია, რამაც დღის წესრიგში დააყენა სისხლის სამართლებრივი ნორმების განვითარების მოთხოვნა. გამოიკვეთა ორი მიმართულება: არსებული სისხლის სამართლებრივი ნორმების უფრო ფართო განმარტებისა და კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავების გზით. პირველი მიმართულება მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში, უკანონობას რომ არ მიეცეს გასაქანი, ამ საზღვრების გადაცილება დაუშვებელია. ამიტომაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავება არჩია.

განისაზღვრა კომპიუტერული დანაშაულის ცნება, როგორც ყოველგვარი მონაცემების დამუშავებისა და მათი გადაცემის სფეროში უკანონო, არაეთიკური და ნებადაურთველი ქმედება.

კომპიუტერული დანაშაული მოიცავს დანაშაულთა ფართო სპექტრს, სადაც შესაძლებელია ისეთი ჯგუფების გამოყოფა, როგორიცაა: კომპიუტერულ - ეკონომიკური დანაშაული, კომპიუტერული

[1] მ. სურგულაძე კომპიუტერული დანაშაული, თბ. 2003.

დანაშაული პირადი უფლებებისა და ხელშეუხებლობის სფეროში, კომპიუტერული დანაშაული საზოგადოების და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და სხვა.

კომპიუტერულ – ეკონომიკურ დანაშაულთაგან შედარებით გავრცელებული და საშიშია თაღლითობა ანუ ავტომატიზირებული, ინფორმაციული სისტემის ბოროტად გამოყენებით სხვის ხარჯზე არამართლზომიერი გამდიდრება, კომპიუტერულ-ეკონომიკური ჯაშუშობა, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული საბოტაჟი, კომპიუტერული მომსახურებისა და დროის ქურდობა, საინფორმაციო ავტომატურ სისტემაში თვითნებური შეღწევა და კომპიუტერის დახმარებით ტრადიციული ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა.

თანამედროვე ევროპასა და აშშ-ში ფართოდ არის გავრცელებული და კომპიუტერული დანაშაულის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს: კომპიუტერული თაღლითობა, კომპიუტერულ მატარებელზე არსებულ საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული დანაშაული, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული „მეკობრეობა“ – კომპიუტერული მომსახურების არამართლზომიერი მიღება, კომპიუტერული დროის ქურდობა.

რაც შეეხება პირადი უფლებების ხელშეუხებლობის სფეროში არსებულ კომპიუტერულ დანაშაულს, იგი ყველაზე ხშირად კომპიუტერულ სისტემაში პიროვნების შესახებ არასწორი და არაკორექტული მონაცემების შეტანით, სწორი მონაცემების დამახინჯებით ან პიროვნების შესახებ მონაცემების უკანონო ხერხით შეგროვებაში გამოიხატება.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი კომპიუტერული დანაშაული მოიცავს ინფორმაციის საზღვარგარეთ გადაცემის წესების დარღვევას, თავდაცვის სისტემის მუშაობის დეზორგანიზაციას, არჩევნების დროს ხმების დათვლისას და პარლამენტის გადაწყვეტილების მიღებისას ავტომატური სისტემის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საქართველო დამნაშავეობასთან ბრძოლის ურთიერთდახმარების შავი ზღვის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მონაწილეა. ამ დანაშაულთა შორის დასახელებულია დანაშაული მაღალი ტექნოლოგიის სფეროში - მათ შორის კომპიუტერული დანაშაული.

ინფორმაციული რესურსებისა და შესაბამისად ინფორმაციის გამოყენების წესების დარღვევამ შეიძლება მრავალი არასასურველი შედეგი გამოიწვიოს, როგორიცაა მათი დაკარგვა, გატაცება, დამახინჯება, გაყალბება, მართვის კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის პროგრამის დარღვევა, კომპიუტერის და მისი სისტემის მუშაობის მოშლა, რაც თავის მხრივ ასევე შეიძლება უმძიმესი შეუქცევადი პროცესების მიზეზი გახდეს.

კომპიუტერული დანაშაული წარმოადგენს ინფორმაციულ სფეროში ჩადენილ დანაშაულს, როგორიცაა: ელექტრონულ-გამომთველელი სისტემის გამოყენებისას კონკრეტული უფლებები და ინტერესები, ანუ სისტემის მესაკუთრის უფლება იმ ინფორმაციის ხელშეუხებლობის თაობაზე, რომელიც სისტემაშია და სისტემის სწორ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ინტერესები. ამ დანაშაულს თავისი დამოუკიდებელი ობიექტი გააჩნია. კომპიუტერები, კომპიუტერული სისტემები და ქსელები პრაქტიკაში განიხილება, როგორც დანაშაულის საგანი ან ინფორმაციის სფეროში დანაშაულის ჩადენის ტექნიკური საშუალება. მათი დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში იგი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგნად გვევლინება. კომპიუტერი, როგორც დანაშაულის ჩადენის ტექნიკური საშუალება, ისევე განიხილება, როგორც იარაღი, ტრანსპორტი და სხვა. ამ თვალსაზრისით მას გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

დანაშაულის გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის განსაზღვრა. კომპიუტერული დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დრო, კლავიატურის კლავიშზე ან „თაგვის“ ღილაკზე თითის დაჭერის მომენტი, რითაც კომპიუტერული ბრძანება იგზავნება. შედგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.

შედარებით უფრო რთულია კომპიუტერული დანაშაულის ადგილის განსაზღვრის საკითხი, რამდენადაც კომპიუტერულ დანაშაულთა უმრავლესობა კომპიუტერულ ქსელში ხდება, რომელიც რამდენიმე რეგიონს და ქვეყანას მოიცავს და რომელთა შორის წამყვანი ადგილი ინტერნეტს უკავია, ამდენად, დანაშაულის ჩადენისა და შედეგის დადგომის ადგილს შეიძლება მრავალი კილომეტრი და სახელმწიფო საზღვარიც აშორებდეს.

დღეისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს კომპიუტერული დანაშაულის ჩადენის ადგილის განმსაზღვრელ ნორმას, ამიტომაც დანაშაულის ჩადენის ადგილი შეიძლება იყოს როგორც ქმედების ჩადენის, ისე შედეგის დადგომის ადგილი, ან ის ადგილი სადაც დანაშაული აღიკვეთა, ან დამთავრდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სუბიექტთა ნებისმიერი სახის საქმიანობა ხორციელდება ან სრულდება ინფორმაციული ურთიერთობებით, ინფორმატიზაციის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სუბიექტთა ნებისმიერი სახის

ურთიერთობა უფრო მარტივი და სამართლებრივად დაცული ხდება, თუ იგი დარეგულირებულია კანონმდებლობით.

კომპიუტერული დანაშაულის სამართლებრივი საფუძვლები ტელესაკომუნიკაციო ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი პრინციპებით და იმ ნორმებით რეგულირდება, რომელთა შემდგომი კონკრეტიზაცია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ხელშეკრულება იდება კომპიუტერული ინფორმაციული ურთიერთობების რამდენიმე სუბიექტს შორის: ინფორმაციის გადამცემს, ინფორმაციის მიმღებს, კავშირგაბმულობასა, რომლის საშუალებით გადაცემა ხორციელდება და ზოგჯერ შუამავალ შორის, რომელიც ინფორმატორს და მოსარგებლეს რთავს ქსელში.

კომპიუტერული დანაშაულის განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ კომპიუტერული დანაშაულის ძირითადი სახეები:

- კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა;
- კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება;
- კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემების ან ქსელების ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

განვიხილოთ პირველი, კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა: როგორც წესი, ზოგადად ინფორმაციული რესურსები ღია და ხელმისაწვდომია, გარდა იმ დოკუმენტური ინფორმაციისა, რომელიც კანონით შეზღუდული შეღწევადობის კატეგორიას განეკუთვნება და რომელთან არამართლზომიერ შეღწევას შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც ინფორმაციის მესაკუთრეს, ისე მის მფლობელს და სხვა პირებს. ამ თვალსაზრისით, კანონით დაცულ ინფორმაციაში მოიაზრება კანონით, თუ სხვა ნორმატიული აქტით ან შინაგანაწესით დაცული დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება ამ ფაქტებს და ამოღებულია საჯარო ბრუნვიდან. როგორც წესი, ასეთ ინფორმაციას გააჩნია შეზღუდული სარგებლობის გრიფი, ანუ მისთვის კანონით დადგენილია დაცვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

თავის მხრივ, შეზღუდული შეღწევადობის დოკუმენტური ინფორმაცია, მისი სამართლებრივი რეჟიმის პირობების მიხედვით იყოფა სახელმწიფო საიდუმლოების და კონფიდენციალურ ინფორმაციად.

კონფიდენციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება პერსონალური მონაცემები. სასამართლო გადაწყვეტილების გარდა პირადი და ოჯახური მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინების საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება, და გავრცელება არ დაიშვება იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ინფორმაცია შეეხება.

მხოლოდ კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არამართლზომიერია ინფორმაციასთან შეღწევა, როდესაც პირს შეღწევის უფლება არ გააჩნია, ანდა ასეთი უფლება აქვს, მაგრამ ინფორმაციის დაცვის წესების დარღვევით ახორციელებს მას.

ამასთან, ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა შეიძლება სხვადასახვა ხერხით გამოიხატოს. ჩადენის ხერხის მიხედვით იგი ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: ჩადენილი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გარეშე, ტრადიციული ხერხით და შეღწევა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით.

ახლა განვიხილოთ კომპიუტერული დანაშაულის მეორე სახე, კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება: დღეისათვის არსებული კომპიუტერული ინფორმაციის დაცვის მრავალფეროვანი საშუალებების მიუხედავად, „ხაკერები“, „ელექტრონული კორსარები“, „კომპიუტერული მეკობრეები“ ახერხებენ ამ ინფორმაციასთან შეღწევას. კომპიუტერის დამაზიანებელ პროგრამებში უპირველესად კომპიუტერული ვირუსი სახელდება. ვირუსი მას იმიტომ ეწოდება, რომ მისი მოქმედება ძლიერ წააგავს ბიოლოგიური ვირუსის მოქმედებას, რომელიც ჯანსაღ უჯრედებს იყენებს, აავადებს მათ და ვირუსის წარმოებას აიძულებს. თავისთავად კომპიუტერული ვირუსი არ არსებობს. ის იყენებს სხვა პროგრამებს, რომლებიც მოდიფიცირდებიან და ასრულებენ რა განსაზღვრულ ფუნქციებს, აწარმოებენ ვირუსს. კომპიუტერული ვირუსის საშიშროება ისაა, რომ შეიძლება გამოიწვიოს კომპიუტერული ინფორმაციული სისტემის სრული დეზორგანიზაცია.

რაც შეეხება კომპიუტერული დანაშაულის მესამე სახეს, კომპიუტერის ექსპლოატაციის წესების დარღვევა იყოფა ინტელექტუალური და ფიზიკური ხასიათის დარღვევებად.

ინტელექტუალური ხასიათის დარღვევაში მოიაზრება კომპიუტერულ პროგრამასთან მცდარი დიალოგი, კომპიუტერში ისეთი მონაცემების შეყვანა, რომლის დამუშავება მოცემული გამომთვლელი ტექნიკის შესაძლებლობას აღემატება.

ფიზიკური ხასიათის დარღვევა გულისხმობს მოწყობილობის არასწორ განლაგებას, ტემპერატურის რეჟიმის დაუცველობას, კვების წყაროში კომპიუტერის არასწორ ჩართვას, დაცვის არასერტიფიცირებული და თვითნაკეთი მოწყობილობის გამოყენებას.

ასეთი სახის კომპიუტერული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. იგი შეიძლება სამი ფორმით გამოიხატოს:

– კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველმყოფელი წესების დაუცველობით;

– მუშაობის პარამეტრების არასათანადო დაცვით;

– კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველმყოფელი წესების უშუალო დარღვევით .

პირველი ორი ფორმა უმოქმედობით ხორციელდება, ბოლო კი- აქტიური მოქმედებით.

ინტერნეტში მუშაობისას, რამდენადაც საერთაშორისო ქსელი ღიაა თითოეული კლიენტისათვის, იმდენად მისი კომპიუტერული სისტემის რესურსები გარკვეულ პირობებში ღიაა ყველასათვის, ვინც ფლობს ამის აუცილებელ საშუალებას. კერძო მომხმარებლისათვის ეს ფაქტი განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს, მაგრამ ამის ცოდნა აუცილებელია, რომ არ დაუშვათ იმ ქვეყნების კანონმდებლობის დამრღვევი მოქმედებები, რომელთა ტერიტორიაზეცაა განლაგებული ინტერნეტის სერვერები. ასეთ მოქმედებებს განეკუთვნებიან კომპიუტერული სისტემის მუშაობის უნარიანობის დარღვევის განზრახული ან უნებლიე ცდები. საერთაშორისო ქსელში მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოქმედება ფიქსირდება და აღირიცხება სპეციალური პროგრამული საშუალებებით და ინფორმაცია, როგორც კანონიერ, ისე უკანონო მოქმედებაზე, სადღაც აუცილებლად გროვდება. დღეს ინტერნეტი არ წარმოადგენს მარტო ურთიერთობების საშუალებას და უნივერსალურ საცნობარო სისტემას. მასში მოძრაობს სახელშეკრულებო და ფინანსური ვალდებულებები, რომელთა დაცვის აუცილებლობა საჭიროა, როგორც დათვალიერების, ისე ფალსიფიკაციისაგან.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი და შეუფერხებელი განვითარების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უსაფრთხოება ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული და უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომელთა მეშვეობით უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. ამ მხრივ საჭიროა კანონმდებლობის ეტაპობრივი განვითარება, დახვეწა და მისი თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ლიტერატურა:

1. მაღრაძე მ., სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2010.
2. სურგულაძე მ., კომპიუტერული დანაშაული, თბ., 2003.
3. ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 1999.
4. Батурин Ю. М. и др. Компьютерная преступность и компьютерная безопасность, М., 1997.
5. http://www.science.org/Documents/koncefcia/koncefcia.pdf

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვარი №2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000 – 2015 წლებში))

6. http://conference.ge

თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

თამარ ქერდიყოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია არის ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საერთო კანონზომიერებებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს, როლსა და განვითარების ტენდენციებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესები და მათი ასახვა ხალხის ცნობიერებაში ურთულესი და საკვანძო საკითხია, ამ პრობლემის თეორიული გააზრება საზოგადოებრივი პროცესების მეცნიერული მართვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ თვით ცხოვრებამ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ფუნდამენტურ მეცნიერებათა რიგში ჩააყენა. ორი ათასწლეულის მიჯნას მსოფლიო რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო, ღრმა ცვლილებებითა და გარდაქმნებით შეხვდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, პოსტსოციალისტურ ქვეყნებს ეხება (მათ შორის საქართველოსაც), სადაც მიმდინარეობს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, თანდათანობით ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო. გარდამავალ პერიოდში შედარებით უფრო სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა და მოქმედი კანონმდებლობა, ვიდრე ხალხის ცნობიერება. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის, როგორც მეცნიერების, მიზანია მიიღოს, განაახლოს და გააღრმაოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების მყარი, სიღრმისეული კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ისტორიულ მოძრაობას.

სახელმწიფოსა და სამართლის მრავალწახნაგოვანი და აქტიური ფუნქციონირება არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის არსი. ამასთან, ეს არის ისეთი რეალობა, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივმა ძალამ, მიუხედავად მისი სოციალურ - პოლიტიკური მიმართულებისა. ეკონომიკა, სოციალური სფერო, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ქვეყნის თავდაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა - აი სახელმწიფოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სფეროებისა და სამართლებრივი რეგულირების არასრული ჩამონათვალი.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია განზოგადებულად შეისწავლის შორეული წარსულიდან მოყოლებული მრავალი ქვეყნის სახელმწიფოსა და სამართლის სისტემებს.[1]

ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გ. ინწკირველი, წერს: „ჯერჯერობით არ არის თანამედროვე სრული პროგრამები და სტაბილური სახელმძღვანელოები სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში“.[2]

სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია ერთმანეთისგან, ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ცოდნის იზოლირებული დარგი კი არა,ერთი მთლიანი მეცნიერებაა და სამ, შედარებით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ნაწილად იყოფა.[3]

ეს სტრუქტურული ნაწილებია; 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი მიმართულებები 2. სახელმწიფოს ზოგადი თეორია (სახელმწიფომცოდნეობა) 3. სამართლის ზოგადი თეორია (სამართალმცოდნეობა).[4]

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია ისტორიულ - იურიდიული მეცნიერებაა. მის მიზანს არ წარმოადგენს გამოიკვლიოს ისტორია მის მთლიანობაში, მის ერთობლიობაში. ეს საქართველოს ისტორიის ამოცანაა. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პირველყოვლისა, შეისწავლის მხოლოდ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი დაწესებულებების წარმოშობა - განვითარების ისტორიულ პროცესებს, მათ კანონზომიერებებს, შეძლებისამებრ ადგენს მათი განვითარების დონეს, მათ ისტორიულ სიმაღლეს. საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია შეისწავლის ქართული სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა-განვითარების გზას გარკვეულ კონკრეტულ ვითარებაში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თუმცა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ამა თუ იმ მოვლენის ისტორიულ-ქრონოლოგიური სიმაღლე ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მასალას თუ თეორიის ნისლით დავაბნელებთ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. როგორც გოეთე იტყოდა, უფერულია აქ თეორია, მაგრამ ცხოვრების ოქროს ხე კი მარად მწვანეა. თეორია ფაქტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის და სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში მითითებულია, რომ სახელმწიფოს და სამართლის თეორია, არის ისეთი ხასიათის იურიდიული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობის და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, ხოლო სახელმწიფოს და სამართლის ისტორია კონკრეტული ქვეყნების ისტორიულ - სამართლებრივ წყაროებზე დაყრდნობით სწავლობს სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა-განვითარების იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია მოცემული მხარისა თუ რეგიონისათვის.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას გარკვეული კავშირი აქვს ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიასთანაც. შუა საუკუნეებში საქართველოში დიდ

---

[1] ლობჟანიძე გ., სახელმწიფო სამართლის თეორიები, თბ., 2003, გვ. 3, 4, 5,

[2] ინწკირველი გ., სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003, გვ. 3, 4, 5, 6

[3] ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003, გვ. 6, 7

[4] ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 8, 9

როლს თამაშობდა რელიგია, როგორც ხალხში გაბატონებული შეხედულება ღმერთზე და მის დამოკიდებულებაზე ადამიანებთან. რელიგია იყო მაშინდელი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ხოლო ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვების შედეგად იგი გადაიქცა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიულ საფუძვლადაც.[1]

განასხვავებენ სამართლის თეორიის ემპირიულ, ანალიტიკურ და ნორმატიულ ფუნქციებს. სამართლის თეორია ემპირიულ ფუნქციას ასრულებს იმდენად, რამდენადაც შეისწავლის არა მარტო სამართლის ნორმებს, არამედ სამართლის სოციალურ როლს, არკვევს ნორმების გავლენას ადამიანთა ქცევაზე, სამართლის ნორმის ფაქტობრივ მოქმედებას , სამართლის ეფექტურობას და სხვა. სამართლის თეორიის ანალიტიკური ფუნქცია გამოიხატება სამართლის ნორმის სტრუქტურის, სამართლის ძირითადი ცნებების, სამართლის ფორმების ანალიზში. სამართლის თეორიის ნორმატიული ფუნქციაა სამართლის მოქმედების საფუძვლების, სამართლის შეფარდების მეთოდების, სამართლიანობისა და ,,მართალი სამართლის'' პრობლემების შესწავლა. სამართლის თეორიას მჭიდრო კავშირი აქვს იურიდიულ პრაქტიკასთან. სამართლის თეორია არ უნდა გავაიგივოთ აბსტრაქტული იურიდიული ცნებებისა კატეგორიების ერთობლიობასთან, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს პრაქტიკოსი იურისტისათვის - ,,სწორი თეორია ყველაზე პრაქტიკულია''[2]. იურიდიულ მეცნიერებაში სახელმწიფოს ფუნდამენტური კვლევა გამოჩენილი გერმანელი იურისტის გეორგ ელინეკის სახელთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, სახელმწიფოს ორი ასპექტი აქვს: სოციალური და იურიდიული. ამის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფოს ორ გაგებას: სოციალურს და იურიდიულს. სახელმწიფო, როგორც სოციალური მოვლენა, არის სოციოლოგების კვლევის საგანი, ხოლო სახელმწიფო, როგორც იურიდიული მოვლენა, იურიდიულ მეცნიერებას განეკუთვნება.

სახელმწიფო, როგორც იურიდიული მოვლენა, ცნობიერდება სამართლის სუბიექტის სახით. ე.ი. იურიდიული მეცნიერების კვლევის საგანი არის სახელმწიფო, როგორც სამართლის სუბიექტი. გ. ელინეკის აზრით სახელმწიფო, როგორც სამართლის სუბიექტი, არის იურიდიული პირი, კორპორაცია, ან კოლექტიური პირი. ამ იურიდიული პირის, კორპორაციის, კოლექტიური პირის შემადგენელი ნაწილებია სახელმწიფო ორგანოები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის ორგანოები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ამავე დროს, სახელმწიფო არის ამ ორგანოების სისტემა, იგი მათ გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ ამ ორგანოების მეშვეობით. ეს ორგანოები აღჭურვილი არიან გარკვეული უფლებებით ანუ კომპეტენციით, რომელთა ჯამი ქმნის სახელმწიფოს სახელმწიფოს იურიდიულ ფიგურას ანუ სამართლებრივ ენაზე იურიდიულ პირს. ცნობილი ფრანგი მეცნიერი ა. ესმენი ასევე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო არის სამართლის სუბიექტური პირის ფორმით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის პერსონიფიცირებული სამართლებრივი ნორმა, იურიდიული პერსონა.[3]

ხოლო რაც შეეხება ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფესორ გ. ინწკირველს, ის, ყველა ავტორისაგან განსხვავებით და თანმიმდევრულად, აყალიბებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ვინაიდან მისი საგანი, მისი შესწავლის ობიექტებია გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენები, სახელმწიფო და სამართალი, რომლებიც წარმოიშვნენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე, პირველყოფილ - თემური წესწყობილების რღვევის შედეგად.

სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო სამართალს შეადგენენ ის სავალდებულო ქცევის წესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა თითქმის მათი წარმოშობისთანავე დაიწყო. მომდევნო ეპოქებში, თანამედროვე პერიოდის ჩათლით, სხვადასხვა ქვეყნებში შეიქმნა უამრავი დაპირისპირებული შეხედულებები, წარმოდგენები და თეორიები, სახელმწიფოსა და სამართლის, ამ რთული საზოგადოებრივი მოვლენების არსისა და დანიშნულების შესახებ. ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის მხოლოდ განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენებს - სახელმწიფოსა და სამართალს, რითაც იგი განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისგან, რომელთა შესწავლის საგანია სხვა საზოგადოებრივი მოვლენები. მაგალითად: ეკონომიკური მეცნიერების საგანია ეკონომიკური ურთიერთობანი ადამიანთა საზოგადოებაში, ეთიკისა - ზნეობა, ენათმეცნიერებისა - ენის განვითარების კანონზომიერებანი და ა.შ. მიუხედავად განსხვავებებისა, სახელმწიფოსა და სამართლის

[1] ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, თბ., 2005, გვ. 6, 7, 9

[2] ხუბუა გ., სამართლის ისტორია, თბ., 2004,. გვ. 11, 12

[3] სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია'' თბ., 2009, გვ. 7, 8, 9,10

თეორიას კავშირი აქვს ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და ისტორიულ მეცნიერებებთან, რომელთა მონაცემებისა და დასკვნების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის მთელი რიგი საკითხების გარკვევა. საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვს სახელმწიფოსა და სამართლის თორიას ისეთ საზოგადოებრივ, იურიდიულ დისციპლინებთან, როგორიცაა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.[1]

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია სწავლობს სახელმწიფოსა და სამართალი წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ქვეყანაში, ქვეყნის გარკვეულ ჯგუფში, ან ყველა ქვეყანაში. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოსა სამართლის სწორი გაგება. მათი საერთო კანონზომიერებების დადგენისათვის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ეპოქის იურიდიული ძეგლებისა და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით. პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია კი სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უმთავრესი იდეების, შეხედულებების, თეორიების არსებობას და განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგნის დადგენისთვის სპეციალურ დარგობრივ -იურიდიულ დისციპლინებთან მისი ურთიერთკავშირის გარკვევას. იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგის შესწავლის საგანიც ხომ სახელმწიფო და სამართალია. მაშინ რა განსხვავებაა ამ დარგებსა და სახელმწიფოსა სამართლის თეორიას შორის, რით განსხვავდება ერთმანეთისგან მათი კვლევის ობიექტები, მათი საგანი? სახელმწიფო და სამართლის თეორია ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერებაა, რომლის შესწავლის საგანია სახელმწიფო და სამართალი მთლიანად. იგი არკვევს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, იხილავს და წყვეტს ისეთ პრობლემებს, რომლებიც საერთოა იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ ყველა სხვა ან მთელი რიგი დარგებისათვის, იძლევა პასუხს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ყველაზე არსებით, ძირეულ საკითხებზე. ,,სახელმწიფოსა და სამართლის თეორია'' - როგორც მეცნიერების დარგი, ასეთი სახელწოდებით შემოდის იურიდიულ ლიტერატურაში გასული საუკუნის პირველ ათწლეულიდან, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირსა და სხვა ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში - სპეციალური მონოგრაფიებისა და სასწავლო გამოცემების ავტორთა ნაშრომებში. მანამდე, უფრო მეტად სამართლის თეორიაზე იყო გამახვილებული ყურადღება და შედარებით ნაკლებად იკვლევდნენ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პრობლემებს, ვიდრე სამართლისას, სახელმწიფოს წინაშე სამართალს უფრო პრიორიტეტულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოების განვითარებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ სახელმწიფო და სამართალი ერთდროულად წარმოიშობიან ადამიანთა საზოგადოების გარკვეულ ეტაპზე, რომ ეს პროცესი ერთი და იგივე კანონზომიერებებითაა განპირობებული, ,,ხოლო მათი შემდგომი განვითარება და არსებობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სახელმწიფოსა სამართლის ზოგადი თეორიის მეცნიერებებთან კავშირის არსებობის განსაზღვრისას პროფესორი ა. ვაჩეიშვილი მიუთითებს სამართლის ენციკლოპედიის ცნებაზე, რომელიც გავრცელდა რუსულ ლიტერატურაში.

სამართლის ფილოსოფიის გარდა სახელმწიფოსა სამართლის თეორიას მეტ - ნაკლები კავშირი აქვს სხვა საზოგადოებრივ, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, რომელთაგან თითოეულს თავისი კვლევის საგანი გააჩნია, მაგრამ საქმე აქვთ სახელმწიფო -სამართლებრივ მოვლენებთან. მათ შორის აღსანიშნავია კავშირი ეკონომიკურ მეცნიერებებთან და პოლიტოლოგიასთან. სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია სამართლის გარეშე, ვინაიდან გაბატონებული კლასი ან სხვა სოციალური ფენა და მისი სახელმწიფო სწორედ სამართლის მეშვეობით, სამართლებრივი ნორმების დადგენით კარნახობენ და აცნობენ საზოგადოების წევრებს თავიანთ ნება - სურვილს. ხოლო სამართლის არსებობაც წარმოუდგენელია სახელმწიფოს გარეშე, ვინაიდან სამართლებრივი ნორმების შესრულება განუხორციელებელი იქნებოდა სახელმწიფოებრივი იძულების შესაძლებლობის, სათანადო სახელმწიფო აპარატის გარეშე.[2]

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია არსებითად არის შესავალი მეცნიერება იურისპრუდენციაში. ის შეიმუშავებს სახელმწიფომცოდნეობისა და იურისპრუდენციის საწყის ცნებებსა და კატეგორიებს, ავლენს და აყალიბებს კანონზომიერებებს, რომელიც გამოიყენება ყველა დისციპლინების შესწავლისას. ეს საშუალებას აძლევს სამართლებრივი კვლევის სხვადასხვა სფეროში მომუშავე იურისტებს, ისაუბრონ ერთ სამეცნიერო ენაზე, განავითარონ შესაბამისი დებულებები იურისპუდენციის სხვადასხვა დარგში და სხვა.

---

[1] ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003, გვ. 9, 10

[2] ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003.

წარსული და თანამედროვე დროის მეცნიერულმა აზროვნებამ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ მთელი რიგი თეორიები წამოაყენა. მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილი და გავრცელებულია: თეოლოგიური, პატრიარქალური, საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ორგანული ძალმომრეობის, ფსიქოლოგიური, ისტორიულ-მატერიალური თეორიები.

თეოლოგიური თეორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ ყველაზე ადრეული თეორიაა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიოს შესახებ პირველსაწყისი რელიგიურ -მითოლოგიური წარმოდგენებიდან. პატრიარქალური თეორია წამოაყენა ჯერ კიდევ არისტოტელემ. იგი სახელმწიფოში ხედავს დიდ ოჯახს, რომელიც ისევე ზრუნავს თავის ქვეშევრდომებზე, როგორც მამა თავის შვილებზე. ე. დიურინგის, ვ. გუმპლოვიჩის, კ. კაუცკის და სხვათა ნაშრომებში ჩამოყალიბებულია ძალმომრეობის თეორია. მათი აზრით, სახელმწიფო ძალადობის, მტრობის, ერთი ტომის მიერ მეორის დაპყრობის შედეგია, იგი იქცევა სახელმწიფოსა და სამართლის პირველწყაროდ. ფსიქოლოგიურ თეორიას სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების მიზეზები დაჰყავს ადამიანის ამა თუ იმ თვისებებამდე, ბიოფსიქიკურ ინსტინქტებამდე და სხვა.

სახელმწიფოს წარმოშობამდე, კაცობრიობის ამ შორეულ წარსულში, არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იყვნენ არც ექსპლუატატორები და არც ექსპლუატირებულნი. საწარმოო ძალთა განვითარების უაღრესად დაბალი დონის გამო ადამიანებს ჯერ არ შეეძლოთ რთული იარაღების შექმნა და მეტად პრიმიტიული იარაღებით სარგებლობდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ ერთად ეცხოვრათ, საერთო ძალებით მოეპოვებინათ ყველაფერი, რაც აუცილებელი ცხოვრებისათვის: საკვები, ტანსაცმელი, იარაღი და სხვა. კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე, ათეულ და ასეული ათასი წლების მანძილზე, ადამიანები ცხოვრობდნენ ე.წ. პირველყოფილი ჯოგების სახით. შემდეგ კი, როდესაც მეთევზეობა განვითარდა და ნადირობა უფრო სრულყოფილი გახდა, ჩამოყალიბდა ადამიანთა უფრო მყარი და უფრო მრავალფეროვანი გაერთიანება გვარი. გვარის განვითარების პირველ საფეხურზე წამყვან როლს ქალი ასრულებდა.

გვაროვნული წესწყობილებისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ არ არსებობდა რაიმე საჯარო ხელისუფლება, სპეციალური აპარატი ან ორგანო სისტემური ძალადობის, იძულების გამოყენებისა და ადამიანთა დამორჩილებისათვის. მართალია გვარი საერთო კრებაზე ირჩევდა თავის მეთაურს - უხუცესს, ბელადს, მაგრამ მათ ხელისუფლებას არაფერი ჰქონდა საერთო სახელმწიფო ხელისუფლებასთან. გვაროვნულ საზოგადოებაში წევრთა შორის ურთიერთობა არ იყო მოწესრიგებული რაიმე დაწერილი კანონებით ან სამართლის სხვა ნორმებით, მაგრამ ამ დროს არსებობდა სხვა ხასიათის ნორმები, ქცევის წესები, რომლებიც დაუწერელი ჩვეულებების სახით მოქმედებდნენ. ქცევის ამ წესების ე.ი. პირველყოფილი ადათ-ჩვეულებების შესრულება ხდებოდა არა სპეციალური იძულებითი აპარატის მეშვეობით, არამედ დამკვიდრებული ტრადიციების, გამომუშავებული ჩვევების გამო, გვარის უხუცესების და ბელადების ავტორიტეტის გავლენით.[1]

ხოლო ჩვეულების დამრღვევის მიმართ გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრი ზომები მთელი გვარის, ან ტომის წევრთა მიერ. თუ ადრე მკვლელობის შემთხვევაში მხარეებს შორის მტრობა მთელ გვარებს შორის მტრობად იქცეოდა, შემდგომ სისხლის აღება ევალებოდა მოკლულის უახლოეს ნათესავებს მკვლელისა ან მისი უახლოესი ნათესავების მიმართ. შემდეგ დამკვიდრდა ე.წ. ტალიონის პრინციპი (თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ), პრობლემა გვარდებოდა რაიმე საზღაურის გადახდით. საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად გაჩნდა კერძო საკუთრება, რასაც ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ..

სახელმწიფო და სამართალი ადრე არ არსებობდა. ისინი მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში ჩნდებიან, როდესაც კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად იქმნება შესაძლებლობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. ამრიგად, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის წინაპირობაა კლასების არსებობა.

პირველი, ყველაზე უფრო წმიდა კლასიკური მაგალითია სახელმწიფოს წარმოშობა ათენში. სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფორმად ითვლება რომის მაგალითი. რაც შეეხება მესამე ფორმას, მის მაგალითად ენგელსი ასახელებს სახელმწიფოს წარმოშობას გერმანულ ტომებში. ახალ ისტორიულ ვითარებაში, ანტაგონისტური კლასების წარმოშობის შემდეგ, ძველი წესები, ცხადია, ვერ მოაწესრიგებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად იქმნება მისი სპეციალური ორგანო - სასამართლო. ინიშნებიან სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებლობაში აძლევენ და სხვადასხვა სახის სასჯელს

[1] ინწკირველი გ., სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია'' თბილისი 2003 წ. გვ. 13, 14, 15

უფარდებენ სამართლის დამრღვევ პირებს. წერილობითი სასამართლო გადაწყვეტილებები და სანქცირებული ჩვეულებები შეადგენდნენ პირველ სამართლებრივ ნორმებს.

ჩვეულებითი სამართალი არის შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვითდინებით ჩამოყალიბებულ, საზოგადოების წევრები მიერ ზოგად სავალდებულო ნორმებად აღიარებული, ქცევის მუდმივად განმეორებად ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ ჯგუფს, მათში მონაწილე პირების უფლება - მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით, და რომელთა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სასამართლო იძულების გამოყენების შესაძლებლობით.[1]

ჩვეულება, ისევე როგორც სამართალი, ნორმატიულად არეგულირებს სოციალურ ურთიერთობებს. სამართალსა ჩვეულებას აქვს საერთო ნიშნები, კერძოდ:

1. როგორც ჩვეულებას, ასევე სამართალს აქვთ ნორმატიული ხასიათი.
2. ჩვეულება, როგორც სამართალი, არის არასრული წესრიგი.
3. თითოეული მათგანი არეგულირებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს.
4. როგორც სამართალი, ასევე ჩვეულება ეხება მხოლოდ ადამიანთა გარეგან ქცევას.

ჩვეულება ისტორიულად წინ უსწრებდა სამართალს. ჩვეულება, მორალისაგან განსხვავებით, არ მოიცავს შეფასებას. სასამართლო სამართალი არის ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ფიქსირებულ ანალოგიურ საქმეებზე სასამართლოებისათვის სავალდებულო ნორმები - სასამართლო პრეცედენტები, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს, მათში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობათა აღიარება-გამიჯვნის გზით.[2]

ლიტერატურა:

1. ლობჟანიძე გ., სახელმწიფო სამართლის თეორიები, თბ., 2003.
2. ინწკირველი გ., სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003.
3. ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორიები, თბ., 2005.
4. სავანელი ბ., სახელმწიფო სამართლის თეორიები, თბ., 2009.

პლატონი სულის უკვდავების შესახებ („ფედონის“ მიხედვით)

თამარ ქერდიყოშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** პროფესორი

დიალოგი ,,ფედონი'', დიდი ბერძენი ფილოსოფოსის - პლატონის (427-347) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა, ,,ფედონი'' მიზნად ისახავს სულის უკვდავების მტკიცებას. ოლიმპიოდორე, ,,პლატონის ცხოვრების'' მიხედვით, პლატონის საფლავზე ასეთი ეპრერამა ამოუტვიფრავთ: ,,ორი ძე ჰყავს აპოლონს - ასკლეპროსი (მკურნალობის ღმერთი) და პლატონი. ერთი სხეულის მკურნალია, მეორე კი სულის...''.[3]

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში, პლატონი ხაზგასმით ამტკიცებს ადამიანური არსების დუალიზმს, მის განწილულობას ,,სულად'' და ,, ხორცად“. სწორედ სულია ადამიანის ბუნების წარმმართველი საწყისი, რომელიც ისე იყენებს სხეულს, როგორც, მაგალითად, ხელოსანი საქმის კეთებისას ხელებს, თვალებს და სხვა მისთნათ.

,,რა არის ადამიანი?'' კითხულობს პლატონი: სული სხეული თუ ორივე მათგანი ერთად? იქნებ

[1] ნადარეიშვილი გ, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, 19, 20, 23
[2] ინწკირველი გ., სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიები, თბ., 2003.
[3] პლატონი, ,,ადრეული დიალოგები'', თბ., 1997, გვ. 375

სხეულია ადამიანი? მაგრამ სხეული თვითონ კი არ მართავს თავს, არამედ სულის მიერ წარიმართება. ,,ხოლო თუ ადამიანი არც სხეულია და არც სული და სხეული ერთად, მაშინ ის… ან არარაა, ან, თუ რამეა მხოლოდ და მხოლოდ სული''. სოკრატემ იმთავითვე მკვეთრი ზღვარი გაავლო მატერიალურ და სულიერ სამყაროს შორის და შემეცნების ერთადერთ საგნად სწორედ ეს უკანასკნელი გამოაცხადა. ამიტომ მისი ფილოსოფია, უწინარეს ყოვლისა, ეთიკური მოძღვრებაა: ცოდნა მისთვის თვითმიზანი კი არ არის, არამედ პრაქტიკულ ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალება, იმ კითხვების პასუხი, რომლებსაც ადამიანის წინაშე ყოველი ფეხის ნაბიჯზე აყენებს თვით მისი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ პასუხის სისწორე განსაზღვრავს, სოკრატეს აზრით, ადამიანის მორალურ სახეს, მის ბედნიერებას თუ უბედურებას. თუ ყოველი საგნის, ყოველი ქცევის ფარდობითი ღირებულება ვიცით, მაშინ ხელთა გვაქვს ერთადერთი სწორი ორიენტირი. თუ ჩვენსავე თავს ვიცნობთ, მაშინ ისიც ვიცით რა გვჭირდება, რა არის ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო. ცხადია, თავისი თავისთვის არავის სურს ბოროტება. საქმე ისაა, რომ მიზანს ყოველთვის ნება სახავს და ნება ირჩევს მის მიღწევის გზებსაც; ხოლო საკუთრივ ნება, ანუ სულის გარკვეული მიდრეკილება, მისი სწრაფვა ამა თუ იმ საგნის მიმართ, თვით ამ საგნით კი არ არის მოტივირებული, არამედ შინაგანი განსჯით, იმ პიროვნული წარმოდგენით, რასაც სულში ეს საგანი იწვევს. ცოდნა და ზნეობა უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს. ცოდნის მიზანი ზნეობაა, მეტიც, ცოდნა თვითონაა ზნეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ სოკრატეს არასოდეს გაუმიჯნავს ერთმანეთისაგან სიკეთის ცოდნა და სიკეთის ქმნა: სიქველე, როგორც სულის თვისება, იგივეა, რაც ზნეობრივი აქტი - ქველმოქმედება.[1]

,,არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?'' – რუსთველის ეს ზნეობრივი იდეალი პირწმინდად სოკრატულია. პლატონის ფსიქოლოგიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოსჭვივის ,,ვეფხისტყაოსნის'' შემდეგ სტრიქონებშიც: ,,დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა''. აქ ,,სირა'' ბერძნული სიტყვაა - (,,რიგი'' ,,მწკრივი''). თავის ერთ-ერთ შედევრში, რომელიც სულის უკვდავებისადმია მიძღვნილი, პლატონი წერს:,,... კაცის სხეული, კაცის ხილული და ნივთიერი ნაწილი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ გვამს ვუწოდებთ და რომელიც დასაშლელად და დასარღვევადაა განწირული, სიკვდილისთანავე კი არ იხრწნება, არამედ მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, მით უმეტეს, თუ ეს გვამი აყვავებული სხეულია ყმაწვილი ქალისა ანდა ჭაბუკის. მეტიც, დამჭკნარი და ეგვიპტელთა წესით დაბალზამებული სხეული თითქმის უცვლელად ინახება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგრამ მაშინაც კი, როცა სხეული იხრწნება, ზოგიერთი მისი ნაშთი და ნამუსრევი, როგორც მაგალითად, ძვლები, ძარღვები და მისთანანი, იმდენ ხანს ძლებს, რომ უკვდავი ეგონება კაცს''...[2]

,,ტიმეოსის'' ავტორი სამ სხვადასხვა ნაწილად ყოფს ადამიანის ინდივიდუალურ სულს, რომელთაგანაც ერთი ,,უკვდავია'' დანარჩენი ორი კი ,,მოკვდავი''. პლატონის ფსიქოლოგიური თეორიის ანალიზისას ჩვენ ვწერთ: ,,სულის უკვდავი ნაწილის სამყოფელი, მისი სავანეა თავის ტვინი. ,,ტიმეოსი'' ხაზგასმით აღნიშნავს ტვინის უდიდეს სასიცოცხლო მნიშვნელობას, მის განსაკუთრებულ როლს თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს ვიტალურ პროცესში. ტვინის, როგორც სულის სამყოფელის ,,ტიმეოსისეული'' გაგება ძირეულად განსხვავდება თანამედროვე ბიოლოგიური თეორიისაგან, თავისი ფიზიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ყველა მატერიალური სხეულისაგან. თანამედროვე ტერმინოლოგიის მეშვეობით, დაახლოებით ამავე აზრს ვიმეორებთ დღესაც, როცა ვამტკიცებთ, რომ ტვინი მატერიის ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად გვევლინება. …,,ტვინშია ჩაკირული ყველა სასიცოცხლო კავშირი, ტვინშია მოკვდავთა მთელი მოდგმის ფესვი, მაგრამ თვით ტვინი სულ სხვა მასალისგანაა შექმნილი.

…,,სიჭაბუკე სიცოცხლის იმ პერიოდადაა დასახული, როცა ორგანიზმი ადვილად ,,ერევა'', ესე იგი, შლის და ითვისებს საკვებ ნივთიერებათა ელემენტარულ ნაწილაკებს და, ამრიგად, უფრო მეტს იღებს, ვიდრე გასცემს, რაც იმას ნიშნავს, რომ შენაძენი სჭარბობს დანაკლისს მაშინ, როდესაც სიბერე ფუნქციონირების სრულიად საპირისპირო სურათს - დანაკლისისა თუ დანაკარგის სიჭარბეს და ამის შედეგად, სასიცოცხლო ძალთა თანაფარდობით დაწრეტას, ბოლოს კი სიკვდილსაც გულისხმობს''...[3]

პლატონის ერთ - ერთ დიალოგში (,,ფედონი'') ამოვიკითხავთ: …,,ძნელად სავალ ბილიკს მივსდევთ ჩვენი ძიებისას და ვიდრე სხეულისაგან არ განვძარცულვართ, ვიდრე სული არ გაჰყრია ამ ბოროტებას, მთელი სისრულით ვერასოდეს მივწვდებით მას, რასაც ვესწრაფვით, ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას. მართლაც, სხეული უთვალავ დაბრკოლებას გვიქმნის ჩვენ, რადგან გვაიძულებს საზრდელი ვეძიოთ მისთვის, სწორედ სხეული გვავსებს ვნებებით, სურვილებით, ათასგვარი მოჩვენებებით. არ ცდებიან როცა ამბობენ, რომ სხეულის წყალობით ერთხელაც კი ვერ

[1] პლატონი, ,,პარმენიდე'', თბ., 2002.
[2] პლატონი, ,,ფედონი'', თბ., 1966.
[3] პლატონი ,,პარმენიდე'', თბ., 2002.

ჩავფიქრებივართ ჯეროვნად რამეს.

ომები, ამბოხებები და ბრძოლები მხოლოდ სხეულისა და მისი ვნებებისგან იღებს დასაბამს, რადგან ყველა ომის მიზანი სიმდიდრის მოხვეჭაა, ხოლო სიმდიდრე ჩვენ გვჭირდება სხეულისათვის, რომელსაც მონის მორჩილებით ვემსახურებით. სიკვდილის შემდეგ, როცა სული საბოლოოდ ეყრება სხეულს და თავის თავში რჩება მარტოოდენ. როგორც ჩანს, სიცოცხლეშივ მხოლოდ მაშინ მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას, როცა იმდენად დავშორდებით სხეულს, რომ მხოლოდ აუცილებლობა თუ გვაიძულებს საქმე ვიქონიოთ მასთან, როცა სხეულის ბუნებით კი არ ავივსებით და გავისვრებით, პირიქით, ჩვენს სიწმინდეს დავიცავთ მისგან, დავიცავთ მანამ, სანამ თვით ღმერთი არ აგვიხსნის ბორკილებს; რადგან უფლის განგებით უწმინდური ვერასოდეს გაეკარება წმინდას''...

დავუკვირდეთ გამოთქმას - ,,სულის შემკვრელი კავშირნი''. ანუ, რაც იგივეა, ,,სულის საბმელნი'', არა მარტო ,,კავშირს'', არამედ ,,საბმელს'' და ,,ბორკილსაც'' ნიშნავს… აი, რა არის, პლატონის მიხედვით, სიბერე.

,,ტიმეოსის'' ამ მომხიბლავმა პასაჟმა, რომლის მიხედვითაც, სულები ცის თავანზე გრძნეულად მოციმციმე ვარსკვლავებიდან ეშვებიან დედამიწაზე, რათა აქ ადამიანებად განსხეულდნენ, სიკვდილის შემდეგ კი კვლავ თავიანთ წილხვდომილ ვარსკვლავებს უბრუნდებიან, თანაბრად შესძრა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორი დიდი პოეტის გენია… ,,სამოთხის'' მეოთხე სიმღერაში ბეატრიჩე ამ სიტყვებით მიმართავს დანტესს, აქ მთავრის ცაზე რომ იხილა ნეტართა სულები, რამაც პოეტს სულთა კოსმიური წრებრუნვის ,,ტიმეოსისეული'' კონცეფცია გაახსენა.

თავისი ორთოდოქსული ქრისტიანული მრწამსიდან გამომდინარე, ბეატრიჩე გადაჭრით უარყოფს სულთა მიგრაციის ,,ტიმეოსისეულ'' კონცეფციას; (,,ამ პრინციპის მცდარად გაგებამ ოდესღაც სწორ გზას აცდინა თითქმის მთელი სამყარო''...).

…,, სული იყენებს ხედვას, სმენას ან სხვა რამ გრძნობას, ერთი სიტყვით, იყენებს სხეულს. ეს უკანასკნელი მიწყივ ცვლად საგანთა სამყაროსკენ იტაცებს მას და, როცა თავს ამოყოფს ამ სამყაროში, იბნევა სული, გზააბნეული აწყდება საგნიდან საგანს და ბარბაცებს მემთვრალესავით. და პირიქით, რაიმეს ძიებისას სული თავის თავს ეყრდნობა მხოლოდ, სიწმინდის, მარადისობის, უკვდავებისა და უცვლელობის სამყაროში გადადის იგი და იქვე რჩება, და მაშინ მის ცთომასაც ეღება ბოლო, რადგან უცვლელობის სამყაროს რომ სწვდება და ეზიარება, ემსგავსება კიდევაც მას. ერთად, რომ შეჰკრა სული და სხეული, ბუნებამ სხეულს მონობა და მორჩილება არგუნა წილად, ხოლო სულს - ხელმწიფება და მეუფება''...

პლატონის დიალოგში სოკრატე ამბობს: ...,,ჩემმა სულმაც უნდა მიაშუროს მალე, ჩემის აზრით, როცა სული წმინდად და შეურყვნელად ეყრება სხეულს, როცა ნივთიერი ბუნების ნატამალიც არ მიჰყვება თან და ეს იმიტომ, რომ ამ სიცოცხლეში სხეულთან ნებსითი ურთიერთობით კი არ ისვრებოდა, პირიქით, შეძლებისამებრ გაურბოდა მას და თავის თავში ოდენ შთენილი მთელის არსებით ეძლეოდა სიბრძნის სიყვარულს და ზრუნვას მშვიდი აღსასრულისთვის; როცა სული აგრე წმინდად და შეურყვნელად ეყრება სხეულს, მისივე მსგავს სამყაროში გადადის იგი, ღვთაებრივ, უხილავ, უკვდავსა და ბრძნულ სამყაროში,[1] სადაც ყველა ძველ ცთომათა სიშლეგეთა, შიშთა, შმაგ ვნებათა თუ სხვა კაცურ გულისთქმათაგან განრიდებული, ნეტარებას ეზიარება და სადაც, როგორც ნათელღებულთათვის იტყვიან, უკვდავთა სიახლოვით იშვებს და იხარებს მარადის.

მათი სულები კი, ვინც უსამართლობა, ტირანია და ძარცვა-გლეჯა არჩია ყველაფერს, მგლებსა და ძერებში გარდასხეულდებიან უთუოდ. ხოლო მათგან ყველაზე სვებედნიერნი არიან და ყველაზე მშვენიერ სხეულებში გარდასხეულდებიან მათი სულები, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე სრულყოფდა თავის თავში საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სათნოებას, რომელსაც თავდაჭერილობას და სამართლიანობას უხმობენ და რომელსაც მხოლოდ ზრუნვით და რუდუნებით ეზიარა, ფილოსოფიისა და აზროვნების დაუხმარებლად''... …,,მიცვალებულთა სულნი არ წყვეტენ არსებობას და რომ კეთილთა ხვედრი გაცილებით უკეთესია ბოროტთა ხვედრზე''...[2]

სხეული სულისათვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი (,,რომელშიაც მომწყვდეულია, როგორც ლოკოკინა - თავის ნიჟარაში'') ან უფრო სწორად საფლავი. მაგრამ სწორედ ამ ,,დილეგისა'' თუ სულისავე წყალობით მოძრავი და მოარული ,,საფლავის'' მეშვეობით მკვიდრდება იგი ცოდვილ მიწაზე, სადაც თანდათანობით ეჩვევა, ეგუება და კიდევაც ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო გარემოს, რათა წუთისოფლის დროებითმა მკვიდრმა შეძლებისდაგვარად აღასრულოს თავისი დანიშნულება და მოიხადოს თავისი ადამიანური ვალი, ვიდრე კვლავ საუკუნო სოფლად არ მოიხმობდეს განგება და ყოვლისგამრიგე ღმერთი.

---

[1] პლატონი ,, ფედონი',' თბ., 1966. გვ. 19, 20, 21, 48, 49.

[2] პლატონი ,,პედონი'', თბ., 1966, გვ. 53-54.

რა არის სული სხეულში? წარუვალი წარმავალში, უკვდავი მოკვდავში, ნათელი - ბნელში: სიცოცხლეს რომ ანიჭებს უსულო, უსახო და უსიცოცხლო მატერიას, სული ისევე ანათებს მის სიბნელეს, როგორც სანთელი სანთელი - წყვდიადით მოცულ სახლს (და პირიქით, მკვდრის საზარელი ფერი იმისი შედეგია, რომ სული გაეყარა სხეულს: სანთელი გაიტანეს და კვლავ ძველებურად ჩაბნელდა სახლი) სული ისევე ინდიფერენტულია სხეულის მიმართ, როგორც სანთელი - სიბნელის მიმართ.

პლატონზე დაყრდნობით და მისგანვე გამომდინარე, უფრო სრულად და საფუძვლიანად განიხილავს ნეოპლატონიზმი, კერძოდ, პლატონის მისტიური მოძღვრება სულის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ შუასაუკუნეობრივ ტრადიციას მივდევთ, უპირატესად ნეოპლატონიზმის პრიზმიდან რომ უყურებდა და აღიქვამდა კიდეც პლატონიზმს.

ნეოპლატონიზმი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა პლატონიზმის გენიალური ინტერპრეტაცია. ადრეული შუა საუკუნეებიდანვე იღებს დასაბამს პლატონისა და პლოტინის გაიგივება. ეს ფილოსოფოსი იმდენად პლატონიკოსი იყო, რომ პლატონის ხატად იქნა მიჩნეული. გეგონებოდათ, ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენო, მაგრამ მათი გამყოფი დროის უზარმაზარი შუალედი გაფიქრებინებთ, რომ ერთი გაცოცხლდა მეორეში''...

პლოტინი, ისევ და ისევ პლატონის კვალდაკვალ, ამტკიცებს, რომ ადამიანური ბუნების ნამდვილი არსი, ჭეშმარიტი ადამიანი, არის სული მაშინ, როდესაც სულისა და სხეულის ნაერთს მხოლოდ ცოცხალ არსებად, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, ,,ცხოველად'' სახავს. ,,ცხოველი სხვა არა არის რა, თუ არა ცოცხალი სხეული'', სული ისე როდია სხეულში, როგორც თვისება - საგანში, ნაწილი - მთელში ან ფორმა თუ იდეა - მატერიაში. არა, ორივე დიდი მოაზროვნის მიხედვით, სხეული სხვა არა არის რა, თუ არა იარაღი,[1] რომელსაც თავის სამოქმედო თუ მიზნის მისაღწევ საშუალებად იყენებს სული. ასე, რომ სულისა და სხეულის კავშირი ორგანული კი არ არის, არამედ მექანიკური. არც პლატონისა და არც პლოტინის მიხედვით, სული იდეა არ არის, მაგრამ მისი განსხეულება, არსებითად, იდეის მატერიაში რეალიზაციის ანალოგიურია. სული, შეძლებისდაგვარად, ცდილობს თავი მოიზღუდოს ვნებათაღელვის, ქვენა გრძნობების მძვინვარებისა და, საერთოდ, მთელი იმ მანკიერებებისაგან, რაც მატერიალური საწყისის მეშვეობით აღიძვრის სულისა და ხორცის ნაერთში, ანუ სხეულში.

არისტოტელეს მტკიცების არ იყოს, ,,გინდ ის გითქვამს, რომ მრისხანებს და გინდ ის, რომ სული ქსოვს ან სახლს აშენებს'', მაგრამ მატერიალური საწყისი კერპია და შეუპოვარი, მის სიბნელეს არ შეუძლია სულიერი სინათლის წიაღში შეღწევა, თუმცა იმას მაინც ახერხებს, რომ გაცრიცოს და ფერი უცვალოს სულის სინათლეს და სხივმფინარებას: სულს მიტმასნილი მატერია ,,ხელგაშლილი მათხოვარივით სთხოვს მოწყალებას და თავს აბეზრებს მას. მატერია ამრუშებს და აბნელებს სულისგან გამოსხივებულ ნათელს, რომელსაც ერწყმის, ეზავება და ამრიგად, თავის სიძაბუნეს გადასცემს. სწორედ ესაა სულის დაცემა. ის ინთქმევა მატერიაში და ძაბუნდება, რადგან მთელი მისი ძალმომრეობა ისე ეფლობა მატერიის წიაღში, როგორც ჭაობში და ქმედითობის უნარს კარგავს, ვიდრე ნათელი არ ჰპოვებს საამისო ძალას, რომ კვლავ თავის წყაროს მიუბრუნდეს. ამრიგად, სწორედ მატერიაა სულის სიძაბუნისა და ბიწიერების მიზეზი.

…,,ყველა სიხარული, ყველა წუხილი სულს თითქოს სიმსჭვალით ამსჭვალავს და, ერთგვარად, კიდეც ამსგავსებს სხეულს, ასე რომ, მისთვის ჭეშმარიტად იქცევა ის, რასაც სხეული აჩვენებს ჭეშმარიტად. ხოლო სხეული თანამოაზრედ ქცეული, მისი თანამავალი და თანამეინახე ხდება და წმინდად კი არ ეყრება სხეულს, არამედ ნივთიერი ბუნებით სავსე და გასვრილი. ამიტომ მალე სხვა სხეულში გარდასხეულდება იგი, სადაც ღვივდება, ფესვს იდგამს თესლით და ამრიგად, კარგავს თავის კუთვნილ წილს ღვთაებრივთან, წმინდასთან და ერთსახოვანთან თანაარსებობისას''...

…,,როცა კაცს კითხვას უსვამენ, და სწორადაც უსვამენ, ის თავისით პოულობს ხოლმე სწორ პასუხს მასზე, მაგრამ როგორ შეძლებდა ეს, თანდაყოლილი ცოდნა რომ არ გააჩნდეს. როგორ გასცემდა სწორ პასუხს კითხვაზე, თუ სულს სადმე არ ეარსება სანამ შეიმოსდა სხეულს კაცისას. ამრიგად, ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სული უკვდავია''...[2]

მხოლოდ ადამიანის გონივრული სული თუ ახერხებს თავი დააღწიოს მატერიის ტყვეობას: …,,სრულქმნილი და უზენაესი გონების მიმართ მიდრეკილი სული ყოველთვის წმინდაა. ის ზურგს აქცევს და სიახლოვეს არ იკარებს უკეთურ მატერიას, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ზომა თუ ზღვარი. ამიტომაც, სიწმინდეში დავანებული, ყოველთვის გონების მიერ მიჩენილ ფარგლებში რჩება''... მაგრამ თვით გონივრულ სულსაც ყოველთვის როდი შესწევს იმის ძალა, რომ თავი მოიზღუდოს მატერიისაგან, რომლის წიაღში მას ითრევს სულის არაგონივრული ნაწილი.

ამასვე ამტკიცებს პლატონი: თუ სული ,,ამ ქვეყნად მიწყივ სხეულის სიცოცხლით ცოცხლობდა,

[1] პლატონი, ,,პარმენიდე'', თბ., 2002.
[2] პლატონი, ,,ფედონი'', თბ., 1966, გვ. 33

სხეულს ემსახურებოდა, სხეულს ეტრფოდა და იმდენად იხიბლებოდა მისი ვნებებით და სურვილებით, რომ აღარაფერს რაცხდა ჭეშმარიტად, გარდა იმისა, რასაც შეიძლება ხელით შეეხო.

…,,თუ ვაღიარებთ, რომ უკვდავი ამავე დროს უხრწნელიცაა, ცხადია, სული უკვდავი კი არ იქნება მხოლოდ, არამედ უხრწნელიც. მაშასადამე სული უფრო უკვდავია და უხრწნელი, ვიდრე სხვა რამე და ამიტომ ჩვენი სულები უთუოდ უნდა არსებობდნენ ჰადესში''...

…,,ბუნებამ ასე ააგო ქვესკნელი: როცა მიცვალებულნი მიაღწევენ იმ ადგილს, რომლისკენაც თვითეულს მისი დემონი მიაცილებს, განისჯებიან უპირველეს ყოვლისა, განისჯებიან როგორც ისინი, ვინც მართლად და წმინდად განვლო წუთისოფელი, ისე ამქვეყნად ბიწით გასვრილნიც. ხოლო ისინი, რომელთაც სრული სათნოება არ შეუმოსავთ, მაგრამ არც ბიწს დაჰმონებიან მთლად, აქერონისკენ ეშურებიან. აქ მათთვის წინასწარ გამზადებულ ნავებში სხდებიან და მდინარის ტალღებით არწევენ აქერუსიადის ტბას, სადაც ივანებენ, საჯელს იხდიან, იწმინდებიან ყველა ძველი ბოროტებისაგან და თავისუფლდებიან და სიკეთეს იმკიან დამსახურების მიხედვით. რაც შეეხება მრავალი საზარელი მკრეხელობით უსამართლო ხოცვა - ჟლეტითა და სხვა მიუტევებელი ცოდვებით დამძიმებულ სულებს, ბედისწერა პირდაპირ ტარტაროზში უძახებს. ტარტაროზში, საიდანაც ვეღარასოდეს ამოვლენ უკან, და მარტო მათ კი არა, ტარტაროზში ტყვეობა არც იმ სულებს ასცდებათ, რომლებმაც მძიმე, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მისატევებელი ცოდვა ჩაიდინეს. (როცა რისხვით ხელი აღმართეს მშობლებზე და მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე ინანიებენ ამას, ან უნებურად გაისვარეს სხვის სისხლში ხელი) ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, როცა ტარტაროზში ყოფნის ყავლი გაუვათ, ტალღა უკანვე ამოისვრის მათ და მაშინ კაცისმკვლელთ კოციტოსი წარიტაცებს, ხოლო დედის ან მამის მკვლელთ პირიფლეგედონი. მათი ტანჯვა გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოლბებიან ისინი, რომელთა წინაშეც სცოდეს. მსაჯულებმა ასეთი სასჯელი არგუნეს და ბოლოს სულნი, სულნი, რომელთაც წმინდად განვლეს წუთისოფელი თავს აღწევენ ქვესკნელის ტყვეობას, ზესკნელის წმინდა სივრცისაკენ ისწრაფვიან და იქ ივანებენ. მას, ვინც არად აგდებდა სულისთვის უცხო სამკაულებს, ზომიერებით და სამართლიანობით ამკობდა სულს, შეუძლია მშვიდად იყოს სულისათვის და, როცა ბედი მოუხმობს, უდრტვინველად დაადგეს ჰადესის გზას, რადგან ამისთვის უკვე განამზადა თავისი თავი.

...,,თუ კაცი, რომელიც ხედავს, ისმენს ან სხვაგვარად აღიქვამს, არამედ, ამასთან, დაფიქრდება მეორე რამეზეც, რისი ცოდნაც მისთვის სულ სხვაა, ვიდრე პირველის. ყველაფერ ამას ჩვენ მოგონებას ვუწოდებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საგნებს. რომელნიც დროის სიშორისა თუ ჩვენი დაუდევრობის წყალობით დიდი ხანია დავიწყებას მიეცნენ უკვე''...

პლატონის დიალოგში (,,ფედონი'') სოკრატე ამბობს: …,,როგორც ჩანს, გედებზე უარეს წინასწარმეტყველად მთვლიან და წინასწარმეტყველად, რადგან გედები სიკვდილის წინ მღერიან ხოლმე, მღერიან ისე ნაზად და წარმტაცად, როგორც არასდროს არ უმღერიათ. და ეგ სიმღერა სიხარულის სიმღერაა. მათ ახარებთ იმ ღვთაებისკენ მიქცევა, რომელსაც ემსახურებიან. ხოლო კაცნი, სიკვდილის შიშით შემკრთალი კაცნი, ცილს სწამებენ გედებს, როცა ამბობენ, რომ ეგ სიმღერა სიხარულით კი არა მწუხარებით შობილი სიმღერაა, რომლითაც ისინი საკუთარ სიკვდილს დასტირიან თითქოს. რატომ არ ესმით ნეტა, არც ერთი ფრინველი არ დაიწყებს სიმღერას მაშინ, როცა ჰშია, სცივა ან სხვა რამ აწუხებს მას''...

…,,სული უფრო დღეგრძელია, ვიდრე სხეული, მაინც დასძენს, რომ არავინ უწყის, იღუპება თუ არა ამდენი სხეულის გაცვეთის შემდეგ თავის უკანასკნელ სხეულს გაყრილი სული, არავინ უწყის, არის თუ არა ეს სიკვდილი ჭეშმარიტი სიკვდილი სულისა, რაკი სხეული განუწყვეტელ კვდომას განიცდის''...

…,,სული წინ უძღვის და წარმართავს ყველა იმ ნაწილს, რომელთაგან, როგორც ამბობენ, თვითონ შედგება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველნაირად ეწინააღმდეგება მათ და, მკაცრი მბრძანებელივით, ზოგს სასტიკად უსწორდება და თრგუნავს გიმნასტიკისა და მედიცინის საშუალებით, ზოგს კი უფრო ლმობიერად, მხოლოდ მუქარით და შეგონებით. ეს მაშინ, როცა საქმე ეხება ვნებებს, შიშსა თუ ძრწოლას, თითქოს მათი ბუნება სავსებით განსხვავდებოდეს თვითონ მისი საკუთარი ბუნებისაგან. სწორედ ამას გულისხმობს ჰომეროსი, როცა ,,ოდისეაში'' ამბობს, რომ ოდისევმა ,,მკერდს მჯიღი იკრა გულს აგრე უთხრა ბორგნეულს: დამშვიდდი, გულო, უარესი დაგითმენია''... სული ყოველთვის უცვლელია და შინაგანად ის არის, რაც არის ყოველივე ის, რაც გვამღვრევს და გვაშფოთებს, მხოლოდ ზემოხსენებული ნაერთისა თუ ნაზავისაგან იღებს დასაბამს.

,,სხეულის დღევანდელი და პლოტინისეული გაგება ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასე რომ, პლოტინის ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ,,სხეული'' სულის მატარებელი გარსი კი არ არის, არამედ სულისა და სხეულის ნაერთი (სწორედ ესაა რუსთველისეული ,,ხორცი''.

საკუთრივ სულისთვის სრულიად უცხოა ვნებათაღელვაც, ქვენა გრძნობების ბობოქრობაც და, საერთოდ, ყოველივე ის, რაც ბოროტებად გვევლინება:

…,,უცვლელი სული თავისუფალია ყოველგვარი ბოროტებისაგან, რასაც სჩადის ან განიცდის

ადამიანი, რადგან ეს ბოროტება, როგორც ამბობენ, ცხოველში ანუ ნართსა და ნაზავშია''... ბოროტება, ანუ ბიწი თუ მანკიერება, უპირატესად სულის არაგონივრულ ნაწილში იჩენს თავს, რამდენადაც ის ადამიანის ბუნების უზენაესი საწყისის - გონებისკენ კი არაა მიდრეკილი, არამედ მატერიისკენ, თავის მრუშე წიაღში რომ ითრევს და გარკვეულწილად კიდეც იმსგავსებს მას.

ლიტერატურა:
1. პლატონი, ,,ადრეული დიალოგები'', თბ., 1997.
2. პლატონი, ,,პარმენიდე'', თბ., 2002.
3. პლატონი, ,,ფედონი'', თბ., 1966.

არასრულწლოვანთა განრიდების სისხლისსამართლებრივი ასპექტები

თამარ ხარაიშვილი, ზურაბ ტოროშელიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი,** მოწვეული სპეციალისტი

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა სისხლის სამართლის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. 2010 წელს საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა შექმნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.

განრიდების პროგრამის მიზანია, ის არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, მზად არის ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს, მზად არის აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ახალი პროგრამა, ერთი მხრივ, განარიდებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემისა და ნასამართლობისაგან, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, რეციდივის აცილებას და მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. 2010 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა, რომელიც არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია. დისკრეციული დევნის წესის გამოყენება შესაძლებელია იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც ალბათობის მაღალი ხარისხით ჩაიდინეს დანაშაული, რომლებმაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის უკვე მიაღწიეს 14 წლის ასაკს და ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ სრულწლოვანებამდე, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ ისინი აღიარებენ დანაშაულის ჩადენას, მზად არიან აანაზღაურონ ზიანი და ბოდიში მოუხადონ დაზარალებულს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

I. <u>არასრულწლოვანთა განრიდების არსი</u>

განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. განრიდების მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობა.

განრიდება არის აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი, რომლის ძირითადი მიზანია დამნაშავე მოზარდმა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი

ინტეგრაცია, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის განმეორებით ჩადენას. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებით „მოგებულია“ როგორც დამნაშავე, ასევე დანაშაულის მსხვერპლი და საზოგადოება. [1]

II. არასრულწლოვანთა განრიდების პრინციპები

II.I ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 216 ბრძანების თანახმად, არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა.

განრიდება არის ისეთი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გამოყენების უფლება აქვს პროკურორს. განრიდება, როგორც ალტერნატიული მექანიზმი, გაწერილია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში და არ იწვევს მოზარდი დამნაშავის სრულ ჩართვას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი მოზარდის მიმართ.[2]

II.II ნებაყოფლობითობა

ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 216 ბრძანების შესაბამისად , განრიდების პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მხარეები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვან განრიდების პროცესში მონაწილეობაზე.

II.III პროპორციულობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას საჭიროა არასრულწლოვნის ასაკის და სხვა მახასიათებლების, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნების, სიმძიმის, მიყენებული ზიანისა და საზოგადოებაზე გავლენის გათვალისწინება.

II.IV სტიგმატიზაციის თავიდან აცილება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 216 ბრძანების თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია. შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესებისაგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რითმზე.

სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი. სტიგმა შეიძლება იყოს ისეთი სოციალური მახასიათებელი, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია.

II.V კონფიდენციალობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N 216 ბრძანების მიხედვით, განრიდებისა და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი პრინციპია, ვინაიდან ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოში, არსებობს სტიგმა ნასამართლევი ადამიანების მიმართ, რაც ხელს უშლის ყოფილ პატიმრებს, პრობაციონერებს საზოგადოებაში რეინტეგრაციას, განრიდების პროგრამა კი საშუალებას იძლევა მოზარდის ბიოგრაფიაში არსად არ იყოს დაფიქსირებული მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი.

II.VI არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვა

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის ყველა ეტაპზე. პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვას, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა.შ.

პროგრამის ფარგლებში, სოციალური მუშაკის მიერ მოზარდის ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე, სოციალური მუშაკი პროკურორთან ერთად ადგენს პასუხისმგებლობის ზომებს კონკრეტული მოზარდის ინდივიდუალური, პრობლემური და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, აქცენტი კეთდება სწორედ არასრულწლოვნის პოზიტიურ , დადებით მხარეებზე, მათ გაძლიერებაზე.

---

[1] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 7 გვ.

[2] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013, 31 გვ.

III. განრიდება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

საქართველოში ამოქმედებული განრიდების ინსტიტუტის საფუძველი ჰოლანდიური მოდელია და ის სასჯელის ალტერნატიული ფორმაა. განრიდება გულისხმობს, პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს. განრიდების შანსი პირს მხოლოდ ერთხელ მიეცემა და შეეხება პირს, რომელსაც პროგრამაში არ მიუღია მონაწილეობა და რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ანუ, დანაშაული, რომელიც 5 წელზე მეტ სადამსჯელო სანქციას არ ითვალისწინებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ასეთ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება: ქურდობა (1-2 ნაწილი)[1], ხულიგნობა, ძარცვა (1 ნაწილი), თაღლითობა (1 ნაწილი), გამოძალვა (1 ნაწილი), დანაშაულის პროვოკაცია, სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურება (1-2 ნაწილი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (1 ნაწილი), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (1, 2, 3 ნაწილი), ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ცემა, ძალადობა (1 ნაწილი) და ყველა სხვა იმ კატეგორიის დანაშაული, რომელიც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პირი მზად უნდა იყოს, ზიანი, თუნდაც სიმბოლურად, აანაზღაუროს. პროკურორი გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ სოციალურ მუშაკს გადაუგზავნის, რომელიც მოკლე ბიოსოციალურ ტესტს ჩაუტარებს პირს. ტესტში შეტანილი იქნება გარემოებები, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულს. პირი ვალდებულია, დაზარალებულს აუხსნას, რატომ ჩაიდინა დანაშაული. რაც მთავარია, აუცილებელია, ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს. ეს ბოდიში შეიძლება ზეპირი, წერილობითი ან სხვა ჟესტით იყოს გამოხატული. ამის შემდეგ, ხელი ეწერება ხელშეკრულებას, რის შემდეგაც, პროკურორი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. თუ ხელშეკრულება დაირღვევა, პროკურორს შეუძლია დევნა დაიწყოს ან დევნა განაახლოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168–^{2}ე მუხლის თანახმად განრიდების გამოყენება ხდება:

1. პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. მასში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.

2. პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით.

3. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას.

5. განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.[2]

აღსანიშნავია განრიდების შესახებ ხელშეკრულების ხანგრძლივობა, რომელიც შეადგენს 12 თვეს. ამ ვადის განმავლობაში, სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ მაინც უნდა შეხვდეს განრიდების სუბიექტს (განრიდების პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანს) და მის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს პროკურორს. პროკურორი კი განრიდების სუბიექტს ხვდება 3 თვეში ერთხელ და აფასებს მის ქცევას, მის მიერ განრიდების ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

დასკვნა

განრიდების პროგრამის მთავარი მიზანია არასრულწლოვანს მისცეს ერთი შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამასთანავე, პროგრამა ემსახურება დაზარალებულების კმაყოფილების დონის გაზრდასა და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ღონისძიებებში მათ ჩართვას. შესაბამისად, პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

უცხოელ ექსპერტთა განცხადებით, მსგავსი პრაქტიკა დადებით შედეგს იწვევს და მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, როცა განრიდების პროექტის მონაწილეები დანაშაულს კვლავ ჩადიან. თანაც, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, მსგავსი ფაქტები საზოგადოებისთვის მაგალითის მიმცემია, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, მათ აღარ უჩნდებათ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

საქართველოში კი არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 2013 წლისთვის 214 განრიდებულიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 7 –მა მათგანმა, ეს კი რა თქმა უნდა, საკმაოდ კარგი და სასიხარულო მაჩვენებელია.

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177–ე მუხლი

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168 $^{2-}$ მუხლი

განრიდების პროგრამა დადებითი შედეგის მომტანია როგორც დამნაშავე ახალგაზრდისათვის, რომელიც ამ პროგრამის მეშვეობით აღიარებს საკუთარ შეცდომას და სწავლობს სწორად ცხოვრებას, არამედ დაზარალებულისთვისაც. განრიდება ხელს უწყობს მათ შერიგებას და მომავალში მათ შორის კონფლიქტების წარმოშობის მინიმუმამდე დაყვანას. ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ყველა ადამიანი და მითუმეტეს არასრულწლოვანი იმსახურებს შანსს, რათა გამოასწოროს მის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება სასამართლოს ჩარევის გარეშე. გარდა ამისა, განრიდების პროგრამის გამოყენება საშუალებას იძლევა დროის, ენერგიის და თანხის მინიმალური დანახარჯით გადაწყდეს ესა თუ ის სამართლებრივი საქმე, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია არა ერთეული ადამიანებისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსთვის, რადგან ამგვარი ღონისძიებებით ვუფრთხილდებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც.

ლიტერატურა:

1. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

К ВОПРОСУ О РУССКОМ ЯЗЫКЕ И ГРУЗИНСКИХ РЕАЛИЯХ

Автандил Бибилашвили
ст.2 курса спец.публичное правление
Софо Хуцишвили
ст.2 курса спец.английская филология
науч. рук. преп. ***Теа Хабалаева***

Грузия – многонациональная страна, где проживают люди несколько десятков национальностей. И всегда языком их общения, наряду с грузинским, был и русский. Конечно, свой отпечаток положило вхождение Грузии в состав Российской Империи, а затем в состав СССР. Именно при этом государстве языком межнационального общения был русский. После распада СССР остро встал вопрос: нужен ли нам этот язык. Многие наспех дали отрицательный ответ. Сегодня наша задача- показать, нужен или нет. Эта наша точка зрения. Мы её не навязываем, но и не зафиксировать и не показать не можем. Таким образом, цель нашей работы – исследовать, как изучение русского языка отвечает потребностям рынка труда и жизненным реалиям, а также насколько востребован русский язык у студентов Горийского госуниверситета. Исходя из целей исследования, нами были выдвинуты следующие задачи:

- изучить рынок труда, чтобы выявить потребности к знанию русского языка;
- определить надобность в изучении русского языка в разных сферах деятельности;
- составить форму вопросника и произвести анкетирование среди студентов Горийского государственного университета.

В этом заключается новизна нашего исследования. В ходе исследования мы использовали поисковый, опросный и аналитический методы работы. Практическая значимость нашей работы состоит в том, что результаты исследования можно использовать на практических занятиях; зафиксированные в формате PPT, они пополнят электронную библиотеку кабинета русского языка.

Новый подход к русскому языку была осознан в Грузии в начале XX века в связи с геополитическими преобразованиями, произошедшими на территории бывшего Советского Союза. Изменился статус русского

языка, была отменена обязательность его изучения, изменились языковая среда и сферы использования русского языка.

Как член Совета Европы Грузия вошла в разноязыкое культурное пространство, в которое невозможно интегрироваться, не зная иностранных языков. В соответствии с требованиями времени в рамках реформы образования были разработаны государственные языковые стандарты, которые вошли в Национальный учебный план, впервые изданный Центром национальных учебных программ и оценки в 2006 году.

В том же документе был зафиксирован новый статус русского языка как иностранного. Русский стал одним из четырёх иностранных языков (наряду с английским, немецким и французскими), изучение которых финансируется государством. Фактически в вузе и школе появилась новая дисциплина – РКИ (русский как иностранный).

У русского языка в Грузии длительная и богатая история, написаны книги, статьи, защищены диссертации. Русский здесь знали почти все. В городах – больше и лучше, в деревне – меньше и хуже, но знали. И не просто знали, русский язык и культура были для грузин вторыми родными языком и культурой. По этому поводу можно предвидеть возражения – родными могут быть один язык и одна культура. Возможно, это так и есть, а может быть, это лишь вопрос терминологии, и следует дать определение языку, не родному, но и не иностранному, потому что, какой же это иностранный язык, который во всех сферах жизни шёл бок о бок с родным грузинским языком.

И здесь должно последовать возражение номер два – была одна страна Советский Союз и в ней один общий для всех язык. С этим нельзя не согласиться. Но, с другой стороны, государственным языком в Грузии был грузинский язык, и это не было чем-то формальным, мы хорошо помним события не такого уж далёкого прошлого – какая поднялась волна протеста в ответ на попытку изменить статус государственного языка. Статус русского языка в стране определен смутно. Грузия ратифицировала рамочную Конвенцию о защите национальных меньшинств, но в непризнанной Абхазии абхазский язык имеет статус государственного, а русский язык является «языком “государственных” и других учреждений». В Южной Осетии русский язык признан официальным.

В 2004 г. в Грузии функционировали 214 общеобразовательных школ (из них 2 гимназии с русским языком обучения (87 школ и 127 самостоятельных секторов), в которых обучалось свыше 45 000 учащихся; на русском языке в государственных вузах Грузии около 3000 студентов (помимо) бакалавров, аспирантов, докторантов, соискателей).

В 1991 до 2004 годах резко снизился уровень владения русским языком, особенно среди молодёжи, особенно в результате отсутствия программ, учебников, пособий, нехватки подготовленных преподавателей, сокращение количества часов, отводимых на обучение русскому языку. В 2011 году преподавание русского языка в школах перестало быть обязательным, а число групп с образованием на русском в смешанных школах сокращено вдвое; школ с преподаванием только на русском остаётся две. По сообщению «Коммерсанта», сделанному в 2012 году, директорам школ Министерство просвещения и науки дало устное распоряжение прекратить прием новых учеников в сектора с русским языком обучения. Планомерное закрытие русских секторов в школах, Министерство просвещения и науки объясняло тем, что всё это по желанию самих школьников, считающих русский язык неперспективным.

Язык выдавливали повсюду. В ресторанах действовал негласный запрет на русские песни. На экранах запретили дублированные на русский язык зарубежные фильмы. В храме Святого Иоанна Богослова в Тбилиси службы на церковнославянском всё чаще заменялись грузинскими.

В это время на фоне всех этих ущемлений складывается следующая картина. Набирают популярность курсы русского языка, увеличивается количество учеников у частных репетиторов. Это вызвано несколькими причинами:

1. В недалеком прошлом в Грузии требовалось знание только английского языка. Сегодня одним из главных условий вакансий разных фирм на бирже труда является хорошее знание русского языка. Это фирмы ООО «Фудсервис» (закупка местных продуктов питания), банки («KONSTANTA», «TBC”,«VTB” “LIBERTI BANK”, “ RESPUBLIKA”, “TAO PRIVAT BANK”), « Альянс Группа Проперти» (строительная компания), «Джи Пи Ай Холдинг» (частный пенсионный фонд), «Аверс» (фармацевтическая компания), «Фудмарт» (производство и продажа продуктов питания), «Ронико» (сеть магазинов оптика), « Гольф Джорджия» (сеть горючезаправочных станций), «Силкнет» (телекоммуникационная компания) и т.д., которые не просто требуют знание русского языка, но и проводят собеседование на нем. Обязательным условием является знание русского языка и при приеме на работу в инвестиционных компаниях – казахских, украинских, российских, турецких, арабских.

Мы ознакомились с объявлениями вакансий вышеперечисленных компаний, работающих в разных сферах (см. прилож. 1), что составило первый этап нашего исследования.

Следующим этапом нашего исследования стало интервью с тремя представителями разных возрастных категорий и разных социальных статусов. Всем им были заданы одни и те же вопросы: какую роль играет русский язык в грузинской реалии и нужно ли изучать русский. Предлагаем ответы наших респондентов.

Манана Чхеидзе, библиотекарь Горийского университета, 57 лет: «Русский язык играл большую роль в жизни Грузии. Русская культура не чужда грузинам. Раньше многие ездили учиться в Россию. Возможно, многие и теперь хотят, но такой возможности уже нет. Я надеюсь, что скоро у нас возобновятся отношения с осетинами и грузинами, а языком общения будет русский. А если кто-то считает Россию врагом, то, в конце

концов, язык врага надо знать. Как только улучшатся отношения с Россией, то и отношение к языку изменится. Жаль, что когда нам надо будет общаться со своими соседями абхазами, осетинами, русскими и т.д. молодое поколение не будет знать русского языка».

Омар Омадзе, житель села Пхвениси, 77 лет: «Я помню те времена, когда каждый грузин если и не знал русского, то понимал. Мужчины учили русский не только в школе, но и в армии. Кроме этого многие ежегодно ездили в Россию по разным делам. Если не в Россию, то в другие республики СССР, а там надо было знать русский. Теперь сидят мой внуки, смотрят какой-нибудь мультфильм и меня спрашивают, а что и как это по-русски. Надо изучать русский. Ведь скоро возобновятся торговые отношения с Россией, что для нашего села и района очень важно. А мой сын или внук не только в Россию не смогут поехать, потому что языка не знают, а даже здесь не смогут понять у приезжих, что от него хотят – груши, яблоки или сливы».

Георгий Илуридзе, студент, 20 лет: « Я студент второго курса по специальности туризм, скоро мне предстоит искать работу. Конечно, хочется по моей специальности. Я всё время просматриваю вакансии не только в регионе, но и в столице, и вижу, что наряду с английским везде требуют знание русского языка. В последние годы увеличилось число русскоговорящих туристов. К сожалению, я поздно осознал, что русский надо знать обязательно. Таких, как я – очень много. Натянутые русско-грузинские отношения повлияли на интерес к изучению русского. Думаю, что скоро отношения между нашими странами улучшатся, а значит, возобновится интерес к русскому, когда хлынет волна русских туристов».

Следующим этапом в нашем исследовании стал опрос студентов разных факультетов и курсов Горийского государственного университета. Было опрошено всего 459 студентов. Всем было предложено два вопроса: должен ли в ГГУ параллельно с английским изучаться и русский, и достаточно ли для изучения русского языка (как выборочной дисциплины) 5 кредитов. Явное большинство опрошенных ответило на первый вопрос положительно, а на второй – отрицательно (приложение 2).

Таким образом, мы сделали следующие выводы:

- Не учитывать полученные данные сегодня чревато последствиями – выпускники нашего университета могут остаться не у дел, когда во много раз увеличится на рынке труда спрос на специалистов со знанием русского языка.
- На фоне чуть потеплевших отношений между Россией и Грузией стоит пересмотреть и изменить отношение к русскому языку. На пороге встреча специального представителя премьер-министра Грузии по вопросам отношений с Россией с заместителем министра иностранных дел Российской Федерации в Праге. На этой встрече будут обсуждаться торгово-экономические, транспортные, гуманитарно-культурные отношения, а также об упрощении визового режима.
- С 1 января 2014 года упрощается выдача виз водителям грузовых транспортных средств. Сделаны первые шаги, хоть и маленькие, но процесс пошёл. Значит будут более тесные контакты. Всё это будет способствовать взаимоотношениям между людьми, развитию гуманитарных связей.
- Если к вышеизложенным соображениям добавить то определённое сходство темперамента, которое отличает наших народов, давние духовные и культурные исторические корни русско-грузинской дружбы, взаимодополняемость и взаимовыгодность торгово-экономических, научных и культурно-образовательных связей, молодёжную предприимчивость и ещё долгожданную и возможно скорую отмену виз для облегчения контактов между народами, то нельзя не предсказать в будущем, что знание языка будет бесспорно востребованным.
- Изучение русского языка в Грузии должно проходить более интенсивно;
- Опрос среди студентов нашего университета выявил желание изучать русский язык как коммуникативный. По-видимому, это желание ректорату университета следует учесть.
- На наш взгляд, очень важным является знание языка нашего ближайшего «северного соседа», поскольку русский язык является языком общения не только самих россиян, но и многих людей, живущих в разных странах.
- По данным исследования W3Techs в марте 2013 русский язык вышел на второе место по использованию в Интернете – представителям разных профессий приходится по своей специальности обращаться к литературе, изданной на русском языке.

ЛИТЕРАТУРА:

1. http://demoscope.ru
2. http://www.gramota.ru
3. http://www.ng.ru
4. http://www.ruvek.ru
5. http://www.krugosvet.ru
6. http://www.newizv.ru
7. http://www.kommersant.ru/
8. http:// www. vz.ru/society
9. http://www.philology.ru
10. http://www.ruvek.ru/diaspora

Приложение 1. Перечень фирм, требующих обязательное знание русского языка от сотрудников.

- ООО «Фудсервис» – закупка местных продуктов питания
- Все банки в г.Гори
- « Альянс Группа Проперти» – строительная компания
- «Джи Пи Ай Холдинг» – частный пенсионный фонд
- «Аверс» – фармацевтическая компания
- «Фудмарт» – производство и продажа продуктов питания
- « Ронико» – сеть магазинов оптика
- « Гольф Джорджия»– сеть горючезаправочных станций
- « Силкнет» – телекоммуникационная компания

Приложение 2. Результаты опроса студентов Горийского государственного университета



РУССКИЙ ЯЗЫК В ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ

Анна Бокучава
ст.1 курса спец. русская филология
науч. рук. преп. ***Теа Хабалаева***

Русский язык - самый распространенный представитель восточнославянской группы не только по числу говорящих на нем, но и по количеству стран, в которых он используется для ежедневного общения. Русский язык признан одним из основных для общения в странах постсоветского пространства, Евразии, Восточной Европы; одним из популярных для международного общения; одним из шести рабочих в ООН; наиболее значительным языком Европы, если рассматривать его число носителей (несмотря на то, что большая часть ареала его распространения географически расположена в Азии); одним из наиболее распространенных славянских языков; одним из максимально распространенных индоевропейских языков; самым переводимым в мире. Трудно представить другой язык, кроме русского, который мог бы использоваться для общения на этом огромном и столь многонациональном пространстве. То, что общение необходимо и даже неизбежно, не вызывает сомнений. Сомнительна лишь недальновидная политика некоторых государственных деятелей, которые стремятся воспрепятствовать этому общению и естественному развитию русского языка, не учитывая интересы населения. Между тем культурное единство постсоветского пространства возможно только на основе русской культуры и языка, поскольку еще со времен Российской империи именно русский – это тот язык, на котором могут разговаривать между собой без переводчика казах и украинец, узбек и молдаванин, таджик и литовец. Объектом нашего исследования стал русский язык в современных мировых реалиях на определённой территории, которая после распада СССР стала называться постсоветским пространством. Цель нашего исследования – сделать анализ значимости и места русского языка в тех республиках, которые стали независимым и превратились в самостоятельные государства. Для реализации данной цели были выдвинуты следующие задачи: ознакомиться со странами ближнего зарубежья, где используется русский язык как

иностранный; сделать анализ данных об использовании данного языка в постсоветском пространстве. В этом и усматривается новизна работы.

Русский язык считается родным для 200 миллионов, из которых 130 живут на российской территории. 50 миллионов являются носителями языка, причем большинство из этих людей пользуются ним как первым или вторым языком в повседневном общении. После китайского и английского (самых распространенных в мире), русским языком в разной степени пользуется полмиллиарда человек. В ходе исследования мы применили методы аналитического чтения и сопоставления полученной информации. Практическая значимость нашей работы состоит в том, что результаты исследования можно использовать на практических занятиях; зафиксированные в формате PPT, они пополнят электронную библиотеку кабинета русского языка.

На постсоветском пространстве помимо России есть как минимум три страны, где судьба русского языка не вызывает никакого беспокойства. Это Белоруссия, Казахстан и Киргизия.

В Белоруссии большинство населения говорит в быту и вообще в повседневном общении по-русски, и в городах у молодежи и многих людей среднего возраста в русской речи практически отсутствует даже характерный в прошлом белорусский акцент. При этом Белоруссия - единственное постсоветское государство, где государственный статус русского языка подтвержден на референдуме подавляющим большинством голосов.

Языковая ситуация **в Казахстане** более сложна. В девяностые годы доля русских в населении Казахстана заметно сократилась, и казахи впервые с тридцатых годов прошлого века стали национальным большинством. По Конституции единственным государственным языком в Казахстане является казахский. Однако с середины девяностых существует закон, приравнивающий русский язык во всех официальных сферах к государственному. И на практике в большинстве государственных учреждений городского и регионального уровня, а также в столичных правительственных учреждениях русский язык используется чаще, чем казахский. Причина проста и вполне прагматична. В этих учреждениях работают представители разных национальностей - казахи, русские, немцы, корейцы. При этом абсолютно все образованные казахи в совершенстве владеют русским языком, тогда как представители других национальностей знают казахский существенно хуже.

Похожая ситуация наблюдается и **в Киргизии**, где также существует закон, придающий русскому языку официальный статус, и в повседневном общении русскую речь в городах можно услышать чаще, чем киргизскую.

Требования жизни сильнее, чем усилия государства, и в данном случае это проявляется как нельзя боле наглядно. Даже молодежь, родившаяся **в Латвии и Эстонии** уже в период независимости, владеет русским языком в достаточной мере, чтобы можно было понять друг друга. И случаи, когда латыш или эстонец отказывается говорить по-русски из принципа - редки. Настолько, что каждый из таких случаев оказывается предметом бурного обсуждения в прессе. По свидетельствам большинства россиян, побывавших в Латвии и Эстонии за последние годы, с приметами языковой дискриминации им сталкиваться не приходилось. Латыши и эстонцы весьма гостеприимны, а русский язык продолжает оставаться в этих странах языком межнационального общения**. В Литве** же языковая политика изначально была более мягкой.

К этим трем странам примыкает **Азербайджан**, где статус русского языка официально никак не регулируется, однако в городах большинство жителей коренной национальности очень хорошо владеют русским, а многие предпочитают пользоваться им в общении. Этому опять-таки способствует многонациональный характер населения Азербайджана. Для национальных меньшинств со времен Советского Союза языком межнационального общения является русский.

Особняком в этом ряду стоит **Украина. З**десь языковая ситуация своеобразна, а языковая политика приобретает порой крайне странные формы. В Украине на русском языке говорят около половины населения (более 50%). Дело в том, что многие из тех, кто назвал украинский язык своим родным, на самом деле говорят на русском языке и по-настоящему родной для них именно русский. Родной язык – это язык, на котором человек думает и говорит в повседневной жизни. Все население востока и юга Украины говорит по-русски. Причем попытки украинизации в ряде регионов – в Крыму, Одессе, Донбассе, приводят к обратному результату.

Русский язык в **Молдавии** — второй по распространению язык после молдавского языка. Родным языком для русского населения Молдавии выступает русский, и первым иностранным языком для нерусского населения республики. После принятия закона о языке русский язык утратил государственный статус, но сохранил статус языка межнационального общения. В то же время русский язык значительно укрепил свои позиции в де-факто независимом Приднестровье, в котором он стал самым употребительным из трёх официальных языков республики.

В Грузии и Армении русский язык имеет статус языка национального меньшинства. **В Армении** доля русских в общей численности населения весьма незначительна, но заметная доля армян могут хорошо говорить по-русски. **В Грузии** ситуация примерно та же, причем русский язык более распространен в общении в тех местах, где велика доля иноязычного населения. Статус русского языка весьма неопределён: Грузия ратифицировала рамочную Конвенцию о защите национальных меньшинств**.** В то же время в Абхазии, которая грузинскими властями и частью международного сообщества рассматривается как часть Грузии, русский язык является «языком государственных и других учреждений», а **в** Южной Осетии — русский язык с июля 2012 года является государственным языком наряду с осетинским. Среди грузинской молодежи знание

русского языка весьма слабое, хотя в последнее время ситуация меняется – число желающих изучить русский язык растёт.

В Узбекистане, Таджикистане и Туркмении русский язык менее употребителен, нежели в соседних Казахстане и Киргизии**. В Таджикистане** русский язык согласно Конституции является языком межнационального общения, **в Узбекистане** он имеет статус языка национального меньшинства, в **Туркменистане** ситуация остается неясной. Так или иначе, во всех трех государствах русским языком владеет большая часть городского населения. С другой стороны, коренные жители между собой разговаривают на родном языке, а на русский переходят только в разговоре с русскими или с представителями национальных меньшинств. Так или иначе, русский язык по-прежнему остается языком межнационального общения на всем постсоветском пространстве. Причем главную роль здесь играет не позиция государства, а отношение населения

В ходе исследования мы пришли к следующему заключению:

- Русский язык по-прежнему остается языком межнационального общения на всем постсоветском пространстве. Причем главную роль здесь играет не позиция государства, а отношение населения. (О статусе русского языка и численности населения, владеющего этим языком, см. **приложение 1 -2**);
- Волна русофобии, когда люди принципиально не говорили на русском языке, уже прошла: население бывших советских республик поняло, что язык соседа нужно знать, тем более, когда соседом является такая большая держава. Жизненные реалии диктуют необходимость изучения русского языка, поскольку между государствами существуют торговые, экономические и культурные связи, которые со временем будут крепчать.

ЛИТЕРАТУРА:

1. www.russinitalia.it
2. http://ru.wikipedia.org
3. http://www. evrazia.org›article
4. http://www. rg.ru
5. forum.polismi.org›index.
6. http://www. gramota.ru
7. http://www. pitfond.ru

Приложение 1. Численность населения, владеющего русским языком, в постсоветских странах в 2004 году (тыс. человек)

страны	статус русского языка	общая численность населения	число считающих русский язык родным	число активно владеющих русским	число пассивно владеющих русским	число не владеющих русским
Азербайджан	иностранный	8200	250	2000	3500	2700
Армения	иностранный	3200	15	1000	1200	1000
Белоруссия	государственный	10200	3243	8000	2000	200
Грузия	иностранный	4500	130	1700	1000	1800
Казахстан	официальный	15100	4200	10000	2300	2800
Киргизия	официальный	5000	600	1500	2000	1500
Латвия	иностранный	2300	960	1300	700	300
Литва	иностранный	3400	250	500	1400	500
Молдавия	язык межнац.общения	3400	450	1900	1000	500
Таджикистан	язык межнац. общения	6300	90	1000	2000	3300
Туркмения	язык межнац. общения	4800	150	100	900	3800
Узбекистан	язык межнац. общения	25000	1200	5000	10000	10000
Украина	язык нацменьшинства	48000	14400	29000	11000	8000
Эстония	иностранный	1300	470	500	500	300
Итого		140700	26408	63600	39500	37700

Приложение 2. Численность населения постсоветских государств, владеющей русским языком



ანა კალანდაძის პოეზიის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება

ნანა გელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** პროფესორი

ანა კალანდაძე არათუ სიცოცხლეშივე, არამედ ახალგაზრდობიდანვე კლასიკოსად დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში და დამსახურებულად მოიპოვა სახელით მოხსენიების პატივი. „ახსენებ ანას და იგულისხმება ანა კალანადაძე და არავინ სხვა“- ასე შეაფასა მისი პიროვნება რეზო შატიკაშვილმა, ხოლო ავთანდილ არაბულმა აღნიშნა: ,,ქართულ პოეზიაში ანა კალანდაძის მოსვლას ერთგვარი ლეგენდური ელფერი დაჰკრავს. ლეგენდებს სიძველე ქმნის, ლეგენდებად დიდი ისტორიული ამბები ღვინდება; ამ ამბავს კი დაბადებისთანავე დაჰყვა ლეგენდის უმთავრესი ნიშანი-სასწაულობრიობა... კაცობრიობის ყველაზე დიდი ომის მიწურულს ქართულ პოეზიას უცებ, თითქოს ყოველგვარი შემოქმედებითი სიყმაწვილის, შეგირდებრივი კვალის გარეშე, მოევლინა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მოსვლისთანავე უკვე ჭეშმარიტი შემოქმედის გვირგვინდადგმული, გვირგვინდარქმული (გაიხსენეთ არხოტელის გაოცება ანას ნახვისას: ,,გვირგვინ გრქმევია არცა!") პოეტი, საკუთარი მრწამსით, საკუთარი სათქმელით, საკუთარი ხმით.." (ა. არაბული, 2013, გვ. 151).

ანას პოეზია ისეთი დიდია, მისი ლექსები ისეთი საოცარია, ცხადია, უბერებლად შემორჩება მრავალსაუკუნოვან ქართლულ პოეზიას. ასეთია კლასიკის უპირატესი ხვედრი, ამ უპირატესობის განმსაზღვრელი კი არის მისი ენა.

ჩვენ შევეცადეთ მოხსენებაში წარმოვადგინოთ ის ენობრივი საშუალებანი, რომელიც განსაზღვრავს პოეტის შემოქმედების ლირიკულობას.

ანას ლექსებში ვაჟა-ფშაველას შემდეგ ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას პოეტის „გასაუბრება“ ბუნებასთნ. მაგალითად, ასეთ შემთხვევას ვხვდებით მის პირველივე ლექსში „საქართველოო ლამაზო“, რომლითაც წარსდგა პოეტი პირველად მკითხველის წინაშე:

„ქარი გიმღრის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...“ (ა. კალანდაძე, გვ. 11).

ანა კალანდაძე თავის შემოქმედებაში იყენებს ემფატიკურ ხმოვანს ანუ ნართაულ ა-ს ისეთ შემთხვევაში, როცა სახელის ბრუნვის ფორმა თანხმოვანში დგას. ასეთი ბრუნვა სულ ოთხი შეიძლება იყოს: მიცემით, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი (ა. შანიძე, 1980, გვ. 48). მაგალითად: 1) **„თავშსაფრის-ა**

მარად მთხოვნელი
მაცდურ გვეძახის
ეშმად, ავსულად.“ (ა. კალანდაძე, გვ. 371).

2) „ჰა, ლაჟვარდები
მცხუნვარე **მზით-ა...**
კვლავ შენს თაღებში
ავარდნა მინდა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 347).

პოეტის შემოქმედება გამოირჩევა წოდებითის ფორმის სიუხვითაც. ეს ფორმები უმეტეს შემთხვევაში **ო** ხმოვნითა წარმოდგენილი:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცა-**ო**
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 15).

წოდებითის ფომით წარმოდგენილ სახელთან, მიმართვისას ზმნა ბრძანებითის ფორმაში დგას:

„იშრიალე დიდო ვერხვ-**ო**
იგუგუნე, დედამიწავ!
გაიშალა ფოთლის ეხო,
ყვავილები გააღვიძა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 25).

ანას ლექსები მდიდარია შორისდებულებით, მაგრამ აქ ერთ საინტერესო ფაქტს ვაწყდებით. შორისდებულთაგან, როგორც წესი, მხოლოდ ხმოვანზე დაბოლოებულ ფორმებს გვთავაზობს პოეტი: **ო, ჰა, ეი, ვაი, ჰე** და სხვა, მაგრამ არ გვხვდება: **ეჰ, ეხ, ოხ** და ა.შ. მაგალითად:

1) „**ჰა**, ლაჟვარდები
მცხუნვარე მზითა...
კვლავ შენს თაღებში
ავარდნა მინდა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 347).

2) „**ო**, ეს ჭადარი ასული ცამდე
შეუპოვარი ქარის და მეხის...
მდუმარე, როგორც ტაო და ქალდე,
როგორც დუმილი ცისა და ქვეყნის...“ (ა. კალანდაძე, გვ. 30).

პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით პოეზიისათვის დამახასიათებელ რიტორიკულ კითხვებსაც, რომელიც საკმაოდ სპეციფიკურია:

„ ჩაჩუმდა მარიამულა,
არაგვი რად არ იძინებს?“ (ა. კალანდაძე, გვ. 115).

ანა კალანდაძის სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ელიფსისის, ანუ გარკვეული სიტყვების გამოტოვების ხერხი. აქ უნდა აღინიშნოს პოეტის საყვარელი სასვენი ნიშნები: მრავალწერტილი (...) და ტირე (-). (www.ice.ge). მაგალითად:

„სიმშვილდე, იის ბილიკი . . .
ხმამ მომახედა მისამა:
- გულგრილად რატო ჩამივლი,
შენ რომ გიყვარდი, ისა ვარ!“ (ა. კალანდაძე, გვ. 54).

აზრის დაუსრულებლობა და წყვეტადობა ანასთან მკითხველისადმი მეტ ნდობას მოასწავებს, ეს კი მკითხველის წარმოსახვასაც შესაბამისად, მეტ გასაქანს აძლევს.

პოეტის პოეზიაში ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია დაკისრებულკი აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის საკმაოდ იშვიათ და საინტერესო ურთიერთობას. ატრიბუტულ მსაზღვრელად უმეტესად ზედსართავი სახელია გამოყენებული:

„ თუ დავიხვრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,
ვგავდე **ყაყაჩოს სათისხალიანს...**
ძლივს **მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,**
ომარ ხაიამ!“
(ა. კალანდაძე, გვ. 76).

აქ ზმნა „**მობარბაცებს**“ აძლიერებს „მთვრალის“ აღქმას, ანუ მსაზღვრელის გაძლიერება ხდება ზმნის საშუალებით.

ანა კალანდაძის ენის სალარო უსაზღვრო და ამოუწურავია. აქ მნიშვნელოვანია იმერული დიალექტის გავლენა. პოეტი გურიაში, ხიდისთავში დაიბადა, მაგრამ ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა და ანაც ქუთაისის სკოლას მიაბარეს. გურია შემდეგაც არაერთხელ გამხდარა მისი შთაგონების წყარო. ის ხშირადაა მოხსენიებული პოეტის პოეზიაში:

1)„თოვლი **აჭარა-გურიის მთების,**
ჩემეულ მთათა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 108).
2) „... ჩაიმუხლებენ შეხვედრა შენდა
აჭარისა და გურიის მთები“ (ა. კალანდაძე, გვ. 120).

ანას პოეზიაში გვხვდება ტოპონიმებიც:

1) „რაზე გამოხველ ნეტავი
რა გითხრეს იდუმალებმა?
მირინაულის მინდირზე
ცოტახნით დაევანება...“ (ა. კალანდაძე, გვ. 121).
2) „ციხეგორს გალობს ბულბული,
ციხეგორს მოულხენია...
ქვემოთ არაგვი გუგუნებს
და **ნაროულას ხევია...“ (ა. კალანდაძე, გვ. 119)**
3) **„გუშლაგ**ას **ფერდი** შრიალებს
მზირალი ზარის ჭალითა...
ნაბად მოუსხამ ხორბალოს
ასხმული ნისლის ჭავლითა...“ (ა. კალანდაძე, გვ. 190).

ამასთან ერთად ვხვდებით ისეთ სიტყვებსაც, რომლებიც დასავლურ დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. მაგ: 1) “ ციცინათელა ჩუმად მისდევს
ხეების აჩრდილს...
გულს**დაევანა** მთვარიანი
წყნარი საღამო...“ (ა. კალანდაძე, გვ. 32).
სიტყვა დაევანა აქ **ესიამოვნას** ეპითეტად გვხვდება
2) „ დღეს... ლხენით გვხვდება გურული **ოდა**
და კოსტაია თავისი ნადით“ (ა. კალანდაძე, გვ. 94).

ოდა ნიშნავს ხით ნაშენებ პატარა სახლს. ასევე, ერთ-ერთ ლექსში ვხვდებით სიტყვას **კალანდობას**, რაც გურიაში ძველით ახალ წელს ნიშნავს.

ანა კალანდაძის ,,პოეზიის ენობრივ -სტილისტური თავისთავადობაც თავიდანვე ძველ ქართულ ენობრივ სამყაროსთან სიახლოვით გამოიხატა... მაგრამ უნდა ითქვას, მიუხედავად გამოკვეთილი სურნელებისა, უკიდურესი ენობრივი არქაიზაციის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და ეს ბუნებრივიცაა. მის ლექსში ზომიერად არის შეწონასწორებული არქაული სინტაქსის, გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის შესაძლებლობები“ (ა. არაბული, 2013, გვ. 154). მაგალითად:

„ ქსანზე ყელამდე იდგა შალაფა
და ოქროსფერად ყვაოდა ძეძვი,
თუ ატარებდი შენს ლურჯ **ქალამანს**
მკერდგაღეღილი პერანგი გეცვა?“ (ა. კალანდაძე, გვ. 100).

სიტყვა **ქალამანი** ძველ ქართულში ნიშნავს ტყავისაგან შეკერილ ფეხსაცმელს (ს.ს. ორბელიანი, 1993, გვ. 210; ზ. სარჯველაძე, 2001, გვ. 228).

ანა კალანდაძემ თანამედროვე ენასთან ძველი ქართულის ლექსიკის დოზირებით შექმნა სრულიად თავისებური ენა. სწორედ, ასეთმა ნაერთმა შექმნისთანავე დამოუკიდებელი სიცოცხლე შეიძინა და თავისი შემდგომი ბედი თვითონვე განისაზღვრა. ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ:

,,როცა სხივი განსასვენად
ყვავილების თეთრ გვირგვინებს
ეახლება და ყვავილი
საალერსოდ რტოებს გაშლის
ყრმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს,
„-რაი გინებს?“
„-ხუცეს, გიწევს პიტიახში...“

ამრიგად, ანა კალანდაძის პოეზია დგას სხვა უდიდესი ქართველი პოეტების გვერდით და ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში. მისი ენის სპეციფიკურობა და წერის განსაკუთრებული სტილი არის განმსაზღვრელი პოეტის შემოქმედების უკვდავებისა. ამიტომაა, რომ მისმა პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. სწორედ ამიტომ შეაფასა რევაზ მიშველაძემ დიდი ქართველი ქალის პიროვნება და პოეზია ასე: „ბედნიერი დამთხვევაა, როცა შემოქმედება და პიროვნება გასაოცრად ჰგავს ერთმანეთს“.

ლიტერატურა:

1. არაბული ა., ენა ჩვენი არსობისა, თბ., 2013.
2. კალანდაძე ა., ლექსების კრებული, თბ., 1985.
3. ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
4. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 2001.
5. შანიძე ა., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1980.
6. ინტერნეტ მასალა: www.ice.ge.

ჭიათურის რაიონის სოფელ თაბაგრების მეტყველება

ქეთევან კენჭოშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** პროფესორი

იმერული კილო ქართული ენის კილოთა შორის ერთ-ერთი დიდი დიალექტური ერთეულია. იმერეთს აღმოსავლეთით საზღვრავს ქართლი, დასავლეთით სამეგრელო, ჩრდილოეთით რაჭა-ლეჩხუმი, ხოლო სამხრეთით გურია. სწორედ ამ პირობებმა განაპირობა იმერულის, როგორც დიალექტის თავისებურება. თითოეულმა კუთხემ მეტ-ნაკლებად ზეგავლენა მოახდინა იმერულ დიალექტზე. იმერულში გამოიყოფა ორი კილოკავი: ზემოიმერული და ქვემოიმერული (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 446).

ქეთევან ძოწენიძის კლასიფიკაციის მიხედვით ზემოიმერული კილოკავი მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებს, ხოლო ქვემოიმერული კი გავრცელებულია ქალაქ ქუთაისის, თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონებში (შ. ძიძიგური, 1970, გვ. 25; ქ. ძოწენიძე, 1973, გვ. 7). კლარა კუბლაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ორი დიალექტის ზემოიმერული და ქვემოიმერული დიალექტების გამოყოფას (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ.15). ვ. ფანჩვიძე ცალკე გამოყოფს შუაიმერულს (ვ. ფანჩვიძე, 1945, გვ. 38). ის შუაიმერულად მიიჩნევს თერჯოლურ, ბაღდათურ და ტყიბულურ მეტყველებას.

ქეთევან ძოწენიძის შეკრებილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ სხვაობა, რომელიც შეინიშნება ორჯონიკიძის (დღევანდელი ბაღდათი) რაიონის სოფლების მეტყველებასა და ჭიათურის, ზესტაფონისა და საჩხერის რაიონების ზოგი სოფლის მეტყველებას შორის, დიდი არ არის, მაგრამ ხელშესახებია (ქ. ძოწენიძე, 1973, გვ. 15).

ჭიათურა მდებარეობს მდინარე ყვირილას ნაპირებსა და მიმდებარე პლატოზე. სოფელი თაბაგრები ჭიათურის რაიონის ერთ-ერთი სოფელია. იგი მდებარეობს ჭიათურის პლატოზე ზღვის დონიდან 620 მეტრზე, ჭიათურიდან 10 კილომეტრის დაშორებით. სოფელში ცხოვრობს 921 კაცი. თაბაგრებში არის

მანგანუმის საბადო, რომელიც არც თუ ისე სასარგებლო პირობებს ქმნის სოფლის მოსახლეობისათვის. სწორედ მანგანუმის მოპოვებას შეეწირა სოფლის „მთავარანგელოზის“ სახელობის ეკლესია, რომლის რეაბლიტაციაც ამ დრომდე მიმდინარეობს. იგი მიწის ქვეშ გამავალმა მაღარომ დააზიანა, რამაც დროთა განმავლობაში კედლების ჩამოშლა განაპირობა.

სოფელში გავრცელებულია გვარები: თაბაგარი, კენჭოშვილი, ჯიქიძე, კაპანაძე, შეყილაძე, კუპატაძე და სხვა. მათ შორის ყველაზე გავრცელებული გვარია თაბაგარი, რომლებიც 1840-იან წლებში მოხსენიებული არიან სოფელ დარკვეთში. ისინი საბატონო გლეხები ყოფილან, პირველი გვარი **თაბაქარი** ყოფილა, ,,თა“ იყო წინსართი, ხოლო ფუძე ბაქარი. სულ საქართველოში 2163 თაბაგარი ცხოვრობს, ჭიათურაში კი 812.

მეტად საინტერესოა სოფელში გავრცელებული ადგილის სახელწოდებები: **მიწიწყლები, ნამოსახლი, მზესათურავი, სამგლია ტყე, ხვრელები** და სხვა. **მიწიწყლები** ეწოდება ადგილს, სადაც მიწიდან ამოდის წყლები, რომელიც სასიამოვნო დასალევია და სასარგებლოცაა. **ნამოსახლი** - ეს სახელწოდება მეტად საინტერესო ისტორიასთანაა დაკავშირებული. გადმოცემის თანახმად სოფელში კომუნისტური წყობის გაბატონების შემდეგ ერთ თაბაგრელ კაცს პროტესტის ნიშნად დაუტოვებია სოფელი და მთაში მარტო დაბინავებულა, აუგია ხის კარავი და იქ უცხოვრია გარდაცვალებამდე, მას თორმეტი წელი უცხოვრია მარტოს ტყეში. სწორედ ამიტომ სოფლის მოსახლეობას იმ ადგილისათვის ნამოსახლი უწოდებია.

მზესათურავი-ეს სახელი იმიტომ შეურქმევიათ, რომ მას მუდამ მზე უყურებს, როგორც ამომავალი ასევე ჩამავალიც. ხვრელები ამ ადგილს ბევრი გამოქვაბულისა და დაღრუტნული კლდეების გამო შერქმევია. აღნიშნული ტოპონიმებიდან კომპოზიტური ტიპისაა: **მიწიწყლები, ნამოსახლი და მზესათურავი.** მრავლობითი რიცხვის ფორმითა წარმოდგენილი ტოპონიმია: **ხვრელები**, ხოლო მსაზღვრელ-საზღვრული ტიპისაა ტოპონიმია: **სამგლია ტყე.**

ალექსანდრე ღლონტის მოსაზრებით: “ახლა გავრცელებული მეტსახელი გვიანდელი წარმონაქმნია, შექმნილია იმ თავისებური ღირსებისა თუ ნაკლის მიხედვით, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს ახასიათებდა. თავდაპირველად ადამიანს გასარჩევად მეტსახელი ჰქონია, ხოლო საკუთარი სახელი შემდეგ შერქმევია“ (ალ. ღლონტი, 1964, გვ. 116).

სოფელ თაბაგრებში მეტსახელი საკუთარი სახელის პარალელურად იხმარება. ის ერთგვარი ეპითეტია, საქებარი ან საძაგებელი. მეტად სახასიათოა სოფელში მეტსახელებით დაყოფილი უბნები. იქ მცხოვრები კენჭოშვილების მეტსახელია **გემსა,** ხოლო უბანს უწოდებენ **გემსეების** უბანს. ასევე გვხვდება **დალაქიშვილები**. ეს გვარი მათ წინაპრების საქმიანობის გამო შერქმევიათ, რადგან წინაპრები ცნობილი **დალაქები** ყოფილან.

თაბაგრების მეტყველება გამოირჩევა საინტერესო ლექსიკით. მაგ.: **აბღვირება** -თუმცა ეს სიტყვა უმეტესად **აბდღვირების** სახით გვხვდება. **აგლუწუნებული** ანუ **ლორწოდადებული „აგლუწუნებული** ყველი რავა იჭმება შეკაცო“ (პ. გაჩეჩილაძე, 1976, გვ. 10). აგრეთვე გვხვდება სიტყვა აგუნგ აკოლიკებს ანუ ერთმანეთზე აწყობს არამყარად. აგუნგარავება გამოყენებულია, როგორც თავის მოყრის, აგორავების მნიშვნელობით. მაგ., ქალი ცომს **აგუნგრავებს**. **აზინტლული** გამოიყენება ცუდი ამინდის დროს, როცა ტალახი გროვდება, იტყვიან ხოლმე რა **აზინტლული ამინდიაო.** სიტყვა **ყმოტი** ითქმის არა ძუნწი ადამიანის დასახასიათებლად, არამედ ცუდი ამინდის აღსანიშნავად. **აკოლიკებს** ანუ ერთმანეთზე აწყობს არამყარად. **ამოლურტხულს** იტყვიან ძლიერ დასველებულ ადამიანზე. **ბუსკუნჩულას** ამბობენ ჩაფსკვნილ ადამიანზე და სხვა.

იმისათვის, რომ განსხვავება გვეპოვა ლექსიკის მხრივ ზემოიმერულში, სოფელ თაბაგრების ლექსიკა შევუდარეთ ჭიათურის რაიონის მეორე სოფლის – **ხრეითის** მეტყველებას. ნათელი გახდა, მართლაც, მათ შორის ლექსიკური სხვაობა. ამაში დასარწმუნებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მაგ., **ხრეითში** იატაკის ფიცრის გასაწმენდად იხმარება **ეჩო,** ხოლო თაბაგრებში ჩვეულებრივ ეს სიტყვა არ დასტურდება და მის ნაცვლად გვხვდება სალაშინი. ასევე ხრეითისაგან განსხვავებით თაბაგრებში არ გვხვდება ეზოს ასეთი დანაწილება, **ხრეითში** გვხვდება ეზო- **ბაკე** , რაც ეზოსა და სამეურნეო ნაგებობას ნიშნავს, სამეურნეო ნაგებობის აღსანიშნავად თაბაგრებში გვხვდება მარანი. ასეთი მაგალითები უამრავია.

ზემოიმერეთის ამ სოფლებისათვის (ხრეითი, თაბაგრები) ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა ხვნა-თესვა, თუმცა ამ საქმიანობასთან დაკავშრებული ლექსიკა განსხვავებულია. მაგ., ხრეითში პატარა ურმის აღსანიშნად ამბობენ **აჩაჩას**, ხოლო თაბაგრებში კი მისი მნიშვნელობით **ტაჩკა** იხმარება. ძირითადად მიწის დამუშავება ხდებოდა სახნისის მეშვეობით, რომელიც მაგრდებოდა სახვნელ უღელზე. ხვნის დროს გადმობრუნებულ მიწას **ბელტი** ჰქვია. თაბაგრებში ბელტის დასაშლილი სამუშაო იარაღია **თოხი**, ხოლო ხრეითში გვხვდება **დახათხორება** (ქ. ძოწენიძე, გვ. 450).

იმერეთი განთქმულია საჭმელების აღმნიშვნელი ლექსიკით: **იმერული ხაჭაპური, მჭადი, ყველის ხარშო, ჩიჩქვი, ღომი, პიტნიანი ყველის სუპი, ეკალა** და სხვა.

ამრიგად, ჩვენ მიერ სოფელ თაბაგრებში შეკრებილი მასალები საინტერესოა ტოპონიმებით, ონომასტიკით და მეურნეობის სხვადასხვა დარგის ამსახველი ლექსიკით, რომელიც განსხვავებულია ზემოიმერეთის სხვა სოფლების მეტყველებისაგან.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
2. კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
3. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1984.
4. ფანჩვიძე ვ., მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, №10, თბ., 1985.
5. ძიძიგური შ., ქართული, ისტორიული, დიალექტოლოგიის, საკითხები: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
6. ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1975.

ენობრივი და სტილური თავისებურებები ოთარ ჩხეიძის რომანში „ჩემი სავანე“

მარიამ კვაღნიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ოთარ ჩხეიძის შემოქმედების ენისა და სტილის შესახებ გასათვალისწინებელია მრავალგვარი თემატიკა, ყოვლისმომცველობა. მის თხზულებებში გვხვდება სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი, ყოფითი, რელიგიური, ბიოგრაფიული და სხვა ასპექტები. სწორედ ასეთი თემების წერისას გამოიარა მრავალგვარი შეურაცხყოფა, მაგრამ არ გატეხილა, ქედი არ მოუხრია, თავისი რწმენისათვის არ უღალატია.

ოთარ ჩხეიძე არატრადიციული, განსხვავებული პროზის ავტორია. მის შემოქმედებაზე არაერთი რეცენზია, გამოხმაურებაა დაწერილი, ძალიან ხშირად წინააღმდეგობრივი. მწერალი ნამდვილი ნოვატორია, მას არ ეშინია გაუკვალავი გზებისა, სიახლისა, მუდამ ძიების პროცესშია.

ჩვენი მიზანია რომანის ,,ჩემი სავანე“ შინაარსობრივი, ენობრივი, სტილური ანალიზი, ენობრივი და მხატვრული ხერხების განხილვა ერთ სიბრტყეზე. ეს არის თავისებურად დაწერილი მემუარები, სადაც გამოგონილი არაფერია. მთავარი თემა არის გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც მწერალმა ოცდაათი წელი იმუშავა. აქ დახატულია პერსონაჟები, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ლაპარაკის მანერას, გარეგნობას, ჩაცმულობას, თავის დაჭერას, სიარულს. ყოველივე ეს აღწერილია დიდი ოსტატობით, როგორც თვითონ მწერალი რომანის წინასიტყვაობაში წერს ,,ჩემი სავანე“ ცოტა ირონიულია, ირონია ნიშანდობლივია ჩემი სტილისათვის“.

ამ რომანში მწერალი აგვიწერს თუ როგორ არჩევდნენ მის ნაწერებს. რა იყო მიზეზი? უკიჟინებდნენ - ,,უიდეაო“, დამახინჯებით გადმოგვცემს საბჭოთა ცხოვრებასაო, ვერა ხედავს სოციალიზმის მონაპოვარსაო და სხვა. ყოველივე ეს ჯერ კიდევ მაშინ უკვე სასაცილოდ ჟღერდა.

მწერალმა თავის თხზულებებში აზრისა და სიტყვის ახალი მოდელი შექმნა. ეს მოდელი მკითხველს დაფიქრებისა და განსჯის საშუალებას აძლევს. ასეთია ,,ჩემი სავანე“, რომელიც გამორჩეულია ორიგინალობით, ინდივიდუალური სახასიათო პერსონაჟებით.

მწერალი ენის გამომსახველობითი საშუალებებით, გამეორებით, როგორც პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახეობით, სათქმელს მეტ დამაჯერებლობას აძლევს. მიმართავს გამეორების სხვადასხვა შემთხვევას, რაც მელოდიურობით ხასიათდება.

<u>**სახელობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული სახელები:**</u>

რიხით იყო ლეონარდი, ძველი ლეონარდი, ლეონარდი მოგვევლინა.

შოთაი, იპოლიტეი.
სიმონი და პოლიხრონი ერთად იყვნენ .... და სხვა
<u>მიცემითი ბრუნვა:</u>
ხუმრობა არ უყვარდა ლეონარდოსა;
ჰკითხეს პავლესა, თედოსა, ლეონარდოსა.
ასპარეზი დარჩენოდა ყალიჩავას და სხვა
<u>გამეორებულია უარყოფითი ნაწილაკები:</u>
ასეთი უნდა არა? ასეთი უნდა არა? (1, 162)
ვერ ედავებოდა ვერა, ვერ ედავებოდა (1, 170)
არას დაგიდევდა არასა და არცა არავისა (1, 165)
არ მოეწონა, რაღაც არ მოეწონა (1, 167)
ვეღარ გაიტანა, ვეღარ მორჩა ვეღარაო (1, 168)
რო აღარ გველაპარაკა, აღარ ჰძინებოდათ (1, 168)
<u>გამეორებულია ადგილის ზმნიზედა:</u>
იქ გახლდა იქა. (1, 169)
იქა, იქვე ბინადრობდა (1, 181)
აქეთ წიოკი, იქით წიოკი, იქით ჯილდო (1, 185)
<u>გამეორებულია ზმნები:</u>
ამ თვალსაზრისით ქართული ზმნა განსაცვიფრებელია (ბ. ჯორბენაძე). მიგვაჩნია, რომ ზმნათა გამეორება ტექსტის მაღალმხატვრულობისათვის არის დატვირთული. გამოკვეთილია პერსონაჟის შინაგანი სამყარო, ხასიათი: გინეკოლოგი ვარო, მერე აჰყვებოდნენ ქალები, უცებ აჰყვებოდნენ, იცინოდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა, იცინოდა და ჰყვებოდა (1, 273).

შეჭამდა ერთ მათლაფა ბორშსა, შეჭამდა მეორესა, შეჭამდა მესამესა. შეჭამდა და ემასლაათებოდა, ჭამდა და ემასლაათებოდა ოფიციანტ ქალებსა, ემასლაათებოდა (1, 273).

<u>გამეორებულია ზმნისწინები:</u>
ზმნისწინების გამეორება თხრობას მუსიკალურობას ანიჭებს: მოუჭრა და მოაყოლა, მოაყოლა და მოაყოლა, დაატრიალა და დაატრიალა, აიყვანა და აიყვანა (1, 302).

გამოიტანეს, გამოააშკარავეს, მოიშალა, მოიფუტკნა (1, 13)

მიიხედე, მოიხედეს, წაუგორდათ (1, 371)

აღარა ჰხიბლავდა რექტორსა, სულაც ამოჰხია, დაანაკუწა, გადაჰყარა, რაღაც მწარედ ჩაიბურტყუნა, ვერ უშველიდა, უფრო მწარედ ეთქვა (1, 371)

მწერალი ჩვენი სოფლის, ყელქცეულის, ღვიძლი შვილია, ჩვენი წინაპრების მეგობარი, მეზობელი და ერთად შეზრდილნი. მის ნაწერებში ჩვენი სოფლის მეტყველების შეცნობა ძნელი არ არის. მიგვაჩნია, რომ მის თხზულებებში ქართლური, ანუ ჩემი სოფლის მეტყველების არქაული ნიმუშებია: განაგაძღეთ, მერე უცებ ორთქლი ავარდა, მერეღა მიხვდა, პაწაწკინტელა, რო იყო, რო მოევლინა, ან თუ განგაძღეთ და სხვები.

თხზულებაში უხვად არის ნაწილაკიანი ფორმები. მეთქი ნაწილაკი უფრო დიალოგებში გვხვდება.
როდის მერე მეთქი
რა გითხარი მეთქი
მახსოვს მეთქი
რასა ბრძანებ მეთქი
ღალატობ მეთქი
სიმონთანა წყდება მეთქი (1, 338-339)

ნაწილაკი მოუბარი პირის განზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს. აქ შეიძლება დაკარგული იყოს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ,,ვ“ ან შეიძლება თავისუფლად აღდგეს სიტყვაში.

აღნიშნული ნაწილაკი იხმარება ზმნაში პირველი პირის ფორმასთან.

მცირე რაოდენობით გვხვდება - თქო ნაწილაკი, რომელიც სხვათა სიტყვის აღმნიშვნელია. ,,ო“ ნაწილაკი დაერთვის სიტყვას, რომელიც წარმოშობით უკავშირდება ,,თქვა“ ზმნას.

თქვა და თქო ნაწილაკები არის წყვეტილის მესამე პირის ფორმები.

ოთარ ჩხეიძის თხზულებაში ენობრივი მასალა, მაგალითები შთამბეჭდავია და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიაში მაღალი იდეალებითა და ჟღერადობით.

ლიტერატურა:

1. ჩხეიძე ო., ჩემი სავანე, ხასიათები და პორტრეტები, თბ., 2000.
2. ლემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.

РУССКИЙ ЯЗЫК В МИРЕ

Мариам Ковтун
ст.4 курса спец .туризм
науч. рук. преп. ***Теа Хабалаева***

Русский язык, несомненно, — это язык богатейшей художественной литературы, мировое значение которой исключительно велико. Это — один из замечательных языков мира по разнообразию грамматических форм и по богатству словаря. Он всегда был предметом гордости русских писателей, любивших свой народ и свою родину. М. В. Ломоносов находил в русском языке «великолепие испанского, живость французского, крепость немецкого, нежность итальянского» и, кроме того, «богатство и сильную в изображениях краткость греческого и латинского языка».

Объектом нашего исследования стал русский язык в современных мировых реалиях. Цель нашего исследования - анализ значимости и места русского языка в разных странах мира/ Для реализации данной цели были выдвинута следующая задача - определить роль и место русского языка в мировом сообществе, а именно в США – одной из держав мира, Японии - страны богатой духовной культуры, Турция- наш ближайщий сосед, Израиль- народ, с которым у нас многовековая дружба. На наш взгляд русский язык в современном мире - грандиознейшее явление. Его считают родным свыше 200 миллионов, из которых 130 живут на российской территории. 50 миллионов являются носителями языка, причем большинство из этих людей пользуются ним как первым или вторым языком в повседневном общении. После китайского и английского (самых распространенных в мире), русским языком в разной степени пользуется полмиллиарда человек. По нашему мнению, усиление роли России в мировом содружестве увеличит число желающих изучать русский язык. По данным исследования W3Techs в марте 2013 русский язык вышел на второе место по использованию в Интернете (английский – 55,5 %, русский – 6.3%). Новизна работы усматривается в попытке исследовать насколько русский язык является востребованным в мире, а конкретно в вышеуказанных странах. Исходя из поставленной цели, нами были поставлены следующие задачи: исследовать информацию о востребованности русского языка в указанных странах, показать насколько широки ареалы его. В ходе исследования применялись следующие методы: аналитическое чтение статей и сопоставление полученной информации. Практическая значимость нашей работы состоит в том, что результаты исследования можно использовать на практических занятиях; зафиксированные в формате PPT, они пополнят электронную библиотеку кабинета русского языка.

Русский язык в США. Фондом английского языка США - (влиятельной неправительственной организацией, занимающейся вопросами лингвистической политики государства) в марте 2005 был опубликован доклад «Много языков — одна Америка», основанный на данных исследования языков, которые население этой страны использует в повседневной обстановке (дома, на работе, на улице). Согласно этому докладу, самый распространённый в США родной язык — английский. Им, как родным языком, владеют 215,4 млн человек из 293 млн американцев (73,5 %). Испанский является родным для 28 млн жителей США (9.55 %). Русский язык занимает 10-ю строчку по числу носителей в США — свыше 700 тыс. (0,24 %). Самое большое их число проживает в штате Нью-Йорк (218 765 человек, или 30,98 % от всех носителей русского языка), самое меньшее — в штате Вайоминг (170 человек, или 0,02 %). В первую десятку штатов, где распространён русский, также входят Калифорния, Нью-Джерси, Иллинойс, Массачусетс, Пенсильвания, Вашингтон, Флорида, Мэриленд и Орегон. По распространённости русский язык в США также уступает французскому (1 606 790), китайскому (1 499 635), немецкому (1 382 615), тагальскому (1 224 240), вьетнамскому (1 009 625), итальянскому (1 008 370) и корейскому (894 065). Однако надо знать, что знание русского языка дает конкурентные преимущества в поиске престижной работы. Русский язык может оказаться полезным при работе в фирмах, сотрудничающих с Россией, странами Восточной Европы и республиками бывшего СССР,а в районе Большого Бостона, например, где проживают около 40 тысяч русскоязычных иммигрантов из бывшего Союза, найти высокооплачиваемую работу врача или адвоката легче, владея дополнительно русским языком. А из 10 тысяч детей русскоязычных семей половина поступает в медицинские колледжи и факультеты университетов. Первая государственная русская бесплатная школа на Восточном побережье США открылась осенью 2009 года в городе Джексонвилл штата Флорида. Программа школьного обучения для 705 детей русскоязычных иммигрантов полностью соответствует американским стандартам образования. Все предметы в школе, кроме ежедневных уроков русского языка и литературы, преподаются на английском языке. Однако наиболее распространенные в Америке русские учебные заведения – это школы продленного дня и воскресные церковные школы при православных приходах, синагогах и еврейских центрах. Дополнительно существуют разнообразные студии и учебные центры – балетные, изобразительные, театральные и спортивные, где обучение и общение исключительно идет на русском языке.

Русский язык в Турции. После распада СССР существенно увеличились торгово-промышленные отношения России с Турцией. С 90-х годов и по сей день Россия является одним из главных импортёров лёгкой промышленности и продовольственных товаров для этой страны. Исходя из этих причин в Турции одновременно увеличился интерес и к русскому языку. В Стамбуле существуют отдельные торговые районы, в

основном Лалели и Беязыт, которые населены русскоговорящим населением (в том числе из стран бывшего Советского Союза). Здесь часто можно услышать русскую речь и увидеть надписи на русском языке. Жилой район Аксарай, находящийся рядом с Лалели, также населён выходцами из бывшего СССР. Второй причиной, по которой у турок появляется интерес к русскому языку, служит эмиграция русскоязычных женщин (в основном из Молдовы), которые ищут счастья за рубежом и нередко выходят за турок замуж. С начала 90-х годов туризм в Турции развивается преимущественно за счёт «открывшегося» после падения «Железного занавеса» рынка туристов из России и стран СНГ. Западные страны (в первую очередь Германия) в значительной степени уже давно исчерпали свой туристический потенциал. По посещаемости таких курортных городов, как Анталья, Аланья, Кемер, Бодрум, Мармарис, россияне быстро вышли на второе место после немцев, а в 2008 году превзошли их по числу визитов в Турцию. Этот факт подтолкнул турок к изучению русского языка во избежание языкового барьера в сфере обслуживания и других областях экономико-культурного сотрудничества двух стран.

Русский язык в Израиле. Русский язык является одним из самых распространённых в Израиле, особенно в среде репатриантов из стран бывшего СССР: РФ, СНГ, Балтии. Только после 1989 г. в Израиль прибыло более 1 млн репатриантов, для абсолютного большинства которых русский язык является родным или по крайней мере вторым языком. В отличие от многих других иммигрантских языков, русский язык в Израиле демонстрирует тенденцию к устойчивому сохранению и передаче молодому поколению. В данный момент в Израиле на русском языке свободно разговаривают более 20 % населения, функционирует значительное количество русскоязычных СМИ. С 2008 года русский язык получил статус одного из вторых иностранных языков в израильских школах. Министерство просвещения обязалось рассмотреть вопрос возможности сдачи экзаменов на аттестат зрелости на русском не только для детей репатриантов, как было ранее, но и для всех желающих.

Русский язык в Японии. Русский язык в Японии пережил два пика популярности. После полета Юрия Гагарина для технической интеллигенции русский стал языком передовой научной мысли. Второй пик популярности пришелся на период с 1985 по 1993 гг. Многочисленные кафедры русского языка возникли в японских университетах на волне спроса на русский язык со стороны бизнеса и государственных структур. Для многих, мечтавших о работе в торговых и финансовых компаниях, русский язык в дипломе стал дополнительным шансом при приеме на работу. Однако и до сих пор отношение к русскому языку в Японии особое, и он является одним из самых изучаемых здесь языков. Статистически интерес к русскому языку в Японии выражается следующим образом. На русском языке пять раз в сутки вещает Эн-эйч-кей - самая авторитетная общественная вещательная корпорация. Русский язык, один из немногих, ежедневно утром и вечером преподается по радио и два раза в неделю по телевидению. Учебники для радиокурса и телекурса продаются в каждом книжном магазине, создавая таким образом рекламу русскому языку и делая его изучение доступным и дешевым в сравнительно дорогой Японии.

Русский язык изучают более чем в 100 высших учебных заведениях Японии. Сейчас русский язык преподают как обязательный предмет в 24 университетах. Но только в 9 из них русский преподается как основной язык по специальности в течение 4-х лет. Еще в 15 университетах русский язык учат социологи, историки, политологи, культурологи вместе с другими языками. В большинстве университетов русский язык возник как факультативный (так называемый второй или третий иностранный язык), что предполагает изучение языка на первых двух, трех курсах два академических часа в неделю. Ежегодно русскому языку обучается около 2000 студентов. Токийский государственный университет иностранных языков каждый год принимает на отделение русского языка 70 человек. Более того, с некоторых пор желающих поступить на эту специальность больше, чем на отделение итальянского, испанского, португальского языков, а последние два года по популярности русский язык прочно удерживает третье место после английского и китайского. Студенты выбирают русский язык по разным причинам, всегда есть студенты, которые выбирают русский потому, что он им нравится. Нравятся мелодия, интонация, звуки русской речи. Некоторых интересует классическая музыка, балет, литература, русская культура в целом. Надо сказать, японцы среднего и старшего поколений с большим уважением относятся к русской культуре. Благодаря этому русский язык до сих пор пользуется особой популярностью в Японии.

В июле этого года в токийском районе Сэтагая прошел 38-й всеяпонский конкурс русского языка, в котором приняли участие 18 студентов различных курсов крупнейших японских ВУЗов (в том числе - Токийского университета, Токийского института иностранных языков, университета Васэда и др.). Всего на конкурсе присутствовало около 100 студентов и преподавателей русского языка. По традиции, победитель конкурса был награжден стажировкой в одном из российских учебных заведений и бесплатным билетом для поездки в Россию.

Итак, подытоживая наше исследование, мы сделали такие выводы:

- Русский язык – мировой язык. По абсолютному числу владеющих им, русский язык является одним из самых распространённых языков на планете и является средством международного общения;
- В последние двадцать лет положение русского языка за рубежом претерпевало серьёзные изменения, но сегодня он по праву сохраняет за собой статус мирового и остаётся ключевым фактором формирования позитивного восприятия России в мировом обществе.

- во всех этих странах огромное желание изучать русский и со временем ареал стран, где будет много желающих изучать русский язык как язык общения, увеличится (предположительно страны Евразийского Союза, Южной Америки, Ближнего Востока и Индонезии).

ЛИТЕРАТУРА:

1. http://www.news.rusrek.com
2. http://www.forum.polismi.org›index
3. http://www.gramota.ru
4. http://www.ng.ru
5. http://www.krugosvet.ru
6. http://www.ruvek.ru/ diaspora
7. http://www.coolreferat.com
8. http://www.norma–tm/rus_lang

Приложение 1. Распространение русского язык как государственного, а также как второго государственного в странах мира.



РУССКИЙ ЯЗЫК В СТРАНАХ ЕВРОПЫ

Лела Мурадашвили
ст. 2 курса спе . английская филология,
Мтвариса Садагашвили
ст. 2 курса спец . английская филология
научн. рук. препод. ***Нино Илуридзе***

Распространение русского языка всегда географически и территориально было во многом следствием деятельности Российской империи, затем СССР, а ныне Российской Федерации. В XX веке русский язык вошёл в число так называемых мировых (глобальных) языков. Сегодня на нем говорит около 250 млн. человек в Евразии (в том числе многие пожилые люди в странах Восточной Европы). По данным исследования W3Techs в марте 2013 русский язык вышел на второе место по использованию в Интернете (английский – 55,5 %, русский – 6.3%)[1].

Русский относится к самым востребованным языкам мира. На русском было написано огромное количество научных и технических материалов, кроме того, русский – язык литературы, Толстого, Достоевского. Статус русского языка в странах Европы сегодня стал объектом и целью нашего исследования.

Для реализации данной цели были выдвинуты следующие задачи: отыскать нужную статистическую информацию в интернете; провести анкетирование европейцев или проживающих там соотечественников и на этом основании определить роль русского языка в странах Европы на сегодняшний день. В этом заключается новизна нашего исследования. В ходе исследования мы использовали поисковый, опросный и аналитический методы работы. Практическая значимость нашей работы состоит в том, что результаты исследования можно использовать на практических занятиях; зафиксированные в формате PPT, они пополнят электронную библиотеку кабинета русского языка.

Проанализированный на примере ведущих европейских стран – Франции, Германии, Италии, Израиля, Испании, Португалии и т.д. материал позволил нарисовать следующую картину: при том, что число носителей русского языка в мире за последние двадцать лет снизилось, русский язык сегодня остается главным языком межнационального общения на всем постсоветском пространстве, на нем хорошо говорит старшее поколение и неплохо объясняется младшее во многих странах бывшего социалистического лагеря, русский язык является одним из официальных языков ООН.

Большое содействие распространению преподавания и изучения русского языка и литературы в мире оказывает Международная ассоциация преподавателей русского языка и литературы (МАПРЯЛ) – международное общественное объединение преподавателей и других специалистов по русскому языку и литературе, национальных союзов русистов, институтов славистики, кафедр русского языка и литературы, целью которой является оказание помощи в установлении постоянных связей между преподавателями и другими специалистами в области русского языка и литературы; осуществление обмена информацией, проведение международных конференций, семинаров, симпозиумов по теоретическим и практическим вопросам преподавания русского языка, литературы и страноведения. Конкретно, по инициативе МАПРЯЛ:

- проводятся семинары по повышению квалификации преподавателей-русистов с целью обмена научно-методическим и педагогическим опытом, организуются стажировки преподавателей в российских школах;
- поощряется интерес к получению образования в России, в т. ч. стажировкам и аспирантуре в российских вузах на платной основе;
- открываются курсы русского языка (в том числе частные);
- организуются различные мероприятия (семинары по повышению квалификации преподавателей-русистов, Олимпиады русского языка, конкурсы, молодежные форумы, льготные ознакомительные поездки в Россию, летние курсы русского языка в России для различных групп обучающихся, детские школы русского языка, открываются Центры русского языка;
- организуются школьный и межвузовский обмены, стажировки преподавателей-русистов в российских вузах с целью обмена научно-педагогическим опытом;
- разрабатываются научно-образовательные проекты и программы: долгосрочные стажировки в Институте русской литературы Санкт-Петербурга, Государственном институте русского языка им. А. С. Пушкина, Институте языкознания РАН, МГУ им. М. В. Ломоносова, Санкт-Петербургского государственного университета, Российского университета дружбы народов, происходит обмен научной литературой;
- в экзаменационных центрах тестирования по русскому языку (ТРКИ) проходят подготовку, сдают экзамены и получают признанный в странах ЕС сертификат об уровне владения русским языком, выдаваемый Министерством образования Российской Федерации (в числе слушателей курсов бизнесмены, служащие банков, туристических фирм, врачи, работники сферы образования, студенты, учащиеся школ, планирующие выехать на работу в Россию);

• открываются библиотеки русской литературы и магазины русской книги.

МАПРЯЛ проводит все эти мероприятия в тех странах, где есть её филиалы. Теперь отметим те мероприятия, которые проводятся в разных странах Европы независимо от МАПРЯЛ.

Австрия. По официальным данным в средних учебных заведениях русский преподается как обязательный предмет. Преподавание русского языка ведется также на языковых курсах при отделении ООН в Вене, Венской дипломатической академии, Австрийском институте стран Восточной и Юго-Восточной Европы.

Страны Бенилюкс. ***Бельгия, Люксембург, Нидерланды***. Русский язык в этих странах рассматривают как средство для налаживания российско-европейского диалога интеллектуальных элит. Центрами распространения русского языка являются крупнейшие и старейшие в стране университеты, где имеются сильные кафедры славянских языков и налаженные связи с образовательными учреждениями России, а также Культурные центры языка и культуры. Разработан специальный проект «Web Quest», который позволит осуществлять процесс обучения русскому языку с помощью сети «Интернет».

Болгария. Русским языком в Болгарии владеет около 80% населения. На филологических факультетах вузов русский язык изучается по специальности «русская филология» в качестве основного языка. Регулярно выходит научный сборник «Болгарская русистика».

Германия. Русский язык занимает в Германии третье место после английского и французского.

Активно работают в Германии общественные организации: Германское общество им. А. С. Пушкин, общество им. Ф. М. Достоевского, Общество им. П. И. Чайковского, общество «Екатерина Великая», Общество им. Марии Павловны, Берлинское общество друзей народов России, Центр русской культуры «Мир», Центр «Руссикум» и др. Организуются «Дни германской славистики», издается ежемесячный «Бюллетень германской славистики»; Фонды им. Р. Боша и «Меркатор» являются спонсорами форумов, олимпиад, выделяют гражданам России по 10 стипендий для работы в Германии в качестве преподавателей русского языка и страноведения. При Центре функционируют курсы русского языка и Клуб друзей русского языка, который ежемесячно проводит заседания в форме лекций, вечеров поэзии, музыкальных вечеров, организует Дни русского языка в Германии.

Греция. Важную роль в распространении русского языка играет Афинский институт русского языка А. С. Пушкина. Русский язык изучается в двух крупных вузах, функционирует греко-российское общество «Культура», пропагандирующее русский язык и культуру.

Испания. На сегодняшний день интерес к изучению русского языка в Испании возрос почти на 50%. Это вызвано туристическим бумом. Благодаря упрощённому визовому режиму с Россией, Испания стала одной из самых посещаемых для русских. В 2013 году Испанию посетило почти 2 млн. русских туриста. Испания занимает четвёртое место - после Турции, Египта и Греции, куда предпочитают поехать отдохнуть россияне. Чтобы угодить покупателям из России, местные рестораны, шопинги и агентства недвижимости нанимают русскоязычный персонал, а испанские работники изучают основные фразы на новом языке. В самых популярных местах среди русских туристов сеть торговых центров укомплектована русскоязычным персоналом. Специальность русская филология есть во всех крупных университетах Испании. Распространяют русский язык и культуру в Испании Фонд «Александр Пушкин», Центр российской культуры и языка, Ассоциация «Волга», Фонд «Конфлуэнсия», Ассоциация «Максим Горький». Существует детская школа русского языка. С ними работает профессиональный преподаватель российской средней школы по российским учебникам и пособиям.

Португалия. Новым фактором присутствия русского языка в стране является его использование внутри растущей русскоязычной общины. На русском языке издается 3 еженедельника, работают русскоязычные радиопрограммы, небольшие магазины, торгующие печатной, видео – и аудиопродук-цией на русском языке. На филологическом факультете изучаются дисциплины по выбору: «Русский язык и культура», «Русский язык», «Русский для журналистов», «Российские общество и культура».

Италия. Русский язык и культуру в Италии изучают дипломаты, предприниматели, студенты, которые имеют контакты с Россией или планируют работать и учиться в России. Они считают, что знание русского языка дает широкие возможности для общения на пространстве СНГ. Курсы обучения находятся в Риме, Милане, Венеции, Неаполе, Турине, Генуе, Специи, Болонье, Флоренции, Модене, Карраре. Университеты этих городов дружат с Санкт-Петербургским и Московским университетами, Государственным институтом русского языка им. А. С. Пушкина, крупными издательствами «Русский язык» и «Златоуст». В Риме действуют курсы русского языка и культуры при ассоциации «Эст-Овест», которая выдает сертификаты по русскому языку. Проводятся фестивали русского языка. Статьи и результаты оригинальных исследований по русской филологии печатаются в научных журналах «Russica romana», «Europa orientalis», «Studi slavistici», «Slavia» и др.

Во Франции эффективным стимулом к изучению русского языка во Франции являются курсы русского языка, открытые в Российском центре науки и культуры и стажировки французских учащихся в российских вузах, интерес к которым постоянно растет. Импульс к изучению русского языка придала также подготовка к празднованию 300-летия Санкт-Петербурга, в истории и архитектуре которого имеется заметный «французский след».

Скандинавские страны. Для изучения русского языка в ***Норвегии*** популярны Международная летняя школа в Осло и летние курсы в вузах Москвы и Санкт-Петербурга. В ***Финляндии*** образования разработана

«Целевая программа расширения знаний о Российской Федерации», в которой предусмотрено изучение русского языка и совершенствование подготовки педагогов-русистов. Функционирует Общество «Финляндия-Россия», которое остается крупнейшим в стране организатором поездок финнов на курсы русского языка в Россию. Есть русскоязычные школы и детсады «Калинка», «Матрешка», «Теремок», группы с углубленным изучением русского языка. Развитие торгово-экономических связей между Россией и ***Швецией*** послужило росту различных курсов русского языка для взрослых, финансируется проект большого русско-шведского и шведско-русского словаря. начавшегося в 1999 году и рассчитанного на пять лет.

В **Польше** популярны сертификационные курсы русского языка разных уровней при всех университетах, в Варшаве работает магазин русской книги.

Румыния. Главным центром подготовки русистов в стране является Бухарестский университет и частный университет «Спиру Харет». Преподавание русского языка и литературы вне вузовской и школьной сети образования практически отсутствует. Работают воскресные курсы русского языка для детей русской общины а также группа при российском посольстве в Бухаресте.

Бывшая Югославия. Русский язык в странах бывшей Югославии традиционно популярен наряду с английским, французским и немецким. Русский язык в качестве специальности изучают на филологических факультетах университетов, происходит обмен преподавателями русского и македонского, сербского, черногорского, хорватского языков, стажерами и студентами. В Белградском университете работают командированные российские преподаватели. Центр культуры ежегодно проводит празднование Дня славянской письменности и культуры. Вне школьного и вузовского сектора преподавание русского языка ведется преимущественно на кратких курсах интенсивного обучения. Возрождению интереса к изучению русского языка как в вузах, так и в других секторах системы образования способствует успешное развитие двусторонних отношений во многих областях, включая экономическое сотрудничество.

Бывшая Чехословакия. Чехия. Русский язык преподается на кафедрах 20 вузов Чехии. Сегодня кафедр часто не хватает для удовлетворения всех желающих попасть на специальность «русская филология». Важную роль в пропаганде русского языка и российской культуры играет Чешская ассоциация русистов, проводящая семинары, конференции, Олимпиады по русскому языку, ежегодный литературно-музыкальный конкурс «Памятник А. С. Пушкину», в котором принимают участие школьники и студенты из разных городов страны. Имеются в Чехии и Словакии частные коммерческие школы и языковые курсы: «Бритиш Интернэшнл Скул», «Евролингва», «Орбис Пиктус», «Берлиц».

Приложение 1. Динамика роста числа слушателей курсов русского языка при РЦНК



Исходя из вышеизложенного, мы можем сделать следующие выводы:

1. Русский язык был, есть и будет в числе самым востребованным мировых (глобальных) языков. Кроме ученых и технических деятелей русским языком пользуются студенты.... спортсмены, деятели шоу-бизнеса, религиозные деятели и люди, которые приезжают в Европу на тренингах или на работах.
2. Стремясь к повальной модернизации и инновации, можно потерять ценные собственные традиции. Важно сохранить, закрепить и развивать дальше то хорошее, позитивное, что уже имеется и исправно работает в наших контактах и взаимодействии.

3. В заключение: если к вышеизложенным соображениям добавить долгожданную и возможно скорую отмену виз для облегчения контактов между народами, то нельзя не предсказать особу. Популярность в будущей Единой Европе

ЛИТЕРАТУРА:

1. http://www.1tv.ru
2. www.russinitalia.it
3. http://ru.wikipedia.org
4. http://www.destatis.de
5. http://www. gramota.ru
6. http://www. pitfond.ru

ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა (წინასწარი მოხსენება)

სოფიკო მძინარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ფშაური დიალექტი ქართული ენის თავისთავადი და საინტერესო ერთეულია. მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში და შემდგომ დღის წესრიგში დადგა ენის ნორმების მოწესრიგება. ენაში უხვად შემოჰქონდათ დიალექტიზმები, რომლებიც ვერ ეგუებოდა საერთო ეროვნული ენის ბუნებას.

ვაჟა-ფშაველას დიალექტიზმების შესახებ წერილი გამოაქვეყნა აკაკი წერეთელმა ჟურნალ „კრებულში“ №11, 1899 წელი. წერილში პოეტი სადავოდ მიიჩნევს ვაჟას ენაში დიალექტიზმების გამოყენებას და აღნიშნავს, რომ ვაჟამ მახინჯი ზმნური ფორმები შემოიტანაო. უფრო გვიან კი აკაკიმ თავისი თვალსაზრისი ლექსით გამოხატა:

„ენას გიწუნებ, ფშაველო
მგოსანო მაღალ მთისაო
თუმც კი გვითესავ მარგალიტს...
მკითხველიც იმას მკისაო...“

ლექსში ,,დაგვიანებული პასუხი აკაკის“ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ ფშაველები ძირეული ქართველი ტომია, ფშაური კილო სალი კლდეა:

„იქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი იქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად,
მთიელთ სამშობლო თავისა,
და ენა მათი სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა...“ (1913 წ.)

ქეგელის პირველ ტომში აღნიშნულია: ახალი სალიტერატურო ქართული აღდგა თავის უფლებებში, დაიწყო სალიტერატურო ენის განვითარების ახალი ეტაპი, რომელსაც ქმნის დიდი ქართველი მწერლების - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება (არნ. ჩიქობავა, 1950)

ვაჟას შესახებ ქსე-ში აღნიშნულია: ,,ვაჟას ენობრივი პოზიცია დაეჭვებას იწვევდა ჩვენ დროშიც, მან გააფართოვა ქართული პოეტური მეტყველების ჩარჩოები კერძოდ, დიალექტური და ძველი ფორმების შემოტანით გაამდიდრა“ (ქსე, 1979)

ვაჟას ენის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები არსებობს დღესაც, მოვიყვანთ ერთ მათგანს.

ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე ღლონტი წერს: ვაჟას ქართული - საერთო, სალიტერატურო ენაა, მდიდარია აზრი, თითქოს ვაჟას ენა პროზასა და პუბლიცისტიკაში ერთია, პოემებში მეორე. ვაჟას

მხატვრული ენა მთლიანი და განუყოფელია. ყველა ჟანრში გამოსჭვივის მგოსნის სტილის ორიგინალობა, მაგრამ მისი ენა ერთია - სალიტერატურო ქართული (ალ. ღლონტი, ჩანაწერები, 1980).

ძნელია არ დაეთანხმო ცნობილი მეცნიერის შეხედულებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ვაჟას პოეზიაში დიალექტიზმები და სხვა ენობრივი მოვლენები საკმაო ოდენობით დასტურდება, რომლებსაც მცირე რაოდენობით აქ წარმოვადგენთ.

მასალები ამოვკრიბეთ ვაჟას ლექსებიდან და აკაკი შანიძის ცნობილი გამოკვლევიდან ,,ქართული კილოები მთაში".

ფშაურ დიალექტში გვხვდება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ბგერები, ესენია ⵖ (ხარი), ⵊ (იოტა). ვაჟას ზოგიერთი ლექსი აგებულია ხალხურზე და ისინი ლიტერატურულ ვარიანტებს წარმოადგენენ.

პირველი მათგანი ძველი ქართული ბგერა ⵖ (ხარი), რომელიც განირჩევა ხანისაგან, ფშაურ კილოში გვხვდება:

„შატილს მოიდა ⵖოⵖობი, დიდგულად დაჯდა ჯარზედა,
მოზარდნა შვილნი წიწილნი არწივის ნაბუდარზედა.
შვილთავ უყიდა თოფები ⵖმლებ გადააⵊკიდ ტანზედა
... აⵖადს გოდერძათ ციხეო ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა
აⵖადს გოდერძათ ციხეო ჯაჭვი გადიცვი ტანზედა
... თუ მე ეგ წამაყვანინოთ ნუ წვერიმც ნუ მსხვის ყბაზედა
შვიდ ქისტმ ერთმა ფშაველმა ⵖელი დაიკრეს ⵖმალზედა..."

ამავე ლექსში ხშირად გვხვდება ⵊ (იოტა) ბგერა, როგორც სიტყვის დასაწყისში ისე სიტყვის შიგნით: მამასა ⵊგავის, (სიტყვის თავშია) აჰყარა იარაღები ქალს გადაⵊჰკიდა მხარზედა. (გვხვდება გადა ზმნისწინის შემდეგ. ასევე დაⵊღონებულხარ, შაⵊჰბიროოდა ნიშნავს შეჰნატროდა, მაⵊჰყვება ფშავლის შვილები (აკ. შანიძე, ქართული კილოები მთაში).

ფშავში ხშირია ზმნისწინისეული ა ხმოვნის ასიმილაცია:

დეენახნეს, დეეხოცნეს, გეეხსნეინა

დისიმილაცია: ლიშანი (ნიშანი), ქალს ლიშნ მიუტანიან, ზოგი თოფს გვილიშნებს ლიშანდობრივ ეუბნა

ვაჟას ლექსებში დაცული ოდ სუფიქსი:

„როცა მუგუზლით ვღოდავდით
ან ლაფში ჩავაწვინოდით,
მაშინ ძლივს ვათქმევინოდით
ჩვენც დავიწყოდით ღრეობა
მწრივად დავსხდოდით ყველანი"

ან კიდევ: ჩამოდიოდ, შაⵊჰბროოდა...

ვაჟას ნაწერებში გვხვდება მრავალგზისობის ფორმები. წერდის ნიშნავს წერდა ხოლმე, წერდიან - წერდნენ ხოლმე, ჩამოვიდის ფრინველი სუის წყალი და მასვე ციხესა შევიდის. ეს ფორმები ხოლმეს გაგებას შეიცავს, რომელიც გადმონაშთის სახით დღესაც გვხვდება, მათ შორის ქართულში ძირითად ხომეს სახით.

ბგერათა გადასმიდან დავადასტურეთ: ცვერცვი - ცერცვი, ძრიელი - ძლიერი, მადრიელი - მადლიერი, სურიელი - სულიერი, სახმთო - საღმრთო...

იკარგება მოთხრობითი ბრუნვის მა ნიშნის ა ელემენტი: ქალებ გამაჯავრეს, ლევანმ არა გიამბუა, მაყრებ ჩამაისმან...

ლექსიკური თავისებურებანი ვაჟას ნაწერებში დიდი მასალაა, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტულობა ახასიათებს (იხ. ალექსი ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი).

ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია: მარⵖილი - მარხილი, უკლონი - ჯვარდაწერილნი, გავიბასრები - დავიღვრები, ქათიბი - ბეწვიანი ტყავი;

ვაჟას ნაწერებში კიაფობენ ახალი სიტყვები, რომელიც ყოველთვის იქნება ქართული ენის საუნჯე.

ვაჟას დამსახურებას ახალი ქართული ენის განვითარების საქმეში კ. გამსახურდია ასე ახასიათებს:

„ვაჟას ჰქონდა კუთხური, ფშაური კილო, მაგრამ საერთო ფონი მისი მეტყველებისა იყო ძველქართული. ლექსიკის მხრივ ვაჟამ განუზომლად გაამდიდრა ქართული პოეტური მეტყველება, ისეთი მზითევი, რომელიც თან მოჰყვა ვაჟას, არც ერთ ქართველ მწერალს არ შემოჰყოლია თავის კუთხიდან. ეს მზითევი დიდად წაადგა მეცხრამეტე საუკუნის ენას. ამ მხრივაც განუზომელია ვაჟას დამსახურება" (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1967).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება უკიდეგანოა და მისი შესწავლა დიდად საპატიო საქმედ მიგვაჩნია. ენობრივ თავისებურებათა გამოვლენა დაგვეხმარება მწერლის თხზულებათა გაგებაში.

ლიტერატურა:
1. ჟურნალი „კრებული“, 1899.
2. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგელი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 025
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 296
4. ღლონტი ალ., ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980, გვ. 38
5. შანიძე აკ., ქართული კილოები მთაში, თხზ. I, 1957
6. გამსახურდია კ., რჩ. თხზ., რვატომეული, ტ. VIII, თბ., 1967, გვ. 214
7. ვაჟა-ფშაველა, (თხზულებანი) ლექსები, მოთხრობები, პოემები, პუბლიცისტიკა, წერილები თბ., 1996.
8. ლემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.

ფრაზეოლოგიზმები გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხესა“ და ოთარ ჩხეიძის „ნაკრძალში“

მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

ყოველი დიდი მწერლის ენა მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, აფორიზმებით, იდიომებით და ხშირად ისეთი ფრაზებითაც, რომლებიც თვითონ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია და უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ, როგორც ფრაზეოლოგიური სიტყვის მასალა.

იდიომები, ხატოვანი სიტყვა-თქმები იმდენად ბევრია და საოცრად ტევადი შინაარსისა გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში, მათ ნაწერებში, რომ მათზე საგანგებო ყურადღების გამახვილება, თავმოყრა-გაანალიზება უდავოდ ხელს შეუწყობს ამ მწერლების ენის გამომსახველობითი პოტენციის სრულად აღნუსხვა-ფიქსირებას და იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად უხვი და მდიდარია საზოგადოდ ამ მწერლების ლექსიკა, რამდენად გაამრავალფეროვნეს მათ დედა ენა ძველი და ახალი ერთეულებით, რომლებიც ან დავიწყებას იყვნენ მიცემულნი, ან არ წარმოადგენდნენ ჩვენი სალიტერატურო ქართულის აქტიური ლექსიკონის კუთვნილებას.

გ. ლეონიძის პროზაულმა ქმნილებამ „ნატვრის ხე“, რომელსაც ავტორი „ყრმობის მოგონებებს“ უწოდებს, გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ეს კრებული შედგება ოცდაერთი მოთხრობისაგან. საოცარი ის არის, რომ გ. ლეონიძე პროზაშიც პოეტია. მისი მოთხრობები პოეტური გულით არის ამეტყველებული. პროზა და პოეზია ჰარმონიულადაა შერწყმული ერთმანეთში.

გ. ლეონიძე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სასაუბრო მეტყველებისადმი. მისი პერსონაჟები ხალხის მეტყველებიდან აღებული ფრაზეოლოგიზმებით, წყევლისა თუ საალერსო ფორმულებით მეტყველებენ, რაც მის უხვსა და მრავალფეროვან ლექსიკას კიდევ უფრო გამომსახველად წარმოაჩენს. სასაუბრო მეტყველებიდან გადმოღებული ფორმულებად ქცეული გამოთქმებია: „მოდი ახლა და იპოვე ორასი წლის მერე ის მაშინდელი ორი ვერხვი“, (2. 65) „მერე რა მსხალია?! მსხლებს პირი ჰქონდეთ ერთმანეთს დასჭამდნენ“, (2. 14) „ყურძენი ხომ იყო და იყო“, (2. 14) „პატრონი ვინ იყო...“, (2. 13) „დაიწყო და რა დაიწყო...“, (2. 25) „მოდი და ნუ დაუჯერებ ციციკორეს“, (2. 155) „ერთი უყურე, აბა ქალს ეგ უხდება?“, (2. 156) „ეს არი და საკვნესარი! დავძინე მე“. (2. 230)

გ. ლეონიძის ენას მიმზიდველსა და ხატოვანს ხდის სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ეს გამოთქმებიც, რომელთაგან ზოგი ნაკლებ გავრცელებულია: „სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელი“, (2. 248) „ქვევრი მოვამშრალოთ“, (2. 241) „სულის დროშა დაკეცა“, (2. 216) „მარილი არ აგიტირდა აქამდეო“, (2. 241) „ყველა თავის კვერცხში წიოდა“. (2. 249)

გ. ლეონიძესთან ხშირად ვხვდებით გამონათქვამებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთია მაგალითად: „ისეთია, ისეთი, რომ მშიერი ძაღლი პურს არ გამოართმევსო“, (2. 10) „ფეტვი არ გაჰვარდება ხელიდანო“, (2. 62) „ჩირიკზე იტყოდნენ: „ისეთია, სადაც ნემსს შესდებს, სახნისს გამოიღებსო!“, (2. 60) „გულადობა გაცვდებაო, პურადობა დარჩებაო!“. (2. 244)

მწერალი ხშირად იყენებს ანდაზებს, რაც შინაარსს აღრმავებს და სასაუბრო მეტყველებას სიდარბაისლის, სიბრძნის ელფერს ანიჭებს: „დედაკაცს დღეში სამი სიტყვა ეყოფაო“ (2. 134) „ჩიტმა თავის ბუდე იცისო“, (2. 32) „სხვას სხვისი მკვდარი მძინარე ეგონაო“, (2. 64) „ფათერაკი მწყრის ფერიაო, უცბად წინ ამოგიხტებაო“, (2. 114) „შრომა, ოფლი და ამაგი ყველაზე დიდი სიმდიდრეაო“, (2. 87) „ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდაო“, (2. 97)

გ. ლეონიძის პერსონაჟთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია ე.წ. წყევლის ფორმულების გამოყენება. ისინი ხშირად იწყევლებიან. მაგალითად: „მიწამ კი დაგიკეტოს კარი, შე უხსენებელო! (2. 30) „აი, მიწამ კი ჩაგჩიჩქნოს მალე! შენ კი გაგეპაროს წამალი, შენ კი მოიშალე მადლისაგან!“, (2. 240) „რატომ არ დაწყნარდები, შე საბრალოდ აშენებულო, შე შავმუჭა მიწავ, შავო მტვერო! შესძახებდა მოთმინებიდან გამოსული ღვთისნიერი ნინორე“, (2. 39) „აგერ მოილახვრება პირქვე დასამარხავი“, (2. 67) „ეგრა ცოდვის კითხულია! დაიწვას მაგის აკვანი! ვინ შემოუშვა გზაძაღლი, ღვთის გარეგანიო! ცეცხლი ჭამოს და გეენიაო! იწყევლებოდა ბებო“, (2. 110) „რას იცინი, ნივრიგლეჯიავ, დოღრიალავ, მუხის ფუღუროსავით თავი რომ გაბია ზედ და ქინძი ამოგდის ! და თვალები სიბოროტით მიუელვარა!“ (2. 28) „აი, შე სვეტიცხოვლის დამქცევო!“, (2. 72) „შე ქრისტეს ფეხის მკვნეტელო“, (2. 39) „- რა გინდა შე, ნაცარდასაყრელო, ავთვალო!“, (2. 39)

საპირისპიროდ, ალერსის ფორმულები, კრებულის პერსონაჟები რომ მიმართავენ ერთმანეთს, სიფაქიზითა და სიყვარულით არის აღსავსე. მაგალითად: „ჩემო სიცოცხლის ცისკარო!'' (2. 130) „ჩემო გაშლილო იაო!“, (2. 130) „წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე“' (2. 130) „იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მამაგონდები“' (გვ.,130) „ჩემო სიყრმის მზევ, შენ კი გენაცვალე!“ (2. 129) „შენი მუხლების ჭირიმე!“ (2. 130) „დედის ოქროს შანდალო“, (2. 129) „ჩემო დამტირებელო, მშვენიერო თვალებო“, (2. 106) „ჰეი, სახელგემრიელო, ჰეი ოქროს-ყელავ, მოდი კაბის ნაწიბურზე გემთხვიოო!“. (2. 107) ცოლ-ქმარი ზოგჯერ ასე ეფერება ერთმანეთს: „რა გინდა შე, ნაცარდასაყრელო, ავთვალო! - ასეთი ალერსით უპასუხებდა თაღრიას მეუღლე თოთოლა“. (2. 17)

ნაწარმოების პერსონაჟები ზოგჯერ მლიქვნელობენ კიდეც და შესაბამისად მიმართავენ ერთმანეთს. მაგალითად: „მთვარეს ჰგავდი, ცისკრიანად! - მლიქვნელურად შეაქო ნინუცა ბაბალემო“, (2. 25) „თვალი ჩამოგავლეთ! ისე შეგეწიოთ მზე დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ!“ (2. 26)

„ნატვრის ხის“ „პირტკბილი“ გლეხები იმიტომ არიან თურმე ასე სიტყვათბილები, რომ ამაზე სპეციალურად ფიქრობენ. მაგალითად ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „მე რომ დილით შინიდან გამოვდივარ, ენას შაქარში ვავლებ, რომ ტკბილად ვილაპარაკო“. (2. 37) მათთვის თითქოს მოვალეობად ქცეულა, რომ გულის სითბო გაუნაწილონ ერთმანეთს „ენა ტკბილად გაიხარჯოს“, „ხალხში რომ მივიდეთ გავატკბილოთ, ვინც ჩვენთვის ტკბილ ენას ამოუშვებს, ცოცხალი იყოს“, (2. 37) ამბობენ ისინი.

გიორგი ლეონიძის პერსონაჟებმა დალოცვაც სხვანაირი იციან. იმ ალალი გულიდან მოსული სიტყვებით გვიკურთხებენ ცხოვრებას, როგორი ლამაზი უბიდანაც თავად არიან მობრძანებულნი: „გწყალობდეს ამომავალი მზის შუქი! მომილოცავდა მზის ამოსვლას, თან დასძენდა, - მზე რომ ვარდივით ამოდის ხომ გიხარიან? დილის სუნს რომ ვისუნთქავ, ამოსუნთქვა აღარ მინდაო!“, (2. 130) „როგორც ცას ცისარტყელა ამშვენებს და რამდენიმე ფერით დედამიწას დაჰყურებს და ახარებს, ისე გემხიარულოს“, (2. 199) „როგორც დედამიწას მზის სხივი არ მოეშალოს, ისე შენი სახელი არ მოგვიშალოს ღმერთმა! იყავ მზეგრძელი იცოცხლეო!“. (2. 88)

გ. ლეონიძის პროზის ენა მდიდარია მეტაფორული თქმებითაც, რომელთა უმრავლესობა მწერლისეულია, მაგალითად: „სულის დროშა დაეცა“, (2. 215) „გული ნაცრით მოიმშრალე“, (2. 116) „და მე მიყვარს მისი სულის ჭაღარა ყვავილი“, (2. 219) „არ დაივიწყო საქართველოს მოჭრილი ძუძუ, ჩვენი აკვანი. (მესხეთი.)“ (2. 204) „გულში ია ამოსდიოდა“ (2. 185)

ამავე ხასიათისაა: „ხმლის ენაზე, ალაპარაკდა სუფრა“, (2. 118) „სიტყვა გაღორდა“, (2. 118) „ზღვის რყევა დაიწყო“, (2. 118) „გაიშალა საუბარი... სიტყვამ გაინავარდა“, (2. 104) „პოეტებს ხანდახან უნდა აპატიოთ ოცნების გადადუღება“, (2. 162) „ხარობდნენ ლიტრის კაცები“. (2. 96)

ეს გახლდათ იმ ფრაზეოლოგიზმების ერთი მცირედი ნაწილი, რომელიც გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეშია“ მოცემული. მათი საშუალებით მდიდრდება მწერლის ენა.

ფრაზეოლოგიზმები ასევე მდიდრულადაა აღნუსხული ოთარ ჩხეიძის მხატვრულ ქმნილებებში. კერძოდ კი მის რომანში „ნაკრძალი“.

ოთარ ჩხეიძის რომანებიდან ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სიტყვის ფუნქცია მწერლის ხელში, არამედ თავად მწერლის დამოკიდებულება სიტყვისადმი, ენისადმი. კრიტიკოსები წერენ, რომ ოთარ ჩხეიძემ ქართული ენა ლიტერატურულ პერსონაჟად აქცია და მეტად ორიგინალურად წარმოგვიდგინა ხალხისა და ენის ურთიერთობა.

„ოთარ ჩხეიძის სტილი ერთგვარი მედიუმია, გამტარია მზესა და მიწას შორის, ცასავითაა, მზის ენერგიას რომ ფილტრავს და აკავებს. რომ არა ცა, მზის მხურვალება გადაბუგავდა დედამიწას. ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაშიც ასეა. იმდენი საიდუმლო, ისეთი პროცესები და მოვლენები იმალება და კავდება მისი სტილისტიკით, რომ არა ეს ხელწერა, მათი ნიაღვრები წამლეკავი აღმოჩნდებოდა გონებისათვის“ - ასე აფასებს ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას მწერალი მაკა ჯოხაძე.

ფრაზეოლოგიზმები, ხალხური თქმები, იდიომები, ფრთოსანი სიტყვები, ანდაზები, რომლებიც რომანშია გამოყენებული, მხატვრულ ელფერს სძენს ნაწარმოების ენას.

„ჰო ვიცნობ, შემწვარს ვიცნობ, აკეპილს ვიცნობ“, (4. 61) „ვიცი ამბავი ჩემი შეჭედილი ხატისა“, (4. 61) „ცოლის ფეხებთან დაემხოო, ეს იმასა ნიშნავს, ყურმოჭრილი მონაა თავისი ოჯახისა“. (4. 126)

რომანში გვხვდება ე.წ. „წყევლის ფორმულები“: „ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო, მაშინვე ეს წამოუვარდა ენის წვერზე“. (4. 346)

ამის საპირისპიროდ, რომანში გვხვდება „ალერსის ფორმულები“, პერსონაჟები რომ მიმართავენ ერთმანეთს და ამით ამრავალფეროვნებენ ნაწარმოების ენას, სიფაქიზითა და სიყვარულით ავსებენ მკითხველთა გულებს.

„აჰ რა სანუკვარი ხარ, ყვავილივითა ხარ, ია ხარ, მახარობელი გაზაფხულისა“, (4. 125) „ჩემო კარგოო, ისევ შენი გონიერების იმედი მაქვს, გონიერებაა შენი ძალა და მშვენიერება“. (4. 125)

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმობნეული ხალხური სიტყვიერებიდან ცნობილი ანდაზები და აფორიზმები მძლავრი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და, რაც ყველაზე მთავარია, ეს მასალა ბუნებრივადაა ჩაქსოვილი თხრობაში და ძნელად გამოირჩევა მწერლის ენისაგან. მაგალითად: „ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან კი ტყუისო“, (4. 173) „კატა, რა სიმაღლიდანაც უნდა გადმოაგდო, ფეხზე დადგებაო“, (4. 174) „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, (4. 351) „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასაო, განმეორებითაც არაფერი დაშავდებისო“' (4. 93) „მომრევის მომრევი არ დაილევა ამ ქვეყნადაო“' (4. 10) „ქალი მაინც ქალია, ციხეზე ციხეა გაუტეხელი, აუღებელიო“. (4. 76)

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმობნეული ხალხური თქმები, იდიომები, ამდიდრებენ და განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენენ ნაწარმოების ენას. „მოიპოებდა, ქვას გააპობდა და მოიპოებდა“, (4. 9) „ეს ერთი მოუბრუნდა, ამ ერთმა დაჰყარა გული აქაობასა“, (4. 361) „თავისი კბილა ბიჭები მოსხდომოდნენ ირგვლივა“, (4. 76) „ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფსო“ (4. 75) „დაუძლეველი კედელი, ამისათვის დაუძლეველი“. (4. 17)

ასეთი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება ამოვწეროთ ო. ჩხეიძის რომანიდან „ნაკრძალი“. რომანში აღბეჭდილი ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს მწერლის ენას.

ჩვენ მიერ ნაშრომში მოყვანილი ფართო ფრაზეოლოგიური მასალა შესაძლებლობას მოგვცემს მომავალში შევისწავლოთ გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჩხეიძის წერის მანერა, სტილი. გამოვავლინოთ წერის ის თავისებურებანი, რაც მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი, რითაც ისინი განსხვავდებიან როგორც სხვა მწერლებისაგან, ასევე ერთმანეთისაგან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა ჭეშმარიტი მწერალი თვით ქმნის თავის ენობრივ სტილს და, აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ მისეულია. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა ჩვენს მიერ განხილული მწერლების მაგალითზე.

ლიტერატურა:

1. საენათმეცნიერო ძიებანი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 1983.
2. ლეონიძე გ., ნატვრის ხე, თბ., 1976.
3. კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
4. ჩხეიძე ო., ნაკრძალი, თბ., 2012.
5. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
6. ლემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.

რევაზ ინანიშვილის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება

ნათია ოქრუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე,** პროფესორი

რევაზ ინანიშვილი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შემოქმედია, გამორჩეული თავისი ენითა და სტილით. რევაზ მიშველაძე თავის წერილში „ენა და მწერალი“, აღნიშნავს: „მწერლობა მოკლედ, ლამაზად, და საინტერესოდ წერაა და სხვა არაფერი. მოკლედ და ლამაზად წერა მხოლოდ და მხოლოდ ენას უკავშირდება. ვერც საინტერესოდ დაწერ თუ ენის წიაღში ყელამდე არ ხარ ჩაფლული. ათასი ვარიანტიდან ერთი ყველაზე ზუსტი ფრაზა უნდა მოძებნო მოვლენის დასასურათხატებლად. ჭეშმარიტი მწერალი თვით ჰქმნის თავის ენობრივ სტილს და აქედან გამომდინარე მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ რომ მისეულია" (რ. მიშველაძე, გვ. 3).

ოთარ ჭელიძე აღნიშნავდა: “რევაზ ინანიშვილი ლაპარაკობდა დინჯად, მოზომილად, თითქოს უხილავ კრამიტებს აწყობდა ჩვენ ზევით უხილავ სახურავზე. მის სიტყვას მართლაც კრამიტის სიმძიმე და საიმედოობა ჰქონდა. თითქოს იმავე თიხით იყო მოზელილი, როგორც მთელი კახეთი- ქვევრი, ჯამი, დოქი, ხელადა, ოღონდ ცეცხლში კი არა, მზეში იყო გამომწვარი, ხაშმის მზეში, ედო კიდეც მისი ფერი. შეკრული იყო მოდარაჯე კოშკივით, როგორც კახეთში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ“ (ო. ჭილაძე, გვ. 2).

თავისებურია რევაზ ინანიშვილის ენა და სტილი. ჩვენ შევეცადეთ, ჩვენს მოხსენებაში გვეჩვენებინა რევაზ ინანიშვილის ენისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თავისებურება.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში ხშირია ემფატიკური -ა ხმოვნის გამოყენების შემთხვევები. მავრცობი -ა დაერთვის, როგორც არსებით სახელს, ისე რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელს. მაგ.: 1) “-ქალებო ქვეყნის ჭრელო თვალებო! აბა შინისკენ შვილებს-**ა** სჭირდებით, ქრებს-**ა** სჭირდებით“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 159); 2) “-ორმოცზე მეტის-**ა** ხომ ხარ, არა? -ორმოცდაერთის-**ა.** რა იყო?“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 157); 3) არ წახვედი შენ-**ა**? არ წახვედით თქვენ-**ა**? ხო გითხარით წადით მეთქი,მანან! -იი ნეტავი ერთი შენც-**ა**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 157).

დიალექტიზმები მეტ-ნაკლებად ბევრი ქართველი მწერლის თხზულებებში გვხვდება და არც რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისათვის არ იყო უცხო. ის კახეთიდან გახლდათ და მის მოთხრობებში ხშირად ვხვდებით კახურისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს. ოღონდ ეს ფორმები ისე ოსტატურად აქვს შეხამებული სალიტერატურო ენასთნ, რომ მკითველს არ უჭირს მისი აღქმა და გაგება. მაგ.: 1) ”არც ცემა მახსოვს ჩემი დედინაცვლისგან, არც **ფინთი** წყევლა, მაგრამ დედინაცვალი რომ სხვა არის და დედა სხვა, ამას თუნდაც იმითა ვგრძნობდი- როცა დედინაცვალი **მაბანებდა**, წყალს ისე **მაქივლებდა,** სულს ვეღარ ვითქვამდი და ვოსდებოდიო“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 6); 2) ,,რატომღაც აქამდე ვერ მიეჩვია ქალაქის ჩოჩქოლს, სულ სიწყნარე უნდა, სულ სადღაც **მიყუნჭვა**, საამქროშიც კუთხეშია **მიყუნჭული**, თვისი საკერავი მანქანით“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 7); 3) ,,ატმებს და ქლიავებს არ ესხათ,- ყინვამ ყვავილებში მოუსწრო და **მოფრუშკაო**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ.21); 4) ,,ამ აგვისტოს ბოლოს კახეთიდან ვბრუნდებოდი, ეგრე მოკლეებზე გადმოვედი და ლელიან ველს რასმე წავაწყდი. ვხედავდი **ჭყანტობია**, იმ **ჭყანტობის** იქით მუხა დგას“(რ. ინანიშვილი, 1986, გვ.508).

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით კახური კილოსათვის დამახასიათებელ შემოკლებული სიტყვის ფორმებსაც. მაგ.: 1) ,,-ეხლავე, **გენა**, ეხლავე“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 159); 2) ,,-კარგით, **ქა**, მე ძალიან მშვენივრად ვარ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 159); 3) ,,ჩქარათ **ქა** რა ახალამდგარი პატარძალივით მოსეირნობთ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 159).

ზოგჯერ მწერალი დიალოგებში ემოციის ან გაკვირვების გამოსახატავად იყენებს „ი“- ხმოვანს, რაც ასევე კახური მეტყველებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგ.:

1) ,,-ქალაქში რა უნდათ?-იკითხა ვალიკომ.

-კიტრი მიაქვს გასაყიდად.

-ი0

-რა ი! აბა ეგრე გაფუჭდეს?!" (რ. ინანიშვილი, 1986, გვ.168),

2) ,,-რა ვიცი, მე რამ ჩამიწყალა ეს მკერდი.

-ი0, ნეტავი შენა! " (რ. ინანიშვილი, 1986, გვ.157).

როგორც ცნობილია, ,,ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთრ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. თავდაპირველად ადამიანთა საკუთარ სახელად გამოუყენებიათ ნივთის, საგნის, ცხოველის, ფრინველის, მწერის და სხვათა სახელები“ (ალ. ღლონტი, 1964, გვ.114). რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ადამიანთა განსხვავებულ საკუთარ სახელებს. მაგ.:

1) ,,-რა გქვიან? ეკითხება მთასვლელი.

- **მზისა**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 507).

2) ,,ორი ლატანი გამოვართვი **დათვიას**, მიეცით“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 234).

3) ,,შემოვიდა **აბიკა**,- მაღალი, ახმახი ჩამოჟანგებული-ჩაბურძგნული“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 234).

4) ,,ერთი მაშინვე შემობრუნდა, **მზექალმა** სანთელი მოძებნა, კედლიდან ხმალი ჩამოხსნა კალთაზე გაისვა, მტვერი გააცალა“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 233).

4) ,,ახლა ბებიაჩმი, ეს ტკბილი **თანანა** ასტეხვია მამაჩმს, მოვჭრათ შვილო ეს კაკალი ემანდ არავინ დააზიანოსო" (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 71).

მხატვრულ ლიტერატურაში მწერლები ხშირად საკუთარი სათქმელის უფრო ლამაზად, ზოგჯერ ნათქვამის გაძლიერების მიზნით იყენებენ ისეთ ხერხს, რომელსაც გამეორება ჰქვია.

რევაზ ინანიშვილი ამ ხერხს არაერთხელ მიმართავს, მის მოთხრობებში გამეორებულია ზედსართავი სახელები, ზმნები, სინტაქსური წყვილები. მაგ.: 1) **,,დაეხვა, დაეხვა** თინას თავბრუ და...“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 154); 2) ,,იქ რაც შეიძლება **ლამაზ, ლამაზ** სასმისს ეძებს" (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 507); 3) ,,სარკესთან მივიდა, დაივარცხნ, **მქრალი, მქრალი** პომადაც გადაისვა ტუჩებზე“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 168); 4) **,,-ჩვენისა სხვაა, ჩვენისა სხვაა!** - და არჩეულ მტევნებს გვაწვდიდნენ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 15); 5) ,,თოვა კი მაღლდება და **მატულობს, მატულობს.“** (ინანიშვილი, 1986, გვ.20); 6) **,,ჩვენც მოვრჩით,** მზე ჩავიდა და **ჩვენც მოვრჩით“** (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 16); 7) **,,ერთთავად, ერთთავად** თვალებს გვარიდებს, მორცხვად იღიმება“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 12).

როგორც ალ. ღლონტი აღნიშნავს: „ახალი სიტყვები იბადება ყოველდღიურ ურთიერთობაში, მაგრამ მაშინვე დავიწყებას ეძლევა, რადგან ძნელია ყველა მათგანის ზეპირად დახსომება. ახალი სიტყვების მხოლოდ ის ნაწილი განაგრძობს ხალხში სიცოცხლეს, რომელიც განმტკიცდება ადვილად დასახსომებელ გამოთქმებში, ჩვეულებრივ ურთიერთსაუბარში, ხალხურ ლექსებში, ანდაზა-გამოცანებში, თქმულება-გამოცემებში, ან წერილობით ლიტერატურაში. რთული სიტყვა ენის ლექსიკურ მარაგში გზას იკვლევს და მკვიდრდება ზეპირი და მწიგნობრობის გზით“ (ალ. ღლონტი. 1964, გვ. 107). რთულ სიტყვებს ა. შანიძის ტერმინოლოგიით თხზული სახელი ანუ კომპოზიტი ჰქვია (ა. შანიძე, 1953, გვ. 105).

რევაზ ინანიშვილის ენისა და სტილისათვის დამახასიათებელია რთული სიტყვების გამოყენების შემთხვევები. ხშირ შემთხვევაში მწერალი იყენებს ისეთ რთულ სიტყვებს, რაც სხვა მწერლის შემოქმედებაში არ გვხვდება და მისეულია. მაგ.:

1) ,,აცვია ჩვენი ნაქსოვი მოლურჯო ფერის ტვიდის პალტო, ღაზის შინ ნაქსოვი ქუდი, ისიც მორუხო **ყავისფერზოლებჩამოყოლებული**“(რ. ინანიშვილი, 1986, გვ.11); 2) ,,სანდრო მოუნდა, მარჯვენა მხარეს თავდახრილი, ჩაღიმებული, **კუნთეგაბრწყინებული**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 154); 3) ,,ერთ კუთხეში, მაღალ აწოწილ მაგიდასთნ დგას ორი კაცი: ერთი **მუშურქურთუკიანი, თეთრულვაშა** მოხუცი“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 186); 4) ,,მაგიდის შუაში არყის ბოთლი და **ქაბაბმოთავებული** მათლაფა უდგიათ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 186); 5) ,,თინა უყურებდა, ეუხერულებოდა თვისი ცუდად ყოფნის **გაჭირდიდება**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 155).

რევაზ ინანიშვილი მოთხრობებში ვხვდებით საინტერესო ტოპონიმებსაც: მაგ.:

1) ,,გომბორის მთის ერთ-ერთ ჩაღრმავებას დღესაც **დევიანთ ტაფობს** ეძახიან“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 329); 2) ,,სოფლის განაპირას, **ნაკლოვრების** მახლობლად ცხოვრობდა ერთი ჩუმი, უწყინარი ცოლ-ქმარი, ექვთიმე და მზეხა“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 290); 3) ,,მისი „შინ“ აიქ არის, აი, **ვეძის მთის** ძირას“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 7); 4) ,,აგვისტოს ნახებარში დავადექი ჩემს საყვარელ გზას - ივრის ხეობის მარჯვენა ნაპირს, **კვირაცხოვლის გორიდან** ზემოთ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 81).

რევაზ ინანიშვილი ლექსიკაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს დიალექტური მასალას. დიალექტურ მასალას მწერალი ძირითადად პერსონაჟთა მეტყველების ტიპიზაციის მიზნით იყენებს. მაგ.: 1) ,,შემოვიდა შუღლია, ისიც ქუდმოხდით **წამობარგანდა** ჩაჩაურისკენ“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 234). „წამობარგანდა“ ზმნა რევაზ ინანიშვილს ნახმარი აქვს, როგორც „მივიდა“.

2) ,,ცალ ხელში თეფშზე დადგმული ის ფინჯანი უჭირავს, ცალითც სურას **მოაჭყაპჭყაპებს”** (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 507). „მოაჭყაპჭყაპებს“ ზმნა მწერალს გამოყენებული აქვს „მოაქვს“ მნიშვნელობით.

3) ,,გუბაზმა დატბორებულ წყალს თითები ამოჰკრა და რადენიმე წვეთი **შეაწუნწკლა**“ (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 511). „შეასხა“ ზმნის ნაცვლად მწერალი იყენებს „შეაწუნწკლა“.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ვხვდებით მეტაფორულ გამოთქმებსაც. მაგ.: ,,მანანამ ტოლჩით წყალი **მოაციმციმა“** (რ. ინანიშვილი, 1986, გვ. 155).

ამრიგად, რევაზ ინანიშვილმა საკუთარი ინდივიდუალიზმით და წერის საკუთარი სტილით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში. მის მოთხრობებს აკაკი ბაქრაძემ „სულის პური უწოდა“. რევაზ ინანიშვილისათვის ამბავი და ამბის განვითარება როდია მთავარი, მთავარია რაღაც სხვა იდუმალი და მოუხელთებელი. ასეთ შემოქმედზე ამბობენ, რასაც შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო. მის მხატვრულ ქმნილებებს ასაზრდოებს ხალხის სალაპარაკო ენა, სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ტიპობრივი სახეები და ხასიათები გადმოცემულია ხალხური ენის წიაღიდან სათუთად ამოკრეფილი საშუალებებით. „ღვთის შეწევნით შემკული და კურთხეული“ (იოანე ზოსიმე) ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, სტილისტიკური მოქნილობა, გრამატიკულ კანონზომიერებათა სრულყოფილება და სემანტიკურ - მჭერმეტყველური ბუნება ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს საშუალებას აძლევს (აძლევდა) სიტყვისქვეშეთის მისტერიათა აღსრულებისა, რამეთუ „ღმერთი იყო სიტყვაი იგი“ და ღვთის მფარველობის ქვეშ მყოფმა ჩვენმა ერმა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებმა შექმნეს ქართველი ხალხის სულიერი ენერგიის პირმშო - დიდი ქართული მწერლობა“ (2010, გვ. 5). ერთ-ერთი ამ ქვეყნის ასეთი ღირსეული შვილი გახლდათ რევაზ ინანიშვილი, რომლის ნახელავი თითქმის ყოველი ქართველის სამაგიდო წიგნია.

ლიტერატურა:

1. ინანიშვილი რ., ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
2. მიშველაძე რ., ენა და მწერალი, www.lib.ge.
3. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
4. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1953.
5. ჭილაძე თ., ცრემლიანი თვალით, burusi.wordpress.com.
6. უახლესი ქართული პროზის ანთოლოგია, ტ. I, თბ., 2010.

ქარელის რაიონის ტოპონიმთა ძირითადი მაწარმოებლები

ნათია ტერტერაშვილი, ნათელა საზანდრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქარელის რაიონი მდებარეობს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის ორივე მხარეს. მარჯვენა მხარეს ისტორიულად და დღესაც გაღმა მხარე ეწოდება.

რაიონს დასავლეთით ესაზღვრება ხაშურის, აღმოსავლეთით – გორის, სამხრეთით – ბორჯომისა და ჩრდილოეთით – ყორნისის რაიონების ტერიტორიები. აღნიშნული ტერიტორია 1930 წლამდე შედიოდა გორის მაზრაში, რაიონად ჩამოყალიბდა 1939 წელს.

რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თითქმის ყველა ეპოქის მატერიალური კულტურის ნიმუშები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი.

ქრისტიანობის გავრცელების დროიდან შიდა ქართლის ექვსი საეპისკოპოსოდან ორი (ურბნისი და რუისი) ქარელის რაიონის ტერიტორიაზე არსებობდა. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „სოფელ ბრეთში მოღვაწეობდა ერთ-ერთი ასურელი მამა - პიროს ბრეთელი, რომელიც გადმოცემით აქვეა დასაფლავებული“ (ვ. ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 374).

რაიონის ბევრი უნიკალური ძეგლი მოელის თავის მკვლევარს. კვლევა ძირითადად უნდა წარიმართოს კომპლექსურად და რაიონის მდიდარი ისტორია ჩაირთოს სამეცნიერო სფეროში.

ჩვენ გადავწყვიტეთ დავიწყოთ ტოპონიმიკიდან, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ამ რაიონში. ჩვენ ისინი დავაჯგუფეთ და გამოვყავით მაწარმოებლები. ეს კიდევ არ არის სრული შესწავლა, რადგან გეოგრაფიული ნომენკლატურის ეტიმოლოგია აუცილებელი საქმეა ამ ტიპის ძეგლთა უკეთ წარმოსაჩენად, რაც სამომავლო საქმეა.

ქარელის რაიონის ტოპონიმური ნომენკლატურის შესასწავლად საკმაოდ ბევრი წყარო არის გასათვალისწინებელი. ამ მხრივ მაინც გამორჩეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი მოღვაწეების ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებს“, რომლებიც უნიკალური წყაროებია ამ მიმართულებით. ასევე ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს შედგენილი მხარის რუკები.

ტოპონიმიკური სახელების გაცნობა მათი წარმოების წესის შესწავლით უნდა დავიწყოთ. ეს იმიტომ, რომ უნდა გამოვყოთ სიტყვის ძირითადი ნაწილი, რათა აღვადგინოთ ძველი ფორმა, რაც დიდ დაკვირვებას მოითხოვს ამ სახელის ფუნქციის შესწავლისას.

ქარელის რაიონის ტოპონიმები სხვადასხვა ტიპის წარმომავლობისანი არიან, მაგრამ სტრუქტურის თვალსაზრისით საერთო ქართველური ყალიბისაა. აქ გამოიყოფა წარმოების მიხედვით ტოპონიმების ჯგუფები და ამჯერად შევჩერდით ისეთი ტოპონიმების გამოკვლევაზე, რომელთა მაწარმოებლები ქმნიან ქართველურ სისტემას და ეს მაწარმოებლები უძველეს დროშივე გამოუყენებიათ ჩვენს წინაპრებს გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად.

ქარელის რაიონის ტოპონომიკაში გარკვეულ ადგილს -ეთ მორფემიანი ტოპონიმები იკავებენ. ეს მაწარმოებელი ქართველური ტოპონიმიის ერთობ გავრცელებული სართია, რომლითაც გეოგრაფიული სახელებია წარმოქმნილი. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აღნიშნული სუფიქსი ადგილის სახელწოდებას აწარმოებს უპირველეს ყოვლისა ეთნიკური და საკუთარი სახელებისაგან, სხვა საზოგადო სახელებისაგან. აღნიშნული შესავალი ამ მაწარმოებლის გამო იმისთვის დაგვჭირდა, რომ ის აწარმოებს ძველ დასახელებულ პუნქტებს, რომლებიც უძველეს დროშივე არის წყაროებში დადასტურებული. მაგალითად: არად-ეთ-ი, ბრ-ეთ-ი, გვერძინ-ეთ-ი, ლეთ-ეთ-ი, ნოშკინ-ეთ-ი, მძოვრ-ეთ-ი, ქვათ-ეთ-რი, ხვედურ-ეთ-ი, ღოღ-ეთ-ი, შაქშაქ-ეთ-ი, მუხილ-ეთ-ი, წყნ-ეთ-ი, ..., ბოსლ-ეთ-ი, დაღ-ეთ-ი, თმოგვ-ეთ-ი, მინ-ეთ-ი და სხვები.

საფიქრებელია, რომ -ეთ სუფიქსიანი სახელები იმ დროის წარმონაქმნია, როცა ის დიდი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩეოდა. ამჟამად კი ასეთი წარმოება შესუსტებულია.

-ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ტოპონიმები -ეთ სუფიქსიანებთან შედარებით ცოტაა, მაგრამ გვხვდება საკმაო რაოდენობით. მათ ნეგენეტივარ სახელებს უწოდებენ. ეს სახელებიც უძველესად ითვლება და ისინი ძირითადად გვხვდება ქართველურენოვანი ტომების განსახლების ფარგლებში. მაგალითად: აბ-ის-ი, აფნ-ის-ი, ბებნ-ის-ი, მოხ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი, სამწევრ-ის-ი, ყინწვ-ის-ი, ცერონ-ის-ი...

-ებ-იანი წარმოება დღეს უფრო აქტიურია და ის უმთავრესად გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა ობიექტთა სიმრავლით მათი ერთიანობა უნდა აისახოს. უნდა ითქვას, რომ ასეთი წარმოება გვხვდება როგორც მაკრო, ისე მიკროტოპონიმიკაში. მაკროტოპონიმები: აგარ-ებ-ი, მსხლ-ებ-ი, ჭანდრ-ებ-ი, ბოსლ-ებ-ი, ხალ-ებ-ი ... მიკროტოპონომები: ტბე-ებ-ი, ველ-ებ-ი, მინდვრ-ებ-ი, წყარო-ებ-ი, ჭალ-ებ-ი, გვერდე-ებ-ი, ფერდობ-ებ-ი, ციხე-ებ-ი და მრავალი სხვ.

-ევ სუფიქსის შესახებ აკაკი შანიძეს გამოყოფილი აქვს მრავლობითობის გამომხატველი ძველი სუფიქსი. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართულ ტოპონიმიაში ძალზე ხშირია ნართანიანი თუ ებიანი მრავლობითობის გამოყენება და დაასკვნის: „როგორც ვხედავთ საქართველოს ტოპონიმიკა ძელზე მდიდარია მრავლობითის ფორმიანი სიტყვებით, მაგრამ ჩამოთვლით არ ამოიწურება მრავლობითობის ნიშნები. მათ უნდა მიემატოს კიდევ -ევ სუფიქსი, რომელიც გვხვდება ტოპონიმიკაში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით“ (ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში).

ჩვენთან გვხვდება: ავლ-ევ-ი, არც-ევი, იმერხ-ევ-ი, დიდხ-ევ-ი, კნოლ-ევ-ი, ღვლ-ევ-ი, ღუისხ-ევ-ი და სხვ.

ტოპონიმებსა და გვარებში საწარმოებლად გამოყენებული -ურ სუფიქსი რომ ერთია წარმოშობით და ორგანვე კუთვნილებაზე მიუთითებს, ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება მოგვეშველიებინა. რაიონში სოფლებისა და ნასოფლარების სახელებას გვხვდება: საციხ-ურ-ი, ბატი-ურ-ი, ტამიკა-ურ-ი, მუხა-ურ-ი, საპონაურ-ი, დოღლაური ....

რაიონის მაკროტოპონიმიაში გარკვეულ ადგილს ადამიანთა საკუთარი სახელებისაგან შემდგარი ფონდი წარმოადგენს: ზაქარაშენი, თამარაშენი, საღოლაშენი, ელბაქიაანთკარი, ფაღაანთკარი, ქასაანთუბანი, თათაანთუბანი, ქელეხსაანთუბანი და სხვები ...

მართულმსაზღვრელიანი სახელების წარმოება მრავალფეროვანია. მართულ მსაზღვრელად გამოყენებულია ყოველგვარი სახელი შინაარსისა და ფორმის მიუხედავად: ციხის სოფელი, კოდვარდის

უბანი, ციხის გვერდი, ძაძვის მონასტერი, ძლევის ჯვარი, თაქლის უბანი, ტახტის ძირი, ხეხის ჯვარი, ტყემლის უბანი .... -არ, -ალ ტოპონიმიკაში ადგილის რაგვარობა-თვისებას გვიჩვენებს.

ადრინდელი თვისებრივი მხარე შეიძლება აღარ ახასიათებდეს მოცემულ ადგილს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, ერთხელ შემუშავებული სიტყვა არსებობას აგრძელებს, თუმცა მისი რეალური ნიშნადობა შეიცვალა.

ქარელის მაგალითზე დავაფიქსირეთ კეხიჯვარი, ძლევის ჯვარი, დისიმილაციით კაპარი-კაპრალი, რაც იმერული დიალექტით ჯონჯოლის აღმნიშვნელია. ეს მცენარე ახლაც არის რაიონის ჩრდილოეთის მხარის ტყეებში, რომლის მოპოვებაც გაზაფხულზე ხდება, ძირითადად სამწნილედ.

-ოვან სუფიქსი ძირითადად რისამე ქონებაზე მიუთითებს. მაგალითად, ტყემალი - ტყემლ-ოვან-ი.

-ან სუფიქსი ძირითადად კრებითობის გამომხატველია. ასეთი წარმოება დავაფიქსირეთ მაკროტოპონიმიკაში. მაგალითად, სუქანაანი, თათანაანი, გოჩაანი...

აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმოება ან-ზე თ სუფიქსის დართვით გვარისა და შტოგვარის საწარმოებლად არის გამოყენებული და ტოპონიმის ან მიკროტოპონიმის ფუნქციით არის აღჭურვილი.

ქარელში ცხოვრობენ გოჩაშვილები, რომლებიც თავად ციციშვილების ყმები იყვნენ. ისტორიულად მათ ეწოდებათ გოჩაანთი.

გონგლიაშვილების გვარი იწარმოება - გონგლაანთი; ბერუაშვილებისა - ბერუაანთი, ქერეჭაშვილებისა - ქერეჭაანთი, ნადირაშვილებისა - ნადირაანთი.

არხოშაშვილები ძირითადად ცხოვრობენ ქვემო ხვედურეთში და არიან არხოშაანთი.

ქიტიაშვილები ცხოვრობენ ჭანდრებსა და კეხიჯვარში და არის ქიტიაანთ უბანი.

კეხიჯვარში ზაკუტაშვილები - ზაკუტაანთი.

მჭედლიძე გავრცელებული გვარია ქარელში, მათ ეწოდებათ მჭედლიაანთი. ისინი მოსულები არიან ჯავახეთიდან.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჯავახეთიდანა და მესხეთიდან ქარელის რაიონის ტერიტორიაზე ბევრი მოსახლეა მიგრირებული. ისინი ძირითადად თურქთა აგრესიის შედეგად არიან გადმოსახლებულები, რაც სამომავლოდ შესასწავლი თემაა.

მოვიყვანთ ერთ საბუთს, რომელშიც მესხეთიდან ქარელის სოფლებში მოსახლეობის შემოსახლებაზეა საუბარი, „1645 წლის შეწირულობის წიგნში, როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი“: „ჟამთა ვითარებისაგან აწყურის ღვთისმშობლის საყმო აზნაურიშვილი და გლეხი ჩვენს საბატონოში ჩამოსულიყვნენ და ღოღეთს დაესახლებინათ და რაც ხატი-ჯვარი ყოფილიყო თქვენს ტაძარში დაესვენებინათ და თქვენთვის ემსახურათ“. ასეთი საბუთები რამდენიმე ათეულია, რომელიც საინტერესოა ჩვენთვის ძველი ტოპონიმების გამოსავლენად და საკვლევად.

რაიონის ტოპონიმიკაში გამოვავლინეთ ორფუძიანი ტოპონიმები, რომლებიც საინტერესოა ფორმითა და შინაარსით: ახალსოფელი, ოქროს სოფელი, ქვენატკოცა, წითელი სოფელი, ველისციხე, ქვენაფლავი, წინუბაი, ორბოძალა, კუდატყე, გვერძინეთი და სხვები.

რაიონის ტოპონიმიის შესწავლა დღეს აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია, რაც ხელს შეუწყობს ბევრი ნასოფლარის, გვარის, მთელი რიგი ისტორიული და ენობრივი რეალიების გამოვლენას. ჩვენი მიზანიც ეს არის.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვ, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბ., 1973.
2. ბაგრატიონი ვ, რუკები, თბ., 1745.
3. ბატონიშვილი ვ., საქართველოს გეოგრაფია, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფ., 1895.
4. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
5. შანიძე ა., -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, №8, 1941.

გიორგი ლეონიძისა და ოთარ ჩხეიძის ენის სინტაქსური თავისებურებანი

თამარ ცერაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური ანალიზის საფუძველია მთელისა და ნაწილის ერთიანობა, ერთიანობა ფორმისა და შინაარსისა. სტილისტიკური ანალიზი განუშორებელია სტილისტიკური სინთეზისაგან, რომელიც აღადგენს ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობას. [1; 71]

როგორც აღნიშნავენ, მწერლის სტილის ინდივიდუალურობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, ერთ-ერთი უდიდესი როლი სინტაქსსაც ენიჭება. აღიარებული შეხედულების თანახმად ხშირად გადამწყვეტი სწორედ ნაწარმოების სინტაქსური სტრუქტურაა: სიტყვიერი ქსოვილის მთელი არქიტექტონიკა, კონსტრუქციების შერჩევა, მათი ორგანიზება, განლაგება და შეერთება რთულ ერთეულებად, ერთი სიტყვით, მოცემული თხზულების მთელი სიტყვიერი კომპოზიცია უშუალოდ არის დამოკიდებული ყოველი პროზაიკოსისა და პოეტის ინდივიდუალური სინტაქსის თავისებურებაზე.

გ. ლეონიძის და ო. ჩხეიძის სტილი ამ მხრივ მართლაც გამორჩეულია.

ა) გ. ლეონიძე ხშირად მიმართავს კითხვისა და ბრძანებით წინადადებებს, სადაც ზმნა მეორე პირის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც წარმოსახვით მსმენელს ვარაუდობს.

„გიოცნებია ნუკრის თვალებზე? გყვარებია მერცხლიანი თვალები? ძვირფასი სახის დამარმარება.“ [2; 185]

„გაგიგონიათ რა შეძლებული ყოფილა ჩემი მამა-პაპა გლეხობის კვალობაზე?“ [2; 64]

„ჰკითხეთ, მოგიყვებათ, თუ ჩემს ყრმობაში როგორ ვსტუმრობდით ხოლმე მამიდაანთ!“ [2; 42]

ან კიდევ:

„გამოჩნდა ივრიდან მომავალი, იცით ვინ? თვითონ მიხვდებით.“ [2; 71]

„იცით კი რა არის ჩირიკი!

ხომ გაგიგონიათ, ყველა მიწვება, მოწვება ჩირიკი ხეზე გაწვება.“ [2; 61]

თხრობის ასეთი მანერა არა მარტო ყურადღების მობილიზაციისა და მკითხველთან მარჯვე კონტაქტის დამყარების საშუალებაა, არამედ თხრობის გამოცოცხლებასაც ემსახურება და ხატოვანებასაც მატებს ნაწარმოებს.

ბ) გ. ლეონიძის სტილის ორიგინალობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თხრობა უშემასმენლო, კერძოდ, სახელდებითი წინადადებებით. ამგვარი თხრობა ექსპრესიულიც არის და ხატოვანიც, თუმცა დინამიკურობა აკლია, მაგრამ მკითხველი მთელი არსებით შეიგრძნობს მწერლის გულისთქმას, მასთან ერთად განიცდის მდგომარეობის უსაშველობას:

„ისევ უყვარული სინამდვილე..... ისევ ურწყული, უძუძური მიწა..... ამტვერებული შარა..... გამხმარი ხეები..... მიმჭკნარი ბოსტანი, უღიმღამო დედაკაცები, სევდიანი ბავშვები..... ოცნების უსაზდელობა.“ [2; 230]

მკითხველი ავტორთან ერთად ტკბება ბუნების სილამაზით!

„ისევ ივრის ლაჟვარდული ჩაღიმილება, მისი სადაფური აელვარება, ქვიშასა და კენჭებზე გადამავალი ტბორი ფშა-წყაროსი, უწმინდესი, კამკამა ჭავლებით.“ [2; 6]

„მარიტა ჩემი ყრმობის მეგობარი, ქალებში - დედოფალი.“ [2; 185]

„დაყანებული, ყვავილოვანი მინდვრები.... ხეების ბურვილი თავგუმბათი..... ნუშის, ატმის, ვაშლის, ტყემლის გამოფეთქილი ნამქერი,- ბუნების მადლიანი, შეუზომელი სილამაზე!“ [2; 6]

„პატარძალი - გაცინებული მაისი! ლალი და ბროლი! გაღადღადებული სახე, ჩაბნელებული შავი თვალები.“ [2; 103]

გ) ასევე დამახასიათებელია შემასმენლებით შერწყმული წინადადებების ხშირი ხმარება. თითქოს დასასრული არ უჩანს ზმნა-შემასმენლებს, რის გამოც თხრობა საოცრად ცოცხალი, ემოციური და დინამიკურია. მაგ.:

„მთელი დღეები დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე, ჩანგალი, წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადააკვდა, მაგრამ არ იქნა, ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ ვერა.“[2;114]

„თოვლეთური ქარიშხალი მთებზე ჰკიოდა, ჰყიოდა, მინდვრად ჩხრიალებდა, ხრილებდა, დგრიალებდა.“ [2;124]

„არა, არ მჯერა, რომ იგი სხვა ყვავილივით ჩამოცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს.“ [2; 184]

„ის გადაგვარჩევდა რამოდენიმეს და გვმოძღვრიდა, გვწვრთნიდა, გვრჯულავდა, გვასწავლიდა....“ [2; 202]

„ჩვენ კი ვმღეროდით, ვლექსობდით, ვცეკვავდით, ვთამაშობდით.“ [2; 190]

„შეურაცყოფა მიიყურისისხლა, ვითომ აღარც ახსოვდა ნაძალადევად იღმიჭებოდა.“ [2; 119]

„აღრენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კვნესოდა, ჰბორგავდა, თითქოს გულის ნაღველს იწურავდა ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რაღაცას.“ [2; 197]

„ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა, მოთუთქა პატარძლის მზე-ტანი.“ [2; 111]

ასეთი ტიპის წინადადებები უამრავია ისეთი დიდი მწერლის ნაწარმოებებში, როგორიცაა ო. ჩხეიძე. მაგ.:

„ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ ქაქანებდნენ, ქასქასებდნენ, ქრიტინებდნენ.“ [3; 91]

„დაჰყარეს და მიეყარნენ, მიეყარნენ და მიიკარგნენ, აღარ გაეგებოდათ თუ სად იყვნენ, სად არა.“ [3; 103]

„წამოდგა ქალი, თმა გადმოეღვარა, გადმოეფრქვა თეთრ სამოსზედა, წამოდგა და აიმართა, მომაღლო გახლდათ, კეთილად ნაგები.“ [3; 71]

„არც გარეთ გასულა, არც წამოუწევია საწოლიდანა, წამხობილიყო, წაპირქვავებულიყო, არ უნდა არავის დანახვა.“ [3; 62]

„გაჰქრებოდა, გაჰქრებოდა, შეესეოდნენ ადამიანები, გადაუვლიდნენ, ჩაჰქელავდნენ, თვითონა, თვითონვე, აბობოქრდებოდნენ და გადაჰქელავდნენ.“ [4; 77]

„შეიხანხალებდნენ, ჩაიბერტყავდნენ, ერთი-ორჯერა და განიწმინდებოდნენ, თითქოს არც რა მოსცხრებოდათო, მტვერიც არაო, განიწმინდებოდნენ.“ [4; 211]

„გაჭედილიყო მთვარეი ფანჯარაში, ჰკიოდა, ჩხაოდა, გადაჰკაწროდა ფუნჩულა ლოყები, დამეტყობაო, იმასა ჩხაოდა, ხუმრობითა რაღა თქმა უნდა.“ [4; 210]

„ესეც წაეტანა მოკუმშულ ფურცელსა, გაშალა, გააბრტყელა, გასტკიცა, ნავი გამოიყვანა.“ [4; 228]

დ) ანალოგიურად აღიქმება ლირიკული წიაღსვლები, რომლებიც რიტორიკული შეკითხვებითაა გამართული. ავტორი კითხვას სვამს, პასუხს კი არ მოითხოვს. ამგვარი თხრობა ძლიერ ექსპრესიულია, რასაც მოწმობს ეს მაგალითებიც:

ო. ჩხეიძის ნაწარმოებში ვხვდებით ამგვარი ტიპის წინადადებებს, განვიხილოთ რამდენიმე.

„ვის რაი ძალუძს ბედისწერასთანა?! ყველა უმწეოა, უმწეო!“ [3; 357]

„ცოდო იყო, შესაბრალისი იყო, მაგრამ ვინა ჰხედავდა, ვის შეჰბრალებოდა, ვინ დაიხსნიდა?!“ [3; 196]

„ისიც ვერაფერი შვილია, დაწერა „გალობანი სინანულისანი“, ვითომ რაო, „ვეფხისტყაოსანი“ ჰო არ დაუწერიაო?!“ [3; 178]

„მოძლიერებულან, მოძლიერდებიან უფრო მეტადა..... რიღასი იმედიო?! [3; 175]

გ. ლეონიძის ნაწარმოებები ამგვარი ტიპის წინადადებებით არის გამდიდრებული, მრავალფეროვანი.

„რა იქნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში? რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით? რად გავიძარცვენით? ხომ გვცივა უამსიტყვებოდ?

რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, შვილებსა და შვილიშვილებს?“ [2; 134]

„რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ დაყრუვდნენ, მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს თბილი, მდედრული სიტყვები აღარ არიან საჭირო ჩვენთვის, რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა ქართველმა დედებმა?“ [2; 134]

ან კიდევ:

„სად წავიდა ოცნება, სიყვარული? ახალგაზრდობის ჩოხა გაცვითა, გული, გონება, შეიძლება თავის ოცნებას გარდააგო და რა უეცრად გაცურდა თითებშუა ყველაფერი, რა ძნელია, რა ძნელი ყველაფრის გაქარწყლება!“ [2; 231]

„ღმერთო მაღალო, ვინ გააჩინა ამდენი სილამაზენი? - ეს სხივნარა დილა, იისფერი ცის ღიმილი, დილის ოქროს ქრიალი, მზეკაბანის ღელვა ყანებზე, ქვეყნის მამშვენებელი ვარდები, ყოველთა მხედი ალვისხეები, აყნოსებული ცაცხვები, ციცწყარო, ბროლა ნიავი....“ [2; 134-135]

ასეთივე განწყობილებას ქმნის ემოციურ წინადადებათა წყება, რომელიც რიტორიკული შეკითხვით ბოლოვდება.

„ვენაცვალე საქართველოს! რა მომცემი მიწაა! რძეც წასდის და თაფლიც! ჩვენი ბუნება ერთი ხელით ოქროსა ჰყრის, მეორეთი - ვერცხლს! ღალიანი მიწაა, მაგრამ თვითონ ჩვენ ქართველობა, რათა ვართ გადამწირული? [2; 212]

„გაკვირვებული იყო ყვავილიანი სამზეოს სიმდიდრითა და ადამიანის სიღარიბით! საიდან გაჩნდა ამ ელვარე მზეში ჭუჭყი ან სიღარიბე, როცა ჩემი სული ყვავილებშია გახვეულიო?“ [2; 47]

ამგვარი წიაღსვლები სხვაც ბევრია, მაგ.: „მზე რას ლაპარაკობს, ვარდივით რომ ამოდის ცათა ბროლში, არ იცი? მე ვიცი! მე იმ სხივის სურნელიც კი მომდის!“ [2; 136]

ან კიდევ:

„ჩიტის ხმა გამოუდის, შვილო, დაანებე წიგნს თავი! კოკორგახსნილი ყვავილი გეძახის! არ დაჰკარგო ოქროთი მოჭედილი დღე! მზენიავში გაცურდი, ცას აჰხედე, მიწას დაჰხედე! აგერ, ჯეჯილი აღაღანდა, ყაყაჩო წამოწითლდა, ატამი სთოვს, ვარდი კვირტში იღვიძებს! გეყოფა ამდენი კითხვა, გადი გარეთ ღვთის მადლმა! წიგნს რა სჯობია, მაგრამ ყველას თავისი დრო აქვს! დაინახე ბუნების შეუზომელი სილამაზე! მადლიანობა! განა სულ საქმეს უნდა შეასკდე?“ [2; 135]

ამგვარი თხრობა ინტიმურია, გარდა ამისა, იცვლება რიტმიც, რაც გარკვეულ განწყობილებას ქმნის.

ზემოთ წარმოდგენილი პოეტური სინტაქსის ეს ხერხები ხელს უწყობს ლოგიკური მხარის გამოყოფას, აძლიერებს ნათქვამის ემოციურ ძალასა და შინაარსის მხატვრულ წარმოსახვას.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1996.
2. ლეონიძე გ., ნატვრის ხე, 1990.
3. ჩხეიძე ო., ბორიაყი, 2006.
4. ჩხეიძე ო., მთაგრეხილი, 1988.

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენა „დიდისტატის მარჯვენის" მიხედვით

მარიამ ხმიადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
მთვარისა სადაღაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საზოგადოდ მწერლის ენის პრობლემა ახალი არ არის, ზოგი მწერლის ენა მონოგრაფიულად არის გამოკვლეული, ზოგისა კი შედარებით ზოგადად. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა დაგროვდა. ლინგვისტთა და ლიტმცოდნეთა მიერ არაერთი საყურადღებო აზრი გამოითქვა, რომელსაც დიდი მწერალი სათანადო პასუხებს აძლევდა. მაგალითად ცნობილი კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი 1952 წლის 27 ივნისს გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ათავსებს წერილს სათაურით „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხები“, სადაც მან მწვავედ გააკრიტიკა მწერლის ენა და სტილი. რამდენიმე წლის შემდგომ, სახელდობრ, 1976 წელს დაბეჭდილ წიგნში „მწერლობა და თანამედროვეობა“ იგივე ავტორი აქებს და დიდად იწონებს მწერლის ენას, ლექსიკასა და სტილს.

ცნობილი მკვლევარი შოთა ძიძიგური სამართლიანად იწონებს კ. გამსახურდიას ძველ, არქაულ ფორმებს და მათი შემოტანა მწერლობაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია (შ. ძიძიგური, მწერლის ენის პრინციპული საკითხები, წიგნში „მწერლის ენა“, თბ., 1959, გვ. 21).

კ. გამსახურდიას ენასა და სტილზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოაქვეყნა ნაპოლეონ ლემონჯავამ წიგნში - მწერლის ენის შესწავლა სკოლაში (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“

მაგალითზე თბ; 1978). ასევე თამარ ინჯიამ „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ენა და სტილი (სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ; 1974, გვ. 25).

მეტ-ნაკლებად გავეცანით სხვა ავტორთა ნაშრომებსაც.

მწერლის ენისა და სტილის რაობის გაცნობამდე აუცილებლად საჭიროა გავეცნოთ კ. გამსახურდიას შეხედულებას ლიტერატურულ ენაზე და, საერთოდ, მწერლობაზე.

ამ მიზნით გავეცანით მწერლის თხზულებათა მერვე ტომს, რომელიც დაიბეჭდა 1985 წელს, სადაც შესულია მისი წერილები და გამოსვლები მწერლობის აქტიურ საკითხებზე.

ასევე ვისარგებლეთ მწერლის თხზულებათა მერვე ტომიდან, რომელიც 1967 წელს არის დაბეჭდილი.

მწერალი წერს: „საიდან ისესხოს სიტყვა თანადროულმა ქართულმა მწერლობამ? - დაუშრეტელი რეზერვუარი ჩვენი ენისა ეს გახლავთ ძველი ქართული და ჩვენი ტომების მრავალსაუკუნოვანი დიალექტები“ (თხზ. ტ. 1967, გვ. 214-217).

მწერალი წერს: „ენის შემრყვნელნი რამდენიმე კატეგორიად უნდა დავყოთ. ზოგიერთს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი იმ ტომის დიალექტიდან, საიდანაც თავადაა გამოსული... სინტაქსს ნუ ვკითხავთ, ქართული სინტაქსი შესაბრალისია, ზოგიერთ მწერალს გაუგონია პროზაში ავტორის პირადი აზრი და სტილი არ უნდა სჩანდესო. დამახინჯებულმა მეტყველებამ თავს მოგვახვია გაუგონარი კურიოზები“ (თხზ. ტ. VIII, 1985, გვ. 22-23).

მწერალი წერილში „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“ აღნიშნავს: „ცოცხალი ენის შესწავლას, ისიც ისეთისა, როგორიცაა ქართული, დიდი ტრადიციებს მატარებლისას, უფრო მეტი სიძნელეები ახლავს. აქ როდი კმარა მარტოოდენ წარსულის მიღწევათა დაუფლება, არამედ საჭიროა მის თანადროულ განვითარებასაც წაატანო ხელი (ტ. VIII, გვ. 44). ამავე ტომში შესულია კონსტანტინე გამსახურდიას სხვა წერილებიც ქართული ენისა და სტილის შესახებ, რომელთაც სიძველის დამღა არასოდეს მიეკარება და მუდამ იქნება ჩვენთვის გზამკვლევი ენის განვითარების საკითხებზე.

კონსტანტინე გამსახურდია მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. პირად ცხოვრებაში დიდი ტრაგედიები გადაიტანა, მაგრამ თავისი მადლიანი კილოთი უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ მხატვრულ სიტყვას, მეცნიერებას. მისი ნაწარმოებები, კრიტიკული წერილები გვიზიდავს არა მხოლოდ თემატიკით, არამედ მხატვრულ საშუალებათა ოსტატური მომარჯვებითაც.

კონსტანტინე გამსახურდიამ შესანიშნავად იცოდა ძველი ქართული ენა, დიალექტები, ხალხური ზეპირმეტყველება, რაც მას საშუალებას აძლევდა საკითხები შესაფერისად განეხილა და გადაეწყვიტა განსაცვიფრებელი ოსტატობით.

მწერალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად საკითხებს იცავს, მაგრამ მისთვის უცხო არ არის ზოგიერთი ენობრივი და დიალექტური თავისებურება, რომელიც მას სჭირდება პერსონაჟთა დასახასიათებლად ან თვით მწერლის ენისათვის: ამჯერად შევეხებით ზოგიერთ ენობრივ მოვლენას.

„დიდოსტატის მარჯვენა“ მეტად საყურადღებო რომანია ფონეტიკური, მორფოლოგიური და, საერთოდ, გრამატიკულ-დიალექტური თავისებურებებით. რომანი რამდენჯერმეა გამოცემული, მაგრამ ყოველთვის ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამ ჯერად ვისარგებლებთ მეორე გამოცემით, რომელიც გამოსცა „საბჭოთა მწერლობამ“ 1947 წელს და მეორედ 1959 წელს.

ძირითადად ფონეტიკური მოვლენებიდან „დიდისტატის მარჯვენაში“ აღსანიშნავია ჲ (იოტას) ხმარება. საკუთარ და საზოგადო ხმოვანზე გათავებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში ჲ (იოტა) მოუდით:

„ჩემი დაჲ სტუმრადაა ჩვენსას,

იმისია იი პატარა ჲ“ (1, 159).

ტექსტში გვხვდება საკუთარი სახელი, როგორიც გაბო ისე გაბოჲ (1, 161). ჲ (იოტას) მწერალი ძირითადად იყენებს აღმოსავლური, ფხოური დიალექტის წარმოსაჩენად:

და წიაღი მოკრიბა იაკობ ყოველივე რაჲცა იყო მისი და დადგა იგი მარტოჲ

- დაუბოშა ვრცელი ბარკლისაჲ იაკობისი.

- და მან ჰრქუა: რაჲ არს სახელი შენი“(1, 127).

- ვაჲ თუ მე დამაბრალოსო ავაზას გაქცევა მეფემ (1, 251).

- ვაჲ თუ მეფის ყურამდის მიიტანონო ეს ამბავი (1, 360).

რომანში აღნიშნული ბგერა გვხვდება, როგორც სიტყვის დასასრულს, ისე ფუძეში“ ჰალჲუცინაციები, ოქროჲთა, საჭყოჲნდოს ცხენის ქურდების შტაბი იყო, ვუჲმე დედაჩემი და სხვები ...

სიტყვაში ორი ერთნაირი თანხმოვნის ერთად ხმარება. ეს მოვლენა დასტურდება ძირითადად უცხო ენებიდან შემოსულ ლექსიკურ ერთეულებში: მესსის მახვილი, მეჯინიბეთუხუცესსი, კათალაკოსსი, შენნი, ღიმმა, სახლთუხუცესსი, ანგელოსსი...

ჩანს, რომ მწერალი მოითხოვს უცხოური სიტყვების განეზისის გათვალისწინებას და ამას ამტკიცებს პროზაულ თუ კრიტიკულ ნაწარმოებებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერლის ეს თეორია ენათმეცნიერთა (არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შენიძე, ვარლამ თოფურია) გზისეული არ არის, თუმცა მათი შეხედულებები ამ საკითხის შესახებ აქ არ მოგვიყვანია.

მწერლის ენის ფორმები მრავალფეროვანია, ის გვევლინება, როგორც ნამდვილი ნოვატორი. მან მკვეთრად ინდივიდუალური ლიტერატურული და ენობრივი მოდელი დაამკვიდრა. ეს კი განსაკუთრებით იგრძნობა დიალოგებში, რომლებიც ერთმანეთისაგან ტირეს ნაცვლად ბრჭყალებით არის გამოყოფილი:

„ეს ხომ პაპაჩემის ლოდია შავლეგ?“

„დიახ ეს გვარამის ლოდია, პაპის შენისა“.

„ჭიაბერის ლოდი რაღა იქნა შავლეგ?“

გადავმალე ერისთავთ ერისთავო ჭიაბერის ლოდი“.

„რადა ჰქენი ეს, შავლეგ?“ და სხვ. (1, 59).

დიალოგურ მეტყველებაში შესაძლოა თანამოსაუბრემ თავისი მორიგი რეპლიკა გამოიყენოს ან ირონიით შეხედოს თანამოსაუბრეს:

„ამის მიზეზი სხვა იყო ერისთავთ-ერისთავო“.

„მაინც რაო?“

„სხვას ვისმეს უჭვრეტდა ჭიაბერის სიკვდილზე მეფე“.

???

„ვის გულისხმობ მაინც?“(1, 60).

აქ ყურადღებას იქცევს არა მარტო ზმნიზედები, არამედ მიჯრით ერთსა და იმავე ბრუნვაში მიწყობილი სახელები.

ძველი ქართულის პირველი მრავლობითის თანიანი ფორმები თხზულებაში ჰარმონიულად არის შეწყობილი ზმნებთან და ნებისმიერი ასაკის მკითხველისათვის სრულიად გასაგებია.

მაგალითად: სცეს საყვირები სამეფოის სპათა...

დასცელეს მეციხოვნე სპანი შავშეთელთა...

დაერია ოვსებსა და წანარებს, როგორც ავაზა ბოკვერების წარმტაცებელთა...

გამართეს ჰოროლები გირშელის სპათა

უბრძანა ყველისციხის პატრონმა შავშთა (1, 314-315).

თხზულებაში ასეთივე ვითარებაა ნარიანი ფორმების გამოყენებისას: „მოატანინა საყდრის საკაზმნი მრავალგვარნი, საკითხავნი, მატიანენი, საკმეველნი, საკელეპტრენი სრულიად“.

„დაჰკიდა ოქსინონი, საკრამანგნი, დიდ-დიდნი, კეისრის მიერ ბოძებულნი საკრამანგნი სხვანი, უფრო მშვენიერნი გარშემო ოლვილნი ბაგრატ კურაპალატის მიერ ნაბოძებნი“ (1, 318).

ენობრივი ფორმების შერჩევის თვალსაზრისით მწერლის თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფერთა ოსტატურ შერჩევას, რომელიც ერთმანეთისაგან სრულ მიმართებაში არიან და აღძრავს ინტერესს სილამაზის შეცნობისადმი. აი, მაგალითი: „ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი ზოგნი, ნუშის, გულივით თეთრნი, მოყვითალონი, ჰყვაოდნენ ბაღის ყაყაჩოებიც, სუსამბარები და ნარგიზები, ნაირნაირი მიხაკები.

იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი, ჟრუნი, მოწითანო, მოლურჯო და სავსებით ლურჯნი, კარაქისფერნი, და ხოხბის ყელის ფერნი, ფარშვანგის ბოლოსებრ მოხატულნი, ჰინდური ყვავილებით ნაირნაირი“(1, 219).

ასეთი ენობრივი ფორმების ებიანის გვერდით ნართანიანი ფორმების გამოყენება თხზულებაში გარკვეული სტილისტური მოსაზრებით არის გამოყენებული და ესთეტიკური აღზრდის კარგი საშუალებაა.

მრავლობითობის -ებიანი ფორმები ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ზემოთ აღნიშნული ძველი ფორმები. ისინი სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა მოცემული. მოვიყვანოთ სახელობითის ფორმით, რომლებიც არანაკლებ შთამბეჭდავია.

დიდძალი ალაფი ჩაუვარდა ქართულ ჯარს ხელში: „ფარანგები, აქლემები, ჯორები, ლოდსატყორცნები, ციხეთა მმუსვრელი ტარანტები“. აქვე ავტორი სქოლიოში გვამცნობს ამ უკანასკნელი სიტყვის ტარანტის მნიშვნელობას, რომელიც ციხეთა მმუსვრელი მანქანა ყოფილა საშუალო საუკუნეებში. ამ მანქანას წვეტბურღიანი ხორთუმი ჰქონია კედლების შესანგრევად. (1, 88)

ყურადღებას იქცევს მიჯრით მიწყობილი ზმნები, რომლებიც შეიძლება რელატიურ სინონიმებედაც ჩავთვალოთ:

- ერთბაშად წამოიჭრნენ
- შემოუარეს ნავარდით ერთმანეთს
- შუძახეს
- შეუტიეს
- წამოცვივდნენ
- უყივლა
- შეუძახა

შემოუტია და სხვები, რომლებიც კარგად ასახავს ძველ ვითარებას, რომელსაც მწერალი შემდგომ მოგონებებში აღნიშნავს თავის შესახებ, რომელიც ხევსურეთში ათენგენობის დროს შეემთხვა ერთ-ერთ ხევსურთან ფარიკაობის დროს.

მწერლის ენას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს არქაული ფორმების ხმარება: ტაბლაზე ხანგილი იდგა.

ვაშკარანი - „ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა შთასადებელთა: გვალაგთა, ტომარათა, მანდიკთა, მახალთა, მახალაკთა, ბალანტსა“ (4, 257). კუნკული განმარტებულია, როგორც „მონაზვნის თავსაბურავი“ (4, 397). ასევე განმარტებულია რომანში მოყვანილი მთელი რიგი ძველი ქართული ლიტერატურის ერთეულები.

რომანში დინამიკურობას ქმნიან ერთსა და იმავე ბრუნვაში მოწყობილი სახელები, რომლებიც ამ მონაკვეთს თავისებურ რიტმულობას ანიჭებენ:

მეფე ხარ და ხამს...

მეფე ხარ და გმართებს...

მეფე ხარ და გევალება... (1, 93)

ასეთივე ენობრივი მოდელია რომანში, როცა გამოყენებულია -ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები.

გუთანი გადავიდა ცაზე

გირშელმა ხმალი აიღო

ავაზა იყო

პიპაც და გამოც გამოფხიზლდნენ

ავაზა მოსახლეობას უყვარდა

ავაზა ფხოვში?

რომანში საინტერესოა ძველი ქართული ტოპონიმები, რომლებიც ორიგინალურად არიან ჩაწნული და დაკავშირებულია მთავარ მოქმედ პირებთან. კ. გამსახურდია თავად არის მაძიებელი ამ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სახელებისა, საგანგებოდ აქვს მოხმობილი და იკვლევს მათ სემანტიკასა და წარმოებას.

შესწირა სვეტიცხოველს სოფელნი ,,ძმათა თვისთა განძითა ნასყიდნი“ კლარჯეთს, ჯავახეთს, ტაოს და ქვემო ქართლს. (გვ. 318).

რომანში ტოპონიმების ფუნქციითაა მოცემული ქართული ციხე-სიმაგრეები: ,,თმოგვის ციხე დაანგრია მიწისძვრამ, შესაკეთებელი იყო ციხე კლდეკარისა, ქანდაციხე, ბერციხე, ციხე -ბოდოკი, ციხე-კაბერი, ქოლოთკვირი, ოძრახეს ციხე-ქალაქი და მგელციხე, ნოკორნა, უფლისციხე და მრავალი სხვა.

ისტორიული ტოპონიმების გვერდით ასევე გვხვდება მწერლის სტილი, გამოგონილი სახელები, რომელთა შესახებ ენობრივი მიმოხილვა სამომავლო საქმედ მიგვაჩნია.

რომანში ხშირია ზმისწინთა ძველი ქართული ფორმები, რაც ერთგვარად არქაულობის შედეგს ასვამს ავტორისეულ ლექსიკონს.

- განიმეორა მტკიცედ კათალიკოსმა (გვ. 41)
- განაგდე ეშმაკეულნი (გვ. 41)
- სიმრავლისგან ოტობრულნი უკუქცეულან (გვ. 42)
- სტუმრები წამოცვივდნენ (გვ. 44)
- ბნელი განაქარვე ნათელითა (გვ. 44)
- განცვიფრდა ციხისთავი, ჯერ არ ენახა თორნიანი ბერი (გვ. 67)
- ბუნება წამოშველებოდა ლაშქარს (გვ. 72)

რომანის ენასა და სტილზე დაკვირვება, მხატვრულ ხერხებზე, შედარებებზე, ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობა, რომელიც ხატოვან ენასთან არის შერწყმული, განუმეორებელ კვალს ტოვებს მკითხველში.

მწერალმა თავის თხზულებაში მრავალი სიტყვა გააცოცხლა, რომლებმაც დღეს სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი ენის ლექსიკურ ფონდში. მისი განსაზღვრით ,,ლექსიკური სიმდიდრე ენის განვითარების შედეგია“ (კ. გამსახურდია, ტომი 8, თბ. 1967, გვ 219). რომანში გვხვდება ლექსიკური ერთეულები: წამოუყო, ოტებულნი, ბაჯაგან, ხალიბები, შიმუნვარი და მრავალი სხვა.

რომანში ვხვდებით ნაწილაკიან ფორმებს. მეთქი ნაწილაკის ხმარება უფრო დიალოგებში გვხვდება. მეთქი წარმოდგენილია ორი სიტყვისგან ,,მე ვთქვი“.

რადა ბრძანებთ ამას მეფეთ მეფეო?

არა ისე ვთქვი!

არ წახვიდე მეთქი!

ნაწილაკი მოუბარი პირის განაზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს. ნაწილაკში შეიძლება დაკარგული იყოს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ ან შეიძლება თავისუფლად იდგეს სიტყვაში. აღნიშნული ნაწილაკი იხმარება მარტო ზმნის პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმებთან.

ასევე გვხვდება თქო ნაწილაკი, რომელიც სხვათა სიტყვის აღმნიშვნელია:

გირშელს მიათხოვებენ - თქო

მზითვი გამოეგზავნა - თქო

მეფემ დასტური მისცა - თქო

რომანში ნაწილაკი ო უშუალოდ დაერთვის სიტყვას და ერთად იწერება, რომელსაც იგი თან ახლავს. ო ნაწილაკი წარმოშობით უკავშირდება ,,თქვა“ ზმნას. აქ ნაწილაკის ფუნქცია პირდაპირ ნათქვამთან ის არის, რომ აღნიშნოს მოუბარის დანაბარები ისეთი სიტყვა, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს:

გირშელმა იქედნურად გაიცინა, ეს თქვა მხოლოდ. (გვ. 283)

ესა (ს) თქვა და ტოხაის ძეს გადახედა მამამზემ (გვ. 306)

,,თქვა“ ,,თქო“ ნაწილაკები ამასთან არის წყვეტილის მესამე პირის ფორმები.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი როლი შეასრულა, ის არავის მიმბაძველი არ იყო, მხოლოდ საკუთარი გზით მიდიოდა. რომანში მწერალმა დაუვიწყარი სახელები შექმნა წარსულის კოლორიტულად წარმოსაჩენად.

მწერალი სწორედ ამიტომ აქცევდა ენას დიდ ყურადღებას, ის დიდად ზრუნავდა მისი სიწმინდისა და ღირსებებისათვის. მან შემოინახა დიალექტური ფორმები, ძველი ქართული მეტყველების ნიმუშები.

აქ წარმოდგენილი მწერლის ენის თავისებურებები მხოლოდ მცირე ნაწილია ამ დიდი შემოქმედებისა, რასაც მომავალში აუცილებლად გავაგრძელებთ და განვიხილავთ. იმედს ვიტოვებთ, რომ ბევრი საკითხი აშკარად წარმოჩინდება.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ., დიდოსტატის მარჯვენა, თბ., 1947, 1959 წწ.
2. ლემონჯავა ნ., მწერლის ენის საკითხები, თბ., 1993.
3. კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.
4. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, თბ. 1991.
5. ინჯია თ., გამსახურდიას დიდოსტატის მარჯვენის ენა და სტილი (სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად).
6. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, №29, 1952.
7. ჟღენტი ბ., მწერლობა და თანამედროვეობა, 1967, გვ. 52
8. ძიძიგური მ., მწერლის ენა, თბ., 1959, გვ. 21.

მთვარე როგორც საშუალება ასტრონომიული და ასტროლოგიური შედარებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

მარიამ ბესიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შოთა ქურდაძე,** პროფესორი

,,ვეფხისტყაოსანში“ შედარებას, როგორც გმირის დახასიათების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ საშუალებას უდიდესი ადგილი უჭირავს. მრავალფეროვან შედარებათა შორის კი კიდევ უფრო საინტერესოდ და მნიშვნელოვნად გვესახება ასტრონომიული და ასტროლოგიური შედარებანი, რომლებიც არა მხოლოდ ხსნიან გმირის შინაგან ბუნებას, არამედ განსაზღვრავენ კიდეც ამა თუ იმ პერსონაჟის გუნება-განწყობილებებს, მათ ბედს, კონკრეტულ სიტუაციაში მათ მოქმედებასა და ქცევას.

ასტროლოგიურ შედარებათა შორის, როგორც თავის ნაშრომში ,,ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება” ვ. ნოზაძე შენიშნავდა, მზესთან ერთად, უპირველესია მთვარე. ზოგადად, ის მწერლობაში აღიქმება, როგორც სილამაზის ხატი და გამოიყენება პერსონაჟის გარეგნული მშვენიერების დასახატად. ასეა გაგებული მთვარე ბიბლიაშიც.

მთვარე ,,ვეფხისტყაოსანში“ გამოიყენება როგორც ასტრონომიული, ასევე ასტროლოგიური მნიშვნელობით. ჩვენ ყურადღებას ძირითადად გავამახვილებთ ამ უკანასკნელზე.

ასტროლოგიური თვალსაზრისით მთვარე ეხმარება გმირს სიმშვიდის მოპოვებაში, ის განასახიერებს, როგორც მიჯნურის მფარველს, მესაიდუმლეს, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენს შეყვარებულ ადამიანებზე.

მთვარესა ეტყვის: ,,იფიცე სახელი ღმრთისა შენისა,
შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა,
მიაჯე შეყრა პირისა შენგამო შენებრ მშვენისა“. _

მიმართავს მთვარეს ავთანდილი და ამ ღაღადისში ნათლად წარმოაჩენს მთვარის როლს მიჯნურთა სენის გაძლების, მათი მფარველობისა და დახმარების საქმეში.

როგორც შევნიშნეთ, აქ მთვარე გამოყვანილია, როგორც სიყვარულის მიმცემი, იმედის მომნიჭებელი, ამდენად, ის ასტროლოგიური ცნებაა. ასე უნდა გავიგოთ ავთანდილის შედარება მოვანებულ (სავსე) მთვარესთან ტარიელთან გამოქვაბულში შეხვედრის ეპიზოდში.

სავსე მთვარე ზოგადად განასახიერებს როგორც სილამაზეს - ასტრონომიულად, ასევე სიმშვიდეს და გონიერებას - ასტროლოგიურად. ამ ეპიზოდში, ავთანდილის დასახასიათებლად, ვფიქრობ, ავტორი მთვარეს იყენებს როგორც ასტრონომიულ, ისე ასტროლოგიური მნიშვნელობით:

„ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად;
,,არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულვანებლად,
ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავეანებლად;
იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად.“ (286)

ამ სტროფის მიხედვით, ავთანდილის მთვარესთან შედარება, ჩვენი აზრით, მიგვანიშნებს, როგორც ავთანდილის მთვარისებრ შვენიერებაზე (ასტრონომიული და ესთეტიკური თვალსაზრისით), ისე მთვარის გავლენას მასზე. მთვარე ეხმარება მას დამშვიდებაში, რადგან ის (მთვარე - ავთანდილი) მოვანებულია და მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით, დიდი სულიერი სიმშვიდით მიჰყვება ასმათს.

ასტროლოგიური შედარების მაგალითს წარმოადგენს ავთანდილის მიერ თინათინისადმი უცხო მოყმის ამბის მბობის ეპიზოდი, როდესაც თინათინი ემსგავსება მოვანებულ მთვარეს. თინათინი კმაყოფილია ტარიელის ნამოქმედარით, მისი გადაწყვეტილებით, მისი შინაგანი სამყარო კი ისეთივეა, როგორც გარეგნული: ,,განათდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა“ (701).

ნავანები მთვარე სიკეთესა და სიბრძნეს ასხივებს და თინათინიც ბრძნულ შეფასებას აძლევს მიჯნურის მოღვაწეობას.

,,შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცნობა ხამს მართ უიცისა,
ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმა, მზე მიმეფაროს, მი-, ცისა?“ (706)

თავის დროზე ვ. ნოზაძე ასტროლოგიურად მიიჩნევდა მზისა და მთვარის გამოყენებას 327-ე სტროფში, როდესაც ტარიელის ენით მოთხრობილია დედოფლის მიერ ნესტანის დაბადების ეპიზოდი. მთელი ინდოეთი გახარებულია ამ ამბის გამო, ხოლო მზე და მთვარე განცხრომით ანათებენ გარემოს და დედამიწის მცხოვრებთ გზას უნათებენ:

,,წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა,
მოციქულსა-მოციქული, ინდოეთი სრულად სცნობდა;
მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა,
ყოვლი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა.“ (327)

ამ შემთხვევაში მთვარე, მზესთან ერთად, გავლენას ახდენს ადამიანებზე, სიხარულსა და მხიარულებას ანიჭებს მათ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განცხრომა აქ გამოყენებულია დაცხრომის საპირისპირო ცნებად, რაც ხშირად გამოიყენება პოემის პერსონაჟთა განწყობილების გამოსახატავად. დამცხრალი მთვარე მათი მინორული, სევდიანი განწყობის მაჩვენებელია, ხოლო განცხრობილი მნათობი ბედნიერების მაუწყებელია.

ასტროლოგიური დატვირთვა ეძლევა ტარიელის მიერ ნესტანთან შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდს. გრძნობამორეული ტარიელი ყვება:

„შევე, ვნახე იგი მთვარე, ჭირნმან ყოვლმა უკუმრიდნა,
გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა“. (526)

ნესტანი ამ შემთხვევაში არის მთვარე, სიყვარული ტარიელისა, რომლიც მისთვის სიცოცხლის მიმცემი და მკურნალია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსაცდელში ჩავარდნილი თუ მწუხარებით შემოსილი ნესტანის პიროვნების საჩვენებლად რუსთაველი ციურ მნათობთაგან, უმეტესწილად, მთვარის სიმბოლოს იყენებს, როგორც ასტრონომიული, ისე ასტროლოგიური თვალსაზრისით.

ასტროლოგიური გაგებით, მთვარე, ასევე - დედამიწაზე სიცოცხლის მიმცემი და გამაძლიერებელი - თავისი ავსების დროს ცოცხალ არსებათა ყველა ცხოველმყოფელი ძალების აღმავლობასაც იწვევს, მათ შორის - სიყვარულის ძალისასაც. აქედან წარმოდგება მთვარის აღნიშვნა, როგორც სიყვარულის ,,სენის“ გამომწვევისა.

ავთანდილი მნათობთაგან უპირატესობას სწორედ მთვარეს ანიჭებს და ზემოთ ციტირებულ სტროფში დასძენს: მთვარევ, მიაჯე, ანუ შემავედრე შენს ღმერთს, რათა თინათინს შევხვდეო, რომელიც შენს მიერ შენსავით შვენიერი არისო.

ამგვარად, მთვარე პოემაში ძირითადად დასახელებულია:

1. სიყვარულის მომცემად. უიმედო სიყვარულში იმედის მომნიჭებელად, შუამავლად:

,,მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხდები, ზოგჯერ ვწვლდები;
მას უამბნე სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგვარ ვბნდები.
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.“(972)

2. სიყვარულის შემწედ და მესაიდუმლედ:

,,აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“. (973)

ავთანდილი, სხვა პლანეტებთან ერთად, მთვარესაც სთხოვს დახმერებას სიყვარულში და ეს პლანეტები არიან მისი სიყვარულისა და შეჭირვების მოწმენი.

3. მთვარე არის გზის მაჩვენებელი.

,,იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახე მზისაცა მეტითა
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარავენ ნათლისა სვეტითა“. (1417)

შვიდ მნათობში სხვა პლანეტებთან ერთად იგულისხმება მთვარეც, რომელიც გზას უნათებს და უჩვენებს ბრძოლის დროს ავთანდილს, ფრიდონს და ტარიელს.

4. ერთგვარი თავისუფლების (გათავისუფლების) სიმბოლო:

,,გზანი დაჰხვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა

ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკრვა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა“. (1428)

ამგვარად, ასტრონომიული თვალსაზრისით, მთვარე ზოგადად ლიტერატურაში და, მათ შორის, ,,ვეფხისტყაოსანშიც“ გამოიყენება, როგორც პოეტური შედარების ერთგვარი საშუალება. მთვარის სხვადასხვა ფაზა გმირის სულიერი მდგომარეობის განმასახიერებელია. ამასთანავე, ესთეტიკური თვალსაზრისით, ის არის სილამაზის სიმბოლო, რომელსაც ავტორი იყენებს გმირთა მშვენიერების დასახატავად, ხოლო ასტროლოგიურად ,,ვეფხისტყაოსანში“ მთვარე წარმოდგენილია, როგორც სიყვარულის მიმცემი, მკურნალი, მფარველი, რომელიც მარტო არ ტოვებს მასზე მინდობილ ადამიანებს.

ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.
2. ნოზაძე ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, II, თბ., 2005.
3. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.
4. თევზაძე გ., რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979.

ფრანგული კლასიციზმისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების კომპარატივისტული ანალიზი

ეველინა თარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ბაქრაძე,** მოწვეული დოქტორი

მხატვრულ ლიტერატურაში მუდმივად მეორდება თემები, პრობლემები, მოტივები, სიუჟეტები, თუ პერსონაჟები, რაც იძლევა შესანიშნავ საშუალებას, ერთმანეთს დავუკავშიროთ სხვადასხვა ლიტერატურული ეპოქები, განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობისა და ეროვნების მწერლები. ასე გაივლო პარალელი ამჯერად ფრანგულ კლასიციზმსა და ქართველი რეალისტის - ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას შორის.

კლასიციზმი ფრანგულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში XVII საუკუნეში დამკვიდრდა, საიდანაც იგი ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. კლასიციზმის მხატვრული კონცეფცია რაციონალისტურია, რადგან დაეფუძნა რენე დეკარტის ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა და დამოუკიდებელ საწყისებად გამოაცხადა გრძნობა და გონება, სული და მატერია. კლასიციზმმა ჯერ კიდევ განმანათლებლობამდე შეიტანა ლიტერატურაში გონების კულტი, ამკვიდრებდა რწმენას, რომ სამყაროს გარდაქმნა შესაძლებელია გონიერ საწყისზე დაყრდნობით. შესაბამისად, კლასიცისტთა გმირები არიან იდეალური, სანიმუშო პერსონაჟები, მტკიცე ხასიათისა და საუკეთესო გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები, ღირსებისა და მოვალეობის მაღალი შეგრძნებით. სწორედ სრულყოფილების ძიებამ მიიყვანა კლასიცისტები ანტიკური ლიტერატურით დაინტერესებამდე და მის, როგორც იდეალურ ესთეტიკურ ეტალონად გამოცხადებამდე. ისინი საკუთარი შემოქმედებით ცდილობდნენ მიახლოებოდნენ ძველბერძნულ და ძველრომაულ ხელოვნებას. შესაბამისად, კლასიციზმი უხვად საზრდოობს ანტიკური ლიტერატურით და ყველაზე მეტად სწორედ მისგან არის დავალებული.

კლასიციზმის ესთეტიკის შესაბამისად, ნაწარმოების ტრაგიკული კონფლიქტი მდგომარეობს გმირების მიერ სიყვარულსა და მოვალეობას შორის არჩევანის გაკეთებაში. სულერთია, იქნება ეს მოვალეობა ქვეყნის, თუ ოჯახის წინაშე. კლასიციზმი უარყოფს თავშეუკავებელ, მოუთოკავ, დაუოკებელ ვნებათაღელვას. სიყვარულის გრძნობას ისინი უქვემდებარებენ მოვალეობის გრძნობასა და მორალურ ნორმებს. ამასთან, გულისა და გონების ჭიდილში დადებითი გმირი არჩევანს ყოველთვის გონების

სასარგებლოდ აკეთებს. გრძნობისმიერი გადაწყვეტილება შორს არის ჭეშმარიტებისგან. სწორი არჩევანის გაკეთება მხოლოდ გონების კარნახით არის შესაძლებელი.

ფრანგულმა კლასიციზმმა თავისი განვითარების მწვერვალს პიერ კორნელისა და ჟან რასინის შემოქმედებაში მიაღწია. მათი მხატვრული მემკვიდრეობა ნასაზრდოებია კლასიკური ლიტერატურიდან და ისტორიული ქრონიკებიდან აღებული მასალით, თუმცა არ ხასიათდება ანტიკური დრამისადმი ბრმა მიბაძვით, რადგან მათ შემოქმედებაში ადგილი აქვს თემების ახლებურად, ახალი დროის შესაბამისად გადამუშავებას.

ფრანგული კლასიცისტური ტრაგედიის ფუძემდებლად აღიარებულია პიერ კორნელი (1606-1684). მისი ყველაზე უფრო ცნობილი ტრაგედია, „სიდი“, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეიქმნა, თუმცა საინტერესოა არა ისტორიული რეალობის რეკონსტრუირება, არამედ მოქმედ გმირთა ქცევა, როცა მოვალეობასა და სიყვარულს შორის არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან, რაც თითოეული გმირის მხრიდან უდიდეს სულიერ განცდებსა და ტანჯვას იწვევს, ნაწარმოებს კი განსაკუთრებულ ელფერსა და სიმძაფრეს მატებს.

დრამის მოკლე სიუჟეტური კანვა ასეთია: მთავარი გმირი, როდრიგო, იძულებულია მოკლას თავისი მამის შეურაცხმყოფელი გრაფი დე ჰორმასი, რათა მოიხადოს ვალი და აღადგინოს მშობლის შელახული ღირსება, რითაც იგი საფრთხეში აგდებს პირად ბედნიერებასა და ფიზიკურ არსებობას. კონფლიქტის ტრაგიკული მარცვალი მდგომარეობს იმაში, რომ მოკლული გრაფი დე ჰორმასი როდრიგოს სატრფოს - ქიმენას მამაა. როგორც ვხედავთ, გმირმა მოვალეობის უწმინდეს გრძნობას სიყვარული ანაცვალა. მამა კმაყოფილია შვილის ვაჟკაცობით და მოუწოდებს, რომ კვლავაც მოვალეობის ერთგული დარჩეს.

როდრიგო ქიმენას მამის მკვლელია, მაგრამ ქალს უწინდებურად უყვარს იგი. მიუხედავად დაღვრილი სისხლისა, ვაჟი მის თვალშიც პატივისცემას იმსახურებს, რადგან მან მშობლის ღირსება დაიცვა. მაგრამ ამიერიდან, ქიმენას არათუ არ შეუძლია როდრიგოს ცოლი გახდეს, არამედ მოითხოვს, რომ იგი სიკვდილით იქნეს დასჯილი, ვინაიდან მოკლული მამის ხსოვნა ავალდებულებს მას, მკვლელს პასუხი აგებინოს. როდრიგოსა და მისი მამის ღირსება აღდგენილია, ახლა ჯერი ქიმენაზეა - მან უნდა გააკეთოს არჩევანი სიყვარულსა და მოვალეობას შორის. შექმნილი რთული ვითარებიდან იგი მარტივ, შეიძლება ითქვას, ეშმაკურ გამოსავალს პოულობს: ის საკუთარი ღირსების დაცვას ერთ რაინდს მიანდობს, რომელიც ორთაბრძოლაში უნდა შეხვდეს როდრიგოს. გამარჯვებულს კი ქიმენა ცოლად გაყვება. ერთი შეხედვით სარისკო ნაბიჯზე მიდის, თუმცა იმედი აქვს, რომ როდრიგო იოლად გაუსწორდება გამოუცდელ მეტოქეს და ასეც ხდება. ამგვარად, ქიმენა ვერ ამბობს უარს სიყვარულზე და ღირსების დასაცავად მართავს დუელს, რომლის შედეგიც წინასწარ არის განჭვრეტილი. ქიმენა „მოვალეობის“ არჩევის გზით მიდის ,,სიყვარულამდე“, ასე ახერხებს იგი საკუთარი გრძნობის ლეგიტიმაციას.

ტრაგედია „ჰორაციუსში“ მოქმედება ძველ რომშია გადატანილი, სადაც პოლიტიკური მოტივით ერთმანეთს უპირისპირდება ორი ოჯახის – ჰორაციუსების და კურიაციუსების სამ-სამი ძმა. ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ მათ შორის ნათესაური კავშირი არსებობს. ერთ-ერთ ჰორაციუსს ცოლად ჰყავს კურიაციუსების და, ხოლო ჰორაციუსების და – კამილა არის ერთ-ერთი კურიაციუსის საცოლე. კამილა ცდილობს დაარწმუნოს საქმრო, რომ არ შეებრძოლოს მის ძმებს, რადგან სულერთია, ვინ გაიმარჯვებს ან დამარცხდება. ამ შემთხვევაში გამარჯვებული არავინ იქნება.

მეორე მხრივ, მძიმე არჩევანის წინაშე დგას კამილას საქმროც, რომელსაც უწევს არჩევანი გააკეთოს სიყვარულსა და მოვალეობას შორის. კამილას სიყვარულის მიუხედავად, იძულებულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართოს მის ძმებს. მასში გონება-მოვალეობა თრგუნავს გულსა და გრძნობას.

მძიმე განსაცდელშია ჰორაციუსის მოხუცი მამაც. მისმა სამმა ვაჟმა სიკვდილს უნდა ჩახედოს თვალებში, მაგრამ მოვალეობა ქვეყნის წინაშე უპირველესია. სწორედ ამ პასუხისმგებლობის განცდით მოუწოდებს საკუთარ სიძეს, ახლა უკვე მეტოქეს და შვილებს, ახსოვდეთ მხოლოდ მოვალეობა და აღასრულონ იგი.

ხელჩართულ დაპირისპირებაში მხოლოდ ერთი, ჰორაციუსი, გადარჩება ცოცხალი. საქმროს დაღუპვით გამოწვეული ტკივილი კამილას ავიწყებს ვალს ქვეყნისა და ოჯახის წინაშე. წყევლის ძმასა და ქვეყანას, რის გამოც ძმის ხელიდან აღსასრულს ჰპოვებს. მამა ვაჟიშვილს არ განსჯის, რადგან თვლის, რომ კამილამ თავისი მოვალეობა დაივიწყა და სასჯელი დამსახურებულია.

სიყვარული თუ მოვალეობა? პიესა ,,ცინას“ მიხედვითაც, მთავარ გმირს – ემილიას უწევს მათ შორის არჩევანის გაკეთება. ახალგაზრდა ქალს შურისძიება გადაუწყვეტია მოკლული მამის გამო. სურს სამაგიერო მიუზღოს რომის იმპერატორს ავგუსტუსს. ამისთვის დახმარებას სთხოვს თავის სატრფოს – ცინას, რომელმაც უნდა აღასრულოს ემილიას ჩანაფიქრი და მოკლას იმპერატორი. ქალი საფრთხეში აგდებს ყველაზე ძვირფასს, საყვარელ ადამიანს, მაგრამ მოვალეობა მისთვისაც უმთავრესი ღირებულებაა.

XVII ს–ის ფრანგული კლასიციზმის მეორე დიდი წარმომადგენელი, ტრაგედიის ჟანრში, არის ჟან რასინი (1639-1699). რასინის ყველაზე ცნობილი ტრაგედიაა მითოლოგიურ-ანტიკურ თემაზე აგებული ნაწარმოები ,,ფედრა“.

მთავარ გმირს - ფედრას - სტანჯავს დანაშაულებრივი სიყვარულის გრძნობა საკუთარი გერის მიმართ. მას ნათლად აქვს გაცნობიერებული ამ გრძნობის უკანონობა და მის ამოსაძირკვად დიდხანს ებრძვის საკუთარ თავს. ქალღმერთ ვენერას ტაძარს აუგებს, ყოველდღე ზვარაკს სწირავს და ლოცულობს, მაგრამ ამაოდ. მაშინ სასტიკი დედინაცვლის ნიღაბს აიფარებს იგი, განგებ უსამართლოდ დევნის თავის გერს, მამა-შვილს გადაამტერებს, რომ იპოლიტე შორს წავიდეს და თვითონ კი სიმშვიდე დაიბრუნოს.

გერისათვის სიყვარულის გამხელას მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს, როცა თავისი ქმრის დაღუპვის შესახებ ცნობას მიიღებს. მოვალეობის ბორკილებისგან გათავისუფლება გზას უხსნის სიყვარულისკენ, მაგრამ, როცა ეს ცნობა ცრუ აღმოჩნდა, დანაშაულის გრძნობა უასმაგდება. ამას ისიც ერთვის, რომ მის ქმარს მომხდარის შესახებ არასწორად უამბობენ, მამა უსამართლოდ დასჯის შვილს, რაც იპოლიტეს დაღუპვას იწვევს.

ყოველივე ამის გამო ფედრას განაჩენი საკუთარი თავსთვის თვითონ გამოაქვს. ქმარს სიმართლეს თავად უამბობს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საწამლავი აქვს მიღებული და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლის.

შემდეგი ტრაგედიის, ,,ანდრომაქეს“, სიუჟეტს კვლავ ანტიკურ საბერძნეთში გადავყავართ. მეფე პიროსი, დაქვრივებული ანდრომაქეს სილამაზით მოხიბლული, ივიწყებს მიცემულ სიტყვას, უარს ამბობს საცოლეზე და სურს ანდრომაქეზე იქორწინოს. იმისათვის, რომ ქალს აიძულოს ამ ნაბიჯის გადადგმა, მიმართავს მუქარას: უარის შემთხვევაში პიროსი მოკლავს ანდრომაქეს შვილს, თანხმობის შემთხვევაში კი მას ტროას მეფედ აქცევს.

ანდრომაქე რთული არჩევანის წინაშე დგება: დაიცვას და წმინდად შეინახოს ქმრის ხსოვნა, ან გადაარჩინოს შვილის სიცოცხლე. საბოლოოდ, იგი განიზრახავს ცოლად გაჰყვეს პიროსს და ტაძარში ფიცის დადების შემდეგ, როცა მის ვაჟს საფრთხე აღარ დაემუქრება, იქვე თავი მოიკლას, რომ არ შებღალოს ქმრის ხსოვნა.

მოვალეობის სასარგებლოდ საკუთარ სიყვარულზე უარის თქმა უწევთ რასინის პიესის ,,ბერენიკას “ გმირებს – იმპერატორს ტიტუსსა და პალესტინელ დედოფალ ბერენიკას, რადგან, რომის კანონების მიხედვით, იმპერატორს უფლება არ აქვს უცხოტომელი შეირთოს ცოლად. ტიტუსი დიდხანს ორჭოფობს და, ბოლოს, ბედთან შერიგებას არჩევს. ეს კანონი ხომ იულიუს კეისარსაც არ დაურღვევია კლეოპატრას გამო, სასტიკი კალიგულა და ამაზრზენი ნერონიც პატივს სცემდნენ მას.

გმირები სიყვარულის გამო მოვალეობას არ ივიწყებენ. სამაგიეროდ, იოლად შეუძლიათ სიცოცხლეზე თქვან უარი. ბერენიკა მზად არის თავი მოიკლას ამ სასტიკი ხვედრის გამო. თავის მხრივ, ტიტუსიც უმალ გამოესალმება სიცოცხლეს, თუ ქალი თავის გადაწყვეტილებაზე უარს არ იტყვის. ტიტუსისა და ბერენიკას ამბავი უიმედო და თან ბობოქარი სიყვარულის შესანიშნავი ჰიმნია.

მე–19 ს–ის გამოჩენილი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893), დიდი ვაჟას გვერდიგვერდ, მთის მეხოტბედ გვევლინება. მისი ამაყი შვილების ცხოვრებას მწერალი რეალისტურ-რომანტიკულ ფერებში გადმოგვცემს.

ეროვნული ჩაგვრის პრობლემა და სოციალური თემატიკა მას იდეურად ილიასა და ,,სამოციანელების“ მიმდევარს ხდის, მაგრამ გრძნობა-მოვალეობის კონფლიქტი, რომლის წინაშე მისი გმირებიც დგებიან, თავისთავად იწვევს ფრანგული კლასიციზმის ალუზიას.

ალ. ყაზბეგი შესანიშნავი მწერალი - ფსიქოლოგია და დიდ ოსტატობას იჩენს გმირთა სულიერი სამყაროს გახსნაში. ყაზბეგის გმირებს სიყვარული ცეცხლივით ედებათ და ისინიც სიამოვნებით იწვიან ამ დიდ კოცონზე. ბედს შეიძლება ემდუროდნენ, მაგრამ ამ დამწველ გრძნობას კი – არასოდეს. თითოეული მათგანი, მართლაცდა, პოეტი-რომანტიკოსია, რომელმაც იცის სიცოცხლის ღირსება, მაგრამ არც ვაჟკაცურ სიკვდილს გაურბის. სიყვარულის გარეშე მათ თითქოს სისრულე აკლიათ. (1,060). მაგრამ სიყვარული არც ყაზბეგთან არის ყოველთვის ნებადართული და იგი შეიძლება მოვალეობის გრძნობამ შეზღუდოს. ამ კუთხით საინტერესოა ,,ხევისბერი გოჩა“, ,,ელგუჯა“ და ,,ელეონორა“.

,,ხევისბერ გოჩაში“ ყაზბეგის ძიებანი, განსაკუთრებით ეთიკური ჭეშმარიტების დადგენის პათოსი, ახალ საფეხურს აღწევს. განხეთქილება მამა-შვილს – გოჩასა და ონისეს შორის, რომელიც ამ ნაწარმოების მთავარ კონფლიქტს წარმოადგენს, სინამდვილეში არის შეურიგებელი კონფლიქტი ორი იდეის, ორი მსოფლმხედველობის, ცხოვრებისადმი ორი დამოკიდებულების.

,,ხევისბერ გოჩაში“ პირობითად შეიძლება გამოვყოთ მოქმედების ორი ხაზი – გარეგანი და შინაგანი, ,,საზოგადო“ და „პირადი“. პირველ შემთხვევაში ყველაფერი შედარებით უბრალოდ წყდება, აქ გვევლინება გარეშე დამპყრობელი ნუგზარ ერისთავის სახით. მასთან შერიგება თავისუფლებისმოყვარე მოხევეთათვის სიკვდილზე უარესია. ბევრად უფრო რთულია მოთხრობის მეორე, შინაგანი ხაზი,

რომელიც აკრძალულ სიყვარულს უკავშირდება. ონისეს საბედისწერო შეცდომა სწორედ ისაა, რომ იგი სათანადოდ ვერ შეებრძოლა თავის ,,უკანონო“ გრძნობას მეგობრის ცოლისადმი, ვერ დასძლია და დამორჩილდა მას.

რაც შეეხება გოჩას, იგი გვევლინება, როგორც ადამიანურ სისუსტესთან, ბოროტისმყოფელ ცდუნებებთან შეურიგებლობის განსახიერება. ონისეს მამა ყოველთვის ეუბნებოდა და აფრთხილებდა: ,,გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“ (6, 92). სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთ პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახის გამაპატიოსნებელი ან დამამცირებელია. საკუთარი თემისა და მეგობრის წინაშე სიყვარულით გატაცების გამო მოვალეობის დავიწყებამ განაპირობა ონისეს ტრაგედია – მამამ სასიკვდილო განაჩენი თავად გამოუტანა. რა თქმა უნდა, ხევისბერს ამ მძიმე გადაწყვეტილების მიღებისას მოუწია დაეთრგუნა შვილის მიმართ უსაზღვრო სიყვარული საზოგადო საქმის სასარგებლოდ.

მსგავსი კონფლიქტი მეორდება ,,ელგუჯაშიც“. რომანის მთავარი პერსონაჟები ელგუჯა და მზაღო კლასიკური ეპიკურ ხასიათებს წარმოადგენენ. მათთვის უცხოა სულიერი გაორება, მერყეობა ან უკან დახევა. ელგუჯასა და მზაღოს სიყვარულს წინ ეღობება ბევრად უფრო ძლიერი ობიექტური ძალა მათიას სახით.

სრულიად სხვა ხასიათისაა ელგუჯას ძმადნაფიცი მათია. მათია შეპყრობილია ძლიერი, სულისშემძვრელი სიყვარულით თავისი ძმადნაფიცის გულისსწორისადმი. ეს არის მისი შინაგანი გაორების, უმწვავესი ფსიქოლოგიური კრიზისის მიზეზი, რომელიც გამუდმებით ღრღნის და ანადგურებს მის სულს. მათია ყაზბეგის შემოქმედებაში უძლური შეყვარებულის კიდევ ერთი სახეა. იგი ვერ შეებრძოლა თავის გრძნობებს მზაღოსადმი, ვერ დასძლია და ისიც დამორჩილდა მას, რაც სავალალო შედეგით დამთავრდა. თავისი საქციელით მათიამ უღალატა, საკუთარ თავსა და ძმადნაფიცს.

მოთხრობა „ელეონორას“ გმირებისთვისაც არ არის უცხო გრძნობა-გონების ჭიდილი. როცა ლეკი ვაჟკაცი, ასლან გირეი, ელეონორას ოთახში დაუკითხავად შევიდა, ისარგებლა ქალის წამიერი სისუსტით და ამბორი მოსტაცა, ელეონორამ არ აპატია ეს საქციელი, თუმცა მის მიმართ თავადაც გაუნელებელი სიყვარული სწვავდა. ღირსების დასაცავად ქართველ ვაჟკაცებს უხმო, გამარჯვებულს კი ცოლობას დაპირდა, სანაცვლოდ ასლან გირეის თავი მოითხოვა. მხოლოდ მეცამეტე ქართველმა - ლევან კრეჭიაშვილმა - მოახერხა ასლან გირეის დამარცხება და მიუხედავად იმისა, რომ ელეონორა მისი საოცნებო ქალი იყო და დიდხანს უჩუმრად შესტრფოდა, ახლა როცა ხელს აღარაფერი უშლიდა, უარი სთქვა მასზე მორალურ-ზნეობრივი მოსაზრებით. აღარ ინდომა ცოლად შეერთო ქალი, რომელმაც საკუთარ სიამაყეს თორმეტი ქართველი შეაწყვიტა. ლევანში გონებამ გაიმარჯვა, მაგრამ სიყვარულის დაკარგვასაც ვერ შეეგუა და საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე.

მოთხრობა „ელეონორა“ სხვა მხრივაც საინტერესოა. ორთაბრძოლის სცენა ძალიან ჰგავს კორნელის „სიდის“ ანალოგიურ ეპიზოდს. ორივე შემთხვევაში შეიარაღებული დაპირისპირების ინიციატორი ქალები არიან: ქიმენა და ელეონორა. ორთაბრძოლა ორი მოტივით იმართება: ქალის ღირსების დაცვა და მისი ხელის მოპოვება. ქიმენა და ელეონორა სიყვარულის წინააღმდეგ მოქმედებენ და თავიანთ ფალავნებს უპირისპირებენ მათ, ვის მიმართაც ნაზი გრძნობა გააჩნიათ. თუმცა ფინალი განსხვავებულია: ქიმენა ახერხებს ხარკი „გონებასაც“ გადაუხადოს და „გულსაც“. ელეონორა კი სიყვარულის უარმყოფელი რჩება ბოლომდე. უნდა აღინიშნოს, რომ ქიმენას შემთხვევა გამონაკლისია, რომლის მსგავსიც არ მეორდება არც ერთ აქ განხილულ მაგალითში. კონფლიქტი გულსა და გონებას შორის ყოველთვის ერთ-ერთის სასარგებლოდ წყდება.

ფრანგი კლასიცისტებისა და ალ. ყაზბეგის შემოქმედებათა კომპარატივისტულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ კლასიციზმის ესთეტიკისთვის დამახასიათებელ გრძნობა - გონების, იგივე სიყვარულისა და მოვალეობის დაპირისპირების პრობლემას ამუშავებს ალ. ყაზბეგიც. ამ ანტაგონიზმში კი, ორივე შემთხვევაში, უპირატესობა გონებას ენიჭება. მწერლები დადებითად განიხილავენ იმ გმირთა საქციელს, რომელთაც შეუძლიათ დათრგუნონ გრძნობა გონების სასიკეთოდ. ასეთები არიან კორნელის სიდი, ქიმენა, ემილია, ჰორაციუსები და კურიაციუსები. რასინის ანდრომაქე, ტიტუსი და ბერენიკა. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა, ელეონორა და ლევან კრეჭიაშვილი.

მაგრამ თუ გმირმა ვერ მოთოკა საკუთარი გრძნობა და დამორჩილდა მას, სასჯელი ამ შემთხვევაში სიკვდილია. შეცდომაზე სიცოცხლით აგებენ პასუხს კორნელის კამილა, რასინის ფედრა, ყაზბეგის ონისე და მათია.

წინამდებარე ნაშრომი შორს არის იმის მტკიცებისგან, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში გრძნობა-გონების დაპირისპირების პრობლემა უშუალოდ ფრანგული კლასიციზმის გავლენით გაჩნდა. მყარი არგუმენტაციის გარეშე ეს შეუძლებელია. აღნიშნული კვლევა ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ შედარებით ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ვასკვნით, რომ კორნელის, რასინისა და ალ. ყაზბეგის

მხატვრულ ესთეტიკაში გრძნობა-გონების კონფლიქტის მიმართ მწერლების დამოკიდებულება და პრობლემის გადაწყვეტის გზები უდაო მსგავსებას ავლენს.

ლიტერატურა:
1. აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბ., 2011.
3. ურუშაძე ნ., ნარკვევები საზღვარგარეთის ლიტერატურიდან, წ. 1, თბ., 1960.
4. ფრანგული დრამა, თბ., 1982.
5. ფანჩულიძე დ., ფრანგი მწერლები, თბ., 1960.
6. ქართველი მწერლები სკოლაში, ალ. ყაზბეგი, პირველი ნაწილი, 2004.
7. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. მეოთხე (მე–19 საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1974.

დუმილის გააზრება „ვეფხისტყაოსანში“

მაია მაისურაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული დოქტორი

დუმილი ერთ-ერთი უპირველესი ფენომენია, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, მსოფლიოს სხვადასხვა მოაზროვნეთა ნააზრევში.

ლაო ძი საოცარი სიღრმით, ფილოსოფიური დამაჯერებლობით გვიჩვენებს დუმილის უპირატესობას საუბართან შედარებით: ,,ვინც ნაწრთობია მჭევრმეტყველებაში, დუმს“ (ლაო ძი, დაო დე ძინი, თბ. 1990, გვ 117) ინდური ფილოსოფიის ბრწყინვალე ძეგლი, „ბჰაგავარგიტა“, დუმილს ღმერთთან მიახლოების გზად მიიჩნევს: „უსახლკარო და მდუმარი კაცი სათნო არს ჩემდა“. ისო ზირაქის თანახმად ,,არს დუმილი მომპოვებელი სიბრძნისა“.

იმ თვალსაზრისთა შორის, რომელიც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს, საინტერესოა დიონისე არეოპაგელის დაკვირვება. მას დუმილი მიაჩნია „ღვთიური საუფლოს“ გამოვლინებად. ქრისტიანულ სარწმუნოებაში დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, დუმილი ყველა შემთხვევაში მისაღები და აუცილებელია: „საქმეც რომ ითხოვდეს, მაშინაც დუმილი სჯობია“.

ქრისტიანული თვალსაზრისი და ძველი ფილოსოფიური სიბრძნე სინთეზურად გაიაზრა გიორგი მერჩულემ. მის ნააზრევში ნათლად აირეკლა და გამეორდა ბიბლიური ჟღერადობის მქონე დეფინიცია: „ბრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი ოქროი რჩეული“. გიორგი მერჩულემ ორ გამონათქვამში ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი დუმილის შესახებ. მას მიაჩნია, რომ დუმილი არის ადამიანის სიბრძნის გამოვლინება: „რაჟამს ბრძენთა დუმილი ჰმატს, სიბრძნე მათი გამოსავალთა ზედა იქებინ, რამეთუ ენაი მათი მეტყველებისგან ცუდისა უტყვ არნ და ძვირის სიტყვისა უქმ“. ამ სენტენციაში მერჩულე ამკვიდრებს აზრს, რომ დუმილის დროს ჩნდება ადამიანის გონიერება. ბიბლიის სიბრძნის გამეორებით, გიორგი მერჩულე, ერთის მხრივ, იცავს აზრს, რომ დუმილის დროს ჩნდება ადამიანის გონიერება, ხოლო, მეორე მხრივ, აყენებს ფუჭსიტყვაობის უარყოფის საკითხს.

იოანე პეტრიწი შემდეგნაირად იაზრებს ამ სიბრძნეს: „დუმვა უმჯობეს არს მეტყუელებისა, კეთილისაც თუ იყოს, ვინაითგან ცდომა შეუდგეს მეტყუელებასა, ხოლო დუმილსა არა არცხუენს ყოვლადვე“.

ლერი ალიმონაკი, ტერენტი გრანელის შემოქმედებაზე მსჯელობისას, გამოთქვამს აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „დუმილში იღება დახშული და უხილავი ბჭე ღვთაებრიობისა, საიდანაც მესამე არსებობისაკენ მიმავალი გზა იწყება. წმიდა მამები ხშირად მიმართავდნენ დუმილს, როგორც სრულყოფილებასთან მიახლოების ერთ-ერთ საშუალებას. მართლმადიდებელ ბერთა მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე, მოუკლებელი მდუმარება და სულიერი ლოცვა, ისიქაზმის სახელით არის ცნობილი, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მიუწვდომელია რიგითი მორწმუნისათვის. გრანელისათვის დუმილი არა მარტო

„უდიდესი გრძნობის ნიშანია („და უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარინდება“)“, არამედ ცხოვრების საგანი და წესი („ჩემი ცხოვრების საგანი გახდა გლოვა, დუმილი და გარინდება“). გრანელთან დუმილი მიწიერი ხმაურიდან თავის დაღწევისა და ამაღლების საწინდარია. დუმილთან ერთად გრანელის პოეზიაში ვხვდებით გარინდებას, როგორც: ყურისგდებას, გონებისა და გულის მიმართვას უფლისაკენ, თუნდაც მცირედი ხნით მოწყვეტას ამქვეყნიურობისაგან, განდგომას ხორცისაგან. გარინდება დუმილის წინა გრძნობაა. გარინდება მოწყვეტაა მიწისაგან, ვნებებისაგან, დუმილი კი, დანახვაა ზეცისა („და უცებ ზეცა ნახეს თვალებმა“), ხილვაა მარადისობისა.

დუმილის ფენომენისადმი თვალის მიდევნება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ძირითადად, წინაქრისტიანულ ნააზრევში იგი მიჩნეულია სიბრძნის გამოვლინებად, ქრისტიანულ რელიგიაში კი ღმერთთან მიმსგავსების, მასთან მიახლოების საშუალებად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დგება საკითხი: როგორ უყურებს თქმა-არათქმას, დუმილსა და მეტყველებას შოთა რუსთაველი. აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რუსთაველი, ერთის მხრივ იცავს ტრადიციულ თვალსაზრისს დუმილის შესახებ, მეორე შემთხვევაში უპირატესობასაც კი ანიჭებს თქმას: „თქვი და სიტყვა გააკვლადე“. (815), „არ, უთქმელობა არ ვარგა“ (938). ამასთანავე, ანგარიშგასაწევია, რომ რუსთაველს ყურადღების გარეშე არ რჩება ერთი გარემოება: ნათქვამი უნდა იყოს მოზომილი, აწონილ-დაწონილი, რადგანაც ცუდად თქმას უთქმელობა სჯობს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. (751). მოუბარმა თავი არ უნდა ჩაიყენოს უხერხულ მდგომარეობაში, არ უნდა გააწბილოს მსმენელი, რადგანაც „არ სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“ (896). ამ შემთხვევაში შოთა რუსთაველი, ისევე როგორც სხვაგან, ავითარებს დუმილისა და მეტყველების (თქმის) ურთიერთმორიგების იდეას. მას გამოჰყავს შუალედური და უფრო მისაღები თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანმა უნდა შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება, თუ როდის ექნება ფასი მის ნათქვამს და როდის მოჰყვება ზიანი. შოთას ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შემუშავდა.

პითაგორე სამოსელის მაქსიმის თანახმად: ,,დუმილს ნუ დაარღვევ, ან თქვი რამე დუმილს რომ სჯობდეს”. ეს იდეა ოდნავი სახესხვაობით, მაგრამ მთავარი აზრის შენარჩუნებით, მოგზაურობდა საუკუნიდან საუკუნეში. სოკრატე შთააგონებდა მსმენელს: „ლაპარაკი დაიწყე ორ შემთხვევაში, როცა შენი სიტყვის საგანი კარგად გაქვს მოფიქრებული, ან როცა რაიმეს თქმა აუცილებელია. მხოლოდ ამ ორ შემთხვევაშია მეტყველება დუმილზე უკეთესი, სხვა შემთხვევაში კი გიჯობს გაჩუმდე, ვიდრე ილაპარაკო“.

საკვლევ პრობლემაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა გარკვეული დასკვნების შემუშავებამდე. „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი დუმილს, როგორც ფენომენს ასეთ დატვირთვას აძლევს:

1. **დუმილი, როგორც მოთმინებისა და გამოსავლის პოვნის საშუალება:**

„იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების;
მოილოდინე, მოვიდეს, რაზომმცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების“. (259)
„ამას ყველასა ავთანდილ ისმენდა გაცბუნვებული;
უბრძანა: „რა გჭირს, რას იტყვი, რასთვის ხარ აგრე ვებული?
რას დაგექადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?
დადუმდი, მითხარ, ვინ იყო, ანუ რად საქმედ რებული?“ (1104)
„ტარიელ ზედა მოიჭდო მხურვალთა ცრემლთა მდენელმან;
იტყვის, თუ: „ცეცხლი დამევსო ცხელი, აწ დამწვა მე ნელმან;
დადუმდი, სული დაიღე ჩემგან ამისმან მსმენელმან,
თქვენი სიცოცხლე მალხინა ღმერთმან, ობოლთა მლხენელმან“. (1627)

2. **დუმილი, როგორც დიდი გრძნობის(მწუხარების, ან სახარულის) გამოხატულება:**

„ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.
დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;
დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან“. (266)

3. **დუმილი, როგორც ძალების მოკრების საშუალებას:**

„ვით გიამბო საკვირველი მე, გლახ, მისი ყოფა-ქცევა,
დღე და ღამე გაუწყვედლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!
შევეხვეწი: „დადუმდიო“, წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა.
აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა“! (1145)

4. **დუმილი, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება** :

„ტარიელ უთხრა ავთანდილს, ასმათის დადუმებულმან:

„შენ ყველაკაი გაამე მე ვერას ვერ ამებულმან;
გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან,
აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოჟამებულმან“ (660)

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც სხვა ბევრ საკითხთან, ასევე თქმა- დუმილთან დაკავშირებით, რუსთაველი იძლევა ოქროს შუალედს. ის ცალსახად არ ემხრობა რომელიმე მათგანს და დუმილს არ განიხილავს უფალთან მიმართებაში. მიაჩნია, რომ თქმა-დუმილი უნდა გამომდინარეობდეს და შეეფერებოდეს სიტუაციას. პოეტის აზრით, ზოგჯერ დუმილი აუცილებელია, ხშირ შემთხვევაში კი საუბარს ეძლევა უპირატესობა.

ლიტერატურა:
1. ლაო ძი, დაო დე ძინი, თბ., 1990.
2. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1991, გვ. 62
3. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1991, გვ. 62
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წერილები ოლიმპიადას, შემდგენლები გელა არაშვილი, ზურაბ არაშვილი, თბ., 1992, გვ. 62
4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შემდ. სოლომონ ყუბანეიშვილი, გვ. 89
5. მთვარელიძე მ., დუმილის მხატვრული გააზრება ქართულ აფორისტულ ნააზრევში, ჟურნ. „ცისკარი“, 1997, N7
6. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.
7. სიბრძნის საუნჯე, კუპრავას კომპოზიციით, თბ., 1987.

„გლოვა“ ვეფხისტყაოსანში

ნათელა საზანდრიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული დოქტორი

სულხან-საბა ორბელიანი ,,გლოვის“ ასეთ განმარტებას იძლევა: ,,ესე არს სამწუხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით და შეწუხებით ყოფა“ (ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 75)

გლოვა, მიცვალებულის გაპატიოსნება, ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული სევდა-მწუხარება და ის რიტუალები, რაც ამ მოვლენას თან ახლავს, ქართული ლიტერატურის არაერთ ძეგლში აისახა, მათ შორის, საინტერესოა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი“.

ტერმინი „გლოვა“ პოემაში შვიდჯერ დასტურდება. უნდა შევნიშნოთ, რომ შვიდივე შემთხვევა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გლოვის წესისა და რიტუალების შესახებ.

უცხო მოყმის საძებნელად წასვლის წინ, პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ავთანდილი თავის ქვეშევრდომებს უბარებს, რომ თუ სამი წლის შემდეგ არ დაბრუნდებოდა, სამეფოში გლოვა გამოეცხადებინათ:

განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;
მარტოება ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი;
აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი;
და წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს, ვინცა იყოს ჩემი ხასი". (3; 162 სტროფი)

ამ სტროფში ნათლად ჩანს, რომ გლოვა მოითხოვს ძაძებით - ფლასით შემოსვას. შავი ფერი რომ მწუხარების ფერია, პოემაში ეს არაერთგზის დასტურდება. როგორც პროფ. ვ. ნოზაძე შენიშნავს: ,,ასმათი დიდად დამწუხრებული და მგლოვიარე იყო ნესტანის დაკარგვისა გამო, ამიტომ იგი შავ ტანისამოსს ატარებს - ,,ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა“ (221) (ვ. ნოზაძე ,,ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ , თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბ. 2004, გვ .121)

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება, ასმათი შავი ფერით გლოვობს არა გარდაცვალებულ ადამიანს, ამ შემთხვევაში ნესტანს, არამედ მისგან შორს მყოფს, მძიმე ხვედრის მქონე ახლობელს, რაც გვაფიქრებინებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გლოვა შავი ფერის სამოსით გულისხმობს ერთის მხრივ ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას, მეორე მხრივ, კი საერთო განწყობას, პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის გამოვლინებას. ანუ, ზოგადად, მწუხარების გამოხატულებას.

შავითაა შემოსილი ტარიელი ერთი წლის მანძილზე მამის გარდაცვალების გამო. სწორედ წელიწადის გასვლის შემდეგ შეუთვლის მას მეფე ფარსადანი: ,,ებრძანა: ,,შვილო, ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული“. (335)

შავით არიან შემოსილნი ინდოელი ვაჭრებიც ფარსადანის გარდაცვალების გამო: ,,კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი“. (1579)

გლოვა თავისთავად გამორიცხავს მხიარულებას. გლოვის დროს ადამიანები მკაცრად იცავენ ამ მოვლენისათვის დამახასიათებელ რიტუალებს.

თქვენცა იცით, გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი.
ამას ასრე ჰმორჩილობდით, არის ვითამც ავთანდილი,
ბუკსა იკრას, აქმნევინეთ ყოვლი საქმე, ჩემგან ქმნილი;
და მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი". (3; 167 სტროფი)

გლოვისთვის დამახასიათებელია ტირილი, მოთქმა, თმის გაშლა, სახის ჩამოხოკვა. ავთანდილი ამბობს:

უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დაევედრებული,
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული,
მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული!"
და ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული. (3; 186 სტროფი)

მამის სიკვდილის ამბით შეძრწუნებული ნესტან-დარეჯანი საბრალოდ მოთქვამს ამ უბედურების გამო. ამ მონაკვეთში ავტორი იძლევა სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ერთგვარ ნიმუშს, სადაც მამის დაკარგვით შეღონებული შვილი ხმამაღლა მოთქვამს და სხვებსაც მწუხარებით აღავსებს

„ქალი საბრალოდ მამასა სტირს, ბულბულისა მსგავსია,
თმა გაიგლიჯა, გაყარა, ღაწვი ცრემლითა ავსია,
ვარდი შექმნილა ზაფრანად, ლალი მართ ვითა ხავსია,
და მზესა ღრუბელი ეფარვის, ამად ნათელი დავსია.
იხოჭს და იგლეჯს, ზახილით ტირს სიტყვა-ხაფი უარე;
სისხლი და ცრემლი თვალთაგან ჩამოსდის გარე უარე:
"მოვკვე, მამაო, მე შენთვის შვილი ყოველთა უარე,
და ვერა გმსახურე ასულმან, ვერცა რა შეგაგუარე.
ჩემთვის ბნელ-ქმნილო მამაო, ნათელო თვალთა ჩემთაო,
ჩემთა რა გაცნევს ამბავთა, გულისა მონაცემთაო!
მზეო, რადღა გაქვს სინათლე, რადღა ანათობ თემთაო?
და რად არ დაიქეც, ქვეყანავ, რადღა ჰმართიხარ ზე, მთაო? ".

აქ საინტერესოა ერთი გარემოება ˜ ახლობლის გარდაცვალება უტოლდება სიბნელეს, მზის დაბნელებას, ქვეყნის დაქცევას, ეს რომ ასეა კარად ჩანს დ. გურამიშვილის „დავითიანში“ ვახტანგ VI გარდაცვალებით გამოწვეული წუხილის დროს.

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო,
ჩვენ. ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა. შორს გაგვექცაო
გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა, მაგრა დექ ცაო!
მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყრტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევქენით, ვით უმხროდ ჩიტმან, ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წიწილთა უკრუხობითა, წკრტიალი.

გლოვა, გარდა შავებით შემოსვისა და მოთქმა-ტირილისა, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გულისხმობს ბნელში ყოფნას მთელი წლის მანძილზე. მამის გარდაცვალების შემდეგ შავებით შემოსილი ტარიელი ბნელში ზის და მხოლოდ წელიწადის გასვლის შემდეგ გამოდის დღის სინათლეზე. ასე რომ, ბნელი, როგორც ვთქვით, გლოვისთვის დამახასიათებელი ფერია, ხოლო ბნელში ყოფნა -ერთგვარი რიტუალი. ამის აღსანიშნავად, როგორც ვ. ნოზაძე მიუთითებს, პოემაში გამოყენებული შესიტყვება ,,ბნელი გვმართებს“.

ავთანდილის გაპარვის გამო შეწუხებული ქვეშევრდომები მოთქვამენ: ,,...ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რადგან მზე მიგვიდრკა ცისა“ (ვ. ნოზაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 129).

პოემაში შავი სამოსლის გვერდით გამოიყენება ბნელი ,,ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილი ბნელითა“ (807) ბნელ-ქმნილი კი უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

გარკვეული დროის, ან სიტუაციის შექმნის შემდეგ ხდება გლოვის ახსნა. ტარიელის მამის გარდაცვალების შემთხვევაში ყველაფერი წესის დაცვით მიმდინარეობს, გლოვა ერთ წელს გრძელდება და მხოლოდ ამის შემდეგ ,,ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა“ (336) ხოლო ფარსადანის გლოვა მაშინვე შეწყდება, როგორც კი ნესტანი და ტარიელი გამოჩნდებიან და დედოფალიც, რომელიც აქამდე შავითაა შემოსილი, ჯერ გლოვის შეწყვეტას, შემდეგ კი გლოვის ახსნას ბრძანებს:

დედოფალი გამოჭრილი მოვიდოდა მათად ნახვად,
უბრძანებდა: "რად ვინ სტირთო, - ესე ჰქონდა წყრომა-ზრახვად, -
ღმერთმან რისხვა მოაქცია წყალობისა გამოსახვად,
და გვმართებს, რომე მადლი მივსცეთ, აღარა გვცალს გლოვა-ახვად". (3; 1626 სტროფი)
უბრძანა: "გლოვა გახსენით, ქორ-წინწილასა ჰკარითო,
დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენით კარითო;
ნახლები თქვენი ოქროსა სარტყლითა მოიკარითო,
და იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწამწკარითო. (3; 1633 სტროფი)

აქ უკვე გლოვის საპირისპირო მოქმედებაა გამოსახული. გლოვის გახსნა დღევანდელი გაგებით ,,ჭერის ახდას“ გულისხმობს.

„დედოფალმან მათ ცოლ-ქმართა თვითო ხელი დაუჭირა,
ზედა ტახტსა მეფისასა ერთგან დასხმა გაუპირა,
მოიშორვა კაეშანი, გული მდედრი აქვიტკირა,
გლოვა ცვალა სიხარულად, აღარავინ აატირა“. (3; 1634 სტროფი)

ამრიგად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს XII საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრებით კულტურის საინტერესო მხარის შესახებ, როგორიცაა გლოვა. პოემაში დამაჯერებლად არის ასახული ყველა ის რიტუალი, რაც გლოვას უკავშირდება.

ლიტერატურა:

1. ნოდაზე ვ., ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველება, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, 1, თბ., 2004.
2. ორბელიანი ს.ს., სიტყვის კონა, ს. იორდანაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბ., 1949
3. ქართული მწერლობა, ტომი IV, თბ., 1988.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
5. http://ka.wikipedia.org/wiki/ვეფხისტყაოსანი

ნატურალიზმი XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების მიხედვით

ანი სამადაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ანა დათუაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

XXI საუკუნე სწრაფი ტექნიკური პროგრესითა და ცივსისხლიანობით გამოირჩევა, ცხოვრების სწრაფი ტემპი განსაზღვრავს ადამიანთა აზროვნების სტილს, რომლებიც ცდილობენ აყვნენ გიჟურ რიტმს, რათა საბოლოოდ არ აღმოჩნდნენ ცხოვრების მკაცრი თამაშის გარეთ. მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის იღებდა იმ იერსახეს რომელსაც დრო მოითხოვდა მისგან და ადამიანების სულიერ

სამყაროზე სხვადასხვა სახით ზრუნავდა. სწორედ ასე ყალიბდებოდა სხვადასხვა მიმდინარეობანი ლიტერატურაში.

„XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის შეჭრამ და მეურნეობისა და წარმოების ყველა დარგში სწრაფი ტემპით განვითარებულმა ტექნიკამ , ხელი შეუწყო ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი შეეცადა სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენებას ლიტერატურაში; თავდაპირველად რომანში, შემდგომ დრამაში;

„ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა ნატურალიზმი - გამოხატავდა ბურჟუაზიის მცირე ჯგუფის ინტერესებს და ვითარდებოდა საბუნებისმეტყველო - სამეცნიერო დისციპლინებთან და ეპოქის მატერიალისტურ ტენდენციებთან მჭიდრო კავშირში.“ (1, 363-364)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 21-ე საუკუნემ, თავისი მატერიალისტური მოთხოვნებით, მხატვრულ ლიტერატურაში დიდ წილად დააბრუნა ნატურალიზმი, ცხოვრების გიჟურმა რიტმმა ადამიანებს დაუკარგა რომანტიკის და რომანტიული გმირებისადმი ინტერესი. ამ მკაცრმა, აგრესიითა და ტექნიკური პროგრესით დატვირთულმა საუკუნემ მოითხოვა, რომ ყურადღება ლიტერატურას გადაეტანა ჩვეულებრივ ადამიანებზე და მათი მეტყველებაც და აზროვნებაც ყოფილიყო ყოფითი, ყოველდღიური და გასაგები. მკაცრმა საუკუნემ მოითხოვა მკაცრი რეალობის ასახვა ისე, როგორც არის, რათა წერის მწვავე სტილმა აიძულოს მკითხველი, რომ გამოფხიზლდეს და ყურადღება მიაქციოს მთავარს, არსებითს რამაც უნდა იხსნას ადამიანები სულიერი დეგრადირებისაგან.

ნატურალიზმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ნატურალისტურ დრამაში არ ხდება მოქმედების განვითარება; ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ხასიათების ანალიზზე;
- ნატურალისტურ დრამაში არ არის მთავარი გმირი, რომლის გარშემო ვითარდება მოქმედება; აქ ყველა პერსონაჟი თანაბარ დატვირთვას იძენს;
- ნატურალისტები უარყოფენ პათეტიკურ მონოლოგებს, რიტორიკასა და რითმას; მათი აზრით, პერსონაჟები ისე უნდა მეტყველებდნენ , როგორც სახლში. (1, 363-364)

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა კრებული, „ჩვიდმეტნი“, სწორედ, ნატურალიზმის ელემენტებითაა გაჯერებული, მწერალს შეგნებულად აქვს არჩეული ასეთი სტილი, მწარე სიმართლის თქმა ისე, რომ მკითხველმა ფიზიკურ ტკივილამდე შეიგრძნოს მკაცრი სიმართლე.

კრებულში შესული მოთხრობები ძირითადად ომის თემას ეხება, ჩვენი უახლოესი წარსულის ყველაზე მტკივნეულ ეპიზოდს, რომელიც მხოლოდ ხუთ დღეს გაგრძელდა, მაგრამ რეალური ომი დიდი ხნით ადრე დაიწყო და, ალბათ, ასევე ძალიან დიდხანს გაგრძელდება. გიორგი სოსიაშვილის მიერ არჩეული ნატურალისტური წერის მანერა განსაკუთრებული სიცხადით წარმოგვიდგენს ყველა იმ პერიპეტიას, რაც ასეთ უსამართლო ომს ახლავს თან, რომელშიც ათასობით უბრალო ადამიანი მონაწილეობს და რომელთაგან მხოლოდ გმირებს და მთავარსარდლებს გვაცნობს ხოლმე ისტორია, არადა ომის ნამდვილი გმირები სწორედ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთა ზურგზეც გადადის კიდევაც ომის მთელი სიმწვავე. ნატურალიზმისათვის დამახასიათებელი სწორედ ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებაა, მათი ყოველდღიური საწუხარ-საზრუნავი. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებს არ ყავს ლიტერატურული გმირები იდეალური და მისაბაძი ცხოვრების წესით, მისი მოთხრობის ყველა პერსონაჟი რეალურია და ამიტომ არის ასეთი ცოცხალი და ნამდვილი. პერსონაჟთა მეტყველება ასევე ნატურალისტურია; ისინი ისე საუბრობენ, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, მწერალი არ ცდილობს გაალამაზოს მათი ქართლური დიალექტი და ამით პერსონაჟებს კიდევ უფრო ცოცხალს ხდის.

„ომმა ყველას თავისი დაღი დაასვა, ხასიათი შეგვიცვალა, სიკვდილზე ფიქრი მოგვეძალა“ (2, 18) ომმა აგრძნობინა ადამიანებს საკუთარი უსუსურობა და, როგორც თავად ავტორი ამბობს, „ხრწნადი მოკვდავობა“; გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის პერსონაჟები ფილოსოფოსები არ არიან, მაგრამ თავისი შეხედულება აქვთ სიკვდილ-სიცოცხლეზე: სიკვდილის ეშინიათ, ომისაც ეშინიათ, მაგრამ საკუთარი მოვალეობა კარგად აქვთ შეგნებული და ზუსტად იციან, რომ „სამშობლო შენი სოფლიდან იწყებაო, გამოდის, რო თუ სოფელი მიატოვე, სამშობლოც არ გიყვარს“ (2, 147). აგვისტოს ომის მთელი საშინელება სწორედ იმაშია, რომ ორივე მხარეს უდანაშაულო ადამიანები დგანან, რომელნიც მესამე ძალამ წაჰკიდა ერთმანეთს და, საუბედუროდ, თვითონაც მთელი სიცხადით აქვთ გასიგრძეგანებული ეს ამბავი: „ხიდი ინგრევა ხიდი“ ამბობს ოსი კოსტა მოთხრობაში „მთვლემარე წლები“ და სწორედ ამ ხიდის დანგრევაა უბრალო ადამიანებს რომ უმახინჯებს ცხოვრებას, მწერალი ობიექტურად ასახავს ომის მთელ სისაძაგლეს, რომელიც ორივე მხარეს გააქტიურებული ნაძირლების ქმედებებში გამოიხატება: „სწორედ იმ შემოვლით გზაზე დაწვეს ოსებმა ლიახვის ხეობელი ქართველები. ხეზე მიაბეს და ისე დაწვეს. იმ ვაჟკაცების ხორცის სუნი დიდხანს იდგა ტყეში.

ქართველებმა ერთი ოსი გამოიჭირეს, შუა ზამთარში ჯერ ყინულიან წყალში აყურყუმელავეს, მერე ოსების დროშა საკუთარი ხელით ნაკუწ-ნაკუწ დააჭრევინეს...“ (2, 19)

მოთხრობაში „საძირეები“ ნატურალისტურად არის აღწერილი რუსებისაგან გავერანებული სოფელი. მწერალი არ ინდობს მკითხველს და ცდილობს სრული სიმწვავით დაგვანახოს ომის შედეგი: „ბაღში გადავედი მეორე დილით, გადავედი და ნეტა არ გადავსულიყავი, გადახრუკულ, უდაბნოსავით გადამხმარ მინდორში ვერცა ვპოულობდი, რა ადგილას იყო ჩემი ბაღი, ერთი ნამყენიც აღარ იდგა, დამხვდა მარტო რუსების მიერ ნათხარი სანგრები, ტანკებით გადატკეპნილი მიწა, რომელიც თევზისა და ხორცის კონსერვის ყუთებით იყო მოფენილი.“ (2, 57)

გაცილებით ნატურალისტური სცენებია მოთხრობაში ,,ტყვეები“: „უკვე ვგრძნობდი, რო წვივის ბოლოს მქონდა მოგლეჯილი კიდური..... სისხლის სუნზე გავეშებული ვირთხები დაშლიგინებდნენ. ვირთხებმაც იგრძნეს, რო ფეხებზე წამოდგომა არ შემეძლო, ერთი-ორჯერ ვცადე მოგერიება, სხეული შევატოკე..... არაფერმა არა გაჭრა, ვგრძნობდი, როგორ გლეჯდნენ ჭრილობას, წვეტიანი კბილებით მძიძგნიდნენ. ერთიანად მომძალებოდა შიში და ზიზღი, ბუსუსებს მაყრიდა ტანზე მაჟრჟოლებდა , სიკვდილს ვნატრობდი..... ვირთხები ჩემს სისხლს მიირთმევდნენ. საშინელი ცხვირები ჩემი სისხლით ჰქონდათ მოთხუპნული.....“ (3, 189-190) სცენის დეტალური და მტკივნეული აღწერით ცდილობს მწერალი გადმოგვცეს გმირის განცდები, ომის ნამდვილი სისასტიკე და ამავდროულად ყველას გვატკინოს გმირის მუხლივით საქართველოს სხეულიდან მოგლეჯილი სამაჩაბლოს ძირძველი ისტორიული მიწა.

მოთხრობაში „ჩვიდმეტნი“ მწერალი მოგვითხრობს 2008 წლის ომის დროს შინდისში დაღუპული ჩვიდმეტი მეომრის შესახებ ნამდვილ ამბავს, რომელშიც ასევე მკაცრი სინამდვილით აღწერს ბავშვობის მეგობრების ბრძოლისა და დაღუპვის ამბავს. გიორგი სოსიაშვილის სხვა პერსონაჟების ამბისაგან განსხვავებით შინდისის გმირების ამბავი საქართველოს უახლესი ისტორიაა. თუმცა მწერალი ცდილობს შიგნიდან დაგვანახოს მათი განცდები, ემოციები და ომის მიმდინარეობა.

მოთხრობა „ჩვიდმეტნიც“ ისეთივე მკაცრია, როგორც ყველა ზემოთ ნახსენები, მწერალს, თითქოს, მკითხველის დასჯა აქვს გადაწყვეტილი გულცივობისათვის, როცა სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, ხოლო ეს ჩხირი სინამდვილეში ქვეყნის ყველაზე დიდი სატკივარი: „ჩაიმუხლა და კვნესა მოესმა . აქეთ - იქით გაექცა მზერა. ტყვიებს აღარ მორიდებია. ჯერ ბადრის მივარდა, მაგრამ მის გაციებულ მაჯას კანკალით გაუშვა ხელი. რუსლანს თვალები დაეხუჭა. თორნიკე ცოცხალი იყო, თუმცა ოდნავღა ფეთქავდა. წვალებ-წვალებით გადაახოხა შენობის უკან. მეგობრის სისხლით მოესარგლა სახე და ხელები. რუსული ლაპარაკი გაიგონა. მერე სათითაო გასროლა. გადამთიელები დახოცილ ქართველ ჯარისკაცებს, ყაბარდოელი მაიორის ბრძანებით, „კონტროლებს“ უკეთებდნენ.

„გიო თორნიკეს ჩაეხუტა, თითქო ჭირისუფლობა უწევდა. თორნიკეს სისხლს მისი ცრემლი შეერია. მთებს გახედა, მარიამობისთვის ბინდის ქსოვილში გახვეულ მთებს, ეგებ არც იყო ბინდი და გიოს ეჩვენებოდა, მისთვის მარადიული ღამე დგებოდა. გულის ჯიბეზე წამიერად გაიკრა ხელი. გირჩის მსგავს ყუმბარას კბილებით წააძრო თავი და თვალები დახუჭა!“ (2, 121-122).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გიორგი სოსიაშვილის ბოლო პერიოდის მოთხრობებში განსაკუთრებულადაა გამოხატული ნატურალიზმის ელემენტები: 1. მის მოთხრობებში არ არიან ლიტერატურული გმირები, პერსონაჟები უბრალო ადამიანები არიან 2. მის მოთხრობებში ყურადღება გადატანილია ადამიანების ემოციურ-ფსიქოლოგიურ შინაგან განცდებზე 3. მოთხრობებში აღწერილი სცენები ნატურალისტურია და სცენების დეტალურ აღწერას მოიცავს.

გიორგი სოსიაშვილის წერის მანერა, ალბათ, ყველაზე შესაფერისია ჩვენნაირი გაციებული და გათითოკაცებული ერისათვის, მათთვის, ვისთვისაც აგვისტოს ომი მხოლოდ ხუთი დღე გრძელდებოდა და უკვე დამთავრდა, მათთვის, ვისთვისაც ჩვიდმეტი რიცხვი სტატისტიკაა და არა ტრაგედია... ეს არის ალიყური მიძინებული საზოგადოებისათვის და კარგი მწერლის მოვალეობაც ხომ სწორედ ესაა.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2011.
2. სოსიაშვილი გ., ჩვიდმეტნი, თბ., 2011.
3. სოსიაშვილი გ., მზის გადაღმა, თბ., 2012.

„ტარიელი“ და „ტარია“ „ვეფხისტყაოსანში“

ნათია ტერტერაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული დოქტორი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მნიშვნელოვნად გვესახება მთავარი პერსონაჟების სახელთა სპეციფიკა, მათი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის განხილვა.

რუსთაველის პოემის მთავარი გმირის სახელი, „ტარიელი“, ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული. ამ სახელის წარმომავლობის შესახებ, თავის დროზე, რამდენიმე მკვლევარმა გამოთქვა საინტერესო თვალსაზრისი (იუსტინე აბულაძე, ალ. ბარამიძე, ზვიად გამსახურდია, ზურაბ ჭუმბურიძე და სხვ.).

როგორც მკვლევარები ასკვნიან, სახელი „ტარიელ“, „ტარ“-ფუძიდან მომდინარეობს და შინაარსობრივად დაკავშირებულია ვარსკვლავეთის უზენაეს სფეროსთან.

მკვლევარი ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ სახელი „ტარიელი“ მომდინარეობს ირანული „დარიელ“-ისაგან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: დარ, დარა-„მეუფე“, „მეფე“, „მფლობელი“და „იელ“– „გმირი", „მოყმე". ამრიგად, ტარიელი ნიშნავს „მეფე გმირს“, „მოყმე მეფეს“. აქედანაა გვარი ტარიელაშვილი. („რა გქვია შენ?)

ნაშრომში „რუსთაველი – ქართველი სუფი“ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სტროფის ანალიზის მიხედვით, განხილულია სახელ „ტარიელის“ მნიშვნელობა და მისი შესაძლო კავშირი სუფიურ ტერმინ „ტარიყატთან“.

ზვიად გამსახურდია მიიჩნევს, რომ „ტარიელი“ ღრმად არის დაკავშირებული პოემის მთავარი გმირის თავისებურებებთან, რაშიც გვარწმუნებს ამ სახელის კომპონენტების „ტარ“ და „ელი“ ფუძეთა ეტიმოლოგიური განხილვა. „ტარ“ - ფუძიდან ნაწარმოები უძველესი სახელები და ტოპონიმები გვხვება ჯერ კიდევ პალეო - მედიტერანულ და პალეო-კავკასიურ მისტერიათა სამყაროში. ფუძე „ტარ“ ღვთაების აღმნიშვნელია და მისგან არის ნაწარმოები უძველესი მცირეაზიული ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებების სახელები.

„Tar“ ეგეოსურ-ანატოლიური ფუძეა, ელვა-ჭექის ღვთაების აღმნიშვნელი. „ტარრა“ უძველესი მედიტრეანული ტოპონიმია, კერძოდ, ქალაქის სახელწოდებაა კრეტაზე, სადაც იყო აპოლონ ტარრაელის კულტი.

აქადურ ენაშიც ფუძე „tar“ ღვთაების აღმნიშვნელია. კლასიკურ სანსკრიტში, სიტყვა „tara“ ვარსკვლავეთს, ზეციურს განასახიერებს. სპარსულში „tar“–ფუძე ღვთაებრივის და ხშირად, ქრისტიანულის აღმნიშვნელია: „tarixu-gum“ საღვთო წიგნის სახელწოდებაა, „tar-isa“, „tarsa“ სპარსულ ქრისტიანულ ეკლესიას ეწოდება, „tarca“-ქრისტიანს.

„ტარ“-ფუძიანი სახელები გვხვდება ბუდისტურ ლიტერატურაშიც. „ტარა“ ბუდიზმში მხსნელი არსებაა, ზეციური შვიდთვალა. „ტარა-ბაი“ ინდურ მითოლოგიაში ვარსკვლავეთის ქალწულია, რომელიც არასოდეს ბერდება. „ტარა-ნი“ ჰინდის ენაზე ტიტულია მაცხოვრისა, მზისა, „ტარა-ნის“ გალლური ღვთაებაა, რომელსაც რომაელები ჭექა-ქუხილის ღმერთთან აიგივებენ. ქალდური ძირი „tar“ ნიშნავს ძეს, ცხოვრების ხეს. „ტარ-იქ“, „ტარ-იქა“, არაბულ ენაში და კერძოდ სუფიზმში ნიშნავს სუფიზმის სულიერ გზას, ღვთის გზას, რომელსაც მიჰყვება ინიციაციის მაძიებელი. „ტარიქ“ თავისთავად ნიშნავს ხსნის გზას, დაკავშირებულია მედიტაციასთან.

როგორც მკვლევარი ფიქრობს, ის ფაქტი, რომ რუსთაველმა ტარიელის შეფარვით შექებისათვის გამოიყენა მის უძველეს სახელთან დაკავშირებული ფუძეებიდან ნაწარმოები სახელი „ტარიელი“, სრულიადაც არ არის შემთხვევითი. სახელის შერჩევა „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირისათვის უთუოდ ითვალისწინებდა მის მისტერიალურ სემანტიკას, რომელიც პოემის დედააზრთან არის დაკავშირებული. ასევე სიმბოლურია ვეფხისტყაოსნის სხვა გმირთა სახელებიც, რაზედაც ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ.

სახელი „ტარიელი“, პოემის სხვა პერსონაჟების სახელებისაგან განსვავებით, თავისებურია. კერძოდ, „ტარიელის“ პარალელურად ვხვდებით მის მეორე ფორმასაც - „ტარია“.

„ვეფხისტყაოსანში“ სახელი „ტარიელი“ 122-ჯერ არის გამოყენებული „, ხოლო „ტარია“ - 14-ჯერ. აქედან პოემის 1951 წლის გამოცემის 1617-ე სტროფში სახელი ტარიელი დასტურდება ორივე ფორმით:

„**ტარიას** ნახვად მოსრული მუშთარი ახლოს მჭვრეტია;
რისხვისა ცეცხლი **ტარიელს** სიტკბოთა დაუშრეტია;
მოვიდეს, ნახეს; რამაზის ლაშქარი ძლივღა ეტია,
და ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია“.

ეს შემთხვევა შეიძლება იმის არგუმენტად გამოვიყენოთ, რომ ეს ორი ფორმა ერთი სახელის ნაირსახეობაა და ერთის არსებობა არ ეწინააღმდეგება მეორისას. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ამ სტროფს არ მიიჩნევს რუსთაველისეულად.

ისმის კითხვა: რატომ გამოიყენა შოთა რუსთაველმა ფორმა „ტარია“ „ტარიელის“ მნიშვნელიბით მის პარალელურად?

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაზე დართულ განმარტებებში ჩვენთვის საინტერესოა ოთხი შემთხვევა. პროფ. ნ. ნათაძე მხოლოდ ოთხ სტროფში (1416-ე, 1481-ე, 1492-ე და 1606-ე) განმარტავს „ტარია“ ფორმას და ასკვნის, რომ იგი ნიშნავს „ტარიელს“, თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ ასაბუთებს, თუ რატომ გამოიყენა ავტორმა იგი ტარიელის პარალელურ ფორმად.. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ოთხივე შემთხვევაში „ტარია“ გამოყენებულია „ტარიელის“, ე.ი. ამ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოსახატავად. ასეთივე ვითარება გვაქვს შვიდ სხვა შემთხვევაში: 1419-ე („ტარიას“), 1491-ე („ტარიას“), 1499-ე (ტარიასგან“), 1506-ე („ტარიასგან“), 1525-ე („ტარიას“), 1563-ე („ტარიასთვის“), 1620-ე (ტარიას) სტროფებში და აგრეთვე, ზემოთ აღნიშნულ სტროფში, რომელიც არ არის შესული ამ გამოცემაში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ტარია“ არის „ტარიელის“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ხან თანდებულიანია, ხან უთანდებულო, თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, 346-ე სტროფში „ტარია“ სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობითაა გამოყენებული:

„ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა **ტარია,**
დიდხან ვერა თქვა, სევდამან გული შეუპყრა, დარია;
დაჯდა და მწარედ სულთ-ითქვნა, ცრემლი მიწასა გარია,
და თქვა: „ჩემგან მისი ხსენება, ვამე, რა დიდი ზარია!“

ტექსტზე დაკვირვება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ფორმა „ტარია“ ავტორს სჭირდება რითმისათვის.

1653-ე სტროფში „ტარია“ მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობითაა გამოყენებული:

„ავთანდილ შეჯდა, წავიდა, **ტარიას** გაესალამა;
იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ალამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა;
და ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა“.

იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეს თავისებურება უკეთ გავაანალიზოთ უმჯობესია ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ძველი ქართული ენის გრამატიკა საკუთარ სახელებთან დაკავშირებით. იმ პერიოდში საკუთარ სახელს მოეპოვებოდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა სათანადო ნიშნით, განსხვავებით სხვა ბრუნვებისაგან. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ ეს პერიოდი არის საშუალი ქართულის დასაწყისი საუკუნეები და პოემის საკუთარი სახელები ზოგ შემთხვევაში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენენ. მაგალითად, ძველი ქართულის შესაბამისად, ტარიელის სახელობითი ბრუნვა უნიშნოა პოემაში, ერთი გამონაკლისის გარდა.

„ფრიდონ წაჰყვა, განაღამცა გავლეს ველი დიდსა ხანსა,
ცნა მეფემან, **ტარიელი** მარტო მოვა, მოჰხრის ტანსა;
გარდახდა და თაყვანი–სცა მას უკადრა ლომებრ ჯანსა,
სდებს პატივსა ინდოთ მეფეს, მართ მამისა შესაგვანსა“ (სტრ.1514).

მოთხრობით ბრუნვაშიც იგივე ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მან“ XI საუკუნიდან დამკვიდრდა, შოთა რუსთაველი მას არ იყენებს ამ საკუთარი სახელის ხმარებისას. მიცემითი ბრუნვა ძველსა და საშუალ ქართულში „ს“ ნიშნიანია, ეს სახელი პოემაშიც ასეა წარმოდგენილი. რაც შეეხება ნათესაობით ბრუნვას, იგი „ის“ ნიშნიანია როგორც ძველ, ასევე საშუალ ქართულში თუმცა, რუსთაველი „ტარიელის“ ფორმას იყენებს, მხოლოდ ორ შემთხვევაში. დანარჩენ შემთხვევებში კი - „ტარიას“.

„ტარია“ სამი მარცვლისაგან შედგება, ხოლო „ტარიელი“ - ოთხი მარცვლისაგან. ამის გამო, სავარაუდოდ, პოემის ავტორმა რიგ შემთხვევებში, კონკრეტულად 13 შემთვევაში, საჭიროდ მიიჩნია

„ტარიელის“ ჩანაცვლება „ტარიათი“, რადგან, როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია შაირის სტილში, თექვსმეტმარცვლიანი საზომით და ოთხმარცვლიანი „ტარიელი“ ამ საზომში აშკარად შეიტანდა დისონანსს..

1606-ე სტროფში ავტორი იყენებს ფორმას „ტარიასთა“, რომელშიც იმდენივე მარცვალია, რამდენიც „ტარიელში“. ამის გათვალისწინებით, წინა არგუმენტი თითქოს ბათილდება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კონტექსტი. როგორც პროფ. ნ. ნათაძე განმარტავს, ამ შემთხვევაში ფორმაში „ტარიასთა“ იგულისხმება „ტარიელის მეომრები“:

„წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს;
ტარიასთა გააქცივნეს, მიეწივნეს, ჩამოჰყრიდეს,
მოაგებნეს მხარ-დაკრულნი, მათ წინაშე მოასხმიდეს,
აიზიდნეს; ვისნი ხართო?“ - ჰკითხეს, ხანსა არ დაზმიდეს“.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელი „ტარია“ ტარიელის პარალელური ვარიანტია და წარმოადგენს ამ უკანასკნელის კნინობით ფორმას, რასაც რუსთაველი არ მიმართავს სხვა პერსონაჟებთან მიმართებისას. (გამონაკლისია „როსტანი“, რომელიც წარმოადგენს როსტევანის შეკუმშულ ფორმას).

მთავარ კითხვას - თუ რატომ უნდა დასჭირდებოდა რუსთაველს ტარიელის კნინობითი ფორმის გამოყენება, ჩვენი დაკვირვებით მოეპოვება რამდენიმე გარემოება:

1. სახელის ფორმა „ტარია“ პოეტს სჭირდება რითმისათვის (სტრ. N 346);
2. მარცვალთა რაოდენობისათვის (ყველა სხვა შემთხვევაში);
3. კუთვნილების აღსანიშნავად - („ტარიასთა“ - ნიშნავს ტარიელის ჯარს);
4. ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის გამოსახატავად.

ლიტერატურა:
1. http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=76&info_id=1453#sthash.x8xOaohK.dpuf
2. http://blogger.ge/post/8095#sthash.uuu8Ssra.dpuf
3. www.diaspora.gov.ge
4. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1957.
5. ბარამიძე ალ., „შოთა რუსთაველი“, თბ., 1958.
6. ნათაძე ნ., „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1974.
7. შანიძე ა., „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, თბ., 1976.
8. აბულაძე ი., „რუსთველოლოგიური ნაშრომები”, თბ., 1967.
9. ჭუმბურიძე ზ., „რა გქვია შენ?“, თბ., 1982.

ლოცვა „ვეფხისტყაოსანში“

ნათია ქერდიყოშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **შოთა ქურდაძე,** პროფესორი

ქართული აგიოგრაფიის ძეგლებში ლოცვას, როგორც ქრისტიანული აღმსარებლობის და მასთან დაკავშირებული რიტუალის ერთ-ერთ სახეობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სულხან-საბა ორბელიანი ლოცვის ასეთ განმარტებას იძლევა: ,,ლოცვა არს გონებითა ღვთისა მიმართ აღსვლა, ანუ თხოვა ჯეროვანი ღვთისაგან, ვედრება. არამედ ესენიცა განიყოფებიან, რამეთუ ლოცვა არს ლიტონითა სიტყვითა ღვთისა შემწუედ მოწოდება, ხოლო ვედრება ცრემლიანითა თვალითა და სიტყვითა“. (ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 186)

ლოცვა, როგორც ნატვრა-ვედრება, პოემაში წარმოდგენილია ღმერთისადმი ლოცვის სახით. როდესაც ავთანდილი გაიპარა ტარიელის საძებრად, გზაში ის ლოცულობს, ღმერთს ევედრება, რომ მის გულში თინათინის, მისი მზის, სიყვარული არ განელდეს და მისი ნახვის სიხარული კვლავ განიცადოს.

(819) „ილოცავს, იტყვის: "მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!"

(820) „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ აღმოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!"

(821) „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!
თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე".

ლოცულობს აგრეთვე ტარიელიც, რომ დაშორებულ მიჯნურს კვლავ შეეყაროს და დამთავრდეს მასთან სიშორით გამოწვეული ტანჯვა. მიუხედავად ამისა, იგი ხაზს უსვამს, რომ კი არ ითხოვს, მხოლოდ ლოცულობს, მაინც, ვფიქრობ, რომ ეს ლოცვა უფრო ვედრებაა:

(891)"ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!"

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში დედოფალმა ურიცხვი სიმდიდრე გასცა და მომადლიერებულ ხალხს მხოლოდ ის სთხოვა, რომ მათ ელოცათ და ღმერთისათვის შეევედრებინათ ახლადდაქორწინებული წყვილი.

(შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1957, სტროფი 1641)

„დედოფალმან ეგრე ბრძანა: „ობოლ-ქვრივნი მოასხენით,
ყველაკაი დაამდიდრეთ, საბოძვრითა აავსენით";
თვით უბოძა უსაზომო, რომ არ ითქმის კაცთა ენით:
„ულოცეთო დღეგრძელობა, ესე ღმერთსა შეჰვედრენით".

ლოცვას, როგორც ვედრებას უფლის მიმართ, ვხვდებით შემდეგ ეპიზოდში: როდესაც როსტევანმა ავთანდილის გაპარვის ამბავი შეიტყო, ბრძანება გასცა რომ ყველას სამგლოვიარო სამოსი ჩაეცვა და ელოცათ როგორც ავთანდილისათვის ასევე ობოლ-ქვრივთათვის.

(839) „რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი;
მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,
შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ ღმერთმან მისცნეს გზანი!"

„ვეფხისტყაოსანში" ტერმინ „ლოცვას" უკავშირდება აგრეთვე დალოცვა და მილოცვა.

დალოცვა „ვეფხისტყაოსანში" ერთ-ერთი საინტერესო მომენტია. ის მიღებული და აუცილებელია როგორც გამეფების, ისე რაიმე კარგი საქმის კეთების დროს.

დალოცვა, როგორც რიტუალი კარგად იკვეთება თინათინის გამეფების ეპიზოდში .

მეფე როსტევანმა თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი თავის ქალიშვილს, ხელში სკიპტრა მისცა და შემოსა სამეფო სამოსით. შემდეგ მეფემ და მისმა ვაზირებმა უკან დაიხიეს და თაყვანი სცეს ახალგამეფებულ თინათინს, მისდამი პატივისცემისა და მეფედ აღიარების ნიშნად, ამის შემდეგ კი ის დალოცეს.

(47) „უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა.
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა".

აქ, ამ ეპიზოდში, დალოცვას უშუალოდ მოსდევს დარიგება: „შენ ხარ ჩემი ასული, სრულუფლებიანი მეფე, სანამ შენ არ გაგამეფებდი, მანამ ჩემს გულს ცეცხლი არ გაუქრებოდა, დღეიდან შენ ხარ არაბეთის მეფე, ეს სამეფო სრულიად შენს განკარგულებაშია, ბრძენი, გონიერი და ჭკვიანი მმართველი უნდა იყო, _ ეუბნება როსტევანი ასულს. ამას მოსდევს ის ბრძნული შეგონებები, რომლითაც თინათინმა უნდა იხელმძღვანელოს.

მადლიერებაა გამოხატული ტარიელის მხრიდან მეფე-დედოფლის მიმართ, როდესაც მას საჩუქრად ასი საგანძურის გასაღები გადასცეს.

(493) „მომართვნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;
თაყვანის-ვეც და დავლოცე დავლანი მათთა სვეთანი;
მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი,
რა გასცნეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი!“

დალოცვას, როგორც მადლიერების გამოხატულებას, ვხვდებით იმ ეპიზოდში, როდესაც ტარიელმა დაინდო ხატაელები და მათი ხოცვა შეწყვიტა. მადლიერების ნიშნად ხატაელებმა ის დალოცეს, თაყვანი სცეს და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ ისინი ტარიელის სისხლით გაუმაძღარ ხმალს გადაურჩნენ.

(1620) „თაყვანის-სცეს და დალოცეს, ყოვლთა ხმა ერთად იერეს,
ღმერთსა შეჰვედრეს ზახილით, სვე მათი გააძლიერეს,
თავები დაჰხსნეს სიკვდილსა, სიცოცხლე ამის მიერეს.
ტარიას ხრმალნი ვერ გაძღეს, ჯერთ ხორცი მოიმშიერეს“.

(1622) „ერთი კაცი მახარობლად მათ ლაშქართა მიუვიდა:
„არ დაგხოცსო, შეგიწყალნა“, - ყველაკაი დალოცვიდა;
ბუკსა ჰკრეს და იხარებდეს, ყველა ამას მოზრახვიდა:
„მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სრვიდა“.“

ასევე მადლიერებასთან არის დაკავშირებული უსამის დალოცავა, როდესაც ავთანდილი მას მეკობრეთაგან დაცვას დაჰპირდა.

(1039) „უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.
მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი.
ჰკადრეს: “ხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი,
ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

დალოცვა, პოემის მიხედვით, ხდება ასევე პერსონაჟის მიერ რაიმე გმირული საქმის ჩადენის გამო. ხატაეთის ომში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ტარიელს ლოცავენ თავისი ყმები.

(460) „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს;
რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს,
ჩემგან ხრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუკვირდეს“.

„ლოცვასთან“ დაკავშირებული მეორე ტერმინი, რომელიც ,,ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება, არის ,,მილოცვა“ და დალოცვის მსგავსად, ისიც პერსონაჟის რაიმე წარმატებას უკავშირდება. პოემაში კი წარმატება, პირველ რიგში, ბრძოლაში გამარჯვებაა.

(1061) „ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს,
ამხანაგთათვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა-ჰხლებოდეს.
მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწბებოდეს,
ჰშვენოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე ჰვნებოდეს“.

როდესაც ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ, ტარიელი კვლავ შეხვდა ფრიდონსა და ავთანდილს, მათ მიულოცეს ტარიელს გამარჯვება და სატრფოს დაბრუნება.

(1432) „ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს“.

ავთანდილი თავის ანდერძში როსტევან მეფეს უბარებს, რომ თავისი ურიცხვი საქონელიდან და ძვირფასეულობიდან უხვად გასცეს გლახაკთათვის, მონები გაანთავისუფლოს, ობლები და ღატაკები გაამდიდროს, რათა მათ ავთანდილი დალოცონ და წარმატება, დღეგრძელობა და შინ კეთილად მობრუნება უსურვონ.

(811) „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

შოთა რუსთაველის პოემაში, აგრეთვე, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ ეპიზოდის აზრობრივი ანალიზის შედეგად, ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ შელოცვასთან, ლოცვების კითხვასთან, რომელმაც ტარიელი უნდა განკურნოს.

როდესაც ნესტან-დარეჯანის ნახვის შემდეგ, შეყვარებული ტარიელი ცუდად გახდა და ვერავის ვერ გაეგო მისი ავადმყოფობის მიზეზი, მას მოუყვანეს მოლები და მაჰმადიანური რჯულის მოძღვრები, რომლებიც მიჩნეულნი იყვნენ მისნობისა და მკურნალობის მცოდნეებად. ისინი გარს შემოეხვნენ და მუსაფს უკითხავდნენ. ვერც ერთ ექიმს ვერ გაეგო თუ რა სჭირდა მას, თუმცა მოლებს ეგონათ, რომ ტარიელი ეპილეფსიით დაავადებული იყო, როგორც მაშინ ამას უწოდებდნენ, იგი ეშმაკის მიერ შეპყრობილი ეგონათ.

(357) „სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან;
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან“.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ლოცვა, ერთი მხრივ, ნიშნავს სიტყვათა აღვლენას უფლის წინაშე (რიტუალს), ასევე ვედრებას, თხოვნა-მუდარას. პოემაში ასევე გვხვდება დალოცვა, ხოლო თავისი რიტუალით ავადმყოფი ტარიელის სასთუმალთან მყოფი მოლების მოქმედება ემსგავსება შელოცვა-გამოლოცვას.

ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1986.
2. ორბელიანი ს.ს., სიტყვის კონა, თბ., 1949.
3. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1957.

იმპრესიონიზმი ქართულ ლიტერატურაში და ნიკო ლორთქიფანიძე

მარიამ შავდათუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** პროფესორი

იმპრესიონისტული სამყაროს აღქმა გულისხმობს მოცემული წერტილიდან მოცემულ წამში მიღებული შთაბეჭდილების მხატვრული ანაბეჭდის შექმნას. “შესაბამისად, თავისი არსით, ფილოსოფიური საფუძვლებიდან გამომდინარე, იგი ძალიან სუბიექტურია და სათავეს იღებს ზოგადად მოდერნისტული აზროვნების თავისებურებების გამაპირობებელი ზმანებისა და ცხადის ურთიერთმიმართების მსოფლმხედველობრივი ქვაკუთხედიდან.” [1, 34]

“იგი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით მხატვრობაში გამოვლინდა.” [2, 248]

მისი პირველი წარმომადგენელი იყო კლოდ ოსკარ მონე (1840-1920). „იმ ფერწერული ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც სათავე დაუდო იმპრესიონიზმს, როგორც ახალ მიმდინარეობას.“ [3, 5]

იმპრესიონიზმი (impression) სწორედ მონეს ნახატის შექმნის შემდეგ „შთაბეჭდილება: მზის ამოსვლა“ (“impression: soleit levant“) დაიბადა: ეს მითიური სურათი, მხატვრობის ისტორიის ყველაზე პოპულარული მიმდინარეობის ეპოქალური ტილოა, რომელიც 1872-1873 წლებში შეიქმნა და სამუდამოდ შევიდა მსოფლიო მხატვრობის ისტორიაში. “საზოგადოებამ ეს ტილო „ ბატინიოლის ჯგუფის“ პირველ გამოფენაზე ნახა. იმ დროის პრესა მყისიერად გამოეხმაურა მის გამოჩენას.” [2, 248]

საჭიროა აღინიშნოს, რომ მხატვრულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმმა ვერ ჰპოვა ისეთი შთამბეჭდავი განვითარება, როგორც - მხატვრობაში.

იმპრესიონისტული განწყობილებები ნაწილობრივად გამომჟღავნდა ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის ნაწერებში. მისი თხრობის ხელოვნება ახდენს ყველა იმ სტილური საშუალების სინთეზირებას, რომელიც მოპოვებულია ნატურალიზმიდან მოყოლებული იმპრესიონიზმის ჩათვლით და ჰამსუნის ნაწარმოებებს განუმეორებელ მიმზიდველობას სძენს.

ამერიკელი ო'ჰენრის ნაწარმოებები კი გაჟღენთილია სიუჟეტის მიხვევ-მოხვევითა და ჩახლართულობით. ყოფითი ამბებით, ორიგინალური სიუჟეტით, მოულოდნელი დასასრულით. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, მკითხველთან უშუალო მიმართვები უფრო საინტერესოსა და ადამიანურს ხდის მოთხრობებს. ო'ჰენრის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწერილი ამბები დღესაც ძალიან ახლოა. მის გმირებს იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც დღევანდელ ადამიანებს. მოთხრობები სიკეთითა და იუმორით აღსავსეა.

მხატვრულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმის ყველაზე უფრო თანმიმდევრულ წარმომადგენლად მიჩნეულია ავსტრიელი მწერალი პეტერ ალტენბერგი. "მისი წიგნი „ როგორ ვხედავ მე ამას" წუთიერი შთაბეჭდილებების ჩანაწერებია." [2, 248]

იმპრესიონისტები ყოველთვის თავიანთი ჩანაფიქრისა და განწყობილების შესატყვისად ქმნიდნენ ერთი და იგივე გარემოს სხვადასხვა ვარიანტს, იქნებოდა ეს მხატვრობა თუ ლიტერატურა. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ სამყაროსადმი ბუნებრივ, ინდივიდუალურ ხედვაზე და სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ მათ ნამუშევრებსა თუ ნაწერებში ნათლადაა გამოკვეთილი შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

იმპრესიონისტებს არ დაუტოვებიათ თავიანთი მანიფესტი თუ ტრაქტატი. "იმხანად, გავლენიანი ფრანგი მწერლის, ემილ ფრანსუა ზოლას მოწოდებამ - ხელოვნებას სჭირდება მზე, ჰაერი, ნათელი და ახალგაზრდა ფერწერაო - საპროგრამო მნიშვნელობის როლი შეასრულა იმპრესიონიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში." [5, 8]

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ხასიათი და მისი თავისებურება განაპირობა იმ პერიოდის ქართულმა საზოგადოებრივმა პირობებმა. ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ვითარება წარმართავდა ჩვენი ხალხის სულიერ-კულტურულ ცხოვრებას. ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში აშკარად იგრძნობოდა არსებული სინამდვილის უარყოფა, მისგან განდგომის მცდელობა, მისტიკურ-დეკადენტური განწყობილება. "სწორედ ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში თავი იჩინა იმპრესიონისტულმა და ნეოიმპრესიონისტულმა მიმდინარეობებმა," [5, 9] რომელთა ყველაზე სრულყოფილი წარმომადგენელი ნიკო ლორთქიფანიძეა. შეიძლება ითქვას, რომ იმპრესიონიზმი ქართულ ლიტერატურაში - ნიკო ლორთქიფანიძის დამსახურებაა.

სიტყვის მოქნილობა და ლაკონიზმი ერთ-ერთი ნიშანია იმპრესიონისტთა მხატვრული სტილისა და ამ სტილს ემორჩილება ყველა, მათ შორის ნიკო ლორთქიფანიძე „სიუჟეტის, გარემოს, სიტუაციის გადმოცემისას მწერლის ძირითადი საშუალება შტრიხია და მინიშნებული მრავლისმეტყველი დეტალი, იგი ხშირად გმირთა მარტოოდენ სილუეტური მონახაზით კმაყოფილდება''. [5, 44] მწერლის მცირე ფორმის ნაწარმოებებიც კი ექსკლუზიური ხასიათისაა და ამავე დროს იდეურ-შინაარსობრივად დამთავრებული. ამასთანავე საგრძნობლად შეიმჩნევა ფორმის სილამაზე, კომპოზიციური მთლიანობა, კოლორიტი, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის აღმოჩენა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად შეიმჩნევა პროზის მცირე ფორმებით (ნოველა, მინიატურა, ესკიზი) გატაცება. რატომღაც, ამ ფაქტს იმპრესიონისტების სახელს უკავშირებენ. რა თქმა უნდა, იმპრესიონისტულმა და ნეორომანტიკულმა მიმდინარეობებმა გარკვეული როლი ითამაშეს ჩვენში მცირე ფორმის ნაწარმოებების განვითარებაზე, საერთოდ, ლიტერატურის გვართა განსხვავების მოდიფიკაციაზე, მაგრამ ძირითადად ეს აიხსნება იმითაც, რომ ეს იყო ეპოქა მეტად რთული და მძაფრი სოციალური ცვლილებებისა, ეპოქა, სადაც გადახალისება ხდებოდა სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 29 სექტემბერს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში.

ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმი დაგვიანებით შემოვიდა, მაგრამ დამოუკიდებელ სკოლად არ ჩამოყალიბებულა. ჩვენში იმპრესიონისტული სტილი ნიკო ლორთქიფანიძემ დაამკვიდრა. მის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის იმპრესიონიზმი და რეალიზმი. ზოგიერთი მისი ნოველა მთლიანად იმპრესიონისტულ ესთეტიკას ეფუძნება. "ნიკო ლორთქიფანიძის თხრობის მანერა მეტად ლაკონური და ლაპიდარულია. იგი ახერხებს, რამდენიმე სიტყვით დაგვიხატოს გმირის ცხოვრების დიდი მონაკვეთი და ღრმა ფსიქოლოგიით გადმოსცეს მისი სულიერი განცდები და ტრაგედია." [2, 249]

მწერალი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1896 წელს ვლადიკავკაზში გადაიყვანეს და კურსი იქ განასრულა.

სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. საიდანაც გარიცხეს სტუდენტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

1902 წელს გაემგზავრა ავსტრიაში, სწავლობდა ლეობენის სამთო აკადემიაში. დაუახლოვდა ავსტრიელ იმპრესიონისტებს: არტურ შნიცლერს, შტეფან ცვაიგს და სხვებს.

1907 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1912 წლამდე ქუთაისში ასწავლიდა გერმანულ ენას, შემდეგ თბილისში განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა.

1928-1944 წლებში თბილისის საინჟინრო (პოლიტექნიკურ) ინსტიტუტში უცხო ენების კათედრის გამგე იყო. 1921-1924 წლებში ხელმძღვანელობდა ხელოვნების მუშაკთა კავშირს.

ახლობელთა მოწმობით, ნიკო ლორთქიფანიძეს თანდაყოლილი ჰქონდა შინაგანი წონასწორობის ნიჭი, საგანთა და მოვლენათა ფხიზელი ხედვის უნარი და ყოველთვის, ყველა ვითარებაში, ცდილობდა ამ თვისებათა შენარჩუნებას: „ჭირივით ეზარებოდა ყოველივე ზედმეტად პათეტური, ამჩატებული ფსევდორომანტიული ან წვრილმანი ამპარტავნებით ნაკარნახევი.” [6, 71]

„მე ვიცი... არც სასუფეველი მომელის ცათა შინა და არც სახელი, დიდება და თაყვანისცემა ამ ქვეყნად, მაგრამ მე ძეგლი უნდა დამიდგან არა იმიტომ, რომ მწერლობაში ვმუშაობდი, პოლიტიკაშიც ოდნავ ვიღებდი მონაწილეობას, არამედ იმიტომ, რომ მე ტალახისა და ჭუჭყის ღელვა-ტორტმანში ჩემი ტვირთი ისე გავატარე, რომ არც ფეხი და არც ხელი არ გამისვრია და ისე მივიტანე რაც კი შემეძლო, სამშობლოს სამსხვერპლოზე“. [7, 15]

ნიკო ლორთქიფანიძის ადრეული შემოქმედება - ეს მწერლის ღრმა ამონაკვნესია თავისი და საზოგადოების უსუსურობის გამო. სევდა წითელ ზოლად სდევს ამ ნაწარმოებებს. სევდა ხან უსახო, განზოგადებული ხასიათისაა, ხან კი რეალური, სოციალური ტკივილებით გამოწვეული. განუზომელი ჩანს მწერლის მწუხარება: „სიმძიმეს გირვანქით ზომავენ, სიგრძეს - ადლით, დროს - წუთით, მაგრამ ამ პატარა გულში გამეფებული ტანჯვა რითი განიზომება? ჩემს მწუხარებას შემოდგომის ცაც კი ვერ გამოიტირებდა, ჭიანურიც ვერ ამოიკვნესებდა“ - წერს ნიკო ლორთქიფანიძე. [7, 208]

რა ახასიათებდა ნიშანდობლივად ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებს?

შინაარსის მხრით ისინი შეიცავენ ავტორის სუბიექტურ განწყობილებას უპირველეს ყოვლისა, ხოლო ფორმის მხრით მათ ახასიათებთ აზრისა და სიტყვის ნიუანსი და დახვეწილი, ესთეტიზირებულ დეტალებზე აგებული ლირიკული - იმპრეიონისტული სტილი, ხოლო კომპოზიციურად ლექსისმაგვარი აღნაგობა. “ეს ნიშანდობლივი თვისებები პირველი პერიოდის შემოქმედებისა ნიკო ლორთქიფანიძემ შემდგომში ნაწილობრივად თავის ცნობილ დიდ მოთხრობებშიც გადაიტანა, მაგრამ აქ მათ მიიღეს... გაშლილი სახე, შეიმატეს... მომაჯადოვებელი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა, წამყვანი ეროვნულ-ხალხური სადა მეტყველებისა’’. [7, 208]

ვინაიდან, თემის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს განვიხილოთ ნიკო ლორთქიფანიძის, მინიატურები სრულად, განვიხილავთ მის მინიატურას „ოჯახი“.

მწერლის ღრმა ემოციური კავშირი თავის მთავარ ფასეულობებთან მუდამ საგრძნობია ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში. იშვიათია სულის სისუფთავისკენ, კეთილშობილებისკენ, ადამიანურ ურთიერთობათა გულითადი ჰარმონიულობისაკენ ასე გატაცებით მსწრაფველი პროზაიკოსი მეოცე საუკუნეში. უპირველესად, ეს ქმნის ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნულ-მწერლური იერის გამორჩეულ მომხიბვლელობას.

სულიერი სინათლის და სიფაქიზის, სულიერი არისტოკრატიზმის ბედი უხეშ რეალობაში, მისი შეჯახება ცხოვრების სიმკაცრესთან, დისჰარმონიასთან, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული ხედვის, მტკივნეული ფიქრის ძირითადი საგანია.

ყველაზე მნიშვნელოვან სულიერ-მორალურ ფასეულობათა შემკრებია ნიკო ლორთქიფანიძისთვის ოჯახის ფენომენი, რომელსაც ქართულ ფასეულობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი შემოინახავს უმთავრეს ეროვნულ ტრადიციას - ადამიანურ ურთიერთობათა სიწრფელეს და სითბოს, ჰუმანურობას.

1910 წელს, თავისი ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისში, ნიკო ლორთქიფანიძე წერს მინიატურას „ოჯახი“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრების“ 28-ე ნომერში და რომელშიც მისი შემოქმედების ძირეული მოტივების და პრობლემატიკის ჩანასახი იკვეთება.

ეს სწორედ ის პერიოდია, როცა XX საუკუნის ვაითეორეტიკოსები ადამიანს „სიყვარულის თავისუფლებას“ უქადაგებენ და „ოჯახური ბორკილების“ წინააღმდეგ გალაშქრებისაკენ მოუწოდებენ. ამიტომ ჟღერს ასეთი ვედრებით ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „ოჯახი“. ესაა მწერლის ღაღადისი, მიმართული საზოგადოებისკენ, კატასტროფის წინაშე დამდგარი ოჯახის შესანარჩუნებლად. „ოჯახური ბორკილების“ წინააღმდეგ გალაშქრების ამ პერიოდში ნიკო ლორთქიფანიძემ ნათლად გამოხატა თავისი შეხედულება ოჯახზე, თავისი უღრმესი პატივისცემაც ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ამ პატარა, მაგრამ პრინციპული რგოლისადმი და მისი მოწოდებაც ოჯახის უფლების შენარჩუნებისაკენ.

კრიტიკაში მინიშნებულია, რომ “მინიატურით „ოჯახი“ ნიკო ლორთქიფანიძე უპირისპირდება მემარცხენე რადიკალებს, რომლებიც „ოჯახური ბორკილების“ მსხვრევისთვის განაწყობდნენ საზოგადოებას.” [8, 87]

ნიკო ლორთქიფანიძე არსებითად ოჯახის ფენომენის საკრალიზებას ახდენს - ოჯახი „წმინდაა“, ის „ტაძარია“, ქრისტეს მსგავსად „ნავთსაყუდელია“ ადამიანებისთვის; ოჯახია სივრცე, სადაც შესაძლებელია ხელშესახებ რეალობად იქცეს ძირითადი ქრისტიანული მორალური ღირებულებები- „სიყვარული,

სათნოება, ლმობიერება და თავგანწირვა'', სადაც ადამიანებს ღრმა თანაგანცდა და თანამზრუნველობა ამთლიანებს; აქ ყოველი ადამიანი აბსოლუტური, უსასრულო ფასეულობის მქონე და შეუცვლელია, „უკვდავია"...

ჯორჯ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის განმარტებით, ოჯახი ზნეობის პირველადი, ბუნებრივი ხორცშესხმაა, რომელსაც დაეშენება ზნეობრიობის რეალიზების სხვა, უფრო ფართო სფეროები - სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.

მეოცე საუკუნის ფილოსოფოსის ივან ილინის თქმით, „ოჯახი არის პირველი, ბუნებრივი და ამავე დროს წმინდა კავშირი, რომელშიც ადამიანი აუცილებლობის ძალით შედის. იგი მოწოდებულია ეს კავშირი სიყვარულზე, რწმენაზე და თავისუფლებაზე დაამყაროს, ეზიაროს მასში გულის პირველ ერთობლივ მოძრაობებს და მისგან ამარლდეს ადამიანთა სულიერი ერთობის მომდევნო ფორმებისკენ - სამშობლოს და სახელმწიფოსკენ".

ნიკო ლორთქიფანიძის საუკეთესო მოთხრობათა უმეტესობაში ოჯახის ფენომენის დაკნინება თუ რღვევა, ოჯახური დრამები და ტრაგედიებია გამოსახული. რაც უფრო მნიშვნელოვანია მწერლისთვის სიცოცხლისუნარიანი ოჯახი, როგორც პიროვნების დამოუკიდებლობის, ღირსების გამოხატულება, რაც უფრო ფაქიზად გრძნობს ადამიანების ოჯახურ ურთიერთობათა ორგანულობას, ემოციურ სიღრმეს, სიძვირფასეს, მით უფრო მტკივნეულია მისთვის ოჯახის ტრადიციის გადაგვარება, ნგრევა. ოჯახის ფენომენის დეფორმაციათა წარმოჩენა ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ეროვნული ორგანიზმის სნეულებებს ამჟღავნებს, საზოგადოების ცხოვრებაში მორალურ ფასეულობათა გამოფიტვას, ჰუმანურობის კრიზისს ხდის ხილულს.

ნ. ლორთქიფანიძესთან დაწყვეტილი, ე.წ. „სულის დეპეშური სტილი", კოდებით, მინიშნებებით, ლექსიკური მომჭირნეობით, სიძუნწით, ლაკონურობით ჰგავს ავსტრიელ ძმებს, მაგრამ თავისი ქართული, ღრმად ეროვნული სატკივარის გამო მას არ სცალია, და არ შეუძლია, ამ ეფექტებისთვის ზრუნვა და სიტყვით ჟონგლიორობა.

მან დასძლია ავსტრიული იმპრესიონიზმის გავლენა, მაგრამ ეს ეხება პირველ რიგში მსოფლმხედველობრივი ახსნის სფეროს, ხოლო რაც შეეხება შემოქმედებითად ათვისებულ, მეტ-ნაკლებად გადამუშავებულ, რამდენიმე მოდიფიცირებულ მხატვრულ-გამომსახველ საშუალებებს, წერის მანერას, სტილურ ხერხებს, ამ მხრივ ქართველი მწერალი, ინარჩუნებდა იმპრესიონიზმის ერთგულებას - მიაჩნია მაია ჯალიაშვილს.

იმპრესიონიზმის მიმდევრები იზიარებენ იაპონურ მოძღვრებას სრულყოფილების შესახებ ხელოვნებაში: სრულყოფილებისკენ სწრაფვა უფრო მშვენიერია, ვიდრე თვით სრულყოფილება. სილამაზეს უფრო მეტად გვაგრძნობინებს ის ნაწარმოები, რომელშიც ყველაფერი ბოლომდე არ არის ნათქვამი. ბოლომდე თქმა მომაკვდინებელ დასასრულს ნიშნავს. ისეთი ნაწარმოები, რომელიც დატვირთულია მწერლის მიერ ნახული და განცდილი შთაბეჭდილებების ასახვით, მკითხველისგან აქტიურობას მოითხოვს, რომ წარმოსახული სურათები ფანტაზიის საშუალებით ერთმანეთს დაუკავშიროს და ერთ მთლიან მოვლენად აქციოს. ყველას შეუძლია მიიღოს სურათი, ხოლო დასკვნის გამოტანა დამოკიდებულია თვით მკითხველზე. ასეთი პრინციპით თვით მკითხველი შემოქმედებითი პროცესის მონაწილე ხდება: „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდი ცხოვრებიდან, - მიმართავს ნიკო ლორთქიფანიძე მკითხველს, - მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისთვის, შემოქმედებისთვის... მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული, თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს" – ლაზარე კვიხაშვილის ეს განცხადება იმპრესიონისტთა შემოქმედებით ძირითად პრინციპს წარმოადგენს. [1, 24]

საბოლოოდ კი, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ერთადერთი ქართველი იმპრესიონისტია და ქართული იმპრესიონიზმი მთლიანად მის სახელთანაა დაკავშირებული, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მან დასძლია ავსტრიული იმპრესიონიზმის გავლენა და თავისებურ მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერზე დაყრდნობით ქმნიდა ნაწარმოებებს.

როგორც შენიშნულია, იმპრესიონიზმის ნიშნები უკიდურეს რეალისტურ ნაწარმოებებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, რაც სრულებით არაა გასაკვირი, ვინაიდან, „იმპრესიონისტებმა სინამდვილის მხატვრული გააზრების შედეგად წარმოაჩინეს საგნის თუ მოვლენის ის ნიშნები, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი იყო ხელოვნებაში." [6, 37]

ლიტერატურა:

1. „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე", თბ., 2010.
2. „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები", თბ., 2011.
3. „დიდი მხატვრები - მონე", 2011.
4. „ქართულად ნათარგმნი მსოფლიო საგანძური - ნოველები, ო' ჰენრი", თბ., 2013.

5. „ღვაწლი ივანე მაჩაბლისა“, თბ., 2011.
6. „XX საუკუნის ქართველი მწერლები“, თბ., 2009.
7. „ქართველი მწერლები სკოლაში - ნიკო ლორთქიფანიძე“, თბ., 2000.
8. „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“, თბ., 1972.

ქართული გენის სათავეებისა და ფესვების ძიება როსტომ ჩხეიძის „ქალდეას მონატრების“ მიხედვით

ანი ცაციაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე,** პროფესორი

მწერლობაში ხშირად გაჟღერდება ხოლმე სამეცნიერო მოსაზრება თუ უბრალოდ თეორია, რომელიც არსებობს ქართველი ერის წარმომავლობა–წარმოშობასთან დაკავშირებით. ალბათ, ყველა ადამიანი, მწერალი იქნება თუ მხატვარი, მეწაღე თუ უბრალოდ გლეხი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაფიქრდება თავის ფესვებზე და დააინტერესებს ის სათავეები, საიდანაც მოედინება მისი, როგორც გარკვეული ერის წარმომადგენლის ენერგია.

ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რაა ჩვენი ეროვნული ხასიათის თვისება, საით მივდივართ...

გურამ ასათიანმა ქართული სულის ესთეტიკური განხილვა განიზრახა და მოახერხა კიდეც თავისებურად. ამ განხილვის შემდეგ, მისივე თქმით, მივიდა „სადა დაკვნამდე“: ქართული სულის მთავარი, არსისმიერი თვისება ადამიანურობაა.

ზვიად გამსახურდიაც ჩაუფიქრდა ჩვენი, ქართველების, ხასიათის თავისებურებებს, ჩვენი სულის მამოძრავებელ ძალებს და გვითხრა, რომ მსხვერპლისუნარიანობა, იდეისათვის თავგანწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა, აი რა არის ჩვენს ეროვნულ ხასიათშიო. ზვიად გამსახურდიას „გაცხოველებული სულისკვეთება“ ჰქონდა დაემტკიცებინა ქართველი ერის მისიის უპრეცედენტობა, გურამ ასათიანს კი, თუ როსტომ ჩხეიძეს მოვიშველიებთ, „მონოჰილისტო“ შეხედულებები ჰქონდა ამ კუთხით. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ უარყოფითს ხედავდნენ ქართველი ერის თვისებებში. მაგალითად, ნიკოლო მიწიშვილის სიტყვები გავიხსენოთ: „საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენებისაგან (ენერგია ჭიისა, როცა მას ფეხ აჭირებენ). საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია აქედან გამართლებას, საკუთარ რელიგიის, მოწოდებას, აზრს, შინაარსს. ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა. ამის შედეგია, ჩემი ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიისა. მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი...“ [1, 204] ეს ყოველივე ცუდი მოსასმენია, თუმცა ნიკოლო მიწიშვილი მარტო არ იყო, დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს სერგი დანელიაც: „ ვცხოვრობდით დაფანტულად, გათიშულად, ერთიმეორის არა გვესმოდა, როგორც ატომებს. ყველა თავის პირადობისაკენ მიიწევდა და ერთი საზოგადო მიზანი არ ჩანდა. არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დასთმო თავი, დღესაც ქართველებისთვის კაცი თავდება იქ, სადაც თავდება მისი გვარი, ე. ი. ნათესავ-მოყვრობით მასთან შეკრულ ადამიანთა ჯგუფი.“[1, 205]

აკაკი ბაქრაძე კი გვეუბნება, რომ „ზერელედ არ უნდა შევხედოთ ამ სასოწარკვეთილებას, ამ ნიჰილიზმს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შვა ქართველი ხალხის მტრობამ ან სიძულვილმა.“ [1, 207] არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკაკი ბაქრაძეს... სერგი დანელიას და ნიკოლო მიწიშვილის სიტყვებში არის „სიმართლის მარცვალი“. უბრალოდ ეს „მარცვალი“ გამმაფრებულადაა წარმოდგენილი, ეს ფრაზები გულისტკივილითა დაწერილი. არ დაგვავიწყდეს ეპოქა, რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობდნენ... ზვიად გამსახურდიას კი, ყველაფრის მიუხედავად, სწამდა ქართველი ერის მისიის უპრეცედენტობის. ის ამაყად წერდა გურამ ასათიანის საპასუხოდ დაწერილ წერილში „ილუზიები და სინამდვილე“: „დიახ,

დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მეურვეა ის ერი, რომელმაც შექმნა „ვეფხისტყაოსანი“, დავით გარეჯის, ბეთანიის, ყინწვისის, გელათის ფრესკები, დიდებული ხუროთმოძღვრება და მწერლობა. დიახ, უპრეცედენტოა ქართველი ერის მარტვილობა ქრისტიანული კულტურის სახელით.“ [2, 463]

და მაინც, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რანი ვართ, რად ვიქეცით...

ტიციან ტაბიძე „მწველი ოცნებით“ ეძებდა თავის წინაპართა ნაკვალევს, ამ ძებნამ, ოცნებამ, შორეულ ქალდემდე მიიყვანა... იგი აპირებდა ლექსების ციკლის დაწერას სახელწოდებით „ქალდეას მონატრება“. დაუწყია კიდეც , თუმცა აღარ დასცალდა...

„მწველი ოცნებით ვკოცნი ნაკვალევს,
ვიგონებ მიმქრალ ქალდეას სიზმრებს,
მოგვ წინაპართა სული გვავალებს,
არ გავეყაროთ დამწვარ ქიმერებს“

ტიციან ტაბიძეს ქალდეა ენატრებოდა, ანა კალანდაძეს ხეთა და მიდია, გრიგოლ რობაქიძისთვის კი „კარდუ“ იყო ქართველი ერის შორეული სამშობლო. როგორც ვხედავთ, ლიტერატურაში ფართოდაა შეჭრილი აზრი, რომ ხეთა, ურარტუ თუ ქალდეა ქართველთა წინაპრების ისტორიული საცხოვრებელი ადგილია.. ამას გრძნობს ანა კალანდაძეც:

„მათ გადაიარეს ცა პირამიდების,
ხეთა და მიდია...
ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,
კვლავ საით მიდიან?“

თუ ჩვენი პოეტები და მწერლები საკუთარი ერის ფესვებს ინტიუციით, პოეტურ ინსტინქტებზე დაყრდნობით ეძებენ, ივანე ჯავახიშვილი, უკვე მეცნიერულ ძიებას, იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ქართულ-მეგრულ შტოს ტომების საკუთარ სახელებში ერთი და იგივე სახელი გვხვდებაო – ქართუ ანუ კარდუ. აქედან კი ასკვნიდა, რომ თუ ეს სახელი ორივე შტოს ტომთა სახელწოდებაში მოიპოვება, ის აუცილებლად ქართველების პირველი საერთო სამშობლო უნდა იყოსო. როგორც ჩანს ქალდეა მასაც ენატრებოდა.

ჩვენი ფესვების ძიების პროცესი წარმოდგენილია ლიტერატურასა და მატიანეებში, ყოველივე ეს კი თავმოყრილია ერთ საკმაოდ პატარა, მაგრამ ტევად წიგნში - „ქალდეას მონატრება“, რომლის ავტორი როსტომ ჩხეიძეა. რა თქმა უნდა, ის, რომ ქალდეას ქალაქებში შესულიყო, იქამდე რომ მიეღწია, მაია ჯალიაშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ მას სჭირდებოდა წინაპრები, რომლებიც იქნებოდნენ მისი „სულიერი მოკავშირენი“: ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, გიორგი ლეონიძე და სხვანი.

როსტომ ჩხეიძე, ქართველთა ეროვნული ხასიათის შესაცნობად, საქართველოს ისტორიიდან მოიხმობს და განიხილავს მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი მიგვითითებს დავით ულუს საქციელზე, რომელიც ამოსის ველზე, თავისი თანამებრძოლებით, წინა ხაზზე იბრძვის თავგანწირვით, მიუხედავად იმისა რომ ეს მისი ბრძოლა არაა. ამ ფაქტით როსტომ ჩხეიძე მიგვითითებს, რომ ქართველი ყველგან ქართველია და მის სისხლში გამჯდარი ქართველთა წესი „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“ ყველგან მოქმედია... ქალდეას ავტორი ქართველთა თავგანწირვას სხვის ბრძოლაში ქართული საქმის კეთილად მოგვარებითაც ხსნის. შესაძლოა დავით ულუს იერუსალიმის ქართული მონასტრების გათავისუფლება ჰქონდა გულში და ამიტომაც იბრძოდა ასე თავდადებით. როსტომ ჩხეიძე იხსენებს დიდგორის ბრძოლასაც: „დიდგორის ველი ჩაახერგინა დავით აღმაშენებელმა, რათა მის მებრძოლებს უკან დასახევი გზა არ ჰქონოდათ. საუკუნე ნახევრის შემდეგ მის შთამომავლებს ასეთი რამის გაკეთება აღარ დასჭირდებათ, რადგან აღმაშენებელმა ამ საქციელით თავის მებრძოლების სისხლში გააღვივა მინავლული ნაკვერჩხალი და ქართველთა ცნობიერებაში ახლიდან ამოჭედა ის წესი, რომელმაც ჩვენ დღევანდელობამდე მოგვიყვანა „არა არს წესი ჩუენ ქართველთა...“ როგორც ვხედავთ, ხშირად, გვჭირდება გმირი, სამაგალითო პიროვნება, რომელიც გამოაღვიძებს ჩვენში მიძინებულ ეროვნული ხასიათის თვისებას, რომელსაც ზვიად გამსახურდია იდეისათვის, მოყვასისათვის თავგანწირვას ეძახის.

როსტომ ჩხეიძე, თვისი პატარა წიგნით, ცდილობს შეგვახსენოს ჩვენი ისტორია, აგვიხსნას თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ჩვენნაირი პატარა ერისთვის საკუთარი ფესვების ძიებას და ისტორიის ცოდნას.

ნიკოლო მიწიშვილი ქართველობის გმობით იყო დაკავებული, ამტკიცებდა რუსთაველი ქართველი არ იქნება, ასეთ გენიას ქართველი ერი ვერ წარმოშობდაო... ამის საპასუხოდ როსტომ ჩხეიძეს მოჰყავს პროფესორ კოლინიონის სიტყვები, რომელთაც ეს უკანასკნელი მიხეილ ჯავახიშვილს ეუბნებოდა ხოლმე პირადი საუბრებისას: „ქართველი ხალხი, სხვაგან სადმე რომ ყოფილიყო დასახლებული და

ნორმალურად განვითარებულიყო, ას მილიონზე მეტი იქნებოდა. ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები სჭამდნენო“ [3, 53]

და მაინც, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რანი ვართ, რად ვიქეცით...

„ქალდეას მონატრების“მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი წინაპრები მოვიდნენ წინარესამშობლოდან, ქალდეადან და დასახლდნენ ორ ზღვას შუა, აქ დაიწყეს ახალი ცხოვრება. იქნებ ძველი ძირების ბოლომდე ვერდავიწყებამ, ახალი ჩვევის დაუფლების აუცილებლობამ შეგვიქმნა სრულიად სხვა სახე– ბოლომდე არც ინდოევროპული, არც კავკასიური.. იქნებ ამ ახალ გარემოში ვეღარ გავინავარდეთ ისე, როგორც იქ, იმ ძველ პირველსაცხოვრისში, სადაც ჩვენი ნებით... ეკა ცხადაძის ეს მოსაზრება თითქოს ახლოა სიმართლესთან, თუმცა აქვე თუ გავიხსენებთ გრიგოლ რობაქიძის აზრს, რომ ქართველები გულმავიწყობამ გადაგვარჩინაო მივხვდებით, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მოსაზრებებია, ცალ-ცალკე ყველა მართალი...

როსტომ ჩხეიძის აზრით, ქართველები თავისი ფესვების ძიებამ, ქალდეას მონატრებამ გადაარჩინა. დიახ, უნდა ვეძიოთ ჩვენი სათავეები, რათა შევიტყოთ ვინა ვართ, რანი ვართ, რატომ გვიჭირს ასე ორ ზღვას შუა ცხოვრება, როგორ მოვაღწიეთ აქამდე, რაა ჩვენი ხასიათის თვისება... ისევ ზვიად გამსახურდიას მოვუსმინოთ, რომლის აზრსაც როსტომ ჩხეიძეც იზიარებს, რომ ქართველებისთვის მეტად დამახასიათებელი თვისება არის „მოყვასისათვის თავგანწირვა, მსხვერპლი, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ.“ [2, 548]

ჩვენი, ორ ზღვას შუა მომწყვდეული, სამშობლო ხშირად იყო დაპყრობილი, რადგან ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები სჭამდნენ. გადავხედოთ ჩვენს უახლეს ისტორიას, თუნდაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებს... ჩვენს გაორებულ ინტელიგენციას, დაბნეულ საზოგადოებას, რომლებიც ვიღაცას ელოდნენ, ვინც იმას იტყოდა, რისი მოსმენაც სურდა მათ გულსა და სულს. გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე, გამოჩნდა ზვიად გამსახურდია და ალბათ 21–ე საუკუნეშიც გამოჩნდება ვინმე, როსტომ ჩხეიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „უნდა გვწამდეს, რომ ქართველი ხალხი თავისი გარდასული დიდების მოსაგონებლად კვლავ გვიჩვენებს სასწაულს...“ [3, 58]

შესაძლოა ნიკოლო მიწიშვილს, სერგი დანელიას და არც გურამ ასათიანს არ სწამთ ქართველი ერის სულის ერთიანობის, მაგრამ ამისი სჯეროდა ზვიად გამსახურდიას, ამისი სჯერა როსტომ ჩხეიძეს...

ქალდეას მონატრების ავტორი, ორ, თითქოს შეუთანხმებელ, სიმართლეს აერთიანებს და იხსენებს რა ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებს: „საქართველოვ – შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“, – დაასკვნის: „ესეც ჩვენი ბედისწერაა და ესეც – მოწამეთა და მარტვილთა განსაცვიფრებელი სამრავლე. ეს ორი სიმართლე ერთმანეთს ავსებს, და ერთი თუ ჩვენს რეალობას წარმოსახავს შეუფერადებელი მზერით, მეორეს უხსოვარი ჟამის ხსოვნა მოაქვს, ასე სახიერად და დადასტურებული საქართველოს ახალ – ორ ზღვას შორის მოქცეულ იტორიაში“ [3, 116]

როგორც ვხედავთ, ლიტერატურას, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ისტორიის შემეცნებისთვის. თუკი როსტომ ჩხეიძემ მოახერხა შეერთებინა ორი, თითქოს ერთმანეთს დაპირისპირებული მოსაზრება, „შეახმატკბილა“ ერთმანეთთან, იქნებ, ქართველმა ერმა შეძლოს თავისი თავის შეცნობა, ორ ზღვას შუა მოქცეული ბედის აღიარება და თანამედროვე ცხოვრებისთვის ფეხის აწყობა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
2. გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., 1990.
3. ჩხეიძე რ., ქალდეას მონატრება; თბ., 2002.
4. ჯალიაშვილი მ., სიცოცხლის საიდუმლო, თბ., 2006.
5. ასათიანი გ., სათავეებთან, თბ., 1982.

დედა „ვეფხისტყაოსანში“

ეკა ხანიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მურად მთვარელიძე,** მოწვეული დოქტორი

დიდი ილია წერდა: „ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროს ქალაქს - „დედაქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - „დედაბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს - „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი - „გუთნისდედას“. რამდენად გამდიდრებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავლებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!.. „სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით“.

დედას უშუალოდ უკავშირდება დედაშვილობა, უანგარო გრძნობა, რომლითაც ბუნება აჯილდოვებს ადამიანებს. ამიტომაც, საინტერესოდ მიგვაჩნია იმის გარკვევა, თუ როგორ დგას დედისა და დედაშვილობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“.

აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალის კულტზე „ვეფხისტყაოსანში“ ბევრი დაწერილა და, ალბათ, მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ყურადღება პოემაში დახატულ დედის სახესა და დედაშვილობას მკვლევართა სპეციალური დაინტერესება დღემდე არ გამოუწვევია.

„ვეფხისტყაოსანს“, დედის სახის ჩვენების თვალსაზრისით, ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ მდიდარი ტრადიცია დახვდა. ამ მხრივ საინტერესოა პირველივე ორიგინალური ძეგლი „შუშანიკის წამება“. ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში მწერალი კარგად წარმოაჩენს დედაშვილობას, თუ როგორ ზრუნავს წმინდა შუშანიკი თავის შვილებზე. როდესაც გაიგებს ვარსქენის სარწმუნოების შეცვლას, ის მიატოვებს სახლს და სამ ვაჟთან და ერთ ასულთან ერთად ტაძარში გადადის, სადაც უფალს შვილებსა და საკუთარ თავს ავედრებს:

„უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა, მადლითა სულისა წმიდისაითა, ყოფად ერთ საწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

ასევე კარგად ჩანს მისი სიყვარული შვილებისადმი, როდესაც გაიგებს, რომ მათ ქრისტიანობა უარყვეს, ეს იყო მისთვის კიდევ უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ვარსქენის გამაზდიანება, რის გამოც, ის მწარედ მოთქვამს და მიწაზე დამხობილი ევედრება უფალს, მისცეს ძალა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მორწმუნე სძლევს დედას და იმ დღიდან: „სახელიცა მათი სძაგდა სმენად“.

პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „აბო ტფილელის მარტვილობა“ რამდენჯერმე გაიელვებს ნერსე ერისთავის დედის სახე. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავს შვილი დედის უსაფრთხოებაზე.

კიდევ უფრო ნათლად, ამაღლებულად წარმოჩინდა დედაშვილობა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. როდესაც გაიგო მისი შვილის განდიდების ამბავი, გრიგოლის დედამ განიხარა, სულიერი სიმტკიცით და მივიდა იგი დედა ფებრონიასთან მერეში. ხოლო როდესაც გრიგოლი მოვიდა, სიხარულით მიეგება, მოიკითხა და უთხრა:

„ჩემო ტკბილო შვილო, გნახე, რომელიც მსურდა, რადგან შენი ნახვით გამშორდა ყველა ის ადრინდელი ტკივილი“.

„ვეფხისტყაოსანში“ არის ნახსენები დედა შვიდჯერ, სხვადასხვა კონტექსტით. რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება დედაზე, როგორც სიცოცხლის მიმნიჭებელზე.

პოემაში კარგად იკვეთება ის მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც ადამიანის დედის მუცლად ყიფნა და დაბადება გულისხმობს:

(1176) „მიდი და ჰკადრე ტარიელს პასუხი, ჩემგან თხრობილი:
მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ღმობილი?
ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი!“.

(1168) „თაყვანის-სცა უსენ, ჰკადრა: ჰე მაღალო ხელმწიფეო,
ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენელო არსთა, მზეო!

რაცა სხვა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო?
დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო“.

დედაშვილური თანაგრძნობა და სიყვარულის გამოვლინება, მწუხარებაში თანამოზიარობა და შვილის ვალი, დაქვრივებული დედა-დედოფლის წუხილი და შვილის გულისტკივილი კარგად ჩანს ინდოეთში ნესტანის დაბრუნების ეპიზოდში:

(1628) „ქალმან დედასა შესტირა : „ჰაი მე რა ვქნა, დედაო!
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო,
მამამან ტახტი დაცალა, აღარსადა ზის ზედაო!
დედამან ცრემლნი მოსწურნა: „ნუ სტირ, დადუმდი, ბედ-აო“.

დედაშვილობის შეურაცხყოფის ერთ-ერთი მიზეზი არის უწესო საქციელი, რომელიც კარგად ჩანს, 1105-ე სტროფში: „დავხოცენ შვილნი ხელითა, მით ვარ აღარას ლხენითა. თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა.“

„ვეფხისტყაოსანში“ ქალის მეტად შთამბეჭდავ სახეს ქმნის ფატმანი, ვაჭართა წრის ქალი, რომელსაც თავისი შეხედულებები და წარმოდგენები აქვს ცხოვრებისეულ საკითხებზე.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული, პოემის გმირთა მიზნის მიღწევაში ფატმანი მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი ფიგურაა. იგი ხომ გონებრივად გამჭრიახი და კეთილი გულის პატრონი, რომელმაც თავი გამოიდო ნესტანის დასახსნელად. ამიტომაც ნესტანი ფატმანს ასე მიმართავს:

(1285) „პირ-მზე სწერს : „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!
მისგან ტყვე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ჰხედაო?
მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჟთა სხვაცა დამერთო ზედაო,
აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო“.

ნესტანის სიტყვები შეიძლება იმით აიხსნას, რომ ფატმანმა დედობრივი ამაგი დასდო მას, მშობლიური სითბო და ალერსი გამოხატა მის მიმართ. თვითონ დედამ - ფატმანმა, კარგად იცის, რომ გასაჭირში მყოფ ადამიანს მზრუნველობა და დახმარება სჭირდება, ამიტომ არ იშურებს ის ძალას ნესტანის ხვედრის შესამსუბუქებლად.

ისმის კითხვა, მაინც რით დაიმსახურა ფატმანმა ნესტანისაგან ასეთი მაღალი შეფასება „დედისა მჯობი დედობა“?, რა თვისებებით გამოირჩევა ზოგადად დედა-შვილის ურთიერთობა და ამ მხრივ როგორ გამოიყურება ფატმანისა და ნესტანის ურთიერთობა?

1. დედა ხშირად არის მესაიდუმლე ქალიშვილისა, ფატმანიც არის მესაიდუმლე ნესტანისა, მან ღირსეულად აღასრულა ნესტანისადმი მიცემული ფიცი.
2. დედის ერთ-ერთ მოვალეობას შვილის გამხნევება, დარიგება წარმოადგენს, ნესტანის მიმართ ფატმანი დამრიგებელი და გამამხნევებელია მისთვის უმძიმეს სიტუაციებში.. ამიტომ არ ივიწყებს ნესტანი მის ამაგს:

(1141) „მითხრა: შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქმნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;
თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა“.

3. დედა ყოველთვის პირადულს გვერდზე წევს შვილის გულისათვის. მისთვის უპირველესი შვილის საწუხარია. აღსანიშნავია, რომ ნესტანი ფატმანის პიროვნული განუხორციელებლობის სასურველი განსხეულებაა და ფატმანის დიდ შინაგან ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სხვა არსებაში თავისი საოცნებო სრულქმნილების ხილვამ მასში ბუნებრივი ადამიანური შური კი არ დაბადა, არამედ - თავგანწირული სიყვარული.

ფატმანს უმწიკვლო დედაშვილური სიყვარული შეუძლია. მისი დახმარება რომ არა, ტარიელისა და ნესტანის ბედნიერება სათუო გახდებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოემაში ძირითადად ლექსიკური ერთეული „დედა“ ნიშნავს მშობელს, მაგრამ არის რამდენიმე შემთხვევა, როცა მას აქვს რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა. კერძოდ, 1558-ე სტროფში ის ნიშნავს წარმომავლობას, სადაურობას, ჯიშს: „კვლა უძრვნა ძღვენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა, ათასი თვალი ნაშობი რომანულისა დედისა“, ხოლო 909-ე სტროფში კი დედა ნიშნავს ზოგადად ქალს: „გამოჰრიდნა ვეფხმან გული, - დედათამცა გამოჰრიდნეს“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსთაველს პოემაში შემოაქვს ტერმინი „დედაკაცი“, რამაც თავისი დატვირთვა განსაკუთრებით ჰპოვა შემდგომი საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში.

ლიტერატურა:

1. ბარამიძე ალ., „შოთა რუსთაველი“, თბ., 1958.

2. სიბრძნის საუნჯე, კომპოზიცია ვახტანგ კუპრავასი, თბ., 1987.
3. გიგინეიშვილი მ., გრიგოლაშვილი ლ., როდონაია ვ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, მე-9 კლასი, თბ., 2003.
4. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1957.

ი ს ტ ო რ ი ა

ბარბარობის ტრადიცია ქართლში

რუსუდან ბიხანაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** პროფესორი

ქართული ხალხური დღესასწაულები ერის ისტორიის, კულტურისა და ეროვნული ენერგიის გამოხატულებაა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელებში, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ღვთაება ბარბარე ანუ ბარბალე და მის სახელზე განკუთვნილი დღეობები, მათ შორის პირველ რიგში ხალხური დღეობა ბარბალობა.

ქრისტიანული წმინდანის, ბარბარეს სახელობის დღესასწაული, ხალხური წეს-ჩვეულებების თანახმად, იმართებოდა 4-6 (17) დეკემბერს. [**7:20**]. ქრისტიანული ბარბარე ცნობილია, როგორც აღმოსავლური წმინდანი. მისი კულტი პირველად აღმოსავლეთში ჩასახულა და განვითარებულა, საიდანაც იგი დანარჩენ ქვეყნებში გავრცელებულა. ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმინდა დიდმოწამედ ცნობილი) ცხოვრობდა იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305- 311 წლები). დიოსკორემ გადაწყვიტა ბარბარე უცხო თვალთაგან ფარულად აღეზარდა. ამისათვის მან თავის მამულში კოშკი ააშენებინა, რომელშიც ბარბარესთან ერთად მხოლოდ მისი წარმართი აღმზრდელი მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ღვთის განგებით, ილიოპოლისში ვაჭრად გადაცმული მღვდელმთავარი ჩავიდა ალექსანდრიიდან, რომელმაც ქალწულ ბარბარეზე წმინდა ნათლობის საიდუმლო აღასრულა. დიოსკორეს სახლში მდიდრული აბანო შენდებოდა. ბატონის ბრძანებით, მისი მშენებლები ორი სარკმლის დატანებას აპირებდნენ ნაგებობის სამხრეთ კედელში, მაგრამ ბარბარემ ისარგებლა მამის არყოფნით და მესამე სარკმელიც გააკეთებინა, რაც მისი აზრით სამების ნათელს გამოხატავდა. შესასვლელში ბარბარემ ჯვარი გამოსახა. დიოსკორემ, როდესაც შეიტყო შვილის გაქრისტიანება, მახვილი იშიშვლა და უნდოდა მისთვის თავი მოეკვეთა, მაგრამ ბარბარე გაიქცა. დიოსკორემ იპოვა შვილი, სცემა, დილეგში ჩააგდო და აშიმშილა, შემდეგ კი ქალაქის გამგებელ მარტიანეს გადასცა. მისი ბრძანებით, წმ. ბარბარე სასტიკ სატანჯველს სწიეს. წმ. ბარბარეს საკუთარმა მამამ, დიოსკორემ მოკვეთა თავი, დიოსკორე კი ცათაგან მოვლენილმა ცეცხლმა მოაშთო [**1: 5**]

სიკვდილის წინ ქალწული ბარბარე ღმერთს შესთხოვდა, რომ ყველას ვინც კი მას გაიხსენებდა, არ მიკარებოდა უცაბედი რაიმე სენი ან ანაზდეული სიკვდილი [**3: 266**].

ამიტომაც წმ. ბარბარეს, რომლის სახელობის ეკლესიებით მოფენილია მთელი საქართველო, ევედრებიან როგორც მკურნალს, რომელიც იფარავს ადამიანს ყოველგვარი სენისაგან. წმინდა დიდმოწამე

ბარბარეს ხსენება საშობაო მარხვის შუაძალზე მოდის (ზოგან მისი ხსენების დღე ბრწყინვალე ორშაბათია). ამ დღეს და მის მომდევნო ორ დღეს, ამბობდნენ სვანეთში, მზე არ იძვრის, ის დგას და მამლის სამი ნახტომისათვის ემზადებაო, რათა სძლიოს ზამთარს. ამ დღეებში ადამიანები უქმობდნენ და დიდებით ახსენებდნენ დიდმოწამეს. მართლმადიდებელ აღმოსავლეთში ძველთაგანვე არსებულა რწმენა ბარბარეს შესახებ, როგორც სხვადასხვა სენისაგან მკურნალ და ავადმყოფების მფარველ და დამცველ წმინდანზე. ამავე დროს წმ. ბარბარეს სახელი ზეციურ ცეცხლთანაც ყოფილა დაკავშირებული [**2:4**]. ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში მიაჩნდათ ცეცხლისა და ქარიშხლისაგან მფარველ წმინდანად და მის სახელზე ზარებს სწირავდნენ, აგრეთვე იმ ხელოსანთა მფარველად, რომელთაც მუშაობისას თოფის წამლის გამოყენება სჭირდებოდათ [**7:203**].

მსგავსი სასწაულმოქმედების რწმენას შეიცავს წმინდა ბარბარეს ცხოვრების უძველესი ქართული რედაქციები. ქართული ხალხური ბარბალეს ბუნებას და ფუნქციებს ყველაზე თვალსაჩინოდ მის სახელზე გამართული დღეობები ასახავს. ბარბალეს სახელობის დღეობებიდან ყველაზე უკეთ შემონახულია სვანური დღეობები. ხალხის ძირითად რწმენა-წარმოდგენებში ბარბალე უდავოდ ღვთაება იყო, მაგრამ რელიგიური სინკრეტიზმის ზეგავლენით, მას ანგელოზსაც უწოდებდნენ. ბარბალეს სვანეთში მოიხსენიებდნენ ეპითეტებით: ბარბოლ ღერმეთ, ბარბოლ ფუსდ, ბარბოლ ანგლეზ, დანარჩენ ქართველ ტომებში მას წმინდა ბარბალეს ეძახდნენ [**2:7**].

სვანეთში ეს დღეობა მსხვილფეხა საქონლის და განსაკუთრებით ძროხისა და მისი წველის გაზრდისათვის იყო დაწესებული. ასევე, წმ. ბარბარე ქალების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა და მათთვის ნაყოფიერების მინიჭება მიეწერებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქართულ ტომებში გავრცელებული ბარბალეს კულტის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ნაკლებად მოიპოვება. სვანების მსგავსად, მეგრელებს ბარბალობას მეკვლეს (კუჩხა ანუ მაკუჩხური) არჩევა სცოდნიათ [**2:4**]. ბარბალობას იმერლებსაც სცოდნიათ მეკვლეობა, რომელსაც ისინი „ფერხობას“ და აგრეთვე „ქათმის ლოცვას“ უწოდებდნენ. გურიაში შობა-ახალწლისათვის ქათმებსა და ღორებს ასუქებდნენ. ამას გარდა, გურულებმა „ფეხადობა“ ანუ „ქათმის ფერხვა“ იცოდნენ. მოიწვევდნენ „კაი ფეხის“ მეზობელს და სახლში ღომის ან სიმინდის მარცვლებსა და სურო-კურკანტელს მოაყრევინებდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ გურულებს ბარბალე შინაური ფრინველების გამამრავლებელ უზენაეს არსებად ჰყოლიათ წარმოდგენილი. ბარბალობას მეკვლეობა იცოდნენ რაჭაშიც ე.წ „კლოვიარეს“ დღეობის წინა ღამეს ირჩევდნენ და ის ოჯახს მიუკვლევდა, როგორც ბარბალობას, ისე ახალწელიწადს. რაჭული ბარბალობის რიტუალში თავს იჩენს საყურადღებო მომენტი, რომელიც დამახასიათებელია აგრეთვე იმერულ, გურულ, ლეჩხუმურ და ქართლური ბარბალობისათვისაც. ეს მომენტია შინაური ფრინველების გამრავლებისათვის მიძღვნილი მეკვლეობა [**2: 35**].

ასე რომ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წმ. ბარბალეს განსხვავებულ ფუნქციებს ანიჭებდნენ: ნაყოფიერებისა და გამრავლების, მსხვილფეხა საქონლის მფარველი, მიწისმოქმედების მფარველი და შინაურ ფრინველთა მომშენებელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლში ბარბალეს კულტის შესახებ ცნობები ნაკლებად მოიპოვება. ამიტომ წარმოდგენილი მასალა ძირითადად ჩვენს მიერ მოპოვებულ ზეპირ გადმოცემებს ემყარება. რა ფუნქციები ენიჭებოდა წმ. ბარბარეს ქართლში და როგორ იმართებოდა „ბარბალობა“? შევეცდები ამ საკითხთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად მოგახსენოთ.

ბარბალობას მეკვლეობის ტრადიცია ქართლშიც იყო გავრცელებული და შინაური ფრინველების გამრავლებისათვის იყო განკუთვნილი. ქართლელები ბარბალობას დილით ტახტზე ქერის ან სიმინდის მარცვალს მრავლად დაჰყრიდნენ, მოსულ მეკვლეს ზედ დააბრძანებდნენ, ფეხებს მოაკეცინებდნენ და თან დასძახებდნენ: „მეკვლევ კარგად მოიკეცე, რომ წრეულს კრუხებმა კარგად გამოსჩეკონ და წიწილები ბლომად მოგვცენო“ [**2: 36**].

ამ დღეს ნაბადმოსხმულ კაცს შინ არ შეუშვებდნენ-ბარბალობას ნაბდიანი კაცის სახლში შესვლამ „მოფუზული წიწილები“ იცისო. ამ ფაქტსაც მოეძებნება ახსნა. ქართლელი მეკვლე ბავშვები კრუხისა და წიწილების მსგავს მოქმედებას ასრულებდნენ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელების მსგავსივე მოქმედება გამოეწვიათ ე. ი მიმბაძველობით მაგიას მიმართავდნენ. ნაბდიანი კაცი ფრთებდაშვებულ ანუ „მოფუზულ“ წიწილას ემსგავსება, ამიტომაც არ უშვებდნენ შინ ასეთ კაცს ბარბარობას [**2: 36 ცნობა მოწოდებულია გორის რაიონ სოფ. საქაშეთის მცხოვრებ 68 წლის პელო ბრეგვაძის მიერ**]

ამგვარად, ბარბარობის მეკვლეობის სახით მაგიის გადმონაშთებია მოცემული, მაგრამ ჩვენებური ბარბალობის მეკვლეობას მეორე დამახასიათებელი მხარეც მოეპოვება. სახელდობრ ის, რომ ბარბალობის მეკვლეობაში მაგია რელიგიურ მოქმედებასთან არის შერწყმული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მეკვლეობა დაკავშირებულია ღვთაება ბარბალეს კულტთან. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ბარბალობაზე მაგიური მოქმედების დროს ღვთაება ბარბალესათვის არ მიემართათ თხოვნით ისევე,

როგორც XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იმერელი მეკვლე-ბავშვი ბარბალეს ნაცვლად ზოგადი სახელით მოხსენიებულ ღმერთს შესთხოვდა.

გარდა ამისა, წმ. ბარბარე და დღეობა „ბარბარობა“ ქართულ ტრადიციაში დაკავშირებულია ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბარბალეს ეს თვისება არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგნებს, რომელიც ამ წმინდანს მიიჩნევს ბავშვთა მფარველად და შემწედ [1:6]. აღსანიშნავია, რომ სოფ. ქორდში მდებარეობს წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია, რომელიც მთელს ლიახვის ხეობაში განთქმული სალოცავი ყოფილა. მას დიდძალი მლოცველები მოუდიოდა მეზობელი სოფლებიდან (მერეთი, ტყვიავი, კარბი, და სხვ.) სწორედ, აქ, წმ. ბარბარე ყვავილ-ბატონების მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ. სერგი მაკალათიას ცნობით, როდესაც ოჯახში ვინმე ავად გახდებოდა ყვავილით, მაშინვე ბარბარეს მიმართავდნენ. ოჯახში ამ დროს ცეცხლს არ ანთებდნენ და არც საქმიანობდნენ, ხმაურისაგან ბატონები გაჯავრდებიანო. გაჯავრებული „ბატონების“ შეხვედრის დროს კი ავადმყოფი ძნელად რჩებოდა და შესაძლოა გარდაცვლილიყო კიდეც [4:63].

ყვავილიანი ავადმყოფი თუ მძიმე მდგომარეობაში იყო, სახადს, რომ მისთვის თვალი არ დაეზიანებინა, ბარბარეს შეევედრებოდნენ და თვალის კაკლებს შეუთქვამდნენ. ჩვეულებრივ, 2 კაკლის შეთქმა იცოდნენ და მას ავადმყოფს საწოლის თავთან ჩამოუკიდებდნენ, როცა ავადმყოფი მორჩებოდა, კაკლის ტანზე „ბატონების ჯვარს“ ამოჭრიდნენ და მას ყელზე შეაბამდნენ [4:70]. ეს კაკლის ხეც ბატონებისათვის იყო განკუთვნილი და როცა დაიბერტყებოდა, ნიგვზისგულიან ქადებს გამოაცხობდნენ. შემდეგ ბარბარეს სალოცავში მიჰქონდათ, ან გზაჯვარედინზე გამოიტანდნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დაავადებები ადვილად მოეხადათ [1:7]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არის წმ. ბარბარეს სახელობის სალოცავებში შეწირული კოლექციები. ესენია: ნავთლუღის ეკლესიიდან გამოტანილი 72 წყვილი სანთლის „თვალის კაკალი“, ქორდის ეკლესიიდან გამოტანილი მამლის ფრთა-ბუმბული, წითელი და თეთრი ნაჭრებით გაწყობილი ქამრები, ბავშვის ავადმყოფობის გამო მიძღვნილი აკვანი და „დედოფალები“ [2:51–52].

ეს შეწირული ნივთები ადასტურებს ქართლში ღვთაება ბარბარესადმი თაყვანისცემას. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალაც იმავეს ამტკიცებს. სოფ. რუისის მკვიდრი იხსენებს: „ როდესაც „ ბატონები“ შეგვხვდებოდა, დედა წმ. ბარბარეს მამალს შეუთქვამდა, ყველა სურვილს გვისრულებდა, მე-18 დღეს, როდესაც ბატონები მიბრძანდებოდნენ დედა ტკბილეულს გააკეთებდა, გარეთ გამოიტანდა და პატარა ბავშვებს უმასპინძლდებოდა. შემდეგ ლამაზად ჩაგვაცმევდა, თმაზე წითელ ბაფთას გაგვიკეთებდა და ყელზე კაკლებს ჩამოგვკიდებდა. წმ. ბარბარეს სალოცავში, რომელიც ატენში მდებარეობდა, მოვდიოდით, წითელ ბაფთებს იქ ვტოვებდით, ხოლო კაკლებს ნაკვერცხალზე წვავდნენ, ამას „ბაზმა“ ეწოდებოდა“ **(*ცნობა მომაწოდა სოფ. რუისში მცხოვრებმა 35 წლის ეკა ხითარიშვილმა).** სერგი მაკალათიას ცნობით, თუ ავადმყოფი შეწუხებული იყო, ან როგორც იტყოდნენ „ ბატონები გაჯავრდნენო“ უმძრახად მივიდოდნენ მდინარის წყალთან, ქვას ამოიღებდნენ და თხილის წკნელის რკალზე შეაბამდნენ და დილიდან საღამომდე კისერზე ეკიდათ, როცა „ბატონებს“ ოჯახიდან გაისტუმრებდნენ, საამისოდ აცხობდნენ ქადებს და უბნის ქალებს იწვევდნენ. ქალები ფეხშიშველები იყვნენ და იავნანას მღერით ქადებს „ბატონების კაკლის“ ქვეშ შეექცეოდნენ [4:70]. ავადმყოფი თუ მორჩებოდა, მისი მშობლები ერთი წლის განმავლობაში დადიოდნენ ახლომახლო სოფლებში და ბარბარესათვის ბაზმა-კალმასს აგროვებდნენ. ოჯახის დიასახლისი წამოიყვანდა ყვავილნახადს, მივიდოდნენ და „ბატონებისათვის“ ბაზმა-კალმასს (კალმასობა გავრცელებული იყო საქართველოში. იგი ნიშნავდა კალოზე პურის ჩამოთხოვას. ბერები კალმასობდნენ მონასტრის სასარგებლოდ,ხოლო ერისკაცები ოჯახის შესანახად) მოითხოვდნენ. სახლის პატრონი აძლევდა ცოტა სიმინდს ან ხორბალს და ნიგოზს, ამ ფქვილით და ნიგვზით ქადებს აცხობდნენ, რაც დარჩებოდა გაჰყიდდნენ და ყვავილნახადს თეთრ ან წითელ ხალათს შეუკერავდნენ, ერთ რომელიმე ორშაბათს კი კვლავ ბარბარეში მიდიოდნენ სალოცავად.

ქორდში არსებულ წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში დღემდე შემორჩენილია ამოკვეთილი ქვა. გადმოცემით, ქვაში ჩამდგარი წვიმის წყლით მხედველობადაქვეითებული ადამიანები იკურნებოდნენ [6: 54].

სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ ქორდის ბარბარე, თავისი რიტუალითა და მასთან დაკავშირებული რწმენით, ძველი წარმართობის საყურადღებო გადმონაშთს წარმოადგენს.

სოფ. ხურვალეთში ძველად ყოფილა წმ. ბარბარეს სახელობის ნიში. ამ სოფელში დღეობა „ბარბარობა“ აღდგომის მეორე ორშაბათს იმართებოდა. სახადმოხდილი ბავშვები სხვადასხვა სოფლებიდან მოჰყავდათ. შესაწირის მოტანა აღდგომის შემდგომ სამი კვირის განმავლობაში ყოფილა შესაძლებელი. მოსულებს ხელში მამალი, ან ცხვარი უნდა სჭეროდათ. იქვე ნიშთან ბაზმის სანთლებს აანთებდნენ, შემდეგ სუფრას შლიდნენ და მხიარულობდნენ **(**ცნობა მომაწოდა სოფ. ხურვალეთში მცხოვრებმა, 75 წლის დუნია გუჩაშვილმა)**

ასე რომ, დღეობა „ბარბარობა“ ქართლში ხალხური რწმენა-წარმოდგენის მიხედვით დაკავშირებული იყო უპირველეს ყოვლისა თვალის შუქისა და გადამდებ სნეულებათა დაავადებებთან. მხცოვან მოხუცებში მოპოვებული მასალის თანახმად, ქართლში წმ. ბარბარეს მისი სახელობის დღეობებზე უმეტეს შემთხვევაში შესთხოვდნენ ავადმყოფთა განკურნებას და მტკიცედ სჯეროდათ, რომ წმ. ბარბარე დაიცავდა მათ ოჯახებს და შთამომავლობას.

ლიტერატურა:
1. აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1991.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ- ბაბარ), თბ. 1941.
3. კიკნაძე ზ., შობიდან შობამდე, თბ., 1997.
4. მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
5. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში (პატარა ლიახვის, ფრონის, ფაწისა და ჯეჯორის ხეობები), თბ., 1997.
6. სოსიაშვილი გ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2007.
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1997.

ცხოვრება ტყვიავის თემში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (გორის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

მერი გიგუაშვილი, მადონა მოსიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ისტორიის დოქტორი

სოფელი ტყვიავი გორის რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი სოფელია. მის სიძველეს სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხი და იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთებიც ადასტურებს, რომელთაც ცნობილი არქეოლოგი ბ. კუფტინი ენეოლითის ხანას მიაკუთვნებდა [**8:69**]. იგი მდებარეობს პატარა ლიახვის ნაპირას. ისტორიული ცნობებით, ფეოდალური ხანის საქართველოში ტყვიავი ქსნის საერისთავოში შედიოდა. ქსნის ერისთავებს აქ დიდი ხოდაბუნები ჰქონიათ. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ქსნის ერისთავებს ერთ-ერთი რეზიდენცია აქ ჰქონიათ და ,,ქსნის ერისთავის ძე რევაზი სოფელ ტყვიავში ყოფილა, ყველა მას ემორჩილებოდა აზნაურიდან დაწყებული გლეხით დამთავრებული" [**1:74-75; 2:277**].

მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლე II-მ ქსნის საერისთავო დაჰყო-დაანაწილა (1777 წ.), ტყვიავი და მარანა მდ. პატარა ლიახვის გვერდის ძირის სოფლებთან ერთად ქსნის ერისთავის ვაჟს – როსტომს დაუტოვა.

1795 წელს გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, გორსა და შიდა ქართლის სოფლებს (მათ შორის - ტყვიავსაც) ერეკლემ ,,სარუსო" გადასახადი 3148 ხარვალი[1] პური შეაწერა [**4:124**].

ტყვიაველები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის სამსახურში და ქვეყნის მომხვდურთ საკადრის პასუხს სცემდნენ. მორიგე ჯარის ერთი დავთრის (1774 წ.) მიხედვით, ქართლის სხვა სოფლებთან (მეჯვრისხევი, ახალუბანი, ჯარიაშენი, იკორთა, არცევი, ქიწნისი, მარანა და სხვ. სულ - 58 სოფელი) ,,ტყვიავიდამ“ უნდა გამოსულიყვნენ: ქარელი დავითა, ჩიქლაძე ბერუა, იმერელი გოგიჭაშვილი დათუა, კოშუაშვილი ბერუა, დავითაშვილი ბერუა და დალაქიშვილი ბერუა“ [**7:336-337**]. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ ჯავახეთიდან გადმოსული გიორგი ტყვიავიდან უკვე აყრილი იყო [**7:337**].

ლეკთა თარეშისაგან თავის დასაცავად ტყვიაველებს ორი ციხე აუგიათ: ერთი ზემო უბანში, რომელსაც კორინთლიაანთ ციხეს უწოდებდნენ და რომელიც დღეს საცხოვრებელ ბინადაა გადაკეთებული და მეორე ქარელიაანთ უბანში, რომელსაც ხალხი ფიდოაანთ ციხეს უწოდებდა (იგი

[1] ხარვალი დაახლ - 41 კგ.

დღეისათვის ნანგრევების სახითაა შემორჩენილი). ციხე ქარელიაანთ უბანში XVIII საუკუნეში აუშენებია მოურავ თამაზ ქარელს [**4:128**]. მას ციხის აგებისათვის 2000 ოქრო დაუხარჯავს [**3**].

ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ტყვიავის ნაწილი ამილახვრიაანთ საყმოდ ითვლებოდა. ამილახვრები ქ. გორში ცხოვრობდნენ და გლეხები უხდიდნენ ღალას (მოსავლის მეოთხედს) სიმინდს, ხორბალს, ხილს და ა.შ.

XIX საუკუნეში ტყვიავი საქართველოს სხვა სოფლებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. სოფელში სხვა სახელმწიფო გადასახადების გარდა, არსებობდა სამამასახლისო გადასახადი, წელიწადში კომლზე თორმეტი აბაზი [**3**], რაც პატარა თანხა გლეხებისათვის არ იყო.

სოფლის ადმინისტრაციული გამგეობისათვის აუშენებიათ კანცელარია. ტყვიავის სამამასახლისოში შედიოდნენ სოფლები: ტყვიავი, მარანა, სათემო, ქიწნისი, ციცაგიაანთ კარი, ქვემო და ზემო არცევი, ქვეში, ფლავი და ფლავისმანი. მამასახლისის არჩევა ხდებოდა სამამასახლისოს საერთო კრებაზე, რომლის დროსაც, აღნიშნული სოფლებიდან ტყვიავში მოდიოდა ქუდზე კაცი (20 წლის ასაკიდან). მამასახლისს ირჩევდნენ სამი წლის ვადით. მისი ხელფასი თვეში 30 მანეთს შეადგენდა. სასამართლოს დამნაშავის გასამართლება შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაული 5 მანეთს არ აღემატებოდა. თუ ზარალი 5 მანეთს აღემატებოდა, გასამართლება ქ. გორში ხდებოდა [**3**].

1921 წლის 25 თებერვალი უმძიმესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით და ქართული სახელმწიფოებრიობის ხელყოფით დაიწყო ბნელი ხანა, რომელმაც რამდენიმე ათწლეულით გადასწია დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მყოფი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოს ისტორია. ქვეყანაში დაიწყო ,,ახალი ცხოვრება“. ბოლშევიკური ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ქვეყნის მართვას საკუთარი მეთოდებით, რომელშიც ,,პროლეტარიატის დიქტატურას“ გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა. წითელმა ტერორმა გრიგალივით გადაუარა ქვეყანას. რეპრესიები დაატყდა ქართულ სამღვდელოებას, ქართველ თავადაზნაურობას და ინტელიგენციას. ადგილებზე შეიქმნა თემების აღმასკომები, რომელთა მითითებითაც სოფლებში იდევნებოდნენ განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანები. მასიურად დაიწყო ეკლესიების დახურვა და მღვდლების ,,გაკრეჭვა“. XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა საქართველოში 1000-ზე მეტი ეკლესია დახურეს. ადგილობრივი თემების აღმასკომებიდან სამაზრო აღმასკომში იგზავნებოდა წერილები, სადაც აღნიშნული იყო, რომ იმ დროისათვის (1923 წელი) ყველა ეკლესია დახურული იყო [**5:5-7**].

მაგალითად, ჯერ კიდევ 1923 წელს გაცემული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ტყვიავში ორი ეკლესია ფუნქციონირებდა. ერთი ღვთისმშობლის, სადაც წირვას აღავლენდა მღვდელი შაქრო დარბუაშვილი [**5:79**], ხოლო მეორე ძელი ჭეშმარიტის, სადაც ამავე წლისათვის აღრიცხულია შემდეგი ქონება: ვერცხლის სახარება, ზარი (30 გირვანქა), საპატივცემულო გვირგვინები, ხატები შუშებით, ტრაპეზის ხატები, ჯვარი რკინისა და ა. შ. [**5:138**]. თუმცა, ანტირელიგიური კომიტეტისა და გორის სამაზრო აღმასკომის მიერ 1923 წელსვე გაცემული სხვა დადგენილებებიდან გამომდინარე, ტყვიავის ორივე ეკლესია უკვე დაკეტილია და წირვა-ლოცვა აღარ მიმდინარეობს [**5:449; 468**].

რეპრესიები შეეხო გამრჯე გლეხობასაც, რომელთაც თავიანთი ნიჭისა და შრომის წყალობით გარკვეული ქონება ჰქონდათ დაგროვილი. ხელისუფლებამ მოგვიანებით ისინი ,,კულაკებად“ მონათლა და ადგილობრივი აქტივისტების წაქეზებით დაიწყეს შეძლებულ გლეხთა ქონების ჩამორთმევა და განკულაკება.

განკულაკებულ გლეხთა ქონებას ხელისუფლება ბოლშევიკური პარტიის აქტივისტებს უნაწილებდა, რათა ამით, კრემლის იდეოლოგიის ერთგული ბრბოს გული მოეგო. ცვლილებები შეეხო ტყვიავსაც, მაზრის ერთ-ერთ დიდ და რევოლუციური ტრადიციებით მდიდარ სოფელს. ჩვენი ნაშრომი, ძირითადად, ეყრდნობა გორის სახელმწიფო არქივში დაცულ და დღემდე გამოუქვეყნებელ დოკუმენტს, რომელშიც XX საუკუნის 20-იანი წლების ტყვიავის თემის ცხოვრებაა აღწერილი და სოფელში მაცხოვრებელ 78 წლის ჟუჟუნა ქარელის მოგონებებს, ჩაწერილს 1999 წელს.

გორის სახელმწიფო არქივში არსებული დოკუმენტი ხელითაა ნაწერი თაბახის სამ ფურცელზე, გაკრული, ლამაზი ხელით, არ შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომები (ეტყობა, რომ მოხსენების დამწერი განათლებული ადამიანია, აზრებს გადმოგვცემს მკაფიოდ, გასაგებად, წინადადებები გამართულია). დოკუმენტს უზის ორი შტამპი (X10707-11282). მასში ნათქვამია, რომ წარსული თებერვლის თვის ინფორმაციულ მოხსენებასთან შედარებით, მარტის თვის განმავლობაში ტყვიავის თემის აღმასკომს შეეძლო უფრო მეტი საქმიანობის გაკეთება, როგორც აღმშენებლობით, ისე სხვა დარგებშიც, მაგრამ ვერ მოხერხდა, ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ თებერვლის თვის განმავლობაში ყოფილა გამუდმებით ცუდი დარები, რის მიზეზითაც აღმასკომს არ ჰქონია შეძლება დაკავშირებოდა თემის სოფლებს აღმშენებლობით დარგში და აგრეთვე სოფლების აღმასკომს.

1926 წლის 15 თებერვალს სოფ. ტყვიავში შემდგარა ტყვიავის თემის ტყვიავის უბნის საარჩევნო კრება. მისი დადგენილებიდან ჩანს, რომ ტყვიავის თემის მთელი იმდროინდელი მოსახლეობა შეადგენდა:

- მთელი მოსახლეობა იყო - 1228 სული;
- სრულწლოვანი მოქალაქენი - 622;
- საარჩევნო უფლება აღკვეცილნი - 17;
- საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქენი - 605;
- საარჩევნო უფლების მოქალაქენი გამოცხადდნენ არჩევნებზე და მიიღეს მონაწილეობა - 376.

მათ შორის: მამაკაცები - 228 და დედაკაცები - 148 [6]. ანუ, არჩევნებში მონაწილეობა მიუღია საარჩევნო ხმის მქონე მოსახლეობის 62%-ს, რაც მათ მაღალ აქტივობაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ 2008 წლის მონაცემებით სოფ. ტყვიავში ცხოვრობს 876 კომლი (დაახლოებით 4380 კაცი). ანუ, 1925 წლიდან - 2008 წლამდე, ე. ი. 83 წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობა 72%-ით გაზრდილა.

საარქივო დოკუმენტში ასევე ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 17 კაცს ჩამორთმეული აქვს საარჩევნო ხმის უფლება [6]. ჩვენი აზრით, ამ კატეგორიაში ის მოქალაქეები უნდა მოიაზრებოდნენ, რომლებიც მცირე ხნის წინ მოწყობილ 1924 წლის აჯანყებას თანაუგრძნობდნენ.

საინფორმაციო თვის განმავლობაში აღმასკომს შეუკეთებია ყველა ის გზები, სადაც შეუძლებელი იყო ურმით და ფეხით მიმოსვლა. ასევე აღუდგენია ოთხი ბოგირი, რაც მთლიანობაში 15 მანეთი დამჯდარა. ახალი შენობები აღმასკომს მარტის თვეში არ აუგია. განზრახული ყოფილა შეეკეთებინათ ტყვიავის შრომის სკოლა, რაზედაც შეუდგენიათ გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა, თუმცა, სათანადო დაფინანსების არ ქონის გამო, ეს საქმე გადადებულა. მითითებულ პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარებულა სოფლის სანიტარული მოწესრიგების თვალსაზრისითაც. აქტივისტებს სოფელი გაუსუფთავებიათ ჯაგნარებისაგან. გამოუყვიათ განსაკუთრებული კომისია, რომელსაც სამშენებლო ქვა, 100 ურემი ფიჩხი და მუშახელი მიუღია. საექიმო პუნქტს და მის თანამშრომლებს ჰქონიათ ,,შესაფერისობა და განზრახვა“, რომ აპრილში საექიმო პუნქტი გადაეტანათ შუა სოფლიდან სოფლის პირას. უფრო მეტ შესაფერის და უმჯობეს შენობაში. მედიკამენტების მხრივ საექიმო პუნქტი აკმაყოფილებდა კლიენტებს, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა. ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მედიკამენტები არ მოეპოვებოდათ პროვინციულ ქალაქებში. ეპიდემიური ავადმყოფობებისაგან თავიდან ასარიდებლად აღმასკომმა ადგილობრივ ხელისუფლებას სოფლები გააწმენდინა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

დოკუმენტის მიხედვით, ,,თემის აღმასკომს და საექიმო პუნქტს შორის ყოფილა კარგი დამოკიდებულება“. აღმასკომი პუნქტს აწვდიდა მოთხოვნილებისამებრ მუშას, ინვენტარს და სხვა. აღმასკომის და საექიმო პუნქტის შეთანხმებით მოუწყვიათ ,,წითელი ჯვრის" საზოგადოება, რომელსაც შეუგროვებია შეწირულობა [6].

როგორც მოხსენებიდან ჩანს, აღმასკომს უმსჯელია სოფელში განათლების მდგომარეობის საკითხზე, რადგან, ზოგიერთი სოფლის მასწავლებლები არ ყოფილან სრული პედაგოგიური მომზადებით [6].

განსაკუთრებით მოუწესრიგებელი ყოფილა მიწადმოწყობის საკითხი. მხოლოდ საანგარიშო თვის განმავლობაში მარტო მერეთიდან აღმასკომში 41 საჩივარი შესულა. ამ საჩივრების მოსაგვარებლად აღმასკომს გამოუყვია სპეციალური კომისია, რომელიც, განცხადებების მიხედვით, არკვევდა საჩივრის შინაარსსა და ,,გარემოებების სინამდვილეს“ საბჭოს წევრებისა და გლეხკომის წევრების თანდასწრებით. ამის შემდეგ, მიღებულ გადაწყვეტილებას აღმასკომი იხილავდა თავის სხდომაზე და თავის დადგენილებას უგზავნიდა მაზრას. თემში დაარსებულა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის გამგეობა შესდგომია საწევრო და საპაიო[1] გადასახადის შეგროვებას.

საინფორმაციო თვის განმავლობაში რაიგლეხკომს გაუფართოვებია სახარაზო და საწარმოების მუშაობა.

თითოეული გლეხკომი მიმართავდა მამულების კოლექტიურად დამუშავებას. რაიგლეხკომი ორ გადამწვარ ოჯახს დახმარებია 100-100 მანეთით. გარდა ამისა, რაიგლეხკომს დახმარება გაუწევია ღარიბი გლეხკაცობისათვისაც.

მითითებულ პერიოდში სოფელს შეწერილი ჰქონია ორი შრომითი ბეგარა: ტირიფონის არხის საჭიროებისათვის და წყალდიდობასთან საბრძოლველად.

ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ თემის მილიცია სულ 3 კაცისაგან შედგებოდა, რაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის უშიშროებას [6].

[1] საპაიო გადასახადი, რაიმე საერთო საქმეში თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი ფულით ან ქონებით.

როგორც ვხედავთ, საარქივო დოკუმენტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XX საუკუნის 20-იან წლებში ტყვიავის თემისა და სოფელ ტყვიავის მოსახლეობის, გარეგნული სახის, სანიტარული მდგომარეობის, ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების, ხელისუფლების იმდროინდელი პრიორიტეტების შესახებ.

დოკუმენტიდან ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ ,,თითოეული გლეხკომი მიმართავდნენ მამულების კოლექტიურ დამუშავებას". ანუ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას კოლექტივიზაციის პროცესი ოფიციალურად ჯერ არ ჰქონდა დაწყებული, ამის წინასწარი სამუშაოები სოფლად მაინც მიმდინარეობდა, რათა მოსახლეობისათვის საბჭოთა ხელისუფლებისა და კოლექტიური საკუთრების უპირატესობა ეჩვენებინათ, ხოლო ვინც ამას არ აღიარებდა, ოჯახთან ერთად, რეპრესიებისათვის იყო განწირული. ჩვენი აზრით, 17 ხმის უფლებაჩამორთმეული პირიც ამის მიმანიშნებელია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
2. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ტომი II, ტექსტი გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1964.
3. სოფელ ტყვიავში მცხოვრებ ქალბატონ ჟუჟუნა ქარელის მოგონებები „ტყვიავის წარსულიდან", ჩაწერილი 1999 წელს.
4. ალიმბარაშვილი ს., აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008;
5. სოსიაშვილი გ., საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2013.
6. გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი # 3, აღწერა # 1, საქმე, N43, არქივი 391, 1925.
7. ლორთქიფანიძე ი., საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XIV-B, თბ., 1947.
8. Куфтин Б., К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго Осетии, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, Тб., 1947.

კავკასიელ ხალხთა მოჰაჯირობა

ნიკოლოზ გიორგიშვილი, რომანი წიკლაური
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ისტორიის დოქტორი

ჩრდილო კავკასიელი მთიელების გადასახლება ოსმალეთში 1884-1887 წლებში დღემდის განიხილება, როგორც მოჰაჯირობა, ესე იგი გადასახლება რელიგიური მოტივებით, რომელმაც მოიცვა მთელი ჩრდილო კავკასიელი ხალხები. გადასახლების მიზეზი იყო, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ხასიათის. ეკონომიკური თვალსაზრისით, მოჰაჯირობა უკავშირდება საგლეხო და აგრარული რეფორმის გატარებას XIX საუკუნის II ნახევარში. 1867 წელს საგლეხო რეფორმა ჩატარდა ბალყარელებთან, თერგის ოლქში, ხოლო 1868 წელს - ყარაჩაელებთან, ყუბანის ოლქში. გათავისუფლების ეს პროცესი გაიწელა რამდენიმე წლის განმავლობაში. 1868 წელს ყარაჩაელებს გადასცეს შეპირებული მიწები ჩამორთმეული ეშკაგონის საძოვრების სანაცვლოდ, სულ - 26000 დესეტინა მიწა ყუბანის სანაპიროზე, 14000 დესეტინა მიწა მდინარე ტებერტის მარცხენა მხარეს. ამ ტერიტორიებზე უნდა დასახლებულიყვნენ უმიწო და მცირე მიწიანი გლეხები ბატონყმობიდან გათავისუფლების შემდეგ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. 1868 წელს საგლეხო რეფორმა დამთავრდა, მაგრამ შექმნილი სურათი არ ასახავდა არსებულ რეალობას. ეს მიწები არ გადაეცათ ბატონყმობიდან გათავისუფლებულ გლეხებს სათემო საკუთრებად. მიწით სარგებლობის უფლება

ჰქონდა თემის შეზღუდულ რაოდენობას. ვისაც არ სურდა, რომ ყოფილიყო მეფის რუსეთის ადმინისტრაციის სოციალური კონტროლის ქვეშ, უკეთესი ცხოვრების იმედით, ოსმალეთის იმპერიისკენ გაემართა. ამ გადასახლებით ისინი ფიქრობდნენ, რომ შეინარჩუნებდნენ თავის ნაციონალურ, კულტურულ, სოციალურ და რელიგიურ თვითმყოფადობას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მცირე მიწიანი და უმიწო გლეხები გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდნენ რუსეთის იმპერიისათვის, ამიტომ ემიგრაცია ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა ამ მდგომარეობიდან.

ყაბარდოელების, ჩერქეზების, ოსების გადასახლება 1884-1887 წწ-ში ხორციელდებოდა სახმელეთო გზით, ამიერკავკასიის გავლით და საზღვაო - შავი ზღვით. გადასახლებული მოსახლეობის დასახლება თურქეთის ტერიტორიაზე ხდებოდა იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ანატოლიის რეგიონში ტოკატის, სივასის და კაისერის ახლოს [1].

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოჰაჯირობა ყარაჩაელებისა და ბალყარელებისა მთლიანად არ უკავშირდებოდა რუსეთის ომს კავკასიაში. ეს იყო ,,ნებაყოფლობითი“ პროცესი და მიმდინარეობდა მშვიდობიანობის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები რუსეთის მფარველობაში კავკასიის ომის დაწყებამდე შევიდნენ. 1827 წელს ბალყარელებმა ფიცი დადეს იმპერატორ ნიკოლოზ I ერთგულებაზე. კავკასიის ომში არ მონაწილეობდნენ ყარაჩაელები და ბალყარელები. რუსეთის მმართველობა ცდილობდა მშვიდობიანი რეფორმების გატარებით მოეხდინათ ამ ახალი ტერიტორიის ინტეგრაცია რუსეთის იმპერიაში. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის მთავრობა ახალ ტერიტორიებს მართავდა ადგილობრივ თავადთა მეშვეობით. ისინი არეგულირებდნენ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას ფეოდალურ საზოგადოებაში. 80-იან წლებში რუსეთი მკაცრი პოლიტიკის გატარებას იწყებს, რამაც ასახვა ჰპოვა რეფორმებში, მცირე მღელვარებაც კი მთიელთა აულებში იწვევდა რეპრესიების ტალღას. გაიზარდა კოლონიური ჩაგვრა. ყარაჩაელებს, ჩერქეზებს და სხვა ჩრდილო კავკასიელებს ჩამოერთვათ ისედაც შეზღუდული თვითმმართველობა და პოლიტიკური უფლებები. ყუბანის ოლქის მმართველობა გახდა სამხედრო ხასიათის და დაექვემდებარა კაზაკურ ადმინისტრაციას. ბალყარელების დიდი ნაწილი თერგის ოლქიდან მეზობელ ყაბარდოელებთან და ოსებთან ერთად გადასახლდნენ ოსმალეთში. ყაბარდოელი თავადები აქტიურად მოუწოდებდნენ მთიელებს მუჰაჯირობისაკენ, რადგანაც ბატონყმობის გაუქმებამ განსაკუთრებულად დაარტყა მათ კეთილდღეობას, თურქეთში კი იმედი ჰქონდათ რომ შეინარჩუნებდნენ ზეგავლენას გლეხებზე. ასევე აგიტაციას ეწეოდნენ მუსლიმი სასულიერო პირები, რომელნიც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მთავარი მიზეზი მათი გადასახლებისა, მაინც სოციალური იყო და უკავშირდებოდა საგლეხო რეფორმას. რეფორმის განხორციელებამდე მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 3319 ოჯახს, ხოლო რეფორმის გატარების შემდეგ ადგილზე 81 ოჯახი დარჩა. პირველი მუჰაჯირები იყვნენ მცირე ნაწილი მდიდარი ფენებიდან. (ვაები, ჩანკები, ტაობინები), რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდათ მესაკუთრის უფლება და უღატაკესი ნაწილი გლეხებისა, რომლებიც გათავისუფლდნენ ყმობიდან, მაგრამ დარჩნენ უმიწოდ [2].

მიგრაციის II ტალღა ყარაჩაიდან და ბალყარეთიდან წამოვიდა 1905-1907 წლებში. ხალხის მახსოვრობაში ამ პერიოდის გადასახლებულები არსებობენ, როგორც მეორე სტამბულელები (ეკიჩის ტამბულჩულა). XX საუკუნის გადასახლებითმა ხასიათმა მოიცვა მთელი კავკასიის მუსლიმანური ხალხები. 1902 წელს ყარაჩაელთა დასახლებებმა თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას, ნება მიეცა გადასახლებულიყვნენ, იმ მოტივით, რომ მათ არ ჰქონდათ მიწა. 1905 წელს თბილისში შეიქმნა კომისია მიწის საკითხის გამოკვლევისთვის თერგის ოლქის ამ ნაწილში, სადაც მოვიდნენ ყარაჩაელი ხალხის უფლებამოსილი პირები, თხოვნით, რომ კომისიას გამოეკვლია მიწის საკითხი. კომისიამ მუშაობა დაიწყო 1906 წლის 1 მაისს, ვლადიკავკაზში. მიზანი ამ კომისიისა იყო მიწათმფლობელთა მიწაზე საკუთრების უფლების შემცირება. თუმცა, კომისიის პროექტები აბრამოვის ხელმძღვანელობით ხელისუფლების მიერ გაზიარებული არ იქნა.

1904-1906 წლებში ყარაჩაელებში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მიწათმფლობელებს აღარ სჯეროდათ, რომ საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყდებოდა და დაიწყეს მიწების დატაცება. XIX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა მიწათმფლობელთა ახალი კლასი საშუალო ფენებიდან. ამ დროისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით გაძლიერდნენ ქრისტიანული ღვთისმსახურები, რომლებიც ცდილობდნენ გადმოებირებინათ კავკასიელები თავის სარწმუნოებაზე, 1960 წელს კავკასიაში დააარსეს მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება. თავისი გავლენა გაავრცელეს ოსეთზე და ყაბარდოზე. 1898 წელს დაარსდა ანტიმუსლიმანური მისია, რომელიც ეწეოდა რელიგიურ საგანმანათლებლო მუშაობას, მომთაბარე თურქმანებს შორის, აგრეთვე მთიელ ყარაჩაელებს, ჩერქეზებს და ადიღეელებს შორის [1].

ყარაჩაელების რეპრესიები იწყება სტალინის მმართველობამდე უფრო ადრე. ადრინდელი რეპრესიები ხორციელდებოდა სოციალური, იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნებით, ხოლო 70-იანი წლების რეპრესიები წარმოადგენდა ეთნიკური ნიშნით დევნას, აღნიშნავდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსლან ხაბოევი, რომელიც ხელმძღვანელობდა 70-იანი წლების ათასობით ბავშვის, ქალის და მოხუცებულის ტრაგედიას, რომელთაც თვალის დახამხამებაში დაკარგეს სამშობლო, საუკუნეების მანძილზე მოპოვებული მემკვიდრეობა [2].

როდესაც ვსაუბრობთ ყარაჩაელების დეპორტაციის შესახებ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტალინის 1920-1930-იანი წლების რეპრესიები შეეხო ჩერქეზებს, ნოღაელებს და სხვა ერებს, ამიტომაც ყარაჩაელების ტკივილი ნაცნობია ყველა ერისთვის. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში 1941-1944 წლებში ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან, ბალყარეთიდან დეპორტირებულ იქნა 485000 ადამიანი, ყაბარდოდან - 37000, მაჰმადიანი მესხი - 100000.

ამ დეპორტაციას მხარს უჭერდნენ მუსლიმური სასულიერო პირები, რომლის ხელშეწყობითაც 45000 ადამიანი აღმოჩნდა უცხო ქვეყნის მიწა-წყალზე. გადასახლებულების სახით კი თურქმა ფეოდალებმა შეიძინეს მრავალრიცხოვანი იაფი მონა და მუშა ხელი, რომელთა ვაჭრობითაც მიიღეს უდიდესი მოგება. გადასახლებულთა სიღარიბემ და შიმშილმა აიძულა გლეხები გაეყიდათ ცოლები და შვილები. მარტო 1863-64 წელს მონად გაიყიდა დაახლოებით 100 000 ჩრდილო კავკასიელი. ისარგებლეს რა ამ ხალხების მძიმე მდგომარეობით, თურქებმა დაარღვიეს გადასახლების ძირითადი პირობა, რომელიც გულისხმობდა რეკრუტირების გადავადებას 20 წლით, თურქეთის მთავრობა მათ როგორც მოხალისეებს გზავნიდა ჯარში [2].

ჩერქეზები ითვლებოდნენ ერთ-ერთ უძველეს ხალხად ჩრდილო კავკასიაში. მანამ რუსეთი კავკასიაში ომს დაიწყებდა, საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ჩერქეზებთან. უფრო მეტიც, მათ რუსეთთან საქორწინო კავშირიც კი გააფორმეს, როდესაც ივანე IV მრისხანემ ცოლად შეირთო ყაბარდოელი დიდი მთავრის თემურყვას ქალიშვილი და რომელსაც გაქრისტიანების შემდეგ მარია ეწოდა, მაგრამ რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირებამ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად, გამოიწვია ომი ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც 100 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამ პირობების გათვალისწინებით, 1760 წელს შეიქმნა სამხედრო ხაზი ყიზლარიდან მოზდოკამდე. სწორედ 1763 წლიდან დაიწყო ასწლიანი ომი რუსეთსა და ჩერქეზებს შორის, რომელიც 1864 წლის ზაფხულში დამთავრდა.

1772 წელს რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შედის ყაბარდო. თუმცა, რუსეთსა და ჩრდ. კავკასიას შორის ურთიერთობა კვლავ გაუარესდა, რაც განაპირობა 1774 წელს ქუჯუკ-კაინარჯის ზავმა და 1825 წელს ერმოლოვის ბრძანებამ, ყაბარდოელების მთიდან ბარში ჩამოსახლების შესახებ, რასაც მთიელთა წინააღმდეგობა მოჰყვა. მაშინ ერმოლოვი შეესია მათ ქალაქებსა და სოფლებს. რუსეთის ომმა ჩერქეზეთში მიიღო სამართლებრივი ხასიათი, 1829 წლის 14 სექტემბრის მშვიდობის ხელშეკრულებით დამოუკიდებელი ქვეყანა ხელიდან ხელში გადადიოდა რუსეთსა და თურქეთს შორის.

1830 წელს დაიწყო ომი გენერალ პასკევიჩის მეთაურობით ჩერქეზეთთან. 8 წლის განმავლობაში კავკასიის სამეფო ჯარის მთელი ძალები მიმართული იყო ჩერქეზთა წინააღმდეგ. სამეფო ჯარი თავის გზაზე ანადგურებდა ყველაფერს, ასეთი ქმედებები ყოველთვის იძლეოდა რუსებისთვის სასურველ შედეგს [3].

ამდენად მთავარი ეტაპი რუსულ-ჩერქეზული ომისა იყო;

1.1846 წლამდე, როდესაც გრაფი ვორონცოვი დაინიშნა ჯარის მეთაურად, ომს რუსეთის მხრიდან მიეცა პარტიზანული ხასიათი.

2.1846-1856 წლებში, სანამ კავკასიაში დაინიშნებოდა თავადი ბარიატინსკი, ომი რუსეთის მხრიდან იღებს ,,ნელი პროგრესის“ ხასიათს და იწყება კაზაკების მიერ ადგილობრივი მიწების კოლონიზაცია. [ჩერქეზთა ერთი სოფლის დაპყრობას თითქმის ერთი ზაფხული მოანდომეს]

3.1856-1864 წლებში უკვე ერთვება სამეფო ჯარი, რასაც მოჰყვა სოფლების განადგურება და მოსახლეობის გადასახლება - მუჰაჯირობა.

თურქეთთან 1828-29 წლების ომის დამთავრების შემდეგ, სამეფო ჯარის დიდი ნაწილი პასკევიჩის მეთაურობით გადავიდა ყუბანში და შეესია შაპსუღების მიწებს. მათ მიერ განადგურებულ სოფლებში შეასახლეს კაზაკები.

კავკასიელები უომრად არ დანებებულან. რუსეთის რეგულარული არმიის დანაკარგი ჩრდ. კავკასიაში უდიდესი იყო. მხოლოდ 7 წლის განმავლობაში კავკასიაში დაიღუპა 120 000 რუსი მეომარი, ეს რაოდენობა უთანაბრდება მთელ არმიას. 1864 წლამდე კავკასიის მიწაზე მილიონ ნახევარი რუსი ჯარისკაცი დაეცა [3].

კავკასიელი მთიელების დაპყრობის პოლიტიკამ გამოიწვია კანონზომიერი საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც გადაიზარდა განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩრდილო კავკასიელებისა, ამ ბრძოლამ განსაკუთრებული სახე XIX საუკუნეში მიიღო.

ჩერქეზების განდევნაში აქტიურად მონაწილეობდა 3 იმპერია: რუსეთი, ოსმალეთი და ბრიტანეთი. ბრძოლა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო, დაიწყო 1862 წლის 10 მაისს, როდესაც ჩატარდა და დამტკიცებული იქნა დადგენილება კავკასიის კომიტეტის მიერ მთიელების გადასახლების შესახებ. ოსმალეთის იმპერია, რომლის უკან იდგა ინგლისი და საფრანგეთი, ცდილობდა გამოეყენებინა ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ, მეორე მხრივ სარგებლობდა შექმნილი სიტუაციით და ოსმალეთის ემისრებს მოუწოდებდა მთიელების მოჰაჯირობისაკენ. პირველად ძალადობრივი გადასახლებულები იყვნენ ნატუხაელები, რომელთაც ეკავათ ტერიტორია ანაპასა და ცეენებს შორის. შემდეგ დაიწყეს შაფსუღებისა და აბაზგების გადასახლება. 1864 წლისათვის კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ფაქტობრივად ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე დარჩა. დაახლოებით 120 000-დან 150 000-მდე ჩერქეზი იძულებით იქნა გადასახლებული მეფის ხელისუფლების მიერ, ხოლო მილიონ-ნახევარი საკუთარი ნებით გადასახლდა ოსმალეთში.

1858 წელს პოლკოვნიკმა ბაჩინმა გადაწვა 23 ჩერქეზული სოფელი. გენერალმა ვლასოვმა დაწვა 17 დიდი და 119 პატარა სოფელი, რასაც მოჰყვა ამ ადგილებში 25 000 კაზაკის ჩასახლება.

1861 წელს გრაფი ელდოკიმოვის მიერ ჩერქეზეთში კაზაკების ჩასახლების გამო, ჩერქეზები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ.

თანამედროვე გადმოგვცემს, რომ ჩერქეზები ძალიან იაფად ფასობდნენ სტამბულის ბაზარზე, თავიდან თურქები ჩერქეზებს იღებდნენ ყოველგვარი გამორჩენის გარეშე. პირველი გადასახლებულები შემლებული მოსახლეობა იყო და ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას და მოვლას არ ითხოვდნენ, რაც ძალიან აწყობდა თურქეთს, რადგან მათში ხედავდნენ ჯარის შევსების კარგ საშუალებას. ოსმალეთის ხელისუფლება ჩერქეზებს ასახლებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ქრისტიანულ მოსახლეობას შორის, რათა ისინი ყოფილიყვნენ მუდმივი წარმომადგენლები თურქეთის ხელისუფლებისა ამ ხალხში [3].

პირველი ემიგრაციისას, 1864 წლის ზამთარში თითქმის 12 000 ადამიანი დაიღუპა, გადარჩენილებმა ოსმალეთში ჩაიტანეს ტიფი, ჭირი და სხვა ეპიდემიები, ამით შეშინებულმა თურქებმა გადაწყვიტეს ჩაეყენებინათ სანაპირო ჯარები და არ მიეცათ საშუალება ემიგრანტებისათვის მიახლოებოდნენ დასახლებულ პუნქტებს. ეპიდემიებით შეშინებული სულთნის ხელისუფლებამ, გადასახლებულთათვის შექმნა სპეციალური ბანაკები, რომლებიც წარმოადგენდნენ ფაქტობრივად სიკვდილის ბანაკებს. ასეთი ბანაკი იყო მაგალითად აჩ-კალე, ტრაპეზუნტთან ახლოს. 1863 წლის ბოლომდე ოსმალეთში დასახლების მცხოვრებლები გადასახლებულებს ეკიდებოდნენ მოთმენით, მაგრამ როდესაც გემებზე დაიწყეს ავადმყოფების, უფრო მეტიც, მკვდრების დატვირთვა, წინააღმდეგობის გაწევა გადასახლებულთა მიღებაზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს პროცესი, კიდევ უფრო ართულებდა ჩერქეზების კოლონიზაციას ბალკანეთში. ჩერქეზი დევნილები კონსტაციდან, ვანიდან და ბექსას პორტებიდან იგზავნებოდნენ ადრიანოპოლში, შუვნაში და სხვ. 1864 წელს ქალაქ ლომში გაიგზავნა 6000 დევნილი. მათ შორის გადაყვანილი იქნენ ნიშაში. დანარჩენები განაწილებულები იქნენ ვიდენაში, სირისტრში და სვისტოვაში. ამასთან ერთად განაწილებულები იქნენ ბულგარეთის ჩრდილო ნაწილში. ჩერქეზები მიდიოდნენ სოფიაში, ნიკოპოლში, რუშუქში, დურბუჯასა და კოსოვოში. 1839-1876 წლებში ისევ აყარეს და გადაასახლეს იმპერიის შიდა რაიონებში, ანატოლიასა და ახლო-აღმოსავლეთში..

1864 წლის 21 მაისს მრავალწლიანი კავკასიის ომი (1817-1864) დამთავრებულად გამოცხადდა. რუსეთის ხელისუფლებას სურდა სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან დანარჩენი კავკასია [3].

ჩრდილო კავკასიელთა: უბიხების, ადიღეელების, ჩერქეზების, ნოღაელების, ყაბარდოელების, ყარაჩაელების და სხვა ხალხთა მსგავსად, თურქეთში გადასახლება განიცადეს აფხაზებმაც. მუჰაჯირობის შედეგად გაუკაცრიელდა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი. რუსეთმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა ჩაესახლებინათ კაზაკები. ამ კაზაკებიდან უნდა შექმნილიყო კაზაკთა ჯარი, რასაც ადგილობრივი მემამულეები ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომ საჭირო იყო მათი გასახლება. ეს პროცესი განხორციელდა ნაწილობრივ. 1866 წლისათვის დაიწყო სოხუმში საგლეხო რეფორმა, რამაც მასობრივი უკმაყოფილება და სახალხო აჯანყება გამოიწვია. 1866 წელს აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაჩნდა გეგმა - აფხაზების გადასახლების შესახებ თურქეთში. 1865 წელს, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობისთანავე გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო და რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. ამას მალევე მოჰყვა 1867 წელს

ოსმალეთში 20 ათასი აფხაზის მოჰაჯირობა, რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას 1877-1878 წლებში მოხდა აფხაზების ხელმეორედ გადასახლება ოსმალეთში, დაახლოებით 30 ათასი კაცის ოდენობით.

1866 წლის 10 მარტის დებულებით აფხაზეთის ტერიტორიის შავი ზღვის სანაპირო ზოლი განსაზღვრული იყო რუსი მოახალშენეებისთვის. აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულებს ეძლეოდათ 30 დესეტინა მიწა ოჯახზე და გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ 15 წლით [4].

ამრიგად, XIX საუკუნეში მიმდინარე პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს აფხაზეთის ეთნიკური სახე. საკუთრივ აფხაზეთში ჩამოსახლებული აფსუა-ადიღეელების ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციით ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი.

თუ მთლიანად შევაჯამებთ სამხედრო-ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგებს, რომელიც XIX საუკუნეში მოხდა კავკასიაში, ისინი არაერთგვაროვანია. ეს პროცესი მიმდინარეობდა რთულ პირობებში ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ჩარჩოებში. მეფის რუსეთის გარდაქმნას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რუსეთთან შედარებით შეიცვალა მდგომარეობა ჩრდ. კავკასიაში, ჩამოყალიბდა ახალი მმართველობის სისტემა. დაცლილ რეგიონებში ჩასახლდა სხვა ხალხი, რომლის მართვაც უფრო ადვილი გახდა. დროთა განმავლობაში რუსეთი გახდა საიმედო გარანტი მათი დაცვისა, თუმცა, ყოველივე ამის მიღწევა მოხდა ძალიან დიდი ფასის შედეგად, რასაც მოჰყვა მატერიალური და ადამიანური მსხვერპლი.

კავკასიელი ხალხების ამ ეროვნულმა ტრაგედიამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ განვითარებულ პროცესებზე და დღემდე ჩრდილო კავკასია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ კონფლიქტურ ზონად. ეს ბრძოლა ჩრდილო კავკასიის ერებსა და რუსეთს შორის უდიდეს ზეგავლენას ახდენს სხვა კავკასიელი ხალხების ბედზე, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში.

ლიტერატურა:

1. Кипкеева З.Б., Карачаево-балкарская диаспора в турции, Ставропол. 2001.
2. ალექსანდროვი ს., ჩრდილო კავკასიელი ხალხების გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX ს 50-იან 60-იან წლებში, დისერტაცია.
3. ივანოვი ა., ჩერქეზების და ადიღეელების გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIII-XIX სს, დისერტაცია.
4. ხორავა ბ., აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, 2004.

ლევან ერეკლეს ძე ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ნანი დანიელოვი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** პროფესორი

ლევან ბატონიშვილი დაიბადა **1756** წლის **9 თებერვალს**. იგი უფროსი იყო **დარეჯან** დედოფლის ვაჟიშვილებს შორის [3. 62-63]. **ერეკლე II**-ს 24 შვილი ჰყავდა, იგი გამორჩეული ჭაბუკი იყო და ძალიან უყვარდა **დარეჯან დედოფალს**, თუმცა იძულებული გახდა აღსაზრდელად სხვისთვის გადაეცა...

მოუსვენარი ცხოვრება ჰქონდა **ერეკლე II-ს თეიმურაზ II**-ის რუსეთში გამგზავრებამდე უმთავრესად თელავში იჯდა. ბუნებრივია, თავისთან ჰყავდა ახალგაზრდა დედოფალიც, ამიტომაც **ლევანი თეიმურაზ II**-ის მეუღლეს, **ანა-ხანუმმს** დაუტოვა. უბედობა დაჰყვა ულამაზეს, სათნო **ანა-ხანუმს**: მისი აღზრდილები უცნაური განგების ნებით ნაადრევად კვდებოდნენ.

პატარა **ლევანი** სვეუბედური **ანა-ხანუმის** საბოლოო იმედად იქცა. ნებიერი ბავშვობა ჰქონდა უფლისწულს, ლაღად იზრდებოდა მზრუნველი გადიებისა და სასულიერო პირების ხელში; მის სახელზე ირიცხებოდა **ანა-ხანუმის** ქონებაც და არაგვის საერისთავოც.

ლევან ბატონიშვილს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი ასწავლიდა. წყაროთა ცნობით, იგი ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სამხედრო ხელოვნებით. უკვე **16** წლის ასაკში ბატონიშვილი მამას მხარში ამოუდგა და ქვეყნის მართვა-გამგეობაში აქტიურად მონაწილეობდა. ამ მხრივ მას ვერცერთი ძმა ვერ შეედრებოდა. მან ჯერ კიდევ **14** წლის ასაკში დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები, როდესაც **1770** წელს მამამისმა თან წაიყვანა **ახალციხის საფაშოს** წინააღმდეგ სალაშქროდ. **ლევანი** მონაწილეობდა **აწყურის ციხის** აღებაში და გენერალი **ტოტლებენის** მოულოდნელი უკუქცევის შემდეგ თავი გამოიჩინა **ასპინძის ბრძოლაშიც**.

ლევან ბატონიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა **XVIII-სკ-ის 70-იან** წლების თავადური ოპოზიციის განადგურებაში, მისი მონაწილეობით მოხდა **1776 წ** ცარიზმის აგენტის **ბაკუნინის** შეთქმულების მხილება, **1777** წლის ქსნის ერისთავების ღალატის ლიკვიდაცია. იგი ცალკე კორპუსს მეთაურობდა **ერეკლეს 1776 წლის განჯაზე, 1779 და 1780 წლებში ერევანზე** ლაშქრობის დროს [5. 1]. იგი არამარტო სამხედრო ნიჭით იყო დაჯილდოებული, არამედ აქტიურად ერთვებოდა პოლიტიკაში, კერძოდ იგი ელჩად იყო გაგზავნილი, რუსეთში **ანტონ კათალიკოსთან** ერთად **1772** წელს, რათა **რუსეთის** მთავრობის მფარველობა ეთხოვა და ამასთან ტრაქტატი გაეფორმებინა. მათ **ეკატერინე II-ს** წარუდგინეს ერეკლე მეფის საჩუქრები და ხელშეკრულების პუნქტები, რომლის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლას აპირებდა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, ელჩობა წარუმატებლად დამთავრდა. ახალგაზრდა **ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსის** მსგავსად, რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. როგორც **ალექსანდრე ორბელიანი** წერს, გარდა დიპლომატიური დავალებისა, **ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის** ელჩობას **„ეკატერინა ხელმწიფის კარზედ“** ყოფნისას სხვა მიზეზებიც ჰქონდა **„შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილება, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი, რომ იქაურის კვალობაზედ საქართველოშიც ისე დააწყონ“** [3. 63-64].

ამის უტყუარი დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ **ასტრახანში** ყოფნისას **ლევანმ**ა იქაურ გუბერნატორს, **პორუჩიკ ბეკეტოვს** თხოვნით მიმართა, რათა იგი **რუსეთის** სამხედრო სამსახურში მიეღოთ. **ბეკეტოვი** კი ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს **პანინს** ატყობინებდა, თუმცა **ლევანის** თხოვნა ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო არ დაკმაყოფილდა.

1772-1774 წწ წარუმატებელი ელჩობის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა მის მიმართ ძალზე გულმოსული მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში. ასეთ პირობებში საჭირო იყო დიპლომატური ლავირება **სპარსეთსა და თურქეთს** შორის. მათ შორის წინააღმდეგობას ჯეროვნად იყენებდა მეფე **ერეკლე**, მაგრამ **ლეკების** გამუდმებული შემოსევების მოგერიება დიპლომატიური სვლებით შეუძლებელი იყო და საჭირო გახდა საკუთარ მყარ სამხედრო ძალაზე დაყრდნობა. ასეთ რთულ ვითარებაში **ლევან ბატონიშვილი** გახდა **„მორიგე ჯარის“** შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი [3. 64-65]. მან ოფიციალურად მიიღო სარდლობა, სამეფოში **ლევანის** პოზიცია უფრო განმტკიცდა **ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის** ასულზე, **ნინოზე** დაქორწინებით. **„მორიგე ჯარი**“ საგრძნობლად აძლიერებდა მეფის ხელისუფლებას. ერეკლეს ისტორიკოსი **ომან ხერხეულიძე** წერს: **„გარნა**“ ჩვეულნი იგი არა დაცხრებოდნენ რბევასა ქართლისასა, ა(რამე)დ მოჰსცა ღმერთმან მეფესა **ირაკლის** ძე ერთი სახელად **ლეონ,** რ(ომე)ლიცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან **ლეკნი** და მოსპო ამან **ლეონ** ხშირად ჰრბევდა **ქართლსა ლეკთაგან** და ეგრევე განაწესა მეფემან **ირაკლი** მორიგე **ქართლ-კახეთით** რ(ომ)ლითაცა დიდად ისარგებლა და იყო მარადის სამი ათასამდის განმზადებული ჯარი, **თავადნი, აზნაურნი** და **გლეხნი** და ამათთანა თვით **ძენიცა** მისნი. ყოველნივე თვითოსა თუესა გარდაიხდიდნენ და სადაცა იყო **ლეკთაგან** საფიქრო ადგილი, მუნ მდგომარეობდნენ, რ(ომ)ლისა გამო დიდად შეშინდნენ **ლეკნი** და ამის გარნა კუალდაცა შეირიგა **დაღესტნის** პირველნი ბელადნი და თვით **ომარ-ხან** და მისცა ჯამაგირი რაოდენ ძალა ედვა და ამ ჟამსა ფრიად დაამშვიდეს **ქართლ-კახეთი** და იწყეს მოოხრებულთა დაბნებთა შორის **საქართველოსათა** შენობა და მრავალნი სოფელნი აშენებდნენ **ქართლ-კახეთსა** შინა და **სომხითსა“**.

„მორიგე ჯარის“ შექმნისა და დაკანონების მიზნით **1773** წლის ბოლოს **ერეკლემ** დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც **ლეკთა** ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. **1774 წლის 4 იანვარს** დარბაზმა შეიმუშავა **„მორიგე ჯარის**“ განჩინება. („**მორიგე ჯარს**“ სხვანაირად „**რეგულს**“ ეწოდებოდა)

სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად, **ერეკლემ** საჩქაროდ მთელი **ქართლ-კახეთის** მამრობითი სქესის მოსახლეობის აღწერა მოახდინა, ის თორმეტ ნაწილად გააყოფინა და ერთი დიდი დავთარი შეადგენინა, რომლის ასლები სოფლის მებატონეებს და მოსახლეობას დაურიგა.

ყოველი ქვეშევრდომი სარწმუნოებისა და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ვალდებული იყო, რომ ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი წელიწადში ერთი თვის განმავლობაში სალაშქროდ გამოსულიყო და სამხედრო ბეგარა მოეხადა. თითოეული მოლაშქრე თავისი ხარჯით მიდიოდა „**მორიგე ჯარში**“ სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ის გამოდიოდა საკუთარი **იარაღით, ტყვია-წამლით, ტანისამოსით და სურსათ-სანოვაგით**. ხოლო თუ გასაწვევი გლეხკაცი უქონელი და ღარიბი იქნებოდა, ის მებატონეს უნდა უზრუნველეყო **5 თუნგი ღვინით, 1 კოდი პურითა და 1 თვის სამყოფი მარილით**: „ჩვენ რომ ჯარს სურსათის დაუწყოთ ძლევა, ჩვენს სარქარს სურსათის მიცემის ბინა არ ექნება“, ამბობდა განჩინების ერთ-ერთი მუხლი [6. 119].

„**მორიგე ჯარის**“ ბეგარა სავალდებულო არ იყო აღებ-მიცემობის კაცთათვის, **დუქნის პატრონთათვის**, მათ შეეძლოთ თავისი **ბადალი** ე.ი. შემცვლელი ეშოვნათ. **ბადალის** გაგზავნა შეეძლოთ აგრეთვე **მწყემსებს, მებაღეებს, ხაბაზებს, მზარეულებს, შეძლებულ მეწისქვილეებს** და **გუთნისდედებს**, ამ უკანასკნელთ მხოლოდ ხვნის დროს. ურჩობისა და დამალვისთვის მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული, სახელდობრივ ჯარიმა, თავადისათვის **20** თუმანი, აზნაურთათვის **10** თუმანი, სოფლის მოხელესთვის, ნაცვლის, ქემხისა და სხვათათვის **6** თუმანი. თუ დამნაშავე თავადიშვილი ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, ერთი თვით სატუსაღოში ჩასმა მოელოდა საკუთარი პურითა და ღვინით, აზნაურიშვილისათვის კი სატუსაღოში ჩასმამდე ასი ჯოხი უნდა დაერტყათ. გასაწვევი სიები სოფლის მღვდელს უნდა ჰქონოდა, თუ სიას კარგად ვერ შეინახავდა მას ჯარიმის სახით, ორი ხარი უნდა წართმეოდა.

თუ გლეხკაცი თავის მორიგეობაში დააგვიანებდა, რუსული წესის მიხედვით, წკეპლაში უნდა გაეტარებინათ იმდენჯერ, რამდენ დღესაც გააცდენდა. დაგვიანების საპატიო მიზეზად ითვლებოდა ავადმყოფობა, ახლობელთა სიკვდილი და ლეკების მდევარში ჩაბმა, მხოლოდ დაგვიანებულს სოფლიდან სათანადო მოწმობა უნდა მოეტანა.

ახალი ბეგარა გლეხკაცობას მეტისმეტად მძიმე ტვირთად რომ არ დასწოლოდა, მეფემ ამის სანაცვლოდ ქართლ-კახეთის გლეხობა სასურსათო გადასახადისგან გაათავისუფლა. მათ შორის იყო **სამასპინძლო ბეგარა**, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ბეგარად ითვლებოდა. [6. 119-120].

„**მორიგე ჯარის**“ მართვა შემდეგნაირად ხდებოდა: „**მორიგე ლაშქარში**“ გლეხების უკლებლად გამოცხადებაზე **სოფლის მებატონე** და **მოხელე** იყვნენ პასუხისმგებელნი. „**მორიგე ლაშქარი**“ ცალკეულ ერთეულებად იყოფოდა, რომლებსაც მეფის მიერ დანიშნული მეთაურები, **ასისთავნი, ხუთასისთავნი და ათასისთავნი** ხელმძღვანელობდნენ. პირველ ხანებში „**მორიგე ლაშქარში**“ ყოველთვიურად **5000** მეომარი გამოდიოდა. სამსახურის საფასურს ხაზინა იხდიდა. ლაშქარში იყვნენ ცხენოსანი და ქვეითი მეომრები. წელიწადში თითო თვე „**მორიგე ჯარში**“ თვით **მეფე და მისი ვაჟებიც** მსახურობდნენ.

„**მორიგე ლაშქრის“** წყალობით **ლევან ბატონიშვილი** დიდი წარმატებით იგერიებდა **ლეკთა** შემოსევებს. **ომან ხერხეულიძე** მოგვითხრობს: „...**გარნა** ჩვეულნი იგი **ლეკნი** არა დაცხრებოდნენ რბევასა **ქართლისასა**, არამედ მოჰსცა ღმერთმან მეფესა **ირაკლის** ძე ერთი სახელად **ლეონ**, რომელიცა ემსგავსა მამასა თვისასა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან **ლეკნი** და მოსპო ამან **ლეონ** ხშირად რბევა **ქართლსა ლეკთაგან** და ეგრეთვე განაწესა მეფემან **ირაკლი** მორიგე **ქართლ-კახეთით**...“

ქვეყანა თანდათან ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები კვლავ გაშენდა. ხალხმა **ციხე-გალავნები** დატოვა და მშვიდობიან საქმიანობას მიჰყო ხელი.

ლევან ბატონიშვილის პიროვნების დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ორი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. მათ შესახებ მოგვითხრობს მისი დისშვილი **ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი**. ეს ცნობები იმდენად არის ძვირფასი მეცნიერებისათვის, რამდენადაც მისი ცხოვრების შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება.

ალ. ორბელიანი წერს: „**ბატონიშვილი ლევანი** სამშაფათს აბანოში იყო რამდენსამე არჩეულის ამალითა. ამ დროს მეფე **ერეკლეს** კაცი მოუვიდა: **საგურამოს ტყიდან ლეკის** ჯარი წამოვიდა, **ავჭალაზე** მოდიან, უნდა წაახდინონ. **ლევან** მაშინვე გამოვიდა, იმის ამალაც თან გამოჰყვა და სირბილით **კუკიაში** მივიდნენ ცხენები და იარაღი მოართუეს, რომლებიცა სულერთან და საჩქაროდ გასწიეს. რა **გლდანსა** მხარეს გავიდნენ, იქ **ექუსასი ლეკი** დაინახეს **ავჭალაზე** მომაუალი, ექვსის ბაირახით. **ბატონიშვილმა ლევან** ბრძანა: მამაჩემის მეფის ბაირახი გაშალეთო (როდესაც **ლევან** მოესწრა, მეფე **ირაკლიმ** თავისი ბაირახი იმას გადასცა) და მეფის **ირაკლის** ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა, **ერეკლე** აქ არისო. ამასობაში ქართველები კიდეც დაერივნენ ლეკებს, გამარჯვებულებმა ბევრის ტყვეებითა ქალაქი შემოიარეს. დიდი და პატარა **ბატონიშვილი ლევანის** დღეგრძელობას ღმერთს სთხოვდნენ”.

კიდევ ერთი ეპიზოდი: „გორიდან წამოსული მეფე **ირაკლი** მოეშურებოდა ოცის ცხენოსნის კაცით. საჩქაროდ ქალაქში ჩამოსულიყო. იმ დროს როდესაც ჭალას დაუახლოვდნენ ორი ბაირახის **ლეკი** გამოვიდა ტყიდგან და ამათზე წამოვიდნენ მინდურად. **ლევან ბატონიშვილიც** იმ დროს იქ ხლებია მამას და **ოთხი ზაალიც** თანა. თავადი **ზაალ ენდრონიკაშვილი (კუზიანი)**, თავადი **ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი)**, თავადი **ზაალ მაჩაბელი (ბოროტი)** და თავადი **ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი)**. თურმე მეფე **ირაკლი** იტყოდა ამ **ოთხ ზაალისას: ოთხი ზაალი** ჩემთან რომ იყოს, ოთხიათას მტერსა არ დავერიდებიო. ასეთი გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილან ეს ოთხნი, მაგრამ ბოლოს **ზაალს ორბელიანს მეფის ირაკლის** ღალატი შემჩნევია, რომელსაც დაუჭერინებია და კარგახანი ხუნდ ქვეშ ჰყოლია დაჭერილი... ესენი დამდგარან და რჩევა უკითხავს მეფეს, რა ვქნათო? ზოგს რა უთქვამს და ზოგს რა, მასუკან **ლევანისთვის** უკითხავს შენ რაღას იტყვიო. იმას მოუხსენებია: თუ თქვენ აქა არა ბრძანდებოდეთ, მე ვიცი რასაც ვიქმნიდი, მაგრამ თქვენ რომ აქა ბრძანდებით, მე აღარა მეთქმის რა. მეფემ მეტი სიამოვნებით გაიცინა და მიუბრუნდა იმათ, „ამ წუნკლებზედ თოფი რომ გავცალოთ სირცხვილი არ არის ჩვენთვის?“ ახლავ ჩახმახიდან წამალი გადაუყარეთ თოფებს მაშინვე გადაუყარეს. ამასთანავე დაისვეს ხმლებს ხელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რომელთაცა იმ წამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს. მეტი გაიქცა, ტყეში შევიდნენ, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს და გამარჯვებულნი წამოვიდნენ“ [3. 65-66].

1772-1774 წწ. ელჩობის შემდეგ რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ **ლევან ბატონიშვილს** მეფე **ერეკლემ** არაგვის საერისთავო ჩააბარა სამართავად (**ლევანის** გარდაცვალების შემდეგ ეს თანამდებობა მის ძმას **ვახტანგ ერეკლეს ძეს** გადაეცა).

XVIII-ს მეორე ნახევრისთვის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ **საქართველოში** დაიწყო სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინება. ერეკლე II კი აპირებდა ერთიანი **საქართველოს** სამეფო ტახტი ეანდერძა **ლევან ბატონიშვილისათვის**.

აღნიშნულ მიზნის მიღწევაში **ერეკლე II** არა მხოლოდ თავადაზნაურთა ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა, არამედ გამოჩენილი **სომეხი (შ. შამირიანის, საიათნოვას)** და **აზერბაიჯანელი (ვაგიფისა და ვადადის)** მოღვაწეების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მხარდაჭერითაც.

რეაქციული **თავადაზნაურობა**, რომელიც მუდმივ წინააღმდეგობას უწევდა მეფე **ერეკლეს** მის საქმიანობაში, ახალგაზრდა ბატონიშვილის სახით მისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელს ხედავდა, ამიტომაც ვერაგულად ჩამოიცილეს გზიდან: **1782 წლის** გაზაფხულზე **ლეონი** მოწამლეს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით იგი **1781 წელს 27 თებერვალს** მოკლეს **25** წლის ასაკში) [3. 67].

მისი დაღუპვის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს. **სომეხი კათალიკოსის, გუკასის** ცნობით, თითქოს ერთ-ერთი სოფლიდან **ლეკებმა** მოიპარეს ცხენები და გლეხები დაარბიეს. როდესაც ეს ამბავი თბილისში შეიტყვეს, გულადი მეფის ძე **ლეონი** მცირერიცხოვანი რაზმით დაედევნა მათ, მოუსწრო და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. **ლევან მირზა** ისე შორს წავიდა წინ, რომ ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ იგი თოფით მოკლა.

მეორე ვერსიაც რომანტიკული ელფერითაა შელამაზებული, თუმცა ტრაგედიის მოქმედი პირები სინამდვილიდან არიან აღებული. მოგვყავს ეს ვერსიაც: **ლევანი** მიპატიჟებული ყოფილა ქორწილში, სიფ. **ვეჯინში**, **აბაშიძე იოანე ქეშიქჩიბაშის** ოჯახში. აქ იგი ეტრფიალა **ასათ ვაჩნაძის** ახალგაზრდა მეუღლეს, ქალი ქორწილიდან გააპარეს ს. **კარდანახში,** სადაც ფეხდაფეხ მიჰყვა ბატონიშვილი **ლევანიც**. ქალმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და დანა აძგერა მუცელში. დაჭრილი **ბატონიშვილი** მაშინვე **ვეჯინში** მობრუნდა, უვახშმოდ დაიძინა **აბაშიძეების კოშკში**, სადაც იმავე ღამეს გარდაიცვალა.

როგორც ჩანს, **ლევან ბატონიშვილი** ხანჯლით არ მოუკლავთ, იგი მოწამლეს, რასაც ააშკარავებს **ალექსანდრე ორბელიანის** მონათხრობი: „...მაშინდელმა მეფის **ირაკლის** ოჯახის მტრებმა... ხმები დაყარეს, **ლევან ბატონიშვილზედ** მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცსა თავის ცოლზედ ხანჯლით გაუგმირიაო ლევან. ეს ამბავი მაშინვე მეფის **ირაკლის** მოხსენდა, რომელმაც აღარც თვითონ და აღარც სხვები აგლოვა, უბრძანა აქ **ტფილისში** ჩამოიტანეთ მისი გვამიო... რომელიცა მოასვენეს **დარიის** ეკლესიაში... ამის მეორე დილაზედ **სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თვით მეფე ირაკლი ავლაბარში** წასასვლელად რომ ემზადებოდნენ იმათში ბრძანა მრისხანედ მეფემ: თუ მართლა ჩემი შვილი **ლევან** ხანჯლით განგმირულია დედაკაცზე ქმრისაგან, ჭეშმარიტებს ვფიცავ, სახალხოდ ვათრევინებო. ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაეშურნენ **ავლაბრისაკენ**, მაგრამ დიდად დაღონებულები. იმ **ლევანის** სიკვდილს ხომ აღარ სწუხდნენ, იმას სწუხდნენ, უთუოდ ათრევინებს და საგანგაშო შეიქნება ყოველს ქვეყანაშიო.

როდესაც მოვიდნენ და ეკლესიაში შევიდნენ, მეფემ უბრძანა: ეგ ცხედარი კარზედ გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად ცხედრის გატიტვლება უბრძანა, როდესაც გააშიშვლეს, კიდევ უბრძანა კარგად გაჩხრიკეთ რომელ ადგილას არის განგმირულიო და თითონ თავზედ დაადგა. კარგა ხანს ჩხრიკეს, მაგრამ არსად არა იყო რა, მხოლოდ იმის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან, გალურჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემოდა. მაშინ მეფე **ირაკლიმ** დაუჩოქა და როგორც რიგი იყო მოთქმით ტირილს მოჰყვა". **ალ. ორბელიანის** დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემული მონათხრობი ეჭვს არ იწვევს [3. 67-68].

ლევანის მკვლელობის მიზეზი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ხსენებულმა **ასათ ვაჩნაძემ ბატონიშვილი** წინასწარი განზრახვით მოაკვლევინა ვინმე **შერმაზან აფხაზის** ყმებს, რომელთაც მოკლეს რა თავისი შემაწუხებელი ბატონი, მკვლელობის დამალვის მიზნით, **ასათ ვაჩნაძის** ჩაგონებით, გამოაცხადეს, თითქოს **ლევან ბატონიშვილი შერმაზან აფხაზმა** მოწამლა, ჩვენ კი ამისთვის ვიძიეთ მასზე შურიო. ამ საქმის გამოძიება დაევალა **ქართლ-კახეთის** სამეფოს **უმაღლეს სასამართლო კრებას**. კრების განჩინება მთლიანად გამოქვეყნებულია და თავისთავად მეტად საინტერესო იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს.

საბუთში ნათქვამია, რომ **აფხაზიშვილის** ყმები **ლეონ ბატონიშვილის** მკვლელად აცხადებდნენ თავიანთ ბატონს **შერმაზან აფხაზს** და თითქოს მათ **ლეონ ბატონიშვილის** მკვლელისთვის თვით იძიეს შური თავიანთ ბატონზე და მოკლეს იგი. სინამდვილეში გამოძიებამ გაარკვია, რომ მათ ანგარიში გაასწორეს თავიანთ ბატონთან და საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბატონიშვილის მკვლელობა მათ მიერვე მოკლულ ბატონს დააბრალეს. მაგრამ გაირკვა, რომ **აფხაზიშვილი ლეონის** სიკვდილის შემდეგ **მთელი 40 დღე** ცოცხალი იყო. თუ იგი ნამდვილად **ლეონის** მკვლელი იყო, მისმა ყმებმა ეს ადრევე რატომ არ აცნობეს მეფეს. მაშინ ხომ მათი ბატონი მეფისგან სამაგალითოდ დაისჯებოდა, ისინი კი წყალობას მიიღებდნენ ერთგულებისთვის. ამასთან ყველაფერი, რითაც **აფხაზიშვილის** ყმები **შერმაზანის** დანაშაულის დამტკიცებას ცდილობდნენ, **ბატონიშვილის** შინაყმების ჩვენებით ყალბი აღმოჩნდა. ამგვარად, გამოძიებით დადასტურდა, რომ **შერმაზან აფხაზი ბატონიშვილის** მკვლელობაში უდანაშაულო იყო.

ამ საბუთს ხელს აწერდნენ: **9 დიანბეგი, სამეფო ოჯახის წევრები და სამღვდელოება კათალიკოსის მეთაურობით**. თავადმა **ასათ ვაჩნაძემ ბატონიშვილი ლევანის** დასაღუპავად **ვაჩნაძეებსა და აფხაზიშვილების** შორის ჯერ კიდევ **XVII** საუკუნიდან არსებული მტრობა გამოიყენა. **ლევან ბატონიშვილის** მკვლელობა თავის მოსისხლე მტერს **შერმაზან აფხაზს** გადააბრალა, რომელიც ადვილად გაიმეტა ბატონიშვილი სასიკვდილოდ.

ამრიგად, **26 წლის ბატონიშვილი** ფეოდალური შუღლის მსხვერპლი გახდა. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი **ომან ხერხეულიძე** წერს: „...ოდეს **ლეკნი აღსიხის (ახალციხის)** მხრით ავაზაკობდნენ, ჟამსა მოიწია უბადრუკობა და გარდაიცვალა **ძე ირაკლი მეფისა ლეონ** და ოდეს მოესმა **აღსიხის ფაშას სულეიმანს**, მაშინ სთქვა **ფაშამან**: „მოხუცობის ჟამსა მეფეს **ირაკლისასა** ერთი ფარდა აქვნდა **საქართველოს**, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარება და აწ დიდი შემწე მოეშალა **ირაკლი** მეფესაო". ჰსთქვა ესე და უმეტესად განიგულვა **ქართლის** ოხრობა. . ." [3. 68-69].

ლეონის სიკვდილი ძალიან მტკივნეულად განიცადა **ანტონ კათალიკოსმა**, მან მწარედ დაიტირა **ლეონი**. **ლეონის** სიკვდილით მან დაკარგა უახლოესი თანამოაზრე და მის მიერ ჩაფიქრებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნების მომავალი შემსრულებელი. **მოსკოვში** მცხოვრებ თავის ბიძაშვილს, **ანა ქაიხოსროს ასულს**, იგი წერდა: „...ჩემი მრავალ ყოვლად შუენიერ ყვავილოვანი წალკოტი და ყოვლად უსატრფიალოესი კვიპაროზი **ლეონ** მომცილდა... განქრა ყოვლად გასაკვირვებელი იგი სიმხნე... აღივსო გლოვითა ყოვლად სიხარულოვანი იგი სასძლო, მწუხარებამან დაუპყრობელმან მოიცვა უმაღლესი იგი პალატა მშობელთა და ამით დასცხრა სიხარული იგი ჩემისა აქაი ცხოვრებისა." ამავე წერილში იგი იძლევა ლეონის შესანიშნავ დახასიათებას: „**ლეონ** ნიადაგ განსაკვირვებელსა შინა წარმატებასა აღემატებოდა თვითოსა შინა წელიწადსა მტერთა ზედა მრავალჯერ ძლევით იდიდა. ჰგონებ, რომ ამისთანა ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ ნახულ იყოს ცხენოსნობისა შინა, არცა სიმხნისა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა და თვისისა მამისა და სახლისა და ქუეყნის სამჯობინოროსა გამორჩევასა შინა, არა თუ ყოველს წელიწადს ოდენ, ითქმის რომ ყოველს თუეს უმჯესობასა შინა აღვდიოდა, **დაღესტანსა** შინა ერთმანეთს ეუბნებოდნენ: **ერეკლე** აღარ დაბერდებაო, ასეთი სხუა **ერეკლე** გამოჩნდაო, რომ **ერეკლეს** წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიაო, აქამდის ერთი იყო და ახლა ორი **ერეკლე** არისო. ამაზედ დიდად გაკვირვებული ვარ, რომ ამ შვიდს რუას წელიწადში რამდენჯერ ვნახავდი, ვხედავდი, რომ თავის მამის სახლსა და თავის ქუეყნის სამჯობაროს სიკეთე დღითი-დღე **ლეონს** ემატებოდა. ასე მოიხსენე ჩემგან, რომ **ლეონს** მწუხარება და გლოვა ჯერ არ მოჰკლებია. ღმერთმან

ისე დღეგრძელობა მოგცეთ, თქუენცა და ამათაც, როგორც კმა სამყოფი შვილები ვაჟ-კაცები თუ ყმაწვილები ამათ დარჩათ თავეანთი საკადრისნი და თავიაანთ სახლისა და ქვეყნის გამოსადეგნი, მაგრამ **ლეონის** სიკვდილის მუღაბანობას ვეღარას მოგახსენებ, დუმილის მეტი აღარა გაეწყობა რა.“ [3. 69-70]

ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილით დიდი ზიანი მიადგა მის მიერ ორგანიზებულ **„მორიგე ლაშქარს“**, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს ჯარი ბრძანებით არასდროს გაუქმებულა, რეაქციონერობა **თავადებმა** თანდათანობით მოახერხეს მისი დასუსტება და ბოლოს სრული გაუქმება. **ერეკლესადმი** მტრულად განწყობილი **ბატონიშვილები** მის ფუნქციონირებაზე აღარ ზრუნავდნენ. მათ იგი საკუთარი გამდიდრების წყაროდ აქციეს. **ქრთამის** გაღებით ესა თუ ის **მებატონე** სულ უფრო და უფრო ადვილად აღწევდა თავის **„მორიგე ლაშქარს“**. ამიტომ მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა. **მორიგე ჯარის** გაუქმება მეფე **ერეკლეს** პოლიტიკის უდიდესი მარცხი იყო. [3. 70-71]

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ერეკლე II** და არა მხოლოდ ის, **ლევან ბატონიშვილზე**, როგორც ნიჭიერ და ენერგიულ ადამიანზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამდენად მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო **ქართლ-კახეთის სამეფოსთვის**.

ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი ი., აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008.
2. ალიმბარაშვილი ი., ლეკიანობა, თბ., 2011.
3. ბულეიშვილი მ., ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებში, თბ., 1991.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., 1973.
5. ტუხაშვილი ლ., „ლევან ბატონიშვილი“, ელექტრონული ვერსია, google.ge
6. ქიქოძე გ., ერეკლე II, თბ., 1983.
7. ხერხეულიძე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.

მზითევი ძველ აღმოსავლეთში ხამურაბის კანონების მიხედვით

ნანა კასრაძე, ეთერ პავლიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე საქართველოში მზითევმა დაკარგა აქტუალობა და დღევანდელი წყვილები ,,ვეფხისტყაოსნისა“ და ჭადრაკის ქონას აღარ თვლიან აუცილებლობად, ვინაიდან უკვე მოძველებულად და არამოდურად ითვლება. სამაგიეროდ, უფრო აქტუალური ხდება საქორწინო კონტრაქტის დადება. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში საქორწინო კონტრაქტის დადება უკვე საკმაოდ მიღებული ფორმაა, რაც განაპირობებს მეუღლეების მხრიდან ოჯახის სიმტკიცისადმი მეტ პასუხისმგებლობას.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ძვ. წ. აღ. მე–2 ათასწლეულში ძველ აღმოსავლეთში ქორწინება ითვლებოდა, როგორც ერთგვარი კონტრაქტი. გაყრის შემთხვევაში ქალის მზითევი ხელუხლებელი რჩებოდა, ან მის შვილებზე გადადიოდა. ჩვენ ვხვდებით უამრავ საინტერესო შემთხვევას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მრავალი კანონი, რომელიც არეგულირებდა წყვილის ურთიერთობებს და იცავდა მათ პირად საკუთრებას.

ჩვენამდე მოღწეულ უძველეს კანონებს შორის ყველაზე სრული და ცნობილი ხამურაბის კანონებია, რომელიც შეიქმნა ბაბილონში მეფე ხამურაბის მიერ ძვ. წ. აღ. XVIII საუკუნეში [1. 76]. ხამურაბის კანონები ძველი მესოპოტამიის ისტორიაში ითვლებოდა საკანონმდებლო ეტალონად, მას სწავლობდნენ შემდეგი თაობების იურისტები და იგი საფუძვლად ედო შემდეგ შექმნილ კანონებს. ჩვენამდე ხამურაბის

კანონების ტექსტის 40-მა ეგზემპლარმა მოაღწია. ამ კანონების მიხედვით ძველ ბაბილონეთში განასხვავებდნენ თავისუფალ და არათავისუფალ მოსახლეობას (მუშქენუმი და ავილუმი). ცალკე იდგა ვარდუმთა ფენა, რომელიც ყველაზე უუფლებოდ ითვლებოდა.

ხამურაბის კანონებში, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, სხვადასხვა სასჯელი იყო განსაზღვრული. ფართოდ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯაც. ძირითადად კი ხელმძღვანელობდნენ ,,ტალიონის პრინციპით". გარდა ამისა, ეს კანონები არეგულირებდა საოჯახო სამართალსაც [1. 80-87] .

ამ კანონების მიხედვით, ძვ. წ. აღ. მე–2 ათასწლეულში ქორწინება, ძირითადად, სიძისა და პატარძლის მშობლებს შორის გარიგების მიხედვით ხდებოდა. ამ ურთიერთობის სიმტკიცისათვის იდებოდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელს მშობლები აწერდნენ, ვინაიდან წყვილის თანხმობას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ გოგონებს ათხოვებდნენ 8-10 წლის ასაკში, მოქმედებდა წესი, რომ თუ არაა ხელშეკრულება – არაა ქორწინება და ოჯახი.

ხამურაბის კანონები საქორწინო კონტრაქტის დადების გარეშე ქორწინებას ფიქტიურად თვლიდა: მუხლი N128: ,,უკეთუ კაცმა ცოლი ითხოვა, მაგრამ ხელშეკრულება არ დაუდო, ეს ქალი არ არის ცოლი“ [2. 27]. ამ კანონების მიხედვით განასხვავებდნენ ,,შერაქთუმს“. ეს იყო ის ქონება (მზითვი), რომელსაც ქალიშვილს აძლევდნენ მამის სახლიდან. კანონები განასხვავებდა ,,თერხათუმს“ (ურვადი), ეს იყო სასძლოს გამოსასყიდი ფასი და შერაქთუმზე ნაკლები იყო.

ხამურაბის კანონები მზითევს განიხილავდა, როგორც ქალის კერძო საკუთრებას, რომელზე უფლებაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰქონდა, მიუხედავად იმისა, იცხოვრებს თუ არა ქმრის ოჯახში. მისი სიკვდილის შემდეგ ეს უფლება მის შვილებზე გადადიოდა. მუხლი 172–ის მიხედვით: ,,უკეთუ ქმარს მისთვის საჩუქარი არ მიუცია, მზითევი უნდა გაუმრთელონ, ამასთანავე ქმრის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილი უნდა აიღოს. უკეთუ შვილები სახლიდან წასვლას აიძულებენ, მოსამართლეებმა მისი საქმე უნდა გაარჩიონ და შვილებს სასჯელი დაადონ. ეს ქალი ქმრის სახლიდან არ უნდა წავიდეს. თუკი ქალმა თავად მოინდომა წასვლა, ქმრის საჩუქარი შვილებს უნდა დაუტოვოს, მამისეული სახლიდან წამოყოლილი მზითევი კი უნდა წაიღოს. ქალი მისი გულის რჩეულმა ქმარმა წაიყვანოს“. [2. 32]

თუ ქმარსა და ცოლს შორის შეუთავსებლობა არსებობდა და საქმე აუცილებელ გაყრამდე მიდიოდა, მიუხედავად იმისა, ვის გაამტყუნებდა სასამართლო, მზითევი ქალის საკუთრებად და ხელშეუხებელ ქონებად რჩებოდა. მუხლი 142: ,,უკეთუ ქალმა თავისი ქმარი მოიძულა, ,,არ მომეკაროო“ უთხრა, მისი საქმე მის უბანში უნდა გაირჩეს თუ იგი თავშენახულია და ცოდვა არ აწევს, მისი ქმარი კი სახლიდან გადის ხოლმე და ძლიერ ამცირებს მას. ამ ქალს ბრალი არ დაედება, თავის მზითევს წაიღებს და მამის სახლში წავა“ [2. 29].

ხამურაბის კანონები იმ შემთხვევასაც განიხილავს, თუ ქალი ქმრის ერთგული არ არის. ამ შემთხვევაში ქალის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული, მაგრამ მისი მზითევი შვილებს რჩებათ: მუხლი 143: ,,უკეთუ ქალი თავშენახული არ არის, სახლიდან გადის, თავის ოჯახს აჩანაგებს, ქმარს ამცირებს, ეს ქალი წყალში უნდა გადააგდონ“ [იქვე].

ბაბილონთან შედარებით საქართველოში ბევრად ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდათ ღალატთან დაკავშირებით და არ სრულდებოდა ქალის სიცოცხლის ხელყოფით. ბექა აღბუღას სამართლის მიხედვით: ,,თუ კაცი ეყრება ქალს ამ უკანასკნელის უზნეობის გამო, მაშინ მას ეძლევა მხოლოდ მისი მზითევი“ [9. 118]. ,,ვახტანგის სამართლის“ მიხედვით, თუ ქალს უკანონო შვილი ჰყავს და ქმარი მის გაშვებას მოინდომებს, მაშინ ქალს შეუძლია წავიდეს, თან წაიყვანოს შვილი და წაიღოს მზითევი. მაგრამ თუ მას სახლში კანონიერი შვილი დარჩება, ის ვალდებულია, მზითვის ნაწილი კანონიერ შვილს დაუტოვოს. მაგრამ თუ ქალი თვითონ მოისურვებს ქმრის მიტოვებას, მაშინ მისი მზითვი შვილი რომ არ ჰყავდეს, ქმარს დარჩება“ [10. 119].

ხამურაბის კანონების მიხედვით, ერთადერთი შემთხვევა მზითევის ხელშეუხებლობის დარღვევისა იყო ის, თუ ქალს დაუმტკიცებდნენ, რომ მან გაანადგურა ოჯახი, დაამცირა ქმარი. ასეთ ქალს მზითევი არ უბრუნდებოდა და იგი მისი შვილების ოჯახში რჩებოდა. ამასთანავე, კანონი საუბრობს ზოგიერთ სამართლებრივი ფორმით გათხოვილ ქალებზე. ავილუმის ცოლს ჰქონდა უფლება განეკარგა თავისი მზითევი, ჩართულიყო სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, აგრეთვე ეწარმოებინა მევახშეობა თავისი მზითვით და მოგება ენახა. კანონი იცავდა მის ქონებას და ღირსებას.

გარდა ოფიციალური ცოლისა, ძველაღმოსავლური კანონები აღიარებდნენ არაკანონიერ ცოლებსაც, რომლებიც შვილებს უჩენდნენ ავილუმთა კლასს. ასეთი ქალები მოიხსენიებიან ,,შუგითის“ ან ,,ნადითის“ სახელით [2. 42]. ამ ქალებსაც გააჩნდათ მამისეული სახლიდან მოტანილი ქონება, რომლის ერთპიროვნული გამგებლები იყვნენ. თუ ავილუმი განიზრახავდა ასეთი ქალის გაშვებას მას შემდეგ, რაც შვილები გაუჩინა, მზითევი უკლებლივ უნდა დაებრუნებინა. კანონი ითვალისწინებდა იმ შემთხვევასაც,

თუ ეს ქალი საკუთარ შვილებს თავისი მამის ოჯახში წაიყვანდა და ბავშვების მამასთან არ დატოვებდა. მისთვის მზითევთან ერთად უნდა გამოყოფილიყო მიწის ნაკვეთი, ან სხვა საშუალება, რომლითაც ქალს შვილები უნდა ერჩინა. მუხლი 137: ,,უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას შუგითი, რომელმაც მას შვილები უშვა, ანდა ნადითი, რომელმაც მას შვილები შეაძენინა. ამ ქალს მზითევი უნდა დაუბრუნონ და შვილების გასაზრდელად მიწის, ბაღის ან სხვა ქონების ნახევარი უნდა მისცენ. შვილების გაზრდის შემდეგ, იმ ქონებიდან, რაც შვილებისთვის მიეცა ერთი მემკვიდრის წილი უნდა გამოუყონ. ქალი კი მისი გულის რჩეულმა წაიყვანოს“ [2. 28].

იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი მამაკაცი განიზრახავდა კანონიერი ცოლის გაშვებას, მას მზითევი უკლებლივ უბრუნდებოდა: მუხლი 138: ,,უკეთუ კაცმა განიზრახა გაუშვას თავისი პირველი ცოლი, რომელსაც მისთვის შვილები არ უშვია, ქალს მისი ურვადის საფასური ვერცხლი უნდა მისცენ და მამის სახლიდან გამოყოლილი მზითევიც გაუმრთელონ. მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი გაშვება“ [იქვე]. განქორწინება კაცებისთვის ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი, მაგრამ კანონი ცოლის მზითვის გამრთელებას და მისთვის გადაცემას ავალდებულებდა.

ხამურაბის კანონები ცალკე მუხლებით განიხილავდა თავისუფალი და არათავისუფალი წყვილის შეუღლებას. მზითევი აქაც ხელუხლებელი რჩებოდა და იგი ქალის ერთპიროვნული ქონება იყო. თუ თავისუფალი ქალი მონას დაუკავშირებდა თავის ცხოვრებას, შეიძენდნენ საერთო ქონებას და შვილებსაც გააჩენდნენ, ქმრის სიკვდილის შემდეგ მონის პატრონს ქალის მზითევზე ხელი არ მიუწვდებოდა. მუხლი 176: ,,უკეთუ სასახლის მონამ, გინა მუშქენუმის მონამ კაცის ასული მოიყვანა და, როცა მოიყვანა, ეს ქალი მამის სახლის მზითევითურთ შევიდა სასახლის მონის ანდა მუშქენის მონის სახლში. შეუღლების შემდეგ სახლი აიშენეს, ქონება შეიძინეს, შემდეგ კი სასახლის მონა ანდა მუშქენის მონა მოკვდა, კაცის ასულმა თავისი მზითევი უნდა მიიღოს, ხოლო შეუღლების შემდეგ შეძენილი ქონება ორ ნაწილად უნდა გაიყონ: ნახევარს მონის პატრონი მიიღებს, ნახევარს კაცის ასული შვილებისთვის“ [2. 32]

მზითევის და საჩუქრების მიღება ცოლს გარანტიას აძლევდა, რომ იგი უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად ქმრის სიკვდილის ან განქორწინების შემთხვევაში. ქმარს შეეძლო მოთხოვნისას გამოეყო ნაწილი ცოლის მზითევიდან ვაჟიშვილებისთვის. თუ შვილები ჩაგრავენ დედას, სახლიდან გააგდეს ის, მას შეუძლია მიიღოს მზითევი და წავიდეს შვილებისგან, მაგრამ დაკარგოს თავისი წილი მემკვიდრეობა. მზითვის აღების მერე ქალს შეეძლო გაჰყოლოდა ცოლად იმ კაცს, ვინც შეუყვარდებოდა.

ხამურაბის კანონები განიხილავდა იმ ცალკეულ შემთხვევებსაც, როდესაც ცოლი ნაადრევად შეიძლებოდა გარდაცვლილიყო. მუხლი 173: „უკეთუ ამ ქალმა, სადაც შევიდა თავის მეორე ქმარს შვილები უშვა, მერე ეს ქალი მოკვდა, მის მზითევს პირველი და მეორე ქმრის შვილები გაიყოფენ“ [2. 32]. მაშასადამე, ქალის მზითევი იყოფოდა მის შვილებს შორის. თუ ქალს საკუთარი შვილი არ ჰყავდა, მაშინ მისი მზითევი პირველი ქმრის შვილებს რჩებოდათ: მუხლი 174: „უკეთუ მეორე ქმრისთვის შვილები არ გაუჩენია, მისი მზითევი პირველი ქმრის შვილებმა უნდა წაიღონ“ [იქვე]. ეს მუხლი შეიძლება ისეც იქნეს გაგებული, რომ ქალს პირველ ქმართანაც ჰყავდა შვილები და ისინი დედისეული მზითვის გარეშე არ უნდა დარჩენილიყვნენ. კანონი ქალების იმ კატეგორიასაც განიხილავდა, რომლებიც ქმრის ოჯახის მიმართ ორგულობით გამოირჩეოდნენ და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. მუხლი 144 ,,უკეთუ კაცის ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობს, სახლიდან გასვლას ფიქრობს, ქონებას იუნჯებს, თავის სახლს აჩანაგებს და ქმარს ამცირებს, უნდა ამხილონ და თუკი ქმარი მას გაუშვებს, იტყვის გზისა და გაშვების მეტი არაფერი მიეცემა. თუკი მისი ქმარი მის გაშვებას არ იტყვის, ქმარს შეუძლია მეორე ქალი მოიყვანოს. ის ქალი კი ქმრის სახლში მონაქალად დარჩება“ [2. 29] თუ ეს ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ მოისურვებდა, მაშინ მისთვის მზითევი უნდა დაებრუნებინათ: მუხლი 148: ,,უკეთუ ეს ქალი ქმრის სახლში ცხოვრებას არ მოისურვებს, ქმარმა მამის სახლიდან გამოყოლილი მზითევი უნდა გაუმრთელოს და ისე გაუშვას“ [იქვე]. თუ ქალი გარდაიცვლებოდა, მისი მზითევი უკლებლივ მის შვილებს უნდა დარჩენოდათ და მამისეული ოჯახი მასზე პრეტენზიას ვეღარ განაცხადებდა. მუხლი 162: ,,უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ცოლმა შვილები უშვა და ქალი მოკვდა, მის მზითევს ქალის მამა უკან ვერ მოითხოვს. მზითევი შვილებს რჩებათ“ [2. 30]

რამდენადმე განსხვავებული დამოკიდებულებაა მზითვის მიმართ ქალის სიკვდილის შემთხვევაში საქართველოში. ქართული კანონების გარკვეული ნაწილი დიდ მსგავსებას ავლენს ხამურაბის კანონებთან.

ბექა აღბუღას სამართალში გათვალისწინებულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენა. გლეხებისთვის განკუთვნილში აღნიშნულია, რომ თუ ქალი უშვილოდ მოკვდებოდა, მისი მზითვის ნახევარი ოჯახს უბრუნდებოდა, ნახევარი კი სულის მოსახსენიებლად იხარჯებოდა [ციტირებული 6, გვ. 120]. ხოლო კი განხილულია მზითვის საკითხი საზოგადოების მაღალ ფენებში. თუ ქალს შვილი არ ჰყავდა, მისი მზითევი მშობლებს უბრუნდებოდა, ხოლო შვილის ყოლის შემთხვევაში „სასაქონლო ეძლევა ქალიშვილებს, აბჯარი კი ვაჟს“ [იქვე].

ვახტანგის სამართალი აღარ ეხება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს. მისი 224 მუხლის მიხედვით, მზითევი იყოფოდა სამ ნაწილად: 1) სულისთვის, 2) ქმრისთვის, 3) მშობლებისთვის. ქალის მზითევი ასევე გამოიყენებოდა მისი სიკვდილის ხარჯების ასანაზღაურებლად და შესაბამისად გლეხების შემთხვევაში, მშობლების მხრიდან აღარ ხდებოდა მზითვის მოთხოვნა, რადგან დასაკრძალავი ხარჯები ბევრად აღემატებოდა მზითევს [იქვე].

ხამურაბის კანონები აწესრიგებდა ურვადის გადასახადსაც. თუ შვილების გაჩენის შემთხვევაში ქალის მზითევი მისი შვილების კუთვნილება იყო დედის გარდაცვალების შემთხვევაში, სხვა გარემოება იყო გათვალისწინებული ქალის უნაყოფობის დროს. ქმარი უფლებამოსილი იყო მზითევის სანაცვლოდ ცოლის ოჯახში მიტანილი ურვადი მოეთხოვა. მუხლი 163: „უკეთუ კაცმა ცოლი მოიყვანა, ქალმა შვილები არ გაუჩინა და ეს ქალი მოკვდა, თუკი ურვადს, რომელიც ამ კაცმა სიმამრის სახლში მოიტანა, სიმამრი დაუბრუნებს, ქალის მზითევს ქმარი ვეღარ მოითხოვს, მისი მზითევი მამის სახლს ეკუთვნის“ [2. 31], ხოლო თუ სიმამრი ურვადს არ დააბრუნებდა, მაშინ ქმარს შეეძლო მზითვიდან აეღო ურვადის საფასური: მუხლი 164: ,,უკეთუ სიმამრმა ურვადი არ დააბრუნა, ქმარმა მისი მზითევიდან ურვადის ღირებულება უნდა გამოქვითოს და მისი მზითევი მამამისის სახლში დააბრუნოს“ [იქვე]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში მზითევის რაოდენობა აღემატებოდა ურვადის საფასურს.

ხამურაბის კანონები განიხილავს იმ ქალების მდგომარეობასაც, რომლებიც შეიძლებოდა შვილებისგან მოძულებული უსახსროდ დარჩენილიყვნენ. კანონის ძალით ქალის მზითევი აქაც მისი უზრუნველყოფის ერთადერთი გარანტიაა. მუხლი 172: ,,უკეთუ ქმარს მისთვის (ცოლისთვის) საჩუქარი არ მიუცია, მზითევი უნდა გაუმრთელონ. ამასთანავე ქმრის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილი უნდა აიღოს. უკეთუ შვილები სახლიდან წასვლას აიძულებენ, მოსამართლეებმა მისი საქმე უნდა გაარჩიონ და შვილებს სასჯელი დაადონ. ეს ქალი ქმრის სახლიდან არ უნდა წავიდეს. თუკი ქალმა თავად მოინდომა წასვლა, ქმრის საჩუქარი შვილებს უნდა დაუტოვოს, მამისეული სახლიდან წამოყოლილი მზითევი კი შეუძლია წაიღოს. ქალი მისი გულის რჩეულმა ქმარმა წაიყვანოს“ [2. 32].

ხამურაბის კანონებში გაწერილია იმ ქალების მზითვის ბედიც, რომლებიც განსაკუთრებულ ფენას შეადგენენ. კანონების მიხედვით, ამ კატეგორიის ქალთა უფლებები მზითევზე ხელშეკრულებით უნდა ყოფილიყო გაწერილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქონებაზე უფლებას მისი ძმები დაეუფლებოდნენ. მუხლი 178: ,,უკეთუ ქალქურუმს, ნადითს*, ანდა სიქარს** მამამ მზითევი მისცა, საბუთი დაუწერა, მაგრამ საბუთში არ ჩაუწერა, რომ მას თავის ნებაზე შეუძლია თავისი მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების მერე მისი მიწა ან ბაღი მისმა ძმებმა უნდა წაიღონ, ხოლო მისი წილის კვალობაზე სარჩო, ზეთი და სამოსელი უნდა აძლიონ და მისი გული შეაჯერონ“ [2. 33]. თუ მათი უფლება მზითევზე ხელშეკრულებაში დაფიქსირდებოდა, მაშინ ისინი მზითვის სრული განკარგვის უფლებით სარგებლობდნენ: მუხლი 179: ,,უკეთუ ქალქურუმს, ნადითს ანდა სიქარს მამამ ბეჭდიანი მზითვის საბუთი დაუწერა და მასში ჩაუწერა, რომ ქალს თავის ნებაზე შეუძლია მემკვიდრეობის გაცემა, ყოველი სურვილის აღსრულების ნება მისცა, მამის სიკვდილის შემდეგ შეუძლია თავისი მემკვიდრეობა თავის ნებაზე გასცეს, ძმები ვერ გამოედავებიან“ [იქვე].

მზითვად მიწის ნაკვეთის მიცემა ქართულ რეალობაშიც არის დაფიქსირებული. მაგალითად, კახეთის მოსახლეობაში მზითევთან ერთად შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი დღის სახნავი მიწა, ვენახი, რომელსაც ქალი ათავნებდა, გაასესხებდა და აღებულ სარგებელს ოჯახს ახმარდა. თავნად გაღებულ მიწას ქალის მამის სახლი ამუშავებდა და მოსავლის ნაწილს ქალს უგზავნიდა, რომელსაც ქალი სურვილისამებრ მოიხმარდა და ქმრის ოჯახი ვერ შეეხებოდა. ქალის გარდაცვალების შემდეგ სათავნო მიწა მამის სახლს უბრუნდებოდა. ბაბილონის საზოგადოება დაზღვეული იყო იმ დროსაც, თუ მამა საკუთარ ქალიშვილს მზითევს არ მისცემდა. ამ შემთხვევაში ქალი სიცოცხლის განმავლობაში დაზღვეული იყო მამისეული ქონებიდან მემკვიდრის ერთი წილით, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის გაიყოფოდა: მუხლი 180: ,,უკეთუ მამას თავისი ასულისთვის, ტაძრის, უბნის ნადითისთვის, მზითევი არ მიუცია, მამის სიკვდილის მერე, მამის სახლის ქონებიდან ქალმა ერთი მემკვიდრის წილი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხალია ისარგებლოს. მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის“ და მუხლი 181: ,,უკეთუ მამამ ნადითი, კადიშთი***, გინა ზერმაშითი****, ღმერთს შესწირა და მზითევი არ

---

* შეწირულ ღვთისმსახურ ქალთა ერთი კატეგორია, რომლის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, ის კი ცხადია, რომ სხვებისგან განსხვავებით გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა.

** შეწირულ ღვთისმსახურ ქალთა ერთი კატეგორია, რომლის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. ფაქტია, რომ მათ საკუთარი მზითევი ჰქონდათ.

*** წმინდა, ღვთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია.

**** თესლდაკარგული, ღვთისმსახურ ქალთა ერთ-ერთი კატეგორია.

მიუცია, მამის შემდეგ ამ ქალმა მამის სახლის ქონებიდან ერთი მემკვიდრის წილის მესამედი უნდა ირგუნოს, ვიდრე ცოცხლია ჭამოს მისი მემკვიდრეობა ძმებს ეკუთვნის“ [2. 42]. ხამურაბის კანონების მომდევნო მუხლებიც მზითვის როლს არეგულირებდა. მუხლი 182: ,,უკეთუ მამამ თავის ასულს, ბაბილონელი მარდუქის ნადითს, მზითევი არ მისცა ბეჭდიანი საბუთი არ დაუწერა, მამის შემდეგ მამის სახლის ქონებიდან ამ ქალმა ძმებთან გაყრისას თავისი მემკვიდრეობის მესამედი წილი უნდა ირგუნოს, სამსახურის გაწევა არ ევალება. მარდუქის ნადითს თავისი მემკვიდრეობა შეუძლია თავის ნებაზე გასცეს“ [იქვე]. მუხლი 183 ,,უკეთუ მამამ თავისი ასული, შუგითი გაამზითვა, ქმარს მისცა და ბეჭდიანი საბუთიც დაუწერა, მამის შემდეგ ეს ქალი მამის სახლის ქონებიდან წილს ვერ ირგუნებს“ [2. 34]. მუხლი 184: „უკეთუ მამას თავისი ასული შუგითი არ გაუმზითვებია, ქმრისთვის არ მიუცია, მამის სიკვდილის მერე მისმა ძმებმა მამის სახლის შეძლების კვალობაზე უნდა გაამზითვონ და ქმარს მისცენ“ [იქვე].

როგორც აღვნიშნეთ, ხამურაბის კანონებში ოჯახური როლი, უფლებები შედარებით შერბილებულია სხვა მის წინამორბედ ძველაღმოსავლურ კანონებთან შედარებით (მაგალითად მანუს კანონები (ძვ. წ. ..... წ. სადაც საქორწინო კონტრაქტი არანაირ გადახედვას არ საჭიროებდა). ქორწინება ოფიციალურ სახეს იღებდა დაქორწინებულებს ან მათ მშობლებს შორის კონტრაქტის გაფორმების მერე. ჯერ სიძე აძლევს თანხას და საჩუქრებს საპატარძლოს მშობლებს, შემდეგ ეს უკანასკნელნი აძლევდნენ ქალის მზითევს. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქორწინებისთვის საჭირო იყო მშობლების თანხმობა და მათი გადაწყვეტილება. ერთ-ერთი დედის არ დათანხმების შემთხვევაში ჩაიშლებოდა მოლაპარაკებები.

საცოლისათვის საჩუქრების მირთმევა ქართულ წერილობით წყაროებშიც დასტურდება. რაც შეეხება ქმრის საჩუქრების განკარგვას, განქორწინების შემდეგ, „შუშანიკის წამების“ მიხედვით, ქმარი ვალდებული იყო მიერთმია ცოლისთვის საქორწინო საჩუქრები, რაც ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში ქმარს უბრუნდებოდა. მზითევის განკარგვა აღარ არის ნახსენები ნაწარმოებში იმ მიზეზით, რომ შუშანიკის პატიმრობისას მისი მზითევი წესისამებრ შვილებს გადაეცემოდათ [11. 35].

როგორც ძველ აღმოსავლეთში, საქართველოშიც დედის მზითევს ყველა ვაჟი იყოფდა თანაბრად. მაგრამ რაც ქალს ერგო ქმრისგან საჩუქრად, შეიძლება გადასცემოდა მხოლოდ ერთ ვაჟს. თუ ქალი ორჯერ იყო გათხოვილი, მის მზითევს იყოფდნენ თანაბრად მეორე ქორწინებისგან გაჩენილი შვილები. თუ მეორე ქორწინებიდან შვილები არ ეყოლა, ყველაფერს იყოფენ პირველი ქორწინებიდან გაჩენილი შვილები. ქალიშვილებს, რომლებიც მიიღებდნენ მზითევს, აღარ ჰქონდათ უფლება, პრეტენზია განეცხადებინათ სხვა მემკვიდრეობაზე. დანარჩენი ძმები კი ყველაფერს თანაბრად გაიყოფდნენ.

საქართველოში მზითევთან დაკავშირებით მრავალი ისტორიული წყარო მოგვეპოვება, რომლებიც ძირითადად განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებს ეკუთვნის. მათი ნაწილი არეგულირებდა მზითვის გაცემის წესს, ნაწილი კი მზითვის ჩამონათვალია. მათ შორისაა: ბექა აღბუღას სამართალი, ვახტანგის სამართალი, ,,მზითვის წიგნები“ და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში კერძო საკუთრების გაჩენა იწვევს დიდ ოჯახში სათავისთავადო ქონების წარმოშობას. როდესაც ოჯახი იყოფოდა, ქონების გაყოფისას ქალის მზითვი ხელშეუხებელი იყო [6. 116].

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი შედგებოდა მხოლოდ მშობლებისა და შვილებისგან, მაშინ ქალის მზითვი და სასახლო ქონება გადადიოდა შვილების ხელში და წარმოადგენდა მამისეულ ქონებას, რომელიც არსებული წესით ნაწილდებოდა. საზოგადოების მაღალ ფენებში მიღებული იყო ქორწილზე მზითვის წიგნის წაკითხვის წესი, რომლის ღირებულებაც საკმაოდ მაღალი იყო. ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება და ამავდროულად დამხმარე პერსონალი ყმების სახით (მაგ., ერეკლეს ასულ თეკლეს მზითვად 3 მოახლე მისცეს).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გათხოვილ ქალს დედის სიკვდილის დროს დედის მზითევიდან და ქონებიდან აღარაფერი ხვდებოდა და ის ძმებს შორის ნაწილდებოდა.

საქართველოს ცალკეულ კუთხეში მიუღებელი იყო მზითევში მიწის ნაკვეთის გატანება (სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, აღმ. საქართველოს მთიანეთი), რაც ამ რეგიონებში მიწის სიმცირესა და მის დიდ ფასთან იყო დაკავშირებული [8. 118-122].

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველი ქალის მზითვის სიაში უპირველეს ადგილზე წიგნია დასახელებული, რაც თავისთავად მომავალი დედის დახვეწილ გემოვნებაზე და მწიგნობრობისადმი მიდრეკილებაზე მეტყველებს. ეს იყო იმის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, რომ ქართველი დედა, თავისი აღზრდილისთვის საჭირო დაწყებითი განათლების მიმცემი, მასწავლებლის მოვალეობასაც ასრულებდა. მზითევში გატანებულ წიგნებს შორის პირველი ადგილი ეკავა „ვეფხისტყაოსანს“, „ქართლის ცხოვრებას“, „სიტყვის კონას“, „ღრამატიკა- რიტორიკას“ [7. 25].

როგორც დავინახეთ, ძველ აღმოსავლეთში მზითვის მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი იყო, იგი წარმოადგენდა მამის სახლიდან წამოღებულ, ან სხვა საშუალებით შეძენილ ქალის პირად საკუთრებას, რომელზე უფლებაც ქალს სიკვდილამდე ჰქონდა. იგივე დამოკიდებულება ჩამოყალიბდა

საქართველოშიც, სადაც შედარებით გვიანდელი წერილობითი ძეგლების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მზითვის ადგილსა და როლზე ქალის ცხოვრებაში. მთავარი მზითვისადმი ამ ორ რეგიონში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებაა, რომელიც განმტკიცებული იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით, რაც საზოგადოების განვითარების მახასიათებელია.

ლიტერატურა:

1. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
2. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990.
3. მეფე ჰამურაბის კანონები, დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960.
4. ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.
5. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1982.
6. მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976.
7. ითონიშვილი ვ., ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბ., 1959.
8. იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებები საქართველოში, თბ., 1999.
9. სამართალი ბექასი და აღბუღასი, დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963.
10. ვახტანგის სამართალი, დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963.
11. იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა, (ქართული კლასიკა), თბ., 2012.

სოციალური საკითხი შორაპნის მაზრაში XIX საუკუნის ბოლოს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული დოკუმენტების მიხედვით

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ლანა ტერლეცკაია
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** ისტორიის დოქტორი

XIX ს. II ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა ძირეულ, თვისებრივ ცვლილებებს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა საზოგადოების განვითარების შემდგომ გზებს. ,,ფეოდალიზმი ირღვევა და იღუპება, მტკიცდება და ძალაში შედის კაპიტალიზმი, იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა. ამას კი თან სდევს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება - მასების განუსაზღვრელი გაღატაკება“. [**1:5**]. ახალი ცხოვრება ყველა კატეგორიისათვის მისაღები ვერ აღმოჩნდა. მატერიალური ცხოვრების დონე საგრძნობლად უარესდება. გახშირდა შემთხვევები, როდესაც ერთ დროს შეძლებული აზნაურები ყიდიან მიწებს და მათ საკუთრებას ყიდულობენ რიგითი გლეხები. ეს კარგად ჩანს შორაპნის მაზრის რამდენიმე მაგალითზე.

რეფორმის წინარე ხანაში ქართველი თავადაზნაურობა თავისი მიწის მცირე ნაწილზე ეწეოდა ყმა გლეხთა მუქთა შრომაზე დამყარებულ ნატურალურ მეურნეობას. მიწები, ძირითადად, გადაცემული ჰქონდათ ყმა გლეხებისათვის, რომლებიც მებატონეთა სასარგებლოდ იხდიდნენ მოსავლის გარკვეულ ნაწილს ღალა–კულუხის სახით.

საქართველოში XIX ს–ის 80–90–იან წლებში მიწა მთლიანად სახელმწიფო ხაზინასა და თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. ისინი იყვნენ ძირითადად მიწის განმკარგველნი და იჯარითაც გასცემდნენ. მოიჯარეთა ძირითად კონტინგენტს გლეხობა ქმნიდა, რასაც შორაპნის მაზრაში ამას ვერ ვიტყვით. აქ აზნაური ყიდის და გლეხი ყიდულობს მიწას პირად საკუთრებაში, სხვა შემთხვევაში - ლომიძეები (ესენი აზნაურობის მაძიებელნი არიან), კუთვნილ მიწას იჯარით აძლევენ გილდიის ვაჭარ ძნელაძესა და ევსტაფი ჩხარტიშვილს.

ჩხეიძეები მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდნენ ძველ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ჩხეიძე იმერეთის მთავართა შორის ,,უწარჩინებულესი და შემძლებული გვარია“ **[4:36].**

ჩხეიძეთა სათავადოს ცენტრი ციხე–ქალაქი შორაპანია. გარდა ამისა, ისინი ფლობენ ჩიხარას, ჩიხორს, ფუთს, თრთვინს, წიფას, ტაბაკინს, ალავედრს, ზედა დიმს, ქარჩხაბს, ფერსათს ადგილ–მამულები ჰქონდათ დიდ ჯიხაიშში, ჭყვიშში, ოფჩაში, ბაღდადში, ჩირგჟათს და წყალთაშუას, უხუთს, ფარცხანაყანევს, როხსა და ზეინდარს“ **[3:36].** ჩხეიძეები ასევე ფლობდნენ შორაპნის მაზრაში სოფელ ჭართალს (ხარაგაულის რაიონი, 2002 წ. მონაცემებით 59 ადამიანი მცხოვრები, დღეს 10 კაცამდე ცხოვრობს და ემუქრება სოფელს ნასოფლარათ გადაქცევა) და მის მიმდებარე ტერიტორიებს.

ჩხეიძეთა ნათესაურმა სიახლოვემ სამეფო კართან დიდი გავლენა იქონია მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი პოლიტიკური კარიერა. ისინი განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქართლის მეფეების როსტომის (1632–1658), ვახტან V-ის (1658-1675), გიორგი XI-ის (1675–1688), ქაიხოსროს (1703–1711), ვახტანგ VI-ის (1712–1724) კარზე **[2:73].**

რუსული ხელისუფლების დამყარებისა და განსაკუთრებით, საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ეს საგვარეულო მნიშვნელოვნად სუსტდება. 1886 წლიდან ჩხეიძეები შორაპნის მაზრაში[1] თავის კუთვნილ მიწას ერთიმეორის მიყოლებით ყიდიან დროის მცირე ინტერვალით. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ეკონომიკურ დეგრადაციას განიცდიან. განვიხილავთ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ასახავს სოციალურ მდგომარეობას შორაპნის მაზრაში XIX საუკუნის დასასრულს.

დოკუმენტები დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ განხილული საბუთები პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ისინი, ძირითადად, ნასყიდობისა და სოციალური შინაარსისაა. უმეტესობა შედგენილია რუსულ ენაზე. ნასყიდობის ქაღალდი აზნაურ ჩხეიძესა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის თაობაზე, თარიღდება 1886 წ. 3 ოქტომბრით. დედანი დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე, რუსულ ენაზე (გაკრული ხელით), ფურცლის ზომა აღემატება A-4-ის ფორმატს. ფურცლის რაოდენობა არის ერთი. დოკუმენტი ჩვენამდე მოღწეულია ორიგინალის სახით, იგი არ არის რესტავრირებული. ფურცლის კიდეებზე აღენიშნება მცირე დაზიანებები, ასევეა ფურცლის ცენტრალურ ნაწილშიც, მაგრამ დოკუმენტის წაკითხვა შესაძლებელია.

დოკუმენტში გადმოცემულია, თუ როგორ ყიდის აზნაური ქველი ბეროს ძე ჩხეიძე მიწის ნაკვეთს სოფელ ჭართალში და ყიდულობს მის საკუთრებას რიგითი გლეხი ასლან გიორგის ძე ფცქიალაძე: ,,მე სოფ. ჭარტალის მცხოვრები აზნაური ქველი ბეროს ძე ჩხეიძე ვაძლევ ამ ნასყიდობის ქაღალდს შენ სოფ. ჭართლში მცხოვრებ გლეხს ასლან გიორგის ძეს ფცქიალაძეს, რომ ვყიდი ჩემს სახნავ მიწას, რომელიც მდებარეობს სოფ. ჭარტალში სახელით ,,გელის მზე“, დაახლოებით სამი ქცევა[2]რისთვისაც მყიდველისაგან მივიღე 150 მანეთი“.

გარდა იმისა, რომ აზნაური ჩხეიძე გლეხ ფცქიალაძეზე ყიდის მიწას, იგი მყიდველის ერთგვარ დამცველად და გარანტადაც გვევლინება და გაყიდვისას ვალდებულებას იღებს, რომ ,,თუ ვინმე შეგაწუხებს მე ვიღებ პირობას, რომ შენ დაგიცვა და თუ ვინმე მოითხოვს ამ ქონებას, პასუხი უნდა გავცე მე ქველი ჩხეიძემ და დაგიცავ სხვა მყიდველებისაგან, რომ არ დაზარალდეთო“.

ამ ნასყიდობის ქაღალდით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1886 წ. მძიმე სოციალური ფონი იყო შექმნილი შორაპნის მაზრაში და მიმდინარეობს გაბატონებული სოციალური ფენის ეკონომიკური დეგრადაციის პროცესი.

გარდა იმისა, რომ აზნაური ჩხეიძე გაღატაკებულია, მან ასევე არ იცის წერა-კითხვა, რაც ზოგადად მეტყველებს შორაპნის მაზრაში განათლების დაბალ დონეზე. წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, დოკუმენტს მისი თხოვნით ხელს აწერს თავადი ივანე გორჩაძე. ნასყიდობის სიგელს ხელს აწერს ორივე მხარე, ჩხეიძის მაგივრად თავადი გორჩაძე და მეორე მხრიდან მიხეილ ფცქიალაძე. ასევე ამ დოკუმენტს ამოწმებენ და თავისი ხელმოწერით ამყარებენ იქ მცხოვრებნი: ბ. გაჩეჩილაძე და იგორ ცუცქირიძე.

1886 წელს აზნაურ ჩხეიძეს იმდენად გაუჭირდა, რომ საკუთარი სახნავი მიწა უკვე მეორედ გაყიდა (იგულისხმება 1886 წ. 3 ოქტომბერი და 1886 წ. 31 ოქტომბერი).

ნასყიდობის ქაღალდი შედგენილია აზნაურ ჩხეიძისა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის თაობაზე და თარიღდება 1886 წ. 31 ოქტომბრით. დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე. შედგენილია

---

[1] **შორაპნის მაზრა**, ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში, ცენტრი <u>შორაპანი</u>. შეიქმნა 1846 წელს. შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში.

თავდაპირველად იყოფოდა: არგვეთის, დიმის, საჩხერის, სვერის, ხარაგაულის, ჩხარისა და შორაპნის უბნებად. XIX საუკუნის დასასრულს შორაპნის მაზრაში შედიოდა ყვირილის, საჩხერის, წიფას, ჭიათურისა და ჩხარის უბნები. შორაპნის მაზრა გაუქმდა1930 წელს.

[2] იმ დროისათვის 1 ქცევა მიწა ღირდა დაახლოებით 50 მანეთი, 1 ქცევა =3600კვ/მ ანუ 3 =10800 კვ/მ).

ქართულ ენაზე, მაგრამ ნაწერი ძნელად გასარჩევია (დაწერილია გაკრული ხელით). ფურცლის ზომა აღემატება A4–ს, დოკუმენტი შეადგენს ერთ ფურცელს. არსებული დოკუმენტი წარმოადგენს ორიგინალს. ფურცლის კიდეებსა და შუა ნაწილში აღენიშნება მცირე დაზიანებები, დოკუმენტის წაკითხვა ძნელი, მაგრამ შესაძლებელია. არსებული მასალა აღნუსხულთა სიაში არ არის შეტანილი. იგი დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ჩხეიძე სამ ქცევა სახნავ მიწას სოფელ ჭარტალში შორაპნის მაზრაში ყიდის ასლან გიორგის ძე ფცქიალაძეზე ,,თუთხმეტი „თუმანის საფასურად". საბუთში ნათქვამია: ,,სოფელ ჭართალში მცხოვრებმა აზნაურმა ქველამ ბეროს ძემ ჩხეიძემ ეს ნასყიდობის პირობის ხელის წერილი მოგეცი შენ ამავე სოფლის მცხოვრებს ასლან ფცქიალაძეს ... მოყიდული კუთვნილი ჩემდამი სახნავი მიწა სოფელ ჭარტალის სახელდებული – ღვალის მიწა სამი ქცევა".

აქაც აზნაური ჩხეიძე გლეხ ფცქიალაძეს უდგება გაყიდული მიწის გარანტად და იგი პირობას დებს, თუ ვინმე შეედავება მიწის ნაკვეთში ,,ჩემს მიერ მოსყიდულ ადგილზე ვინმე რომ მოგედავოს მე გავხდე პასუხისმგებელიო".

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქაც სახეზე გვაქვს ოდესღაც გაბატონებული ფენის ეკონომიკური და კულტურული დეგრადაციის პროცესი (წერა-კითხვის უცოდინარობა).

1889 წ. ნასყიდობის ქაღალდიც აზნაურ ჩხეიძეს გაღატაკებას ადასტურებს.

,,ნასყიდობის ქაღალდი აზნაურ ჩხეიძესა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის შესახებ 1889 წ. 28 იანვარი. დედანი დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე, რუსულ ენაზე (გაკრული ხელით). ფურცლის ზომა აღემატება A4–ს. ჩვენამდე მოღწეულია ორიგინალის სახით, ნასყიდობის ქაღალდს აღენიშნება დაზიანებები ფურცლის კიდეებსა და ცენტრალურ ნაწილებში, ასევე დოკუმენტი არის მრავალჯერ გადაკეცილი, მაგრამ მისი წაკითხვა შესაძლებელია. ეს დოკუმენტიც დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, შიფრით: ***,,ხხმ 6412/ფ–1250".***

აღნიშნული საბუთი იდენტურია 1886 წ. ნასყიდობის ქაღალდისა, ორივე სიგელში აზნაური ჩხეიძე ყიდის მიწას და ყიდულობს ასლან გიორგის ძე ფცქიალაძე, მაგრამ ყურადღებას კიდევ ერთი რამ იქცევს, თუ აზნაურმა 1886 წ. 2–ჯერ გაყიდა მხოლოდ სახნავი მიწა, 1889 წლისათვის იგი იჯარით გასცემს ფცქიალაძეზე სახნავ მიწასთან ერთად უკვე ტყესაც: ,,სოფ. ჭარტალის მცხოვრები ამ ნასყიდობის ქაღალდს სოფ. ჭარტალის მცხოვრებ გლეხს დროებით ასლან გიორგის ძე ფცქიალაძეს, იმის შესახებ, რომ ჩემი კუთვნილი მიწა სახელად ,,ორა სახლის" ტყესთან ერთად სიგრძით 70 საჟენი, სიგანით 67 საჟენი[1]. აღნიშნული მიწისა და ტყის საფასურად მან მიიღო 200 მანეთი: ,,მე აზნაურმა ჩხეიძემ მივიღე 200 მანეთი (ანუ 20 იმპერიალი)"[2]. დოკუმენტიდან გამომდინარე, გამოდის, რომ იმ დროისათვის ერთი საჟენი მიწა დაახლოებით 2,90 მანეთს უდრიდა.

ამ ნასყიდობის სიგელში აზნაური ჩხეიძე კვლავ გვევლინება იმის გარანტად, რომ თუ გლეხ ფცქიალაძეს ვინმე შეედავება იგი მზადაა დაიცვას: ,,თუ გამოჩნდება ვინმე მოდავე ,,ქველი ჩხეიძესთან უნდა აგოს პასუხი და გაგანთავისუფლოთ თქვენ დავისაგან, და არ მოგაყენოთ ზარალი რაზედაც ხელს ვაწერ აზნაური ქველის ბეროს ძე ჩხეიძე". არსებულ დოკუმენტს ამოწმებენ: ივანე კორძაია, სერბიკოვი... ბელსათ უბნელის..გაჩეჩილაძე, იაგორ ცუცქირიძე და მ. ლომიძე.

შორაპნის მაზრაში კიდევ ერთია აზნაურობის მაძიებელი გაღატაკების ზღვარზე, მაგრამ ჩხეიძესგან განსხვავებით კოლა ლომიძე მიწას კი არ ყიდის, არამედ გარკვეული ვადით იჯარით აძლევს თბილისის მცხოვრებ ევსტაფე ჩხარტიშვილს და სოფ. მიხაილოვში მცხოვრებ გილდიის ვაჭარ იოსებ საველის ძე ძნელაძეს.

ნასყიდობის ქაღალდი მოქალაქე ევსტაფე ჩხარტიშვილისა და გილდიის ვაჭარის იოსებ ძნელაძის მიერ სოფ. ლიჩში ძმების მალხაზოვების და კოლა ლომიძეების მიწის ყიდვის შესახებ 1898 წ. 19 ნოემბერი შორაპნის მაზრა. დედანი შესრულებულია რუხი ფერის ქაღალდზე. შესრულებულია რუსულ ენაზე (სუფთა კალიგრაფიით), ფურცლის ზომა აღემატება A4–ს. ჩვენამდე მოღწეულია ორიგინალის სახით. ფურცელის შუა ნაწილში აღინიშნება დაზიანება, მაგრამ წაკითხვა შესაძლებელია. ნასყიდობის ქაღალდის პირველ ფურცელზე დარტყმულია სახელმწიფო მარკა, ხოლო მეორე ფურცელზე უზის ნოტარიუსის ბეჭედი (ნოტარიუსი - მაჭავარიანი). დოკუმენტი წარმოადგენს ორ ფურცელს. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შიფრით: ***,,ხხმ .13657/ფ.5449".***

საბუთის მიხედვით, თბილისის მცხოვრები მოქალაქე ევსტაფი ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილი და გილდიის ვაჭარი იოსებ საველისძე ძნელაძე, მცხოვრები გორის მაზრის სოფელ მიხაილოვში (ამჟამინდელი ხაშური - თ. მ; ლ. ტ.) იჯარით იღებენ შორაპნის მაზრაში სოფ. ლიჩში (საჩხერის რაიონი

[1] საჟენი, ძვ. რუსული საზომი ერთეული. 1 საჟენი=2,134 მ.

[2] 1 იმპერიალი =10 მანეთი,

256 მცხოვრები, დღევანდელი მონაცემებით თითქმის არავინ ცხოვრობს, სოფელს ემუქრება ნასოფლარად გადაქცევა) მცხოვრებ გიორგი, ექვთიმე, დიმიტრი, სარდიონ, იასონ და კიმოთე ლომიძეებისგან.

დოკუმენტში გვხვდება იურიდიული ტერმინები: მფლობელობა, განკარგვა, მოხმარება. შესრულებულია სამართლებრივად გამართულ დონეზე და იურიდიულად წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს: ,,ჩვენი უძრავი ქონება, რომელიც არს ჩვენს სრულად მფლობელობაში, განკარგვაში და მოხმარებაში", ნათქვანია ტექსტში. აღნიშნული მიწის ფართი ლომიძეებმა ჩხარტიშვილსა და გილდიის ვაჭარს მიჰყიდეს ექსპლუატაციისა და მადნის დამუშავება-მოპოვების მიზნით.

სოფელ ლიჩში ევსტაფე ჩხარტიშვილი და გილდიის ვაჭარი იოსებ ძნელაძე ყიდულობენ ლომიძეების შემდეგ კუთვნილ მიწებს: ,,8 ქცევა, შემდეგ საზღვრებში, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საზოგადოებრივი გზა, სამხრეთიდან ნატრია და გიო სიმონისძეები, ლომიძეებს უფლება აქვთ მიწის ნაკვეთის ნახევარ წილზე, სახელით ,,ვაკე გზის მიწა", უფლება სხვა ნახევარზე, რომელიც ეკუთვნის ჯავახა ლომიძის ვაჟიშვილებს, სულ სამი ქცევა ზომის, შემდეგ საზღვრებში: ,,აღმოსავლეთიდან – მიწა მენტორა ოქროპიროვისა და სპირიდონ ივანისძე ლომიძისა, დასავლეთიდან პავლე გოგისძე სულაბერისძისა, სამხრეთიდან ჩვენი ლომიძეების სამფლობელო, ჩრდილოეთიდან საზოგადოებრივი გზა. ნაკვეთი ¼ ნაწილზე სახელით „ღრმა ჭალის მიწა", სხვა მფლობელის უფლება-კუთვნილებაა. ასევე მათ კუთვნილებაში იყო შემდეგი მიწები: ,,გორა ხევის მიწა" 1/6 სხვა ნაწილებზე მფლობელებს უფლება ეკუთვნით გენტორ, სპირიდონ, მიხა ლომიძეებს, სულ 8 ქცევა. აღნიშული მიწის ნაკვეთი სოფელ ლიჩში იჯარით გადაცემულია 36 წლის ვადით.

საბუთში გარკვევითაა გაწერილი ორივე მხარის ვალდებულებები. მეიჯარეებს უფლება ეძლეოდათ, იჯარის ვადის დასრულებამდე ესარგებლათ თავისი შეხედულებისამებრ, ამოეღოთ შემოსავალი იმ წესით, რასაც საჭიროდ ჩათვლიდნენ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მეიჯარეები შეზღუდულნი არ იყვნენ და უფლება ჰქონდათ ,,იმ გზების მოწყობისა, რომელიც აუცილებელი იყო წიაღისეულის დასამუშავებლად და ექსპლუატაციისათვის, წყლებით სარგებლობა და ადგილები მიწის დასაყრელად, ნაგვის და გასასვლელის მოწყობა. ლომიძეები ინარჩუნებენ უფლებას თავიანთ საცხოვრებელ სახლებში საჭიროების შემთხვევაში გაეხსნათ სავაჭრო და სხვა ობიექტები.

გაიჯარავებულ მიწებში ჩხარტიშვილს და ძნელაძეს შეეძლოთ აეგოთ შენობები, ფაბრიკები, მაგრამ ,,ფასის გადახდითა და სამი კეთილსინდისიერი მოწმის თანდასწრებით, რომლებსაც აირჩევდა მოლაპარაკების ორივე მხარე".

ლომიძეებს ასევე უფლება ჰქონდათ მოეწყოთ ბოსტნები და ბაღები თავის სახლებში, რა თქმა უნდა, არ უნდა შეეზღუდათ მეიჯარეები წიაღისეულის დამუშავებასა და ექსპლუატაციასა.

თუ მეიჯარეები მოიპოვებდნენ დამატებით შემოსავალს, მათ ოქროთი უნდა გადაეხადათ ამის საფასური, ,,ვალდებულებას ვიღებთ გადავუხადოთ ლომიძეებს თოთხმეტი მანეთი ოქროთი..." მაგრამ დოკუმენტში არ კონკრეტდება, ნაკლები მოსავლის აღებაში გადასახდელი თანხის ვალდებულება.

მეიჯარეებს სავაჭრო უფლების მოწმობა უნდა აეღოთ მთავრობისგან, ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ სახელმწიფოს წინაშე.

აღწერილი მადნის გარდა, იჯარით გაცემულ მიწაზე, სხვა მადნის აღმოჩენის შემთხვევაში, მოიჯარეებს შეეძლოთ მათი დამუშავება იმავე პირობით.

თუ ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის განმავლობაში სამუშაოები შეჩერებული იქნებოდა წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მაშინ ხელშეკრულება უქმდებოდა და მიწა უბრუნდებოდა ძველ მფლობელს. აღსანიშნავია, რომ ჩხარტიშვილი და ძნელაძე ვალდებულნი იყვნენ, მუშახელის დაქირავების შემთხვევაში, პირველ რიგში, ყურადღება მიექციათ ლომიძეებისთვის.

ჩხეიძის მსგავსად, ლომიძეებიც იღებდნენ ვალდებულებას და გარანტად უდგებოდნენ, რომ თუ მეიჯარეებს ვინმე შეედავებოდა, დაეცვათ მეიჯარეები სხვა მოდავეებისგან და ,,არ მიეყვანათ გაკოტრებამდე".

პირობის დამრღვევი იხდიდა 40 000 მანეთს და შეთანხმება უქმდებოდა. ამ შეთანხმების ასლები ეძლეოდა ორივე მხარეს. ნასყიდობის პირი მეიჯარეებს ჩხარტიშვილსა და ძნელაძეს, ხოლო მისი ასლი მფლობელებს - ლომიძეებს ეძლეოდათ. საიჯარო მიწის რაოდენობა 900 კვადრატულ საჟენს შეადგენდა.

აღნიშნული დოკუმენტიც ნათლად მეტყველებს მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას. მიუხედავად იმისა, რომ მაზრაში საკმაოდ მოიპოვებოდა სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეული (კირქვა, მანგანუმი) და პერსპექტიული იყო მისი დამუშავება. მფლობელები, უსახსრობის გამო, მას იჯარით აძლევენ თბილისში მცხოვრებ ევსტაფი ჩხარტიშვილს და სოფ. მიხაილოვში მცხოვრებ გილდიის ვაჭარს იოსებ ძნელაძეს, რადგან, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელნი უფრო შეძლებულნი იყვნენ და შეეძლოთ კიდეც მიწის ექსპლუატაცია და იქ არსებული მადნის დამუშავება.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტები ნათლად მეტყველებენ შორაპნის მაზრაში XIX ს. მიწურულს შექმნილ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. საგლეხო რეფორმის გატარების

შემდეგ სწრაფად მიმდინარეობს ძველი გაბატონებული სოციალური ფენის ეკონომიკური და კულტურული დეგრადაციის პროცესი. სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოდიან ახალი ,,აზნაურობის მაძიებელნი", გილდიის ვაჭრები თვითონ ლომიძეებიც აზნაურობის მაძიებელნი იყვნენ, მაგრამ ვერ მიიღეს ეს წოდება, რომლებიც იოლად უღებენ ალღოს შექმნილ ვითარებას და ეკონომიკურ პრივილეგიებს იღებენ. აღნიშნული საკითხი შესანიშნავად გადმოსცა ცნობილმა ქართველმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა თავის არაერთ ნაწარმოებში ,,შემოდგომის აზნაურების" სახით. დავით კლდიაშვილი საქართველოს ამ კუთხის შვილი იყო, ზემოხსენებული ცვლილებები მის თვალწინ ხდებოდა და ყველაზე უკეთ ხედავდა გაღარიბებული აზნაურების მთავარ ,,საწუხარს".

რა თქმა უნდა, შორაპნის მაზრაში შექმნილი მდგომარეობა გამონაკლისი არ იყო და აღნიშნულ პროცესს ზოგადსახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა.

წყაროები და ლიტერატურა:

საარქივო მასალა

1. ნასყიდობის ქაღალდი აზნაურ ჩხეიძესა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის თაობაზე, 1886 წ. 03.10, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შეტანილი არ არის აღნუსხულთა სიაში;
2. ნასყიდობის ქაღალდი აზნაურ ჩხეიძესა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის თაობაზე, 1886 წ. 28.01, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შეტანილი არ არის აღნუსხულთა სიაში;;
3. ნასყიდობის ქაღალდი აზნაურ ჩხეიძესა და გლეხ ფცქიალაძეს შორის მიწის გაყიდვის თაობაზე, 1889 წ. 31.10, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხხმ 6412/დ-1250;
4. ნასყიდობის ქაღალდი ევ. ჩხარტიშვილისა და გილდიის ვაჭარ იოსებ ძნელაძეს შორის ძმები მალხაზოვებისა და კოლა ლომიძეების მიწის გაყიდვის თაობაზე, 1898 წ. 19.11; ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხხმ 13657/დ-5449;

ლიტერატურა:

5. უთურიშვილი ი., გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. ს. II ნახევარში (გორის მაზრის მასალების მიხედვით), თბ., 1957.
6. ლაცაბიძე თ., იტრია, ხაშური, 2010.
7. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1973.
8. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987.

ნასყიდობის ქაღალდი მოქალაქე ევსტაფე ჩხარტიშვილისა და გილდიის ვაჭარის იოსებ ძნელაძის მიერ სოფ. ლიჩში ძმების მალხაზოვების და კოლა ლომიძეების მიწის ყიდვის შესახებ.

1898 წ. 19 ნოემბერი შორაპნის მაზრა.

(ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი *„ხხმ 13657/დ.5449“*.)

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან XI–XII სს.

ნინო ტატიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი,** ასოცირებული პროფესორი

XI-XII საუკუნეებში საქართველოში ვითარდება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება, ყოველმხრივ ღრმავდება ქრისტიანულ-ჰუმანისტური მსოფლმხედველობა და მის წიაღში ისახება ადრინდელ-რენესანსული საზოგადოებრივი აზროვნება. (გაფრინდაშვილი; გვ-175)

ქართულ კულტურულ კერებში, საქართველოსა და მის გარეთ ძლიერდება ინტერესი ფილოსოფიური აზრისადმი, წარმოებს მთარგმნელობითი კომენტატორული მუშაობა ამ მიმართულებით. ითარგმნა პროკლეს (410-485) ძირითადი ფილოსოფიური თხზულება „თეოლოგიის ელემენტები“ (პეტრიწი); ეს თარგმანი არის უძველესი ამ თხზულების ცნობილ თარგმანთა შორის მსოფლიოში (საქართველოს ისტორია, III; გვ. 456).

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე გაიფურჩქნა იოანე პეტრიწონელისა და არსენ იყალთოელის ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ განსაკუთრებით ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება, რომლის უდიდესი წარმომადგენელიც იყო ფილოლოგოსი, მთარგმნელი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი - ეფრემ მცირე.

მცირეწლოვანი ეფრემი მამამ კონსტანტინეპოლში ჩაიყვანა, იგი არ ეთანხმებოდა ბაგრატ IV-ის ანტიბიზანტიურ კურსს და ამის გამო იძულებული იყო ქვეყანა დაეტოვებინა, მამის შეხედულებების მიუხედავად ბერძნულ კულტურას ნაზიარები ეფრემი ქართულ ორიენტაციას დასდგომია, იგი კონსტანტინეპოლიდან შავ მთაზე გადასახლდა და მრავალი ბერძნული ნაშრომი თარგმნა ქართულად. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ისტორიული და ფილოსოფიური ნაშრომები, რომლებშიც განვითარებულია შუა საუკუნეთა საისტორიო კონცეფცია. ამ ნაშრომებში, უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს მისივე „საზოგადო შეხედულება და აზრები“ და მათი გამომხატველი ტერმინები; მაგალითად რაოდენობა, არსება, ხედვა, გრძნობა, ოცნება და სხვები დღეს აქტიურად იხმარება ქართულ აზროვნებასა და მწერლობაში. (გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 177)

ეფრემ მცირეს შემუშავებული ჰქონდა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რომლის მიხედვით თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა გადმოთარგმნილიყო. იგი არც უნდა შემოკლებულიყო და არც არაფერი არ უნდა მიმატებოდა. მანვე თარგმნა ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომები, ე.წ. არეოპაგიტული კორპუსი მთლიანად, რომელიც შედგება ოთხი თხზულებისა და ათი ეპისტოლესაგან. არეოპაგიტიკის ქართულად მთარგმნელი ეფრემ მცირისათვის ისეთი იდეები იყო მისაღები როგორიცაა, მაგალითად, ის რომ, „ღმერთი ყოველთა შორის ყოველი არს“, რომ პირველსაწყისი არის ღმერთი და ღმერთის „სახელთა შორის“ უმაღლესი პრედიკატი, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება მის არსებას - სიკეთეა. არ არსებობს ორობა ერთისა და ერთობის გარეშე და ამიტომ არც სიკეთის და ბოროტების ორი საწყისი არსებობს, ბოროტება მხოლოდ არარაა, მისი აზრით ის, რასაც ადამიანები ბოროტებას უწოდებენ, სინამდვილეში მხოლოდ სიკეთის კლებას, სიკეთისაგან დაცილებას წარმოადგენს (პეტრე იბერიელი; შრომები; გვ. 81). ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ასევე ეფრემ მცირის თეორია ქრისტიანობის პირველ გამავრცელებელთა შესახებ საქართველოში, ამ კონცეფციას ჩვენს დრომდე უჭერს მხარს არა მარტო საღვთისმეტყველო, არამედ საისტორიო მეცნიერებაც. ეფრემ მცირის დროს და შემდეგაც აზრთა სხვადასხვაობა იყო ქართველთა გაქრისტიანებისა და პირველ ქრისტიან განმანათლებელთა თაობაზე. ბერძნებსა და ქართველებს შორის ბრძოლის გამწვავებამ გამოიწვია საკითხის აღძვრა იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობისა და თუ აქვს, რა დროიდან და საერთოდ რომელ ბერძნულ წყაროებშია მოხსენიებული ქართლის მოქცევა ქრისტიანობაზე. ამ საკითხზე პასუხი გიორგი მთაწმინდელმაც გასცა, მაგრამ ეფრემ მცირემ უფრო მეტი ბერძნული წყარო დაასახელა ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის დასასაბუთებლად. ერთ-ერთ წყაროს თარგმანში კი ქართველებს „ბარბაროსების“ ნაცვლად „ნათესავნი“ უწოდა ცხადია, იგი ქართველთა ეროვნების ბარბაროსებად მიჩნევას უსამართლოდ თვლიდა.

ეფრემ მცირემ პასუხი გასცა მის დროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის საჭირბოროტო მეორე კითხვასაც: თუ საქართველოში ქრისტიანობა ანდრეა პირველწოდებულმა იქადაგა,

რაღა საჭირო იყო წმინდა ნინოს ქადაგება? მისი აზრით ნინოს ქადაგება საჭირო იყო იმის გამო, რომ ქრისტიანობის გავრცელება დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული და თვით ბერძენი მღვდლებიდანაც ბევრი დასდგომია იძულებით კერპთაყვანისმცემლობას. ეფრემ მცირის ამ მოსაზრებამ გაიმარჯვა და მას შემდეგ ქრისტიანობის გავრცელების ორივე ვერსია ლოგიკური და მისაღები გახდა.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად გაწეულ ღვაწლში ეფრემ მცირეს მხარში ედგა მისივე მოწაფე, ღვთისმეტყველი ფილოსოფოსი, იურისტი, მწერალი და მეცნიერი ბუნებისმეტყველი, იყალთოს აკადემიის დამაარსებელი, რექტორი - არსენ იყალთოელი. იგი მოღვაწეობდა შავ მთაზე ეფრემთან ერთად, შემდეგ იყალთოში, იყალთოს შემდეგ კი შიომღიმეში დამკვიდრებულა.

არსენ იყალთოელი მონაწილეობას იღებდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ ყრილობაზე, რომლის ძირითად საკითხს მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის სადისკუსიო საკითხები წარმოადგენდა. მთავარი თხზულება, რომელშიც არსენ იყალთოელის თეოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებები აისახა, არის მის მიერ თარგმნილი და შედგენილი, ბიზანტიელ მოაზროვნეთა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, ანტი მაჰმადიანური და ანტი კათოლიკური ნაშრომების შემცველი ვრცელი კრებული „დოგმატიკონი“. ამ თხზულების ძირითად მიზანს ქალკედონისტური მიმდინარეობის დაცვა წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტრაქტატი „პირმშოსათვის“, იგი ნეოპლატონიზმის წინააღმდეგაა მიმართული, რადგან ტრაქტატის მიხედვით ღმერთია მხოლოდ შემოქმედი და დანარჩენი მხოლოდ შექმნილია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ შეიძლება ვთქვათ, რომ არსენი ნეოპლატონიზმის წინააღმდეგია, რადგან ამგვარი შეხედულებები ნეოპლატონისტებთანაც უხვად მოიპოვება.

უმთავრესი ის არის, რომ არსენ იყალთოელი თავისი დროის ქრისტიანი მოაზროვნეა, რომლის მსოფლმხედველობაში მეცნიერულ-ფილოსოფიურ შეხედულებებთან ერთად არის დოგმატურ-ეკლესიური დებულებანიც, ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ის არის რომ იგი არისტოტელიზმისა და პლატონიზმის ჰარმონიის პოზიციაზე მდგარა.

არსენი ქართველთა ნათესაობაზე ბევრ კითხვას სვამდა და შემდეგ თვითონვე პასუხობდა მას, მისი აზრით ქართველები არიან - ქართლის მეფის - აზოს - შთამომავლები და სწორედ აზოა ქართლის პირველი მეფე, პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი კი აზოს შვილიშვილთაგან ოცდამერვე მეფე ყოფილა. დიდი სიამაყით ამბობს, რომ ჩვენ, ქართველებს კონსტანტინე დიდის დროს გვყავდა მასზე არანაკლები მეფე მირიანი და როდესაც მსოფლიოში სიკვდილით სჯიდნენ დიდ ქრისტიან მოაზროვნეებს, ჩვენ შევძელით და ვისწავლეთ მართალი სარწმუნოება და არასდროს ავცდენილვართ მის გზას. მშვენივრად ერწყმოდა ერთმანეთს ქრისტიანული საყოველთაო ჰუმანიზმი და ქართული პატრიოტიზმი არსენ იყალთოელის საღმრთო და საერო ცხოვრებაში.

XI-XII საუკუნის დიდი მოღვაწეა ასევე იოანე პეტრიწი, იგი მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში, რომელიც გრიგოლ ბაკურიანისძემ მიიწვია ფილოსოფიური სწავლებისათვის. მას შესრულებული აქვს როგორც ორიგინალური წიგნები, ისე ნათარგმნი, ბაკურიანისძის გარდაცვალების შემდეგ მოღვაწეობა გელათში გააგრძელა, მის მოღვაწეობას დევნის გარეშე არ ჩაუვლია თავისი შეხედულებებისა და ხასიათის გამო.

პროკლე დიადოქოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმანის იოანე პეტრიწისეულ კომენტარებში „განმარტებაი პროკლესათვის დიადოქოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათვის“ ქართველი ფილოსოფოსი გვევლინება პირველხარისხოვან მოაზროვნედ, რომელიც მთლიანად დაუფლებია ანტიკური და თანამედროვე ბიზანტიური ფილოსოფიის მწვერვალებს. თუმცა მისი საზოგადოებრივი და ფილოსოფიური მრწამსი განპირობებულია უწინარეს ყოვლისა, მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების მოთხოვნით. ეს ის დროა, როდესაც ბიზანტიური რენესანსის კვალდაკვალ ქართველი მოაზროვნეები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საღმრთო და საერო ცხოვრება განუყრელია. თუ ექვთიმე მთაწმინდელი ჯერ კიდევ პირველ ადგილს თეოლოგიას უთმობს და ფილოსოფიით ნაკლებადაა დაინტერესებული, ეფრემ მცირე თანასწორუფლებიანად მიიჩნევს თეოლოგიას და ფილოსოფიას, არსენ იყალთოელი უწინარეს ყოვლისა არისტოტელიზმს ქადაგებს, თუმცა არც პლატონიზმს უარყოფს. ეფრემ მცირე პლატონიზმს და ნეოპლატონიზმს აერთებს. იოანე პეტრიწი სამივე მიმდინარეობის სიმფონიას, მორიგებას ცდილობს, თუმცა ქრისტიანულ-თეოლოგიური დოგმატიზმისაგან ბოლომდე ვერცერთი ვერ თავისუფლდება. (ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 267)

იოანე პეტრიწს პროკლე პლატონის მონაცვლედ მიაჩნია, უწინარესად იმის გამო, რომ მან უზენაესი და უპირველესი მიზეზი - „ერთი ღმერთი“ აღიარა ყოველივე არსებულის პირველსაწყისად და ერთობის საფუძვლად და ერთმანეთისგან გაარჩია სულის აზროვნება და გონების აზროვნება, რომელთაგანაც უპირატესობა სულის აზროვნებას მიანიჭა, სულის აზროვნება თანდათანობითი და რთულია, გონებისა

კი - უეცარი და მარტივი. შემეცნება სულისა და გონების მოქმედებაა. იგი სულით იწყება და პირველსაწყისისაკენ, ერთისაკენ მიემართება, გონების აზროვნება იდეების სამყაროსკენაა მიმართული. ყოველივე არსებულის ერთობის საფუძველი პირველმიზეზია, ყველაფერი ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივადაა დაკავშირებული. სამყაროსა და ღმერთს შორისაც მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულებაა და ამიტომ, იოანე პეტრიწის აზრით, ღმერთი სამყაროს შემოქმედი კი არა, მისი მიზეზია და მაშასადამე, სამყარო ღმერთის მიერ შექმნილი კი არ არის, მუდმივად არსებობს. ამრიგად, ყოველივე არსებობს ყოველივეში და სამყარო მარადიულია. ხილული სამყარო უმაღლესი მიზეზის, ღმერთის ემანაცია-გამოსხივებაა. ემანაცია რთული პროცესია, რამდენიმე მთავარ საფეხურს გაივლის უმაღლესი მიზეზიდან უშუალო მიზეზ-შედეგამდე, შედეგიდან მიზეზამდე, შემდეგ კი ისევ უზენაეს მიზეზამდე. ამგვარი ნეოპლატონისტური დებულებანი ედო საფუძვლად ქრისტიანულ ჰუმანიზმს, რომელიც დოგმატისმთან ერთად მაშინ თავისუფალ აზროვნებასაც შეიცავდა, კერძოდ, ამქვეყნიური სინამდვილის და მისი უმაღლესი პროდუქტის - ადამიანის ღირებულების, სიკეთისა და სიმშვენიერის შესახებ. სწორედ ფილოსოფიისა და თეოლოგიის შერწყმით შეძლო იოანე პეტრიწის მიერ განვითარებულმა ქრისტიანულ-ჰუმანისტურმა და ადრინდელ-რენესანსულმა მსოფლმხედველობამ გამოეხატა თავისი დროის ქართველი ადამიანის პიროვნულ-ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანიც და მისი გვიანდელი, მაგრამ კვლავაც ქრისტიანულ-ჰუმანისტური და ადრინდელ-განმანათლებლური იდეებიც.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის გიორგი III-ს. იგი უმჯობესი თუ არა, მსგავსი მაინც იყო პაპა-დავით აღმაშენებლისა. მისი მეფობის დრო ემთხვევა დემნა უფლისწულისა და ორბელების აჯანყებას. (საქართველოს ისტორია, I, გვ. 407) ეს ბრძოლა გიორგი III-ის გამარჯვებით და ტახტზე მისი ასვლით დამთავრდა. მთელი ეს ბრძოლა მეფესა და ფეოდალ-დიდებულებს შორის არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამოხატულება იყო და მათი აზროვნებით მათი მსოფლმხედველობაც ვლინდებოდა: მეფე და მისი მომხრე დიდკაცობა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების საშუალებით საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისა და განვითარების თვალსაზრისს ადგა, მრავალი დიდი ფეოდალი კი დავით და დემნა უფლისწულთა მეთაურობით - დაქსაქსულობისა და კარჩაკეტილობის. გიორგი III-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისის უფრო კონკრეტულად გასარკვევად მცირე წერილობითი წყარო მოიპოვება, მისი შეხედულებები უფრო მისივე საქმიდან უნდა გამოვიყვანოთ, ვიდრე ნაწერებიდან. თამარის ანონიმი მემატიანე „მზეს მნათობთა შორის“ ალ. მაკედონელს, აქილევსს, სოლომონს, სოკრატე და პლატონ ფილოსოფოსებს უტოლებს და მიიჩნევს ძლევამოსილ ქართველ მეფედ, რომელიც იყო მბრძანებელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთსა. მას ძმობდნენ მეფე ბერძენთა, ეგვიპტისა, იერუსალიმისა, სკვითების და ყველა ნათესავი მაშრიყით მაღრიბამდე. ყველა ეს იმ დროის ცნობილი მსოფლიოს ნაწილია და თუ იგი ძმობდა გიორგი III-ის საქართველოს, ეს მეფე მართლაც დიდი მოაზროვნე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მემატიანე გიორგი III-ის ნამოქმედარიდან ყველაზე დიდ მნიშვნელობას იმას ანიჭებს, რომ მეფე გიორგიმ ქალის გამეფების ტრადიციის არარსებობის მიუხედავად არათუ საქართველოში, არამედ მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ტახტზე თავისი ქალიშვილი - თამარი დასვა. (გაფრინდაშვილი, გვ. 212)

ეს მართლაც განსაკუთრებული მოვლენა გამოდგა არამარტო პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნების, არამედ მთლიანად საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, 2002, გვ. 175-212.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, გვ. 456-467.
3. პეტრე იბერიელი, შრომები, 1961, გვ. 81
4. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 267
5. საქართველოს ისტორია, I, 2008.

ინგლის-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან
(უორდროპები და საქართველო)

თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** პროფესორი

1894 წლის დეკემბერში საქართველოში პირველად ჩამოსვლისას მარჯორი უორდროპს თან დედაც ხლებია, ხოლო რამდენიმე თვით ადრე ჩამოსული ოლივერი დას და დედას აქედან სტამბოლში დახვედრია. (გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო), თბ., 1983, გვ. 33).

უორდროპები საქართველოში ორ თვეს დარჩენილან. აქედან 1894 წლის დეკემბერში პირველი სამი კვირა თბილისში დაჰყვეს, ხოლო ბოლო დღეები და 1895 წლის იანვარი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და გურიაში გაატარეს.

საქართველოში თავისი პირველი მოგზაურობა მარჯორი უორდროპმა საკმაოდ ვრცლად აღწერა ხელნაწერ დღიურებში „შენიშვნები 1894-1895 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“ რომელიც დღეს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში ინახება, ხოლო ქართულად თარგმნა და 1958 წელს გამოაქვეყნა ლ. თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ. (იქვე, 146-155)

მარჯორის ამ დღიურებით შესაძლებლობა გვეძლევა ზუსტად აღვადგინოთ ინგლისელი და-ძმის და მათი დედის საქართველოში პირველი ერთობლივი მოგზაურობის მარშრუტი: ბათუმი-თბილისი-ქუთაისი-გელათი-მოწამეთა-ნიგოითი-ჯუმათი-სუფსა-ოზურგეთი-ბათუმი, ხოლო ბათუმიდან ოდესაში, ოდესიდან კი ლონდონს გამგზავრებულან.

ბათუმიდან თბილისამდე მატარებლით მგზავრობის პოეტური აღწერის შემდეგ მარჯორი უორდროპი გაოცებული რჩება თბილისის ხილვით:

„თბილისი, სადაც სამი კვირა გავატარეთ, მომხიბლავი ქალაქია, როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის დამახასიათებელი ნიშნებით. ინგლისელებს გააოცებდა საუკეთესო ქართული ოჯახის ფუფუნება და დახვეწილი გემოვნება, გააკვირვებდა მაღაზიები გოლოვინის პროსპექტზე, რომელიც რეგენტ სტრიტს წააგავს. მეორე მხრივ, თუკი ერთ საათს გაატარებთ აღმოსავლურ ბაზარში, ნახავთ შავგვრემან სპარსელებსა და ჰაიკის შვილებს, რომლებიც ფეხმორთხმული სხედან თავიანთ საქონელთან და გამვლელებს ეპატიჟებიან.

თბილისის საუკეთესო ხედები წმ-დავითის მონასტრიდან-მთაწმინდიდან და ბოტანიკური ბაღიდან იშლება. ამ უკანასკნელის სახელწოდების ისტორია მეტად უცნაურია: თავდაპირველად ქართველებმა მას ბატონის ბაღი უწოდეს, ვინაიდან იგი მათ მეფეს ეკუთვნოდა; როცა შემოვიდნენ რუსები, რომელთაც ქართული ენა არ ესმოდათ „ბატონის ბაღის“ ნაცვლად მას ბოტანიკური უწოდეს და ახლა ის მართლაც ბოტანიკურ ბაღად იქცა შენობათა სახურავები მეტწილად ბრტყელია, შეღებილია ლურჯად, ცისფრად და ძალზე ლამაზია. ციხე-სიმაგრე გადმოსცქერის ქალაქის შუაგულში მიმდინარე „მშვიდსა და მღვრიე“ მტკვარს... თბილისში ბევრი რამ არის საინტერესო, იქ არის რამდენიმე უძველესი ტაძარი. სიონი... უდიდესია მათ შორის, რომლის საკურთხევლის წინ დაბრძანებულია ვაზის ორი რტოსაგან წმ. ნინოს თმით შეკრული ჯვარი, რომელიც მუდამ უწმინდესი რელიქვია იყო საქართველოში, მეტეხის ციხე-სიმაგრის ეკლესიაც აგრეთვე მე-5 საუკუნეს მიეკუთვნება, იქ განისვენებს წმ შუშანიკი. მუშტაიდი მშვენიერი ბაღია მტკვრის ნაპირზე... თბილისში რამდენიმე თეატრია და თბილისელები, ისევე როგორც ყველა ქართველი, გართობის მოყვარულნი და გულმხიარულნი არიან.

საქართველოში მრავალი მწერალია, რომელთა შორის ბევრია ქალიც, რაც აღმოსავლეთისთვის უჩვეულო რამაა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველი ქალები უდიდეს გავლენას ახდენენ მთელ ერზე. ეს ალბათ ქრისტეანობის ადრეულ მიღებას უნდა მივაწეროთ.

მარჯორი უორდროპი აქვე გვიხატავს სამი უდიდესი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ივანე მაჩაბელის შესანიშნავ პორტრეტებს.

„უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ჭავჭავაძეს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტია, არამედ ნოველისტიც, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი და ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი. მისი ლექსები ღირსშესანიშნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიდარბაისლით, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნთქავენ. ბუნების

მგზნებარე მოსიყვარულე და ამ ბუნების მიერ შთაგონებული, იგი იგონებს თავისი ქვეყნის წარსულს, იგონებს ამ დღეებს, როდესაც იქ გვრგვინავდა მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველთა ხმა; იხსენებს, თუ რა ხშირად შეღებილა არაგვის ანკარა წყალი თავისუფლებისთვის დაღვრილი სისხლით.

თავადი აკაკი წერეთელი თანამედროვეთაგან ისევე ღრმად პატივცემული პოეტია, როგორც ილია ჭავჭავაძე. მისი მუზა უფრო მსუბუქია. მას მხიარულობა უყვარს და თავის ძლიერ სატირას იყენებს აწმყოს გასაკრიტიკებლად. აკაკი თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის იღვწის და არაჩვეულებრივად პოპულარულია.

ინგლისელთა მხრივ უდიდესი ყურადღების ღირსია თავადი ივანე მაჩაბელი, როგორც შექსპირის შესანიშნავი მოსწავლე. მან ბრწყინვალედ თარგმნა ქართულად შექსპირის „რამდენიმე პიესა, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა“.

მათთან ერთად, მარჯორ უორდროპმა მოგვცა დაუვიწყარი სახე შესანიშნავი ქართველი სასულიერო მოღვაწის და მქადაგებლის-გაბრიელ ქიქოძე-ეპისკოპოსისა (1825-1896), რომელსაც ქუთაისში უორდროპები ესტუმრნენ 1895 წლის იანვარში.

„იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი თუმც მთლად თმადათოვლილი მოხუცია, მაგრამ მისი ძლიერი გავლენა არასოდეს განქარდება. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ორ ტომად, რომელიც გამოირჩევა ჰუმანურობით, ენის დახვეწილობითა და აზრის დიდებულებით, თბილისში გამოქვეყნდა და მას (1865 წ) შემდეგ ბევრჯერ ხელახლა გამოიცა (1884 წ) აწ განსვენებულმა მალანმა ამ ქადაგებათაგან ზოგიერთი ინგლისურად თარგმნა (1867 წ ოქსფორდი) არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა გაბრიელ ეპისკოპოსთან. ის თავის სამუშაო ოთახში იჯდა. მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდა მისი ცხოვრების დაისს. თმა თოვლივით გასთეთრებოდა, თვალებსაც დაჰკარგვოდათ ახალგაზრდული ცეცხლი, მაგრამ მის დახვეწილ ნაკვთებში გამოსჭვიოდა კმაყოფილების მშვიდი გამომეტყველება, რაც იმ სიცოცხლის დასასრულზე მეტყველებდა, რომლის განმავლობაშიც ის ხალხს მხოლოდ სიკეთისაკენ მოუწოდებდა.“

გაბრიელ ეპისკოპოსს ამის შემდეგ მართლაც დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი გარდაიცვალა 1896 წლის 26 დეკემბერს (გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 250)

1894 წლის დეკემბერში, თბილისში სამი კვირით ყოფნის შემდეგ, 1895 წლის იანვრის პირველი დღეები უორდროპებს იმერეთში გაუტარებიათ... მარჯარის დღიურებში ვკითხულობთ,

„ჩვენ იმერეთში ვართ, რომანტიულ ქვეყანაში. აქ, უძველეს ქუთაისში, კოლხეთში, რიონის ჩრდილოვან ტყეებს შორის მოსულა იაზონი ოქროს საწმისის საძებნად“.

გელათიდან სამი მილის დაშორებით მდებარეობს მოწამეთას მონასტერი, რომელიც მე-11 საუკუნეში აუგია ბაგრატ დიდს. მონასტერი ხიდით უკავშირდება გარე სამყაროს. კლდე, რომელზეც აღმართულია შენობა, ნახევარკუნძულს წააგავს. ხეებითა და სუროთი დაფარულ კლდეს ჩამოუდის სწრაფი წყალწითელა. ამაზე უფრო უდაბურსა და განამარტოებულ ადგილს ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი აქ განისვენებენ დავით და კონსტანტინე, ორი ქართველი წმინდანი. გადმოცემის მიხედვით, მტრებთან ბრძოლაში მათი სისხლით შეღებილა მდინარის ტალღები და ამიტომაც დაურქმევიათ ამ ადგილისათვის წყალწითელა. სიკვდილის წინ გმირებს უთხოვიათ ღვთისთვის, რომ მათი სულები გაუხრწნელად შეენახა და მათთვის კი განმკურნებელი ძალა მიენიჭებინა. დღესაც ბევრი გადმოცემა არსებობს იმ სასწაულების შესახებ, რაც მათზე შეხებით ხდებოდა.

იმერეთიდან უორდროპები გურიას სწვევიან. მარჯორის დღიურებს ახალი სტრიქონები ემატება:

„ქუთაისელებს დავპირდით, რომ კვლავ დავბრუნდებოდით, დავტოვეთ იქაურობა და ჩვენს თავაზიან მასპინძლებთან ერთად ვეწვიეთ თავად მაჭუტაძის მეუღლეს ნიგოთში. ეს ქალი ინგლისელია, თავისი სიკეთისთვის დიდად პატივცემული. იგი დღენიადაგ ზრუნავს თავის გლეხებზე, გულისხმიერი ადამიანია და გლეხობაც ავადმყოფობისა თუ გასაჭირის დროს მას ხშირად მიმართავს რჩევისა და ნუგეშისათვის. მისი შვილები ისე თავისუფლად ლაპარაკობენ ინგლისურს, როგორც ქართულს. მაჭუტაძეები დიდი სტუმარმასპინძლობით გაგვიმასპინძლდნენ.

საინტერესოა, თუ ვინ არის ეს გულისხმიერი ინგლისელი ქალი,“ „ნიგოეთელი თავადის, მაჭუტაძის მეუღლე?“

ამის შესახებ მარჯორი უორდროპი, მართალია, სახელდებით არაფერს გვეუბნება, მაგრამ მაჭუტაძეთა საგვარეულო გადმოცემით, რომელიც ჟ. ნეფარიძეს მოუძიებია იგი უეჭველად ანა ტარსეი უნდა იყოს (იხ. „საქართველოს ქალი“ 1971წ, №2 გვ. 20: „კომუნისტური შრომა“ 20 /03/1971, №33: „ახალგაზრდა კომუნისტი“ 17/10/1981, №124) მკვლევარი გ. შარაძე შეეცადა აღედგინა ანა ტარსეის ნამდვილი ბიოგრაფია ჩვენამდე მოღწეული პირველწყაროების, კერძოდ, ლევ ტოლსტოის და მისი ოჯახის წევრთა მოგონებების, დღიურებისა და პირადი წერილების გათვალისწინებით.

ანა ტარსეი 1845 წელს ლონდონში დაბადებულა. იგი ყოფილა უინძორის სამეფო სასახლის მებაღის ქალიშვილი, რომელიც ლევ ტოლსტოის თავისი შვილების აღმზრდელად მოუწვევია ლონდონიდან 1866

წელს, ერთი ნაცნობი ინგლისელი პასტორის დახმარებით იასნაია პოლიანაში ანა ტარსეი ჩამოუყვანია მის უფროს დას-ჯენის, რომელიც მეზობელ თავად ლვოვების ოჯახის გუვერნანტი იყო.

ანა ტარსეი იასნაია პოლიანაში 1866-72 წლებში ცხოვრობდა და ლევ ტოლსტოის უფროს შვილებს ზრდიდა. თავისი არაჩვეულებრივი სათნო ხასიათითა და შინაგანი კულტურით, ანა ტარსეის ტოლსტოის ოჯახის წევრთა ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია ის კი არა და, ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია მას თავისი სახელოვანი მამისა და დედის გვერდითაც კი აყენებს:

ლევ ტოლსტოის ცოლის და, ტატიანა ბერსი, რომელიც ალ. კუზმინსკიზე იყო გათხოვილი და, როგორც ცნობილია, ლევ ტოლსტოიმ „ომსა და მშვიდობაში“ ნატაშა როსტოვას პროტოტიპად გამოიყენა, წერს:

„ანა მე ძალიან მომწონს ცოცხალი, ენერგიული, ბავშვთან მარჯვე და მხიარულია. სონია მისით ძლიერ კმაყოფილია. ასევე მოსწონს იგი ლევ ნიკოლოზის ძესაც ბავშვები უკვე შეეგუვნენ მას.“ (ტ. კუზმინსკაია ჩემი ცხოვრება შინ და იასნაია პოლიანაში, ტულა 1973 გვ. 403 417, 427)

იასნაია პოლიანაში ცხოვრების ბოლო წლებში ანა ტარსეის ჯანმრთელობა სერიოზულად შერყეულა, მას ციება შეჰყრია.

როგორც ირკვევა, ლევ ტოლსტოი იძულებული გამხდარა ანა ტარსეი, ქუთაისში თავის ცოლის დასთან ნატაშა როსტოვასთან, ანუ ტატიანა ბერსთან გამოგზავნა გამოსაჯანმრთელებლად.

საქმე ის არის, რომ ტატიანა ბერსის (1846-1925) ქმარი ალექსანდრე მიხეილის ძე კუზმინსკი (1843-1917) სამართალმცოდნეობის სასწავლებლის დამთავრების (1864) შემდეგ გამომძიებელი იყო ტულის საოლქო სასამართლოში. ამ დროს გაიცნო ლევ ტოლსტოის ცოლის და ტატიანა ბერსი, რომელიც მაშინ მეტწილად იასნაია პოლიანაში ცხოვრობდა. ლევ ტოლსტოიმ კი, როგორც ცნობილია, სწორედ 1860-იან წლებში დაწერა „ომი და მშვიდობა“ 1867 წ. ტატიანა ბერსი დაქორწინდა ალ. კუზმინისკზე. ამის შემდეგ ალ. კუზმინისკი სხვადასხვა დროს მუშაობდა პეტერბურგსა და განაპირა მხარეების სასამართლო უწყებებში.

1871 წლიდან იგი ჯერ თბილისშია, 1872 წლიდან კი იგი უკვე ქუთაისში მსახურობდა სასამართლოს მოხელედ და ოჯახიც თან ახლდა. აი სწორედ მათთან გამოგზავნა ლევ ტოლსტოიმ ან ტარსეი.

ამის შემდეგ ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაიას სიტყვებით: „იასნაია პოლიანასა და ქუთაისს შორის გაცხოველებული მიმოწერა გაჩაღდა“ (მოგონებანი, მოსკოვი, 1976, გვ. 117)

ლევ ტოლსტოისა და სოფიო ანდრიას ასულის მიერ იასნაია პოლიანადან ქუთაისში გაგზავნილი ბარათებიდან ვიგებთ, თუ რა დიდი ყურადღებით ადევნებდნენ ისინი თვალს ანას ჯანმრთელობას, თან რა მოუთმენლად მოელიან მის იასნაია პოლიანაში დაბრუნებას.

აქ, ქუთაისის მახლობლად, თავისი ქმრის მამულებში გაატარა ანამ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება.

მაჭუტაძეზე გათხოვების შემდეგაც ანა ტარსეის მიმოწერა არ გაუწყვეტია ლევ ტოლსტოის ოჯახთან, ამას მოწმობს სოფიო ანდრიას ასულის არქივში დაცული 1885 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებული წერილი (იხ. ლევ ტოლსტოი, თხზულებათა სრული კრებული 90 ტომად, ტ 83 მოსკოვი 1938 გვ. 520)

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ირკვევა, რომ 1895 წლის იანვარში გურიის სოფელ ნიგოითში უორდროპებისათვის მასპინძლობა გაუწევია თავად დიმიტრი მაჭუტაძესა და მის მეუღლეს, წარმოშობით ლონდონელ ქალს, ერთ დროს ლევ ტოლსტოის შვილების აღმზრდელის იასნაია პოლიანაში ანა ტარსეის (იხ. გ. შარაძე, გაზ. „კომუნისტი“ 22/08/1982)

ნიგოითის შემდეგ უორდროპებს ჯერ მოუნახულებიათ ჯუმათის მონასტერი, შემდეგ წასულან სუფსაში, სადაც ორი დღე გაუტარებიათ გურიის მთავრის რეზიდენციაში, კერძოდ სწვევიან ტელემაქ გურიელის, ცნობილი ქართველი პოეტის მამია გურიელის ძმის ოჯახს.

მარჯორი ასე გვიხატავს ტელემაქ გურიელის პორტრეტს:

„...გურიელი იშვიათად ატარებს ქუდს, რადგან თმა კარგად იფარავს მას ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხისაგან. მისი განსაკუთრებული სწორი და დახვეწილი ნაკვთები გასხივოსნებულია ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ჩანს ინტელექტიც და დაუცხრომელი სულიც ტელემაქ გურიელი მშობლიური ლიტერატურის დიდი ენთუზიასტია“.

სუფსიდან ინგლისელი სტუმრები ოზურგეთს გამგზავრებულან, რომელსაც მარჯორი „გურიის დედაქალაქს“ უწოდებს. ქალაქი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ“ - დასძენს მარჯორი უორდროპი.

უორდროპები აღტაცებას ვერ მალავენ ოზურგეთთან ახლოს მდებარე შემოქმედის მონასტრის ხილვისას, რომელიც მდინარის პირას მდებარეობს და, სხვა ძველ მონასტერთა მსგავსად, წინათ

გამაგრებული ციხე-სიმაგრე ყოფილა. მონასტერს თურმე დიდძალი მიწა ეკუთვნოდა და მთელი გურიაც მას ემორჩილებოდა. ტაძარი ორნავიანია, განათებულია რვაკუთხოვანი თაღებით. შენობა აგურისაა, გარედან დროთა გარდასვლით შელახულია აქვეა გურიელთა სამარხებიც.“

ოზურგეთში უორდოპების ყოფნის ქრონიკას ავსებს და აზუსტებს გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 2 თებერვალს დაბეჭდილი კორესპონდენცია, რომელიც ცნობილი მესტამბის კ. თავართქილაძის მიერაა ოზურგეთიდან გამოგზავნილი.

„ოზურგეთი. 25 ამ თვეს (იანვარს) ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუმრები და-ძმა უორდროპები, 26–ში მათ დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძვირფასი დიდი სიმდიდრე და ხელოვნება, ხოლო დღეს 27 იანვარს შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთ-საცავში, საიდანაც ათი-თორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თბილისში ვერ ეშოვნათ. მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც ქართულის კილოთი მითხრეს: „ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები რაც გაქვთ მოიტანეთო.“ ჩვენი ქართველი „ბარიშნები“ და „დამები“ რომ შემოდიან მაღაზიაში, მეუბნებიან: „აკაკის საჩინენიას“ შენს „ტიპოგრაფიაში“ უფრო „დახოდი“ გაქვს თუ ოზურგეთშიო?!“ და სხვა.

აბა, ამ დროს მოდი და ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც იმ შესანიშნავს და ჩვენთან დიდ მანძილზე დაშორებულ სახელმწიფოდან, სადაც ხსენება ქართველის არ არის, მოდის ადამიანი, რომელსაც თავისით შეუსწავლია მშვენიერი ქართული ენა და გელაპარაკება ჩინებული ქართული ენით!.

მართლაც, საქართველოში უორდროპებს ყველგან გულუხვ მასპინძლობას უწევდნენ. მარჯორის დღიურებში ვკითხულობთ: „ივერიელთა სტუმართმოყვარეობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია ვინმეს. მათი უდიდესი პოეტი რუსთაველი ამბობს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ და მის თანამემამულეებს არ უღალატიათ ამ ნაანდერძევისათვის. ქართული გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა“ საყოველთაოდაა ცნობილი და სიძუნწე მართლაც უცხოა ქართველისათვის.

„...ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათი ერთ-ერთი პირველი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მივედით.

გულითად, აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ.“

და ბოლოს მარჯორი უორდროპი ოზურგეთში მათ პატივსაცემად გურულების მოწყობილ ნადიმსა და ბათუმისაკენ საზეიმო გაცილებას ასე გადმოგვცემს:

„ოზურგეთიდან გამგზავრებისას ქალაქმა გამოსამშვიდობებლად წვეულება გაგვიმართა კლუბში და მე არასოდეს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა. წვეულება ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვიშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით.

ბათუმიდან უორდროპები გემით ოდესაში ჩასულან, სადაც 1895 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ლონდონისკენ გამგზავრებულან. სამშობლოში მიმავალი ინგლისელი სტუმრები ოდესის რკინიგზის სადგურში გაუცილებიათ იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, რაც აღწერილია გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 21 თებერვლის გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში:

„ბედმა ჩვენც გვარგუნა ჩვენის ძვირფასი სტუმრების მისს-ისა და მისტერ ვორდროპის ნახვა. მე არ მგონია საჭირო იყოს იმ გულწრფელი გრძნობის აღწერა, რომელიც ჩვენში გამოიწვია ამ იშვიათ მანდილოსანმა, ამ ძვირფასი სტუმრის გრძნობა ჩვენის ქვეყნისა და მწერლობისადმი, რომელიც უკვე გამოთქმული ჰქონდა თავის წერილში „განდეგილის“ ავტორთან, ჩვენ ყველამ პირადად ვსცანით და ამ გრძნობამ ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა.

6 თებერვალს სტუმრები გაემგზავრნენ ლონდონისაკენ რკინიგზის სადგურზე ქალბატონს ვარდროპს აქაურმა ქართველმა ახალგაზრდობამ მიართვა მშვენიერი თაიგული, რომლის ლენტზედაც შემდეგი ლექსი იყო დაწერილი:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, რომ ის გიყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“

როგორც ზემოთ ითქვა, მარჯორი უორდროპი თავის დედ-მამასთან და უმცროს ძმასთან, თომასთან ერთად საგურამოში ყოფილა 1896 წლის 20 ივლისიდან, 25 ივლისს ისინი უკვე გორში ჩასულან.

საგურამოდან ინგლისელი სტუმრები, ეტყობა პირდაპირ გორში წასულან, რადგან „კვალი“ იტყობინება, რომ „25 ივლისს, აქ გორში ჩამობრძანდა დიდად პატივსაცემი ქალბატონი ვორდოპი თავის

მამით, დედით და ძმით, აქ დაჰყვეს მხოლოდ ღამის 10 საათამდის რკინიგზის სადგურზე. სხვათა შორის ექვთიმე კოპლატაძემ ლექსიც უძღვნა. ლექსით დიდად კმაყოფილი დარჩა მთელი ოჯახი და მადლობა გადაუხადეს ავტორს. სადგურის ქართველობამ დიდი აღტაცებით გააცილა პატივცემული სტუმრები ქალაქ ქუთაისს. (გვ. 183....)

ამრიგად, უორდროპების დღიურების ამ მცირე მიმოხილვითაც ნათელი ხდება მათი დიდი აღფრთოვანება საქართველოთი და ქართველებით და გულწრფელი სიყვარული ჩვენი ქვეყნისა და ხალხისა.

ლიტერატურა:

1. შარაძე გ., ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო), თბ., 1983
2. თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., მარჯორი უორდროპი, თბ., 1965.
3. ტოლსტოი ლ., თხზულებათა სრული კრებული 90 ტომად, ტ. 83, მოსკოვი, 1938.
4. მოგონებანი, მოსკოვი, 1976
5. უორდროპი მ., შენიშვნები 1894–95 წწ–ში საქართველოში მოგზაურობის შესახებ, ტექსტი ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო თაქთაქიშვილმა–ურუშაძემ, თბ., 1958.
6. კუზმინსკაია ტ., ჩემი ცხოვრება შინ და იასნაია პოლიანაში, ტულა, 1973.

* * *

FROM BERDYANSK STATE PEDAGOGICAL UNIVERSITY

Ann Mrige
Student of 6 course
The Institute of Engineering and Technology Education
E-mail: anyutka-8989@mail.ru

PROBLEMS AND PROSPECTS OF COMMERCE MARKET IN UKRAINE

Necessary and important element of modern financial sector of economy of Ukraine is insurance, which should contribute to overall economic stability, business development, to provide protection from various natural, technological and other risks, implementation of government social policies generate significant investment resources.

In terms of macroeconomic stability, changes in ownership of most enterprises need citizens and businesses to protect their property interests and the interests of employees from various risks is growing. The state is also interested in insurance protection of their property and promote social and economic security of citizens.

Analysis of Ukraine's insurance market is enough evidence of its dynamic development in recent years while maintaining a number of problems that hinder its further modernization and overcoming inherent negative phenomena.

At the end of the third quarter of 2006 to the State Register of Financial Institutions included data 407 insurance companies, whose total assets amounted to 22 299 million. and increased during the year by over 11%. Insurers were formed in the amount of insurance reserves of 5 billion 317 million USD. Collected premiums exceeded 9 billion 752 million USD. The share of premiums from policyholders - individuals increased from 10,8% in 2004 to 32,2% in 2006. Rapidly growing life insurance. Its share of net premium in 2006 reached 4,7% compared to 1,9% in 2004. Reduced the volume of reinsurance with reinsurers - non-residents. However, a number of unresolved issues that impede the achievement of this level of insurance market of insurance services, which is typical EU countries.

One key problem is the state of the domestic insurance legislation, bring it in line with international law, including the requirements of a number of EU Directive and the introduction into the Ukrainian regulatory practice principles and standards of the International Association of Insurance Supervisors. Such steps will hope to expand the range of its product range in the field of insurance services, and promote implementation of effective prudential supervision of insurers on the basis of systematic risk analysis.

Another significant problem is the lack of capitalization and low liquidity of a large part of insurance companies. The average equity Ukrainian insurer in the first half of 2006 is not exceeded 39 million. And the asset structure of

insurance companies suggests questionable liquidity, especially in terms of assets represented by securities that are not listed on stock exchanges. As of July 2006, 44.5% of the assets of insurers represented by shares, of which 63,2% are not listed or traded on exchanges. The prospect of Ukraine joining the WTO with the gradual liberalization of the conditions of insurance for non-objective will strengthen competition in the insurance market, which, in turn, should induce the founders of Ukrainian insurers to accelerated capitalization companies to maintain proper follow-competitiveness.

Third longstanding problem of the insurance market is to use its instruments to minimize tax liabilities entities real economy due to insurance in the areas of special tax conditions that differ significantly from the general conditions of taxation of business profits. Tax payments are based on the insurer's 3% tax deductible insurance premiums, which creates economic incentives for sham insurance transactions. The so-called "circuit" insurance distorts the insurance market, creates a distorted view insurance consumers about the content of insurance contracts, significantly complicates the terms of the classical insurance companies. It is therefore an urgent need for further development of the insurance market is a shortcut to the general conditions of taxation based on income tax and the denial of the use of insurance in the optimization schemes.

The fourth significant problem in the insurance market is a lack of solvency of the population, the slow formation of the "middle" class, which has become a major carrier as a new insurance culture, and the main cover as large volumes of production assets and facilities owned non-industrial purposes. Income growth is displayed and further development of various types of personal insurance savings (various programs for long-term life insurance, retirement annuities, etc.).

Finally, an extremely important seems to bring order to compulsory insurance. Some of his views, such as liability insurance for owners of vehicles, etc. at appropriate organizational efforts have become a factor in the development of insurance business in general. It seems appropriate to gradually transition to insurance as a prerequisite of other economic relationships, such as liability insurance for the developers, carriers, food manufacturers would be preceded by obtaining appropriate permits and licenses. Rationalization of compulsory insurance would reduce the inefficient government interference in the formation of insurance rates, boost competition among providers of insurance services and significantly improved the relationship to insurance companies and insurers on the basis of mutual demands, would allow insurers with insurers to develop and implement measures to prevent insurance claims .

Anton Gaichuk
Student of 3 course
The Institute of Physics and Mathematics Education
e-mail: antongaichuk@mail.ru

PHOTOLUMINESCENCE SPECTRUM OF POROUS INP OBTAINED BY ELECTROCHEMICAL ETCHING

Recently quantum-dimensional structures A^3B^5 draw attention of many researchers. It is connected with singularity of properties of received materials and enough simple and inexpensive technology of their manufacturing.

In the given work the manufacturing techniques are shown and spectra of a photoluminescence porous InP are investigated.

The samples of porous phoshide India were grown up by a method of anode etching on a substrate (100) InP n-type (concentration of an impurity $2{,}3x10^{18}cm^{-3}$). As electrolit the solution of 5 % HCl was used. Pressure raised in due course with speed of 1V/min before detection of size of threshold pressure of pores creation which in this case was 3,5B (t=3min). As an excitation source used radiation of nitric laser LGI-503 (λ =337nm). The morphology of the received porous structures was investigated by means of raster electronic microscope JSM-6490.

Results and discussion

The Fig. 1 shows the image of morphology of the porous sample Phosphide India received by a way electrochemical etchings n-InP (100) in a solution of hydrochloric acid. In drawing it is possible to see the ordered ensemble of pores which was formed on a substrate from monocrystal Phosphide India. The pores have sprouted on all surface of an ingot. The size of pores was 30–40nm that testifies that the given structure is nanosized



Fig. 1. The SEM images of porous n-InP (100), received by electrochemical etching in 5 % HCl, t=5min; a) surface



Fig.2. PL emission spectra of porous InP

On fig. 2 spectrum of photoluminescence porous InP is presented. It is visible that the spectrum essentially expanded, a maximum of its strip of radiation is localised near 550 nanometer.. Thus, in the given work the fact is confirmed that shift of a maximum of strip ***photoluminescence*** porous InP is caused by kvantovo-dimensional effects in threads of the received material.

The photoluminescence has shown that the size of nanocrystals makes approximately 3-10 nanometers in diameter. This result will be co-ordinated with the data received with the help of SEM according to which the size of walls between pores is 5–11nm.

Thus the analysis of results of the given methods has shown well agreement among themselves the data about the size of walls between pores which makes 3 – 11nm.

Julia Korolevskaja
Student of 6 course
The Social and-Humanitarian Department
e-mail: korolevskaja_ju@ukr.net

THE STUDING OF HISTORY THROUGH THE PRISM OF GENDER

Rather recently a new fashionable direction gender researches has appeared in a historical science. Gender is examined now in many sciences: sociology, philosophy, philology, law, economy, psychology, pedagogics, political science, history etc. The concept of gender has appeared in 60-70th years of the XX-th century in the West as achievement of neofeminist movement. The article of Joan Scott "Gender: a Useful Category of Historical Analysis",

that was written in 1986, became fundamental. The author has defined a gender as the element of social relationships based on perceived differences between the sexes, and a primary way of signifying relationships of power. As the constitutive element of social relationships based on perceived differences between the sexes, gender involves four interrelated elements: 1) culturally available symbols, that evoke multiple (and often contradictory) representations (for example, Eve and Mary as symbols of women in the Western Christian tradition, myths of light and dark, purification and pollution); 2) normative concepts, that set forth interpretations of the meanings of the symbols, that attempt to limit and contain their metaphoric possibilities (these concepts are expressed in religious, educational, scientific, legal and political doctrines); 3) both political and social institutes and organisations; 4) subjective identity [1, p. 1067-1068].

Even so the studying of gender has begun not so long ago, but the historiography of the given question is already enough extensive. Scientific works of J. Scott, G. Bok, G. Budde, S. Ljudesdorf, R. Hof, O. Hasbulatova, O. Shnyrova, T. Ryabov, I. Shkolnikov, I. Zherebkina, O. Kis, N. Pushkarev, L. Repin, I. Chikalova are devoted to the different aspects of gender researches .

It is necessary to distinguish sex as biological concept and gender as social concept. In this way, if we speak about gender relations, we keep in mind social relations between the sexes.

There are many works today, which concern gender history. In the majority of them only a woman is in the centre of research, her history, and works on studying of history of men, mutual relations between sexes are not numerous enough. G.Bok in her article "Women's History and Gender History: Aspects of an International Debate" has noted, that the most important breakthrough in attempts to correlate history of one half of mankind with history another and each of them with whole history has occurred due to a conceptual sight at women as on social group. Accordingly men also began to be perceived as certain gender group. From the middle of 70th years "gender" is examined as a basic category of perception and research of a social, cultural and historical reality. [2, p. 176]. Which implies that the wider and more varied to understand the historical process, it is necessary to consider the history of women and men not independently, and in their interaction and equality. Moreover, we must remember also about interaction not only between sexes but also within the sexes, as differences may be very large, ranging from age, marital status and education to ethnic origin, social status and place of residence (village, town, city).

Scientists examine gender relations, i.e. relations between men and women, as a part of the social organisation. In the subject of gender history the most interesting are those aspects of life where the role of individuals depends on their gender accessory. Historians analyze destinies of women of the past, correlating them with public shifts in economy, politics, ideology, culture. Gender differences (gender asymmetry) are traced in modes of death rate, birth rate, sexuality. Gender aspects of migrations (labour, religious, marriage) and social mobility are interesting [3].

The gender approach assumes, that differences in behaviour and perception of men and women are determined not only by their physiological features, as education and the representations extended in everyone culture about the nature of male and female. So, the gender approach is even more often used for the analysis, for example, a folklore material for definition of household duties of spouses, a place of the woman in a family, wedding ceremonies that is important for ethnographic researches.

If we examine gender relations in aspect «sex - power» here they will most brightly be shown in research of political history. So, even if the woman did not stand directly at the power, it nevertheless could influence some decisions of "mighty of this world".

It is necessary to note also such direction of a historical science as social history. Probably, it is possible to submit data most widely gender researches in social history for more concrete analysis of social movements in history, and also social processes of historical transformation (migration, an urbanization).

Thus, though the gender is still "young enough" concept, but it already is very widely used in the system of the humanities. For a historical science the gender helps to open new pages, which remained without attention of scientists earlier, first of all, it is history of women, and also mutual relations between sexes.

LITERATURE:

1. Scott, J.W. Gender: A Useful Category of Historical Analysis / J.W. Scott // American Historical Review. - 1986. - Vol. 91. - № 5. - P.1053-1075.

2. Bock, G. Women's History and Gender History: Aspects of an International Debate // THESIS. - 1994. - № 6. - S.170-200.

3. Kosyh E.S. Gender approach in history [the Electronic resource] / E.S. Kosyh. - an access mode to article: http://mmj.ru/history_theory.html? &article=119&cHash=19bdb84a54

Kate Melnikova
Student of 4 course
The Institute of Philology and Social Communication
e-mail: zol-0075@rambler.ru

SYNTACTIC TRANSFORMATIONS AS ONE OF THE WAY OF TRANSLATION

The research of syntactic transformations in the English translation requires the study of nature of syntactic transformations, their classifications and their usage. The study of syntactic transformations within the grammatical transformations is actual and important for translation.

The problem of grammatical transformations in translation has been studied byV.I Karaban; the problem of syntactic transformations has been heightened in N. Harbovsky's, V. Gak's, I. Nemushayev's and R. Barhudarov's works. Different linguistic studios distinguish their own transformations, and suggest various ways of their classification.

Thus the aim of the article is to analyze the structure of syntactic transformations, define their common and different features in the original texts and in their Ukrainian interpretation.

We have shared I. Nemushayev's opinion that interlanguage transformations change the word order in the sentence and substitute the syntactic structure of sentences in the translation [1, c. 14].

The research is based on the works by J. Salinger (139 units).

One of syntactic transformation type is replacement (31 units - 22,3 %) the main members of a sentence, especially a subject. The usage of such substitutions are more widely spread in English than in Ukrainian, because a subject performs some other functions more but not only a subject of an action [5, p.182]: the object of an action (subject is substituted into object), indication of time (subject is substituted by adverbial modifier of time), indication of space (subject is substituted by adverbial modifier of place) and so on.

A large number of syntactic transformations deals with the substitution of a simple sentence into a compound (73 units - 52,5%). This kind of transformation is usually used in translation of a simple English sentence complicated by a syntactic component - infinitive, gerund or absolute constructions. For example: …*I like watching her dance* [3]. - … *Я люблю дивитись, як вона танцює.*

The substitution of a compound sentence into a simple (18 units -12,9%) one is quite possible in literary translation .As a result an adverbial clause might be translated as a participle, or participial constructions. For example: *It was so dark I couldn't see her* [3]. *– Я її не міг бачити у темряві.*

Syntactic transformation is sometimes used as a compressed sentence (11 units -7,9%) - the translation of two (or more) separate sentences into one: *That was a long time ago. It seemed like fifty years ego* [3]. *– Це було давно, - здавалось, минуло років п'ятнадцять.*

The type of transformation which is rarely met is substitution of two-member sentence into one-member one (6 units – 4,3%), that is allowed in the grammar system of Ukrainian. For example: *It was delicious, the way my voice made her swirt, thrust, wag and whine. – Було так приємно, коли почуяв мій голос, вона стала крутитися, юлити, виляти хвостом і верещати* [3].

Thus, having analyzed the syntactic transformations, we have come to a conclusion it is necessary to analyze the syntactic structure of foreign sentences and identify of grammatical peculiarities for a successful translation. The sentences must correlate the standards of the language and the genre of writing. Naturally, both the grammatical peculiarities of the language and different types of the transformation must be taken into consideration in the process of translation.

LITERATURE:

1. Нешумаев И.В. Синтаксические трансформации при переводе английского текста на русский язык.//Лингвистические и методические проблемы русского языка как неродного: Текст: структура и анализ. – М., 1991. – С. 14; 117-126.
2. Любченко Т.Н. Научная фантастика в переводе: приобретения и потери.//Теорія і практика перекладу. – К., 1991. –Вип. 17. – С. 89-97, 182.
3. Salinger J. The Catcher in the Rye. – New York, Hachette Book Group, 1999.

Oleksandr Malyarov
Student of 6 course
The Institute of Engineering and Technology Education
e-mail: malyarov_aleks@mail.ru

THEORETICAL APPROACHES TO OTSINENNYA DEGREE OF READINESS COMPANY TO INTERNATIONAL MARKETING ACTIVITY

Providing high efficiency of the enterprise is closely linked with philosophy, principles, methods and tools marketing. At the present stage of economic processes urgency of the international aspects of marketing has grown through the process of internationalization and globalization of world economy, expansion of international trade, more dynamic and mass transfer of capital and labor. Features that can be implemented in the course of trade with foreign companies or foreign direct needs of consumers, too big to them can be neglected. Do not remain aloof internationalization processes and our state. The liberalization of economic relations in Ukraine gave rise to the rapid development of foreign economic relations of domestic companies with the subjects of the international market.

At the stage of decision about entering a foreign market raises the basic task of this step, the rationale for the enterprise. The success of this problem is largely caused by companies willing to launch and implementation of international marketing activities. Assess the degree of completion of important tasks such as determining the potential of international marketing and selecting foreign market.

The technique of evaluating readiness of enterprises to foreign economic activities based on the method of expert evaluations and provides detection of various features, which reflect to some extent the ability of companies to international activities, and degree of development in which different companies are not equal.

The factors that characterize these signs and reflect the internal resources of the firm, proposed to be key elements external capacity, personnel, finance, management techniques and technical and technological base of the enterprise. The main components of performance and features key element of the "stuff" can be selected as follows: degree of proper staff training, staff understanding of foreign business objectives, staff orientation degree of success, the level of preparedness of staff to the management of international marketing programs, the level of motivation of the personnel. To assess the key Element external capacity "technical and technological base of enterprise", the following indicators and signs: a modern manufacturing base, scientific and technical leadership on the market, to create new products, product quality performance. A key component of the enterprise element ZEP "finance" be described by the possibility of increasing equity by monopolized profits by availability of cheap loans and so on. Performance and key features Element external capacity "management methods" should be considered: reputation on the market, have experience of international marketing activity, to gathering and analyzing information about foreign market competition, consumers, to increase the competitiveness of products and businesses.

The evaluation method proposed signs export market is calculated integral indicator of readiness of the company to foreign trade, which is imposed on the assessment scale. By location on a scale calculated integral index of the enterprise readiness of the international marketing activity is defined as very high, high, moderate or low.

Olga Grytsayova
Student of 6 course
The Social and Humanitarian Department
e-mail: griza2008@ukr.net

EDUCATIONAL REFORMS OF UKRAINE THE SECOND HALF OF the XX CENTURY

Study of the history and also principles of reformation of national education promote the comprehension and realizing of modern processes in education and planning of its future. Development of education in Ukraine was always accompanied by the high-quality changes and innovations which on a certain historical stage outgrew in cardinal reforms.

The purpose of this research is to expose in the context of social and political, economic and pedagogical determinants; organizational and pedagogical principles of reformation of education in Ukraine in the second half of the XX century as different-level changes in the structure of integral educational process.

Reform is a multivalent concept which is often substituted by the concepts "change", "development", "improvement", "modernization", "transformation". Educational reforms are scale activity in the form of social project with the change of maintenance, structure, methods and forms of education in the state [2]. Educational reforms can be

carried out within the framework of separate educational establishment, subsystem of such establishments, in the scales of entire country and continent.

Democratization of the soviet society in the period of "thaw" promoted the appearance of "Law about strengthening of connection of school with life and further development of the system of folk education in the USSR" (1958) on the basis of which the great educational reform was taken place.

In the middle of 60th of the XX century the reform of education expressly showed the efficiency on the way of realization of key aspects. The reform showed the danger of voluntarism in the field of development of national community. In 1965 it was necessary to get back to 10-years secondary education, to priority of daily study in higher educational establishments, to reduction of privileges at the entering the higher educational establishments workers with experience, to give up some positions of previous reform. The key moment in the reform of 1965 became the transition to general secondary education, declared as a priority of the soviet educational policy. [4].

One of the great reforms of education was proclaimed in 1984 in Declaration of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union "About basic directions of reform of general and professional school" and provided to complete general secondary education of young people by the general professional preparation, to give opportunity young people to get working professions in the period of study at school, to distribute material resources in behalf on the system of professional and technical education.

"Perestroika" which began in 1985 was a result of the appearance of "Basic directions of alteration of the higher and secondary special education in the country" and the "Coordinating plan of scientific and investigational works from the complex problems of the higher and secondary special education on 1987-1990".

A new stage and new educational reform is related to proclamation of independence of Ukraine and acceptance in 1991 the Law of Ukraine "About education". The important reformative statement of this law is establishing of state and non-state education.

As a large progress of the reform of 1991 there were some types of general and higher educational establishments (lyceums, high schools, higher professional and technical schools, colleges, academies) and strengthening of work with gifted young people.

Idea of necessity of further reformation of the educational system of Ukraine, which from 2005 became the part of European educational space (Bologna process), is important and actual. It must be not only political will, but grounded through the criteria of national and world experience, analysis of such reformation. All innovative transformations (including reforms) in the field of national education must have the human measuring, and for this purpose further research of methodological aspects of modernization of education in accordance with the necessity of integration with European educational standard and necessity of saving of its national originality is needed.

LIST OF THE USED SOURCES:

1. Болонский процесс : Взгляд на проблему : сб. материалов. – М. : Наука, 2004. – 360 с.
2. Ильинский И. М. Образовательная революция / И. М. Ильинский – М. : Изд-во Моск. гуманит.-соц. акад., 2002. – 592 с.
3. Растопшин И. А. Уроки реформирования высшей школы во второй половине XX века / И. А. Растопшин // Высшее образование для XXI века : сб. – М. : Изд-во Моск. гуманит. ун-та, 2009. – С. 28–31.

Olga Triukhan
Student of 3 course
The Institute of Philology and Social Communications
e-mail: o_trukhan@mail.ru

THE VERSES BY ARCHIMANDRITE ONUFRIY: SUBJECT, BAROQUE FIGURATIVENESS

The researches in the field of the Ukrainian baroque art as a fragment of the world baroque are highly important for the development of modern literary criticism. Images, motifs, moods which were popular in the XVII-th - at the beginning of the XVIII-th centuries had become even more developed later and had interpenetrated into the fragments of other art styles.

The baroque poetry was studied and analysed by U. Vipper, Bogdana Krisa, O. Zosimova, A. Makarov, A. Mikhaylov, M. Ol'khovik, V. Peretc, L. Sazonova, D. Stepovik, L. Ushkalov, D. Chizhevskiy. Baroque as a literary direction, the dominant style of the epoch is thoroughly researched, however the lyric poet of archimandrite Onufriy has not been still studied enough and otherwise it contains the expressive baroque features and the original character.

The texts of the baroque writers can be interpreted in allegoric, moral, didactic, theological aspects. As for L. Ushkalov, he thinks that «text is divided… as the form of achieving the peace between a man and God or the way of getting eternal beatitude of an author-«composer» and his greatful reader as well" [2, p. 152].

Archimandrite Onufriy's «Prognostika» may be accepted as the original baroque « forest of things ». It is illustrated with the usage of typical baroque characters, the presence of «vanity of vanities» motif, life fluidity and transient, permanent repetition of periods. Archimandrite Onufriy combines imaginary objects with the real ones in his works that was a characteristic feature of baroque. Archimandrite Onufriy's interest deals with the astrological calendar and the events of the contemporary reality.

His poems are full of useful information, morality («About female nature», «About pregnant women»). The writer deals with the question of women's social position, importance, their rights and role in a family. To Onufriy's mind, a woman is ready to occupy a worthy and respectful place in the society, take the place of the nearest assistant of a man.

Much attention is paid to planets and their influence on people in Onufriy's verses. Archimandrite Onufriy adds masculine or feminine gender to every planet that determines people nature as well as the season of birth and individual potential. The author presents a parallel between the star bright shining and the God's wisdom, calls upon for praising Him for such a unique miracle («A verse to the Sun»).

The light is presented as the most precious gift that gives life to all creatures in Onufriy's poem «About the Day Light» on one hand, and on the other hand an overcast day doesn't allow to work hard. Grace [1, p. 77].

Lazarus Baranovich and archimandrite Onufriy described the influence of heavenly bodies on the earthly life. They realised the main function of the Sun as the main source of life on our planet, the creation of necessary conditions for its development. Onufriy cjnsiders that planets activity has been planned by God and can be realized according to His will. The general harmony of planets and stars is macrocosm, and the harmony of personal features is a microcosm.

Archimandrite Onufriy describes thoroughly the properties of all signs of the zodiac in his work « The Description of Twelve Signs». The signs of zodiac used as the generalization, complex interpretation of human essence help to open the certain of God's project and to understand everybody's individual role on the Earth.

The use of marinistic images was popular by both Ukrainian poets in the XVII-th – XVIII-th centures, and Western European Church writers indefining the role of the «fluidity of the visible world». Archimandrite Onufriy calls January the month of Aquarius, penetrates astrology with christian studies while describing the calendar and the signs of zodiac. The author represents this figure with the vase of water from Iordan, where Jesus has been baptized, provides the idea of self-clearing with the help of tears.

Water is represented as a vital source for life existence given by the God in Onufriy's poem «About the month». Only God has the power: « Only He who knows where it rains, what the weather will be; thus, ask Him for help to get benefit » [1, p. 70].

To sum up, archimandrite Onufriy's works have reached two purposes: firstly, they have given instructions, knowledge to people, have shown them the best way of activities; secondly, they are the evidences of the author's self-realization, self-expression with a poetic word. The expressive religious potential is an important part of his work that may be explained by his long life in church. Onufriy has identified the Word of God with a poetic word as two instruments of world building. They vary only in ways. As for the first one, it was the creation of material world, while the second one is the starting point of any possible knowledge.

THE USED SOURCES:

1. Baroque poetry of Slobozhanschina. Anthology. Onufriy, Klimovskiy, Scovoroda / Leader L. Ushkalov. – K. : «Acta», 2002. – 524 p.
2. Ushkalov L. From the history of Ukrainian literature of XVII – XVIII ages. – Kharkiv : Acta». – 1999. – 216 p.

ЛІТЕРАТУРА:

1. Барокова поезія Слобожанщини. Антологія. Онуфрій, Климовський, Сковорода / Упоряд. Л. Ушкалов. – К. : «Акта», 2002. – 524 с.
2. Ушкалов Л. З історії української літератури XVII – XVIII століть. – Харків : Акта». – 1999. – 216 с.

Svitlana Vyun
Student of 4 course
The Social and Humanitarian Department
e-mail: natush@ukr.net

A PLACE OF WOMAN IN A POLICY

Lately a question of place of woman in a policy is very actual for the most developed countries of the world, principle of the wide bringing in of women to political life of country became the unchanging attribute of democratic transformations to the countries of Europe, South and North America. For this reason the necessity of search of answer appears for a question: is there what place of woman in a policy?

The purpose of this work consists in research of role and place of woman in Ukrainian political life.

Labours of I.Grabovskoy [1] are devoted this problem, D. Vidrinoy, I. Sverdlyuk, S. Oksamitovoy [2] in the researches they tried to outline a specific and place of the Ukrainian woman in the Ukrainian policy.

World practice testifies that with the increase of amount of women in a policy there are high-quality changes in the sphere of domestic and external policy of the state. From it a lot of countries entered a quota (not less than 40 %) on being of women in legislative and executive bodies, mostly it is humanitarian and social industries, as women are considered more moderate and detailed for men in the questions of maternity and defence of interests of favourable categories of population, in the questions of education, science and culture [1, p. 54-55].

A гендерне question in the context of policy is contradictory enough. For today there is not the unique idea in relation to this problem. However, without regard to it, the features of development of worldwide policy testify that women in a policy are the necessary requirement of time.

Proof of confession of problem of inequality of women in the Ukrainian policy was become by Law of Ukraine «On providing of even rights and possibilities of women and men» which it is marked in, that the task of public policy is «providing of leadthrough of single public policy of directed on achievement of even rights and equal possibilities of women and men in all of spheres of life of society» [3]. At an international level there is a row of documents which confirm international confession of this problem and determine directions of its decision. In particular, Convention of UNO about liquidation of all of forms of discrimination in relation to women and Purpose of development of millennium of UNO (CRT). Declaration about CRT, in same queue, calls governments to provide gender correlation at level from 30 to 70 % for any floor in the elected bodies and higher organs of executive power to 2015 year [4].

The problem of gender equality is not updated in a political environment. Absolute majority of political figures does not see the necessity of gender transformations for a political plane. Principle of gender equality on the whole is not perceived and not practiced. Women which get to the party lists are, as a rule, on «impassable» places. None of parties offered conception and strategy of gender development and plan of actions of national scale until now.[1, c. 56] Some researchers reason of situation which was folded see in stereotypes which are located in public consciousness, it is accepted that basic authority woman is determine family, way of life since olden times. It goes to show that society is not percipient woman in a policy as a competent participant [2, p. 201].

Consequently, all of tendencies of place of woman in a policy testify to the low level of realization of principles of гендерної equality in the sphere of policy. However, these questions are very important for Ukrainian society and in any way must not be ignored, especially as Ukraine is the way of integration to the European collaboration which actively supports bringing in of woman to the political processes.

LITERATURE:

1. Grabovska I. Problemi and prospects of woman in modern Ukrainian a policy / I. Grabovska // Word and time. – 2010. – № 11. – P. 54–59.
2. Women are in policy internftional experience for Ukraine / For заг. Red.: Sverdlyuk I. but Velvet Ñ. – K.: Atika, 2006. – 272 p. – P.185-211
3. About providing of even rights and possibilities of women and men. There is a law of Ukraine from 08.09.2005 // List of Verkhovna Rada of Ukraine. – 2005. – № 52. is Item 561.
4. How to provide gender equality in the policy [Electronic resource] of // news-letter of the International center of long-range researches. – 2010. – № 364. is access Mode: http://www.pasos.org/content/download.

УСТРОЙСТВО ГОСТИНИЦ В ГОРОДАХ ТАВРИЧЕСКОЙ ГУБЕРНИИ В 60-70-Х ГОДАХ XIX ВЕКА

Людмила Золотарь
Бердянский государственный
педагогический университет

Статья посвящена причинам побудившие городскую общественность к устройству гостиниц в городах Таврической губернии в 60-70-х годах XIX века и ряду мероприятий, которые последовали за этим.

Ключевые слова: *гостиница, городское общество, Таврическая губерния*

ESTABLISHMENT OF THE HOTELS IN THE CITIES OF THE TAVRIC PROVANCE IN THE 60-70th OF THE NINETEENTH CENTURY

The article is devoted to the reasons which prompted urban public to establish the hotels in the cities of the Tavric province in the 60-70th of the nineteenth century and other events that followed after it.

Keywords: *hotel, urban society, Tavric province*

В 60-70-х годах XIX века в Российской империи происходят модернизационные процессы, которые характеризировались социально-экономическими, культурными изменениями в обществе. Появление новых технологий посодействовало развитию системы путей сообщения по всей империи в целом и в отдельных губерниях.

Развитие путей сообщения требовало устройство новой инфраструктуры для эффективного функционирования транспортной системы и удобства пассажиров.

В связи с тем, что территория Таврической губернии имела специфические климатическо-рекриационные условия, то в городах Севастополе, Ялте и Феодосии значительно увеличилось число лиц, прибывающих туда для морских купаний. С устройством южных железных дорог количество приезжающих в эти пункты несомненно увеличивалось.

Руководству городов было предложено обратить внимание на устройство гостиниц, которые способствовали доставлением посетителям городов удобства, а также развитию городского хозяйства и улучшению местного благоустройства.

Вследствие было обращено внимание на установление определенной платы с лиц прибывающих для пользования и купания, как это заведено заграницей (Cur-taxe, Cur-musik-taxe). Желательно было-бы также, чтобы в означенных городах нашлись предприимчивые люди для устройства порядочных гостиниц по образцу существующих на заграничных водах Cur-haus’vb. [3; 1л. об.].

В Севастопольской городской думе по вопросу устройства гостиниц было предложено предоставление посетителям за более выгодную цену помещения. Поднимался вопрос о строительстве за счет городских денег гостиницу на том месте, где до военного времени (до Крымской войны) было здание дворянского собрания, принадлежащее Морскому ведомству.

Относительно предложение о плате за посещение Севастополя не нашло поддержку в городской думе. Мотивируя свое решение тем, что не более двух-трех лет, как Севастополь начали посещать для пользования морскими купальнями, и если на первых порах установить плату с лиц прибывающих для купания, как это заведено заграницей и непринято в России, то этот побор оттолкнет от Севастополя вовсе посетителей. Так как Севастополь не составлял исключительной и единственной в Крыму местности использованной для купания, если же в Севастополе и прибывают для купания посетители, то собственно из материальных выгод, так как в Севастополе они находят за умеренную цену квартиру и другие к жизни удобства [3; л. 5].

В 1869 году в Севастополе было три хороших гостиницы, с номерами для приезжающих и со столом. Плата за номера и стол обходился почтительно далеко дешевле против цен в гостиницах старых русских городов.

Кроме того в Севастополе было еще две гостиницы, в которых также имелись номера со столом и две гостиницы без номеров, но в которых готовили кушанье порциями. Еще в Севастополе был бульвар для гулянья, биржа для разъездов и купания, следовательно, посетители Севастополя имели больше удобств чем в других приморских городах. В виду этого и достаточности городских средств не предоставлялась возможности еще более улучшить удобства для посетителей. Но с каждым годом заметно прибывали в Севастополь посетители, особенно в летний сезон, так что возникали затруднения в наличии помещений.

В городской думе также считали, что было бы небесполезно для города и для приезжающих, устроить вблизи моря еще гостиницу с удобствами и более дешевыми номерами, за счет городских денег, для отдачи ее в наем частным лицам. Самая удобная для этого местность на Екатерининской площади, где было в довоенное время дворянское собрание, но эта местность находилась в введенье Морского ведомства. Устройство там гостиницы доставило бы посетителям больше удобств, а городу принесло бы пользу и украсило саму площадь [3; л. 6].

В 1870 году Севастопольское городское общество ходатайствовало об уступке городу Севастополю места принадлежащего Морскому ведомству, для устройства там гостиницы за счет городского общества. Но Морское министерство не изволило признать возможным удовлетворить ходатайство Севастопольского общества на передачу ему указанной местности с находящими на ней строениями [3; л. 17]. Таким образом, стремления городской общественности Севастополя построить еще одну гостиницу, было приостановлено нежеланием Морского министерства терять свой участок земли.

В Ялтинском городском обществе также поднимался вопрос об изыскании средств для благоустройства города и доставлении посетителям возможности больших удобств, как помещения по образцу существующим заграницею (Cur-taxe, Cur-musik-taxe). Установление платы с прибывающих для купания в Ялте было совершенно неисполнимым, так как введение платы само по себе не только не может обеспечить предприятие по устройству гостиниц. Введение сбора стеснит приезжающих, число которых уменьшится и город потеряет даже ту выгоду, какую имеет от них в настоящие время. Предпринимателей же без верного ручательства в выгодах предприятия по устройству гостиниц не только не нашлось между городскими обывателей, но большинство с них не имели вообще свободных капиталов. Ялтинская общественность отказалась принимать участие в строительстве новых гостиниц, полагаясь на отсутствие веских аргументов и гарантий выгодности устройства новых гостиниц.

Совсем иная ситуация обстояла в г. Феодосии. Для доставления удобств приезжающих в г. Феодосию на морские купанья городом были приняты следующие меры:

а) гостиница под названием “Петербургская” обновлена и сдана новому благонадежному содержателю, который обещал удовлетворить требования приезжающих;

б) домохозяева, отдающие квартиры в наем, заботились о приготовлении квартир сообразно известным им требованиям со стороны нанимателей;

в) нанят хороший оркестр музыки и предположено приезжающим подписку на музыку, для пополнения расхода для таковой;

г) к началу лета были окончены работы водопровода к фонтанам Георгиевскому и Караимскому;

д) предложено городскому архитектору Ничу обратить внимание на улучшение устройства купален;

е) домовладельцам был назначен срок для устройства перед домами тротуаров с насадкой деревьев, которые были доставлены городской думой;

ж) бульвар, находящийся в распоряжении Дирекции Клуба был устроен по средств клуба;

з) биржевые извозчики, в которых прежде ощущался недостаток, имелись теперь в достаточном количестве [3; л. 9].

Таким образом, городская общественность г. Феодосии предприняла меры для устройства гостиниц и развития курортно-оздоровительного промысла на своей территории.

Следует отметить, что в 60-70-х годах XIX века приморские города Таврической губернии, нуждались в устройстве гостиниц для привлечения посетителей, но по ряду причин городское общество не спешило принимать меры, но первые позитивные шаги в этом направлении были сделаны городской общественностью Феодосии.

СПИСОК ИСТОЧНИКОВ И ЛИТЕРАТУРЫ:

1. Байцар А.Д.Крим. Нариси історичної, природничої і суспільної географії. Навчальний посібник / А. Д. Байцар. -Луганськ: Видавничий центр ЛНУ ім. Івана Франка, 2007. -224с.
2. Воронкова Л. А. История туризма и гостеприимства. – М., 2004. - 304с.
3. Государственный архив Одесской области. – Ф. 1. – Оп. 44. – Д. 84.
4. Живописная Россия. Т. 5. Малороссия и Новороссия. Ч. II. Бессарабская, Херсонская Екатерипославская и Таврическая губернии / Под редакцией П.П. Семенова. Товарищество М. О. Вольф, 1898. - 298с.
5. Мальгин А. В. Русская Ривьера / А. В. Мальгин. – Симферополь: Сонат, 2004. – 252с.